

გენდერის საკითხაში ლიტერატურა



თბილისი
2007

მთარგმნელთა გჯუფი: ეკატერინე კახაძე
დავით მერკვილაძე
თამარ პატარიძე
დავით ცაბუტაშვილი

სამეცნიერო რედაქტორები: ნინო ჯავახიშვილი
ნანა ბერეკაშვილი

ენობრივი რედაქტორი: ნესტან ჩხიკვაძე

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2007

© Center for Social Sciences, 2007

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: contact@ucss.ge

ინტერნეტ გვერდი: www.ucss.ge



წიგნის ქართული თარგმანი მომზადდა და გამოიცა „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, OSI – Zug და ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით.



Georgian translation of the book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute Budapest (OSI).

ISBN: 978 - 99940 - 873 - 2 – 7

EAN: 9789994087327

ISSN : 1512 – 4576

სარჩევი

1. **„გენდერი“** 5
(საზოგადოებათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება)
უილიამ გ. როი
მთარგმნელი: ე. კახაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ბერეკაშვილი
2. **„ხმის მიცემის განსაკუთრებული მნიშვნელობა“** 17
(საზოგადოებათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება)
უილიამ გ. როი
მთარგმნელი: თ. პატარიძე
სამეცნიერო რედაქტორი — ნ. ბერეკაშვილი
3. **„ქალთა უფლებების დაცვა“** 31
მერი უოლსტონქრაფტი
მთარგმნელი: თ. პატარიძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ბერეკაშვილი
4. **„გენდერის შექმნა“** 62
(გენდერის შექმნა, განსხვავების წარმოქმნა: უთანასწორობა, ძალაუფლება და ინსტიტუციონალური ცვლილება)
კანდის უესტი
მთარგმნელი: დ. მერკვილაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ბერეკაშვილი
5. **„შავკანიანი ქალები და ფემინისტური თეორიის ჩამოყალიბება“** 75
(ფემინისტური თეორია გარიყულობიდან ცენტრისაკენ)
ბელ ჰუქსი
მთარგმნელი: დ. ცაბუტაშვილი
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ბერეკაშვილი
6. **„წარმოშობა და სანყისი“** 84
(„თეთრკანიანობის“ სოციალური აგებულება. თეთრკანიანი ქალები, რასის მნიშვნელობა)
რუთ ფრანკენბერგი
მთარგმნელი: ეკა კახაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი
7. **„ნაყოფი: ბიჭი, გოგო“** 96
(სათუო ორსულობა: როგორ ცვლის ომნიოცენტუზი დედობის გამოცდილებას)
ბარბარა კატც როთმანი
მთარგმნელი: დ. მერკვილაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ბერეკაშვილი
8. **„გონება, რომელიც თითოეულ სხეულში იწვის“** 106
ქალები, გაუპატიურება და რასობრივი ძალადობა
ჟაკლინ დოუდ ჰოლი
მთარგმნელი: თ. პატარიძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ჯავახიშვილი

- 9. „ეროტიკის გამოყენება: ეროტიკა როგორც ქალაუფლება“** **122**
ოდრი ლორდი
 (ალეთეია პრინსი, სიუზენ სილვია-ვაინი (რედ.),
 ფემინიზმები და „ქალიზმები“)
მთარგმნელი: ე. კახაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ჯავახიშვილი
- 10. „ნაციონალიზმი და მამაკაცურობა“** **127**
 (საერთაშორისო პოლიტიკის ფემინისტური აზრი)
სინთია ენლოი
მთარგმნელი: ე. კახაძე
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ჯავახიშვილი
- 11. „გენდარის მაგისტრალური დისკურსი: კონცეპტუალური ჩარჩო, მეთოდოლოგია და სათანადო პრაქტიკა“** **145**
 (დასკვნითი მოხსენება მაგისტრალური დისკურსის სპეციალისტთა
 ჯგუფის საქმიანობის შესახებ, ევროსაბჭო, 1999)
მთარგმნელი: ლ. ხომერიკი
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ჯავახიშვილი
- 12. „პარლამენტი, ბიუჯეტი და გენდერი“** **151**
იოაკიმ ვერნერი, ვინი ბიანიამა
მთარგმნელი: ლ. ხომერიკი
სამეცნიერო რედაქტორი: ნ. ჯავახიშვილი
- 13. „ქალები, მამაკაცები და სამუშაო XXI საუკუნეში“** **179**
 (ქალები და მამაკაცები სამსახურში, მე-9 თავი, პირველი გამოცემა)
ირენ პადავიჩი, ბარბარა რესკინი
მთარგმნელი: დ. მერკვილაძე
სამეცნიერო რედაქტორი: თ. საბედაშვილი

ბენდარი

უილიამ როი*

ბავშვის დაბადებისთანავე ყველა თავიდანვე ერთსა და იმავე კითხვას სვამს: ვინ დაიბადა? აქ ძირითადად იგულისხმება - ბიჭი დაიბადა თუ გოგო? ცნობილი ტელესერიალის „სასნაფოს“ ერთ-ერთ ეპიზოდში ამ კითხვას ექიმი შემდეგ პასუხს სცემს: „არ ვიცი.“ ვიზუალური დათვალიერებით ბავშვის სქესის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სასქესო ორგანოების მიხედვით გაურკვეველი იყო ბავშვი მამრობით სქესს მიეკუთვნებოდა თუ მდედრობითს. გამოკვლევამ უჩვენა, რომ ბავშვი ქრომოსომული ანალიზის მიხედვით ბიჭი იყო და რომ ქირურგიული ჩარევა გარდაუვალი იქნებოდა მკაფიოდ გამოკვეთილი მამრობითი ან მდედრობითი სასქესო ორგანოების ჩემოსაყალიბებლად. სხვა შემთხვევაში ბავშვი მომავლში რეპროდუქციულ ფუნქციას დაკარგავდა. მამას ბიჭი უნდოდა მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საბოლოოდ ბიჭად ქცევის ოპერაცია გაცილებით რთული იქნებოდა, განსხვავებით იმ ოპერაციისაგან, რომელიც ქალის სასქესო ორგანოების შენარჩუნებასთან იყო დაკავშირებული. თუ ბავშვს გოგონად დატოვებდნენ, მას ქალური ჰორმონების მიღება მოუწევდა ორგანიზმში არსებული მამაკაცის ჰორმონების გასაწმენად. იმ ფაქტით, რომ „ნორმალური“ ბავშვის ყოლა შეუძლებელი იყო, უაღრესად დამწუხრებელმა მშობლებმა ბავშვის გაშვილება გადაწყვიტეს.

მართალია, ეს გამოგონილი ისტორიაა, მაგრამ ის, ამავე დროს, სავსებით რეალურია და საზოგადოებასა და სქესის ბუნებაზე საკმაოდ კრიტიკულ კითხვებს ბადებს. უპირველეს ყოვლისა, კითხვა - „ვინ დაიბადა?“- რატომ უნდა გულისხმებოდეს სქესს და არა იდენტურობის რაიმე სხვა მახასიათებელს, რომელიც თითოეულ ადამიანს გააჩნია? ნუთუ ადამიანის სქესი იმდენად მყარად არის ამოტვიფრული მის პიროვნებაში, რომ შეძლება მისი გაიგივება ადამიანად ყოფნის არსთან?

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი: რატომ ხდება, რომ, როდესაც ადამიანზე ამბობენ ნორმალურიაო, ის ან ერთ სქესს უნდა განეკუთვნებოდეს ან მეორეს? ცნება „ნორმალური“ აქ უბრალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე მეტია, ეს ერთგვარი შეუვალი მორალური იმპერატივია, რომელსაც ადამიანი მთელი თავისი არსებით უნდა დაემორჩილოს. რეალურ ცხოვრებაში მრავალი მშობელი სიყვარულით მიიღებდა ასეთ ბავშვს, თუმცა ტელესერიალის ეპიზოდი ცდილობს მისაღები გახადოს მშობლების ამგვარი გადაწყვეტილება მაყურებლებისთვის იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს უკანასკნელნი მსგავს შეხედულებას არ იზიარებენ. ანგლო-ვეროპულ საზოგადოებებში გაურკვეველი სასქესო ორგანოების მქონე ბავშვები უმეტეს შემთხვევებში ქირურგიული ჩარევით საბოლოოდ ქალად ან მამაკაცად ყალიბდებიან. თუმცა, როგორც ამ წიგნშიც ვნახავთ, არსებობენ ისეთი საზოგადოებები, რომლებმაც დამატებით სქესთა კატეგორიების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინეს. მესამე სქესის წარმომადგენელთა უმეტესობა სოციალურად აღიარებულია, თუმცა ზოგიერთი ქირურგიული ჩარევით სახეცვლილი ქალთა და მამაკაცთა კატეგორიები, მაგალითად, საჭურისები, XVIII საუკუნემდე ევროპაშიც იყო ცნობილი.

და ბოლოს, რატომ ახდენენ ისეთი წმინდა ფიზიკური ფაქტები, როგორც არის სასქესო ორგანოები და ჰორმონები, გადაჭარბებულ ზემოქმედებას ყველა სოციალურ გამოვლინებაზე მამაკაცსა და ქალს შორის სოციალური განსხვავებების გაზვიადებული ხაზგასმით? რატომ ხდება, რომ ადამიანების სხეულის ნიშნების სამუდამო აღიბეჭდება მათ სახელებში, ტანსაცმელში, სათამაშოებში, მეგობრების არჩევაში და, სავსებით მოსალოდნელია, მათ სამსახურებშიც.

რატომ დაებადათ იმ ბავშვის მშობლებს ისეთი წარმოდგენა, თითქოს სასქესო ორგანოების ქირურგიული შეცვლის გარეშე იგი ვერ შეძლებდა ეცხოვრა, როგორც სოციალურ ქალს ან მამაკაცს?

* უილიამ გ. როი, საზოგადოებათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება, Pine Forge Press, 2001 (გვ. 110-124)

არის თუ არა ანატომია ბედისწერა?

დღეს, როცა ყველა აღიარებს, რომ რასებს შორის ფიზიკური განსხვავებები მხოლოდ ზედაპირულია და ისეთი მახასიათებლები, როგორცაა კანის ფერი და თვალის ქრილი არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის ქცევაზე და არც იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან მას, მიიჩნევენ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ფიზიკური განსხვავებები ერთმნიშვნელოვნად განაპირობებენ მათ ქმედებებს. როდესაც ჯუდით ლორბერის მსგავსი მწერალი ამტკიცებს, რომ გენდერი ადამიანის გამოგონილია ისევე, როგორც ენა, ნათესაობა, რელიგია და ტექნოლოგია და ისევე, როგორც ეს უკანასკნელნი, გენდერი არსებული კულტურის მიერ მოდელირებული გზებით აწესრიგებს ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ზოგიერთ მკითხველს ალბათ გაუწევს გული უხეშობის სხვადასხვა დონით უპასუხოს, რომ სასქესო ორგანოები და ჰორმონები ადამიანის გამოგონილი სულაც არ არის. იბადება კითხვა, რა ზომამდე აიხსნება ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სოციალური განსხვავებები ფიზიკური განსხვავებებით ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა დონეზე ხდება ანატომიის ბედისწერად გადაქცევა? რთულია აღიქვა გენდერი, როგორც ისტორიული წარმონაქმნი. ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიური სხვაობა ხომ ასეთი აშკარაა. თუმცა ამ თავში ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ გენდერი, მართლაც, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფენომენია.

აღსანიშნავია, რომ ანგლო-ევროპულ საზოგადოებასთან ერთად, თითქმის ყველა სხვა საზოგადოება ახდენს ქალსა და მამაკაცს შორის სოციალურ დიფერენციაციას. თუ რაიმე ფენომენი გარკვეულ საზოგადოებებში არსებობს, სხვებში კი არა, ეს მის სოციალურ წარმოშობას ადასტურებს. მაშ რატომაც არ უნდა ჩავთვალოთ გენდერის არსებობა ბუნებრივ მოვლენად? ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი საზოგადოება, რომელშიც უგულვებელყოფილია რასობრივი განსხვავებები, ან თუნდაც უკლასო საზოგადოება, რომლის დემონსტრირებასაც არაერთხელ ახდენენ უტოპისტი ავტორები., მაგრამ უმრავლესობას გაუჭირდება სქესთა შორის განსხვავებების არმქონე საზოგადოების წარმოდგენა. ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება ხომ ასეთი ბუნებრივია!

ცოტა თუ უარყოფს სქესთა შორის არსებული განსხვავებების ბუნებრიობას. ეს ხომ ბიოლოგიურ ფაქტად აღიქმება მაშინ, როდესაც რასა – არა. მაგრამ ეს თავი შეეცდება დამტკიცოს, თუ სოციალურად რამდენად უმნიშვნელოა ამგვარი ბიოლოგიური განსხვავებები და რომ უმეტეს შემთხვევაში სქესთა შორის სოციალური დიფერენციაცია ისტორიულად არის ჩამოყალიბებული. ბიოლოგიური სხვაობა სოციალური განსხვავებების ახსნას ძნელად პოულობს. ასე მაგალითად, ბიოლოგიურად ქალი შობს ბავშვს, თუმცა ეს იმას არ გულისხმობს, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ აუცილებლად ქალმა უნდა იტვირთოს მასზე ზრუნვის მეტი წილი. ზოგ საზოგადოებებში ბავშვების მოვლა უმეტესად მამის მოვალეობებში შედის, არსებობს ისეთებიც, რომლებიც არც ერთი მშობელი არ კისრულობს ამ ფუნქციას. ასე რომ, ბავშვის მოვლის ვალდებულება არა ბიოლოგიურად, არამედ სოციალურად არის განსაზღვრული. ამერიკაშიც კი XIX საუკუნის დასაწყისამდე ბავშვის მოვლის სახელმძღვანელოები ძირითადად მამებისთვის იყო განკუთვნილი.

თუ ბიოლოგია ვერ ხსნის სხვა და სხვა საზოგადოება ბავშვზე ზრუნვის ფუნქციის სხვადასხვაგვარ გადანაწილებას, როგორ შეძლებს ის ნებისმიერ კონკრეტულ საზოგადოებაში ქალსა და კაცს შორის არსებული სოციალური განსხვავებების ახსნას? ანგლო-ევროპულ საზოგადოებებში ქალისა და მამაკაცის ქცევებში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება. მამაკაცი, ჩვეულებრივ, გაცილებით აგრესიულია, იკავებს ლიდერულ პოზიციებს, მეტი ფიზიკური შრომა უწევს, უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახური აქვს და ქალთან შედარებით ნაკლებ დროს უთმობს საოჯახო საქმეებსა თუ ბავშვზე ზრუნვას. ეს თავი მიმოიხილავს იმას, თუ რამდენად აიხსნება ეს სოციალური განსხვავებები ბიოლოგიური თუ ბუნებრივი მოსაზრებების ნაცვლად ისტორიული და სოციალური მიზეზებით.

გენდერი და სქესი

პირველ რიგში საჭიროა ტერმინოლოგიაში გავერკვეთ. სოციოლოგების უმრავლესობა სქესსა და გენდერს განასხვავებს. სქესი გულისხმობს მამრსა და მდედრს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებს, რაც რეპროდუქციის ვიწრო საკითხის გარდა, სოციალური ცხოვრების მეტი წილი ასპექტისათვის შეუსაბამო ცნებაა. სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით სქესის მიხედვით ადამიანთა ბიოლოგიური გარჩევა ძნელია. მამალი ფარშევანგის ამოცნობა შეუცდომლად შეიძლება ბუმბულის მდიდრული შეფერილობით ისევე, როგორც მამალი ლომისა – გამოკვეთილი მეფური ფაფრით. ადამიანებში კი, რომლებიც წესისამებრ იფარავენ სასქესო ორგანოებს, ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისაგან განსხვავება ძირითადად ისეთი აშკარად სოციალური გამოგონებებით არის შესაძლებელი, როგორცაა ჩაცმულობა და თმის ვარცხნილობა (ლომბერი 1994). მრავალი ადამიანი ყველა იმ უსიამოვნო გამოცდილებაზე, რომლის დროსაც ახალგაზრდობილი ადამიანის გერეგნობა გაურკვეველს ხდიდა მის სქესს. მრავალს შეცდომაც კი მოსვლია ადამიანის სქესის ამოცნობისას. სოციალურ ურთიერთქმედებაში გენდერი ისეთი სახის სოციალურ ურთიერთობებს ასახავს, რომლებიც ძირითადად მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ განსხვავებებს განეკუთვნებიან. ასე რომ, გენდერი სოციალური და არა ბიოლოგიური კატეგორიაა. მაგალითად, თუ ექიმების უმეტესობა მამაკაცია, მედდებისა კი - ქალი, სავსებით ნათელია, რომ ეს მათ სასქესო ორგანოებს შორის არსებული განსხვავებით არ არის გამოწვეული. როგორ ავხსნათ ამ სამედიცინო პროფესიების ასეთი გენდერიზაცია? როდესაც სიტყვა „გენდერი“ გამოიყენება როგორც ზმნა, ის ასახავს პროცესს, რომლითაც გარკვეული როლები, საქმიანობის სახეები, მახასიათებლები, თვისებები, ემოციები ან ნივთები იძენენ ფემინურ ან მასკულინურ მნიშვნელობას. ანგლო-ევროპულ საზოგადოებაში ექიმის პროფესია, ლიდერობა, სპორტი, აგრესიულობა, მრისხანება და ძრავაგაძლიერებული მანქანები უფრო „მასკულინურად“ ითვლება, ხოლო მედდის პროფესია, ბავშვზე ზრუნვისა და აღზრდის ფუნქციები, თანამშრომლობა, სენტიმენტალობა და ყვავილები — „ფემინურად“.

გენდერზე, როგორც ისტორიულ წარმონაქმნზე, მსჯელობისას სქესისა და გენდერის ურთიერთობების ირგვლივ მრავალი კითხვა ტრიალებს: 1. როგორ ხდება მამაკაცსა და ქალს შორის კატეგორიული განსხვავებების კონცეპტუალიზაცია? რატომ, მაგალითად, რომ ზოგ საზოგადოებაში მხოლოდ ორი გენდერის კონცეპტუალიზაცია ხდება, სხვებში კი სამის ან მეტის? 2. როგორ წარმოიქმნა ანგლო-ევროპული გენდერის კატეგორიები? რატომ ხდება გარკვეული სახის სოციალური ურთიერთობების, მაგალითად, დომინანტობისა და დაქვემდებარების, განსაზღვრა გენდერულ ქრილში. რატომ აღიქმება თუნდაც ექიმის პროფესია მამაკაცურად, ხოლო მედდის — ქალურად? ის მახასიათებლები, რომლებიც ერთ საზოგადოებაში განსაზღვრულია, როგორც „მასკულინური“ ან „ფემინური“, სხვა საზოგადოებაში სრულიად საპირისპირო მნიშვნელობას იძენს. ანგლო-ევროპულ საზოგადოებებშიც კი რიგი თვისებებისა, რომლებიც ადრე აღიქმებოდა, როგორც მასკულინური, მოგვიანებით ფემინურად შეიცვალა და პირიქით, ისევე, როგორც რასის შემთხვევაში, კატეგორიების თავისებურებები ისტორიულად არის წარმოქმნილი.

კატეგორიების ლოგიკა

შესაძლოა, გენდერის დიქოტომიურობა ანგლო-ევროპული კატეგორიების ყველაზე აშკარა დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. მიიჩნევა, რომ ორი ერთმანეთის საპირისპირო – მამრობითი ან მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის არანაირი სხვა კატეგორიის წარმომადგენლები არ არსებობენ. ნებისმიერი, რომელიც ამ პირობებს არ ეთანხმება, დევიანტად არის შერაცხული. ეს, ეგრეთ წოდებული, დიმორფიზმის შეხედულებაა, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ორი სახის ადამიანის არსებობას – ქალისა და მამაკაცის. თუმცა მრავალი სხვა საზოგადოება ამ შეხედულებას არ იზიარებენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მრავალი

საზოგადოება ორზე მეტ სქესს აღიარებს (ჰერდტი 1993a). ამერიკელი ინდიელების მრავალი საზოგადოება ცნობდა ადამიანთა კონკრეტულ სტატუსს, სახელად ბერდაჩე (berdache)-ადამიანები, რომლებიც დაბადებულნი იყვნენ მამაკაცის სასქესო ორგანოთი, მაგრამ არ წარმოადგენდნენ არც მამრობით და არც მდედრობით სქესს და ორივესთვის დამახასიათებელ თვისებებს ითავსებდნენ. საზოგადოებაში ამ პირების მაღალი სტატუსის გამო მშობლები თავიანთ ვაჟებში ამგვარ ტენდენციებს ნაკლებად ეწინააღმდეგებოდნენ. ბერდაჩე ძირითადად დაკავებული იყო ბავშვების სწავლა-განათლებით, ავადმყოფების მოვლით, ტომის შეკრებებზე სიმღერითა და ცეკვით, ომის დროს სურსათით მომარაგებით და ამავე დროს გარკვეულ რიტუალურ ფუნქციებსაც ითავსებდა. ამასთანავე ისინი სხვა მამაკაცების სექსუალურ მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდნენ, თანაც ისე, რომ ქორწინების ინსტიტუტს საფრთხე არ შეექმნოდა. მრავალ კულტურაში დაშვებული იყო ბერდაჩეს ქორწინება მამაკაცზე, ზოგ მათგანში კი ეს ქმედება ქმრისთვის სასჯელს არ ითვალისწინებდა. ინდოეთის ჩრდილოეთში ჰიჯრები წარმოადგენენ სქესშეცვლილ მამაკაცებს, რომლებიც სოციალურად ქალებად არიან ქცეული. ზოგ მათგანს რიტუალური კასტრირებაც კი უტარდება. მათ, როგორც რიტუალის შემსრულებლებს ან ჰომოსექსუალ მეძავეებს, მოეთხოვებათ ქალის ტანსაცმლის ტარება, თუმცა ისინი ჩვეულებრივ ქალებს არ ბაძავენ და არც მათსავით მოძრაობენ. ჰიჯრა ქალის ერთგვარი გაზვიადებული კარიკატურაა. იგი ახდენს ქალის ქცევის პაროდირებას უხეში და ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი საუბრითა და ფესტიკულაციით, რაც ნორმალური ქალისათვის შემადრწუნებელი იქნებოდა. ჰიჯრები განკერძოებით, საერთო შინამეურნეობებში ცხოვრობენ და ერთმანეთთან ამყარებდნენ ურთიერთობას, როგორც წარმოსახვითი დედები, ქალიშვილები, დები, ბებიები ან დეიდები (ლორბერი 1994). ანგლო-ევროპული კულტურა ახლოს იცნობს საჭურისების ინსტიტუტს. საჭურისები, დაბადებით მამაკაცები, რომლებსაც სასქესო ორგანოები ქირურგიული ჩარევით მოკვეთილი ჰქონდათ, საკმაოდ ფართოდ იყვნენ ცნობილი ბიზანტიის იმპერიაში, სადაც მათ ანგარიშგასაწიფი სოციალური სტატუსი ჰქონდათ და ხშირ შემთხვევაში სასახლეში მაღალი დონის თანამდებობებზეც ინიშნებოდნენ (ჰერდტი 1993a). ევროპელი კასტრატები ნიჭიერი მომღერალი ბიჭები იყვნენ, რომლებიც სოპრანოს ხმაზე ზრდასრულ ასაკშიდაც მღეროდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანული ეკლესია უკრძალავდა ქალებს საზოგადოებაში სიმღერას. კასტრატები მეთვრამეტე საუკუნემდე მეტად პოპულარულები იყვნენ საოპერო სამყაროში.

კულტურათაშორისი განსხვავებები

სქესისა და გენდერის ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ანგლო-ევროპული საზოგადოება გენდერული უთანაბრობის ახსნას სწორედ სქესში პოულობს. მაშინ, როდესაც სოციოლოგები და ფემინისტები განასხვავებენ სქესს, როგორც ბიოლოგიურ კატეგორიას და გენდერს, როგორც სოციალურ კატეგორიას, ზოგადად განსხვავება უფრო ნორმატიულ მიზანს ემსახურება, ვიდრე აღწერითს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ადგენს არა იმას, თუ რა არის, არამედ იმას, თუ რა უნდა იყოს. ბევრს მიაჩნია, რომ ქალი მამაკაცზე გაცილებით მზრუნველი, მოკრძალებული, ბავშვების აღზრდითა და საოჯახო საქმეებით დაკავებული უნდა იყოს, რადგან სწორედ ასეთია ქალის „ბუნება“. ასევე ბევრს ჰგონია, რომ მამაკაცი და ქალი ბუნებრივად განსხვავდებიან ერთიმეორესგან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სხვადასხვა სასქესო ორგანოები აქვთ. თუმცა სხვა კულტურებში არაერთგვაროვანი წარმოდგენებია ამის თაობაზე. ოიეფუმი (1997) ამტკიცებს, რომ სქესისა და გენდერის გათანაბრება ანგლო-ევროპული კულტურის სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანია. სამხრეთ-დასავლეთ ნიგერიაში იორუბას საზოგადოების კვლევამ შემდეგი უჩვენა:

გენდერზე დასავლური წარმოდგენის საფუძველში არსებული ისეთი ფუნდამენტური კატეგორია, როგორიც არის „ქალი“, იორუბალანდში დასავლურ კულტურასთან უშუალო კონტაქტამდე უბრალოდ არ არსებობდა. აღმოჩნდა, რომ მანამდე აქ არ იცნობდნენ ისეთ

ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა საერთო ინტერესები, სურვილები ან ერთგვარი სოციალური პოზიციები. დასავლური კულტურის სოციალური კატეგორიების ლოგიკა დაფუძნებულია ბიოლოგიურ დეტერმინიზმზე, რაც, თავის მხრივ, სოციალური ყოფის ორგანიზების ლოგიკურ ბაზისად ბიოლოგიას მოიაზრებს. ასე რომ, ამ სახის კულტურის ლოგიკა ფაქტიურად „ბიოლოგიურია“ (ოივეუმი 1997:ix).

გამოდის, რომ ანგლო-ევროპულ კულტურაში, იორუბას საზოგადოებისაგან განსხვავებით, ადამიანის ადგილს სოციუმში სხეულზე გარკვეული ორგანოების ქონა-არქონა განსაზღვრავს. ევროპელებთან კონტაქტამდე, იორუბას საზოგადოებაში ადამიანის სოციალური როლი, მონაწილეობა საზოგადოებაში ან გარიყულობა, იდენტურობა და ასევე სოციალური აზრი მისი სხეულის ბიოლოგიურ მახასიათებლებზე არ იყო დამყარებული. ამ ხალხში სოციალური მდგომარეობის ძირითად დეტერმინანტსა და უმნიშვნელოვანეს კატეგორიას ასაკი წარმოადგენდა თითქმის ისე, როგორც ანგლო-ევროპულ საზოგადოებაში, რომელშიც ყველა სახის სოციალური ურთიერთობა განპირობებული იყო იმით, თუ ვის და ვის შორის მყარდებოდა ეს ურთიერთობა: მამაკაცსა და მამაკაცს, ქალსა და ქალს, თუ მამაკაცსა და ქალს შორის. იორუბას ხალხში ამგვარი სოციალური ურთიერთობები ძირითადად შესაბამისი ასაკის ადამიანების ირგვლივ განიცდიდა ცვლილებას.

კულტურათაშორისი განსხვავებები გენდერში

იმ საზოგადოებებშიც კი, რომლებშიც გენდერზე დიმორფული წარმოდგენებია გავრცელებული, ე.წ. მასკულიურად ან ფემინურად შერაცხული ქცევები განსხვავდება. კუნძულ ტაიტის მკვიდრი გენდერისადმი დიმორფული დამოკიდებულების შესაბამისად ორ სტატუსს – ქალსა და მამაკაცს ცნობენ, თუმცა ამ ორ კატეგორიას შორის მცირე სოციალური განსხვავებაა. ტაიტური ენის გრამატიკაში სქესი არ აისახება. ადამიანის მიმართ გამოყენებული ნაცვალსახელები მის სქესს არ აღნიშნავენ, ასე რომ, სავსებით შესაძლებელია მესამე პირზე მოსაუბრე ორი ადამიანის საუბრიდან არაინფორმირებულმა მსმენელმა მესამე პირის სქესი ვერ შეიტყოს. საკუთარი სახელების უმეტესობა ორივე სქესის ადამიანებს შეესაბამება. ჯონ ფოსტერი, ერთ-ერთი პირველი ევროპელი, რომელიც ტაიტურ კულტურაზე წერდა, 1778 წელს აღნიშნავდა, თუ რაოდენ მაღალი სტატუსის მატარებელი იყვნენ ტაიტელი ქალები. მათ ხელწიფებოდათ ყველაფერი, რისი გაკეთებაც მამაკაცს შეეძლო, სახელმწიფოს მართვისა და სპროტის ჩათვლით. ამერიკელი მწერალი ჰენრი ადამსი 1930 წელს შინ მიწერილ წერილში ტაიტელების შესახებ შემდეგ აღნიშნავდა: „როგორც ჩანს, პოლინეზიელი ქალები მეტად გვანან პოლინეზიელ მამაკაცებს; მათ შორის სხვაობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არაა, თუ ფიზიკურ განსხვავებებს არ ჩვთვლით“ (გილმორი 1990:202).

1960-იან წლებში სავსე მუშაობისას ერთ-ერთმა ანთროპოლოგმა შენიშნა, რომ მამაკაცები ქალებზე მეტად აგრესიულები სულაც არ იყვნენ და არც ქალები აღმოჩნდნენ მამაკაცებზე მეტად ალერსიანები და დედობრივად მზრუნველნი. მამაკაცები საჭმლის მომზადებაში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ქალები მეტწილად მამაკაცების მიერ სახლის გარეთ შესასრულებელ სამუშაოს კისრულობდნენ. არსებული კულტურა საკუთარი მამაკაცურობის დამტკიცების აუცილებლობას არ გამოკვეთდა, შესაბამისად კაცებს არც აწუხებდათ „ქალაჩუნის“ სტატუსის საფრთხე. ცენტრალურ მალაიზიაში სემაის ტომის ხალხი ასევე უგულებელყოფს საყოველთაოდ მიღებულ მამაკაცის აგრესიულ, ხოლო ქალის პასიურ იმიჯს. ამ კულტურის წარმომადგენელი ქალებიცა და მამაკაცებიც იმდენად გულჩათხრობილნი და მორჩილები არიან, რომ ფართო სამეცნიერო-ლიტერატურული დებატები გაიმართა იმის თაობაზე, საერთოდ აქვთ თუ არა ამ ადამიანებს რაიმე სახის აგრესიული იმპულსები. სხვების თავდასხმისთვის წინააღმდეგობის გაწევას ისინი პუნანს (punan) უწოდებენ, რაც ითარგმნება, როგორც ტაბუ ანუ აკრძალვა. ეს ტერმინი იმ ნებისმიერი ქმედების აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ რა სიმძაფრით ხდება, მეორე ადამიანის ფრუსტრირებას იწვევს. ერთი პირის მიერ მეორისთვის

სექსუალური ურთიერთობების დამყარების თხოვნის შემთხვევაში სავსებით მოსალოდნელია, დაქორწინებულიც რომ იყოს, ეს უკანასკნელი დათანხმდება. აქ არანაირ ეჭვიანობას ადგილი არ აქვს, ასე რომ, ღალატის ამგვარი ფორმა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. „ეს ხომ მხოლოდ ვალია“, - განმარტავენ სემაის ტომის მკვიდრნი (გილმორი 1990:211). შედეგად კი გარეშე პირებს არაერთხელ უსარგებლიათ ამგვარი სექსუალური შესაძლებლობებით. შემრიგებლური (conciliatory) ქცევის წესები ამ საზოგადოებაში სხვებისადმი გარკვეული მოთხოვნების წაყენებასაც ითვალისწინებს. გართულებულ ვითარებაში, განსაკუთრებით თუ კონფლიქტის წარმოშობის რისკი მაღალია, ისინი უკან დახევას ამჯობინებენ, ასე რომ ამ ტომში არ გვხვდება ისეთი სპორტული შეჯიბრებები, რომელთა დროსაც ერთ-ერთი ნააგებს და თავს ცუდად იგრძნობს. ტაიტლებისგან განსხვავებით მალაიზიელი სემაების ენა განასხვავებს მდებარეობისა და მამრობით სქესს, ხოლო გენდერი არსებითად აისახება ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში. თუმცა სოციალური ურთიერთქმედებისას გენდერი უმნიშვნელო გავლენას ახდენს და მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მახასიათებლებს ენიჭება ფემინური თუ მასკულინური მნიშვნელობა.

სხელთა ისტორია

თუ ანგლო-ევროპულ საზოგადოებისეულ ბიოლოგიურ (სქესი) და სოციალურ (გენდერი) განსხვავებებს შორის კონცეპტუალიზაცია არაბუნებრივია, ისტორიულად როგორ ჩამოყალიბდა ამგვარი კონცეფციები? საიდან წარმოიშვა ბიოლოგიური ბედისწერის, ანუ მასკულინობისა და ფემინურობის ცნებები? სქესისა და გენდერის ისტორიული მიმოხილვა დაგვეხმარება ბიოლოგიისა და კულტურის იმ ჩაკირული ჯაჭვის გახსნაში, რომელმაც ქალს დამცირება, კაცს კი ემოციური გაღარიბება მოუტანა.

პრეისტორიული საზოგადოებები

ადრეული ჰომინიდების ხანაში გენდერული დიფერენციაციის კვალი არ შეინიშნება, ამიტომ, სავარაუდოა, რომ ამგვარი დაყოფა იარაღების განვითარებასა და მუდმივი საცხოვრებლის გაჩენასთან ერთად დამკვიდრდა. განასხვავებდნენ, ერთი მხრივ, მათ, ვინც უშუალოდ მცირეწლოვნებზე ზრუნვით იყო დაკავებული და, მეორე მხრივ, მათ, ვინც უბრალოდ მარჩენალის ფუნქციებს ითავსებდა, უხეშად რომ ვთქვათ, მამაკაცსა და ქალს. თუმცა ამგვარი დიფერენციაცია რაიმე ბიოლოგიური აუცილებლობით ან ინსტიქტით არ იყო განპირობებული. ეს უბრალოდ ხელსაყრელი გამოსავალი იყო იმდენად, რამდენადაც, ვიღაცას ბავშვებზე ზრუნვა საკუთარ თავზე უნდა აეღო. სავარაუდოა, რომ ქალები შემგროვებლობასა და ნადირობას ეწეოდნენ, ზოგი მამაკაცი კი ბავშვებზე ზრუნვით იყო დაკავებული. „სქესის მიხედვით შრომის დანაწილება საკვების დიდი რაოდენობით მოპოვებისა და ბავშვების მოვლის მწვავე საჭიროებით იყო განპირობებული. ეს ტექნოლოგიური პრობლემის კულტურული გადაწყვეტა იყო, რამაც შედეგად სახეცვლილი სოციალური წესრიგი ჩამოაყალიბა“ (ლორბერი 1994:129). როცა მოგვიანებით ეს განსხვავებები რიტუალურად დაკანონდა, ქალსა და მამაკაცს დაეკისრათ იმის კეთება, რასაც მათგან მოელოდნენ. სურვილისამებრ ან საჭიროებისამებრ დასაქმების სანაცვლოდ, ადამიანებს სამსახურს ავალებდნენ გარკვეული მუდმივი სტატუსის გათვალისწინებით, რაშიც გენდერიც მოიაზრებოდა. ასე მოხდა ადამიანთა დიმორფული კატეგორიების – ქალისა და მამაკაცის ჩამოყალიბება.

როდესაც ადამიანმა პალეოლითის ხანაში ქვის იარაღების გამოყენება, ხოლო ნეოლითში – მეცხოველეობა დაიწყო, ბავშვის გაჩენის სოციალური მნიშვნელობის ზრდამ ქალს მაღალი სტატუსი მიანიჭა. მიწის ფემინური მნიშვნელობა – დედა მიწა – განასახიერებდა ნაყოფიერებისა და დედობის სიმბოლოს. საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად რესურსების

განანილება გენდერულ პრინციპზე დაყრდნობით დაიწყო. წარმოების საშუალებები, რომლებითაც კვების, თავშესაფრისა და ჩაცმის პირველადი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა და ნათესაობის წესები, რომლებიც განსაზღვრავდნენ რესურსების გადანანილებას, ქალისა და მამაკაცის სტატუსის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ. ქალებისა და მამაკაცების გვამებთან ერთად ჩამარხული საგნებისა და სიკვდილის მომენტში მათი ასაკის აღნიშვნისას ლორბერი (1994) მიუთითებს, რომ ქალები უკეთ იკვებებოდნენ, ვიდრე მამაკაცები.

მინათმოქმედი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ ქალთა ეკონომიკური როლი შეიზღუდა. რესურსებზე კონტროლი მეტწილად მინაზე კონტროლს გულისხმობდა, რაშიც მამაკაცმა თავისი ფიზიკური ძალის წყალობით უპირატესობა მოიპოვა. ამავე დროს ქალის ცხოვრება ძირითადად მის შობადობის უნარზე კონცენტრირდა, რამაც შედეგად დაამყარა პატრიარქატი – მამაკაცის მიერ დომინირებული საზოგადოება. კეთილდღეობა ოჯახებს შორის გადანანილდა. ასე რომ, ადამიანის კეთილდღეობა უკვე მისი ოჯახის კეთილდღეობაზე გახდა დამოკიდებული. ოჯახის გარეთ თავინთი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა ადამიანებს ნაკლებად გააჩნდათ. „ეს აგრარული ფეოდალური საზოგადოებები პატრიარქატის ჭეშმარიტ გამოვლინებებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც მმართველობის სადავეები მინათმფლობელი მამებიდან მემკვიდრეობით მათ ვაჟებზე გადადიოდა“ (ლორბერი 1994:143). თუმცა აქ არ იგულისხმება, რომ მას შემდეგ ყველა საზოგადოება პატრიარქალურ წყობაში დარჩა. საზოგადოებები არა მარტო მამაკაცისა და ქალის შედარებითი ძალით, არამედ სქესთა კატეგორიითა და სქესსა და გენდერს შორის ურთიერთობის მიხედვით განსხვავდებიან.

ადამიანის სხეულის ერთსქესიანი და ორსქესიანი მოდელი

თანამედროვე ეპოქამდე ანგლო-ევროპულ საზოგადოებაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო ერთსქესიანი მოდელი. ორ განსხვავებულ და საპირისპირო სქესად დაყოფის ნაცვლად, ადამიანები სრულყოფილების მიხედვით ერთადერთ იერარქიაში იყვნენ კლასიფიცირებული, რაც ძველი ბერძნული კულტურის გადმონაშთს წარმოადგენდა. ღმერთი სრულყოფილებას განსახიერებდა, უფრო დაბალ საფეხურზე იდგა მამაკაცი შექმნილი „სახედ და ხატად მისად“, დანარჩენ ქვედა კატეგორიებში შედიოდნენ ქალები, საჭურისები, ჯუჯები და ა.შ. (ლაქერი 1990). ამ უმდაბლესი საფეხურის წარმომადგენლები უფრო ბიოლოგიურად მამაკაცის მსგავს, თუმცა არასრულყოფილ არსებებად მოიაზრებოდნენ, ვიდრე მის საპირისპირო კატეგორიებად. გამოჩენილი ბერძენი ექიმის, გალენის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნე), მიმდევრები თვლიდნენ, რომ მამაკაცსა და ქალს ერთნაირი სასქესო ორგანოები ჰქონდათ ოლონდ კაცს - ორგანიზმის გარეთ, ხოლო ქალს – შიგნით და რომ ქალის გენიტალია მამაკაცის გენიტალიის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენდა. XIX საუკუნემდე ქალის სხეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს – საკვერცხეს საკუთარი სახელწოდებაც კი არ გააჩნდა და მოიხსენიებოდა იმავე ტერმინით, რაც მამაკაცის სათესლე ჯირკვლები – *orchis*. 1800 წლისათვის ანგლო-ევროპულმა საზოგადოებამ სქესთაშორისი განსხვავებების მისეული წარმოდგენების გადაიაზრა და მამაკაცი და ქალი აღიქვა არა როგორც უმაღლესი და უმდაბლესი, არამედ როგორც ერთმანეთის სანინაალმდეგო ორ პოლუსი. ერთის ნაცვლად აიქვეს ორი სქესი. ლაქერი (1990) აღწერს: „განსხვავდება არა მხოლოდ სქესთა კონცეპტუალიზაცია, არამედ სხეულისა და სულის ყველა შესაძლო მორალური და ფიზიკური ასპექტი.“ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ წარმოიშვა დიმორფული კონცეპტუალიზმი, რაც უკვე ორი სახის სხეულის არსებობას გულისხმობდა. ერთსქესიანი მოდელი ორსქესიანით შეიცვალა. მანამდე ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სოციალური განსხვავებები აღიქმებოდა უფრო სოციოლოგიურ, ვიდრე ბიოლოგიურ ჭრილში. როდესაც ქალის, როგორც მამაკაცისაგან გამსხვავებული და საპირისპირო არსების, კონცეფცია ჩამოყალიბდა, ინტენსიურად დაიწყო მამაკაცსა და ქალს შორის სოციალური სხვაობების ბიოლოგიური მიზეზებით ახსნა. ერთი რასის მეორეზე დომინირების ანალოგიურად, ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის გამომწვევად მამაკაცის ძალაუფლების ნაცვლად ბიოლოგია მოიაზრებოდა. ლაქერის აზრით, ეს

ახალი კონცეფცია არ გამომდინარეობდა იმ ბიოლოგიური აღმოჩენიდან, რომ ქალის სასქესო ორგანოები მამაკაცის გენიტალიის შებრუნებულ ფორმას არ წარმოადგენდა; ამგვარმა აღმოჩენებმა მხოლოდ მას შემდეგ მოიკიდეს ფეხი, რაც ადამიანის სხეულის ორსქესიანმა მოდელმა ფართო გავრცელება პოვა. იგი ასკვნის, რომ ისტორიულად გენდერი განსაზღვრავს სქესს. იორუბაში ოვეუმის მიერ ჩატარებული კვლევის მსგავსად (1997), ლაქუერიის ნაშრომიც უჩვენებს, რომ არა თავდაპირველი ბიოლოგიური განსხვავებები წარმოშობენ სოციალურ განსხვავებებს, არამედ თავად ამ ბიოლოგიური სხვაობების საზოგადოებრივი კონცეფციები სოციალურად არის ჩამოყალიბებული. ამ ავტორთაგან არც ერთი არ უარყოფს, რომ არსებობს ორი ბიოლოგიური ტიპი, ადამიანების ორი სახის განსხვავებული გენიტალიებით. ზოგიერთი მკვლევარი კი ორი სქესობრივი კატეგორიის სხეულის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს (ჰერდტი 1993a). ამერიკაში ასეულობით ჰერმაფროდიტია დაბადებული ორივე სქესის საკვერცხეების ქსოვილით, რომლებიც გენეტიკურად სრულყოფილად არც მამრობითს და არც მდედრობით სქესს არ განკუთვნიებიან. გაცილებით მეტია ე.წ. ფსევდოჰერმაფროდიტები, რომელთა სქესი საკმაოდ ბუნდოვანია, მაგალითად, მათ ერთდროულად აქვთ პენისიცა და ვაგინაც. მათი უმეტესობა ქირურგიული ჩარევის შედეგად მამაკაცის ან ქალის სრულყოფილ სახეს იღებს. მრავალი ბავშვი იბადება რომელიმე სქესის გამოკვეთილი ნიშნებით, თუმცა მოზრდილ ასაკში საპირისპირო სქესის თვისებებს ავლენს, მაგალითად, პენისით დაბადებულ ადამიანებს თინეიჯერულ ასაკში მკერდი ეზრდებათ. ზოგი ამ პრობლემას გენდერის შეცვლით აგვარებს, სხვები კი თავდაპირველი სქესის შესანარჩუნებლად ქირურგიას მიმართავენ. ტრანსგენდერები იმ ადამიანებს წარმოადგენენ, რომლებიც იღებენ გადანყვებილებას შეიცვალონ სქესი და გენდერი. ზოგი აცხადებს, რომ თავს ყოველთვის მამაკაცად გრძნობდა ქალის სხეულში ან პირიქით, სხვები კი არჩევანს საკუთარი თავის შეცვლაზე აჩერებენ (პოლანი 1997). საზოგადოებაში ჰერმაფროდიტებისა და ტრანსგენდერების არსებობა ისეთ საკითხებს წარმოშობს, როგორცაა სხვადასხვა საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები სქესისა და გენდერის ურთიერთმიმართების შესახებ – როგორ ხდება განსხვავებული სხეულის მქონე ადამიანების სქესობრივი დიფერენციაცია და ამის შემდეგ კი როგორ ითვისებენ ქალად და მამაკაცად განსაზღვრული ადამიანები მდედრობითსა თუ მამრობით იდენტურობას.

ცვალებადი გენდერი ანგლო-ევროპულ საზოგადოებაში

თანამედროვე ანგლო-ევროპულ კულტურაში გენდერის დეფინიციები არ არის ბუნებრივი. ისინი ისტორიულადაა წარმოქმნილი. როგორ მოხდა ეს? რატომ ვახდენთ გარკვეული მახასიათებლების, ქცევების, დამოკიდებულებების, ემოციებისა თუ როლების ასოცირებას მდედრობით ან მამრობით სქესთან? რა ინვესტ გენდერული მნიშვნელობების დროში ცვლას? ისტორიული მიმოხილვა სერიოზულად უპირისპირდება იმ გაგებას, თითქოს ბუნების კარნახით იქცევა მამაკაცი მასკულიურად ქალი კი ფემინურად.

ანგლო-ევროპული ქალი ფემინურობამდე

უმრავლესობა ფიქრობს, რომ დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრება ნაკლებად გენდერიზებული გადხა, მამაკაცი და ქალი ერთმანეთს დაემსგავსა და გათანაბრდა. თუმცა ევროპის განვითარების ხანგრძლივ ინტერვალს თუ დავაკვირდებით, ამ წარმოდგენის სიმცდარეში დავრწმუნდებით. თანამედროვე დრომდე ქალისა და მამაკაცის გაიგივება-გათანაბრების მეტი გზა არსებობდა, გენდერული განსხვავებებიც დღევანდელზე გაცილებით მცირე იყო. ქალის თანამედროვე ფემინურობის აღქმა, რაც მის სისუსტეს, სინაზეს, ემოციურობასა და მამაკაცის მხრიდან დაცვის აუცილებლობას გულისხმობს, საერთოდ არ იყო გავრცელებული. ქალი მინის ხვნით, შემის ჩეხვითა და წყლის ზიდვით იყო დაკავებული. შუა საუკუნეების ევროპაში, როცა

ქალისა და მამაკაცის გათანაბრება ძნელი წარმოსადგენი იყო, განსაკუთრებულ შემთხვევებში ქალს ქონების ფლობის, მონარქიის მართვისა და, უფრო მეტიც, უანა დ'არკივით სამხედრო ლიდერობის სოციალური როლების შეთავსების უფლებასაც რთავდნენ. მართლაც, ისტორიამ შემოინახა ისეთი ქალი-მმართველების სახელები, როგორებიც იყვნენ ელიზაბედ პირველი ინგლისში, ეკატერინე მედიჩი საფრანგეთში და ეკატერინე დიდი რუსეთში. შუა საუკუნეებში არსებული კანონები ქონების ოჯახში დატოვების მიზანს ემსახურებოდა, ამიტომაც იყო, რომ ქვრივებსა და ქალიშვილებს მემკვიდრეობის უფლება ჩენიჭებოდათ. ასე რომ, კლასი გენდერზე გაცილებით დიდი უპირატესობით სარგებლობდა: გაცილებით საგულისხმო იყო „შესაფერისი“ სქესის წარმომადგენელის ნაცვლად „შესაფერისი“ კლასის წარმომადგენელს დაეჭირა მნიშვნელოვანი პოზიცია საზოგადოებაში. ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისისათვის, რამაც აგრარული საზოგადოებიდან ინდუსტრიულის განვითარება განაპირობა, ქალები მუშების საერთო რაოდენობის არა მარტო მრავალრიცხოვან, არამედ ზოგ დარგში დომინანტურ ნაწილსაც კი წარმოარგენდნენ. ცხრილში 5.1 ნაჩვენებია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში კონექტიკუტის სამხედრო ქარხანაში უმეტესად ქალები მუშაობდნენ. ასე რომ, იაფი, საიმედო, სქესის კრიტერიუმზე ნაკლებ დამოკიდებული მუშახელის ყოლის სურვილმა სრულიად გააცამტვერა წარმოდგენები ქალზე, როგორც სუსტ არსებაზე, რომლისთვისაც ამგვარი სამუშაო თითქოსდა საშიში იყო.

ყველაფრის მიუხედავად დომინანტურმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა სულ უფრო მეტად ჩააყენა ქალი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, ხოლო მამაკაცს მეტი ძალაუფლება მიანიჭა. მეთორმეტე საუკუნის მიწურულს კათოლიკურ ეკლესიასა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებზე კონტროლი მამაკაცებმა მოიპოვეს, რომლებსაც დაუქორწინებლობის აღთქმა ჰქონდათ დადებული. ადრექრისტიანულ პერიოდში დაუქორწინებლობის აღთქმის მიმდევარი ქალები მამაკაცების დონემდე იყვნენ აყვანილი და ბერების მსგავსი უფლებებით სარგებლობდნენ. ზოგიერთი მონაზონი მეტად განათლებული იყო და ლიდერულ პოზიციებსაც იკავებდა. იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი პირები სამყაროსგან და სოციალური სტრუქტურისგან განკრძობულად და სიცოცხლეშივე მკვდრად მიიჩნეოდნენ, მათი არსებობა იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. მოგვიანებით ამ კატეგორიის მამაკაცებმა თავიანთი გავლენის გავრცელება მონასტრის კედლებს გარეთაც მოახერხეს და მთელ სასულიერო სამყაროში (ეკლესიაში) ძალაუფლების მოპოვება დაიწყეს. ასეთ ვითარებაში აშკარად გამოიკვეთა ქალის ლიდერულ პოზიციებზე გამოჩენის საფრთხე. ძველბერძნულ დოქტრინაზე დაყრდნობით, რომელიც ქალს ბიოლოგიური განვითარებით გაცილებით დაბლა მდგარ არსებად მოიაზრებდა, ქალებსა და დაქორწინებულ მამაკაცებს აეკრძალათ სასულიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში მონაწილეობა. თუმცა დაუოჯახებელი მამაკაცების რაოდენობის ზრდასთან ერთად იმ გაუთხოვარი ქალების რიცხვიც იზრდებოდა, რომლებიც საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავებას ცდილობდნენ. მაშინ მამაკაცების მიერ კონტროლირებულმა ეკლესიამ ქალი მამაკაცის ღირსებისათვის უპირველეს მტრად გამოაცხადა. დაქორწინებულ მამაკაცებს გაუთხოვარი ქალების ავხორცი ცდუნების საშიშროების შესახებ აფრთხილებდნენ. მარშთალის სააბატოს მეთაური კონრად მარშთადელი შემდეგს წერდა:

კანონიკი ბერების მთელი ჩვენი საზოგადოება, იცნობს რა ამ მუხთალ ნუთისოფელს, აღიარებს, რომ არაფერია ქალზე საშიში, რომ ასპიტისა და ურჩხულის შხამი უფრო განკურნებადი და უსფრთხოა მამაკაცისთვის, ვიდრე ქალთან სიახლოვე. შესაბამისად, ჩვენი სხეულების, კეთილი ზრახვებისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სულების გადასარჩენად გამოვეცით განკარგულება, რომ არავითარ შემთხვევაში მეტ მონაზონ დას არ მივიღებთ ჩვენდა დასალუჰად და მოვერიდებით მათ, როგორც შხამიან ცხოველებს (მაკნამარა 1994:18).

ამგვარი მოძრაობა უკიდურესს ზომებსაც კი მიმართავდა, რათა გამოეთიშა ქალი სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტიდან და ყველა რელიგიური როლიდან მხოლოდ უმდაბლესი კატეგორიების გამოკლებით.

დაუქორწინებლობის აღთქმა დაეკისრა თეთრ სამღვდლოებასაც, ხოლო ბერებს სასულიერო ნოდებები მიენიჭათ. მნიშვნელოვან საკითხად იქცა დაუქორწინებლობის აღთქმის მღვდლებისათვის დაკისრება ისე, რომ მათი მამაკაცობა არ ხელეყოთ. მიუხედავად იმისა, რომ მღვდლებს ეკრძალე-

ბოდათ ქორწინება, მათ არ მოეთხოვებოდათ სექსუალური თავშეკავება და შეეძლოთ ხარჭებთან ცხოვრება და მონაზვნებთან ურთიერთობაც. „რეალურად, სამღვდლო პირს თავისი მამაკაცური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ცოდვის გზით შეეძლო“ (მაკნამარა 1994:8). ამ წინააღმდეგობის გადასაღებად ეკლესიის მეთაურებმა ისევ ქალები დაადანაშაულეს, თავიანთ ქადაგებებში, სასულიერო წერილებსა და საზოგადოებრივ განცხადებებში გააკიცხეს, როგორც სახიფათო, აგრესიული, მომწამვლელი და გამრყენელი არსებები. სასულიერო პირები ერისკაცებს ქალებზე სქესობრივი დომინანტურობის დამტკიცებას ურჩევდნენ. თუ მანამდე ქორწინება კერძო შეთანხმებას წარმოადგენდა, ამჯერად იგი ინსტიტუციურად ეკლესიის კონტროლქვეშ მოექცა. ამ უკანასკნელმა კი საქორწინო (ცოლქმრული) მოვალეობის შესრულება ქორწინების ფორმალურად აღიარების საზომად აქცია, რაც სიმბოლურად სქესობრივი დაქვემდებარების გზით ქალზე მამაკაცის მესაკუთრულ უფლებებს განასახიერებდა. თუ მამაკაცი არ გამოამჟღავნებდა ქორწინებისას თავის სქესობრივ უპირატესობას, იგი ქალაჩუნად და უპასუხისმგებლოდ ითვლებოდა. ამავე დროს, დაუქორწინებელი მამაკაცის უბინოება სულ უფრო მეტად აღიქმებოდა, როგორც ღირსება. მარტოხელა გმირებს ლიტერატურაშიც ასხამდნენ ხოტბას, მაგალითისათვის გალაჰადი და პერსივალცი კმარა. ფაქტობრივად, ლიტერატურული გმირების უმეტესობა აივენჰოიდან ლოუნ რეინჯერამდე მარტოხელა მამაკაცის პორტრეტს განასახიერებდა. მხოლოდ მეოცე საუკუნის მინურულს დაიწყო გმირების სექსუალურად აქტიურ ადამიანებად გამოსატყვანა.

საზოგადოებრივი და კერძო სფეროები

თანამედროვე ანგლო-ევროპული ფემინიზმისა და მასკულიზმის ცნებები საზოგადოებრივი და პირადული ცხოვრების დაშორებულსთან ერთად წარმოიქმნა. თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება ორ-კერძო და საზოგადო ინსტიტუციონალურ სფეროში განვითარდა, რომელშიც განსხვავებული სახის სიციალური ურთიერთობები და აზროვნების ფორმები ჩამოყალიბდა. პირად სფეროში სოციალური ურთიერთობები გაცილებით სრულყოფილი და ემოციურად დახუნძლულია. აქ ადამიანები თავიანთი ჭეშმარიტი „მეს“ ბუნებას ავლენენ – გამოხატავენ, თუ ვის წარმოადგენენ სინამდვილეში და არა იმას, თუ ვის როლს თამაშობენ. პირადი ცხოვრება ინტიმური და სუბიექტურია. ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს და სხვებისგანაც იმავს მოელიან. ეს არის მეგობრებისა და ოჯახის სამყარო, სადაც ადამიანები საზოგადოებრივი ცხოვრებისგან განსხვავებით ნიღბების გარეშე ტკბებიან „ბუნებრივად“ ყოფნის თავისუფლებით. პირადი ცხოვრება ოჯახის, თბილი კერის, მეგობრობისა და „ჭეშმარიტი მეს“ სამყაროა.

საზოგადოებრივი ცხოვრება კი, პირიქით, ეკონომიკის, პოლიტიკისა და მსგავსი არაოჯახური ინსტიტუტების სამყაროა. იგი უფრო ჩარჩოებშია მოქცეული, ვინაიდან აქ ადამიანები თავიანთი ბუნების მხოლოდ გარკვეულ მხარეს ამჟღავნებდნენ. მაღაზიაში სალაროსთან დგომისას, სკოლაში სწავლისას, წვეულებაზე ერთმანეთის გაცნობისას ადამიანები იქცევიან სწორედ ისე, როგორც უშუალოდ ამ ტიპის ადამიანებისათვის არის მიღებული, ახლო მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისგან განსხვავებით.

საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო რაციონალური, მიუკერძოებელი, ობიექტური და ნაკლებ ემოციურია. ჰამბურგერის ყიდვისას ჩვენ მისი ფასი გვანტერესებს და არა ის, თუ რას ფიქრობს გამყიდველი ხორცის ჭამაზე ან მოსწონხარ თუ არა. საკუთარი „ჭეშმარიტი მეს“ ნაცვლად ადამიანები გარკვეულ როლებს ითავსებენ, როგორცაა მოქალაქე, დამსაქმებელი, მომხმარებელი ან სტუდენტი. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უმჯობესია კერძო და საზოგადოებრივი სფეროების განცალკევება. პირად ცხოვრებაში მიუღებელია ისეთი განზომილებებით მსჯელობა, როგორცაა მიზნის მიღწევა, შეჯიბრი და რაციონალური ანგარიში. მაგრამ საზოგადოებრივ სფეროში ნაკლებად მოსალოდნელია ადამიანების მხრიდან ემოციური, მხიარული ან ნეგატიური რეაქცია, თუ განსაკუთრებულ შემთხვევებს არ ჩავთვლით.

კერძო და საზოგადოებრივი სფეროების ამგვარი დიფერენციაცია ანგლო-ევროპული კულ-

ტურაში გენდერული ურთიერთობების ერთ-ერთ ქავაკუთხედს წარმოადგენს. ქალი და ფემინურობა ასოცირდება-პირად, ხოლო კაცი და მასკულინობა- საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამგვარ გაგებას გაცვეთილი გამონათქვამი ლაკონურად განმარტავს: "ქალის ადგილი სახლშია." იყო ქალური, ნიშნავს იყო ემოციური, გამგები, მგრძნობიარე და ბუნებრივი – თვისებები, რომლებიც კერძო ცხოვრების სფეროს ახასიათებს. ეს აზრია გამოხატული XVIII საუკუნის ინგლისელი პოეტის ჰანა მურის სტროფებში:

„იმ ფხიზელ შვებას, რომელითაც მთელი სამყარო
ყვავის სიმცირით და ერთია ყველა პატარა;
შენს გოგონაზე, ცოლზე, ძმაზე მცირედი ზრუნვით,
შენს წმინდა სახლში ხალისიან წუთებს ატარებ.“

აქ გრძნობებია სათავეში, სხვა ყველა - მონად
სახლი - სამართლის სანუკვარი, უდავო ზონა.“
ჰანა მური (1745-1833)

სხვა ძველი გამონათქვამი მამაკაცის მდგომარეობასაც აღწერს: „ეს მამაკაცის სამყაროა.“ მასკულინობა გულისხმობს ობიექტურობას, რაციონალურობას, ნაკლებ ემოციურობას და სპეციფიკური როლების თამაშს პირადულის ჩარევის გარეშე, ანუ ყველა იმ თვისებას, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ასოცირდებიან. თუმცა ასეთი დიფერენციაცია ყოველთვის როდი არსებობდა. თანამედროვე პერიოდამდე ადამიანთა ცხოვრებას ისეთი თვისებები ახასიათებდა, რომელბიც ამჟამად საზოგადოებრივ სფეროს განეკუთვნებიან. როგორი იქნებოდა ევროპელებისთვის ცხოვრება პირად ცხოვრებაზე უმნიშვნელო მინიშნების გარეშე და იმის მტკიცებით, რომ არსებობს მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრება. შექსპირის გამონათქვამი „მთელი სამყარო სცენაა“ საკმაოდ ბუკვალურად გაიგეს. ადამინები ნაკლებად განასხვავებდნენ საკუთარ "ჭეშმარიტ მეს" თვიანთი საზოგადოებრივი როლებისგან და მთელ ცხოვრება სცენაზე თამაშად წარმოედგინათ. დღეს დრამატული როლები ადამიანის პიროვნებისაგან განცალკევებით აღიქმება. ამა თუ იმ როლის „თამაში“ ჭეშმარიტებასთან შეუსაბამოა. თუმცა ძველად ადამიანის ცხოვრება გაცილებით უფრო საზოგადოებრივი იყო (სენეთი 1974). პოჟი საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტეს შემდეგნაირად ახასიათებდა:

საფრანგეთის მეფე, უდავოდ, საზოგადო პიროვნება იყო. დედამ იგი ფართო საზოგადოების თვალწინ გააჩინა და იმ წუთიდან მოყოლებული მისი ცხოვრება, ყველაზე ბანალური მომენტების ჩათვლით, მაღალი წრის საზოგადოების თვალწინ მიედინებოდა. მეფე საზოგადოებაში მიერთმევედა საჭმელს, იძინებდა, იღვიძებდა, მას ხალხის თანდასწრებით აცმევდნენ, აწესრიგებდნენ, უფრო მეტიც, იგი საზოგადოებაში ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდა. საჯაროდ ტანის დაბანა მეფეს დიდად არც სჩვევია, თუმცა არც ყველასაგან განკერძოებულს იტაცებდა ეს საქმიანობა. მე ვერ დავამოწმებ იმგვარ ფაქტს, როცა მეფეს ოდესმე საჯაროდ თავისი სექსუალური მოთხოვნილებები დაექმყოფილებინოს, თუმცა იყო შემთხვევა, როცა მეფისა და მისი უავგუსტესი საცოლის სიახლოვე ამ უკანასკნელის დეფლორაციას მოსალოდნელს ხდიდა. როცა ლუი მეთოთხმეტე გარდაიცვალა (რა თმა უნდა საზოგადოების თვალწინ), მისი სხეული უწესროგოდ და სწრაფად სახალხოდ აიკუნა და ცალკეული ნაწილები ცერემონიალურად გადაეცა იმ ეგზალტირებულ პირებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეფეს ახლდნენ.

ყველაზე ახლო ურთიერთობების დროსაც ადამიანები საკუთარი ჭეშმარიტი ბუნების გაუმჟღავნებლად გამოხატავენ გრძნობებს. სასიყვარულო ლექსების კითხვისას ადამიანებს აზრადაც არ მოსდით საკუთარი ჭეშმარიტი გრძნობების გამჟღავნება, რადგან არშიყობა უბრალოდ ერთ-ერთი როლი იყო, რომელიც მათ უნდა ეთამაშათ. არშიყობისას წარმატებები მხოლოდ როლის ეფექტურად თამაშის მომასწავებელი იყო და არა საკუთარი წრფელი გრძნობების გაზიარება. ამგვარი ურთიერთობების პროტოტიპია აღწერილი პიესაში „სირანო დე ბერჟერაკი“. ამ ნაწარმოებში ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც მიზანმიმართული, კარგი გარეგნობის მქონე მამაკაცია, მჭერმეტყველების ნაკლებობას განიცდის. მშვენიერი ქალბატონის გულის მოსაგებად იგი მეორე პერსონაჟს, რომელსაც გრძელი ცხვირი, მაგრამ საუბრის დახვეწილი მანერა აქვს,

დახმარებისათვის მიმართავს, რათა მან საჭირო ენაწყლიანობით უზრუნველყოს. საბოლოოდ პიესა თანამედროვე განვითარებას პოვებს, როცა ქალს მახინჯი, თუმცა ხატოვნად მოსაუბრე პერსონაჟი შეუყვარდება. აქ ხაზგასმულია, რომ ნაწარმოები არ გამოხსნის ლამაზი მამაკაცის ფანდებს, როცა ეს უკანასკნელი თავისი სახელით სირანოს ალაპარაკებს, რადგან იმ პერიოდში ადამიანები ამაში არ ხედავდნენ საკუთარი ავთენტური პიროვნების დამახინჯების რაიმე ნიშნებს.

ასე რომ, საუკუნეების განმავლობაში ადამიანების წარმოდგენაში ჩამოყალიბდა ცხოვრების ორი განსხვავებული სფერო – საზოგადო და კერძო. ამის ერთ-ერთი გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზი კაპიტალიზმის აღმოცენება გახდა, რამაც ის ხალხი, რომელიც სახლში, საკუთარ ჭფერ-მაში თუ დახლში ეწეოდა შორმას, ინტენსიურად გაიყვანა სახლის გარეთ სხვის ფერმასა თუ ქარხანაში სამუშაოდ. როგორც მესამე თავშია განხილული, კაპიტალიზმმა ცხოვრების სივრცითი რეორგანიზება მოახდინა სამუშაოსა და ოჯახის ფიზიკური განცალკევებით, ხოლო საერთო სახნავ-სათესი მიწების შემოფარგვლით აიძულა ადამიანებს საკუთარი მიწები დაეტოვებინათ და ანაზღაურებად სამუშაოზე გადასულიყვნენ. სახლს გარეთ შრომის დანაწილების გენდერიზაცია კაპიტალიზმის ნაკარნახევი არ იყო. თავად კაპიტალიზმის განვითარების თავისებურება ხსნის საზოგადო და კერძო სფეროების გაყოფას. ამ ორი სფეროს გაგება ერთგვარი შემეცნებითი დოქტრინა გახდა, რომელიც არა მარტო აღწერდა გენდერის მნიშვნელობებს, არამედ აწესებდა კიდევ მათ. 1859 წელს მღვდელი ფილემონ ფოკლერი ნიუ იორკში თავის მრევლს უქადაგებდა, რომ მამაკაცი ვალდებულია „გავიდეს ხალხში, ჩაებას საქმიანობაში და განიოს შრომა საკუთარი ოჯახის უზრუნველსაყოფად“, მაშინ ,როცა „ქალი შინ რჩება და სირთულეების დროს გონივრული რჩევითა და დარიგებით ეხმარება მეუღლეს. თავისი არსებობით, სიყვარულითა და ღიმილით უქმნის მას ისეთ სამოთხეს, რომელსაც მისი ქმარი ყოველთვის შეაფარებს თავს, როგორც ეგოისტური სამყაროს ქარტეხილებისა და ბრძოლებისაგან განსარიდებელ ალაგს. თითოეული სქესის წარმომადგენელს განსაზღვრული ვარლდებულებები აკისრიათ ქმარი ხალხში უნდა გავიდეს, ცოლი შინამეურნეობის საქმეებს გაუძღვეს“ (რაინი 1981 : 189-90).

ის ფაქტიც, რომ ამ სასულიერო პირს ამგვარი ქადაგების ნაკითხვა უწევს, მიგვითითებს, რომ მისი მრევლი სულაც არ მიიჩნევდა ამას თავისთავად დამტკიცებულ მოვლენად, პირიქით, საჭირო გახდა მრევლის ამ მოსაზრებებში დარწმუნება. ამ ადამიანებს არ უხდებოდათ ორი სფეროს — საზოგადოებრივისა და კერძოს განცალკევება. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბევრი ქალი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, აგრძელებდა მუშაობას. ქარხნების თვდაპირველად ჩამოყალიბებისას მუშათა უმეტესობას ქალები წარმოადგენდნენ. და თუმცა ბიოლოგია განაპირობებს ქალის შობადობის ფუნქციას, ბავშვების აღზრდის ქალისათვის დაკისრება სულაც არ წარმოადგენს საჭიროებას.

მას შემდეგ, რაც ადამიანებმა სახლის ნაცვლად სხვების ფერმებსა და ქარხნებს მიაშურა სამუშაოდ, სახლმა პირადი სფეროს ახლებური მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ აქ უნდა გარიდებოდა ქალი „მამაკაცის სამყაროს“ მკაცრ და უხემ რეალობას. მიუხედავად იმისა, რომ სახლში შინამეურნეობის გაძღოლის უხემ რეალობას არ ითვალისწინებდნენ ისევე, როგორც იმ ქალების მდგომარეობას, რომლებიც სახლს გარეთ შრომობდნენ, სახლი და ოჯახი მაინც ქალის სივრცედ აღიქმებოდა. მასთან ერთად კი ფემინურობის გაგებაც შეიცვალა. მაშინ, როცა მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობა ბიოლოგიური პარამეტრებით განისაზღვრა, ქალთა სოციალური როლები ისეთ ბიოლოგიურ ფუნქციამდე შეიზღუდა, როგორიც არის დედობა და ცოლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული პეიროდიდან მშობლის ფუნქციის შესრულება ძირითადად მამის ვალდებულებაში შედიოდა, სწორედ ქალს მიენერა დედობრივი ინსტინქტი. ფემინურობაზე ამგვარი ახალი წარმოდგენის სხვა ასპექტებიც ბიოლოგიური მოსაზრებებით აიხსნა : იმისდა მიუხედავად, რომ ქალს უხდებოდა ხვნა, შემის ჩეხვა და ტვირთის ზიდვა, ფემინურობის მთავარ მახასიათებლად ფიზიკური სისუსტე და პასიური მდგომარეობისადმი ტენდენცია იქცა.

ხმის მიცემის განსაკუთრებული მნიშვნელობა

უილიამ გ. როი*

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში არჩევნებში ქალთა მიერ ხმის მიცემის საკითხი მთელ რიგ სხვა პრობლემებს უკავშირდებოდა - ქალთა, როგორც მხოლოდ ბიოლოგიურ არსებათა შესახებ თეორიას, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ერთ-მანეთისაგან გამიჯვნის საფუძველზე გენდერული შეხედულებების ჩამოყალიბებას და ქალთა მიერ საზოგადოებაში სრული უფლებებით სარგებლობას. დღეს რთული წარმოსადგენია თუ როგორი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდათ ქალებს ხმის მიცემისას. ხმის მიცემის უფლება ის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომლითაც დღეს ნებისმიერი მოქალაქე სარგებლობს. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებს ამ უფლებით სარგებლობის გარანტია, მე-19 შესწორების რატიფიცირებამდე, ანუ 1920 წლამდე არ ჰქონიათ. ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნით ადრე ყველა რასის წარმომადგენელს ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლება მიენიჭა (თუმცა, რეალურად ეს უფლება ხშირად ირღვეოდა). სამწუხაროდ, ქალებს ხმის მიცემის უფლების მოპოვებისას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდათ არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მამაკაცებს უბრალოდ მათთან ძალაუფლების გადანაწილება არ სურდათ. თეორიულად, ამერიკელთა უმრავლესობა ცალსახად მხარს დაუჭერდა ხმის მიცემის საყოველთაო უფლების აბსტრაქტულ პრინციპს, რომლის თანახმად ხმის მიცემის უფლება ყველას აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხმის მიცემის საყოველთაო უფლების იდეა იმ საზოგადოებრივი ცნობიერების ფარგლებში განიხილებოდა, რომელიც საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ერთმანეთისაგან რადიკალურ გამიჯვნას ახდენდა. საარჩევნო პოლიტიკა სწორედ საზოგადოებრივი სფეროს ნაწილად მოიაზრებოდა, რომელიც, თავის მხრივ, „მამაკაცთა სამყაროდ“ აღიქმებოდა. ქალებისათვის კი ადგილი, მათი „ბუნებიდან“ გამომდინარე ცხოვრების არასაზოგადოებრივ, პირად სფეროში, მაგალითად, ოჯახში იყო გამოყოფილი, მაგრამ არავითარ

შემთხვევაში მთავრობასა თუ ბიზნესში. „მსოფლიო მოქალაქის“ თავდაპირველი იდეა, რომელიც დემოკრატიას უდევს საფუძვლად, მხოლოდ მამაკაცებს გულისხმობდა. მოქალაქეობა საზოგადოებრივი სფეროს ნაწილი გახდა და ყოველგვარ პირადულს დაუპირისპირდა, მათ შორის ოჯახსაც ანუ ადგილს, სადაც ქალები იყვნენ თავმოყრილნი. მამაკაცებთან დაკავშირებული საკითხები არანაირ კამათს არ იწვევდა და ზოგადად არც კი განიხილებოდა (ეს ის გენდერია, რომელიც თავისთავად იგულისხმება). იმთავითვე ცხადი იყო, რომ პოლიტიკასა და ეკონომიკაში მამაკაცები აქტიურად ჩართულნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ქალებს სახლის საქმეები ევალებოდათ. შესაბამისად, მოქალაქის უფლებებში ძირითადად მამაკაცთა (უმთავრესად თეთრკანიან მამაკაცთა) უფლებები იგულისხმებოდა - ხმის მიცემის, კერძო საკუთრების და

საჯაროდ გამოსვლის უფლება (Pateman 1989). მოქალაქეობისათვის საჭირო მახასიათებლები - დამოუკიდებლობა, რაციონალურობა და სიმამაცე ცალსახად მასკულინურ თვისებებად აღიქმებოდა და ქალთა შეზღუდულ თავისუფლებასა და სქესობრივ სუბორდინაციას უპირისპირდებოდა. როგორც მომხრეებისათვის, ისე მოწინააღმდეგეებისათვის ნათელი იყო, რომ ხმის მიცემის უფლება ქალს ოჯახისაგან გათავისუფლებისა და საზოგადოებრივ სფეროში შეღწევის საშუალებას აძლევდა, სადაც მას ხმის მიცემა შეეძლო არა როგორც ვილაციის ცოლს ან დედას, არამედ როგორც დამოუკიდებელ ინდივიდს. ოპონენტები ამას ყოველივეს უარყოფითად აფასებდნენ და თვლიდნენ, რომ ამ შემთხვევაში ქალი ოჯახის ინტერესებზე მაღლა პირად ინტერესს აყენებდა. თუკი მამაკაცს მთელი ოჯახის სახელით ხმის მიცემის საშუალება აღარ ექნებოდა და ქალი გადანყვეტილებას საკუთარი შეხედულებების მიხედვით მიიღებდა, ეს ოჯახის სიძლიერეს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. რადგან ოჯახური ღირებულებების შესახებ

* უილიამ გ. როი, საზოგადოებათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება, Pine Forge Press, 2001 (გვ. 125-145)

თანამედროვე დისკუსიის შესაბამისად ოჯახი იმ საყრდენად ითვლებოდა, რომელზედაც საზოგადოება იყო დაშენებული. შესაბამისად, ქალებისათვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება საფრთხეს საზოგადოებრივ ერთიანობას უქმნიდა. მინისტრი ლაიმან აბოტი, რომელიც ამავე დროს რედაქტორიც იყო წერდა, რომ „ვინაიდან მათი (ქალთა) ფუნქციები აბსოლუტურად განსხვავებულია, თანასწორობასა ან არათანასწორობაზე მსჯელობა და კამათი იმთავითვე ფუჭი და უშინაარსოა“ (Filene 1998:38). ედუარდ კოუპმა, პენსილვანიის უნივერსიტეტში ზოოლოგიის პროფესორმა, 500-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორმა, გაცილებით მწვავე განცხადება გააკეთა:

ქალში რაციონალური უნარების სისუსტე გონებრივი საქმიანობის შეზღუდულობას უკავშირდება. ქალში ემოციური ბუნება უფრო ძლიერია, ამიტომ თანაბარ პირობებში ყოფნისას მასში გონებრივი ელემენტის გამოვლენა უფრო რთულად ხდება, ვიდრე მამაკაცში. შესაბამისად, ქალები სტრესის ქვეშ უფრო იოლად ექცევიან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ისტერიის სახეს იღებს. (Cope 1888/1985:211)

ალსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისს ბევრი ქალიც იზიარებდა. 1870 წელს სიუზან ფ. კუპერი „Harper’s Magazine“ –ში წერდა:

მამაკაცთა და ქალთა უფლება-მოვალეობანი ცალსახად განსაზღვრული უნდა იყოს იმისდა მიხედვით, თუ თითოეულ მათგანს საზოგადოებაში რა პოზიცია უკავია. ერთის მიერ მეორის მოვალეობათა მითვისება როგორც საკუთარი ვალდებულებებისაგან თავის არიდებას, ისე სხვისი უფლებების მითვისებას გულისხმობს. მამაკაცის ღირსება მამაკაცურობაში, ხოლო ქალისა კი ქალურობაში... ქალისაგან, უპირველეს ყოვლისა, ველით პატიოსნებას, თავმდაბლობას, მოთმინებას, მოხდენილობას, თავაზიანობას, სინაზეს, დახვეწილობას, და ეს ყოველივე მისი ნაზი ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც მუდამ გაფრთხილებასა და დაცვასა საჭიროებს (გვ. 439)

რაც არ უნდა სასაცილოდ გვეჩვენებოდეს, დედის დღე, რომელიც დღეს ცალსახად არა-პოლიტიკური დღესასწაულია, ამ კამათის ერთ-ერთ საგნად იქცა. 1914 წელს, როდესაც ოჯახის დაკნინების, განქორწინების მასშტაბების ზრდისა და გენეტიკური ფონდის დასუსტების საკითხი მწვავედ დადგა, კონგრესმა სპეციალური რეზოლუციის მიღებით ოჯახში ქალის გამორჩეულად ღირსეული ადგილი დააფიქსირა:

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკელი დედის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განეული ნებისმიერი სამსახური ქვეყნის გაძლიერებას უწყობს ხელს და მისი შთაგონების უძლიერესი წყაროა; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ჩვენი ქმედებით, რომელიც ოჯახის ანუ ქვეყნის მთავარი ბირთვის გაძლიერებისაკენ იქნება მიმართული, ჩვენ ღირსებას შევმატებთ როგორც საკუთარ თავს, ისე ამერიკელ დედებს; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკის დედათა მიერ ოჯახის, მორალური სიმტკიცის, რელიგიის საკეთილდღეოდ განეული სამსახური, ამავე დროს მთავრობისათვის და ზოგადად კაცობრიობისათვის დიდი საკეთის მომტანია. (Filene1998:43)

დედის დღედ მისის თვეში რიგით მეორე კვირა დღე გამოცხადდა. იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე, ეს ფაქტი სუფრაჟისტული მოძრაობის დაპირისპირებად იქნა გაგებული. კონგრესის წევრები —რომელთა შორის მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, აცხადებდნენ, რომ ქალები როგორც დედები „ქვეყნის ძლიერებას“ უზრუნველყოფდნენ, რომ მათ „როგორც ქვეყნის მთავრობას, ისე კაცობრიობას ზოგადად“ ბევრი სასიკეთო მოუტანეს. ამ განცხადებით ისინი ქალთა მოქალაქეებად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით თავიანთ უარყოფით და-მოკიდებულებას გამოხატავდნენ, რაც მათი არგუმენტებიდანაც ნათლად ჩანდა.

როდესაც დადგა არჩევანი გენდერის კონცეფციისადმი ერთგულებასა და ხმის უფლების მოპოვების ტექნიკურ საშუალებებს შორის, აღიარებდნენ რა პოლიტიკური ძალაუფლების შემზ-

ლუდავ ბუნებას, ქალებმა აირჩიეს უფრო პრაქტიკული, ვიდრე წარმოსახვითი. ქალებმა საარჩევნო ხმისათვის ბრძოლას სახე შეუცვალეს და აქცენტი გადაიტანეს იმაზე, რომ ქალთა მიერ არჩევნებში მონაწილეობას უფრო მეტი ჰუმანური და სიტუაციის განმუმხტველი შედეგების მოტანა შეეძლო. ისინი სახელმწიფოს მოწყობის ახლებური გეგმით გამოვიდნენ და განცალკევებული სფეროების დოქტრინის უარყოფის ნაცვლად მის უფრო მყარად დაფუძნებას შეეცადნენ. 1910 წლის შემდეგ ქალთა მოძრაობა მოდურიც კი გახდა, რადგან დამოუკიდებლობისა და თანასწორობის იდეას განცალკევებული სფეროების იდეა ჩაენაცვლა - ხმის მიცემის პროცესში ქალთა ჩართვა პოლიტიკაში თანაგრძნობის ელემენტს შემოიტანდა და მთელ პროცესს უფრო მეტად ზნეობრივს გახდიდა. ყოველივე ამას, სუფრაჟისტი იდა ჰ. ჰარპერი შემდეგნაირად ხსნიდა: „ისინი (ქალი ამომრჩევლები) მფლანგველობას ეკონომიურობას დაუპირისპირებენ, ხოლო რადიკალიზმს კონსერვატიზმით გააწონასწორებენ; ფიზიკურ სიმამაცეს მორალურ გამბედაობას შემატებენ, ხოლო მამაკაცურ გონებას ქალური მგრძნობელობით გაამდიდრებენ“ (Filene 1998:39). საბოლოო ჯამში, ქალებმა გამარჯვება სწორედ ქალური ღირსებების გამოყენებით მოიპოვეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალებისათვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებამ არც რევოლუცია მოახდინა, როგორც ამას პირველი სუფრაჟისტი ქალები წინასწარმეტყველებდნენ და არც კატასროფით დასრულდა, როგორც ეს მოძრაობის მოწინააღმდეგეებს ეგონათ. ქალებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, თუმცა რეალური წინსვლა არა ერთჯერადად დადგენილმა კანონმა, არამედ ათეული წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარე სოციალურმა აქტივობამ მოიტანა. 1960-იან წლებში მიმდინარე სამოქალაქო უფლებების მოძრაობის მსგავსად, ხმის მიცემის უფლების მოპოვების შედეგად თანასწორობა ერთბაშად არ დამყარებულა, როგორც ამას ქალები იმედოვნებდნენ. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მოძრაობის შემთხვევაში მთავარი საზოგადოებრივი ინსტიტუტის, პოლიტიკის რადიკალური შეცვლა მოხდა. ადრე ქალებს - მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი „შემთხვევით“ ქალებად დაიბადნენ - მოქალაქეობის ფუნდამენტური უფლებები ჩამორთმეული ჰქონდათ. ახლა კი ისინი მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ. დღეს ნებისმიერი მთავრობა, რომელიც აცხადებს პრეტენზიას დემოკრატიულობაზე, მზად არის ეს პრინციპი აღიაროს და გაითავისოს. თუმცა იგივე საზოგადოებრივი ინსტიტუტი გამუდმებით ცდილობს, რომ წინასწარ განსაზღვრული გენდერული დეფინიციები შექმას და დაამკვიდროს, მაშინაც კი, როდესაც ეს დეფინიციები სერიოზულ კამათს იწვევს. მართალია, ქალებმა ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს, მაგრამ მხოლოდ მთავრობის მიერ დადგენილ ჩარჩოებში.

მასკულინობა

წინამდებარე ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან ქალის როლის გაგების საშუალებას იძლევა, მაგრამ მასკულინობა, ამ შემთხვევაშიც თავისათავად ცხად მოცემულობადაა გაგებული¹. თუკი მასკულინობის ისტორიული საფუძვლების იგნორირებას მოვახდენთ, იგი ბუნებრივ მოცემულობად გადაიქცევა, როგორც ეს თეთრკანიანობის ან დროისა და სივრცის შემთხვევაში ხდება. თუკი მასკულინობას, ისევე როგორც ფემინურობას პრეტენზია აქვს ანალიტიკურ თანასწორობაზე, როგორც ერთის, ისე მეორის პრობლემატიზება უნდა მოხდეს. უნდა გვესმოდეს, რომ ქალის, ისევე როგორც მამაკაცის ადგილი საზოგადოებაში სოციალურად კონსტრუირებულია. შესაბამისად, აუცილებელია მამაკაცის როლის სოციალური ასპექტებზე ყურადღების გამახვილება. სხვა შემთხვევაში, მამაკაცობა ჩვენთვის მხოლოდ ბუნებრივ მოცემულობად დარჩება. თუკი დროთა განმავლობაში მამაკაცებთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევა არ ხდება,

¹ უკანასკნელ პერიოდში მასკულინობის შესახებ დაწერილ ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ მასკულინობა ერთი, ცალკე განყენებული თვისება არ არის, არამედ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ადამიანები მასკულინობაში სხვადასხვა შინაარსს დებენ

(Connell 1995). გამარტივების მიზნით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ე.წ. ჰეგემონურ მასკულინობაზე იქნება საუბარი, რაც გულისხმობს იმას, რაშიც ადამიანთა უმრავლესობა მამაკაცად ყოფნას მოიაზრებს. გეიმასკულინობა ან ჰიპერმასკულინობა ჩვენი განხილვის ფარგლებს სცდება.

მამაკაცებს ავინყდებათ, რომ ქალების მსგავსად გენდერი მათაც აქვთ. ფემინურობის მსგავსად მასკულინობაც ბუნებრივ მოცემულობად დამკვიდრდა, თუმცა იმ დიდი განსხვავებით, რომ მამაკაცები ყველაზე გავლენიან ინსტიტუტებს მათსავე სასარგებლოდ იყენებდნენ.

ძველი საბერძნეთის დროიდან მოყოლებული, ანგლოევროპელი მამაკაცი უფრო მეტი სოციალური პრივილეგიებით სარგებლობდა, ვიდრე ქალი. თუმცა მასკულინობისა და მამაკაცურობის სხვადასხვაგვარი, მათ შორის, ერთმანეთის საპირისპირო გაგებაც არსებობდა. იყო დრო, როდესაც მასკულინობა ფიზიკურ ძლიერებასთან ასოცირდებოდა ან თავშეკავებულობასა და თავზიანობასთან იყო გაიგივებული. მამაკაცურობა ჰომოსოციალურ დაჯგუფებებს (რომელთა წევრები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ) და საძმობს ან კი მჭიდრო ოჯახურ ურთიერთობებს უკავშირდებოდა. "ნამდვილ მამაკაცად" ითვლებოდა ის, ვისაც ავტორიტეტისადმი მორჩილების ნებისმიერი ფორმა აღიზიანებდა და ისიც, ვინც ცხოვრებაში საკუთარ ადგილით კმაყოფილი იყო. აზრთა ეს მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მასკულინობის სოციალურ ხასიათს (ბუნებრივი მოცემულობის საპირისპიროდ).

მასკულინობის გაგება ადრეულ ევროპაში

დღეს ქალის სოციალური თუ იურიდიული სტატუსი, ისევე როგორც მისი იდენტობა ქორწინების ინსტიტუტის გარშემო ყალიბდება. ამის მსგავსად, მამაკაცის როლიც საზოგადოებაში სწორედ ქორწინებასთან მიმართებაში განისაზღვრა. მე-12 საუკუნემდე, დაოჯახება ორ ადამიანს შორის მოლაპარაკების საფუძველზე ხდებოდა. ქორწინება ადამიანის ცხოვრებაში გარდამავალი ეტაპი იყო. მამაკაცი თავისი იდენტობის განსაზღვრას ქორწინების საშუალებით არ ახდენდა. ამ დროს გვარები არ არსებობდა. გვარების ნაცვლად, მამაკაცები საქმიანობის ტიპის (ჯონი დურგალი) ან ფიზიკური მახასიათებლების (ჰაროლდ ძლიერი), ან კი სახცოვრებელი ადგილის (უილიამ გლენი), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი ხასიათის მიხედვით იწოდებოდნენ (რობერტ ცბიერი). ქორწინების შედეგად ქმარი, ცოლი და შვილები ერთი გვარის მატარებლები არ ხდებოდნენ. ინგლისსა და ევროპაში გვარების აქტიური გამოყენება მე-11-მე-15 საუკუნეებში დაიწყო. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ქორწინებაზე კონტროლი დაანესა ეკლესიამ და კანონმა, იმ დროისათვის ორმა მმართველმა ინსტიტუტმა. ყველაფერი კი დაიწყო იქიდან, რომ ძალაუფლების მქონე არისტოკრატთა იხეთი ეფექტური მექანიზმის შემუშავება გადანყვიტა, რომლის საშუალებითაც იგი ნებისმიერი ადამიანის მფლობელობაში მქონე საკუთრების მასშტაბების დადგენას შესძლებდა. მოგვინებით ეს პრაქტიკა მთელ საზოგადოებაში გავრცელდა. გვარების შემოღება უკვე იმას ნიშნავდა, რომ როგორც ქმარი ისე მამა ოჯახის იდენტობის განმსაზღვრელი ხდებოდა. მხოლოდ მათთან ურთიერთობის საფუძველზე ოჯახის სხვა წევრები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ. ქმრისა და ცოლის ურთიერთობა ორმხრივი იყო - ქმარი ცოლზე (და მის მზითვზე) იყო პასუხისმგებელი, ხოლო ცოლი უფრო და უფრო ქმრის ხდებოდა დამოკიდებული ავტორიტეტზე. სწრაფი ტემპით მკვიდრდებოდა შეხედულება, რომ მამაკაცები ძლიერები, პასუხისმგებლობისა და ავტორიტეტის მქონენი იყვნენ; ქალებს კი პირიქით- სუსტ, პასიურ და სხვებზე დამოკიდებულ არსებებად აღიქვამდნენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქორწინების დარღვევა იოლად არც მამაკაცებს შეეძლოთ, მაშინ როდესაც შუა საუკუნეების გვიან პერიოდამდე მამაკაცები ოჯახის მიტოვებისა და მონასტერში წასვლის დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ და ამას ცოლებთან ყველანაირი შეთანხმების გარეშე აკეთებდნენ. რაც უფრო მეტად აიძულებდა ეკლესია და კანონი მამაკაცს თავისი ცოლის ერთგული დარჩენილიყო, მით უფრო იზრდებოდა გენდერული იდენტობის მასშტაბი, ანუ ადამიანებს შორის ურთიერთობა მათი გენდერის გათვალისწინებით ხდებოდა. ქორწინება ზრდასრულ ასაკში გადასვლას მოასწავებდა, რასაც თან გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები ერთვოდა. მამაკაცთა უფლებებსა და ქმრის უფლებებს შორის თითქმის აღარანაირი განსხვავება აღარ იყო, ხოლო ქალთა უფლებები ცოლის უფლებებს გაუთანაბრდა. ზრდასრული ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები გენდერის მიხედვით განისაზღვრებოდა (Stuard 1994).

მასკულინობა და სახელმწიფო

სახელმწიფო ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანი იყო, რომელმაც მამაკაცობის თანამედროვე, ანგლოვეროპული გაგების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. დაახლოებით 1500 წლამდე, ევროპა სხვადასხვა ფორმით იმართებოდა — ქალაქ-სახელმწიფოები, თეოკრატიული სახელმწიფოები (ეკლესიის მმართველობა), სავაჭრო ფედერაციები და სხვა მცირე ზომის სამთავროები. უკვე 1800 წლისათვის ევროპაში რამოდენიმე მსხვილი, ტერიტორიულად ორგანიზებული, ცენტრალიზებული, უმაღლესი მმართველობის მქონე სახელმწიფო გაჩნდა. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და სხვები წამყვან ქვეყნებად გადაიქცნენ. მამაკაცობის კონცეფციის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ორი ტიპის აქტივობას ენიჭებოდა. პირველი ტიპის აქტივობა უკვე ვახსენეთ - ქორწინების სამართლებრივი კონროლი. ხელისუფალნი მამაკაცურ პრივილეგიებს, განსაკუთრებით კერძო საკუთრებაზე კონტროლს ცალსახად ოჯახს უკავშირებდნენ. მაგალითად, მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში, ვენეციაში (რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი ძლიერი მმართველი ძალის მქონე ქალაქ-სახელმწიფო იყო) არისტოკრატთა (მდიდარი ოჯახების თავკაცთა) უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი კანონი მიიღეს. ამ კანონის მიღების შედეგად მამის როლი როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრად გაიზარდა. სწორედ მამებს დაევალებათ თავიანთი ვაჟების ინიციატია საზოგადოებაში და შემდგომში მათ საქციელზე პასუხისმგება. ქალიშვილების მზითვებს ასევე ცალსახად მამები განაგებდნენ და პასუხი მათვე მოეთხოვებოდათ, თუკი მათი ცოლები ან ქალიშვილები ზედმეტ ხარჯს გასწევდნენ. შესაბამისად, ოჯახში მამების ცალსახა ბატონობას ლეგალური საფუძველი ჩაეყარა და მათი ავტორიტეტი ოჯახში მათ საზოგადოებრივ სტატუსს უშუალოდ დაუკავშირდა.

არისტოკრატიზმის იდეა მასკულინური პრინციპებით იყო გამსჭვალული. პირველ რიგში, აქ არისტოკრატიის უმთავრესი პრივილეგია — მმართველი ძალა იგულისხმებოდა, ეს კი მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ. პოლიტიკურ ელიტაში მოხვედრა, ლეგალურადაც კი, მხოლოდ ერთ რამეზე იყო დამოკიდებული - მამაკაცი უნდა დაბადებულიყო ისეთი მამაკაცის ოჯახში, რომელიც ამ პრივილეგიით უკვე სარგებლობდა, და რაც მთავარია, ეს პრივილეგია მასაც თავისი მამისაგან უნდა ჰქონოდა შთამომავლობით მიღებული. (Chojnacki 1994:75)

მასკულინობის თანამედროვე გაგების ჩამოყალიბებას სახელმწიფომ მილიტარისტული საშუალებებითაც შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ომებში, როგორც წესი ყოველთვის მამაკაცები მონაწილეობდნენ, ყველა საზოგადოების მიერ მეომრის სიმამაცე მასკულინობასთან არ იგივედებოდა. ომში მონაწილეობის უფლება მხოლოდ კეთილშობილი გვარის წარმომადგენლებს ეძლეოდათ. რაინდობის შუა საუკუნეების დროინდელი გაგება, რომ რაინდი მამაკაცი, კეთილშობილი და ერთგული უნდა ყოფილიყო, არა გენდერს, არამედ გარკვეული სოციალური ფენის ღირებულებებს განსაზღვრავდა. მე-14 საუკუნეში, როდესაც შუა საუკუნეების ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა, ინგლისელთა ჯარებში კეთილშობილ გვართა წარმომადგენლებთან ერთად ადგილი სხვებისთვისაც გამოინახა. ეს მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ მშვილდისრებით შეიარაღებულ ჯარს იოლად შეეძლო მუზარადებში გამონყოფილი რაინდთა რაზმების დამარცხება. მასიური ომების წარმოება, სადაც მონაწილეობის მიღება ყველა ფიზიკურად ჯანმრთელ მამაკაცს მოეთხოვებოდა, მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ნაპოლენის მართველობის შემდგომ პერიოდში დაიწყო. მას შემდეგ, რაც მუზარადიან რაინდთა მიერ წარმოებული ბრძოლები მასიურმა შეტაკებებმა ჩაანაცვლა, მეომრის ღირსება უკვე გენდერის და არა სოციალური კლასის კონტექსტში განიხილებოდა. მეომრობა მამაკაცობის ნიშანი იყო, ბრძოლაში მონაწილეობის თავიდან აცილება კი არამამაკაცურ საქციელად აღიქმებოდა.

მამაკაცობის გაგება ამერიკაში

თუკი გენდერი ისტორიული ფენომენია, მაშინ იგი ისტორიულ ცვალებადობასაც უნდა განიცდიდეს. ამის კარგი მაგალითია მასკულიზაციის გაგება ამერიკაში, რომელმაც მე-20 საუკუნის ბოლოს სრულიად განსხვავებული თვისებები შეიძინა.² ადრეულ ამერიკაში მასკულიზაცია სოციალური და ზნეობრივი თვისებების მიხედვით განისაზღვრებოდა. სხვებისათვის განეულ სამსახურს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მე-19 საუკუნეში კი ენ. „self-made man“-ის ფენომენი გაჩნდა, რომელიც საკუთარი ძალებით წარმატების მიღწევაზე ორიენტირებულ მასკულიზაციას გულისხმობდა.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მასკულიზაცია ფიზიკურ სიძლიერეს და დაუოკებელ ენერჯიას გაუთანაბრდა და წინა პერიოდების ალტრუიზმსა და თვითკონტროლს გამოორიცხავდა. ჩვენს დროში, ფემინისტური მოძრაობის ფონზე, მასკულიზაცია მუდმივი კვლევისა და განხილვის საგნად რჩება.

მამაკაცი, რომელსაც სარგებელი მოაქვს

ქვეყანის ჩამოყალიბების პროცესში, მამაკაცობა სოციალური და ზნეობრივი მახასიათებლებით განისაზღვრებოდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა სარგებლიანობის ცნებას ენიჭებოდა. „ნამდვილ მამაკაცად ყოფნა“ საზოგადოებისათვის ანუ სხვებისათვის სამსახურის განწევას ნიშნავდა. 1788 წელს მამა თავის ვაჟიშვილს ამგვარ რჩევა-დარიგებას აძლევდა: „რაც უფრო მეტ ცოდნას მიიღებ, მით უფრო მეტ სარგებელს მოუტან როგორც საკუთარ თავს, ისე მეგობრებს და ასევე ქვეყანას“. მოგვიანებით, იგივე ადამიანი ხვდებოდა რა, რომ თავის შვილს უკანასკნელ წერილს წერდა შემდეგი სიტყვებით მიმართავდა მას: „ღმერთმა დაგიფაროს შვილო და დაე, მანვე იზრუნოს იმაზე, რომ შენ სხვებისათვის სარგებელის მოტანა შეგეძლოს“ (Rotundo 1983:24). მღვდელმა, ნიუ-ინგლენდიდან კი თავის ყოფილ კოლეგას შემდეგი სიტყვებით შეასხა ხოტბა: „იგი სხვების საკეთილდღეოდ ცხოვრებდა ... თავის თაობაში ყველაზე მეტი სარგებელის მომტანი ადამიანი იყო“ (როტუნდო 1983:24). მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდში გამოცემული ჟურნალების ისტორიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გმირებისათვის „საზოგადოებრივი სარგებელის მოტანა“ წარმატების მიღწევის ერთგვარი სტანდარტი იყო. სხვა ღირსებები, მაგალითად, სიმამაცე სწორედ სარგებლიანობის მიხედვით განისაზღვრებოდა. რევოლუციის პერიოდშიც კი, სიმამაცე უფრო მეტად გულისხმობდა სხვებისათვის სამსახურის განწევას, ვიდრე გამბედაობას. ვაშინგტონი, ისევე როგორც ლაფაიეტი გმირებად შერაცხეს არა იმიტომ, რომ ისინი დაუნდობლები იყვნენ და ბევრი ხალხი დახოცეს, არამედ იმიტომ, რომ თავიანთი პოლიტიკური პრინციპების გამო თავიანთ სიცოცხლეს გამუდმებით საფრთხეში აგდებდნენ. სიმამაცის განმსაზღვრელი სწორედ თემისადმი თავდადებულობა და მისი დაცვის სურვილი იყო.

სიქველეს და ღვთისმოსაობაც მასკულიზაციის ღირსებებად ითვლებოდა. მამაკაცები „სამყაროს უმაღლესი გამგებლის ნებას“ უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ და ეს დიდ მოწონებას იმსახურებდა. როგორც ერთ-ერთი მწერალი წერს:

მამაკაცი, რომელიც არ თვალთმაქცობს, რომელსაც არ ამოძრავებს სიძულვილი ყველას მიმართ, რომელიც არ არის ცბიერი, არამედ მშვიდობისმოყვარეა, იოლად ამბობს უარს შურისძიებაზე, სიბრალულის და შემწეობის ძალა შესწევს, მიუკერძოებელია თავის შეფასებაში ჭეშმარიტად რელიგიური ადამიანია. სწორედ ასეთია ნამდვილი მამაკაცი სამოციქულო გაგებით. (Rotundo 1983:24)

ეს ყოველივე ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც დღეს მამაკაცობაში ვგულისხმობთ.

² წინამდებარე ტექსტში განხილული სამი ისტორიული პერიოდი და მაგალითების უმრავლესობა როტუნდოს ნაშრომს ეფუძნება (1993)

მაშინდელი მამაკაცობა სიამაყის და თვითაღზრდის იდეას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა. მორჩილება ღირსებად ითვლებოდა. თვინიერება ძალიან ფასობდა, რადგანაც საზოგადოება ძალაუფლების იერარქიისა და ჯგუფის ინდივიდზე ბატონობის პრინციპს ეფუძნებოდა. მორჩილება ასევე მნიშვნელოვანი იყო მათთვისაც, ვინც მმართველ ძალას წარმოადგენდა, რადგანაც მართვა არა პიროვნულ თვისებებს, არამედ სოციალურ სტატუსს ეფუძნებოდა. მაღალი წოდების მქონე მამაკაცები არ იყვნენ ვალდებული ემტკიცებინათ, რომ მათ მართვის უფლება ჰქონდათ. ამ უფლების გამოყენება მათ ყველანაირი მტკიცების გარეშე შეეძლოთ. ვინაიდან ისინი გარკვეული ჯგუფის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით სარგებლობდნენ, ამიტომ თავმდაბლობასთან ერთად ისინი საკმაოდ დაუნდობლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ. ჯორჯ ვაშინგტონს ერთ-ერთი მისი თანამედროვე ხოტბას ასხამს და მის თავმდაბლობას განსაკუთრებულ ხაზს უსვამს:

უკვე შვიდი წელიწადია, რაც იგი ჯარს ხელმძღვანელობს და, ამავე დროს, კონგრესს ემორჩილება; მეტის თქმა არც არის საჭირო, განსაკუთრებით ამერიკაში, სადაც ყველამ ვიცით, როგორ უნდა დავაფასოთ ყველა ის ღირსება, რომელიც ამ უბრალო ფაქტში ვლინდება. (Schwartz 1983:27)

ერთ-ერთი სტრუქტურული მახასიათებელი, რომლის საშუალებითაც ძალაუფლებისა და მორჩილების ერთმანეთთან შეთავსება შესაძლებელი გახდა ის გახლდათ, რომ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი დღესაც საზოგადოების სიმბოლურ ცენტრადაა აღიარებული, ინსტიტუციონალურად დღევანდელი ოჯახი პოლიტიკისაგან, ეკონომიკისაგან და ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან გაცილებით უფრო მეტად განყენებულია, ვიდრე ეს კოლონიურ პერიოდში იყო. ოჯახის ერთი წევრის მიერ ეკონომიკური ან პოლიტიკური ძალაუფლების ქონა, იმთავითვე არ ნიშნავს, რომ ოჯახის სხვა წევრებიც იგივე ძალაუფლებით სარგებლობენ. კლინტონის, რეიგანისა და კარტერის ძმებს პრეზიდენტის ძმობამ მათ შესაძლებელია სახელი მოუტანა, მაგრამ ამით მათ ვერც ხალხის პატივისცემა მოიპოვეს და, ვერც გავლენიანები გახდნენ.³ მაგალითად მე-18 საუკუნეში, როდესაც ოჯახი საზოგადოების ბირთვად იყო აღიარებული, ხოლო საზოგადოება კი იერარქიულ პრინციპს ეფუძნებოდა, მართალია მამაკაცები თავიანთ ოჯახებს განაგებდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, მათზე ზემდგომ სხვა მამაკაცებს ემორჩილებოდნენ. შესაბამისად, ის რომ მამაკაცობა სარგებლობის მოტანის უნარის მიხედვით განისაზღვრებოდა საკმაოდ ლოგიკური იყო, რადგან ამ შემთხვევაში იგი ეხებოდა ყველა ტიპის მამაკაცს — მამაკაცებს, რომლებიც ემორჩილებოდნენ; მამაკაცებს, რომლებიც იმორჩილებდნენ და მამაკაცებს, რომლებიც ემორჩილებოდნენ და, ამავე დროს, იმორჩილებდნენ.

“The Self-made man” – ადამიანი, რომელმაც საკუთარი ძალებით მიაღწია წარმატებას

მე-19 საუკუნეში მასკულინობისა და მამაკაცობის მნიშვნელობა რადიკალურად შეიცვალა. პირველად მასკულინურ დისკურსში შემოვიდა სიტყვა „თვით“ (“Self” თ.პ.). მასკულინობის ახლებური გაგება “self-made man” –ობაში მდგომარეობდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მამაკაცი დიდ საქმიან წარმატებას მხოლოდ საკუთარი ძალებით ახერხებდა, ანუ ამოქმედდა საკუთარი ძალებით უკიდურესი სიღარიბის დაძლევის და სწრაფი გამდიდრების მითი. „თვითგანვითარების“ იდეამ საზოგადოებისათვის სამსახურის განწევის იდეა გადაფარა. ღმერთისა და სხვა ადამიანების სასარგებლოდ სამსახურის განწევაზე ყურადღებას აღარავინ ამახვილებდა. სახელმწიფო მოხელეებს, იურისტებს და საქმოსნებს მოუწოდებდნენ, რომ „თანდაყოლილი ნიჭის განვითარება,

³ დღეს, პოლიტიკასა და ეკონომიკას რელიგია ჩაენაცვლა და ოჯახთან ინსტიტუციონალური კავშირი დაამყარა. რელიგიური ინსტიტუტები ისევე არიან დაკავშირებული ოჯახთან, როგორც ადრე სხვა ტიპის ინსტიტუტები იყვნენ. ოჯახები ეკლესიების, სინაგოგებისა და მეჩეთების წევრები ხდებიან; სამღვდულოება არა ინდივიდს, არამედ ოჯახს მოძღვრავს. მაგრამ წარსულისაგან განსხვავებით, ადამიანები მუშაობენ, ხმას აძლევენ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან, როგორც ინდივიდები.

არა თუ პრივილეგიაა, არამედ მოვალეობა“ (Rotundo 1983:25). 1818 წელს, ერთ-ერთი ნიუ-იორკელი ვაჭარი ვესტ პოინტში თავის ვაჟს წერდა:

ამერიკის მიწაზე წარმატების მისაღწევად ახალგაზრდა მამაკაცს იმ ნიჭის განვითარება მოეთხოვება, რომელიც მას ღმერთმა დაანათლა; ჰენრი, აქ დიდი ასპარეზია იმისათვის, რომ ნიჭით დაჯილდოვებულმა და სამაგალითო ადამიანებმა საუკეთესო მომავალი შეიქმნან; პრეზიდენტობა აქ ყველასათვის შესაძლებელია; განავითარე ის ნიჭი, რომლითაც ღმერთმა დაგაჯილდოვა და შენ იოლად მიაღწევ წარმატებას თავისუფლების ქვეყანაში (Rotundo 1983: 25).

ეს კონკრეტული ახალგაზრდა ადამიანი მართალია ვერ გახდა პრეზიდენტი, მაგრამ რაზერ-ფორდ ბ. ჰაიესი, ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტი, კენიონის კოლეჯში ყოფნისას დღიურში საკუთარ თავს შემდეგი შეძახილებით ამხნევებდა:

ამ დღიურის საშუალებით, რომელშიც ჩემს ფიქრებზე, სურვილებსა და მიზნებზე ვისაუბრებ, მე ჩემი ხასიათის განმტკიცებას შეეუწყობ ხელს. . . ჩანაწერები არ უნდა გავაკეთო ნაჩქარევად და ჩემი აზრების დაფიქსირების შემდეგ მათ განხორციელებას უნდა ვეცადო (Rotundo 1983: 24).

1830-იან წლებში ეკონომიკური მიღწევები კულტურაზეც აისახა, რადგან მამაკაცობის განმსაზღვრელი „სარგებლობის მომტანი ადამიანის“ ნაცვლად „self-made man“-ობის იდეა გახდა (Kimmel 1993; 1996; Rotundo 1993).

საზოგადოებრივი და პირადი სფეროების გამიჯვნისას „self-made man“-ობა მამაკაცურ მხარეს გულისხმობდა (Ryan 1981). ანუ მოხდა ის, რომ მამაკაცი ოჯახის სარჩენად გარეთ გავიდა, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა საკუთარი ძალებით გადალახა, ხოლო განონანსწორებული და მორჩილი ცოლი კი სახლში დარჩა. ოჯახი საქმიანი მამაკაცებისათვის ერთგვარ თავშესაფრად გადაიქცა. ჯონ მაზერ ოსტინი (1838) თავის ახალგაზრდებისადმი მიმართვაში წერდა, რომ მამაკაცს „საზოგადოებაში გასვლა, საქმიანობაში ჩართვა და ამგვარად ოჯახის რჩენა“ ევალება (Rayan 1981:189-90). მამაკაცებს თავიანთი მამაკაცობა საბაზრო ეკონომიკაში აქტიური ჩართულობით უნდა დაემტკიცებინათ, ხოლო სახლში საჭმელი, ერთგულება და სიმშვიდე უნდა დახვედროდათ. ნიუ-იორკის შტატში მდებარე ქალაქ იუტიკას ერთ-ერთ გამოცემაში დეტალურად იყო აღწერილი, საშუალო ფენის თითოეულმა წარმომადგენელმა ამერიკელმა მამაკაცმა როგორი ოჯახი უნდა შექმნას: „ოჯახი, კერა ის იმედია, რომელიც მის მფლობელს ნებისმიერი საქმიანობის გახორციელებისას ძალასა და ენერგიას მატებს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყობს ხელს“

(Rayan 1981:180). სპეციალური წიგნები და ჟურნალები იბეჭდებოდა, რომლებშიც ახალგაზრდა ამბიციურ მამაკაცებს წარმატების მიღწევის ეფექტურ მეთოდებს სთავაზობდნენ. ყოველივე ეს თვითგანვითარების ინდუსტრიას უწყობდა ხელს, რომელიც დღესაც საკმაოდ ძლიერია. ორისონ სვიტ მარდენმა, 30 წიგნის ავტორმა და ცნობილი ჟურნალის „Success“-ის რედაქტორმა, თავდაპირველად სახელი როგორც თვითგანვითარებაზე ორიენტირებულმა პუბლიცისტმა გაითქვა. მაგრამ დღესაც კი, მარდენი მამაკაცობას უმნიშვნელოვანეს განმასხვავებელ ნიშნად აღიარებს, როდესაც წერს, რომ „მამაკაცობა გაცილებით მეტია, ვიდრე სიმდიდრე და პოპულარობა“ (Kimmel 1996:102). წარმატების თეორიის ყველაზე გამოჩენილი მეხოტბე, უნიტარული მღვდელი და 120 რომანის ავტორი, ჰორაციო ალგერ ჯუნიორი ძირითადად ღარიბ, უსახლკარო, მაგრამ თავისთავში დარწმუნებულ ამბიციურ ბიჭებზე, დიდი ქალაქებში მცხოვრებ ქუჩის მანანალებზე წერდა, რომლებიც საბოლოოდ კეთილშობილური საქციელით, მონდობებითა და სიმამაცით ცხოვრებაში წარმატებას აღწევენ⁴

⁴ ჰორაციო ალგერის სახელობის გამორჩეულ ამერიკელთა ასოციაცია ავტორის პრინციპებს დღესაც არ ღალატობს და წევრებად იმ ადამიანებს აერთიანებს, ვინც სიღარიბე დასძლია და კეთილდღეობას მიაღწია.

მასკულინობა ფიზიკურ სიძლიერეს გაუთანაბრდა

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის იყო, რომ ადამიანის სხეულისა და მისი შინაგანი ბუნების ერთმანეთთან დაკავშირება მოხდა. წინა თავში სხეულისა და შინაგანი ბუნების

ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე რასის აგება განვიხილეთ. ასევე მოხდა გენდერის შემთხვევაშიც. ძველი საბერძნეთის დროიდან მოყოლებული მიაჩნდათ, რომ ადამიანის ხასიათი მისი შინაგანი ბუნების გამომხატველია. მე-19 საუკუნეში „ბუნება“ ფიზიკურ სხეულთან გათანაბრდა და მხოლოდ სამყაროს ღვთიურ გეგმასა და წესრიგზე აღარ დაიყვანებოდა. ანგლოამერიკული საზოგადოებისათვის მამაკაცობა და ქალობა სხეულთან უშუალო კავშირში მოდიოდა — მასკულინობა ფიზიკურ სიძლიერესთან ასოცირდებოდა და ფემინურობა კი მშვენიერებასთან. მე-19 საუკუნეში, მამაკაცობის სხეულებრივი განზომილება უფრო მორალის და არა ფიზიკური სიძლიერის ფარგლებში თავსდებოდა. დღეს „ნამდვილი მამაკაცი“ ბევრი სმისა და აქტიური სექსუალური ცხოვრების საშუალებით, ყოველ შემთხვევაში, მეორე „ნამდვილი მამაკაცის“ თვალში თავის მამაკაცობას ამტკიცებს.

მე-19 საუკუნეში კი „ნამდვილ მამაკაცად“ ითვლებოდა ის, ვინც სწორედ სმასა და თავის სექსუალურ იმპულსებს აკონტროლებდა. „მამაკაცობა“ ძირითადად საშუალო ფენის პრობლემად აღიქმებოდა და ზომიერება იყო ის პარამეტრი, რისი საშუალებითაც კლასისა და გენდერის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხდებოდა. მამაკაცს, რომელსაც საკუთარი იმპულსების კონტროლი შეეძლო უპირისპირებდნენ მოუწესრიგებელ, პრიმიტიულ და არაჯანსაღად მოაზროვნე, დაბალი ფენის წარმომადგენლებს და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებს. ითვლებოდა, რომ საშუალო ფენის წარმომადგენელი „ნამდვილი მამაკაცები“ უფრო დახვეწილნი და თავშეკავებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ისინი თავს მაღალი ფენის წარმომადგენელი მამაკაცებისაგანაც გამოყოფდნენ, რადგან მათ არაფრის მაქნისებად და ჰედონისტებად მიიჩნევდნენ.

სპორტული თამაშების მომრავლებამ და პრაქტიკაში დამკვიდრებამ გამოიწვია ის, რომ ზემოთ განხილულმა თვისებებმა-თავშეკავებულობამ, სხეულებრივმა მასკულინობამ და თვითგანვითარების იდეამ - ერთად მოიყარა თავი (Bederman 1995; Dubbert 1980; Filene 1998; Lorber 1994; Messner 1987). დღეს რთულია, ბიჭმა სხვა „მასკულინური“ ბიჭების, ან თუნდაც საკუთარი მამის მხრიდან აღიარება მოიპოვოს თუკი სპორტთან ოდნავ მაინც კავშირი არ აქვს.⁵ მიუხედავად იმისა, რომ თამაში ყველა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია, თავად სპორტული თამაშობების იდეა, რომელიც დადგენილი წესებით გუნდებს შორის ფიზიკურ შეჯიბრს, გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს, საჭირო უნარისა და სტრატეგიის ქონის აუცილებლობას გულისხმობს — მე-19 საუკუნის მეორე ნახევარიდან ანგლოამერიკულ ცნობიერებას საკმაოდ შეესისხლხორცა. ადრე სპორტის არც ერთი ის სახეობა არ არსებობდა, რომელიც დღეს ასეთი დიდი პოპულარობით სარგებლობს, იგულისხმება ფეხბურთი, კალათბურთი და ჰოკეი. მართალია, შეჯიბრების ცალკეული სახეობები ადრეც არსებობდა, სკოლაში დღესაც ასწავლიან აბრაჰამ ლინკოლნმა თავისი მამაცობით როგორ ისახელა თავი - მაგრამ ცოტა მამაკაცი თუ შეეცდებოდა თავისი მამაკაცობა სათამაშო მოედანზე დაემტკიცებინა. მე-19 საუკუნის ბოლოს გამარჯვება არა მხოლოდ ფიზიკურ შესაძლებლობებს, არამედ ხასიათის სიმტკიცესაც გულისმობდა. მამაკაცობაც ხასიათის სიმტკიცესთან მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა. ამ ახალ კონტექსტში „ნამდვილი მამაკაცი“ ამავე დროს გამარჯვებული მამაკაცი იყო - მან ბევრი იშრომა, შეინარჩუნა სიფხიზლე, აკონტროლებდა თავის ვნებებს, მიზანმიმართულად ხარჯავდა თავის ენერჯიას და

⁵ მაგრამ აქ აშკარად წინააღმდეგობაა. მიხაილ მესნერის აზრით, სპორტი, რომელიც ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა იმისათვის, რომ ბიჭებმა მეგობრები და თანამოაზრეები შეიძინონ, რეალურად ბიჭებს შორის ღრმა ურთიერთობების დამყარებას ხელს უშლის:

„თანამედროვე მამაკაცები ხშირად თავს მარტოდ, გაუცხოებულად და წარუმატებლად გრძობენ, რადგანაც სოციალურად დასწავლილი თვითდამკვიდრებისა და იდენტობის მოპოვების საშუალებები (სპორტში და საქმეში წარმატებების მიღწევა) მათ რეალურად ვერ უზრუნველყოფს იმით, რაც მათ სინამდვილეში სწადიათ: ახლო ურთიერთობები და სხვა ადამიანებთან ერთიანობის განცდა“ (Messner 1987:208)

იცავდა დისციპლინას. ათლეტურობა არა ნიჭი, არამედ ის თვისება იყო, რომელიც რეალიზებულ მამაკაცს ანუ „self-made man“-ს ახასიათებდა. დღესაც ცნობილი სპორტმენები ბავშვებისათვის სამაგალითონი არიან. ამ ტრადიციას კი საფუძველი 19-ე საუკუნეში ჩაეყარა. ჯერ კიდევ მაშინ ითვლებოდა, რომ სხეული როგორც ფიზიკური შესაძლებლობების, ისე ზნეობრიობის ნავთსაყუდელია.⁶

მასკულინობა დღეს: მამაკაცები დაუნდობლები ხდებიან

ორგანიზებული სპორტის გავრცელებით „self-made man“-ის იმიჯს თანამდროვე მასკულინობის დამახასიათებელი ელემენტი — დაუნდობლობა, უხეშობა დაემატა. საუკუნის დასაწყისში ქალების მიერ ვაჟკაცობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი იმ დროისათვის შეიძლება ცოტა უცხოც კი იყო, სამაგიეროდ, დღევანდლობასთან საკმაოდ ახლოს დგას: ვაჟკაცი კაცი „უზომოდ ძლიერია; იგი იოლად არ ენდობა სხვებს; უმოწყალოა; მასთან ისე გრძნობ თავს, რომ თითქოს ვიღაცამ ყელში ხელი მოგიჭირა, რომ თითქოს ჰაერში უნდა აგაგდოს და შემდეგ ფეხით გაგთელოს“ (Rotundo 1983:26). პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის აზრით, კარგი იქნებოდა, „თუკი მამაკაცის გულში მგლის გამოზრდა იქნებოდა შესაძლებელი“. იგი ზაფხულში აფრიკაში, ხოლო ზამთარში მონტანაში მიემგზავრებოდა, რათა „ველურ პირობებში ცხოვრებით“ თავისი მამაკაცობა დაემტკიცებინა (Rotundo 1983:27).

მასკულინობის კრიზისი

რუზველტის პრეზიდენტობა მასკულინობის საერთო კრიზისს დაემთხვა. ოფისებში მომუშვე ადამიანების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რის ფონზეც „self-made man“-ის იდეალის ცენტრალური მახასიათებლები- აბსოლუტური დამოუკიდებლობისა და წარმატების ინიდივიდუალურად მიღწევა- თანდათან იკარგებოდა. როგორც ნოველისტი ჰენრი ჯეიმსი თავის „ბოსტონელებში“ წერს:

„მთელი თაობა ქალიზმის გავლენის ქვეშ არის მოქცეული; მასკულინური ტონალობა მსოფლიოში თანდათან იკარგება; ეს არის ფემინური, ისტერიული, ჭორიკანა ეპოქა, ცარიელი ფრაზებისა და ყალბი დელიკატურობის, გადამეტებული ყურადღებებისა და განაზებული ემოციურობის ეპოქა“ (Bederman 1995:16). მუშათა კლასის წარმომადგენელი მამაკაცები იმედოვნებდნენ, რომ ოდესღაც პროფესიონალ ხელოსნებად ჩამოყალიბდებოდნენ. სინამდვილეში კი ფაბრიკა-ქარხნებში გამოკეტილნი აღმოჩნდნენ და, როგორც წესი, სხვა ადამიანებს ექვემდებარებოდნენ. საშუალო ფენის წარმომადგენელ მამაკაცებს კი საკუთარი საქმის წამოწყების იმედი ჰქონდათ, თუმცა საბოლოოდ საოფისე საქმიანობაში ჩართვა მოუწიათ. ეს ყველაფერი მათ დამოუკიდებლობასა და ფიზიკურ ვაჟკაცობას ზღუდავდა და, შესაბამისად, მათ მამაკაცობას ორმაგ საფრთხეს უქმნიდა. 1873 წლის სახელმწიფო მოხელის აღწერაში ყოველივე საკმაოდ ნათლად იყო ჩამოყალიბებული — იგი (სახელმწიფო მოხელე თ.პ.) „ოფისში ყოფნის დროს ვერც თავისუფლებით სარგებლობს და ვერც თავისი მამაკაცობით. იგი ვალდებულია მათი სჯეროდეს, ვინც მასზე მაღლა დგას, ასევე სამსახურიდან დათხოვნის უნდა ემინოდეს და მუდამ თავისი უფროსების სამსახურში და პატივისცემაში უნდა იყოს“ (Kimmel 1996:103). ეს თემა საუკუნის დასაწყისშიც აქტუალური იყო. ერთ-ერთი მწერალი აღწერს, იმას თუ როგორ დაკარგეს მასკუ-

⁶ სპორტის ზოგიერთ, განსაკუთრებულად მასკულინურ სახეობაში ჩვენ ვეტრფით გადაჭარბებულ მასკულინობას — უკიდურესი სექსუალურობა, ძალადობა, შეჯიბრი და ვახდენთ იმ მამაკაცთა სტიგმატიზაციას (მაგალითად, კალაბურთელი დენის როდმანი), რომლებიც მიუხედავად, მათი ათლეტური მონაცემებისა, შედარებით ფემინურებად ითვლებიან. მოკრივე მაიკ ტაისონი მასკულინობის რადიკალურად განსხვავებულ მაგალითს წარმოადგენს, ვიდრე გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსი

ლინობა მამაკაცებმა ოფისში მუშაობის შედეგად:

ცვლილება ამ მამაკაცთა ქცევებში ახალგაზრდებისთვისაც კი საკმაოდ შესამჩნევი აღმოჩნდა. მათ დაკარგეს თავიანთი ძველი პოზიციების როგორც პასუხიმგებლობები, ისე ღირსება. . . . ისინი აღარ იყვნენ საქმოსნები ძველი გაგებით. ეს მამაკაცები მსახურებად გადაიქცნენ და სხვა ადამიანების გადაწყვეტილებებს ემორჩილებოდნენ; მათ დამოუკიდებელი საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი ყველა სტიმული როგორც ინტელექტუალური, ისე მორალური სრულიად დაეკარგათ.

..ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იმ ფორმამ დაიქირავა, რომელშიც მე ვმუშაობდი. მისი მცდელობა თავმოყვარეობა შეენარჩუნება, მისი მოკრძალებული ალტაცება იმ ფაქტით, რომ იგი იმ სოციალური კლუბის წევრი იყო, რომელში მოხვედრაც მისმა ამბიციურმა უფროსმა ვერ შეძლო, მასთან მომუშავე ადამიანებისათვის სრულიად გასაგები და, ამავე დროს, მათში თანაგრძნობის გამომწვევი იყო (Stimson 1904:338).

მასკულინობის კრიზისს საშუალო ფენის წარმომადგენელი მამაკაცები სხვადასხვანაირად გამოეხმაურნენ. რეაგირების ერთ-ერთი ფორმა სპორტში აქტიური ჩართვა იყო, როგორც მონაწილის ისე მაყურებლის სტატუსით. მე-19 საუკუნის ბოლო წლებამდე, ორგანიზებული სპორტი კოლეჯური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა. მაგრამ ვითარება სწრაფად შეიცვალა. ახლადდამკვიდრებული სპორტის სახეობები, მათ შორის, კალათბურთი და ფეხბურთი, მთავარ აქტივობებად გადაიქცა, გარშემო უამრავი ხალხი შემოიკრიბა და კოლეჯდამთავრებულებისაგან დიდი რაოდენობით შემონირულობები დააგროვა. ჰარვარდისა და იელის საფეხბურთო მატჩები წლის მთავარ სპორტულ მოვლენად ითვლებოდა. გარდა ამისა, 1896 წელს თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს ჩაეყარა საფუძველი, თუმცა თავდაპირველად მათში მონაწილეობის მიღება მხოლოდ მამაკაცებს შეეძლო. ოლიმპიური თამაშები, მოყვარული სპორტმენის იდეალის ხორცშესხმა იყო, რომელიც უარყოფდა სპორტს ფულის გამო. 1940 წლამდე პროფესიონალი ათლეტები დიდად დაფასებულნი არ იყვნენ.

სპორტის ისეთ ოსტატებს, როგორც იყო, მაგალითად, ბეიბ რუსი, ლოთების და მექალთანეების სახელი ჰქონდათ. მაგრამ სპორტმა ოფისში გამოკეტილ მამაკაცებს დიდი შეღავათი მისცა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ვაჟკაცობის გამოვლინების საშუალებების შემცირებასთან ერთად მათ მამაკაცურობას საფრთხე შეექმნა. ახალგაზრდებისათვის ბოისკაუტების და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები შეიქმნა, რომელთა მთავარი მიზანი ვაჟებში ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის განვითარება, შესაბამისად, მათი ქალაჩუნობისაგან დაცვა იყო (Beder- man1995; Filene 1998; Gilmore 1990; Hantoever 1998; Kimmel 1987). ერნესტ ტომპსონ სეტონი, ამერიკის ბოისკაუტთა დამფუძნებელი, სკაუტობის მთავარ მიზანს შემდეგში ხედავდა:

გავაცნობიერეთ რა ის, რომ განათლების უპირველესი მიზანი არა ერუდიციის, არამედ მამაკაცურობის განვითარებაა, ჩვენ ისეთი ტიპის საქმიანობებს დავენაფეთ, რომელთა საშუალებითაც მტკიცე ხასიათისა და ფსიქიკის ჩამოყალიბება არის შესაძლებელი. ამ აქტივობების შესრულება ღია ცის ქვეშ არის შესაძლებელი, რაც ვაჟებში მამაკაცობის განვითარებას შეუწყობს ხელს (Filene 1998:101).

თედი რუზველტის მსგავსად, რომელიც აფრიკაში გარეულ ცხოველებზე ნადირობდა, ვაჟებსაც მასკულინობა - დაკარგულ კულტურულ გარემოში ველურ ბუნებასთან შერკინების საფუძველზე საკუთარი მამაკაცობის აღმოჩენის შესაძლებლობა მიეცათ. 1920 წლისათვის, ყოველი ათი ამერიკელი ბიჭიდან ერთი სკაუტი იყო. ასეთ სამხედროს ტიპის ორგანიზაციებში უკვე მივიწყებული მამაკაცური ღირსებები აღორძინდა (საიმედო, ერთგული, დამხმარე, მოკრძალებული, კეთილი, ხალისიანი, მამაცი, დამჯერი და ა.შ.) და ბუნებაში თავგადასავალის ძიების ახალ იდეას დაუკავშირდა. ვაჟები ლაშქრობებსა და ცივილიზაციასთან ნაკლებ კავშირში მყოფ აქტივობებში იყვნენ ჩართულნი. 1909 წელს, ინგლისურ ჟურნალ „Punch“-ში გამოსახულ ნახატზე შემდეგი წარწერაა გაკეთებული „დაცვის ყველაზე ახალგაზრდა ხაზი“ და მასზე სკაუტული ბიჭია გა-

მოსახული, რომელიც ხანში შესულ ქალბატონს წინ მიუძღვება და გზას უკვლევს. ეს იმიჯი სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთა ამსახველ ნახატებსაც წააგავდა. სკაუნტინგის საშუალებით უფროს მამაკაცთა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ვაჟები ბუნების „დამორჩილებას“ სწავლობენ როგორც საკუთარი მასკულინობის შიგნით, ისე იმ ველურ პირობებში, რომელთა მოხელთებაც ლაშქრობისას ხდება.

სპორტისა და ლაშქრობის განვითარებამდე, მამაკაცობა, პირველ რიგში, ბიჭობას უპირისპირდებოდა და შემდეგ უკვე ქალობას. ადრეულ ამერიკაში მამაკაცს ბიჭისაგან მთელი რიგი მახასიათებლები განასხვავებდა - საზოგადოების სასარგებლოდ სამსახური, **“self-made man”**-ის იდეა, საკუთარ ემოციებზე კონტროლი და ცივილურობასა და ველურობას შორის კონტრასტი. მე-20 საუკუნეში მამაკაცურობა უკვე ქალურობას დაუპირისპირდა, ხოლო ბიჭობა მთლიანად მასკულინური შინაარსის მატარებელი გახდა. არამასკულინური ბიჭები ქალაჩუნებად სახლდებოდნენ, ხოლო „ნამდვილ მამაკაცს“ თავგადასავლის ბიჭური ჟინი უნდა ჰქონოდა შენარჩუნებული. სპორტშიც კი მამაკაცები როგორც ბიჭები ისე თამაშობენ, ხოლო ბიჭები თავიანთ თავებს მამაკაცებად წარმოიდგენენ.

მამაკაცებს და ბიჭებს შორის სხვაობას მამაკაცობის, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო სამსახურის გაგებაც უწყობდა ხელს. მამაკაცობის ეს იდეა ყველა ბიჭისათვის იმ მიზნად იქცეოდა, რომლის მიღწევაც მათ მხოლოდ მას შემდეგ შეეძლოთ, რაც მტკიცე ხასიათის, მონიფულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის დემონსტრირებას მოახდენდნენ. **“Self-made man”**-ის იდეამ მამაკაცები ბიჭებთან უფრო დააპირისპირა, ვიდრე ქალებთან. ბიჭებისათვის ესეც ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო. **“Self-made man”**-ისათვის დამახასიათებელი სერიოზულობა, საღი აზრი და საკუთრების უფლება, ანუ წარმატების მომტანი თვისებები ქალებსაც ახასიათებდათ, მაგრამ არვითარ შემთხვევაში ბიჭებს. მამაკაცებს, რომლებიც ვერც სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ და ვერც თვითგანვითარებას ახერხებდნენ ბრალად ბიჭობა და არა ქალურობა ედებოდათ. ფაქტიურად, სიტყვას ბიჭი ასაკობრივთან ერთად უკვე კლასობრივი კონოტაციაც გაუჩნდა. ბიჭად იწოდებოდა ყველა მამაკაცი, რომელიც ვინმეზე დაქვემდებარებული იყო. მაგალითად, მოსამსახურე, მიმტანი, ფერმაში დამხმარე⁷. მსგავსი კონოტაციები სხვა ენებშიც გვხვდება— ფრანგულში ვალეტი და *garçon*, ხოლო იტალიურში *servire*. თუმცა, ის მასკულინური თვისებები, რომლებმაც ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებები ჩაანაცვლეს, მამაკაცობას უკვე არა ბიჭობას, არამედ ქალობას უპირისპირებდნენ.

ჰომოსექსუალური და ჰომოსოციალური ურთიერთობები

მას შემდეგ რაც, მასკულინობას ბიჭობის ნაცვლად ფემინურობა დაუპირისპირდა, თვითონ მამაკაცებს შორის არსებული განსხვავებები განხილვის მთავარ საგნად გადაიქცა. ახალი ბინარული ოპოზიცია გაჩნდა — ჰომოსექსუალი მამაკაცი „ნამდვილი“ მამაკაცის წინააღმდეგ. ახალი კულტურული კონსტრუქცია, ჰომოსექსუალი მამაკაცი, პიროვნების გარკვეულ ტიპს და არა ქმედების გარკვეულ სახეობას გულისხმობდა. ამ ახალი კატეგორიის გაჩენა მასკულინობის კრიზისის ამსახველი და, ამავე დროს, მისთვის ხელის შემწყობიც აღმოჩნდა. ჰომოსექსუალიზმი უკავშირდებოდა იმას, რაც ესა თუ ის ადამიანი იყო და არა იმას, რასაც ეს ადამიანი აკეთებდა. ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავისსავე სქესის სხვა ადამიანებთან სექსუალურ კავშირს ამყარებდნენ. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არატრადიციული სქესობრივი კავშირი დაგმო, როგორც არაბუნებრივი სქესობრივი აქტი; არატრადიციულ სქესობრივ კავშირში იგულისხმებოდა მამაკაცებს შორის, ასევე ცხოველთან დამყარებული სქესობრივი აქტი,

⁷ თეთრკანიანები ამ ტერმინით აფრიკელ-ამერიკელებს მოიხსენიებდნენ და ეს მათთვის მასკულინობის ჩამორთმევის ტოლფასი იყო.

ორალური და ანალური სექსი და პროსტიტუცია ც კი. თუკი, ჰომოსექსუალიზმი გარკვეული ტიპის ადამიანების არსებობას მოიაზრებს, გამოდის რომ მამაკაცებს შორის სხვადასხვაგვარი მასკულიზაცია არსებობს. წინ წამოინია საკითხი იმის შესახებ, ადამიანს ბავშვობაში მიღებული რა ტიპის გამოცდილება უწყობს ხელს, რომ იგი სწორედ ამ ტიპის პიროვნებად ჩამოყალიბდეს. შესაბამისად, ჰომოსექსუალიზმის საფუძვლები სწორედ ბავშვობაში და ზრდასრული ადამიანის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უნდა მოძიებულიყო. ბიჭების შემთხვევაში, ძირითად მიზეზად „ზემდეტ დედობრივ მზრუნველობას“ ასახელებდნენ. 1926 წელს გამოცემულ წიგნში მშობლებისათვის კონკრეტული რჩევა-დარიგებებია მოცემული. ავტორი მასკულიზაციის ფემინურ მამაკაცებთან დაპირისპირებას ახდენს და ჰომოსექსუალ მამაკაცს აღწერს, როგორც „მამაკაცს, რომელსაც ფართე თეძოები აქვს და მანერული სიარული ახასიათებს, რომელიც როგორც ქალი ისე საუბრობს და ჭორაობა უყვარს, რომელსაც მოსწონს კერვა და ქსოვა, საკუთარი ტანისამოსის მორთვა და სახის გალამაზება“ (Kimmel 1996:203). მთავარი მესიჯი, რომელიც მშობლებს უნდა მიეღოთ ის იყო, რომ მათ თავიანთი შვილები ქალურობისაგან უნდა დაეცვათ. თუმცა ჰომოსექსუალიზმის შიშით მამაკაცობის „რბილი“ მხარეები ყოველთვის როდი იყო უკუგდებული. როდესაც მამაკაცობა ძირითადად სხვებისათვის სამსახურს ან **self-made man** –ობას გულისხმობდა, მამაკაცებს შორის ურთიერთობა საკმაოდ ახლო და ინტიმური იყო. სფეროთა ერთ-მანეთისაგან უკიდურესი გამიჯვნის შედეგად, მამაკაცთა და ქალთა შორის სოციალური კავშირის დამყარება ოჯახის ფარგლებში ხდებოდა. შედეგად, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის ჰომოსოციალური გახდა — მამაკაცს მამაკაცთან და ქალს ქალთან ჰქონდა ურთიერთობა. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერი სხეულზე უფრო მეტად ადამიანის შინაგან ბუნებასთან იყო დაკავშირებული,

ჰომოსოციალური საქციელი ჰომოსექსუალურ საქციელთან არ გათანაბრებულა, როგორც ეს დღეს ხშირად ხდება. მე-19 საუკუნეში ახალგაზრდა მამაკაცებს გრძნობებითა და ემოციებით აღსავსე ურთიერთობები ჰქონდათ. მათი მიმონერა შეყვარებული წყვილის მიმონერას ნააგავდა. 1779 წელს ალექსანდრე ჰამილტონი, აშშ-ის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი და სახელმწიფო ხაზინის პირველი თავმჯდომარე თავის მეგობარს, ჯონ ლოურენსს შემდეგი შინაარსის წერილს წერდა:

საკმაოდ ცივს ჩემს პროფესიაში, მაგრამ საკმაოდ თბილს მეგობრობაში, მე მსურს, ძვირფასო ლოურენსს, რომ საქციელით და არა სიტყვებით შემეძლოს დაგარწმუნოთ, იმაში თუ როგორ მიყვარხართ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მხოლოდ თქვენთან განშორების შემდეგ მივხვდი, რომ თქვენ ჩემს გულში ადგილი სამუდამოდ დაიკავეთ. (ჰანსენი 1991:95).

დანიელ ვებსტერი, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სენატორი, თავის მეგობარს ჯეიმს ბინგამს წერილში შემდეგნაირად მიმართავდა- „ჩემს ერთადერთ გულითად მეგობარს, ჩემი ლხინის, ჭირის და გრძნობების გამზიარებელს, ჩემს მესაიდუმლეს“. ხოლო კოლეჯის დამთავრების შემდეგ დიდი სინანულით იხსენებდა: „მე ვერ ვხვდებოდი იმას, რომ ჩვენი გრძნობები ასე მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და რომ თქვენს გარეშე ჩემი ცხოვრება ასეთი გაუსაძლისი აღმოჩნდებოდა“ (Filene 1998:83). ამგვარი წერილები ამერიკულ სასაუბრო ენაში სიტყვა *ჰომოსექსუალის* შემოსვლამდე იწერებოდა. ეს სიტყვა ხმარებაში 1880 წელს შემოვიდა, ხოლო 1890-იან წლებში, მასკულიზაციის კრიზისის დროს სიტყვები *ქალაჩუნა*, *ქალოია* და *ფიფქია* საკმაოდ პოპულარული გახდა. მამაკაცებს შორის ახლო კავშირი ფიზიკურიც კი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ეს აუცილებლად სექსუალურ კავშირს არ გულისხმობდა. როგორც წესი, ბიჭები ისე იზრდებოდნენ, რომ თავიანთ ძმებთან ერთად ეძინათ; სხვა მამაკაცთან ერთად ლოგინში წოლა მათ არანაირ უხერხულობას არ უქმნიდა. აბრაჰამ ლინკოლნს თავის მეგობართან ერთად ერთ ლოგინში 30 წლის ასაკშიც კი ეძინა. ეს არ ხდებოდა იმიტომ, რომ ამ ადამიანებს ჰომოსექსუალიზმის მიმართ უფრო მეტად ტოლერანტური დამოკიდებულება ჰქონდათ; საქმე ისაა, რომ ისინი ჰომოსექსუალს, როგორც განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანს არ აღიქვამდნენ. ახალგაზრდა მამაკაცთა ახლო მეგობრობის მსგავსად, მე-18 - მე-19 საუკუნეებში საშუალო ფენის წარმომადგენელი ქალებიც ე.წ. „რომანტიული მეგობრობის“ ფარგლებში ერთ-

მანეთის მიმართ გარკვეულ ემოციებს, გრძნობებსა და ფიზიკურ ლტოლვებსაც კი გამოხატავდნენ. თუმცა არ არის ცნობილი, რამდენად ხშირი იყო მათ შორის სრული სექსუალური კავშირის დამყარების ფაქტები. მაგალითად, როუზ ელიზაბეთ კლივლენდს, პრეზიდენტ გროუვერ კლივლენდის დასა და თეთრი სახლის მთავარ დიასახლისს თავის ერთგულ მეგობართან, ევანჯელინ სიმპსონ ვიპლთან ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა. 1890 წელს კლივლენდი ვიპლს წერდა: „ოჰ, როგორ მიყვარხარ; ეს მე მთრგუნავს, ემოციებით მამძიმებს; შენზე ფიქრისას ვლელავ - მთელი ჩემი არსება შენსკენ მოიწევს... შენს ალერსზე ოცნებას ვერც კი ვბედავ“ (Faderman 1991:11). კლივლენდი მოგვიანებით ჟურნალ „Literary Life“-ის რედაქტორი გახდა, ხოლო ვიპლი ცოლად 74 წლის არქიეპისკოპოსს გაჰყვა, რომელიც ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ქალთა უფლებების დაცვა

მერი უოლსტონქრაფტი*

იმავე თემის გაგრძელება

სხეულის ძლიერებას, რომელიც ადრე გმირების განმასხვავებელი თვისება იყო, ახლა ისეთი უსამართლო ზიზღით უყურებენ, რომ, როგორც ჩანს, ქალების მსგავსად აღარც კაცები მიიჩნევენ მას აუცილებელ თვისებად; ქალები იმიტომ, რომ ის აკნინებს მათ ქალურ მოხდენილობასა და იმ მომხიბვლელ სისუსტეს, რომელიც მათი დაუმსახურებელი ძალაუფლების წყაროა; ხოლო კაცები იმიტომ, რომ ის ჯენტლმენის ბუნებასთან შეუთავსებლად ეჩვენებათ.

იოლია იმის ჩვენება, რომ კაცებიცა და ქალებიც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაცვივდნენ; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ უხეშმა შეცდომამ იმდენად გაიდგა ფესვები, რომ საფუძვლად დაედო მცდარ დასკვნას, რომელიც მიზეზს შედეგში ურევს.

ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი აღნაგობა ხშირად დაუსახიჩრებიათ სწავლით ან საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ დაუდევარი უყურადღებობით; მათი ვნებების დაუოკებლობა მათივე ინტელექტის ძალის პროპორციულია. ასე რომ, ხანჯლის მიერ საკუთარი ქარქაშის განადგურება თითქმის აფორიზმად იქცა; აქედან ზედაპირულ მსჯელობას მიჩვეულმა ადამიანებმა დაასკვნეს, რომ ნიჭიერ კაცს ჩვეულებრივ სუსტი ან, უფრო მოდური ფრაზა რომ გამოვიყენოთ, ფაქიზი აღნაგობა აქვს. ჩემი რწმენით კი, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებენ, რადგან სიღმისეული გამოკვლევა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში გონების ძლიერებას თან ახლავს სხეულის გამორჩეული ძლიერება. მხედველობაში მაქვს აღნაგობის ბუნებრივი სიჯანსაღე და არა ნერვების მძლავრი ტონუსი და კუნთების ძალა, გამოწვეული ფიზიკური შრომით, რომლის დროსაც გონება უმოქმედოა ან მხოლოდ ხელებს მართავს.

დოქტორმა პრისტლიმ თავისი ბიოგრაფიული ცნობარის შესავალში შენიშნა, რომ გამოჩენილ ადამიანთა უმრავლესობამ 45 წელზე მეტ ხანს იცოცხლა. მათ რკინის სხეული უნდა ჰქონოდათ, თუ გავითვალისწინებთ, როგორი დაუფიქრებლობით ფლანგავდნენ ისინი საკუთარ ძალას მეცნიერული კვლევისას, როგორ უყაირათოდ წვავდნენ ცხოვრების ლამპარს შუალამის დადგომის შემდეგაც; ან როგორ არყევდა პოეტურ ოცნებებში ჩაკარგული, ფანტაზიებით შეპყრობილი და აფორიაქებული მათი სული მათსავე აღნაგობას მედიტაციებით გამოწვეული ვნებების საშუალებით, ანუ როდესაც წარმოსახული ობიექტები მათი დაქანცული თვალების წინაშე უფერულდებოდა. შექსპირს არასოდეს აჰკანკალებია ხელი ბასრი ხანჯლის გაშიშვლებისას; არც მილტონი ათთროლოლებულა, როცა სატანას საპყრობილედან გაქცევაში ეხმარებოდა. ეს იყო არა იმბეცილების ბოდვა, ავადმყოფი ტვინების ავადმყოფური ნაყოფი, არამედ ფანტაზიის სიუხვე, რომელსაც მშვენიერ თავდავიწყებაში აღარ ახსოვდა თავისი მატერიალური შეზღუდულობა.

ვაცნობიერებ, რომ ამ მსჯელობამ შესაძლებელია გაცილებით შორს წამიყვანოს, ვიდრე ამის რეალური სურვილი მაქვს. მაგრამ ჩემი მიზანი ჭეშმარიტებაა. ამიტომ ისევ ჩემს სანყის პოზიციაზე დავრჩები და ვიტყვი, რომ ქალებისაგან განსხვავებით კაცებს ბუნებრივ უპირატესობას ანიჭებს სხეულის ძლიერება; და ესაა ერთადერთი მყარი საფუძველი, რომელზეც შეიძლება მათი სქესის უპირატესობის აგება. მაგრამ მე მაინც ვამტკიცებ, რომ ორი სქესის არა მხოლოდ ღირსება, არამედ ცოდნაც ერთი და იგივეა ბუნებით, თუ ხარისხით არა; და რომ ქალები, თუ მათ განვიხილავთ არა მხოლოდ მორალურ, არამედ გონიერ არსებებადაც, უნდა ცდილობდნენ ადამიანურ ღირსებათა (ან სრულყოფილებათა) შეძენას იმავე საშუალებებით, რომელთაც კაცები იყენებენ, იმის ნაცვლად, რომ აღიზარდონ არარეალურ, წარმოსახულ

* მ. უოლსტონქრაფტი, ქალთა უფლებების დაცვა, Penguin Classics, 1992 (გვ. 124-174).

ნახევარსებებად, რომელიც რუსოს ერთ-ერთი უჩვეულო ქიმერაა.*

მაგრამ თუ სხეულის ძლიერება, გონების რაღაც ნიშნებთან ერთად, საამაყო კაცებისთვის, რამ დააბრმავა ქალები ისე, რომ მათ ნაკლი ეამაყებოთ? რუსომ ამას თავისებური გამართლება მოუძებნა, რომელიც შეიძლება აზრად მოსვლოდა მხოლოდ კაცს, რომელმაც წარმოსახვას სრული თავისუფლება და ფაქიზი გრძნობებით გამოწვეული შთაბეჭდილებებით მანიპულირების უფლება მისცა; თურმე, იმ ფაქტს, რომ ქალი ბუნებრივ მოთხოვნილებებს ემორჩილება, შეგვიძლია რაღაც გამართლება მოვუძებნოთ და ამით სულაც არ შეილახება მისი რომანტიკული მოკრძალებულობა; ეს ყველაფერი კი აამებს მამაკაცების ამპარტავენებასა და გარყვნილებას.

ამგვარი შეხედულებებით გზააბნეული ქალები ზოგჯერ თავიანთი სისუსტით ტრიაბახობენ, ცბიერებითა და მამაკაცების სისუსტეებზე თამაშით ძალაუფლებას მოიპოვებენ; ისინი შეიძლება მართლა ბრწყინავდნენ თავიანთი არაოფიციალური გავლენით, რადგან, თურქი ფაშების მსგავსად, მათ თავიანთ ბატონებზე უფრო მეტი რეალური ძალაუფლება გააჩნიათ; მაგრამ სათნოება წამიერ სიამოვნებას ეწირება მსხვერპლად, ცხოვრების რესპექტაბელურობა კი — ხანმოკლე ტრიუმფს.

ქალებს, დესპოტების მსგავსად, ალბათ გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე ექნებოდათ, სამეფოებად და ოჯახებად დაყოფილი და დანაწევრებული სამყარო გონების ძალისხმევით მოპოვებული კანონებით რომ იმართებოდეს; მაგრამ ამ ძალაუფლების მოპოვებაში მათი ხასიათი გადაგვარდა და უზნეობა მთელ საზოგადოებას მოედო. უმრავლესობამ ერთეულებიც აიყოლია. ამდენად გავბედავ და განვაცხადებ, რომ ვიდრე არ დაიწყება ქალების უფრო რაციონალურად აღზრდა, მასში ადამიანური ღირსების გაძლიერებისა და მისი ცოდნის გაუმჯობესების მცდელობა ყოველთვის წინააღმდეგობებით აღსავსე იქნება. ხოლო თუ დაეუშვებთ, რომ ქალი არ არის მხოლოდ იმისთვის შექმნილი, რომ მამაკაცის სურვილები დააკმაყოფილოს ან მისი მაღალი რანგის მსახური იყოს, რომელიც მას საკვებით უზრუნველყოფს და თეთრეულს ურეცხავს, მაშინ შედეგად უნდა მივიღოთ ის, რომ დედებმა და მამებმა, თუკი გოგონების აღზრდა მათთვის მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ქალიშვილების სხეულის გაძლიერებაზე თუ არა, იმაზე მაინც უნდა იზრუნონ, რომ მშვენიერებისა და ქალური სრულყოფილების მცდარი ცნებებით არ დაუსახირონ აღნაგობა. თავად გოგონებიც აქტიურად უნდა დავიცვათ მავნებელი წარმოდგენებისგან, რომ, მაგალითად,

* “აბსტრაქტულ და სპეკულაციურ ჭეშმარიტებათა, პრინციპთა და აქსიომათა, მოკლედ, ყველაფრის, რაშიც განზოგადდება ჩვენი იდეები, გამოკვლევა არ არის ქალების შესაფერისი საქმიანობა; მათი აღზრდა პრაქტიკულ საკითხებს უნდა ეხებოდეს; მათი საქმეა კაცების მიერ აღმოჩენილი პრინციპების გამოყენება; მათი როლი კი — დაკვირვება; ხოლო კაცები დაკვირვებას ზოგადი პრინციპების დასადგენად იყენებენ. ქალების ყველა იდეა, რომელიც უშუალოდ არ ეხება მოვალეობის საკითხებს, მიმართული უნდა იყოს კაცების შესწავლისა და მათთვის სასიამოვნო ღირსებათა მოპოვებისაკენ; რადგან გენიალური ნაშრომები მათი შესაძლებლობების მიღმაა; მათ არ აქვთ არც საკმარისი სიზუსტე და არც ყურადღება, რათა წარმატებას მიაღწიონ მეცნიერებებში, რომლებიც გულმოდგინებას მოითხოვს; ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ ცოდნას, ის მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, ვინც ყველაზე აქტიური, ყველაზე ცნობისმოყვარეა, ვინც სწვდება საგნების უდიდეს მრავალფეროვნებას; მოკლედ, ეს მათი საქმეა, ვისაც უძლიერესი უნარი აქვს და ვინც ამ უნარს საუკეთესოდ იყენებს, რათა იმსჯელოს გრძნობად საგნებსა და ბუნების კანონებს შორის მიმართებებზე. ქალმა, რომელიც ბუნებრივად სუსტია და საკუთარ იდეებს საკმაოდ ღრმად არ ავითარებს, იცის, როგორ განსაჯოს და შეაფასოს სწორად ის მოვლენები, რომელთაც თავად ინვებს თავისი სისუსტის შესამსუბუქებლად; და ეს მოვლენები კაცების ვნებას უკავშირდება. მექანიზმები, რომელთაც იგი იყენებს, ბევრად უფრო მძლავრია, ვიდრე ჩვენი, რადგან ყველა მისი ბერკეტი ადამიანისთვის გულისშემძვრელია. ქალი დაოსტატებული უნდა იყოს იმაში, რომ გაგვაკეთებინოს ყველაფერი ის, რისი გაკეთების საშუალებასაც მას მისი სქესი არ მისცემს და რაც აუცილებელი ან სასიამოვნოა მისთვის; ამიტომ მან ზედმინეწით უნდა შეისწავლოს კაცის გონება — არა მამაკაცის გონება ზოგადად, განყენებულად, არამედ იმ მამაკაცთა მიდრეკილებები, რომელთაც ის ექვემდებარება თავისი ქვეყნის კანონების ან გაბატონებული აზრის ძალით. ქალმა უნდა ისწავლოს მამაკაცთა რეალურ გრძნობებში შეღწევა მათი საუბრის, ქმედებების, მზერისა და შესტების საშუალებით. ის ასევე უნდა ფლობდეს საკუთარი საუბრით, ქმედებით, მზერითა და შესტებით მათთვის სასიამოვნო გრძნობების ისე გადაცემის ხელოვნებას, რომ არ ეტყობოდეს საკუთარი განზრახვა. მამაკაცები უფრო ფილოსოფიურად მსჯელებენ ადამიანის გულზე; ხოლო ქალებს უკეთესად შეუძლიათ მამაკაცის გულის წაკითხვა. ქალების საქმეა — თუ შეიძლება ასე ითქვას — ჩამოაყალიბონ ექსპერიმენტული მორალი და კაცების შესწავლა სისტემაზე დაიყვანონ. ქალები უფრო მოხერხებულნი არიან, კაცები — უფრო ნიჭიერები; ქალები აკვირდებიან, კაცები აზროვნებენ. ორივეს თანხვედრით ჩვენ ვიღებთ ყველაზე კაშკაშა სინათლეს და ყველაზე სრულყოფილ ცოდნას, რისი მიღწევაც შეუძლია ადამიანის გონებას საკუთარი ძალებით. ერთი სიტყვით, აქედან ჩვენ ვიძენთ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების შესახებ ყველაზე სიღმისეულ ცოდნას, რაც ჩვენს ბუნებას ხელეწიფება; სწორედ ამიტომ ხელოვნება ყოველთვის მიდრეკილია სრულყოფის უნარები, რომლებიც ბუნებამ დაგვანათლა. სამყარო არის ქალების მიერ ნასაკითხი ნიგნი.” — რუსო, *ემილი*.

იმედი მაქვს, ჩემს მკითხველებს კიდევ ახსოვთ ქალების და ოფიცრების ჩემი უფლები შედარება.

ნაკლი შეიძლება სრულყოფილებად აქციოს გონიერმა მსჯელობამ. ამ თვალსაზრისით მე მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენს საუკუნეში დანერილ საბავშვო წიგნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო წიგნის ავტორის აზრი ჩემს მოსაზრებას ემთხვევა. ჩვენს თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი მისი შენიშვნის ციტირებას გავაკეთებ, რათა არგუმენტებს მისი პატივცემული ავტორიტეტის ძალა შევმატო.*

მაგრამ განა შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ, რადგან ქალი ბუნებრივად მამაკაცზე სუსტია, აქედან იმთავითვე გამომდინარეობს, რომ მან უნდა სცადოს იმაზე უფრო სუსტი გახდეს, ვიდრე ეს ბუნებამ ჩაიფიქრა? ამ ყაიდის არგუმენტები აღაშფოთებს საღ აზრს და აამებს ვნებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ განათლებულ დროში საშიში აღარ უნდა იყოს მეფეთა ღვთაებრივი უფლების მსგავსად ქმრების ღვთაებრივი უფლების ეჭვქვეშ დაყენება; თუმცა ამან შეიძლება ვერ დაადუმოს ბევრი მგზნებარე მოკამათე, რადგანაც, როცა რომელიმე გაბატონებულ ცრურწმენას ესხმიან თავს, ბრძენი ყოველთვის დაფიქრდება, გონებაშეზღუდული კი გააგრძელებს სიახლის დაუფიქრებელი გააფთრებით ლანძღვას.

დედამ, რომელსაც სურს თავის ქალიშვილს ჭეშმარიტად ღირსეული ხასიათი ჩამოუყალიბოს, უმეცართა დაცინვების მიუხედავად უნდა მისდიოს გეგმას, რომელიც დიამეტრულად უპირისპირდება იმ გეგმას, რომელსაც რუსო მჭევრმეტყველებისა და ფილოსოფიური სოფისტიკის მაცდუნებელი ხიბლით გვიჩვენებს; მისი მჭევრმეტყველება დამაჯერებელს ხდის ყველაფერ იმას, რაც აბსურდულია, ხოლო მისი დოგმატური დასკვნები საგონებელში აგდებს ადამიანს, თუმცა არ არის დამარწმუნებელი იმისათვის, ვისაც არ შესწევს მათი უარყოფის ძალა.

ცხოველთა მთელ სამყაროში ყველა ახალგაზრდა არსებას თითქმის გამუდმებული ვარჯიში სჭირდება. და შესაბამისად ბავშვებმაც ყრმობა უნდა გაატარონ უვნებელ მხიარულებაში, რომელიც ავარჯიშებს ფეხებს და ხელებს და რომელიც არ მოითხოვს გონების მიერ ძალიან ზედმინევენით ხელმძღვანელობას ან ძიძის მუდმივ ყურადღებას. ფაქტობრივად თვითგადარჩენისთვის აუცილებელი ზრუნვა გონების პირველი ბუნებრივი ვარჯიშია, რადგან პატარა გამოგონებები, გართობას რომ ისახავს მიზნად, წარმოსახვას ავითარებს. მაგრამ ბუნების ამ ბრძნულ ჩანაფიქრს წინააღმდეგობას უწევენ არასწორი მზრუნველობით და ბრმა გულმოდგინებით. ბავშვს ერთი ნუთითაც არ ტოვებენ საკუთარი თავის ამარა, განსაკუთრებით გოგონას, და ამდენად მას დამოკიდებულს ხდიან. ვილაცაზე დამოკიდებულად ყოფნას კი ბუნებრივს უწოდებენ.

ქალური ბრწყინვალეების შესანარჩუნებლად მისი სხეულის ნაწილებს და ფიზიკურ უნარს ჩინურ არტახებზე უარესად ზღუდავენ; ხოლო ცხოვრების მჯდომარე წესი, რომელიც მას მისჯილი აქვს, როცა ბიჭები გარეთ თამაშობენ, ასუსტებს კუნთებს და აღუნებს ნერვებს. რაც

* "პატივსაცემი მოხუცი კაცი ასე გონივრულად აღწერს მეთოდს, რომელსაც თავისი ქალიშვილის აღზრდისას იყენებდა: "ვცდილობდი მისი გონებისთვისაც და მისი სხეულისთვისაც მიმეცა ისეთი ძალა, რომელიც იშვიათად შეგვხვდება ქალთა სქესში. როგორც კი ის საკმაოდ მოძლიერდა იმისთვის, რომ შეეძლო მიწათმოქმედების და მე-ბაღების შედარებით მსუბუქი სამუშაოების შესრულება, მუდმივად თან დავატარებდი. სელენი — ასე ერქვა ჩემს ქალიშვილს — მალე გაინაფა ყველა ამ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში და ეს ჩემში თანაბრად ინვესტა სიამოვნებას და აღფრთოვანებას. ის, რომ საზოგადოდ ქალები სხეულითაც და გონებითაც სუსტები არიან, უფრო აღზრდის შედეგია, ვიდრე ბუნებისა. ჩვენ წავახალისებთ მანკიერ სიზარმაცეს და უმოქმედობას, რასაც ჩვენ შეცდომით დელიკატურობას ვუწოდებთ. განსჯისა და ფილოსოფიის შედარებით მკაცრი პრინციპებით მათი გონების გაძლიერების ნაცვლად მათ ვაჩვენებთ უსარგებლო საქმიანობას, რასაც შედეგად ამაოება და მგრძობიარობა მოაქვს. იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ვყოფილვარ, ხმის მოდულაციაზე ან სხეულის უსარგებლო პოზებზე უფრო ღირებულს ქალებს არაფერს ასწავლიან; მათი დრო იხარჯება უსაქმურობაში ან უმნიშვნელო საქმეებში და უმნიშვნელო საქმეები ხდება ერთადერთი რამ, რამაც შეიძლება მათ ინტერესი აღუძრას. ჩვენ თითქოს გავაინყვებთ, რომ სწორედ ქალთა სქესის თვისებებზეა დამოკიდებული ჩვენი საკუთარი ოჯახური მყუდროება და ჩვენი ბავშვების აღზრდა. და როგორი მყუდროების ან აღზრდის უზრუნველყოფა შეუძლიათ არსებებს, რომლებიც ჩვილი ასაკიდანვე გარყვნილები არიან და არ იცნობენ ცხოვრებისეულ მოვალეობებს? უსარგებლო ოსტატობა მუსიკალურ ინსტრუმენტთან მოპყრობაში, უმაქნისი და გარყვნილი ახალგაზრდა მამაკაცების თვალწინ საკუთარი ბუნებრივი თუ მოჩვენებითი სინატიფის გამოვლენა, ნაძალადევი და არააუცილებელ ხარჯებში მათი ქმრების მემკვიდრეობის გაფლანგვა — მხოლოდ ამ ხელოვნებების კულტივაციას ეწევა ქალებში ჩემთვის ცნობილი განვითარებული ერების უმრავლესობა. და შედეგები ყოველთვის ისეთია, როგორც მანკიერ მიზეზებს შეესაბამება — პიროვნული სასუსტე და საზოგადო მონობა.

მაგრამ სელენის განათლება განსხვავებული თვალსაზრისითა და უფრო მკაცრი პრინციპებით წარიმართებოდა — თუ შეიძლება სიმკაცრე ვუნოდოთ იმას, რაც გონებას მორალური და რელიგიური მოვალეობებისთვის უხსნის კარს და ყველაზე ეფექტურად აღჭურავს მას ცხოვრების გარდაუვალი ბოროტების წინააღმდეგ"; Day, Sandford and Merton, vol. iii.

შეეხება რუსოს შენიშვნებს, რომლებიც მის შემდეგ რამდენიმე ავტორმა გაიმეორა, რომ გოგონებს ბუნებრივად, ანუ დაბადებიდან, აღზრდისგან დამოუკიდებლად უყვართ თოჯინები, ჩასაცმელი და ლაქლაქი, იმდენად გულუბრყვილოა, რომ სერიოზულ კრიტიკასაც კი არ იმსახურებს. მართლაც, ძალიან ბუნებრივია, რომ გოგონა, რომელსაც მისჯილი აქვს საათობით სახლში ჯდომა და სუსტი ძიძების ამაო ლაქლაქის მოსმენა ან იმის ყურება, თუ როგორ იპრანჭება სარკის წინ დედამისი, მოინდომებს საუბარში ჩართვას ან მიბაძავს დედას და დეიდეებს და თავს თავისი უსიცოცხლო თოჯინის მორთვით შეიქცევს. საწყალი უცოდველი ბავშვი! ეს მართლაც არის ყველაზე ბუნებრივი შედეგი, რადგან უდიდესი უნარის მქონე მამაკაცებსაც იშვიათად ჰყოფნით გარემოცვაზე ამაღლების ძალა. და თუ გენიოსთა სტრიქონებიც კი ყოველთვის ეპოქის ცრურწმენებით იყო შერყენილი, ცოტა უნდა შევფხვნილიყავით სქესს, რომელიც, მეფეთა მსგავსად, საგნებს ყოველთვის მრუდე სარკეში ხედავს.

ამრიგად, ქალებში გამოპრანჭვის აშკარად გამოხატული სიყვარული იოლად შეიძლება აიხსნას იმის დაშვების გარეშე, რომ ეს არის შედეგი მათი სურვილისა ასიამოვნონ სქესს, რომელზეც დამოკიდებული არიან. მოკლედ, ის აბსურდული დაშვება, რომ გოგო ბუნებრივად კეკლუცია და რომ გამრავლების ბუნებრივ იმპულსთან დაკავშირებული სურვილი უკვე მანამდეც უნდა იჩენდეს თავს, ვიდრე არასწორ აღზრდას წარმოსახვის აღზნებით ის ნაადრევად გამოუწვევია, იმდენად არაფილოსოფიურია, რომ ისეთი ბრძენი დამკვირვებელიც კი, როგორც რუსოა, არ გაიზიარებდა მას, შეჩვეული რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულობის სურვილის გონებაზე, საყვარელი პარადოქსის კი ჭეშმარიტებაზე მალა დაყენებას.

მაგრამ გონებისთვის სქესის მინიჭება არცთუ კარგად ეთანხმება იმ ადამიანის პრინციპებს, რომელიც ასე კარგად ასაბუთებდა სულის უკვდავებას. მაგრამ რა სუსტი ბარიერია ჭეშმარიტება, როცა ის ჰიპოთეზას ეღობება წინ! რუსო პატივს სცემდა, თითქმის ეთაყვანებოდა ღირსებას, მაგრამ მაინც მისცა თავს ხორციელი სიყვარულის უფლება. მისი წარმოსახვა გამუდმებით აწვდიდა აალებად სანვავს მის ცხოველ გრძნობებს; ხოლო ამ გრძნობებთან თავშეკავების, სიმტკიცის და იმ ჰეროიკული სათნოებების მიმართ თავისი პატივისცემა რომ შეეთანხმებინა, რომელთაც მისი გონება გულგრილად ვერ მოეკიდებოდა, მან ბუნების კანონის შებრუნება სცადა და წამოაყენა მოძღვრება, რომელიც სავსეა მავნებლობით და დამამცირებელია უზენაესი სიბრძნის ბუნებისთვის.

მისი სასაცილო ამბები, რომელთა საშუალებით ის, ყოველდღიური მაგალითების გათვალისწინების გარეშე, ცდილობს დამტკიცოს, რომ გოგონების ყურადღება ბუნებრივად არის მიმართული საკუთარ თავზე, ზიზღსაც არ იმსახურებს. ხოლო ამბავი, რომელშიც ერთ პატარა ქალბატონს ისეთი კარგი გემოვნება ჰქონდა, რომ უარი თქვა ასო „ო“-ს დაწერაზე, ვინაიდან თვლიდა რომ ეს უღამაზო საქციელი იყო, განსწავლული ღორების ანეკდოტების კრებულში შეტანას იმსახურებს.*

მე, ალბათ მეტი შესაძლებლობა მქონდა პატარა გოგონებს დავკვირვებოდი, ვიდრე ჟ. ჟ. რუსოს. შემიძლია გავიხსენო საკუთარი გრძნობებიც და ისიც, რასაც გარშემო ვხედავდი; მაგრამ სულ არ ვეთანხმები რუსოს აზრს ქალური ბუნების პირველი გამოღვიძების შესახებ. პირიქით, ვამტკიცებ, რომ გოგონა, რომელსაც ჯერ არ დაობებია სული უმოქმედობით, ან არ შერყენია უმანკოება ყალბი სირცხვილით, აუცილებლად მოუსვენარი იქნება და არასოდეს დაინტერესდება თოჯინით, თუკი ჩაკეტილობამ მას ყველა ალტერნატივა არ წაართვა. მოკლედ, გოგონები და ბიჭები უვნებლად ითამაშებდნენ ერთად, სქესთა შორის განსხვავების ჩანერგვა იმაზე ბევრად ადრე რომ არ მომხდარიყო, ვიდრე ბუნება გაავლებდა რაიმე განსხვავებას. მე უფრო შორსაც წავალ და ვიტყვი, რომ ჩემს ნაცნობობაში იმ ქალთა უმრავლესობას, რომლებიც რაციონალურად მოქმედებდნენ ან ინტელექტის ძალას ავლენდნენ, შემთხვევით მიეცა საშუალება თავისუფლად

* “ერთხელ შევხვდი ახალგაზრდას, რომელმაც წერა კითხვაზე ადრე ისწავლა და ნემსით დაიწყო წერა, სანამ კალმის გამოყენებას შესძლებდა. თავიდან მან აიკვირა და “ო“-ს გარდა არც ერთ სხვა ასოს არ წერდა: ის გამუდმებით ხატავდა ამ ასოს სხვადასხვა ზომით, და ყოველთვის არასწორად. ერთ დღეს, ამ საქმიანობით გართულმა, მან თავისი თავი სარკეში დაინახა; არ მოეწონა წერისას თავისი დაძაბული პოზა, კალამი პალადასავით მოისროლა და გადაწყვიტა აღარასოდეს დაეწერა “ო”. მისი ძმაც ზუსტად ისევე გაურბოდა წერას; მაგრამ არა დაძაბული პოზის, არამედ ჩაკეტილ სივრცეში ყოფნის სიძულვილის გამო”; რუსო, *ემილი*.

ერბინა ბავშვობაში; ამას გადაკვრით მშვენიერი სქესის ზოგი ელეგანტური წარმომადგენელიც შენიშნავს.

ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჯანმრთელობის მიმართ უყურადღებობის შედეგები იმაზე უფრო შორს მიდის, ვიდრე ფიქრობენ — სხეულის დამოუკიდებლობის შეზღუდვა ბუნებრივად ინვესტ გონების დამოუკიდებლობის შეზღუდვასაც. და როგორ შეიძლება კარგი ცოლი ან დედა იყოს ის, ვისი დროის უდიდესი ნაწილიც ავადმყოფობისგან თავის დაცვაზე ან გადარჩენაზე იხარჯება? არც იმას უნდა ველოდეთ, რომ ქალი გადაწყვეტს სცადოს საკუთარი აღნაგობის გაძლიერება და თავს აარიდებს დამასუსტებელ ცდუნებებს, თუ მისი ქმედების განმსაზღვრელ მოტივებში თავიდანვე გადაიხლართა სილამაზის ხელოვნური ცნებები და მგრძნობიარობის მცდარი აღწერა. კაცების უმრავლესობა იძულებულია შეეგუოს ხოლმე სხეულებრივ უსიამოვნებას და ხანდახან სტიქიის სისასტიკეც გადაიტანოს; ხოლო ნაზი ქალები, პირდაპირი მნიშვნელობით, თავიანთი სხეულების მონები არიან და ამ მონობაში ბრწყინავენ.

ერთხელ ერთ სუსტ, მოდის მიმდევარ ქალს შევხვდი, რომელიც ჩვეულებრივზე მეტად ამაყობდა თავისი სიფაქიზით და მგრძნობიარობით. მას სჯეროდა, რომ უცნაური გემოვნება და უმადობა ყველა ადამიანურ სრულყოფილებაზე მაღლა დგას და შესაბამისადაც იქცეოდა. შევესწარი, როგორ უგულბელყოფდა ეს სუსტი, დახვეწილი არსება ყველა ცხოვრებისეულ მოვალეობას: დივანზე თვითკმაყოფილებით მიწოლილი, იგი ამაყობდა თავისი უმადობით, როგორც სიფაქიზის დამადასტურებელი საბუთით — სიფაქიზის, რომლის შედეგიც, ან შეიძლება რომლის მიზეზიც იყო მისი განსაკუთრებული მგრძნობიარობა; მართლა ძნელია გასაგებად თარგმნო ასეთი უცნაური ჟარგონი. თუმცა აქვე მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ შეურაცხყო მან ღირსეული ხნიერი ქალბატონი, რომელიც მოულოდნელი უბედურების გამო მის მოჩვენებით გულუხვობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული და რომლისგანაც ის ადრე დავალებული იყო. როგორ შეიძლება ადამიანი ასეთ სუსტ და ნამხდარ არსებად ქცეულიყო, სიბარიტელების მსგავსად ფუფუნებაში ჩაფლულს სრულიად რომ არ დაეკარგა ღირსება ან ქცევის ნესების შესახებ დამოდვრის გარეშე რომ არ გაზრდილიყო, რომელიც, მართალია, გონების განვითარებისათვის ცუდი ჩანაცვლებაა, მაგრამ მაინც შეიძლება აღმოჩნდეს მანკიერებისგან დამცველი?

ასეთი ქალი სულაც არ არის იმ რომაელ იმპერატორებზე უფრო მეტად ირაციონალური, რომლებიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობენ. მას შემდეგ, რაც მეფეები კანონისა და, მართალია, სუსტი, მაგრამ მაინც ღირსების ძალით შედარებით შეიზღუდნენ, უგუნურობითა და სისასტიკით გამორჩეულ არაბუნებრივ შემთხვევებს გაცილებით იშვიათად აქვს ადგილი. ხოლო დესპოტიზმი, რომელიც სათნოებასა და ნიჭს ჩანასახშივე კლავს, ველარ ბობქრობს ევროპაში იმ გამანადგურებელი ძალით, რომელიც აპარტახებს თურქეთს, იქ მცხოვრებ ადამიანებს და მათ მიწასაც უნაყოფოს ხდის.

ქალები ყველგან ამ სავალალო მდგომარეობაში არიან; რადგან მათი უმანკოების, როგორც თავაზიანად უწოდებენ უმეცრებას, შესანარჩუნებლად მათ ჭეშმარიტებას უმაღავენ; ისინიც იძულებული არიან მოირგონ ხელოვნური ხასიათი უკვე მანამდე, სანამ მათი უნარები გაძლიერდება. მათ ბავშვობიდან ასწავლიან, რომ სილამაზით მიიღწევა ძალაუფლება, ხოლო მათი გონებაც სხეულს ერგება; და თავის მოოქროვილ გალიაში გამომწყვდეული, მხოლოდ ამ საპყრობილის გალამაზებას ესწრაფვის. მამაკაცების ყურადღება მიმართულია სხვადასხვა საქმიანობისა და მისწრაფებისკენ, რომლებიც მათ გონებას აყალიბებენ. ხოლო ქალების ძირითადი საზრუნავი ერთი რაღაცის გარშემო ტრიალებს და ისინი გამუდმებით ფიქრობენ იმაზე, რაც მათში ყველაზე უმნიშვნელო რამაა; ამიტომ მათი თვალსაზრისი იშვიათად სცილდება უშუალოდ აწმყო ინტერესებს. მაგრამ თუ მათი აზროვნება ოდესმე გათავისუფლდება იმ მონობისგან, რომელშიც ისინი ჩააგდო, ერთი მხრივ, მამაკაცების ამპარტავნებამ და ავხორცობამ, და, მეორე მხრივ, საკუთარმა შეზღუდულმა მისწრაფებებმა (ანმყოფი მბრძანებლობის სურვლმა, ტირანის ბატონობისკენ სწრაფვას რომ ჰგავს), მაშინ ალბათ მათ სისუსტეზე აღარ ვისაუბრებთ. ნება უნდა მომცეთ, ეს არგუმენტი ცოტა მეტად გავშალო.

თუ დავეშვებით ბოროტი ძალის არსებობას, რომლის მიზანიც, წმინდა წერილის ალეგორიულ ენაზე რომ ვთქვათ, სულთა დაღუპვაა, ის ალბათ ვერ იპოვნიდა ადამიანის ხასიათის

გადასავარებად იმაზე ეფექტურ საშუალებას, ვიდრე იმას, რომ მამაკაცისთვის აბსოლუტური ძალაუფლება მიეცა.

ამ არგუმენტის განვითარება მრავალი სხვადასხვა გზით შეიძლება. წარმომავლობა, სიმდიდრე და ყველა გარეგანი უპირატესობა, რომლებიც ადამიანს ყოველგვარი გონებრივი ძალისხმევის გარეშე მის თანამოძმეებზე მაღლა აყენებენ, სინამდვილეში მას სხვებზე უფრო ქვემოთ ძირავენ. ამ სისუსტის პროპორციულად მას თავის ჭკუაზე ატარებენ მზაკვარი ადამიანები, სანამ გაბლენძილი მონსტრი ადამიანობის ყველა ნასახს არ დაკარგავს. აზრი, რომ ადამიანთა მასა ცხვრის ფარასავით მშვიდად უნდა მიჰყვეს ასეთ ლიდერს, შეცდომაა, რომელიც მხოლოდ ანმყოში სიამოვნების მიღების სურვილით და შეზღუდული აზროვნებით შეიძლება აიხსნას. მონურ დამოკიდებულებაში აღზრდილ და ფუფუნებით და უმაქნისობით დაუძღურებულ მამაკაცებს შორის განა მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც ხმას აიმაღლებდა მამაკაცის უფლებების დასაცავად ან პრეტენზიას განაცხადებდა სრულყოფის ერთადერთი გზის მქონე მორალური არსების პრივილეგიაზე? ჯერ კიდევ არ გამქრალა მონარქების და მინისტრების მიმართ მონობა, რომლისგან გასათავისუფლებლად სამყაროს დიდი დრო დასჭირდება და რომლის მომკვდინებელი მარწუხები აჩერებს ადამიანის გონების წინსვლას.

თუ ასეა, დაე ნუ იამაყებენ მამაკაცები ძალაუფლებით და ნუ გამოიყენებენ იმავე არგუმენტებს, რომელთაც ტირანი მეფეები და მოალაღატე მინისტრები ეყრდნობოდნენ; და ნუ ამტკიცებენ სიცრუეს, რომ ქალი დაქვემდებარებული უნდა იყოს, რადგან ასე იყო ყოველთვის. პირიქით, თუ გონივრული კანონებით მმართველობისას კაცი თავისი ბუნებრივი თავისუფლებით სარგებლობს, დაე მას ეზიზღებოდეს ქალი, თუ ამ უკანასკნელს არ ექნება სურვილი, თავისუფლება გაიზიაროს; ამ დიდებული დროის დადგომამდე კი ყოველთვის, როცა ქალთათვის დამახასიათებელი სისულელის განხილვას დაიწყებს, საკუთარიც ნუ დაავიწყდება.

მართალია, ქალები, რომლებიც ძალაუფლებას უსამართლო საშუალებებით, მანკიერების ჩადენით ან ნახალისებით იძენენ, აშკარად კარგავენ იმ პატივს, რომელსაც გონება მიაგებდა მათ; და ისინი ან საცოდავ მონებად ან ჭირვეულ ტირანებად იქცევიან. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ისინი კარგავენ მთელ უბრალოებას, გონების მთელ ღირსებას და ისევე იქცევიან, როგორც მამაკაცები, როდესაც ეს უკანასკნელნი დანიშნულებისთვის იმავე საშუალებებს იყენებენ.

დროა დავიწყოთ რევოლუცია ქალთა ცხოვრების წესში, დროა მათ დავუბრუნოთ დაკარგული ღირსება და ვაიძულოთ ისინი, რომ, როგორც ადამიანთა გვარის წარმომადგენლებმა, საკუთარი თავის გარდაქმნით სამყაროს გარდაქმნისთვის იღვანონ. დროა გავმიჯნოთ მარადიული მორალი ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისაგან. თუ მამაკაცები ნახევრადღმერთები არიან, რატომ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ვემსახურით მათ! და თუ ქალური სულის ღირსება ისევე სადავოა, როგორც ცხოველებისა, თუ მათი გონება არ გვანვდის ქცევის წარმართვისთვის საკმარის სინათლეს, როცა უცდომელი ინსტინქტი უარყოფილია, მაშინ ისინი მართლა ყველა არსებაზე საცოდავები ყოფილან! და ბედისწერის რკინის ხელით მოდრეკილებმა უნდა აღიარონ, რომ შემოქმედის *მშვენიერ შეცდომას წარმოადგენენ*. მაგრამ იმის გამართლება, რატომ მოექცა განგება მათ ასე, მოძებნა იმ ურყევი საფუძვლისა, რომლის გამოც მან კაცობრიობის ასეთი დიდი ნაწილი ამგვარად, თან პასუხისმგებლად და თან არაპასუხისმგებლად, შექმნა, ყველაზე განაფულ კაზუისტსაც საგონებელში ჩააგდებდა.

მორალის ერთადერთ მყარ საფუძველს უზენაესი არსება წარმოადგენს; მისი ბუნების ჰარმონია დაბალანსებული თვისებების ტოლფასია; და თუკი მთელი მონინებით ვიტყვით, ერთი თვისება გულისხმობს სხვა თვისების *აუცილებლობას*. იგი (უზენაესი არსება) აუცილებლად სამართლიანია, რადგანაც ბრძენია; ის კეთილია, რადგან ყოველისშემძლეა. მხოლოდ ერთი თვისების მნიშვნელობის გაზრდა რომელიმე სხვა, ასევე კეთილშობილი და აუცილებელი თვისების ხარჯზე ადამიანის დამახინჯებული აზროვნების შედეგია, ვნების საფასურად გადახდილი ხარკია. ადამიანი, რომელიც თავიდანვეა შეჩვეული ძალის წინაშე ქედის მოხრას, იშვიათად ახერხებს თავი დააღწიოს ამ ბარბაროსულ ცრურწმენას მაშინაც კი, როცა ცივილიზაცია განსაზღვრავს, რამდენად აღემატება გონებრივი ძალა სხეულებრივს; ასეთი

ადამიანის გონება დაბინდულია ამ უხეში მოსაზრებებით მაშინაც, როცა ის ღვთაებაზე ფიქრობს. ადამიანის თვალში ღვთაების ყოვლისშემძლეობა მის სხვა თვისებებს შთანთქავს ან მათზე ბატონობს; მიიჩნევენ, რომ ღვთაების ძლევამოსილებას უპატივცემულოდ აკნინებენ ის მოკვდავები, ვისი აზრითაც ღვთების ძლევამოსილება მისივე სიბრძნით უნდა რეგულირდებოდეს.

მე უკუვაგაღებ იმ მოჩვენებით თვინიერებას, რომელიც ბუნების გამოკვლევის შემდეგ შემოქმედთან (უზენაესი არსება, როგორც შემოქმედი) დაკავშირებით ჩნდება. უმაღლეს და უძლიერეს არსებას, მარადისობაში რომ სახლობს, უეჭველია მრავალი ისეთი ატრიბუტი ახასიათებს, რომელთა გაგება ჩვენ არ შეგვიძლია; მაგრამ გონება მკარნახობს, რომ არ შეიძლება ეს თვისებები ენინააღმდეგებოდეს იმათ, რომელთაც მე ვეთაყვანები. და მე ვალდებული ვარ ვუსმინო გონების ხმას.

თითქოს ბუნებრივია, რომ ადამიანი სრულყოფილებას ეძებს და ან აღმოაჩენს თავისი თაყვანისცემის ობიექტში ან კი ბრმად მიაწერს მას. როგორც სამოსელით, ბრმად მიაწერს. მაგრამ რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ასეთმა თაყვანისცემამ რაციონალური არსების მორალურ ქცევას? ის ქედს იხრის ძალის წინაშე; ის აღმერთებს შავ ღრუბელს, რომელიც შეიძლება გაიფანტოს და სინათლისაკენ გზა გაუხსნას მას ან კიდევ მის ერთგულ თავს მრისხანე, აუხსნელი მძვინვარება დაატეხოს, თანაც გაუგებარი მიზეზის გამო. თუ დაუშვებთ, რომ ღვთაება უმართავი ნების ბუნდოვანი იმპულსით მოქმედებს, ადამიანმაც საკუთარ ნებას უნდა მისდოს, ანუ იმოქმედოს იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომელთაც ის მკრეხელურად მიიჩნევს. ამ დილემას აწყდებოდნენ როგორც ემოციებით გამსჭვალული, ისე ცივი გონებით მოაზროვნე ადამიანები, როცა ცდილობდნენ ადამიანის გათავისუფლებას იმ მორალური შეზღუდვებისგან, რომელთაც ღმერთის ბუნების მართებული გაგება გვიწესებს.

გამოდის, რომ სულაც არ არის მკრეხელობა ყოვლისშემძლის თვისებები განვიხილოთ; მეტიც, ამას თავს ვერ აარიდებს ვერავინ, ვინც საკუთარ უნარებს იყენებს. რადგან ღმერთის, როგორც სიბრძნის, სიკეთის და ძლიერების წყაროს, სიყვარული თაყვანისცემის ერთადერთი ფორმა უნდა იყოს, რომელიც სასარგებლოა სათნოების ან ცოდნის მაძიებელი არსებისთვის. ბრმა და ბობოქარი სიყვარული, ადამიანის ვნებების მსგავსად, შეიძლება იპყრობდეს გონებას და ათბობდეს გულს, მაგრამ მასში დავიწყებას მიეცემა ჩვენს ღმერთთან ერთად სამართლის ქმნა, სიკეთის სიყვარული და თავმდაბალი ქცევა. ამ თემას კიდევ უფრო ჩავუღრმავებთ, როცა რელიგიას განვიხილავ იმ პოზიციიდან, რომელიც უპირისპირდება დოქტორი გრეგორის მიერ შემოთავაზებულ თვალსაზრისს. ეს უკანასკნელი რელიგიას გრძნობის ან გემოვნების საკითხად მიიჩნევს.

დროა ეს აშკარა გადახვევა დავასრულო. სასურველია, რომ ქმრების მიმართ ქალების სიყვარული იმავე პრინციპს ემყარებოდეს, რომელიც, ამავე დროს, ერთგულების საფუძველი უნდა იყოს. დედამინის ზურგზე სხვა არც ერთი მყარი საფუძველი არ არსებობს, ამიტომ ისინი უნდა უფრთხილდნენ მგრძნობიარობის მაცდურ სინათლეს; მგრძნობიარობა ძალიან ხშირად გამოიყენება ავტორიტეტის უფრო შერბილებულ სახელად. ამიტომ, ჩემი აზრით, ქალები ან აღმოსავლელი პრინციპებით ბავშვობიდანვე ჩაკეტილნი და გარე სამყაროს მონყვეტილნი უნდა იყვნენ, ან იმგვარად აღიზარდონ, რომ დამოუკიდებლად ფიქრი და მოქმედება შეეძლოთ.

რატომ უჭირთ მამაკაცებს ამ ორ მოსაზრებას შორის არჩევანის გაკეთება და ელიან შეუძლებელს? რატომ მოითხოვენ ისინი სათნოებას მონისგან — არსებისგან, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წყობამ სუსტი გახადა, თუ მანკერი არა?

და მაინც, ვიცი, რომ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება სენსუალისტების მიერ დანერგილი ღრმად ფესვგადგმული ცრურწმენების აღმოფხვრას; გარკვეული დრო დასჭირდება ქალების იმაში დარწმუნებასაც, რომ ისინი საბოლოო ანგარიშში თავიანთი რეალური ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ, როცა სიფაქიზის სახელით სისუსტეს ელოლიავენ ან თამაშობენ; ასევე რთული იქნება მსოფლიოს დარწმუნება იმაში, რომ ქალურ მანკიერებათა და სისულელეთა (თუ აუცილებლად ტრადიციას უნდა მივყვე, სინონიმურ ტერმინებს არაზუსტი აზრით ვიხმარ) მონამღვრული წყაროა ის ხორციელი ხარკი, რომელსაც სილამაზისთვის, ნაკვთების სილამაზისთვის გაიღებენ; მართლაც მოსწრებულად შენიშნა ერთმა გერმანელმა მწერალმა, რომ

ყველა ჯურის მამაკაცი სურვილის ობიექტად ერთსულოვნად აღიარებს ლამაზ ქალს; ხოლო გონიერ ქალს, რომელიც უფრო ამაღლებულ ემოციებს აღძრავს თავისი ინტელექტუალური მომხიბვლელიობით, ალბათ ვერ შეამჩნევენ ან გულგრილად შეხედავენ ის კაცები, რომლებიც ბედნიერებას თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებაში პოულობენ. თუმცა მე ამავე დროს ვაცნობიერებ ერთ წინააღმდეგობას — ვიდრე მამაკაცი ისეთ არასრულყოფილ არსებად რჩება, როგორც ის ყოველთვის იყო, ის, მეტად ან ნაკლებად, თავისი სურვილების მონა იქნება; ამიტომ ის ქალები მოიპოვებენ უდიდეს გავლენას, რომლებიც მათ ყველაზე ძლიერ სურვილს აკმაყოფილებენ; ამდენად ქალთა სქესის დაკნინება თუ მორალური არა, ფიზიკური აუცილებლობაა.

მე ვაღიარებ, რომ ამ კონტრარგუმენტს გარკვეული ძალა აქვს. მაგრამ, თუკი არსებობს ისეთი ამაღლებული ჩაგონება, როგორცაა „იყავი ისეთივე უბრალო, ვითარცა უფალი შენი“, მაშინ, როგორც ჩანს, ადამიანის ღირსებები არ შეუზღუდავს იმ ერთადერთ არსებას, რომელსაც ხელენიფება მათი შეზღუდვა. შესაბამისად, ადამიანს შეუძლია წინსვლა სცადოს იმაზე დაფიქრების გარეშე, რომ ასეთი ამბიციების ქონით შეიძლება კუთვნილ საზღვრებს არღვევდეს; ბობოქარ ზღვებს ნაბრძანები აქვთ: „აქ უნდა შეჩერდე, უფრო შორს წასვლის უფლება არ გაქვს; აქ შენი ზვიადი ტალღები უნდა გაჩერდეს“. და ისინი ამოდ აწყდებიან ნაპირს და ქაფდებიან, იმ შემზღუდველი ძალის გამოისობით, რომელიც ურჩ პლანეტებს თავიანთ ორბიტებში აქცევს — მატერია ემორჩილება დიად მმართველ გონს. მაგრამ უკვდავი სული, რომელიც შეზღუდული არ არის მექანიკური კანონებით და მატერიის ბორკილებისგან თავის დასაღწევად იბრძვის, სამყაროს შექმნის დროს ქაოსის ნაცვლად წესრიგის შემოტანას უწყობს ხელს, როდესაც მამაზეციერთან ერთად ცდილობს საკუთარი თავი მართოს იმ უცვლელი კანონით, რომლითაც მთელი სამყარო იმართება ჩვენი წარმოსახვისთვის მიუწვდომელი ხარისხით.

გარდა ამისა, თუ ქალებს აღზრდიან იმისთვის, რომ იყონ დამოკიდებული, ანუ იმისთვის, რომ სხვა ცდომადი არსების ნების მიხედვით იმოქმედონ და დაემორჩილონ ძალას, კანონიერსა თუ უკანონოს, მაშინ სად უნდა გავჩერდეთ? უნდა შევხედოთ მათ როგორც ვიცემმართველებს, რომელთაც უფლება აქვთ იმეფონ მცირე ტერიტორიაზე და თავიანთი ქმედებებისთვის პასუხი აგონ უფრო მაღალი სამსჯავროს წინაშე, რომელიც ასევე არ არის დაზღვეული შეცდომისაგან?

რთული დასამტკიცებელი არ იქნება, რომ ეს რწმუნებულები შიშის ძალით მორჩილი მამაკაცების მსგავსად იმოქმედებენ და ტირანულად დაჩაგრავენ თავიანთ შვილებს და მსახურებს. გამომდინარე იქიდან, რომ მათი მორჩილება გონებას არ დაეფუძნება, მათ არ ექნებათ საკუთარი ქმედებების წარმმართველი რაიმე მყარი წესები და წუთიერი ახირების გამო იქნებიან ან კეთილნი ან უღმობელნი; და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ თავიანთი მძიმე ხვედრით გაღიზიანებულები, ისინი ზოგჯერ მანკიერ სიამოვნებას მიიღებენ ამ სიმძიმის უფრო სუსტ არსებებზე გადატანით.

მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ მორჩილებაში განვრთნილი ქალი ჭკვიან მამაკაცზე დაქირსინდება, რომელიც მის აზრებს ისე წარმართავს, რომ არ აგრძნობინებს მორჩილების მონურ მდგომარეობას, მაშინ შესაძლებელია, რომ ამ არეკლილი შუქის ხელმძღვანელობით ქალის ქმედება იმდენად კარგი იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია გონების მეორადი გამოყენების შემთხვევაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მას მაინც ვერ ექნება თავისი მფარველის სიცოცხლის გარანტია; ქმარი შეიძლება გარდაიცვალოს და ცოლი დიდი ოჯახით მარტო დატოვოს.

ამ შემთხვევაში მას ორმაგი მოვალეობა დაეკისრება: ბავშვების აღზრდაში მას როგორც მამის, ისე დედის როლი შესრულება მოუწევს; მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მათი ცხოვრებისეული პრინციპების ჩამოყალიბებაში და დაიცვას მათი ქონება. მაგრამ, ვაი რომ, მას არასოდეს უფიქრია, და, მით უმეტეს, არ უმოქმედია დამოუკიდებლად. მას მხოლოდ ის ასწავლეს, როგორ მიანიჭოს სიამოვნება კაცებს*, როგორ იყოს მომხიბვლელად დამოკიდებული

* „სქესობრივ კავშირში ორივე ერთ საერთო მიზანს ესწრაფვის, მაგრამ არა ერთი და იმავე გზით. ამ კონკრეტულ საკითხში მათ შორის არსებული განსხვავება წარმოშობს მათი მორალური მიმართებების პირველ მკაფიო განსხვავე-

მათზე. მაგრამ ბავშვებით დახუნძლული, როგორ იპოვის კიდეც სხვა მფარველს — ქმარს, რომელიც მის ნაცვლად იაზროვნებს? რაც არ უნდა მოიხიბლოს ქალის სილამაზითა და თვინიერებით, რაციონალური კაცი (აქ ჩვენ არ ვეხებით რომანტიკულ შემთხვევებს), არასდროს არ არჩევს სიყვარულის გამო **ოჯახზე** დაქორწინებას, როცა სამყაროში ბევრი სხვა ლამაზი არსებაც მოიძებნება. მაშინ რა ელის ქალს? ის ან რომელიმე გაიძვერა ქონების მადიებლის იოლი საკბილო გახდება, რომელიც მის შვილებს მშობლების მემკვიდრეობის გარეშე დატოვებს, თავად მას კი საბრალო მდგომარეობაში ჩააგდებს; ან კიდეც დაუკმაყოფილებლობისა და თავის მოტყუების მსხვერპლი გახდება. ის ვერ შეძლებს თავისი ვაჟების აღზრდას, ან მათი პატივისცემის მოპოვებას, რადგან როდესაც ამბობენ, რომ არასოდეს სცემენ პატივს იმ ადამიანებს, რომლებიც არ იმსახურებენ პატივისცემას, თუნდაც მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოთ, ეს არ არის მხოლოდ სიტყვებით თამაში. ამის გამო ის უშედეგო და უნაყოფო სინანულით დაიტანჯება. გაბოროტებული, თავქარიანად გატარებული ახალგაზრდობის გამო დადარდიანებული და განძარცვული მიეზარება მინას.

ეს არ არის გაზვიადებული სურათი; პირიქით, ძალიან მოსალოდნელი შემთხვევაა და რალაც მსგავსი ყველა ყურადღებიან თვალს ექნება შემჩნეული.

მაგრამ მე უპირობოდ დავუშვი, რომ ეს ქალი კარგი ზნისა იყო. თუმცა გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ისევე იოლია ბრმის ხრამში გადაჩეხვა, როგორც მისი გატკეპნილ გზაზე გაყვანა. სულაც არ არის აუცილებელი ვიფიქროთ, რომ არსებისთვის, რომელსაც მხოლოდ სიამოვნების მინიჭება ასწავლეს, ბედნიერება მხოლოდ სიამოვნების მინიჭებას უნდა მოჰქონდეს; როგორი გულუბრყვილობის თუ არა მანკიერების მაგალითი იქნება იგი თავისი უმანკო ქალიშვილებისთვის! კეკლუცობაში ჩათრეული დედა დამეგობრების ნაცვლად თავის ქალიშვილებს ეჭვის თვალთ შეხედავს, როგორც საკუთარ მეტოქეებს — ყველაზე უფრო საშიშ მეტოქეებს, რადგან სხვები მას სწორედ ქალიშვილებს შეადარებენ. ეს სილამაზის ტახტიდან აგდებს ყველა იმ ქალს, ვისაც არასოდეს უფიქრია გონების მერხზე ჯდომა.

სულ არ სჭირდება ოსტატის ფანქარი და კარიკატურის მახვილი კონტური იმ ოჯახური უბედურებებისა და გულისმომკვლელი მანკიერებების დახატვას, ოჯახის ასეთი დიასახლისი რომ დაატრიალებს. და ის ხომ უბრალოდ ისე იქცევა, როგორც რუსოს სისტემის მიხედვით აღზრდილი ქალი უნდა მოიქცეს. მას ვერასოდეს უსაყვედურებენ, რომ იგი მამაკაცურია ან მისთვის გამოყოფილ საზღვრებს არღვევს; არა, ის შეიძლება რუსოს კიდეც ერთ დიდ წესსაც მისდევდეს და გულმოდგინედ იცავდეს შელახვისაგან თავის რეპუტაციას იმ მიზნით, რომ კარგი ქალის სახელი ჰქონდეს. მაგრამ რა თვალსაზრისით შეიძლება მას კარგი ეწოდოს? მართალია, ის განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე იკავებს თავს დიდი ცოდვების ჩადენისგან, მაგრამ როგორ ასრულებს ის თავის მოვალეობებს? მოვალეობებს! სინამდვილეში მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ თავისი სხეულის მოკაზმვაზე და სუსტი აღნაგობის შენარჩუნებაზე იფიქროს.

მას არასოდეს უცდია რელიგიის საკითხებზე დამოუკიდებლად მსჯელობა; იგი ისე ასრულებდა თავისი მშობლიური ეკლესიის რიტუალებს, როგორც ეს დამოკიდებულ არსებას

ბას. ერთი უნდა იყოს აქტიური და ძლიერი, მეორე — პასიური და სუსტი; აუცილებელია, რომ ერთს ჰქონდეს როგორც ძალა, ისე ნება და რომ მეორე არ უწევდეს წინააღმდეგობას.

თუ ეს პრინციპი დავადგინეთ, მივიღებთ, რომ ქალი აშკარად კაცის სიამოვნებისთვისაა შექმნილი. თუ ვალდებულება ასევე ორმხრივი უნდა იყოს და თავის მხრივ მამაკაცმაც უნდა ასიამოვნოს ქალს, ეს არ არის აუცილებლობა: მისი მთავარი ღირსება მისი ძალაა და ის ქალს სიამოვნებას ანიჭებს უბრალოდ იმით, რომ ძლიერია. უნდა ვაღიარო, რომ ეს არ არის სიყვარულის დახვეწილი პრინციპი; მაგრამ ეს არის ბუნების ერთ-ერთი კანონი, რომელიც თავად სიყვარულსაც უსწრებს წინ.

თუ ქალი იმისთვის არის შექმნილი, რომ სიამოვნება მიანიჭოს და დაემორჩილოს კაცს, მაშინ უეჭველია, რომ მისი საქმეა იქცეს მამაკაცისთვის სასიამოვნოდ და არა — გამოსცადოს მისი ვნება. მამაკაცის სურვილების ძლიერება დამოკიდებულია ქალის მომხიბვლელობაზე; სწორედ მისი საშუალებით უნდა უბიძგოს ქალმა კაცს იმ ძალის გამოყენებისკენ, რომელიც მამაკაცს ბუნებამ მიანიჭა. მათი აღგზნების ყველაზე კარგი ხერხია ქალმა წინააღმდეგობის გაწევით აუცილებელი გახადოს ამ ძალის გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში სურვილს საკუთარი თავის სიყვარული ემატება და ერთი ტრიუმფს ზეიმობს გამარჯვებით, რომლის მოპოვებაც მეორის ვალდებულებაა. აქედან წარმოდგება სქესთა შორის თავდასხმისა და თავდაცვის სხვადასხვა ხერხები. ერთი სქესის სითამამე და მეორე სქესის მორცხვობა; და, ერთი სიტყვით, ის მორცხვობა და მოკრძალება, რომლითაც ბუნებამ აღჭურვა სუსტი, რათა მან ძლიერი დაიმორჩილოს; რუსო, *ემილი*.

ამ გონებამახვილურ პასაჟზე ერთადერთი კომენტარის სახით უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს არის ავბორცობის ფილოსოფია.

შეეფერება — ღვთისმონინებით დარწმუნებული, რომ მასზე უფრო ბრძენმა ადამიანებმა მოაგვარეს ეს საკითხი; მისი სრულყოფილების ერთი ნიშანი ხომ ის არის, რომ არასოდეს აღეძრას ეჭვი. ყოველივე ამისთვის იგი შესანიშნავს შესნიშნავს და ღმერთს მადლობას გადაუხდის, რომ სხვა ქალების მსგავსად არ ცხოვრობს. ეს არის კარგი აღზრდის ნაკურთხი შედეგები! ეს არის მამაკაცის თანაშემწის ღირსებები!*

ახლა კი თავი განსხვავებული სურათის დახატვით უნდა დავიმშვიდო.

წარმოვიდგინოთ მისაღები აზროვნების მქონე ქალი (რადგან არ მინდა ბანალურ შემთხვევებზე მსჯელობას გავცდე), რომლის სხეულიც გაძლიერებულია ვარჯიშით; ამავე დროს მისი გონება თანდათან ვითარდება იმისათვის, რომ გააცნობიეროს ცხოვრების მორალური მოვალეობები და გაიგოს რაში მდგომარეობს ადამიანის სათნოება და ღირსება.

ის თავისი ვალდებულებების აღსრულებაში ჩამოყალიბდა და სიყვარულით დაქორწინდა, თუმცა კეთილგონიერება არ დაკარგა და ოჯახური ბედნიერების მიღმაც იხედება. მას ქმარი პატივს სცემს ისე, რომ არ სჭირდება ეშმაკურ ხერხებს მიმართოს, ანუ მისთვის სიამოვნების მინიჭებაზე და იმ მისუსტებული ცეცხლის აგზნებაზე იზრუნოს, რომელიც ბუნებითაა განწირული ჩასაქრობად მას შემდეგ, რაც ობიექტი ნაცნობი გახდება, მეგობრობა და ურთიერთგატანა დაიკავებს უფრო ცხოველი გრძნობის ადგილს. ეს სიყვარულის ბუნებრივი სიკვდილია და ოჯახური სიმშვიდე არ ირღვევა ქალის მცდელობით ხელი შეუშალოს მის ჩაქრობას. ასევე ვივარაუდოთ, რომ ქმარი სათნოა; წინააღმდეგ შემთხვევაში ქალს უფრო მეტად სჭირდება საკუთარი პრინციპები.

მაგრამ ბედისწერა ამ კავშირს არღვევს. ქალი ქვრივდება და შეიძლება მატერიალური უზრუნველყოფის გარეშეც რჩება; მაგრამ ის არ არის უსუსური! ბედის სიმუხთლე მტკივნეულია; მაგრამ მას შემდეგ, რაც დროის დინება მწუხარებას მელანქოლიურ სევდად გარდაქმნის, მისი გული გაორმაგებული სიყვარულით მიუბრუნდება შვილებს. და მათი უზრუნველყოფისთვის ზრუნვა და სიყვარული საკრალურ-ჰეროიკულ იერს აძლევს მის დედობრივ მოვალეობებს. ის ფიქრობს, რომ არა მხოლოდ ღმერთი ხედავს მის სათნოებას, რომელზეც ახლა დამოკიდებულია მთელი მისი კეთილდღეობა და რომლის გამოცდაცაა ცხოვრება. დარდით რეალობას ცოტა დაშორებული და ამაღლებული მისი წარმოსახვა ელოლიავენა იმედს, რომ თვალები, მისმა აკანკალებულმა ხელმა რომ დახუჭა, ისევ შეიძლება ხედავდნენ იმას, როგორ თოკავს ის ყველა ჭირვეულ ვნებას და ასრულებს თავისი შვილების როგორც მამობის, ისე დედობის ორმაგ მოვალეობას. უბედურებით ჰეროიზმამდე ამაღლებული, ის ბუნებრივი მიდრეკილების პირველსავე სუსტ გამოჩენას მანამდე თრგუნავს, ვიდრე ის სიყვარულში გადაიზრდება; და ცხოვრების გაფურჩქვნის პერიოდში ივინყებს თავის სქესს — ივინყებს გამოღვიძებული ვნების სიამოვნებას, რომელიც შეიძლება ხელმეორედ აღძრულიყო და დაბრუნებულიყო. ის აღარ ფიქრობს სიამოვნების მინიჭებაზე, ხოლო შეგნებული ღირსების გამო არ იწონებს თავს თავისი საქებარი ქცევით. მის ბავშვებს მისი სიყვარული არ აკლიათ, თუმცა მისი ყველაზე ნათელი იმედები სამარის მიღმაა, სადაც მისი წარმოსახვა ხშირად დახეტიალობს.

მე ის წარმომიდგება შვილებით გარშემორტყმული, როცა თავისი ზრუნვის საზღაურს იმკის. დედის თვალები ბავშვების ჭკვიან თვალებს ხვდება, მათ საყვარელ სახეზე კი სიჯანსაღე და უმანკოება ილიმება. ხოლო ბავშვების გაზრდის შემდეგ მათი მადლიერი ყურადღება ქალს ცხოვრებისეულ საზრუნავს უმსუბუქებს. იგი აგრძელებს ცხოვრებას იმისთვის, რომ დატკბეს იმ ღირსებების ყურებით, რომელთა დაფუძნებასაც შეეცადა შვილების ჩვევებში; რომ უყუროს, როგორ უყალიბდებათ მის შვილებს ძლიერი ხასიათი, რომელიც ბედუკულმართობის გადატანას შეაძლებინებს მათ. მათ არასოდეს დაავინყდებათ დედის მაგალითი.

* “ოჰ, რა საყვარელია მისი უმეცრება!” — შესძახებს რუსო სოფიაზე საუბრისას — “ბედნიერია ის, ვისაც მისი განათლება უწერია! მას არასოდეს ექნება პრეტენზია ჭკუა ასწავლოს თავის ქმარს. იმითაც კმაყოფილი იქნება, რომ ქმრის მოსწავლე იყოს. სულ არ ექნება პრეტენზია, რომ ქმარს თავს მოახვიოს თავისი გემოვნება, პირიქით, თავად მოურგება ქმრის გემოვნებას. ის უფრო ძვირფასი იქნება ქმრისთვის, ვიდრე იმ შემთხვევაში, განსწავლული რომ ყოფილიყო. ქმარი სიამოვნებას მიიღებს მისი განათლებით”; რუსო, *ემილი*.

მე მხოლოდ ერთ რამეს ვიკითხავ: მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სიყვარულის ჩაქრობის შემდეგ რას დაემყარება მათი მეგობრობა?

ამრიგად, ცხოვრების ამოცანა შესრულებულია, ქალი წყნარად ელოდება სიკვდილს. განკითხვის დღეს კი შეუძლია თქვას: „შეხედე, შენ მე ერთი ვერცხლი მომმადლე და მე ხუთს გიბრუნებ უკან“.

მინდა ჩემი ნათქვამი რამდენიმე სიტყვით შევაჯამო. აქ მე ხელთათმანს ვისვრი და უარვყოფ სქესობრივი ღირსებების არსებობას, გამონაკლისს არც მოკრძალებასთან მიმართებაში გავაკეთებ. ჭეშმარიტება, თუ მე ამ სიტყვის მნიშვნელობა მესმის, მამაკაცისთვის და ქალისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს; ფანტასტიკური ქალური ხასიათი კი, ასე ლამაზად რომ გვიხატავენ პოეტები და მწერლები, მსხვერპლად მოითხოვს ჭეშმარიტებას და გულწრფელობას. ღირსება ფარდობითი ცნება ხდება, რომელსაც სარგებლიანობის გარდა არავითარი სხვა საფუძველი არ გააჩნია; ხოლო მამაკაცებს აქვთ პრეტენზია თვითნებურად იმსჯელონ და საკუთარ მოხერხებულობას მოარგონ ეს სარგებლიანობა.

მე ვუშვებ, რომ შეიძლება ქალები განსხვავებულ მოვალებებს ასრულებენ, მაგრამ ესეც ადამიანური მოვალებებია, და დაჟინებით ვამტკიცებ, რომ პრინციპები, რომლებიც მათ შესრულებას უნდა არეგულირებდეს, ყველგან ერთი და იგივეა.

იმისათვის, რომ ქალებმა პატივისცემა დაიმსახურონ, აუცილებელია მათი აზროვნების განვითარება — ხასიათის დამოუკიდებლობისთვის სხვა საფუძველი არ არსებობს. ხაზგასმით ვამბობ, რომ მათ ქედი მხოლოდ გონების ავტორიტეტის წინაშე უნდა მოიდრიკონ და არ დარჩნენ გაბატონებული აზრის მოკრძალებულ მონებად.

განა წარჩინებულთა წრეებში ხშირად ვხვდებით გამორჩეული უნარების ან თუნდაც ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონე მამაკაცს? ამის მიზეზი ჩემთვის ნათელია — ისინი დაბადებიდანვე არაბუნებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ადამიანის ხასიათი ყოველთვის ყალიბდებოდა მისი ან მისი კლასის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. და თუ უნარები აუცილებლობის ძალით არ „ილესება“, ისინი ბლაგვია. ეს არგუმენტი ქალებისთვისაც მართებულია. რადგან ქალები იშვიათად არიან ჩართულნი სერიოზულ საქმეებში, მათი ერთადერთი მისწრაფებაა სიამოვნების ძიება. ეს კი მათ ხასიათს იმავე უმოქმედობას ანიჭებს, რომელიც ასე არასაინტერესოს ხდის წარჩინებულ საზოგადოებას. სიმყარის შეგრძნების სურვილი, რომელიც ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული, ორივე სქესს აიძულებს საკუთარ თავს ხმაურთან სიამოვნებებსა და ხელოვნურ ვნებებში გაექცეს, სანამ ამაოება ყველა სოციალური გრძნობის ადგილს არ დაიკავებს და ადამიანობის დამახასიათებელი ნიშნები თითქმის უკვალოდ არ გაქრება. ამჟამინდელი სამოქალაქო წყობის ნაყოფი სწორედ ისაა, რომ სიმდიდრე და ქალური სირბილე ერთნაირად აკნინებს კაცობრიობას და ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული. მაგრამ თუ ვუშვებთ, რომ ქალი გონიერი არსებაა, მაშინ უნდა წავახალისოთ შეიძინოს ის ღირსებები, რომელთაც შეძლებს უწოდოს საკუთარი; რადგან როგორ შეიძლება გონიერ არსებას ღირსება შეჰმატოს რაიმემ, რაც მას საკუთარი ძალისხმევით არ შეუძენია?

თავი 4

მოსაზრებები იმ დაკნინებულ მდგომარეობაზე, რომელშიც ქალი სხვადასხვა მიზეზთა გამო იმყოფება

ის, რომ ქალი ბუნებრივად სუსტია ან დაკნინებულია გარემოებათა შემთხვევითობის შედეგად, ჩემი აზრით, უკვე გასაგებია. მაგრამ მე ამ პოზიციას უნდა დავუპირისპირო დასკვნა, რომელიც ხშირად გამიგია გონიერი ადამიანებისგან არისტოკრატიის სასარგებლოდ, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ვერასდროს იქნება იმ თვინიერ მონებზე მეტი, რომლებიც მოთმინებით ელიან იმას, რომ სხვა გაუძღვებათ წინ. ასე რომ არ იყოს, ეს მონები საკუთარ ძალას იგრძნობდნენ და თავიანთ ჯაჭვებს უკუაგდებდნენ. ამავე თვასაზრისის მიხედვით, ადამიანები ყველგან მორჩილად იტანენ ჩაგვრას, მაშინაც კი, როცა უღლის ჩამოსაგდებად

მხოლოდ თავის აწვევა სჭირდებათ; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მათი დაბადებიდან კუთვნილი უფლება დაიცვან, ისინი, ტალახში მშვიდად თავჩარგულები, ამბობენ: „მოდით ვჭამოთ და ვსვათ, ხომ მაინც მალე მოვკვდებით“. მე კი პარალელს ვავლებ და ვამტკიცებ, რომ ქალები აწმყო მომენტით სიამოვნების ამავე მიდრეკილებით არიან დაკნინებულები და საბოლოოდ სძულდებათ თავისუფლება, რომლის მოსაპოვებლად ბრძოლისთვისაც მათ ღირსება არ ჰყოფნით. მაგრამ მე უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოვაცალიბო ჩემი აზრი.

ერთსულოვნად არის აღიარებული, რომ გრძნობის საკითხების თვალსაზრისით სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ გონებრივ უნარებში განსხვავების გადალახვა არასოდეს იქნება შესაძლებელი.* „სილამაზეში სრულყოფილი“ ქალისთვის მხოლოდ უმნიშვნელო გონიერებას უშვებენ, რადგან თუ მის ნიჭსა და მსჯელობის უნარს უარყოფენ, ძალიან ძნელი მისახვედრია, ინტელექტის დამახასიათებელ ნიშანთაგან რალა რჩება.

ადამიანში არსებული უკვდავების მარცვალი, თუ ნებას მომცემთ ეს ფრაზა გამოვიყენო, არის მისი გონების სრულყოფადობა; ადამიანი სრულყოფილ არსებად რომ შექმნილიყო, ან სიმნიფის ასაკში მას უნაკლო ცოდნის ნიაღვარი რომ დატყდომოდა თავს, ეჭვი მეპარება, რომ მისი არსებობა სხეულის გახრწნის შემდეგაც გაგრძელდებოდა. მაგრამ რეალობაა, რომ არსებობს მრავალი მორალური თავსატეხი, რომელიც ადამიანთა მსჯელობას ხელიდან უსხლტება და ერთნაირად აბნევს აზროვნების საფუძვლიან გამოკვლევებს და ნიჭის ნათლისმომფენ მზერას. სწორედ მათი არსებობაა არგუმენტი, რომელზეც მე სულის უკვდავების ჩემს რწმენას ვაფუძნებ. აქედან კი გამოდის, რომ გონება მხოლოდ გაუმჯობესების უნარია; ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების გარჩევის უნარია. ამ თვალსაზრისით ყოველი ინდივიდი თავისთავადი სამყაროა. შეიძლება ერთი არსება შინაგანად მეორეზე მეტად ან ნაკლებად მდიდარი ჩანდეს, მაგრამ გონების არსი ყველაში ერთი და იგივე უნდა იყოს, თუ ის არის ღვთაებრიობის ემანაცია — ის, რაც შექმნილს შემოქმედთან აკავშირებს. განა შეიძლება ზეციური ხატით იყოს აღბეჭდილი სული, რომელიც თავისი გონების მეოხებით არ განიცდის სრულყოფას? მაგრამ გარეგნულად გულმოდგინედ მოკაზმული და კაცის საამებლად მორთული ქალის (“ქალის, რომლის სიყვარული კაცისთვის საპატიოა”**) სულს არ ეძლევა ასეთი სრულყოფის უფლება. ასეთ ქალსა და მის გონებას შორის ყოველთვის დგას მამაკაცი. ქალს კი ყოველთვის აღიქვამენ, როგორც მხოლოდ იმისთვის შექმნილს, რომ სქელი საბურველი უმაღლავდეს საგნებს და ყველაფერი რწმენით მიიღოს. მაგრამ თუ ამ ფანტასტიკურ თეორიებს უკუვავდებთ და ქალს მთლიანობად განვიხილავთ, თუ დავუშვებთ, რომ იგი მამაკაცის ნაწილი კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის, კითხვას შემდეგნაირად დავსვამთ: აქვს თუ არა მას გონება. თუ აქვს, რასაც მე აქ უპირობოდ ვიღებ, მაშინ ის მხოლოდ მამაკაცის საამებლად არ შექმნილა და სქესმა არ უნდა გაანადგუროს ადამიანის ბუნება.

ალბათ მამაკაცები ამ შეცდომაში აღზრდის არასწორმა გაგებამ შეიყვანა; იმან, რომ განათლებას განიხილავენ არა როგორც სრულყოფისკენ* თანდათან მიმავალი არსების პირველ ნაბიჯს, არამედ მხოლოდ როგორც ცხოვრებისთვის მომზადებას. ამ ხელშესახებ შეცდომას, თუკი შესაძლებელია მას ასე ვუნოდო, ეფუძნება ქალის ცხოვრების წესის მცდარი სისტემა, რომელიც მთელ სქესს ღირსებისგან განძარცვავს და როგორც შავგვრემან, ისე ქერა ლამაზმანებს იმ მოლიმარი ყვავილების კატეგორიაში ათავსებს, რომლებიც მინას ალამაზებენ. მამაკაცები ყოველთვის ამ ენაზე ლაპარაკობდნენ. და გამორჩეული გონების ქალებსაც კი

* რა წინააღმდეგობებში ვარდებიან კაცები, როცა ისინი პრინციპების გარეშე ბჭობენ. ქალებს, სუსტ ქალებს, ისინი ადარებენ ანგელოზებს; სავარაუდოა, რომ უფრო აღმატებულ არსებებს მამაკაცზე მეტი ინტელექტი უნდა ჰქონდეთ; თუ ასე არ არის, რაში მდგომარეობს მაშინ აღმატებულობა? სარკაზმი რომ გვერდზე გადავდოთ და ზემოთ დანყებული მსჯელობა გავაგრძელოთ, უნდა დავუშვათ, რომ ქალებს მეტი გულკეთილობა, ღვთისმოსავობა და გულმონყალება აქვთ. მე ეჭვი მეპარება ამ ფაქტში, რა თავაზიანადაც არ უნდა ამტკიცებდნენ მას, რადგან მაშინ უნდა დავუშვათ, რომ უმეცრებაა სათნოების დედა; მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, როგორც წესი, სათნოება და ცოდნა მეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ.

* “პირუტყვები” — ამბობს ლორდი მონბოდო — “იმ მდგომარეობაში რჩებიან, რომელშიც ისინი ბუნებამ ჩააყენა; გამონაკლისი გვაქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ ბუნებრივ ინსტინქტს სრულყოფს კულტურა, რომელსაც ჩვენ გადავცემთ მათ”.

** *Vide*, მილტონი

* ეს სიტყვა ზუსტად შესაფერისი არ არის, მაგრამ უკეთესს ვერ ვპოულობ.

აიძულებდა იმავე თვალსაზრისის მიღებას მათი სქესისთვის შესაფერისად მიჩნეული ხასიათიდან გადახვევის შიში^{**}. ამრიგად, ქალის აზროვნების უნარი პირადპირი მნიშვნელობით უარყოფილია და მის ადგილს იკავებს ცხოვრებისეულ მოხერხებასა და ცბიერებაში გადაზრდილი ინსტიქტი.

იდეების განზოგადების, ცალკეული დაკვირვებებიდან სიღრმისეული დასკვნების გამოტანის უნარი უკვდავი არსების ერთადერთი მონაპოვარია, რომელიც მართლა იმსახურებს ცოდნის სახელს და დიდებას. მხოლოდ დაკვირვება, რაიმეს ახსნის ცდის გარეშე შეიძლება ცხოვრებაში (ძალიან არასრული სახით) ასრულებდეს სალი აზრის როლს; მაგრამ სად გროვდება ის საგანძური, რომელმაც სული უნდა შემოსოს, როცა ის სხეულს დატოვებს?

ქალებს არათუ უარს ეუბნებიან ძალაუფლებაზე, მწერლები იმასაც ამტკიცებენ, რომ, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ის შეუთავსებელია მათი სქესის ბუნებასთან. დაე მამაკაცებმა ეს დაასაბუთონ და ვაღიარებ, რომ ქალი მხოლოდ მამაკაცისთვის არსებობს. მაგრამ ნინასნარ უნდა შევნიშნო, რომ იდეების რამდენადმე ფართოდ განზოგადების უნარი ძალიან გავრცელებული არც კაცებშია და არც ქალებში. მხოლოდ გონების ასეთ ვარჯიშს მოაქვს აზროვნების ნამდვილი განვითარება. და ყველაფერი იმას უწყობს ხელს, რომ აზროვნების ამ ფორმით განვითარება ქალთათვის უფრო გაძნელდეს, ვიდრე მამაკაცებისათვის.

ამ მტკიცებას ბუნებრივად მიყვარ ამ თავის მთავარ თემასთან და ახლა ვეცდები გამოვკვეთო ზოგიერთი მიზეზი, რომელიც ქალთა სქესის დაკნინებას იწვევს და ხელს უშლის ქალებს თავიანთი დაკვირვებების განზოგადებაში.

ანტიკურობის შორეულ ხელნაწერებს არ დავუბრუნდები და ქალის ისტორიის აღდგენას არ ვეცდები; საკმარისია დავუშვათ, რომ ის ყოველთვის ან მონა იყო, ან დესპოტი; და აღვნიშნოთ, რომ ეს ორივე მდგომარეობა ერთნაირად აბრკოლებს გონების წინსვლას. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქალის გულუბრყვილობის და მანკიერების უდიდესი მიზეზი გონების სივინროვეში მდგომარეობს; და თავად სამოქალაქო მმართველობები ისეა მოწყობილი, რომ თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები შეუქმნას და ხელი შეუშალოს ქალის აზროვნების განვითარებას. ღირსება კი ვერავითარ სხვა საფუძველზე ვერ აშენდება. იგივე დაბრკოლებები დგას მდიდრების წინაშეც და აქაც იმავე შედეგებს იწვევს.

ანდაზის თანახმად, აუცილებლობა გამოგონების დედაა; იგივე შეიძლება ითქვას ღირსებაზეც. ღირსება მონაპოვარია, რომელიც სიამოვნების მსხვერპლად გაღებას მოითხოვს. და განა ხელმისაწვდომ სიამოვნებას მსხვერპლად გაიღებს ადამიანი, რომლის გონებაც არ გაუხსნია და გამოუწრთია ბედუკუდმართობებს ან რომლის ცოდნისკენ მისწრაფებაც არ გამოუბრძმედია აუცილებლობას? ბედნიერებაა, როცა ადამიანებს უწვეთ ცხოვრებისეულ საზრუნავებთან ჭიდილი, რადგან ეს ჭიდილი ხელს უშლის იმას, რომ უსაქმურობამ ისინი დამასუსტებელ

^{**} “სიამოვნება არასრულფასოვანი გვარის ხვედრია; ხოლო დიდება, სათნოება, ზეციური საუფლო მამაკაცისთვისაა გაჩენილი”.
ამ სტრიქონების შემდეგ რამ დაანერინა ქალბატონ ბარბოს შემდეგი სამარცხვინო შედარებები?

“ქალს დახატული ყვავილებით ყვავილები ფერიასათვის: შენთვის მომაქვს ეს ყვავილები, და მწყურია ადრეულ გაზაფხულთან ერთად მოგესალმო.
ყვავილები, შენსავით ტკბილი, მხიარული და ფაქიზი; უმანკოების და სილამაზის სიმბოლოები.
ყვავილებით იკრავენ გრეისები ყვითელ თმას და ყვავილოვანი გვირგვინები ახურავთ შეყვარებულებს.
ყვავილები — ბუნების ერთადერთი ფუფუნება — ედემის წმინდა და უცოდველ ბაღში იზრდებოდნენ.
უფრო დიდებულ ქმნილებებს უფრო მძიმე ამოცანები აქვთ, მუხა ქარიშხლისგან გვიცავს,
ძლიერი ურთხელი მომხდურთ უკუაგდებს,
ხოლო მაღალი ფიჭვი გემის მასალად იზრდება;
ხოლო ეს ნაზი ჯიში, რომლისთვისაც უცხოა ზრუნვა, მხოლოდ სიამოვნების და ნეტარებისთვის გაჩნდა.
მხიარული და უსაქმური, საყვარელი და არახელოვნური, თავისი გამოჩენით ახალისებს გრძნობებს და ახარებს გულს.
ნურც შეგრცხვება, ჩემო მშვენიერო, რომ მათ მიბაძო;
შენი საუკეთესო, შენი უტკბილესი სამეფოა — ასიამოვნო”
ამას გვეუბნებიან ჩვენ მამაკაცები; მაგრამ გონება ამბობს, რომ ღირსების შექმნა მძიმე ჯაფითა და ცხოვრებისეულ საზრუნავებთან სასარგებლო ჭიდილით უნდა მოხდეს.

მანკიერებათა მსხვერპლად აქციოს. მაგრამ თუ კაცი ან ქალი დაბადებიდან სათბურში იქნება მოთავსებული, სიამოვნების მცხუნვარე მზის სხივებს პირდაპირ მიფიცხებული, როგორ შეძლებს ის ცხოვრებისეული მოვალეობების აღსასრულებლად თავისი გონება საკმარისად გააძლიეროს ან თუნდაც დააფასოს ის გრძნობები, რომლებიც სხვების მიმართ გააჩნია?

საზოგადოების ამჟამინდელი მონყობის მიხედვით, ქალების ცხოვრებაში ერთადერთი საქმიანობაა სიამოვნება. და სანამ ეს ასე იქნება, არაფერს უნდა ველოდეთ ასეთი სუსტი არსებებისგან. მათ პირდაპირი მემკვიდრეობით მიიღეს ბუნების უპირველესი ნამდვილი ნაკლი, სილამაზის უზენაესობა, და საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად უარი თქვეს იმ ბუნებრივ უფლებებზე, რომელთა მოპოვებაც გონების გამოყენებით შეეძლოთ; ნუთიერი დედოფლობა არჩიეს შრომას, რომელიც თანასწორობიდან მომდინარე ჯანსაღ სიამოვნებათა მიღების შესაძლებლობას ქმნის. საკუთარი არასრულფასოვნებით ამალღებულები (ეს წინააღმდეგობასავით ჟღერს), ისინი გამუდმებით მოითხოვენ, რომ პატივი სცენ, როგორც ქალებს. თუმცა გამოცდილებას მათთვის უნდა ესწავლებინა, რომ მამაკაცებს, რომლებიც თავს იწონებენ ქალებისათვის ამ თვითნებური და შეურაცხმყოფელი პატივის გამორჩეულად ზედმინვნით და ზუსტად მიგებით, ყველაზე მეტად ახასიათებთ ტირანობისაკენ მიდრეკილება და ეზიზღებათ სწორედ ის სისუსტე, რომელსაც ელოლიავებიან. ისინი ხშირად იმეორებენ ბატონი ჰიუმის მოსაზრებებს, რომელთაც ის ფრანგული და ბერძნული ხასიათების შედარებისას ქალებთან დაკავშირებით გამოთქვამს: „ათენელებს ვეუბნები, რომ ამ უცნაურ ერში [გულისხმობს ფრანგებს] ისაა განსაკუთრებული, რომ ისინი მთელი წლის, მეტიც, მთელი ცხოვრების განმავლობაში სერიოზულად აკეთებენ იმას, რითაც თქვენ სატურნალიების დროს ერთობით — ბატონები მონებს რომ ემსახურებიან. მათთან ამას თან ახლავს გარკვეული გარემოებები, სიტუაციას კიდევ უფრო აბსურდულს და სასაცილოს რომ ხდის. თქვენი თამაში მხოლოდ რამდენიმე დღით ალაზევებს მათ, ვინც ბედისწერამ ძირს დაანარცხა და ვინც იმავე ბედისწერამ შეიძლება თამაშ-თამაშ მართლა სამუდამოდ თქვენზე მაღლა ალაზევოს. ეს ერი კი სერიოზულად განადიდებს მათ, ვინც ბუნებამ მათ დაუქვემდებარა და ვისი არასრულფასოვნება და სისუსტე აბსოლუტურად განუკურნავია. მათი ბატონები და მბრძანებლები ქალები არიან, რომელთაც არავითარი ღირსება არ გააჩნიათ.“

ეჰ! რატომ ელიან ქალები, ამას მოსიყვარულე გულისტკივილით ვამბობ, უცხო ადამიანებისაგან ყურადღებისა და პატივისცემის მიღებას; ეს ხომ ძლიერ განსხვავდება იმ თავაზიანი ორმხრივობისგან, რომელსაც მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობისთვის აწესებს ადამიანობისა და ცივილიზაციის მოთხოვნები? და რატომ ვერ ხვდებიან ისინი „სილამაზის ძალაუფლების ზენიტში“ ყოფნისას, რომ მათ დედოფლებსავით მხოლოდ იმისთვის ეპყრობიან, რომ ყალბი პატივისცემით მოატყუონ და უარი ათქმევიან თავიანთ ბუნებრივ უპირატესობებზე? შემდეგ, გალიებში ჩიტებსავით გამომწყვდეულებს, მათ აღარაფერი დარჩენიათ იმის გარდა, რომ თავი გაიკოხტავონ და მოჩვენებითი დიდებულებით იგოგმანონ გალიაში. მართალია მათ უზრუნველყოფენ საკვებით და სამოსით, რომლისთვისაც თავად ხელსაც არ ანძრევენ, მაგრამ ამის საფასურად ისინი წირავენ თავიანთ ჯანმრთელობას, თავისუფლებასა და სათნოებას. მაგრამ მთელს კაცობრიობაში სად მოიძებნება გონების ისეთი ძალა, რომ ადამიანს ამ დამატებით პრეროგატივებზე უარის თქმა შეაძლებინოს, ძალა, რომელიც გონების მშვიდი ღირსებით დადგება შეხედულებაზე მაღლა და გაბედავს იამაყოს თანდაყოლილი ადამიანური პრივილეგიებით? ამაო იქნება ამის მოლოდინი, ვიდრე მემკვიდრეობით მიღებული ძალაუფლება გრძნობებს ახრჩობს და გონებას ჩანასახშივე თრგუნავს.

მამაკაცების ვნებებმა ქალები სამეფო ტახტზე მოათავსა. და სანამ კაცობრიობა მეტად არ დაბრძენდება, მოსალოდნელია, რომ ქალები ისარგებლებენ ამ ძალაუფლებით, რომელსაც ისინი უმცირესი ძალისხმევით იძენენ და რომელშიც მათ ვერავინ ედავება. ისინი გაიღიმებენ, დიახ, გაიღიმებენ, როცა მათ ეტყვიან:

სილამაზის სამფლობელოში შუალედური არ არსებობს,
და ქალი, მონა თუ დედოფალი,
სწრაფად ზიზღდებათ, თუკი არ აღმერთებენ.

მაგრამ ჯერ გაღმერთება მოდის; ზიზლის დადგომას კი წინასწარ ვერ ჭკრეტენ.

ლუი XIV-მ განსაკუთრებით გაავრცელა ხელოვნური მანერები და მოტყუებით მთელი ერი თავის უღელქვეშ მოაქცია; დესპოტიზმის ოსტატური ქსელის ჩამოყალიბებით მან ადამიანების საერთო ინტერესად აქცია, რომ თითოეულს პატივი ეცა მისი მდგომარეობისთვის და მხარი დაეჭირა მისი ძალაუფლებისთვის. ქალებმა, რომელთაც ის ბავშვური მხიარულებით ეპირფერებოდა, მისი მეფობის დროს გონებისა და სათნოებისთვის მომაკვდინებელი დანინაურებული მდგომარეობა მოიპოვეს.

მეფე ყოველთვის მეფეა და ქალი ყოველთვის ქალია.* პირველის ავტორიტეტი და მეორის სქესი კი ყოველთვის იდგება მათსა და რაციონალურ საუბარს შორის. მე ვუშვებ, რომ საყვარელთან ასეც უნდა იყოს. ქალის მგრძობელობა მას ბუნებრივად უბიძგებს ემოციის აღძვრისაკენ - არა საკუთარი ამაოების, არამედ საკუთარი გულის საამებლად. ეს მე კეკლუცობად არ მიმაჩნია. ეს ბუნების სპონტანური იმპულსია. მე მხოლოდ სქესობრივი დაპყრობის იმ მისწრაფების წინააღმდეგი ვარ, რომელშიც გული არ მონაწილეობს.

ამ მისწრაფებით მხოლოდ ქალები არ ხასიათდებიან. ლორდი ჩესტერფილდი ამბობს: „მე დავიპყარი გული ოცი ისეთი ქალისა, რომელთა პიროვნებისთვისაც გროშაც არ გავიღებდი“. ლიბერტინი, რომელიც ვნების აფეთქებისას ბოროტად იყენებს მიამიტ სინაზეს, წმინდანია ამ გულქვა გაიძვერასთან შედარებით — მსიამოვნებს შესაფერისი სიტყვების გამოყენება. მაგრამ ქალები, რომელთაც მხოლოდ სიამოვნების მინიჭება ასწავლეს, ყოველთვის ეძებენ სიამოვნების მინიჭების შესაძლებლობებს და ჭემმარიტი ჰეროიკული შემართებით ცდილობენ გულთა დაპყრობას მხოლოდ იმისთვის, რომ უარი თქვან მათზე და უკუაგდონ ისინი, როცა გამარჯვება გადანყვეტილი და აშკარაა.

ამ საკითხის დეტალებს უნდა ჩავეუღრმავდე.

ვნუხვარ, რომ ქალების სისტემურ დაკნინებას იწვევს ის ტრივიალური ყურადღება, რომლის გამოაშკარავება მამაკაცებს მამაკაცურ საქციელად მიაჩნიათ: სინამდვილეში ამით მამაკაცები ვერაგულად აძლიერებენ საკუთარ უპირატესობას. მზრუნველობის გამოჩენა არ ნიშნავს არასრულფასოვანის წინაშე თავის მოხრას. მე ეს ცერემონიები მართლა ისე აბსურდულად მეჩვენება, რომ ძალიან მიჭირს თავის შეკავება, როცა ვხედავ, როგორ იწყებს მამაკაცი მონადინებული და სერიოზული მზრუნველობით ქალისათვის ცხვირსახოცის მიწოდებას ან კარის დახურვას, როცა ქალბატონს შეუძლია ეს თავად გაეკეთოს, თუ ხელს ოდნავ გაანძრევს.

ამ წუთას ამეკვიატა გულიდან წამოსული უცნაური სურვილი და მას არ ჩავახშობ, თუმცა შეიძლება მან ხარხარი გამოიწვიოს. მე გულწრფელად ვისურვებდი საზოგადოებამ სქესთა შორის განსხვავებაზე უარი თქვას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქცევა სიყვარულითაა განაპირობებული. რადგან მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს განსხვავებაა ხასიათის იმ სისუსტის საფუძველი, ქალებს რომ მიაწერენ. ის არის იმის მიზეზი, რომ ქალები აზროვნებას უგულბელებყოფენ, მაშინ, როცა ღირსებები მხოლოდ გულმოდგინე გარჯით მოიპოვება; იმავე მიზეზით აიხსნება ის, რომ ისინი ჰეროიკულ ღირსებებთან შედარებით ელეგანტურ ღირსებებს ანიჭებენ უპირატესობას.

ყველა ადამიანს უნდა, რომ ვინმეს უყვარდეს და ვინმე პატივს სცემდეს და უმრავლესობა ყოველთვის აირჩევს თავისი სურვილების შესრულების უმოკლეს გზას. პატივისცემა, რომლითაც სიმდიდრესა და სილამაზეს ეპყრობიან, ყველაზე აშკარა და არაორაზროვანია და ის, რა თქმა უნდა, ყოველთვის მიიპყრობს რიგითი ადამიანის უმეცარ თვალს. უნარები და ღირსებები აბსოლუტურად აუცილებელია, რათა საშუალო ფენიდან გამოსულმა ადამიანმა თავი გამოიჩინოს. და ამის ბუნებრივი შედეგი კარგად არის ცნობილი — ღირსებების და უნარების უდიდესი წილი საშუალო ფენაზე მოდის. ამრიგად, საშუალო ფენის მამაკაცებს მაინც ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ღირსეულად წარმოაჩინონ საკუთარი თავი და დანინაურდნენ კიდევ, რაც გაცილებით უკეთესს ხდის გონიერ არსებას. ხოლო ქალები, მდიდრების მსგავსად, ხასიათის ჩამოყალიბე-

* ამას კი შეიძლება დავამატოთ, რომ მასხარა ყოველთვის მასხარაა, რადგან მასხარებისა და ლამაზმანების მიერ ჩადენილი ამოო სისულელეები, რომელთაც ყურადღების მიქცევისა და გულთა დაპყრობის მიზნით მიმართავენ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ბამდე უკვე გარკვეული სქესობრივი პრივილეგიებით იბადებიან — მხედველობაში მაქვს ცივილიზაციის კონკრეტული მდგომარეობა. და სანამ მათ უსასყიდლოდ ეძლევათ ეს პრივილეგიები, ცოტას თუ მოუვა ოდესმე აზრად აუცილებელზე მეტი იშრომოს იმისთვის, რომ რამდენიმე გამორჩეული ადამიანისგან მაღალი შეფასება მიიღოს.

ოდესმე თუ გვსმენია ისეთი ქალების შესახებ, რომლებიც, სიბნელიდან გამოსულები, თამამად ითხოვენ პატივისცემას თავიანთი დიდი ნიჭის ან მამაცური ღირსებებისათვის? სად უნდა ვიპოვნოთ ისინი? „შეგამჩნიონ, ყურადღება მოგაქციონ და თანაგრძნობით, გულთბილად და მონონებით გამოგარჩიონ — აი ყველა ის უპირატესობა, რომელსაც ისინი ესწრაფვიან“. „ჭეშმარიტად!“ — ალბათ წამოიძახებენ ჩემი მამაკაცი მკითხველები; მაგრამ რაიმე დასკვნის გატანამდე დაე მათ გაიხსენონ, რომ თავიდან ეს არა ქალების, არამედ მდიდრების დასახასიათებლად დაინერა. დოქტორი სმიტის *მორალური გრძნობების თეორიაში* ვხვდებით წარჩინებული და მდიდარი ადამიანების ზოგად დახასიათებას, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან შეეფერება ქალთა სქესს. გამჭრიახი მკითხველი თავად დაასრულებს შედარებას. მაგრამ მე მაინც მინდა ციტატად ერთი ნაწყვეტი მოვიყვანო, რათა გავაძლიერო არგუმენტი, რომელსაც მე მოვიხმობ, როგორც ყველაზე გადამწყვეტ არგუმენტს სქესთა ბუნების უარსაყოფად. იქიდან გამომდინარე, რომ მეომრების გარდა მაღალი არისტოკრატიის რიგებში არც ერთი დიდი ადამიანი არ გამოჩენილა, მართებული ხომ არ იქნება დავასკვნათ, რომ მამაკაცებს შთანთქავდა და ქალების მსგავს ხასიათს უყალიბებდა მათი სპეციფიკური მდგომარეობა; ქალებისა, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, *ლოკალიზებულნი* არიან იმ სტატუსის ფარგლებში, რომელშიც მათ *ეტიკეტი* აქცევს? ქალებს, რომელთაც ჩვეულებრივ ქალბატონებს უწოდებენ, არასდროს არ უნდა შევეკამათოთ საზოგადოებაში, არ უნდა მივცეთ საშუალება გამოიყენონ ფიზიკური ძალა; მათგან მხოლოდ ნეგატიურ ღირსებებს მოვლიან — მოთმინებას, მორჩილებას, კარგ გუნებას და დამყოლ ხასიათს. ეს ის ღირსებებია, რომლებიც შეუთავსებელია ინტელექტის სერიოზულ ძალისხმევასთან. ამის გარდა, რადგან ისინი ძირითადად ერთად ცხოვრობენ და იშვიათად რჩებიან აბსოლუტურად მარტო, ვნებებზე უფრო მეტად მათზე გრძნობები ახდენს ზეგავლენას. მარტოობა და აზროვნება აუცილებელია იმისთვის, რომ სურვილებმა ვნების სიცხოველე შეიძინონ, რომ წარმოსახვამ შეძლოს სურვილის ობიექტის განდიდება და ისიც, რომ იგი მაქსიმალურად სასურველი გახადოს. იგივე შეიძლება ითქვას მდიდრებზე. მათ არასაკმარისი შეხება აქვთ ზოგად იდეებთან, რომლებიც ინტენსიური აზროვნებითა ან სიღმისეული გამოკვლევით მოიპოვება. ეს კი აუცილებელია ხასიათის იმ სიმტკიცის შესაძენად, რომელსაც დიადი გადანყვეტილებები ემყარება. მაგრამ ნახეთ რას ამბობს დიდ ადამიანებზე გამჭრიახი დამკვირვებელი:

„იქნებ დიდი ადამიანები ვერ ხვდებიან, რაოდენ იოლად მოიპოვებენ ხალხის აღფრთოვანებას. ან ხომ არ ფიქრობენ, რომ მათაც და სხვებმაც ეს ოფლისა და სისხლის ფასად უნდა დაიმსახურონ? რა მნიშვნელოვანი მიღწევების საშუალებით ურჩევნ ახალგაზრდა წარჩინებულს ღირსება შესძინოს თავის საპატიო წოდებას და აჩვენოს, რომ იმსახურებს თავის თანამოქალაქეებზე აღმატებულ მდგომარეობას, რომელიც მას მისი წინაპრების ღირსებამ მოუტანა? განა მან ამას ცოდნით, გულმოდგინებით, მოთმინებით, თავშეკავებით ან რომელიმე სხვა სათნოებით უნდა მიაღწიოს? ვინაიდან ყველა მის სიტყვას, ყველა მის მოძრაობას ყურადღება ექცევა, ის სწავლობს დაუკვირდეს ჩვეულებრივი ქცევის ყველა ნიუანსს და ეს ჩვევაში უჯდება, ინაფება ყველა ამ მცირე ამოცანის სწორად და ზუსტად შესრულებაში. ვინაიდან ის აცნობიერებს, რამდენი თვალი შეჰყურებს მას და რაოდენ მონონებით ხვდებიან ადამიანები ყველა მის მიდრეკილებას, ის ყველაზე უმნიშვნელო შემთხვევებშიც თავისუფლად და მსუბუქად იქცევა, რაც ბუნებრივად მოდის მისი აზროვნებიდან. მისი იერი, მისი მანერები, მისი მიხვრა-მოხვრა — ყველაფერი მეტყველებს საკუთარი აღმატებულობის მის ელევანტურ და ნატიფ შეგრძნებაზე, რომელიც ალბათ ვერასოდეს ექნება იმას, ვინც მდაბიოდ დაიბადა. ეს არის ხელოვნება, რომელთა საშუალებითაც ის ადამიანებს იოლად უმორჩილებს საკუთარ ავტორიტეტს და მათ მისწრაფებებს საკუთარი სიამოვნების მიხედვით მართავს. და ამაში მას იშვიათად ეშლება ხელი. ეს უნარები, რომელთაც წოდება და გამორჩეული მდგომარეობა უმაგრებს ზურგს, ჩვეულებრივ შემთხვევაში საკმარისია სამყაროს სამართავად. არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელ ევ-

როპაშიც ლუი XIV ხელმწიფის ყველაზე სრულყოფილ მოდელად ითვლებოდა მისი მმართველობის თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ რა იყო ის უნარები და ღირსებები, რომელთა საშუალებითაც მან ეს დიდი რეპუტაცია მოიპოვა? ეს იყო ყველა მისი წამოწყების უზადო და განუხრელი სამართლიანობა, ამ წამოწყებათა განხორციელების წინაშე მდგომი უზარმაზარი საფრთხე და სიძნელეები, თუ მათ განხორციელებაში გამოვლენილი შეუპოვრობა და სიმედგრე? ეს იყო მისი უკიდევანო ცოდნა, მისი დახვეწილი მსჯელობა, თუ მისი ჰეროიკული სიმამაცე? მისი რეპუტაცია არ ემყარებოდა არც ერთს ამ თვისებებიდან. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის ევროპაში ყველაზე ძლიერი მმართველი იყო და ამიტომ ყველა სხვა მეფეზე მაღლა იდგა; და, მეორეც, როგორც მისი ისტორიკოსი ამბობს, „ის თავის ყველა კარისკაცს აღემატებოდა აღნაგობის სინატიფითა და ნაკვთების დიდებული მშვენიერებით. მისი ხმის არისტოკრატიული და ამაღლვებელი ჟღერადობა იპყრობდა მისი სიახლოვით დამფრთხალ გულებს. მას ჰქონდა მხოლოდ მისთვის და მისი წოდებისთვის შესაფერისი სიარული და მიხვრა-მოხვრა, რომელიც ნებისმიერი სხვა ადამიანის შემთხვევაში სასაცილო იქნებოდა. საკუთარი აღმატებულების განცდით გამოწვეულ მის ფარულ კმაყოფილებას ესაღბუნებოდა ის შეცბუნება, რომელსაც ადამიანებში მასთან საუბარი იწვევდა“. ამ მეფეს თანამედროვეთა მაღალი შეფასება, ხოლო მის ხსოვნას მომდევნო თაობების დიდი პატივისცემა იმ ზედაპირულმა მიღწევებმა და დამსახურებებმა მოუტანა, რომელთაც ზურგს უმაგრებდა მისი წოდება და, უეჭველია, სხვა ღირსებათა და სათნოებათა რაღაც ხარისხიც. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ხარისხი საშუალოს დიდად არ აღემატებოდა. როგორც ჩანს, მის ეპოქაში და მის უშუალო ახლობლობაში ამ ზედაპირულ ღირსებებთან შედარებით არც ერთ სხვა სათნოებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. ცოდნა, გულმოდგინება, სიმამაცე და ქველმოქმედება ამ უკანასკნელთა წინაშე ცახცახებდნენ, იბნეოდნენ და მთელ ღირსებას კარგავდნენ”

ასევე ქალიც, რომელიც „თავის თავში დასრულებულია“ მსგავსი ზედაპირული ღირსებებით, ისე ცვლის საგანთა ბუნებას,

რომ ყველაფერი, რის თქმას ან გაკეთებასაც ის ინებებს,
ყველაზე ბრძნული, ყველაზე სათნო,
ყველაზე ტაქტიანი და საუკეთესო ჩანს;
მის სიახლოვეში ყოველგვარი ამაღლებული ცოდნა
დაკნინებული ძირს ენარცხება.
მასთან საუბარში სიბრძნე
სახედაკარგული მარცხდება და ბრიყვად გამოჩნდება;
ავტორიტეტი და გონება მას ემსახურებიან.
და ეს ყველაფერი მის მომხიბვლელობაზეა აგებული!

შედარება რომ გავაგრძელო, საშუალო ფენის მამაკაცები ახალგაზრდობაში პროფესიისთვის ემზადებიან და ქორწინება მათ ცხოვრებაში დიდ მოვლენად არ ითვლება; ხოლო ქალებს, ამის საპირისპიროდ, სხვა არავითარი გეგმა არ გააჩნიათ, რომლითაც გაავარჯიშებდნენ საკუთარ უნარებს. მათ ყურადღებას არ იპყრობს საქმოსნობა, შორსმიმავალი გეგმები ან რაიმე ამბიციური მისწრაფებები. არა, მათი აზრები თავს არ დასტრიალებს ასეთ დიდებულ აზრებს. იმისთვის, რომ დაწინაურდნენ და თავისუფლად შეძლონ ცხოვრების გატარება ერთი სიამოვნებიდან მეორე სიამოვნების მიღებაში, ისინი სარფიანად უნდა გათხოვდნენ. ამ მიზანს ეწეობა მათი დრო და ხშირად მათი სხეულით პროსტიტუცია ოფიციალურ სახეს იღებს. როცა კაცი რომელიმე პროფესიას ეუფლება, იგი კონცენტრირებულია იმ სარგებელზე, რომელსაც ეს პროფესია მოუტანს (და გონება დიდ ძალას იძენს იმით, რომ მისი მთელი ძალისხმევა ერთი ნერტილისკენ არის მიმართული). საქმეებით დაკავებული კაცისთვის სიამოვნება უბრალოდ დასვენების საშუალებაა; ხოლო ქალები სიამოვნებას ესწრაფვიან, როგორც არსებობის მთავარ მიზანს. შეიძლება ითქვას, რომ იმ განათლების შედეგად, რომელსაც საზოგადოება ქალებს აძლევს, ყველა ქალს სიამოვნების სიყვარული მართავს; მაგრამ განა ეს იმის მაჩვენებელია, რომ სქესი სულშია? ზუსტად იმდენადვე რაციონალური იქნება მტკიცება, რომ ფრანგი კარისკაცები,

რომელთა ხასიათიც დესპოტიზმის გამანადგურებელმა სისტემამ ჩამოაყალიბა, არ იყვნენ მამაკაცები, რადგან ისინი თავისუფლებას, სათნობას და ადამიანობას მსხვერპლად სწირავდნენ სიამოვნებასა და ამაოებას — მომაკვდინებელ ვნებებს, რომლებიც ყოველთვის მთელ რასაზე ბატონობდა!

სიამოვნების სიყვარული, რომელსაც ქალების აღზრდის არსებული ტენდენცია ასაზრდოებს, განსაზღვრავს გარემოებათა უმრავლესობაში ქალების ქცევის წვრილმან ხასიათს. მაგალითად, ისინი ყოველთვის მეორეხარისხოვან საგნებზე შფოთავენ და სულ თავგადასავლებზე უჭირავთ თვალი, ნაცვლად იმისა, რომ მოვალეობებს მიხედონ.

როდესაც მამაკაცი მოგზაურობას გეგმავს, მას, როგორც წესი, ზოგადად გააზრებული აქვს სად უნდა დასრულდეს ეს მოგზაურობა. ქალი კი მეტად ფიქრობს შემთხვევითობებზე, იმაზე, რომ გზად შეიძლება რაიმე უცნაური გადახდეს თავს; ფიქრობს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს თანამგზავრებზე; უპირველეს ყოვლისა კი, მოუსვენრად დაჰკანკალებს თან წაღებულ სამკაულებს, რომლებიც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე თვითონ იგი, როცა ის ახალ სცენაზე გამოჩენას აპირებს, ანუ, თუკი ფრანგულ გამონათქვამს გამოვიყენებთ, როცა ის სენსაციას გეგმავს. შეიძლება გონების ღირსება ასეთ ტრივიალურ საზრუნავებთან თანაარსებობდეს?

მოკლედ, საზოგადოდ ქალებმა, ისევე, როგორც ორივე სქესის მდიდრებმა, ყველა მათი სისულელე და მანკიერება ცივილიზაციისგან შეიძინეს, ხოლო მისი სასარგებლო ნაყოფი გამოეპარათ. აუცილებელი არ არის ყოველ წუთს აღვნიშნო, რომ მე მთელი სქესის მდგომარეობაზე ვლაპარაკობ, ხოლო გამონაკლისებს არ ვეხები. იმის შედეგად, რომ მისი გრძნობები აღვზნებულია, ხოლო აზროვნება — უგულვებლყოფილი, ქალი თავისი გრძნობების მსხვერპლი ხდება, გრძნობებისა, რომელთაც დელიკატურად მგრძნობიარობას უწოდებენ, და მათ ყოველ წამიერ მოზღვავენას ნებდება. „ამდენად ცივილიზებული ქალები ისე არიან დასუსტებული ყალბი დახვეწილობით, რომ მორალის თვალსაზრისით მათი მდგომარეობა ბევრად უარესია, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, ბუნებასთან უფრო ახლოს რომ დარჩენილიყვნენ. მათი ზღვრამდე დაჭიმული, მარად დაუოკებელი და მოუსვენარი მგრძნობიარობა არა მხოლოდ თავად მათ სიმშვიდეს არღვევს, არამედ მათ გარშემომყოფთათვისაც, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნებათა გამომწვევია. იმ დროს, როცა მათ უნდა იაზროვნონ, მათი ყველა ფიქრი თავს დატრიალებს ემოციისა და გრძნობის აღსაგზნებად გამიზნულ საგნებს; მათი ქცევა არასტაბილურია, მათი მოსაზრებები — მერყევი. ეს არის არა ანონ-დანონვით ან პროგრესული მოსაზრებებით გამოწვეული მერყეობა, არამედ წინააღმდეგობრივი ემოციების შედეგი. ალტკინებაში ისინი ბევრ საქმეს ენთუზიაზმით იწყებენ; მაგრამ ეს ენთუზიაზმი არასოდეს იძენს შეუპოვარ ხასიათს და მალევე კარგავს ძალას, გადაინვება საკუთარი მხურვალეობით ან შეეჯახება რომელიმე სხვა წუთიერ ვნებას, რომლისთვისაც გონებას არასოდეს დაუდგენია განსაზღვრული მნიშვნელობა; შედეგად გულგრილობა ისადგურებს.“ მართლაც საცოდავი უნდა იყოს არსება, რომლის გონების განვითარება მხოლოდ მისი ვნებების აალებისკანაა მიმართული! ვნებების აალება უნდა განვავსხვავოთ მათი გაძლიერებისგან. როცა ვნებებს ასე ათამამებენ, ხოლო მსჯელობის უნარი ჩამოუყალიბებელი რჩება, რა შედეგს შეიძლება ველოდეთ? უდავოდ სიგიჟისა და გულუბრყვილობის ნარევეს!

ეს მოსაზრება არ უნდა შემოვსაზღვროთ *მშვენიერი* სქესით; მაგრამ ამჟამად მე მხოლოდ ქალები მყავს მხედველობაში.

რომანები, მუსიკა, პოეზია და სასიყვარულო ინტრიგები — ყოველივე ეს მიმართულია იქითკენ, რომ ქალები ემოციურ ქმნილებებად აქციოს. და იმ დროს, როცა მათ ღირსებები უნდა შეიძინონ, მათ გულუბრყვილო ხასიათი უყალიბდებათ. ის მდგომარეობა, რომელიც მათ საზოგადოებაში უკავიათ, ერთადერთი ღირსების — მგრძნობიარობის — მოსაპოვებლად წააქეზებს მათ. ბუნებრივია, გადაჭარბებული მგრძნობიარობა გონების სხვა უნარებს ადუნებს და ხელს უშლის ინტელექტის გაბატონებას, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ რაციონალური არსება სხვებისთვის სასარგებლო იყოს და საკუთარ მდგომარეობას შეეგუოს. ვინაიდან აზროვნებით მოქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში ბუნებით ნაწყალობევი

ერთადერთი საშუალებაა ვნებების დასაოკებლად.

ავხორცობას სულ სხვა შედეგი აქვს. ჩემზე ხშირად მოუხდენია ძლიერი შთაბეჭდილება ჯოჯოხეთის ხატოვან აღწერას: სული მუდამ გარყვნილი სხეულის გაშემო უშედეგო მონადინებით დახეციალებს, რადგან არ შეუძლია გრძნობის ორგანოების გარეშე რაიმესგან მიიღოს სიამოვნება. მაგრამ ქალები დამონებულები არიან თავიანთ გრძნობებს, რადგან ანმყო ძალაუფლებას სწორედ თავიანთი გრძნობიარობით მოიპოვებენ.

და განა მორალისტები გაბედავენ ამტიკიციონ, რომ კარგია კაცობრიობის ნახევარი ნავახალისოთ, გულგრილი უმოქმედებით და სულელური მორჩილებით ამ მდგომარეობაში დარჩეს? კეთილი მრჩევლები! რისთვის ვართ ჩვენ შექმნილები? იმისთვის, რომ უმანკოები დავრჩეთ, შეიძლება გვითხრან; ანუ იგულისხმება ბავშვურ მდგომარეობაში დარჩენა. შეიძლება სულაც არასოდეს გავჩენილიყავით, ჩვენი შექმნა იმისთვის რომ არ ყოფილიყო აუცილებელი, რათა მამაკაცისთვის გონების წარჩინებული პრივილეგიის, კეთილის ბოროტისგან გარჩევის უნარის მოპოვების საშუალება მიგვეცა იმ დროს, როცა ჩვენ, დანარცხებულებს მინაზე, რომლისგანაც ვიშვით, აღარასოდეს გვინერია წამოდგომა.

ამოუხსნელი ამოცანა იქნებოდა სიმდაბლის, დარდისა და მწუხარების იმ მრავალფეროვნების აღწერა, რომელთა მორევშიც ქალებს გაბატონებული მოსაზრებები ძირავს: რომ ისინი შექმნილნი არიან გრძნობისა და არა აზროვნებისთვის; და რომ მთელი თავიანთი ძალა მათ თავიანთი მომხიბვლელით და სისუსტით უნდა მოიპოვონ:

ნაკლით მშვენიერი და მომხიბვლელად სუსტი!

და ამ მომხიბვლელი სისუსტის გამო ისინი არა მხოლოდ მფარველობის, არამედ რჩევის თვალსაზრისითაც თითქმის მთლიანად მამაკაცებზე არიან დამოკიდებულნი — გამონაკლისია მხოლოდ ის, რასაც ისინი აკრძალული ხერხებით მოიპოვებენ. განა გასაკვირია, რომ ისინი უგულუბელყოფენ მოვალეობებს, რომელთა მითითებაც მხოლოდ გონებას შეუძლია; რომ გაურბიან განსაცდელს, რომელიც მათი გონების გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს; და მხოლოდ იმაზე ხარჯავენ ძალისხმევას, რომ თავიანთი ნაკლოვანებები სინატიფით დაფარონ, რამაც შეიძლება მათ მომხიბლავობა შეჰმატოს ავხორცთა თვალში, თუმცა ამავე დროს მორალური სრულყოფის კიბიდან ძირს დაანარცხებს.

სუსტები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იძულებულნი არიან ყველა საჭიროებისთვის მამაკაცს შეჰყურებდნენ ხელებში. ყველაზე უმნიშვნელო ხიფათის წინაშეც ისინი პარაზიტის სიჯიუტით ებლაუჭებიან მამაკაცის მხარდაჭერას, საცოდავად ითხოვენ შველას; და ბუნებრივი მფარველიც მათ ხელს უწვდის, ან ხმას აუნწეს, რათა საყვარელი მოცახცახე დაიცვას. რისგან? ალბათ ბებერი ძროხის დაბლვერის ან თავის ნახტომისგან; ვირთხა მართლა სერიოზული საფრთხე იქნებოდა. გონების და თვით საღი აზრის სახელით, რამ შეიძლება გადაარჩინოს ასეთი არსება ზიზლისგან, თუნდაც ის რბილი და მშვენიერი იყოს?!

ამ შიშებმა, თუ მოჩვენებითი არ არის, შეიძლება მშვენიერი გრძნობებიც კი აღძრას, მაგრამ ისინი გონებასუსტობაზე მეტყველებენ, რაც გონიერ არსებას ისე აკნინებს, რომ ქალებმა არც კი იციან. სიყვარული და დაფასება ხომ ორი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული რამაა.

მე სრულებით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ ამგვარ ინფანტილურ განწყობასთან აღარ გვექნებოდა საქმე გოგონებს საკმარისი ვარჯიშის საშუალებას რომ აძლევდნენ და ოთახებში რომ არ ჰყავდეთ გამოკეტილი იქამდე, სანამ კუნთები არ მოუდუნდებათ და მონელების ორგანოები არ გაუხადგურდებათ. ეს შენიშვნა მეტად რომ განვავრცო, გოგონებში შიშის ხელოვნურად შექმნის ნაცვლად მას ისევე რომ ეპყრობოდნენ, როგორც სიმხდალეს ბიჭებში, ქალები მალე წარმოგვიდგებოდნენ უფრო ღირსეული სახით. თუმცა ამ შემთხვევაში, მათ ვედარ ვუნოდებთ ტკბილ ყვავილებს, მამაკაცებს გზაზე რომ უღიმიან. სამაგიეროდ ისინი საზოგადოების უფრო პატივსაცემი წევრები იქნებოდნენ და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვალეობებს საკუთარი გონების სინათლით აღასრულებდნენ. „აღზარდეთ ქალები მამაკაცების მსგავსად, — ამბობს რუსო, — და რაც უფრო მეტად დაემსგავსებიან ისინი ჩვენს სქესს, მით

უფრო ნაკლები ძალაუფლება ექნებათ მათ ჩვენზე“. სწორედ ამ აზრზე ვარ მეც. მე მათ არა მამაკაცებზე, არამედ საკუთარ თავზე ძალაუფლების ქონას ვუსურვებდი.

ანალოგიურად მსჯელობენ მამაკაცები ღარიბთათვის განათლების მიღების თაობაზე, რადგან ბევრისთვის განათლება მხოლოდ არისტოკრატის უკავშირდება. „ასწავლეთ მათ წერა-კითხვა და დააშორებთ ადგილს, რომელიც ბუნებამ მიუჩინა მათ“, — იტყვიან ისინი. ერთმა მჭევრმეტყველმა ფრანგმა პასუხი გასცა მათ, მეც მას დავესესხები: „მაგრამ მათ არ უნყიან, რომ, როცა კაცს პირუტყვად აქცევენ, ყოველ წუთს უნდა მოელოდნენ მის მძვინვარე მხეცად გარდასახვას. ცოდნის გარეშე შეუძლებელია მორალის არსებობა“.

უმეცრება უხეირო საფუძველია სათნოებისთვის! მაგრამ ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქალი სწორედ ამ მდგომარეობისთვის არის შექმნილი, ყველაზე გააფთრებით იცავენ მამაკაცის უპირატესობას — არა ხარისხობრივს, არამედ არსობრივს. თუმცა ამ არგუმენტის შესარბილებლად ისინი რაინდული გულუხვობით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ორი სქესი ერთმანეთს არ უნდა შევადაროთ; რომ კაცი შეიქმნა აზროვნებისთვის, ქალი — გრძნობისთვის; და რომ მათი — ხორცის და სულის — ერთობლიობა, გონებისა და მგრძნობიარობის ერთმანეთთან საბედნიერო შერწყმა ყველაზე სრულყოფილ მთელს ქმნის.

მაგრამ რა არის მგრძნობიარობა? „შეგრძნებისა და აღქმის სიმახვილე, სიფაქიზე“ — ასე განსაზღვრავს მას დოქტორი ჯონსონი. ეს განსაზღვრება მე ერთადერთ წარმოდგენას აღმიძრავს — უაღრესად დახვეწილი და განვითარებული ინსტინქტი. შეგრძნებაში ან მატერიაში მე ღვთის ხატის კვალსაც კი ვერ ვხედავ. სამოცდაათჯერ უფრო მეტად რომც დაიხვეწონ, მათი ბუნება მაინც მატერიალურია, ინტელექტი მათში არ სახლობს. ვერც ცეცხლი აქცევს ტყვიას ოდესმე ოქროდ!

მე ჩემს ძველ არგუმენტს ვუბრუნდები: თუ დაშვებულია, რომ ქალს უკვდავი სული აქვს, მისი ცხოვრების მთავარი საქმე აზროვნების განვითარება უნდა იყოს. არსებული მდგომარეობის უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად შეგვიძლია შემდეგი რამ ვთქვათ: თუ ქალი ყოვლისშემძლე ერთიანობის ნაწილია, რაზეც ყველაფერი მეტყველებს, მაშინ ბუნებას ეწინააღმდეგება ის, რომ მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მას საკუთარი დიადი დანიშნულების დავინყებისკენ უბიძგებს. თუ არა და, იგი მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ გვარი გაამრავლოს და შემდეგ გაიხრწნას. ან კიდევ, თუ დავუშვებთ, რომ ყველა სახის მხეცს აქვს სული, თუმცა არა გონიერი სული, მაშინ შეიძლება ინსტინქტის და მგრძნობიარობის განვითარება იმ ნაბიჯად ჩაითვალოს, რომელიც მათ ამ ცხოვრებაში უნდა გადადგან იმისთვის, რომ შემდეგ ცხოვრებაში გონება მოიპოვონ. ამრიგად, ისინი სამარადისოდ მამაკაცის უკან იჩანჩალებენ, რომელსაც, არ ვიცით, რატომ, არსებობის პირველსავე მოდუსში მიენიჭა გონების მოპოვების უნარი.

როცა მე ქალების განსაკუთრებულ მოვალეობებს ისევე განვიხილავ, როგორც მოქალაქის ან მამის განსაკუთრებულ მოვალეობებს უნდა განვიხილავდე, გასაგებია, არ ვგულისხმობ, რომ ისინი, მათი უმრავლესობა მაინც, საკუთარ ოჯახებს უნდა დააშორონ. ლორდი ბეკონი ამბობს: „ცოლშილიან კაცს ბედისწერისთვის მივევლები ჰყავს დატოვებული, რადგან ისინი დაბრკოლებად ეღობებიან დიად წამონყებებს — სათნოს თუ ბოროტს. უეჭველია, რომ საუკეთესო და საზოგადოებისთვის ყველაზე ღირებული შრომები უცოლო ან უშვილო კაცებს ეკუთვნის“. მე იგივეს ვამბობ ქალებზე. მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობა არ ემყარება ექსტრაორდინარულ საქმეებს და ის უფრო გონივრულად რომ ყოფილიყო მოწყობილი, განსაკუთრებული გენია ან პეროიკული სათნოება კიდევ უფრო ნაკლებად იქნებოდა აუცილებელი.

ოჯახის გაძლოლაში და ბავშვების აღზრდაში განსაკუთრებით საჭიროა აზროვნება უბრალო მნიშვნელობით — სხეულის და სულის ძლიერება; მაგრამ ის მამაკაცები, რომლებიც თავიანთი თხზულებების საშუალებით გამორჩეული მონადინებით იღწვოდნენ ქალების მოსათვინიერებლად, ცდილობდნენ გაძლიერებული მადით ნაკარნახევი არგუმენტებით მათ სხეულთა დასუსტებას და მათი გონების დაბორკვას. მაგრამ ამ ვერაგი მეთოდებით — გრძნობებზე ზემოქმედებით — მათ მართლაც დაარწმუნეს ქალები იმაში, რომ ისინი შინ უნდა დარჩნენ და დედისა და ოჯახის დიასახლისის მოვალეობები შეასრულონ. ამიტომ მე ფრთხილად უნდა დავუპირისპირდე

მოსაზრებებს, რომლებიც ქალებს შთააგონებს ამ მნიშვნელოვანი მოვალეობების აღსრულება იქციონ ცხოვრების მთავარ საქმედ და ამდენად სწორი ქცევისკენ უბიძგებს მათ, მაგრამ შეურაცხყოფს გონებას. ხომ არ აჩვენებს გამოცდილება, რომ აზროვნების უგულვებელყოფა არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, მონყვეტს მათ საოჯახო საქმეებს, ვიდრე ყველაზე სერიოზულ ინტელექტუალურ მისწრაფებას შეიძლება მოეწყვიტა (თუმცა შეიძლება შევნიშნოთ, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ღრმად არასოდეს მისდევს ინტელექტუალურ მიზნებს*)? თუ ასეა, უფლება მაქვს დავასკვნა, რომ გონება აბსოლუტურად აუცილებელია, რათა ქალს შეეძლოს რაიმე მოვალეობის ჯეროვნად შესრულება. და ისევ უნდა გავიმეორო, რომ მგრძნობიარობა არ არის გონება.

ისევ მდიდრებთან შედარება მომდის აზრად: როცა მამაკაცი ადამიანურ მოვალეობებს უგულვებელყოფს, ქალი მის მაგალითს მისდევს; ორივე დაუფიქრებელი სისწრაფით მიექანება ერთსა და იმავე მორევში. სიმდიდრე და პატივი მამაკაცს ხელს უშლის გაიფართოვოს აზროვნება და ასუსტებს მის ყველა უნარს, რადგან ისინი ბუნების წესრიგის საწინააღმდეგოდ მიდიან, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი სიამოვნება ყოველთვის შრომის საზღაურია. სიამოვნება — დამასუსტებელი სიამოვნება — ქალებისთვისაც დამსახურების გარეშეა ხელმისაწვდომი. მაგრამ ვიდრე მთელს მსოფლიოში ქონება მემკვიდრეობით გადადის, როგორ შეიძლება ველოდეთ იმას, რომ მამაკაცები სათნოებას დააფასებენ? და სანამ ასეა, ქალები მათ ყველაზე პირდაპირი საშუალებებით მართავენ და თავიანთ მოსაწყენ საოჯახო მოვალეობებს უგულვებელყოფენ იმისთვის, რომ წამიერ სიამოვნებას გამოეკიდონ.

„ქალის ძალაუფლება მისი მგრძნობიარობაა“, — ამბობს ერთი ავტორი. ხოლო მამაკაცები რაც შეუძლიათ ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ ძალაუფლებამ ყველა სხვა გადაყლაპოს; და ვერ ხვდებიან, ამას რა შედეგები მოსდევს. ყველაზე მეტი ძალაუფლება მას ექნება, ვინც გამუდმებით იყენებს თავის მგრძნობიარობას. ამის მაგალითად გამოდგებიან პოეტები, მხატვრები და კომპოზიტორები.** მაგრამ, როცა ქალის მგრძნობიარობა ასეა გაზრდილი მისი გონების და თვით წარმოსახვის ხარჯზე, რატომ საყვედურობენ ფილოსოფიურად განწყობილი მამაკაცები მათ მერყეობის გამო? მამაკაცების სექსუალური ყურადღება განსაკუთრებით ზემოქმედებს ქალურ მგრძნობიარობაზე და ეს დამოკიდებულება მათ ახალგაზრდობიდანვე უყალიბდებათ. ქმარი ვერ შეძლებს დიდ ხანს გამოავლინოს ასეთი ყურადღება ვნებით, რაც აუცილებელია ცოცხალი ემოციების აღსაგზნებად; ცოცხალ ემოციებს შერჩეული გულიც ახალი სიყვარულისკენ შებრუნდება ან კიდევ, როგორც სათნოების თუ კეთილგონიერების მსხვერპლი, ჩუმად დაიტანჯება. მხედველობაში მაქვს ის შემთხვევები, როცა გული მართლა მონყველადი გახდა და ჩამოყალიბდა გემოვნება. მაგრამ იმის საფუძველზე, რაც ამ მოდურ ცხოვრებაში მინახავს, მე უფრო იმ დასკვნისკენ ვიხრები, რომ აღზრდის არსებული ფორმა და სქესებს შორის ურთიერთობის ჩემს მიერ დაგმოილი სახე უფრო ხშირად ამაოებას ასაზრდოებს, ვიდრე მგრძნობიარობას; და რომ კეკლუცობა უფრო ხშირად ამაოებისგან წარმოდგება, ვიდრე იმ მერყეობისგან, რომელსაც ბუნებრივად ინვესს ზედმეტად დაძაბული მგრძნობიარობა.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც ჩემთვის დიდი წონა აქვს, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყველა დაფიქრებული და კეთილმოსურნე გულისთვის. ხშირად ხდება, რომ ასე სუსტად განათლებულ გოგონებს უმონყალოდ მიატოვებენ მშობლები ყოველგვარი სარჩო-საბადებლის გარეშე. ისინი, რა თქმა უნდა, დამოკიდებული აღმოჩნდებიან თავიანთი ძმების არა მხოლოდ გონებაზე, არამედ მათ გულუხვობაზეც. საუკეთესო შემთხვევაში, ეს ძმები შეიძლება კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ და დას დიდსულოვნად აძლევდნენ იმას, რაზეც თანაბარი უფლება აქვთ ერთი დედ-მამის შვილებს. ამ გაურკვეველ და დამამცირებელ სიტუაციაში შეიძლება გარკვეული დრო საკმაოდ კომფორტულად გაატაროს თვინიერმა ქალმა. მაგრამ როცა ძმა ქორწინდება — ეს მოსალოდნელი შემთხვევაა — ის აღარ მიიჩნევა ოჯახის დიასახლისად და

* კაცობრიობის უდიდესი ნაწილი თავისი სურვილების მონა უფროა, ვიდრე ვნებებისა.

** ასეთი კაცები თავიანთ თხზულებებში ღვრიან მგრძნობიარობას, რათა მისით გააჯერონ უხეში მატერია; ინერტულ სხეულს სულს ანიჭებენ მისი ვნებასთან შედნობის გზით; ხოლო ქალის წარმოსახვაში ეს კოსმიური სხივები მხოლოდ სიყვარულზეა კონცენტრირებული.

მას ზიზღნარევი მზერით უყურებენ, როგორც გარემეს, რომელიც ზედმეტ ტვირთად აწევს სახლის პატრონისა და მისი ახალი პარტნიორის გულმონყალებას.

ვინ შეიძლება იმ საცოდაობის აღწერას, რომელსაც ასეთ სიტუაციებში განიცდის უბედური არსება, რომლის გონება და სხეული ერთნაირად სუსტია, რომელსაც არ შეუძლია მუშაობა და ეთაკილება მათხოვრობა? ცოლი, გულქვა და გონებაშეზღუდული ქალი — და ეს არ არის უსაფუძვლო დაშვება, რადგან ამჟამად დამკვიდრებული აღზრდის ფორმა არც გულს აფართოებს აზროვნებაზე მეტად — ეჭვიანობს იმ მცირე სიკეთის მიმართ, რომელსაც მისი ქმარი თავისი ოჯახური კავშირების მიმართ იჩენს; და რამდენადაც მისი მგრძობიარობა ადამიანურობამდე არ ამალღებულა, ის უკმაყოფილებით უყურებს, როგორ იფლანგება მისი ბავშვების ქონება უსარგებლო დაზე.

ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა მომსწრეც არაერთხელ ვყოფილვარ. შედეგი ამკარაა: ცოლს შეუძლია ცბიერებას მიმართოს, რათა ძირი გამოუთხაროს ჩვევაში გამჯდარ სიყვარულს, რომელთან ამკარად დაპირისპირებასაც ვერ ბედავს; და ის არც ცრემლებს და არც ალერსს არ დაზოგავს, სანამ სახლიდან არ მიაბრძანებს „ჯამუშს“. ქალი სამყაროს პირისპირ აღმოჩნდება, მისი სიძნელებისთვის მოუმზადებელი; ან კიდევ, გულუხვობის დიდი დაძაბვით ან რალაც პრაქტიკული მოსაზრებებით მას მცირე ფულადი დახმარებითა და განუვითარებელი გონებით მოსაწყენ მარტოობაში გააგზავნიან.

გონიერებისა და ადამიანობის თვალსაზრისით ეს ორი ქალი შეიძლება ძალიან ჰგავდეს ერთმანეთს და სხვადასხვა სიტუაციაში მათ შეიძლება ზუსტად ერთი და იგივე ეგოისტური როლი შეესრულებინათ. მაგრამ ისინი სხვანაირად რომ ყოფილიყვნენ აღზრდილნი, ვითარებაც სულ სხვაგვარი იქნებოდა. ცოლის მგრძობიარობის ცენტრი არ იქნებოდა საკუთარი თავი და შეიძლება გონებას მისთვის ესწავლებინა, რომ არ უნდა მოელოდეს თავისი ქმრის სიყვარულს და არც კი ესამოვნოს მისი გამოვლენა, თუკი ეს ქმარს მისი ძირითადი მოვალეობების უგულვებელყოფისკენ უბიძგებს. ქალი ისურვებდა ჰყვარებოდა ქმარი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარს ის უყვარს, არამედ ქმრის სათნოებათა გამო. ხოლო დას შეიძლება ჰქონოდა გადარჩენისთვის ბრძოლის უნარი, ნაცვლად იმისა, რომ დამოკიდებული არსებობის მწარე ლუკმა ეჭამა.

მე მართლა დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ აზროვნება, არამედ გულიც გარკვეული დამუშავების, კულტივაციისა და სხეულის გაძლიერების შედეგად იხსნება, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება ასე ამკარად არ გვეჩვენებოდეს. აქ მხედველობაში მაქვს არა მგრძობიარობის მომენტარული გაღვებები, არამედ გრძნობები. და ალბათ ორივე სქესის აღზრდაში ყველაზე რთული ამოცანაა განათლების ისე წარმართვა, რომ აზროვნება არ შეავინროგოს გაზაფხულის ელექტრული ფერმენტაციით გამოღვიძებული სისხლის ჩქოროლვით გულის გათბობამ; და არც გრძნობები გამოაშროს ცხოვრებისგან განყენებულ გამოკვლევებში გონების ჩაძირვამ.

მაგრამ ქალები, თუ მათ აღზრდას ყურადღებით ეკიდებიან, ან მგრძობიარობით აღსავსე და ახირებული სურვილებით დახუნძლული მშვენიერი ქალბატონები გამოდიან, ან უბრალოდ კარგი დიასახლისები. ეს უკანასკნელნი ხშირად კეთილგანწყობილი, პატიოსანი, სალი აზრისა და ამქვეყნიური კეთილგონიერების მქონე არსებები არიან, რის გამოც ხშირად საზოგადოების უფრო სასარგებლო წევრებად გვევლინებიან, ვიდრე მშვენიერი სენტიმენტალური ქალბატონები. თუმცა ისინი არ გამოირჩევიან არც განვითარებული გონებით და არც გემოვნებით. ინტელექტუალური სამყარო მათთვის ჩაკეტილია. ოჯახის ან სამეზობლოს საქმეების მიღმა მათ არაფერი შეუძლიათ — მათი გონება ვერავითარ გამოყენებას ვერ პოულობს, რადგან მათ არასოდეს უცდიათ სიამოვნება მიელოთ ლიტერატურით, პირიქით, ხშირად ათვალწუნებით უყურებენ მას. ისინი დამცინავად უყურებენ უფრო განვითარებული გონების მქონე ადამიანის მოსაზრებებს და გემოვნებას — თუნდაც ეს ადამიანი შემთხვევითობისა თუ ოჯახური კავშირების გამო მათთვის ძვირფასი იყოს; ხოლო თუ ასეთი ადამიანი უბრალო ნაცნობია, ისინი მის აზრებსა და გემოვნებას მხოლოდ და მხოლოდ მეტიჩრობად თუ მონათლავენ.

გონიერ მამაკაცს ასეთი ქალი მხოლოდ მისი სქესის გამო ეყვარება და პატივს მხოლოდ

იმიტომ სცემს, რომ ის საიმედო მსახურია. საკუთარი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ის მას ნებას მისცემს ტუქსოს მსახურები, იაროს ეკლესიაში საუკეთესო ქსოვილებით შეკერილი ტანისამოსით. მამაკაცი, რომლის აზროვნება ქალის შესადარია, ალბათ ასე კარგად ვერ შეეწყობოდა მას, რადგან მოინდომებდა ქალის პრეროგატივაში შეჭრას, ზოგიერთი საოჯახო საკითხის თავად მოგვარებას. მაგრამ ქალები, რომელთა გონებაც არ გაუფართოებია კულტივაციას, ხოლო მგრძნობიარობის ბუნებრივი ეგოიზმი — რეფლექსიას, ოჯახის გაძლიერების ძალიან შეუფერებელი არიან. ასეა, რადგან ისინი ყოველთვის გადაჭარბებით იყენებენ თავიანთ ძალაუფლებას და ტირანულად იქცევიან, რათა შეინარჩუნონ უპირატესობა, რომელიც მხოლოდ ბედ-იღბლის შემთხვევითობას ემყარება. ბოროტება ზოგჯერ უფრო სერიოზულია: შინამოსამსახურებს ოდნავაც არ ინდობენ და მათ შესაძლებლობებზე მეტად მუშაობას აიძულებენ, რათა ოჯახის დიასახლისმა შეძლოს თავის მოწონება უკეთესი სუფრით, მეზობლების თვალის დაბრმავება ბრწყინვალე ჩაცმულობითა და მოსართავებით. ასეთი ქალი შვილების მიმართ ყურადღებას, როგორც წესი, მხოლოდ მათი ძვირფასად გამონყობის მიზნით იჩენს; ასეთი ყურადღება კი ერთნაირად მავნებელია იმის მიუხედავად, ამაოებისგან წარმოდგება ის თუ სიყვარულისგან.

გარდა ამისა, აღწერილი ტიპის ბევრი ქალი თავის დღეებს ან საღამოებს მაინც, უკმაყოფილო ატარებს. თუმცა მათი ქმრები აღიარებენ, რომ ისინი კარგი დიასახლისები და პატიოსანი ცოლები არიან, მაინც სახლის გარეთ ეძებენ უფრო სასიამოვნო — თავს ნებას მივცემ მკაფიო მნიშვნელობის მქონე ფრანგული სიტყვა გამოვიყენო — პიკანტურ საზოგადოებას. ხოლო მომთმენი ფუტკარი, რომელიც თავის მოვალეობას წისქვილის ბრმა ცხენივით ასრულებს, თავისი დამსახურებული საზღაურის გარეშე რჩება — მისი კუთვნილი გასამრჯელო ხომ სწორედ მისი ქმრის ალერსია. ხოლო ქალები, რომლებიც საკუთარ თავში ესოდენ მცირე რესურსებს ფლობენ, ბუნებრივი უფლების ასე შელახვას სულაც ვერ იტანენ მოთმინებით.

ამისგან განსხვავებით მშვენიერ ქალბატონს ასწავლეს, რომ ცხოვრების მდებრიო საქმიანობებს ზევიდან, ზიზლით შეხედოს. მაგრამ მას მხოლოდ იმ ღირსებების შეძენისკენ უბიძგებდნენ, რომლებიც შეგრძნებების დონეს ოდნავ თუ აღემატება; რადგან აზროვნების გავარჯიშება-გაძლიერების გარეშე შეუძლებელია რამდენადმე სრული სხეულბრივი ღირსების მოპოვებაც კი. გემოვნება ზედაპირულია, თუ მას საფუძვლად პრინციპები არ უდევს; სინატიფის წყარო რაღაც უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე მიბაძვა. მაგრამ წარმოსახვის აგზნება აზიზს ხდის გრძნობებს, რომლებიც ჯერ დაუხვეწავია; ხოლო გული მეტისმეტად ნაზი ხდება, როცა ის ინარჩუნებს ბუნებრიობას, მაგრამ ისე, რომ განსჯის გამაწონასწორებელი უნარი ჯერ არ არის შეძენილი.

ასეთი ქალი ხშირად სასიამოვნოა. იგი მართლა უფრო მგრძნობიარეა საყოველთაო სიკეთის მიმართ და მას მეტად შესტივია გული ცხოვრების ცივილიზებულ მისწრაფებებზე, ვიდრე დოინფემორტყმულ მეოჯახე ფუტკარს. მაგრამ რამდენადაც ასეთ ქალებს რეფლექსიისა და საკუთარი თავის ფლობის უნარი საჭირო ზომით არ გააჩნიათ, ისინი მხოლოდ სიყვარულს ალაგზნებენ და თავიანთ ქმრებს საყვარლობას უწევენ (მანამ, სანამ შეუძლიათ მათ გრძნობებზე ზემოქმედება), ხოლო ქმრის მამაკაც ნაცნობებს — პლატონურ მეგობრობას. ეს ქალები არიან ბუნების მშვენიერი შეცდომები; ისინი თითქოს შექმნილი არიან არა მამაკაცის თანასწორ მეგობრებად, არამედ იმისთვის, რომ მამაკაცი აბსოლუტურ სიმხეცეში ჩაძირვისგან გადაარჩინონ მისი ხასიათის უხეში ნახნაგების განაზღვრებითა და კეკლუცი ფლირტის საშუალებით მისი სქესობრივი სურვილებისათვის გარკვეული ღირსების მინიჭებით. ადამიანთა გვარის კეთილო შემოქმედო! ნუთუ შენ ისეთი არსება შექმენი, როგორიც ქალია, რომელსაც შეუძლია შენს ქმნილებებში შენი სიბრძნის კვალს ხედავდეს და გრძნობდეს, რომ შენი საქმენი და შენი ბუნება მასზე მაღლა დგას, მაგრამ ეს არავითარ მიზანს არ ემსახურებოდეს? განა შეძლებს ის დაიჯეროს, რომ მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ დაემორჩილოს მამაკაცს, თავის თანასწორს — არსებას, რომელიც მის მსგავსად სათნოების მოსაპოვებლად გაჩნდა ამ ქვეყნად? განა შეძლებს ის დაჰყაბულდეს იმას, რომ მისი ერთადერთი საქმიანობა მამაკაცისთვის სიამოვნების მინიჭება

— უბრალოდ დედამინის გალამაზება — უნდა იყოს მაშინ, როდესაც მის სულს შენამდე ამაღლების შესაძლებლობა აქვს? და განა შეძლებს ის მშვიდად და უმოქმედოდ იყოს მამაკაცის გონების იმედზე მაშინ, როდესაც ის ვალდებულია მასთან ერთად ავიდეს ცოდნის ციკაბო ფერდობებზე?

თუკი სიყვარული უზენაესი სიკეთეა, მაშინ, დაე, ქალს მხოლოდ მისი აგზნება ასწავლონ და მთელი მისი მომხიბვლელი გრძნობების დათრობას ემსახურებოდეს! მაგრამ თუ ქალი მორალური არსებაა, დაე, მას ჰქონდეს გონიერ არსებად ქცევის შესაძლებლობა; დაე, კაცის მიმართ მისი სიყვარული მხოლოდ ნაწილი იყოს უნივერსალური სიყვარულის იმ აალებული ცეცხლისა, რომელიც მას შემდეგ, რაც მთელ კაცობრიობას მოიცავს, ღმერთამდე ამაღლდება გუნდრუკ-საკმეველად!

ოჯახურ მოვალეობათა შესასრულებლად აუცილებელია დიდი სიმტკიცე და სერიოზული შეუპოვრობა, რასაც უფრო მყარი საყრდენი სჭირდება, ვიდრე ემოციები, რაც არ უნდა ცოცხალი და ბუნებრივი იყოს ეს უკანასკნელი. იმისთვის, რომ ადამიანმა სხვას წესრიგის, რომელიც სათნოების სულისჩამდგმელია, მაგალითი მისცეს, აუცილებელია თავად რამდენადმე მკაცრად მოიქცეს. ძნელია ამას ველოდეთ არსებისგან, რომელიც ბავშვობიდანვე საკუთარი შეგრძნებების მონა-მორჩილად აქციეს. ის, ვინც გააზრებულად ცდილობს სარგებლობის მოტანას, დაგეგმილად უნდა მოქმედებდეს; უმარტივესი მოვალეობის შესრულების დროსაც კი ხშირად იძულებული ვართ სინაზის ან თანაგრძნობის ნუთიერი იმპულსის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ. ხშირად სიყვარულის ყველაზე უტყუარი და ასევე ყველაზე ამაღლებული საბუთია სიმკაცრე; ის ფაქტი, რომ ბევრ ქალს არ აქვს საკუთარი გრძნობების მოთოკვის უნარი და აკლია ის უდიდესი, ღირსეული სიყვარული, რომლის ძალითაც თავისი სიყვარულის ობიექტის მომავალ სიკეთეს მის ანმყო კეთილდღეობაზე მალლა აყენებს, შედეგად იწვევს იმას, რომ ძალიან ბევრი მოსიყვარულე დედა აფუჭებს თავის ბავშვებს. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ასევე ისმის შეკითხვა, თუ რომელია უფრო მავნებელი — უყურადღებობა თუ განებივრება. მე კი ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ვნება სწორედ მეორეს მოაქვს.

როგორც ჩანს, ერთსულოვნად არის აღიარებული, რომ ბავშვები პატარაობაში ქალების ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ. მაგრამ ყველაფერი, რასაც მე აქამდე მოვსწრებივარ, მეტყველებს იმაზე, რომ მგრძნობიარე ქალები ყველაზე შეუფერებელნი არიან ამ ამოცანის შესრულებისთვის, რადგან თავიანთი გრძნობებით გატაცებულები, ისინი აუცილებლად ნაუხდენენ ბავშვს ზნეს. ხასიათის ჩამოყალიბება, რომელიც აღზრდის უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, გონების ფხიზელ და გამუდმებულ მეთვალყურეობას მოითხოვს; მოითხოვს მოქმედების წესს, რომელიც ერთნაირად არის დაშორებული როგორც ტირანიისაგან, ისე გათამამებისგან. მაგრამ მგრძნობიარე ადამიანები სწორედ ამ უკიდურესობებიდან ერთ-ერთში ვარდებიან და ყოველთვის ცდებიან მიზანს. ბჭობის ამ მიმართულებას მე ბევრად უფრო შორს მივყევი და მივედი დასკვნამდე, რომ განათლებაში — საჯარო იქნება თუ კერძო — ყველაზე ნაკლებად გენიოსი ადამიანები უნდა დასაქმდნენ. ასეთი იშვიათი გონების მქონე ადამიანები სამყაროს მეტისმეტად მასშტაბურად აღიქვამენ და იშვიათად, შეიძლება არც არასდროს, არიან კარგი ზნისა. ის ჩვეული სიხალისე, კარგ ხასიათს რომ უწოდებენ, ალბათ იშვიათად თანაარსებობს დიდ გონებრივ უნართან, ისევე, როგორც ძლიერ გრძნობებთან. არ უნდა გაკვირდეთ ის ადამიანები, რომლებსაც, მიჰყვებიან რა ინტერესითა და აღფრთოვანებით გენიის აღმაფრენას ან ენაფებიან რა უფრო ფხიზელი მოწონებით ღრმა მოაზროვნის მიერ მათთვის რუდუნებით მომზადებულ გაკვეთილს, პირველი ფხუკიანად ეჩვენებათ, ხოლო მეორე მოსაწყენად. ცხოველი ფანტაზია და ღრმად მწვდომი გონება იშვიათად არის შეთავსებადი იმ დამთმობ თავაზიანობასთან, რომლის გამოც მამაკაცი სხვების მოსაზრებებსა და ცრურწმენებს, სულ ცოტა, პატივისცემით ეპყრობა და მათ უხეშ წინააღმდეგობას არ უწევს.

მაგრამ განათლებაზე ან აღზრდაზე მსჯელობისას მხედველობაში არ უნდა მივიღოთ განსაკუთრებული გონების მქონე ადამიანები — ისინი შეიძლება შემთხვევითობას მივანდოთ. სწავლება სჭირდება საშუალო უნარების მქონე უმრავლესობას — სწორედ ისინი იცვლიან ფერს გარემომცველი ატმოსფეროს შესაბამისად. მე ვამტკიცებ, რომ დაუშვებელია ამ პატივცემული

საზოგადოების, როგორც მამაკაცების, ისე ქალების, შეგრძნებების მათივე აზროვნების ხარჯზე გამძაფრება განცხრომისა და უსაქმურობის სათბურში. რადგან აზროვნების ტვირთის გარეშე ისინი ვერასოდეს მოიპოვებენ ვერც ღირსებას და ვერც თავისუფლებას: ქონებაზე თუ ჭეშმარიტ ღირსებებზე დამყარებული არისტოკრატია ყოველთვის გადათელავს გრძნობის ხან მფრთხალ და ხან მძვინვარე მონებს.

თუკი საკითხს სხვა თვალსაზრისით მივუდგებით, ვიტყვით, რომ არსებობს უთვალავი, ვითომდა ბუნებიდან გამოყვანილი და ამდენად გონივრულობის პრეტენზიით წამოყენებული, არგუმენტი, რომელთაც მამაკაცები იყენებდნენ ქალთა სქესის მორალურად და ფიზიკურად დასამდაბლებლად. რამდენიმე მათგანზე უნდა შევჩერდე.

ხშირად ათვალუნებით ამტკიცებენ, რომ ქალის აზროვნება მამაკაცისაზე უფრო ადრე აღწევს სიმწიფეს. მე ამ არგუმენტს არ ვუპასუხებ ქოულთან, მილტონთან და პოუპთან* აზროვნების და გენიის ადრეული გამოღვიძების კონტრარგუმენტის მოყვანით. სანაცვლოდ მხოლოდ გამოცდილებას მოვიხმობ იმის გადასაწყვეტად, მნიფდებიან თუ არა ახალგაზრდა მამაკაცებიც ასევე ნაადრევად, თუკი ადრევე გაერევიან საზოგადოებაში (და ახლა ამის მაგალითები უამრავია). ეს ფაქტი იმდენად ყბადაღებულია, რომ მისმა უბრალოდ ხსენებამაც ადამიანს, რომელიც ოდნავ მაინც ტრიალებს ხალხში, უნდა გაახსენოს უამრავი კოპნია ვითომკაცი, რომელთა გონებაც დაავინროვა მამაკაცთა საზოგადოებაში მოხვედრამ იმ დროს, როცა მათ ხის კენწეროებზე უნდა ეძრომიალათ ან ლახტი ეთამაშათ.

ზოგი ნატურალისტი იმასაც ამტკიცებდა, რომ მამაკაცები ზრდასა და განვითარებას ოცდაათი წლის ასაკამდე არ ასრულებენ, ხოლო ქალები სიმწიფეს ოცი წლის ასაკში აღწევენ. ჩემი მიხედვით, ისინი მცდარ საფუძველზე ამყარებენ თავიანთ არგუმენტებს. ისინი შეცდომაში შეჰყავს მამაკაცურ ცრურწმენას, რომელიც ქალის სრულყოფად მშვენიერებას მიიჩნევს, ხოლო ამ უკანასკნელში მხოლოდ ნაკვთებისა და სახის მშვენიერებას გულისხმობს, ანუ სიტყვის ვულგარულ, გავრცელებულ მნიშვნელობას მოიაზრებს და ამასთან უშვებს, რომ მამაკაცის მშვენიერება გონებას უკავშირდება. სხეულისა და გამომეტყველების სიძლიერეს, რომელსაც ფრანგები *პჰისიონომიე* უწოდებენ, მამაკაცებზე მეტად არც ქალები იძენენ ოცდაათი წლამდე. მართალია, ბავშვების პატარ-პატარა გულუბრყვილო ცელქობები განსაკუთრებით სასიამოვნო და მიმზიდველია, მაგრამ როცა მას ახალგაზრდობის ლამაზი სინორჩე შემოეცლება, ეს მიმზიდველი გულუბრყვილობა ხელოვნურ ნიღბად გადაიქცევა და ყველა გემოვნებიან ადამიანს ზიზღს ჰგვრის. გოგონების გამომეტყველებაში ჩვენ მხოლოდ სიხალისესა და სიმორცხვით გამონვეულ მოკრძალებას ვეძებთ. ხოლო, როცა ცხოვრების გაზაფხული ჩავლილია, სახეში უფრო ფხიზელი აზრისა და ვნების კვალის ძიებას ვინყებთ და არა — ცხოველური მისწრაფებების ანაბეჭდებისა; ვცდილობთ ხასიათის ინდივიდუალობის დანახვას, რომელიც გრძნობების ერთადერთი მოსაჭიდაა.* ამ დროს ჩვენ საუბარი გვინდა და არა მოფერება; გვინდა სარბიელი მივცეთ ჩვენს წარმოსახვასა და ჩვენი გულის შეგრძნებებს.

ოცი წლის ასაკში ორივე სქესი ერთნაირად მშვენიერია; მაგრამ მამაკაცის აღვირახსნილობა მას განსხვავების დანახვისკენ უბიძგებს; ჩვეულებრივ იმავე აზრის არიან ასაკს გადაცილებული კეკლუცებიც, რადგან მას შემდეგ, რაც მათ უკვე აღარ შეუძლიათ სიყვარულის გაღვიძება, ისინი ახალგაზრდობის ძალასა და სიხალისეს უხდიან ხარკს. ფრანგები, რომლებიც მშვენიერების თავიანთ გაგებაში შედარებით დიდ ადგილს უთმობენ გონებას, უპირატესობას ოცდაათი წლის ქალებს ანიჭებენ. მე იმის თქმა მინდა, რომ ისინი ქალს აფასებენ მის ყველაზე სრულყოფილ მდგომარეობაში, რომელშიც სიხალისე ადგილს უთმობს გონიერებას და ხასიათის იმ დიდებულ სერიოზულობას, სიმწიფეს, ანუ საბოლოო ნერტილის მიღწევას რომ ახასიათებს. ყმანვილობაში, ოც წლამდე, სხეული იფურჩქნება; ხოლო ოცდაათი წლამდე ხორცი სიმკვრივეს იძენს; მოქნილი კუნთები, რომლებიც ყოველ დღე უფრო და უფრო მყარდება, გამომეტყველებას ხასიათს სძენს; გონების მოქმედებები ბედისწერის რკინის კალმით აღიბეჭდება მათზე და ისინი გვატყობინებენ

* შეიძლება ბევრი სხვა სახელის დამატებაც.

* საზოგადოდ გრძნობის სიძლიერე პროპორციამაა იმასთან, თუ სიყვარულის ობიექტში რამდენად არის გადაფარული გვარეობითი ხასიათი ინდივიდუალური ხასიათით.

არა მხოლოდ იმას, თუ რა ძალებია მათში დაფარული, არამედ იმასაც, როგორ იყენებდნენ მათ.

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ის ცხოველები, რომლებიც სიმნიფეს გვიან აღწევენ, ყველაზე ხანგრძლივად ცოცხლობენ და ყველაზე კარგ ჯიშებს მიეკუთვნებიან. მაგრამ მამაკაცებს ვერ ექნებათ ბუნებრივი უპირატესობის პრეტენზია სიცოცხლის განსაკუთრებული ხანგრძლივობის საფუძველზე, რადგან ამ თვალსაზრისით ბუნებას არ გამოურჩევია ისინი.

კიდევ ერთი ფიზიკური დაკნინებაა პოლიგამია; და ამ ადათის, რომელიც ყოველ ოჯახურ სათნოებას ძირს უთხრის, დასაცავი არგუმენტი გამოჰყავთ კარგად დადასტურებული ფაქტიდან, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ის დამკვიდრებულია, მამაკაცებზე მეტი ქალები იბადებიან. ეს თითქოს თავად ბუნების კარნახია და გონივრულობის პრეტენზიის მქონე სპეკულაციები ბუნებას არ უნდა ეურჩებოდეს. მაშინ მომდევნო დასკვნაც თავისთავად აშკარა ჩანს: თუ პოლიგამია აუცილებელია, ქალი მამაკაცზე არასრულფასოვანია და მისთვის არის შექმნილი.

საშვილოსნოში ჩანასახის ჩამოყალიბებაზე ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით; მაგრამ მე დამაჯერებლად მეჩვენება, რომ აღნიშნული ფენომენი შეიძლება შემთხვევითი ფიზიკური მიზეზით აიხსნას და არ აღმოჩნდეს ბუნების კანონი. ფოსტერის წიგნში *სამხრეთის ზღვის კუნძულების მიმოხილვა* შევხვდი ამ საკითხისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე შენიშვნას, რომლებიც ჩემი აზრის ახსნაში დამეხმარება. ის ჯერ შენიშნავს, რომ ცხოველებში ორ სქესს შორის ყოველთვის ის ფლობს უპირატესობას და თავისნაირს წარმოშობს, რომლის აგებულებაც უფრო ენერგიული და ძლიერია; შემდეგ ამატებს: „თუ ამას აფრიკის მცხოვრებთ მივუსადაგებთ, აშკარაა, რომ იქაური პოლიგამური ადათის გამო იქაური მამაკაცები ამდენი ქალის მომსახურებით დასუსტებულნი და ამიტომ ნაკლებ ენერგიულნი არიან. ქალები, პირიქით, უფრო ძლიერი აღნაგობის მქონენი არიან, რაც არა მხოლოდ მათი მეტად გაღიზიანებადი ნერვებით, მეტად მგრძობიარე აგებულებით და მეტად ცოცხალი ფანტაზიით აიხსნება, არამედ ასევე იმით, რომ ოჯახურ ცხოვრებაში ისინი მოკლებულნი არიან ფიზიკური სიყვარულის იმ წილს, რომელიც მთლიანად მათი იქნებოდა მონოგამურ პირობებში. ამდენად, დასახელებული მიზეზების გამო ახალშობილ ბავშვთა უმრავლესობა მდედრია.“

ევროპის უდიდეს ნაწილში სიკვდილიანობის ყველაზე სანდო აღრიცხვები ამტკიცებს, რომ მამაკაცებისა და ქალების თანაფარდობა ზუსტად თანაბარია; ან, თუ რაიმე განსხვავება არსებობს, ახალშობილებში მამრები ჭარბობენ თანაფარდობით 105/100.”

ამდენად პოლიგამია არ ჩანს რომ აუცილებელია. მართალია, ჩემი აზრით, კაცის მიერ ქალის შეცდენას *მორგანატული* ქორწინება უნდა ვუწოდოთ და კაცს *კანონი* უნდა ავალდებულებდეს ამ ქალის და მისი ბავშვების რჩენას, თუ ლალატი — ბუნებრივი განქორწინება — არ შეაჩერებს კანონის მოქმედებას. და ეს კანონი ძალაში უნდა დარჩეს მანამ, ვიდრე ქალების სისუსტის მიზეზით სიტყვა „შეცდენა“ გამოიყენება მათი მორალური არამდგრადობის და უპრინციპობის გასამართლებად; უფრო სწორად მანამ, ვიდრე ისინი ლუკმაპურისთვის მამაკაცზე არიან დამოკიდებულნი იმის ნაცვლად, რომ თავად გამოიმუშავონ ის საკუთარი ხელების თუ ტვირთების დაძაბვით. მაგრამ ასეთ ქალს არ უნდა ვუწოდოთ ცოლი ამ ურთიერთობის სრული მნიშვნელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ძირი გამოეთხრება თავად ქორწინების დანიშნულებას და როცა გულს არც სიყვარული და არც მეგობრობა არ აერთიანებთ, ეგოიზმი ჩაყლაპავს მთელ იმ ამაღლებულ თანალობას, რომელიც პირადი ერთგულებისგან წარმოდგება და კავშირს სინმინდეს ანიჭებს. ქალი, რომელიც თავისი შვილების მამის ერთგულია, პატივისცემას იმსახურებს და მას არ უნდა მოექცნენ, როგორც მეძავს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ აუცილებელია მამაკაცმა და ქალმა ერთად იცხოვრონ თავიანთ ნაშიერთა აღსაზრდელად, ბუნების ჩანაფიქრი არასოდეს ყოფილა, რომ მამაკაცს ერთ ცოლზე მეტი ჰყავდეს.

მაინც, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩემი პატივისცემა ქორწინების, როგორც თითქმის ყველა დანარჩენი საზოგადოებრივი სათნოების საფუძვლის მიმართ, ვერ გავურბივარ უძლიერეს თანაგრძობას იმ უბედური ქალების მიმართ, რომლებიც ერთი შეცდომის გამო საზოგადოებისგან გარიყულები აღმოჩნდნენ და მოსწყდნენ ყველა იმ გრძობასა და ურთიერთობას, რომელიც გულის და გონების წინსვლას უწყობს ხელს. ხშირად ეს შეცდომის სახელსაც კი არ იმსახურებს, რადგან ბევრი უმანკო გოგონა თავისი გულწრფელი, მგრძობიარე

გულის მსხვერპლია; ხოლო კიდევ უფრო მეტი ნადგურდება — როგორც ამას შეიძლება ხაზგასმით ვუნოდოთ — მანამდე, ვიდრე გაიგებს განსხვავებას სათნოებასა და მანკიერებას შორის; და თავიანთი აღზრდით შერცხვენისთვის მომზადებულები მართლა შერცხვებიან. თავშესაფრები და მაგდალინელთა სახლები არ არის ამ შეურაცხყოფის შესაფერისი წამალი. სამყაროს სამართლიანობა სჭირდება და არა გულმონყალბა!

ქალს, რომელმაც ღირსება დაკარგა, წარმოუდგენია, რომ უფრო მეტად ველარ დაეცემა და ვერც წარსულ მდგომარეობას ველარ დაიბრუნებს; რომ ამ ლაქას ვერავითარი ძალისხმევა ვერ ჩამოჰბანს. ამრიგად, ყოველგვარი სტიმულისა და თავის გატანის ყველა სხვა საშუალების გარეშე დარჩენის შემდეგ მისთვის ერთადერთი თავშესაფარი აღმოჩნდება პროსტიტუცია; და მის ხასიათს მალე რყვნის გარემოებები, რომლებზე ზემოქმედების ძალასაც მოკლებულია საბრალო არსება, თუკი ის უჩვეულო გონიერებასა და სულიერ სიმტკიცეს არ ფლობს. აუცილებლობა არასდროს უბიძგებს მამაკაცებს პროსტიტუცია ცხოვრების საქმედ აქციონ; ქალებში კი უამრავია ისეთი, რომელიც ასე ირყვნება. მაგრამ ამის მიზეზი დიდ წილად არის ის უმოქმედო მდგომარეობა, რომელშიც ქალები იზრდებიან; მათ ყოველთვის ასწავლიან მამაკაცებისგან მოელოდნენ უზრუნველყოფას, ხოლო საკუთარ თავს შეხედონ, როგორც საზღაურს, რომელიც მამაკაცს მათი შენახვისთვის დახარჯული ძალისხმევისთვის ერგება. მაშასადამე, თავაშვებულ ქცევასა და გარყვნილების მთელ მეცნიერებას უფრო ძლიერი სტიმული აქვს, ვიდრე ავხორცობა ან ამაოება; და ეს შენიშვნა ძალას ჰმატებს გაბატონებულ მოსაზრებას, რომ უმანკობასთან ერთად ქალი კარგავს ყველაფერს, რაც მასში პატივსაცემია. მისი ხასიათი დამოკიდებულია ერთი სათნოების შენარჩუნებაზე, თუმცა მის გულში ნასაზრდოები ერთადერთი ვნება სიყვარულია. არა, ქალს იმასაც კი არ ანებებენ, რომ მისი ღირსება მის ნებაზე იყოს დამოკიდებული.

ღირსებისა და სათნოების უცნაური გაგება უნდა ჰქონოდა რიჩარდსონს, რომელიც კლარისას ლოველასისთვის ათქმევინებს*, რომ მან მას ღირსება წაართვა. მართლაც, ენა ვერ აღწერს იმ არსების მდგომარეობის საცოდაობას, რომელიც შეიძლება მისი საკუთარი თანხმობის გარეშე დამდაბლდეს! გამიგია, როგორ ამართლებენ ამ გადაჭარბებულ სიმკაცრეს, როგორც განმკურნავ შეცდომას. მე ლაიბნიცის სიტყვებით უნდა ვუპასუხო: „შეცდომები ხშირად სასარგებლოა; მაგრამ მათი სარგებლობა ჩვეულებრივ არის სხვა შეცდომების გამოსწორება“.

ცხოვრებაში ბოროტებათა უმრავლესობა წარმოიშობა ანმყო სიამოვნების გადაჭარბებული სურვილისგან. მორჩილება, რომელიც ქალებს ქორწინებაში მოეთხოვებათ, ამავე კატეგორიას განეკუთვნება. ავტორიტეტზე დამოკიდებულებით ბუნებრივად დასუსტებული გონება არასოდეს დაბრუნდება საკუთარ ძალებს და მორჩილი ცოლი ამგვარად სუსტ და უმაქნის დედად იქცევა. ან თუკი დავუშვებთ, რომ შედეგი ყოველთვის ეს არ არის, მომავალ ყოფაზე სულ არ ფიქრობენ, როცა მხოლოდ ნეგატიური სათნოებებია კულტივირებული. მართლაც, მორალზე მსჯელობისას, განსაკუთრებით როცა ქალებს ეხება საქმე, ავტორები მეტისმეტად ხშირად სათნოებას ძალიან ვიწრო აზრით იგებენ და მის საფუძვლად მხოლოდ ამქვეყნიურ სარგებლიანობას ასახელებენ. არა, კიდევ უფრო სუსტი ნიადაგი ეძლეოდა ამ უზარმაზარ ნაგებობას და სათნოების სტანდარტად მამაკაცების ჭირვეული და ცვალებადი გრძნობები ცხადდებოდა. დიახ, სათნოებას, ისევე, როგორც რელიგიას, გამოვნების გადანყვეტილებებს უქვემდებარებდნენ.

მამაკაცების ამაო აბსურდულობა რომ ყველა მხრიდან არ გვერტყას გარს, გაგვიჭირდებოდა ზიზლიანი ღიმილის შეკავება იმის დანახვაზე, როგორ მოწადინებულნი არიან ისინი დააკნინონ სქესი, რომლისგანაც ისინი ვითომ ცხოვრების უმთავრეს სიამოვნებას იღებენ. მე არაერთხელ ვამხილე და საკადრისი პასუხი გავეცი პოუპის სარკაზმს ქალებზე; ბოლომდე გულახდილი თუკი ვიქნები, ვიტყვი, რომ ეს სარკაზმი ადამიანთა მთელ გვარს მიესადაგება. სიამოვნების ან მბრძანებლობის სიყვარული მთელ კაცობრიობას გასდევს და ქმარი, რომელიც თავის პატარა ჰარამხანაში მედიდურობს, მხოლოდ თავის სიამოვნებასა და კომფორტზე ფიქრობს. მართლაც, ისე შორს მიჰყავს სიამოვნების გადამეტებულ სიყვარულს წინდახედული ადამიანები, როგორც

* იმავე აზრს თავის პიესებში მხარს უჭერს დოქტორი იუნგიც, როცა ის საუბრობს იმ უბედურ არსებაზე, რომელიც დღის სინათლეს უფრთხოდა.

გამოცდილი მექალთანეები, რომლებიც სარეცლის გამზიარების განაღდებისთვის ქორწინდებიან, რომ ისინი თავიანთ საკუთარ ცოლების შეცდენას ცდილობენ. ჰიმენე გააძევენს მოკრძალებას, ხოლო სპეციაკი სიყვარული გაფრინდება.

სიყვარული, თუ მას ცხოველურ ლტოლვად განვიხილავთ, დიდხანს ვერ იგიზგიზებს საკუთარი ძალებით და ჩაინვება. საკუთარ ალში ასე ჩანვას შეიძლება სიყვარულის ძალადობრივი სიკვდილი ვუნოდოთ. მაგრამ ცოლი, რომელიც თავაშვებულ არსებად აქციეს, ალბათ ეცდება თავისი ქმრის ყურადღების დაკარგვით გაჩენილი სიცარიელე შეავსოს, რადგან ის ვერ დაკმაყოფილდება უბრალოდ მაღალი რანგის მსახურად ყოფნით მას შემდეგ, რაც ქალმერთსავით ეპყრობოდნენ. ის ჯერ კიდევ მიმზიდველია და მთელი სიყვარულის თავის ბავშვებზე გადატანის ნაცვლად მხოლოდ ცხოვრებით ტკბობაზე ოცნებობს. გარდა ამისა, ბევრია ისეთი ქმარი, რომელიც გონიერებისა და მამობრივი სიყვარულსგან არის დაცლილი და ავხორცული სიყვარულის პირველი აბობოქრობის დროს თავის ცოლს ბავშვებისთვის ძუძუს ჭმევის ნებას არ აძლევს. ცოლები მხოლოდ გამოსაპრანჭად და მათთვის სიამოვნების მინიჭებისათვის უნდა ცხოვრობდნენ და სიყვარული, თვით უმანკო სიყვარულიც კი, მალე იძირება ავხორცობაში, როცა მის განებივრებას მოვალეობის შესრულება ეწირება მსხვერპლად.

პიროვნული სიახლოვე ძალიან ხელსაყრელი საფუძველია მეგობრობისთვის; მაგრამ მაშინაც კი, როცა თუნდაც სათნო ახალგაზრდები ქორწინდებიან, ალბათ სასურველია, რომ რაიმე გარემოება მათ ვნებას თოკავდეს; ვთქვათ, ადრინდელი სიახლოვის ან გაცრუებული სიყვარულის მოგონებების გამო ერთ-ერთისთვის მაინც მათი ქორწინება უფრო პატივისცემას უნდა ემყარებოდეს. ასეთ შემთხვევაში ისინი ანმყო მომენტზე შორს გაიხედავენ და ეცდებიან მთელი ცხოვრება საკადრისად გაატარონ — დაამყარონ მეგობრობა, რომელიც მხოლოდ სიკვდილმა შეიძლება დაარღვიოს.

მეგობრობა სერიოზული გრძნობაა. ის ყველა სხვა გრძნობაზე ამალღებულია, რადგან პრინციპებს ემყარება და დროის მიერ არის გამონრთობილი. ზუსტად საპირისპირო შეიძლება ითქვას სიყვარულზე. დიდი სიყვარული და დიდი მეგობრობა ვერ თანაარსებობენ ერთ ნიაღში. თუნდაც სხვადასხვა ობიექტის მიმართ, ისინი ასუსტებენ ან ანადგურებენ ერთმანეთს; ხოლო ერთი და იმავე ობიექტის მიმართ ისინი მხოლოდ მორიგეობით შეიძლება განვიცადოთ. ამაო შიშებიცა და სიყვარულის ეჭვებიც, რომლებიც, თუ გონივრულად და ოსტატურად იმართება, სიყვარულის აღს აცხოველებს, შეუთავსებელია მეგობრობის ნაზ ნდობასთან და გულწრფელ პატივისცემასთან.

ისეთი სიყვარული, რომელიც გენიოსთა ბრწყინვალე კალამმა დაგვიხატა, მიწაზე არ არსებობს ან მხოლოდ იმათ აგზნებულ, ცხოველ წარმოსახვაში ბინადრობს, ვინც ასეთ სახიფათო სურათებს გვიხატავს. სახიფათოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დამაჯერებელ გამართლებას პოულობენ იმ ავხორცისათვის, რომელიც შიშველ მგრძნობელობას მგრძნობიარობის საბურველით ნიღბავს, არამედ იმიტომაც, რომ მათი საშუალებით კეკლუცობა ვრცელდება და სათნოება დიდებისაგან იძრაცვება. სათნოებას, როგორც თავად სიტყვაც მიგვახვედრებს, სერიოზული იერი უნდა ჰქონდეს, თუ პირქუში არა; და მისი სიამოვნების სამოსელში გამოწყობის მცდელობა იმის მტკიცების საფუძველზე, რომ ეს ეპითეტი სილამაზის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სახელადაც გამოიყენებოდა, ნიშნავს მის აღმართვას მოძრავ ქვიშაზე, რაც მოჩვენებითი პატივისცემით მისი დაცემის დაჩქარების ყველაზე ვერაგი მცდელობაა. რეალურად სათნოება და სიამოვნება ამ ცხოვრებაში ისე ახლო კავშირში არ არიან, როგორც ზოგი მჭევრმეტყველი მწერალი ცდილობდა დაემტკიცებინა. სიამოვნება ჭკნობად გვირგვინს გვიმზადებს და მათრობელა ფიალას გვივსებს; ხოლო სათნოების ნაყოფი ჯავისთვის მიღებული გასამრჯელოა და მისი თანდათან დამნიფების ყურება მხოლოდ მშვიდ კმაყოფილებას ინვევს; მეტიც, ის ძალიან ძნელი შესამჩნევია, რადგან გარემოებათა ბუნებრივი განვითარების შედეგად გვეჩვენება. პური, რომელიც ჩვეულებრივი საკვებია ცხოვრებაში და იშვიათად მიიჩნევა კურთხევად, აღნაგობის საძირკველს წარმოადგენს და ჯანმრთელობას გვინარჩუნებს. მაგრამ ადამიანის გულს მაინც ნადიმი სიამოვნებს, თუმცა პირის ჩასატკბარუნებელ თასში, რომელიც გუნებას ახალისებს და პირის გემოს ატკბობს, ავადმყოფობა და თვით სიკვდილი იფარება. აგზნებული წარმოსახვაც,

შედარება რომ გამოვიყენო, სიყვარულის სურათს, როგორც ყველა სხვა სურათს, იმ ბრწყინვალე ფერებით ხატავს, რომელთაც გაბედული ხელი ცისარტყელას ჰპარავს. მის ქმედებას წარმართავს გონება, რომელსაც მისჯილი აქვს მიუღწეველი სრულყოფისკენ სწრაფვით დაამტკიცოს ჩვენნაირ სამყაროში თავისი წარჩინებული წარმომავლობა, მარად იმისი დევნით, რასაც თავადვე მოუხელთებელ ზმანებად აღიარებს. ასეთ მძლავრ წარმოსახვას შეუძლია არარსებულ ფორმებს არსებობა მიანიჭოს, ხოლო ზღაპრულ ოცნებებს, რომელთაც სინამდვილის უსახურობაში დარწმუნებული გონება ბუნებრივად მიეცემა, სტაბილურობა. შეიძლება ამ დროს მას სიყვარული ზეციური ხიბლით წარმოუდგეს და თავდავინყებით შეუყვარდეს ამაღლებული იდეალური ობიექტი. მან შეიძლება წარმოიდგინოს ისეთი ორმხრივი გრძნობა, რომელიც სულს განწმენდს და არ ამოიწურება მას შემდეგაც, რაც „ზეცისკენ კიბის“ როლს შეასრულებს, რომელიც თავგანწირვის მსგავსად ყველა უფრო მდაბიო გრძნობასა და სურვილს შთანთქმავს. ერთმანეთის მკლავებში, როგორც ტაძრის ცისკენ ატყორცნილი გუმბათი, შეყვარებულები მთელ სამყაროს გაემიჯნებიან — გაემიჯნებიან ყველა აზრსა და სურვილს, რომელიც წმინდა გრძნობასა და მარადიულ სათნოებას არ ასაზრდოებს. მარადიული სათნოება! რუსო, პატივცემულო მეოცნებე! ვაი რომ, სამოთხეს მალე დაარღვევდა მოულოდნელი სტუმრის შემოსვლა. მილტონის სამოთხის მსგავსად, მასში მხოლოდ ანგელოზები ან გონიერი არსების ღირსებაზე ქვემოთ ჩაძირული ადამიანები არიან. ბედნიერება მატერიალური არ არის, მას ვერ დავინახავთ ან შევხებით! მაგრამ ლტოლვა სიკეთისკენ, რომელსაც ყველა საკუთარი ფანტაზიის მიხედვით აძლევს ფორმას, ადამიანს აცხადებს ამ უფრო დაბალი სამყაროს მეუფედ და მოაზროვნე არსებად, რომელსაც ბედნიერება კი არ უნდა ებოძოს, არამედ თავად უნდა მოიპოვოს ის. ამდენად მათ, ვინც ვნების მაცდურობაზე ჩივის, არ ახსენდებათ, რომ ამით ისინი სულის უკვდავების ძლიერი საბუთის წინააღმდეგ ლაღადებენ.

მაგრამ ვაცალოთ გამორჩეული გონების ადამიანებს გამოასწორონ საკუთარი შეცდომები და საკუთარი გამოცდილებისთვის ძვირად გადაიხადონ. აუცილებელია შევნიშნო, რომ მე ვცდილობ აზროვნების ძალისხმევით ქალის გულის დაცვას არა ძლიერი, დაუდეგარი ვნებებისგან, არამედ რომანტიკული მერყევი გრძნობებისგან, რადგან ეს სამოთხისეული ოცნებები უფრო ხშირად უმოქმედობის შედეგია, ვიდრე ცხოველი ფანტაზიისა.

ქალების საქმიანობა იშვიათად არის საკმარისად სერიოზული იმისთვის, რომ მათი გრძნობები დაადუმოს; წვრილმანი საზრუნავები და ამაო მისწრაფებები მათი გონებისა და სხეულის მთელ ძალას აქუცმაცებს და ისინი ბუნებრივად მხოლოდ შეგრძნების ობიექტებად იქცევიან. მოკლედ, ქალების განათლების (საზოგადოების განათლების) მიმართულება იმგვარია, რომ ყველაზე უკეთესი მიდრეკილების მქონენიც რომანტიკულ და მერყევ, ხოლო დანარჩენები კი უსარგებლო და მდაბიო არსებებად აქციოს. მე ვშიშობ, რომ ახლანდელ საზოგადოებაში თითქმის შეუძლებელია ამ ბოროტების ოდნავ მაინც გამოსწორება. თუ ოდესმე უფრო კეთილთვისებიანი ტენდენცია მოიკიდებს ფეხს, შესაძლებელი იქნება ქალები უფრო დავაახლოვოთ ბუნებასთან და გონებასთან და ისინი სათნო და სასარგებლო არსებებად ვაქციოთ, რითაც მეტ პატივისცემასაც დაიმსახურებენ.

მაგრამ მე გავბედავ ვამტკიცო, რომ მანამ, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობის უპირველესი სანადელი ხალხში თავის გამოჩენაა, ქალების გონება ვერასოდეს გახდება იმდენად ძლიერი, რომ საკუთარი ქმედების რეგულირება შეძლოს. აღნიშნულ უღირს სურვილს მსხვერპლად ეწირება ბუნებრივი გრძნობები და ყველაზე სასარგებლო სათნოებები. გოგონები მხოლოდ ცხოვრების ასანყობად, ზუსტი მნიშვნელობის მქონე მდაბიური ფრაზა რომ ვისესხო, თხოვდებიან და საკუთარ გულებს ისე სრულყოფილად ფლობენ, რომ შეუძლიათ საკუთარ თავს შეყვარების უფლება არ მისცენ, ვიდრე არ გამოჩნდება გამორჩეულად მდიდარი მამაკაცი. ამ თემის ვრცლად განხილვას მომავალ თავში ვაპირებ. ახლა მასზე მხოლოდ მინიშნებაა აუცილებელი, რადგან ქალების დაკნინებას ხშირად იწვევს ის, რომ ისინი მსცოვანი ასაკისთვის შესაფერის ეგოისტურ ანგარიშიანობას ემონებიან თავიანთი ახალგაზრდობის სიმხურვალის გასაგრილებლად.

იმავე წყაროდან მოდის მოსაზრება, რომ ახალგაზრდა გოგონებმა თავიანთი დროის უდიდესი ნაწილი ხელსაქმეს უნდა დაუთმონ. მაგრამ ეს საქმიანობა ნებისმიერ სხვა შესაძლო

საქმიანობაზე მეტად ზღუდავს მათ უნარებს, რადგან მათი აზრები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით შემოიფარგლება. მამაკაცები თავიანთი ტანსაცმლის შეკერვას სხვებს უკვეთავენ და ამით ამთავრებენ ამ საკითხზე ზრუნვას; ხოლო ქალები საკუთარ სამოსს, სულერთია, აუცილებელს თუ გასაპრანჭს, თავად ქმნიან და გამუდმებით მათზე საუბრობენ; და მათ აზრებს მათი ხელები წარმართავს. რა თქმა უნდა, გონებას ასუსტებს არა აუცილებელ ტანსაცმელზე, არამედ ზიზილ-პიპილებზე ზრუნვა. როცა დაბალი სოციალური ფენის ქალი თავისი ქმრის ან ბავშვების ტანსამოსს კერავს, ის თავის მოვალეობას ასრულებს — ეს მისი წილია საოჯახო საქმეში. მაგრამ, როცა ქალები მხოლოდ იმისთვის მუშაობენ, რომ როგორმე იმაზე უკეთ გამოეწყონ, ვიდრე მათი მატერიალური მდგომარეობა აძლევს მათ საშუალებას, ეს უარესია, ვიდრე დროის ტყუილად კარგვა. იმისთვის, რომ ღარიბი ფენის ადამიანებმა ღირსება შეიძინონ, მათ სამსახური უნდა ჰქონდეთ; და საშუალო ფენის ქალები მთელ თავიანთ შესაძლებლობებს წარჩინებულთა მოდისთვის ნაძალადევად მიბაძვაზე რომ არ ხარჯავდნენ, ისინი ღარიბებს დაიქირავებდნენ, ხოლო თავად ოჯახის გაძლოლისთვის, ბავშვების აღზრდისა და საკუთარი გონების გამოყენებისთვის მოიცლიდნენ. მებაღეობა, ექსპერიმენტული ფილოსოფია და ლიტერატურა მათ ფიქრის საგანსა და საუბრის თემას მისცემდა, რაც რამდენადმე გაავარჯიშებდა მათ აზროვნებას. ფრანგი ქალების საუბარი, რომლებიც ძირითად დროს ნამდვილად არ ატარებენ გვირისტების კეთებასა და ბაფთების ქსოვაში, ხშირად ზედაპირულია. მაგრამ, გარწმუნებთ, ის გაცილებით ნაკლებ უფერულია, ვიდრე ინგლისელი ქალების საუბარი, რომელთა დროც ნაირ-ნაირი ქუდებისა და მოსართავების კეთებაში იხარჯება, რომ არაფერი ვთქვათ საყიდლებზე სიარულზე, სარფიან შენაძენებისათვის ნადირობაზე და ასე შემდეგ. და ეს საქმიანობები ყველაზე მეტად სწორედ წესიერ, კეთილგონიერ ქალებს აკნინებს, რადგან მათი მოტივი მხოლოდ ამაოებაა. გარყვნილ ქალს, რომელიც თავის გემოვნებას იმისთვის იყენებს, რომ მაცდუნებელი გახდეს, რალაც მეტი ამოძრავებს, ვიდრე ამაოება.

ყველა ეს შენიშვნა ამოიზრდება ერთი ზოგადი შენიშვნიდან, რომელიც ადრეც გამოვთქვი და რომლის დაჟინებით გამეორება ზედმეტი არასოდეს იქნება: სულერთია, მამაკაცებს ეხება საუბარი, ქალებს თუ პროფესიებს, უნდა ვაღიაროთ, რომ აზროვნების გამოყენება აყალიბებს ხასიათს როგორც საზოგადოდ, ისე ინდივიდუალურად. ქალების აზრები ყოველთვის საკუთარ სხეულებს დასტრიალებს და განა გასაკვირია, რომ მათში სხეული მიიჩნევა ყველაზე ღირებულად? მაგრამ თავისუფლების რალაც ხარისხი აუცილებელია თვით სხეულის ჩამოსაყალიბებლადაც. და შეიძლება ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ წარჩინებულთა ფენაში ზოგიერთ ცოლს თავისი სქესის გარდა თითქმის არაფერი აქვს მიმზიდველი. ამას ემატება ის, რომ უმოძრაო საქმიანობის გამო ქალების უმრავლესობა ფიზიკურად სუსტია და ქალური სრულყოფილების მცდარი ცნებების გამო ისინი ამ სისუსტით ამაყოფენ; თუმცა ის კიდევ ერთი ბორკილია, რომელიც გონების მოქმედებას ზღუდავს იმით, რომ სხეულის მიმართ გამუდმებულ ყურადღებას განაპირობებს.

წარჩინებული ქალები იშვიათად ასრულებენ რაიმე ხელსაქმეს თავიანთი სამოსელის შექმნისას; ამიტომ მათ ჩაცმაში მხოლოდ მათი გემოვნება მონაწილეობს და, ვინაიდან ისინი ნაკლებს ფიქრობენ თავიანთი ტუალეტის წვრილმან დეტალებზე, ისინი მას ისეთი ბუნებრიობით ატარებენ, როგორსაც იშვიათად შევხვდებით ქალებში, რომელთათვისაც ჩაცმა თვითმიზანია. ფაქტობრივად ჩემი შენიშვნა საშუალო ფენის შესახებ, რომ ნიჭი ყველაზე მეტად მასში იფურჩქნება, ქალებზე არ ვრცელდება; რადგან მაღალი ფენის ქალები, რომლებიც ზედაპირულად მაინც ეცნობიან ლიტერატურას და მეტს საუბრობენ მამაკაცებთან ზოგად საკითხებზე, მეტ ცოდნას იძენენ, ვიდრე ის ქალები, რომლებიც ბაძავენ მათ მოდასა და მანკიერებებს, მაგრამ არ იზიარებენ მათ უპირატესობებს. რაც შეეხება ღირსებას, ეს სიტყვა ფართო აზრით რომ გამოვიყენო, მე ყველაზე მეტს დაბალი ფენის ცხოვრებაში შევხვედრივარ. ბევრი ღარიბი ქალი თავის შვილებს საკუთარი ჯაფით ინახავს და ინარჩუნებს ოჯახს, რომელიც შეიძლება დაენგრია მისი ქმრის მანკიერებებს. ხოლო წარჩინებული ქალები მეტისმეტად პასიურები არიან იმისთვის, რომ ქმედითი ღირსებების მატარებელნი იყვნენ და ცივილიზაცია მათ კი არ ხვენს, არამედ ასუსტებს. მართლაც, აზრიანობამ, რომელსაც შევხვედრივარ ღარიბ

ქალებში, რომელთაც ძალიან მცირე განათლება ჰქონდათ, მაგრამ მაინც ჰეროიკულად იქცეოდნენ, ძლიერ გამიმყარა მოსაზრება, რომ წვრილმანმა საქმიანობებმა ქალი მენწრილმანედ აქცია. მის სხეულს მამაკაცი ეპატრონება*, ხოლო მისი გონება დასაყანგადაა მიტოვებული. ასე რომ, ვიდრე მამაკაცისათვის ფიზიკური სიყვარული საყვარელ გართობად რჩება, ის ეცდება ქალის დამონებას. და ვინ იტყვის, რამდენი თაობა შეიძლება დასჭირდეს იმას, რომ საცოდავი მონების გათავისუფლებული შთამომავლების ღირსებამ და ნიჭმა ძალები მოიკრიბოს? **

იმ მიზეზების აღწერისას, რომლებმაც, ჩემი აზრით, დააკნინეს ქალი, ჩემი შენიშვნები იმ რამდენიმე მიზეზით შემოიფარგლა, რომლებიც საყოველთაოდ ზემოქმედებენ მთელი სქესის მორალსა და ცხოვრების წესზე და ჩემთვის აშკარაა, რომ ყველა მათგანი აზროვნების ნაკლებობისგან წარმოდგება. მხოლოდ დრომ შეიძლება გადაწყვიტოს, ეს უკანასკნელი ფიზიკური სისუსტის შედეგია თუ შემთხვევითი გარემოებებისა. მე არ მინდა განსაკუთრებული მნიშვნელობით დავტვირთო იმ მცირერიცხოვანი ქალების*** მაგალითები, რომლებმაც მამაკაცური აღზრდის მიღების შედეგად სიმამაცე და სიმტკიცე შეიძინეს. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ მსგავს სიტუაციაში მყოფი მამაკაცები ანალოგიურ თვისებებს იძენენ; ამ შემთხვევაში მამაკაცთა სხეულებს ვგულისხმობ და ვაცხადებ, რომ გენისა და ნიჭის მქონე ყველა მამაკაცი იმ კლასიდან გამოვიდა, რომელშიც ქალები აქამდე არასოდეს შეუშვიათ.

* “მე მის სხეულს ვეპატრონები”, ამბობს რეინჯერი.

** “თუნდაც დავუშვათ, რომ ქალები ნებაყოფილობითი მონები არიან, ნებისმიერი სახის მონობა არახელსაყრელია ადამიანის ბედნიერებისა და წინსვლისთვის” — ჯნობ, *Elstays*.

*** საფო, ელიოზა, ქალბატონი მაქოლეი, რუსეთის იმპერატორი, მაღამ დ’ეონი და სხვა. ესენი და ბევრი სხვა შეიძლება გამოწვევად მივიჩნიოთ; და განა ყველა გმირი მამაკაციც და ქალიც გამოწვევისი არ არის ზოგადი წესებისგან? ჩემი სანადელოა ქალების დანახვა გონიერ არსებებად — არც გმირებად და არც პირუტყვებად.

გენდერის შექმნა

კანდის უესტი*

სტატის მიზანია წინ წამოწიოს გენდერის ახლებური გაგება, რომელიც მას განიხილავს როგორც ყოველდღიურ ურთიერთობებში მუდმივად ჩართულ წარმონაქმნს. ამისათვის აუცილებელია მოხდეს სქესისა და გენდერის შესახებ არსებული შეხედულებების გადაფასება და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სქესი, სქესობრივი კატეგორია და გენდერი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ კონცეფციების ანალიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებას არსობრივი მნიშვნელობა ენიჭება იმისთვის, რომ აიხსნას, თუ როგორ ანიჭებს ინტერაქცია პიროვნებას გენდერულ მახასიათებლებს. ჩვენს მიერ წამოჭრილი შენიშვნები მიზნად ისახავენ მოახდინონ თეორიული რეკონცეპტუალიზაცია, თუმცა ისინი ასევე მიმართულია, აღმოაჩინონ ემპირიული კვლევის ნაყოფიერი მიმართულებები.

სქესისა და გენდერის კონცეფციები არსებობდა წასრულშიც. ის, ვინც 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში კითხულობდა სალექციო კურსს ამ სფეროში, დიდ სიფრთხილეს იჩენდა აღნიშნული ორი ცნების ერთმანეთისაგან განსხვავებისას. სტუდენტებს ვასწავლიდით, რომ სქესი მინერებოდა ბიოლოგიური მახასიათებლების მეშვეობით, როგორებიცაა, მაგალითად: ანატომია, ჰორმონები და ფიზიოლოგია. გენდერს კი განვმარტავდით, როგორც მიღწეულ სტატუსს: ის, რაც ყალიბდება ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალური კატეგორიების მეშვეობით. იმისთვის, რომ ეს ორი ცნების ერთმანეთისაგან განგვესხვავებინა, ჩვენ მოგვყავდა მანისა და ერჰარდტის მიერ აღწერილი პერმანენტის მაგალითი (Money 1968, 1974; Money and Ehrhardt 1972) და ვსაუბრობდით „უცნაური და ეგზოტიკური ტომების“ ანთროპოლოგიური კვლევების

* ავტორის შენიშვნა: სტატია ნაწილობრივ ეფუძნება ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილი იქნა 1977 წლის სექტემბერში ჩიკაგოში გამართული ამერიკული სოციოლოგიური ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე. დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ლინდა ამესს, ბეტინა აბთეკერს, სტივენ კლეიმანს, ჯუდიტ გერსონს, ერვინგ გოფმანს, მერლინ ლესტერს, ჯუდიტ ლორბერს, რობინ ლოიდს, ბეთ შნაიდერს, ბერი თორნს, თომას ვილსონს და, განსაკუთრებით, სარა ფერნშემენიეკერ ბერკს.

შესახებ (Mead 1963, 1968).

სასწავლო სემესტრის ყოველი მომდევნო კვირის შემდეგ სტუდენტებსათვის აღნიშნული საკითხის არსი უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა. სქესი ნაკლებად იყო „მოცემულობა“ კვლევის იმ კონტექსტში, რომელშიც გამოიყენებოდა სქესის მინერის ზოგჯერ ორაზროვანი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმები. ხოლო გენდერი ნაკლებად აღიქმებოდა, როგორც „მიღწევადი“ მახასიათებელი ისეთი ანთროპოლოგიური, ფიზიოლოგიური და სოციალური იმპერატივების კონტექსტში, როგორებიცაა, მაგალითად: შრომის დანაწილება, გენდერული იდენტურობების ფორმირება და ქალის სოციალური დაქვემდებარებულობა მამაკაცზე. უფრო მეტიც, გენდერის სოციალიზაციის თეორიის მიღებული დოქტრინა აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გენდერი შეიძლება იყოს „მიღებული“, ადამიანის გენდერი 5 წლის ასაკში, სქესის მსგავსად, არის მკაცრად განსაზღვრული, არაცვალებადი და მყარი.

დაახლოებით 1975 წლიდან საკითხის ირგვლივ არსებული გაურკვევლობა კიდევ უფრო გაძლიერდა და მნიშვნელოვნად გასცდა აუდიტორიის საზღვრებს. ერთი მხრივ, შევიტყვეთ, რომ ბიოლოგიურ და კულტურულ პროცესებს შორის ურთიერთობა უფრო კომპლექსური და უფრო რეფლექსური იყო, ვიდრე მანამდე გვეგონა (Rossi 1984, განსაკუთრებით გვ. 10-14). მეორე

* კანდის უესტი & სარა ფერნშემენიეკერი (რედ.), გენდერის შექმნა, განსხვავების წარმოქმნა: უთანასწორობა, ძალაუფლება და ინსტიტუციონალური ცვლილება, Routledge, 2002 (გვ. 125-140)

მხრივ, აღმოვაჩინეთ, რომ განსაზღვრული სტრუქტურული წესრიგი, მაგალითად, სამსახურსა და ოჯახს შორის არსებული, ქმნიდა ან აუქმებდა ზოგიერთი სახის შესაძლებლობებს, როგორცაა, მაგალითად, დედობა, რომელსაც მანამდე ბიოლოგიურ მახასიათებლებთან ვაკავშირებდით (Chodorow 1978 versus Firestone 1970). ამ პროცესში, გენდერის როგორც განმეორებადი წარმონაქმნის, გაგება გარკვეულწილად განზე დარჩა.

ჩვენი მიზანია შემოვიტანოთ გენდერის, როგორც ყოველდღიური, მეთოდოლოგიური და განმეორებადი წარმონაქმნის, ეთნომეთოდოლოგიური თვალსაზრისით ინფორმაციული, და აქედან გამომდინარე, სოციოლოგიურად განსაზღვრული გაგება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გენდერს „ქმნიან“ ქალები და კაცები, რომლებიც, როგორც საზოგადოების წევრები, თავიანთივე წარმონაქმნის მძევლები ხდებიან. გენდერის შექმნის პროცესი მოიცავს ერთობას სოციალურად მართული, აღქმადი, ინტერაქციული და მიკროპოლიტიკური ქმედებებისა, რომლებიც კონკრეტული სახის ქცევას განიხილავენ კაცური და ქალური „ბუნების“ გამოვლინებად.

გენდერის, როგორც წარმონაქმნის, როგორც განსაზღვრული ქმედების შექმნილი მახასიათებლის, განხილვისას ცალკეულ ადამიანთა შინაგანი საკითხებიდან ყურადღება გადაგვაქვს მათ შორის არსებულ ინტერაქციასა და ინსტიტუციონალურ დონეზე. ერთი მხრივ, სწორედ ცალკეული ადამიანები „ქმნიან“ გენდერს. მაგრამ ეს არის განსაზღვრული ქმედება, რომელიც ხორციელდება სხვათა რეალური ან წარმოსახვითი თანდასწრების პირობებში, ხოლო ეს უკანასკნელი მიისწრაფვიან გენდერის შექმნისაკენ. გენდერს ნაკლებად განვიხილავთ, როგორც ინდივიდის საკუთრებას და მას წარმოვადგენთ, როგორც მახასიათებელს, რომელიც სოციალურ ვითარებაში წარმოიქმნა: ერთი მხრივ, როგორც სხვადასხვა სოციალური წესრიგის შედეგს და მთავარ მიზეზს და მეორეს მხრივ, საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური დაყოფის გამართლების საშუალებას.

ჩვენი არგუმენტების გასამყარებლად გენდერის კონცეფცია კრიტიკულად შევაფასეთ, მათ შორის განვიხილავთ გენდერის, როგორც როლის მინიჭების ფუქციას და, გოფმანის ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ (1976), როგორც გენდერული მახასიათებლების „გამოხატვას“. როგორც გენდერის როლი (Gender Role), ასევე გენდერული მახასიათებლების გამოხატვა (Gender Display) ფოკუსირდება ქალური და კაცური ქცევის ასპექტებზე (რომლებიც ისევე განსხვავებულია, როგორც ამ ორი სქესის ბიოლოგიური მახასიათებლები). თუმცა ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გენდერის, როგორც როლის, გაგება ბუნდოვანს ხდის ყოველდღიურ ქმედებებში გენდერის შექმნის პროცესს მაშინ, როცა ამ ცნების აღქმა, როგორც გენდერული მახასიათებლების გამოხატვა, აკნინებს გენდერის მნიშვნელობას. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ინტერაქციის მონაწილეები ახდენენ თავიანთი განსხვავებული და მრავალრიცხოვანი ქმედებების ორგანიზებას ისე, რომ გამოხატონ ან გამოავლინონ თავიანთი გენდერული მახასიათებლები. შესაბამისად, სხვათა ქმედებებს მსგავსი კრიტერიუმებით აღიქვამენ.

ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრების განვითარების მიზნით, პირველ რიგში ვაცხადებთ, რომ სქესს, სქესობრივ კატეგორიასა და გენდერს შორის არსებობს მნიშვნელოვანი, მაგრამ ძნელად შესამჩნევი განსხვავებები. სქესის (Sex) განსაზღვრა ხდება ბიოლოგიური კრიტერიუმების მეშვეობით, რათა მოხდეს ადამიანების დაყოფა მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებად. კლასიფიკაციის კრიტერიუმებად ამ შემთხვევაში გამოიყენება გენიტალური განსხვავება, რომელიც დგინდება შობადობის დროს ან ქრომოსომული ტიპის მეშვეობით—ბავშვის დაბადებამდე, თუმცა ეს ორი კრიტერიუმი შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. სქესობრივი კატეგორიის (Sex Category) განსაზღვრა ხდება ასევე იმ კრიტერიუმებით, რომლებსაც იყენებენ სქესის განსაზღვრისას, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში სქესობრივი კატეგორიის მინიჭება და შენარჩუნება ხდება მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლების გამოხატვის საფუძველზე, რომელსაც ითხოვს საზოგადოება და რომელიც პირს მიაკუთვნებს ერთ ან მეორე სქესობრივ კატეგორიას. ამ გაგებით, სქესობრივი კატეგორია მიუთითებს სქესს და შეიძლება მის შემცვლელს წარმოადგენდეს. თუმცა სქესი და სქესობრივი

კატეგორია შეიძლება შეიცვალოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; ასე რომ, შესაძლებელია სქესობრივი კატეგორიის განსაზღვრა მაშინ, როცა უხილავია სქესის განსაზღვრის კრიტერიუმები. ამის საპირისპიროდ, გენდერი (Gender) გულისხმობს განსაზღვრული ქცევის მართვას იმ ნორმატიული ქცევებისა და მიდგომების შესაბამისად, რომლებიც დამახასიათებელია ერთ-ერთი სქესობრივი კატეგორიისათვის. გენდერული მახასიათებლების შესაბამისი ქმედებები გამომდინარეობს სქესობრივი კატეგორიიდან და ადასტურებს ინდივიდის სქესობრივი კატეგორიისადმი კუთვნილებას.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სქესის, სქესობრივი კატეგორიისა და გენდერის ანალიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერთობებისა და იმ ინტერაქციული ქმედებების გასაგებად, რომლებიც ჩართულია საზოგადოებაში ინდივიდისათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძირითადი მიზანი თეორიულია, ჩვენ ასევე განვიხილავთ ნაყოფიერ მიმართულებებს ემპირიული კვლევებისათვის, რომლებიც უკავშირდება გენდერი ჩვენს მიერ შემოთავაზებულ განმარტებას.

მსჯელობას ვიწყებთ გენდერის მიღებული განსაზღვრების შეფასებით, კონკრეტულად ვისაუბრებთ ამ ცნების კავშირზე კაცსა და ქალს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებთან.

სქესისა და გენდერის მიღებული გაგება

დასავლურ საზოგადოებებში გენდერის შესახებ მიღებული შეხედულებები ქალსა და კაცს ბუნებრივად და ერთმნიშვნელოვნად განიხილავს, როგორც განსხვავებულ კატეგორიებს (Garfinkel 1967, გვ. 116-18) განსხვავებული ფსიქოლოგიური და ქცევითი მიდრეკილებებით, რომელთა წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია მათი კვლავწარმოებითი ფუნქციების მიხედვით. ამ საზოგადოებათა სრულყოფილი ზრდასრული წევრები ორ სქესს შორის განსხვავებას განიხილავენ, როგორც ფუნდამენტურს და ძლიერს. ასევე შეიმჩნევა ქალსა და კაცს შორის შრომის განაწილებაში და ხშირად წარმოშობს განსხვავებებს კაცურ და ქალურ მიდგომებსა და ქცევებს შორის, რაც სოციალური ორგანიზაციის აშკარა მახასიათებელია. მსგავს ვითარებას განაპირობებს იმ ფაქტის ხასგასმა, რომ კაცები არიან კაცები და ქალები-ქალები. ესაა დაყოფა, რომელიც აღიქმება, როგორც ბუნებრივი და ბიოლოგიურ განსხვავებებზე დაფუძნებული, რაც განაპირობებს ფსიქოლოგიურ, ქცევით და სოციალურ შედეგებს. ამ განსხვავებების არსებობაზე პასუხისმგებელია საზოგადოების სტრუქტურული წესრიგი.

სოციალური მეცნიერება, რომელიც სწავლობს სქესსა და გენდერს, თუმცა უფრო კრიტიკულად უდგება ზემოხსენებულ შეხედულებებთან დაკავშირებულ მიაბიჭურ ბიოლოგიურ დეტერმინიზმს, ხშირ შემთხვევაში სქესობრივ კუთვნილებით განპირობებულ ქცევებსა და დამახასიათებელ ნიშნებს მიიჩნევს ინდივიდების არსობრივ მახასიათებლებად (დამატებით იხილეთ: Hochschild 1973; Tresemer 1975; Thorne 1980; Henley 1985). სქესობრივ განსხვავებებზე დაფუძნებულ მიდგომებს (Thorne 1980) უფრო ხშირად იყენებენ ფსიქოლოგები, ვიდრე სოციოლოგები. თუმცა მკვლევარი, რომელიც ტელეფონით ატარებს გამოკითხვას და რესპონდენტის „გენდერს“ განსაზღვრავს მისი ხმის მეშვეობით, ასევე იყენებს სქესის მახასიათებელ ნიშანთვისებებზე დაფუძნებულ წარმოდგენებს. გენდერის მნიშვნელობის დაყვანა მხოლოდ გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლების ან „ცვალებადი“ მახასიათებლების ერთობამდე ხელს უშლის გენდერის, როგორც სოციალური ცხოვრების სტრუქტურირების მნიშვნელოვანი ფაქტორის განხილვას (Stacey and Thorne 1985, გვ. 307-8).

მეორე მხრივ, როლების თეორია ოპერირებდა გენდერის სოციალური კატეგორიებით, რომლებსაც უწოდებდნენ „სქესობრივ როლებს“ (Sex roles) ან, მოგვიანებით, „გენდერულ როლებს“ (Gender Roles) და აანალიზებდა, თუ როგორ ესმოდათ ეს ცნება და როგორ ხდებოდა

მათი ამოქმედება. ლინტონის შემოქმედებით დანყებული (1936) და პარსონის (Parsons 1951; Parsons and Bales 1955) და კომაროვსკის (1946, 1950) ნაშრომებით გაგრძელებული, როლების თეორია ხაზს უსვამდა როლის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების სოციალურ და დინამიკურ ასპექტებს (Thorne 1980; Connell 1983). თუმცა, უშუალო ინტერაქციის დონეზე გენდერის ასახვად როლების თეორიის გამოყენება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული (დამატებით იხილეთ: Connell 1983, 1985; Kessler, Ashendon, Connell, and Dowsett 1985; Lopata and Thorne 1978; Thorne 1980; Stacey and Thorne 1985). როლები არის განსაზღვრული იდენტობები (Situating Identities), მიღებული ან უარყოფილი ვითარების მოთხოვნის შესაბამისად, და არა ძირითადი იდენტობები (Hughes 1945), როგორცაა, მაგალითად, სქესობრივი კატეგორია, რომელიც არ გამომდინარეობს არსებული ვითარებიდან. როლების უმეტესობისგან განსხვავებით, მაგალითად, როგორებიცაა „ექთანი“, „ექიმი“, „პაციენტი“, „პროფესორი“ და „სტუდენტი“, გენდერს არ აქვს სპაციფიკური სფერო ან ორგანიზაციული კონტექსტი.

უფრო მეტიც, როლების დიდ ნაწილს მინიჭებული აქვს გენდერული მახასიათებლები, მაგალითად, ექიმის პროფესია ხშირად ასოცირდება მამაკაცებთან, ხოლო ექთნებისა–ქალებთან და, როცა ეს წესი ირღვევა კონკრეტდება: „ქალი ექიმი“ და „კაცი ექთანი“. თორნი (1980) აღნიშნავს, რომ გენდერის, როგორც როლის, გაგება ართულებს სხვა როლებზე მისი გავლენის შეფასების შესაძლებლობებს და ამცირებს მის ამხსნელობით უნარს ძალაუფლებისა და არათანასწორობის განხილვისას. ეყრდნობა რა რუბინის შეხედულებებს (1975), თორნი მოუწოდებს მოხდეს ქალებისა და კაცების რეკონცეფტუალიზაცია, როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფების, რომელიც შედგება „კონკრეტული, ისტორიულად ცვალებადი და ზოგადად არათანაბარი სოციალური ურთიერთობებისაგან“ (Thorne 1980, გვ. 11).

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გენდერი არ არის არც მახასიათებელთა ერთობა, არც ცვალებადობა და არც როლი, არამედ ზოგიერთი სახის სოციალური ქმედებების შედეგი. მაშინ რას გულისხმობს გენდერის სოციალური შექმნის პროცესი? ეს იმაზე მეტია, ვიდრე ადამიანთა ქმედებების მემუვობით გენდერის მნიშვნელობის ჩამოყალიბების განგრძობადი პროცესი (Gerson and Peiss 1985). ჩვენ ვაცხადებთ, რომ გენდერი ყალიბდება ინტერაქციის მემუვობით. ჩვენი მოსაზრების განვითარების მიზნით დავუბრუნდეთ გოფმანის (1976) მოსაზრებებს „გენდერის გამოხატვასთან“ დაკავშირებით. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ როგორ ხდება ინტერაქციის მემუვობით გენდერის შემოტანა და გამოსახვა და რატომ აღიქმება ის როგორც „ბუნებრივი“ მახასიათებელი მაშინ, როცა გენდერი არის ინტერაქციის პროცესში შექმნილი სოციალურად ორგანიზებული წარმონაქმნი.

გენდერის გამოხატვა (GENDER DISPLAY)

გოფმანი ამტკიცებს: როდესაც ადამიანები არსებულ გარემოში ერთმანეთთან ამყარებენ ურთიერთობებს, ისინი ვარაუდობენ, რომ ამ ურთიერთობის თითოეული წევრი ფლობს „არსობრივ ბუნებას“ (Essential Nature), ბუნებას, რომლის ამოცნობაც შეიძლება „მათ მიერ გამოცემული ან გამოხატული ბუნებრივი ნიშნებით“ (1976, გვ. 75). მდებარეობა და მამრობითობა განხილულია, როგორც „ბუნებრივი გამოხატვის ფორმა–რალაც, რაც შეიძლება მყისიერად შემოტანილი იყოს ნებისმიერ სოციალურ ვითარებაში და რალაც, რაც აკნინებს ადამიანის სხვა მთავარი მახასიათებლების მნიშვნელობას“ (1976, გვ. 75). საშუალებები, რომელთა მემუვობითაც ჩვენ ვუზრუნველყოფთ მსგავს გამოხატულებებს არის „ზედაპირული, კონვენციონალური ქმედებები“ (1976, გვ. 69), რომლებიც სხვებს გადასცემენ ჩვენს დამოკიდებულებას მათდამი, მიანიშნებენ ჩვენს კავშირზე სხვებთან და თანმიმდევრობით აყალიბებენ კავშირის დამყარების პირობებს ამ სოციალური ვითარებისათვის. თუმცა აღნიშნულ

ქმედებებს ასევე განიხილავენ, როგორც ექსპრესიულ ქცევას, რომელიც ჩვენი „არსობრივი ბუნების“ კიდევ ერთი დადასტურებაა.

გოფმანი (1976, გვ. 69-70) გენდერული მახასიათებლების გამოხატვას განიხილავს, როგორც ნორმებით მკაცრად განსაზღვრულ საქციელს, რომელიც წარმოადგენს ორ მხარეს შორის რეაქციული ტიპის ურთიერთობების გაცვლას, რომლის დროსაც სიმეტრიულობის არსებობამ ან არარსებობამ შეიძლება განაპირობოს განსხვავება ან დომინანტობა. ეს რიტუალები განიხილება, როგორც განსხვავებული, თუმცა მჭიდრო კავშირში მყოფი ისეთ მნიშვნელოვან ქმედებებთან, როგორებიცაა ამოცანების შესრულება და საუბარში მონაწილეობა. შედეგად თავად ქმედებების ჩარევის თავიდან აცილების მიზნით „იგეგმება“ გამოხატვა ქმედების ისეთ ეტაპებზე, როგორებიცაა დასაწყისი ან დასასრული. გოფმანი (1976, გვ. 69) გენდერული მახასიათებლების გამოხატვას განმარტავს შემდეგნაირად:

თუ გენდერს განვსაზღვრავთ, როგორც სქესის კულტურულ კორელატს (რომელიც ჩამოყალიბებული ბიოლოგიური კუთვნილების შედეგია ან შექმნილია), მაშინ გენდერული მახასიათებლების გამოხატვა წარმოადგენს ამ კორელატების სისტემატიზირებულ გამოსახულებებს.

აღნიშნული გენდერული გამოხატვების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს მდებარეობისა და მამრობითობის შეფასების მთავარი და ფუნდამენტური კრიტერიუმები თუმცა, გოფმანის შეხედულებით, ის გენდერული მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ამ კრიტერიუმების გამოვლინება, ყოველთვის არ ვლინდება. ის თვისებები, რომლებიც ზოგადად დამახასიათებელია კაცისათვის, ამ უკანასკნელმა შეიძლება ან გამოვალინოს, ან არა (1976, გვ. 71). უფრო მეტიც, ადამიანები „თავად ადგენენ „გამოხატვის“ ფორმებს და მოქმედებენ ამ ფორმების შესაბამისად“ (1976, გვ. 75). გენდერული მახასიათებლების გამოხატვა ნაკლებ არის ჩვენი „არსობრივი სქესობრივი ბუნების“ (Essential Sexual natures) შედეგი მაშინ, როცა იგი არის ინტერაქციული გამოხატულება იმ თვისებისა, რომელსაც ჩვენ თავად ვანიჭებთ სქესობრივ ბუნებას სისტემატიზირებული შესტების გამოყენებით. ჩვენი ადამიანური ბუნება (Human Nature) შესაძლებლობას გვანიჭებს შევითვისოთ, ვანარმოოთ და ვალიაოთ კაცური და ქალური გენდერული მახასიათებლების გამოხატვები—“შესაძლებლობა, რომელიც გვაქვს, როგორც პიროვნებებს არსებობის გამო და არა, როგორც კაცებს ან ქალებს“ (1976, გვ. 76).

პირველადი დაკვირვებით ჩანს, რომ გოფმანის ფორმულირება გვთავაზობს გენდერის არსებულ განმარტებაში სოციოლოგიური ცვლილებების შეტანას. მისი შეხედულებით, გენდერი არის კულტურაში იდეალიზებული კაცური და ქალური თვისებების სოციალური თამაში, დადგმული იმ მაყურებლებისთვის, რომელთაც კარგად იციან წარმოდგენის შესტები. გავაგრძელოთ მეტაფორა: წინასწარ არის განერილი, კონკრეტულ ვითარებაში თუ რა წარმოდგენა უნდა მოეწიოს და დადგმის მსგავსად, ეს წარმოდგენებიც შედგება შესავლის ან შესვენებისაგან, რომელსაც ადგილი აქვს მთავარ მოქმედებამდე.

ამ პერსპექტივით კიდევ უფრო დიდ განუსაზღვრელობასთან გვაქვს საქმე. როდესაც გოფმანი ინტერაქციისაგან აცალკევებს გენდერული მახასიათებლების გამოხატვას, ის გაურკვეველს ხდის გენდერის გავლენას ადამიანთა ქმედებების დიდ ნაწილზე. გენდერი არ არის მხოლოდ რაღაც, რაც ხდება ინტერაქციის დროს, რომელსაც ადგილი აქვს ინტერაქციის სხვადასხვა პერიოდში და არ უკავშირდება ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა ჩვენ გვაქვს გარკვეული არჩევანის თავისუფლება გენდერული მახასიათებლების გამოხატვისას, მაგრამ ჩვენ არ ვირჩევთ, მამაკაცად ვიქნებით აღქმულნი თუ ქალად.

აუცილებელია გავცდეთ გენდერული მახასიათებლების გამოხატვის ცნებას, რათა გავიგოთ, თუ რა მონაწილეობს გენდერის შექმნაში, როგორც ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში. დასასრულში, ჩვენ ვუბრუნდებით განსხვავებებს სქესს, სქესობრივ კატეგორიასა და გენდერს შორის.

სქესი, სქესობრივი კატეგორია და გენდერი

გარფინკელის (1967, გვ. 118-140) მიერ შემოთავაზებული მაგალითი ტრანსსექსუალი აგნესის შესახებ, რომელიც თავიდან იზრდებოდა, როგორც ბიჭი, ხოლო 17 წლის ასაკში შეიძინა ქალური იდენტურობა და რამდენიმე წლის მოგვიანებით გაუკეთდა სქესის შეცვლის რამდენიმე ოპერაცია, გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნება გენდერი ინტერაქციის მეშვეობით და, ამავე დროს, როგორ ახდენს ის ინტერაქციის სტრუქტურირებას. აგნესიმ, რომელიც დაახასიათა გარფინკელმა, როგორც „პრაქტიკოსმა მეთოდოლოგმა“, შეიმუშავა მთელი რიგი პროცედურებისა, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოებაში მისი, როგორც „ნორმალური, ბუნებრივი ქალის“ წარმოსაჩენად ამ პროცედურებს აგნესი იყენებდა როგორც ოპერაციის გაკეთებამდე და ასევე მის შემდეგაც. მას ჰქონდა პრაქტიკული ამოცანა გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, იმ ფაქტს, რომ მას ჰქონდა მამრობითი სქესის გენიტალიები და, მეორე მხრივ, არ ჰქონდა მდედრობითი სქესის წარსული, თუმცა რომლის შექმნასაც ის შეეცდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, მას სჭირდებოდა საკუთარი თავის, როგორც ქალის, გამოხატვა და ამავდროულად უნდა ესწავლა თუ რა არის ქალობა. აგნესის უწევდა მუდმივად მიებაძა ქალური მახასიათებლებისათვის მაშინ, როცა ადამიანთა უმეტესობისათვის ეს პროცესი ჩვეულებრივია. აგნესის ქალური მახასიათებლების გამოხატვამდე სჭირდებოდა დაფიქრება, მაშინ როცა ქალთა უმეტესობა ამას ფიქრის გარეშე აკეთებს. ის იმის სიმუღირებას კი არ ენეოდა, რასაც „რეალური“ ქალი აკეთებს ბუნებრივად. ის იძულებული იყო გაეანალიზებინა და ამის მიხედვით ემოქმედა სოციალურად განსაზღვრულ ვითარებაში და იმ პირობებში, რომლებშიც ქალურობის კონცეფცია მიიჩნევს, რომ ქალები იბადებიან შესაბამისი ბიოლოგიური მახასიათებლებით. სხვათა შემხვევების მსგავსად, რომელთაც უწევთ ქალურობის გამოხატვა, მაგალითად, ტრანსვეესტიტებს, კაბუკის თეატრის მსახიობებს ან დასტინ ჰოფმანის „ტუტის“, აგნესის მაგალითიც შესამჩნევს ხდის იმას, რასაც კულტურა უხილავად აქცევს—ეს არის გენდერის წარმოქმნის პროცესი.

სქესი

აგნესი ვერ აკმაყოფილებდა ბიოლოგიურ კრიტერიუმებს, რომელიც მას მიაკუთვნებდა მდედრობით სქესს. აგნესი საკუთარ თავს კვლავაც მიიჩნევდა ქალად, თუმცა მას ჰქონდა კაცის სასქესო ორგანო, ის ორგანო, რომელიც ქალს არ უნდა ჰქონდეს. პენისი, მისი აზრით იყო, „შეცდომა“, რომელიც საჭიროებდა გამოსწორებას (Garfinkel 1967, გვ. 126-127, 131-132). ჩვენი საზოგადოების სხვა კომპეტენტური წევრების მსგავსად, აგნესიც მიიჩნევდა, რომ არსებობდა „არსობრივი“ ბიოლოგიური კრიტერიუმები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად განასხვავებდა ქალებს კაცებისაგან. თუმცა, თუ ჩვენ გადავუხვევთ საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებიდან, აღმოვაჩინებთ, რომ ამ კრიტერიუმის საიმედოობა ეჭვს იწვევს (Money and Brennan 1968; Money and Erhardt 1972; Money and Ogurno 1974; Money and Tucker 1975). უფრო მეტიც, სხვა კულტურები აღიარებენ „გენდერული გადაკვეთების“ (cross-genders) არსებობას (Blackwood 1984; Williams 1986) და ორზე მეტი სქესის შესაძლებლობას (Hill 1985; Martin and Voorhies 1975; გვ. 84-107; ასევე იხ. Cucchiari 1981, გვ. 32-35).

ჩვენი არგუმენტების გასამყარებლად უფრო მნიშვნელოვანია რაზედაც კესლერი და მაკენა (1978, გვ. 1-6) მიაპყრობენ ჩვენს ყურადღებას, რომ ადამიანთა გენიტალიები დაფარულია საზოგადოებისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. განვიხილოთ ისეთი სამყარო, რომელიც შედგება ორი ნორმალური და ბუნებრივი სქესის ადამიანებისაგან. ეს მხოლოდ ვარაუდია, რომ არსებობს არსობრივი კრიტერიუმები, რომლებიც ქმნიან სქესობრივი კატეგორიზაციის საფუძველს და მისი პოვნა შეუძლებელია ან შეუძლებელია, თუ კარგად დავძებნით. გარფინკელი, კესლერი და მაკენა ამტკიცებენ, რომ „მდედრობითი“ და „მამრობითი“ სქესი კულტურული

მოვლენებია, რასაც ისინი უწოდებენ „გენდერის თანხმლები პროცესის“ (Gender Attribution Process) პროდუქტი, და არა რაიმე დამახასიათებელი ნიშნების, საქციელის ან თუნდაც ფიზიკური ატრიბუტების ერთიანობა. საილუსტრაციოდ მათ მოჰყავთ ბავშვის მაგალითი, რომელიც სურათზე გამოსახული კოსტუმითა და ჰალსტუხით მოსილი ადამიანის ყურებისას ამტკიცებს, რომ „ეს არის კაცი, რადგან მას აქვს კაცის სასქესო ორგანო“ (Kessler and Mckenna 1978, gv.154). განმარტება: „მას უნდა ჰქონდეს კაცის სასქესო ორგანო (ბუნებრივი მახასიათებელი), რადგან მე ვხედავ კოსტუმს და ჰალსტუხს“. ყოველდღიურ ცხოვრებაში სქესობრივი კატეგორიების იდენტიფიცირებისას არც სქესის მიწერა (რაც ხდება დაბადებისას) და არც სქესის მიწერისათვის კრიტერიუმების არსებობა არ იღებს მნიშვნელოვან მონაწილეობას. კესლერი და მაკენა აღნიშნავენ, რომ ჩვენ ვარსებობთ ისეთ მსოფლიოში, რომელშიც სწამთ, რომ მხოლოდ ორი სქესი არსებობს. ჩვენ არ ვფიქრობთ ასე: „ადამიანთა უმეტესობა, რომელსაც აქვს კაცის სასქესო ორგანო, არის კაცი, თუმცა ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს კაცის სასქესო ორგანო და არ იყოს კაცი“ ან „ადამიანთა უმეტესობას, რომელიც იცვამს კაცის ტანისამოსს აქვს კაცის სასქესო ორგანო“. სინამდვილეში, ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ სქესი და სქესობრივი კატეგორია ერთმანეთის მსგავსია – პირველის არსებობის შემთხვევაში ჩვენ შეიძლება შევიტყოთ მეორე.

სქესობრივი კატეგორიზაცია

აგნესის მდებარეობითი სტატუსი, რომელსაც ის შეინარჩუნებდა შესაბამისი მაიდენტიფიცირებული მახასიათებლების გამოხატვით, შეიძლება დისკრედიტირებული ყოფილიყო, ერთი მხრივ, ოპერაციამდე, თუ გახდებოდა ცნობილი, რომ მას ჰქონდა კაცის სასქესო ორგანო ან, მეორეს მხრივ, ოპერაციის შემდეგ, თუ გამჟღავნდებოდა, რომ მან ქალის გენეტიკა ქირურგიული ჩარევის შედეგად შეიძინა (იხ. Raymond 1979, გვ. 37, 138). ამიტომ აგნესი გამუდმებული განგაშის მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ აქტუალური ან პოტენციური საფრთხეების გამო, რომლებიც საფრთხეს უქმნდა მისი სქესობრივი კატეგორიის უსაფრთხოებას. მის პრობლემას არ წარმოადგენდა მდებარეობითი სქესის ზოგიერთი პროტოტიპის შესაბამისად ცხოვრება, არამედ მთავარი იყო დაეცვა მდებარეობის კატეგორიისადმი საკუთარი მიკუთვნებულობა. ამ ამოცანას ის წარმატებით ართმევდა თავს ისეთი რესურსის გამოყენებით, როგორცაა კატეგორიზაციის პროცესი, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ.

საზოგადოების წევრების კლასიფიკაცია ისეთ ბუნებრივ კატეგორიებად, როგორებიცაა „გოგო“ და „ბიჭი“ ან „ქალი“ და „კაცი“, სოციალური თვალსაზრისით განსხვავებულად მოქმედებს. კლასიფიკაციის პროცესი არ გულისხმობს გამოცდას, რომელზედაც გამოყენებულია ზუსტად განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდნენ, რათა მოხდეს იდენტიფიცირება. სინამდვილეში, კატეგორიზაცია, რომლის შედეგადაც დგინდება, რომ პირის კონკრეტული კატეგორიის წევრია, ხდება ყოველდღიურ ინტერაქციაში „შეგიძლია თუ არა“ ტიპის გამოცდის ჩაბარებით (Sacks 1972, გვ. 332 -335). გამოცდის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ადამიანებს შესწევთ უნარი სხვათა მიერ აღიქმებოდნენ კონკრეტული კატეგორიის წევრებად, მაშინ მათი კატეგორიების განსაზღვრა სწორედ ამ სახით ხდება, ანუ იდენტიფიცირების დროს ხდება იმ კატეგორიის მინიჭება, რომელიც მიიჩნევა შესაბამისად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც არსებობს საპირისპირო ინფორმაცია ან ამკარა მახასიათებლები, რომელთა შედეგადაც კატეგორიის განსაზღვრა მსგავსი სახით აღარ ხდება. ეს პროცედურა მჭიდრო კავშირშია ყოველდღიურ ცხოვრებასთან, როდესაც სქესის აღქმა ხდება გარეგნობის მეშვეობით მანამ, სანამ მისი სქესობრივი კუთვნილების შესახებ რაღაც ეჭვები ჩნდება (Schutz 1943; Garfinkell 1967, გვ. 272-277; Bernstein 1986). დამატებით უნდა ითქვას, რომ უტყუარი კრიტერიუმების არსებობასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები შეიძლება არსებობდეს მაშინ, როცა გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით იშვიათად ჩნდება

კითხვები (Garfinkell 1967, გვ. 262-283; Wilson 1970).

აგნესისთვის ქალად დამკვიდრების პირველი საშუალება იყო მისი წარმოდგენები ქალის გარეგნობის შესახებ (მისი ფორმა, ტანსაცმელი, სტილი და ა.შ.), რომლებიც მიიჩნეოდა მდებარეობის აუცილებელ მახასიათებლებად. მისი შემდგომი რესურსი იყო ჩვენი კულტურული შეხედულებები „ბუნებრივი, ნორმალური სქესის მქონე პიროვნების“ თვისებების შესახებ. გარფინკელი (1967, გვ. 122-128) აღნიშნავს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, რომელშიც არსებობს მხოლოდ ორი სქესი. ამგვარ წესრიგს აქვს მორალური სტატუსი, რომლის შედეგადაც საკუთარ თავს და სხვებს განვიხილავთ „ბუნებრივად, წარმოშობით, პირველ რიგში, რომლებიც ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით, ერთხელ და სამუდამოდ, ან მამრობითი და ან მდედრობითი სქესის წარმომადგენლებად“ (Garfinkell 1967, გვ. 122).

განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა:

მასხენდება ორიოდე წლის წინ ჩემი ვიზიტი კომპიუტერების მაღაზიაში. ადამიანი, რომელიც ჩემს კითხვებს პასუხობდა მაღაზიაში, ნამდვილად გამყიდველი იყო. თუმცა მე ვერ შევძელი მისი სქესის იდენტიფიცირება. დავაკვირდი გამყიდველს და შევეცადე მისი გარეგნობის მიხედვით ამომეცნო ამ უკანასკნელის სქესი. (1) თმები სახეზე: მას ქონდა უთმო სახის კანი, თუმცა ზოგიერთ კაცს შეიძლება ჰქონდეს მცირე რაოდენობის თმები სახეზე ან საერთოდ არ ჰქონდეს (განსხვავება დამოკიდებულია რასობრივ კუთვნილებაზე, ამერიკელ ინდიელებსა და შავკანიანებს თმები სახეზე არ აქვთ). (2) მკერდი: მას ეცვა ფართე პერანგი. თუმცა ხშირად ხდება, რომ ქალთა ნაწილს გულმკერდის არე მიუგავს კაცისას (3) მხრები: მისი მხრები იყო კაცის მხრებთან შედარებით პატარა და მომრგვალებული, ხოლო ქალის მხრებთან შედარებით ფართე. (4) ხელები: გრძელი და თხელი თითები, ხოლო მუჭი ქალის მუჭთან შედარებით დიდი და კაცისაზე პატარა. (5) ხმა: საშუალო დიაპაზონის, არადამახასიათებელი ქალისათვის და ასევე არატრადიციული სექსუალური ორინეტაციის კაცის ხმის ტონის არამსგავსი. (6) ჩემდამი მისი მომართვა: არ შეიცავდა სიგნალებს, რომელიც მაგრძნობინებდა, რომ მე ვიყავი მისი ან საპირისპირო სქესისა. მომართვაში არ შეიმჩნეოდა რაიმე ნიშანიც კი იმისა, რომ მან იცოდა, რომ ძნელი იყო მისი სქესის კლასიფიკაცია და მე ესეც მაინტერესებდა, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი ეს დაინტერესება არ გამომეველინა. ასე რომ, მე მას არ ჩავაყენებდი უხერხულ მდგომარეობაში, იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩვენ ვსაუბრობდით კომპიუტერის ქალაქის შესახებ. ისე წამოვედი მაღაზიიდან, რომ ვერ გავიგე გამყიდველის სქესი, რის გამოც შეწუხებული დავრჩი (მე ხომ ჩემი კულტურის შვილი ვიყავი) (Diane Magolis, Personal Communication).

რა შეიძლება გვითხრას ამ მაგალითმა აგნესის მდგომარეობის (შეადარეთ Morris 1974: Richards 1983) ან ზოგადად სქესის კატეგორიზაციის პროცესის შესახებ? პირველი: ჩვენ ვასკვნით, რომ გამყიდველი სქესის მაიდენტიფიცირებელ მახასიათებლებს გამოხატავდა გაურკვეველად და ამას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ ის არ იყო ჩაცმული ან მორთული ერთმნიშვნელოვნად კაცური ან ქალური ტანისამოსით. როდესაც მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლების გამოხატვით შეუძლებელია ადამიანის სქესობრივ კლასიფიკაცია, მაშინ იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა თმების რაოდენობა სახეზე ან ხმის ტონი, რათა პირი მიაკუთვნონ რომელიმე სქესობრივი კატეგორიას. მეორე: იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსგავს შემთხვევებს შეიძლება მომავალშიც ჰქონდეს ადგილი, მომხმარებელი „შეწუხებული“ რჩებოდა არა მარტო იმიტომ, რომ ვერ არკვევდა გამყიდველის სქესობრივ კატეგორიას, არამედ იმიტომაც, რომ ამ გაურკვეველობას შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო თავად გამყიდველი. ჩვენ არამარტო გვსურს ვიცოდეთ ჩვენს ირგვლივ მყოფთა სქესობრივი კატეგორია (და ეს გავიგოთ მათთვის ერთი შეხედვით), არამედ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სხვები მას ჩვენთვის ისე გამოხატვენ, როგორც შეუძლიათ.

გენდერი

აგნესი ცდილობდა ყოფილიყო „120%-ით ქალი“ (Garfinkel 1967, გვ. 129), ანუ ყოფილიყო ყოველმხრივ და ყოველთვის ქალი. ის ფიქრობდა, რომ წარმატებით შეძლებდა ქირურგიულ ჩარევამდე ან თუნდაც მის შემდეგ არ გაემჟღავნებინა საკუთარი რეალური სქესი და ამას მოახერხებდა ქალური მანერების გამოიმუშავებით, თუმცა ამავდროულად მას, შესაძლოა, გაეცა საკუთარი თავი იმ შემთხვევაში, თუ ქალურ მახასიათებლებს ზედმეტად გამოამჟღავნებდა. სქესობრივი კატეგორიზაცია და გენდერის ჩამოყალიბება არ არის ერთი და იგივე. აგნესმა შეიძლება შეინარჩუნოს თავისი, როგორც ქალის, სქესობრივი კატეგორია, თუმცა ეს არ არის დამოკიდებული, შეითვისებს თუ არა ის ქალურობის იდეალურ მახასიათებლებს. ქალები შეიძლება აღიქმებოდნენ არაქალურებად, მაგრამ ეს მათ არ გადააქცევს „არამდედრებად“. აგნესს მუდმივად უწევდა ისეთი ამოცანის შესრულება, როგორცაა ქალად ყოფნა—რაღაც, რაც მდებარეობს ტანსაცმლის სტილის (მაიდენტიფიცირებელი გამოხატულება) ან სიგარეტის მოსაკიდებლად კაცებისათვის ნების დართვის მიღმა (გენდერული მახასიათებლის გამოხატვა). მისი მთავარი პრობლემა იყო საკუთარი ქმედებებისათვის ისეთი კონფიგურაციის მინიჭება, რომელიც სხვების მიერ აღიქმებოდა ქალის გენდერისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ საქციელად.

აგნესი იყენებდა „საიდუმლო შესწავლის“ სტრატეგიას, რომლის მეშვეობითაც მან აითვისა ქალისათვის დამახასიათებელი ქცევის ნესები და ამაში მას დაეხმარა საკუთარი საქმროს მიერ სხვა ქალების გაკრიტიკება და ეს სტრატეგია იყო ერთ-ერთი საშუალება შეუსაბამობის შესანიღბად და იმავდროულად საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად (Garfinkel 1967, გვ. 146-147). მან სწორედ საქმროსაგან შეიტყო, რომ სახლის წინ, ბალახის გაზონზე გასარუჯად დაწოლა იყო „თავდასხმითი“ ქმედება (რადგან ამ დროს ხდებოდა მისი წარმოჩინება სხვა კაცების წინაშე). საქმროს მიერ სხვა ქალების გაკრიტიკებისას მან ასევე შეიტყო, რომ ქალი არ უნდა აკეთებდეს საქმეს მხოლოდ თავისი შეხედულების შესაბამისად და, რომ თავისი მოსაზრებები არ უნდა გაუთანაბროს კაცისას (Garfinkel 1967, გვ. 147-148). (საზოგადოების სხვა ქალი წარმომადგენლების მსგავსად, ამგვარი „განათლების“ პროცესში აგნესმა მიიღო გარკვეული ინფორმაცია ძალაუფლებასთან დაკავშირებით).

პოპულარულ კულტურაში მრავლად არის წარმოდგენილი წიგნები და ჟურნალები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია ქალებსა და კაცებს შორის არსებული იდეალური ურთიერთობების შესახებ. ლიტერატურა, რომელიც შეეხება ეტიკეტს ან ქალურობის გავრცელებულ სტანდარტებს, პრაქტიკულ დახმარებას გვინებს ამ მიმართულებით თუმცა ამგვარი წყაროების გამოყენება, როგორც პროცედურათა სახელმძღვანელო, გულისხმობს იმის დაშვებას, რომ გენდერის შექმნა მოიცავს მხოლოდ განცალკევებულ, ზუსტად განსაზღვრულ ქცევათა ერთობლიობის გამოყენებას, რომელიც შეიძლება მამრობითობის ან მდედრობითობის აღქმადი მახასიათებლების გამოხატვის მიზნით მარტივად შემოიტანონ ურთიერთობებში. კაცები გამოხატავენ მამრობითობას მაშინ, როცა, მაგალითად, ქალს მკლავში კიდებენ ხელს ქუჩაზე გადაყვანის მიზნით, ხოლო ქალი გამოხატავს მდედრობითობას იმით, რომ არ ეწინააღმდეგება კაცს ან თავად არ იღებს ინიციატივას.

აგნესას სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოეყენებინა მსგავსი წყაროები, მაგრამ ჩვენ მივიჩნევთ, რომ გენდერის შექმნის პროცესის მართვა არ არის ასე ადვილია (Mithers 1983; morris 1974). მსგავსი წყაროებში შეიძლება ჩამოთვლილი და აღწერილი იყოს ქცევათა სახეები, რომლებიც დამახასიათებელია და გამოხატავს გენდერს, თუმცა ისინი არასრულყოფილია (Garfinkel 1967, გვ. 66-75; Weider 1974, გვ. 183-214; Zimmerman adn Weider 1970, გვ. 285-298). ხოლო წარმატებისათვის გენდერის მახასიათებლების აღნიშვნა ან გამოხატვა სრულად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ვითარებას და უნდა ხდებოდეს მათი განახლება ან ცვლა ვითარების ცვლილებასთან ერთად. გენდერის შექმნა მოიცავს მსგავსი შემთხვევების მართვას, ამდენად, შედეგი ჩანს და იგი ხილვადია გენდერის შესაბამისობის ან შეუსაბამობის კონტექსტში და ეს არის ანგარიშვალდებულება (Accountability).

ბენდერი და ანგარიშვალდებულება

როგორც ჰერიტიეჯი (1984, გვ. 136-137) აღნიშნავს, საზოგადოების წევრები „ერთმანეთს მუდმივად წარუდგენენ თავიანთ აღწერით მახასიათებლებს“ და ეს შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ასევე გვერდითი მახასიათებლები. აღწერის ეს პროცესი ანიჭებს სახელს, ახასიათებს, ახდენს ფორმულირებას, ხსნის, ამართლებს, აფასებს ან უბრალოდ აღნიშნავს კონკრეტულ ვითარებას ან ქმედებას და, ამდენად, ათავსებს მას რომელიმე სოციალურ ჩარჩოში (ხდება ამ ქმედებათა შეფასება სხვა ქმედებებთან მიმართებაში და განიხილება მათთან მსგავსობის ან განსხვავების კონტექსტში).

მსგავსი აღწერები თავისი არსით წარმოადგენს სხვებისთვის ერთგვარი ანგარიშის წარდგენას. საზოგადოების წევრებიც მოქმედებენ იმ წარმოდგენით, რომ მათი ქცევა სხვათა შეფასების ობიექტია. ქმედებები ხშირად იგეგმება იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეაფასებენ მათ სხვები, როგორ აღიქვამენ და როგორ დაახასიათებენ. ანგარიშვალდებულებითი ხასიათი აქვთ იმ ქმედებებსაც, რომლებიც იდენტიფიცირების თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი, რადგანაც ისინი უნდა იყოს კულტურული სტანდარტების შესაბამისი.

ჰერიტიეჯი (1984, გვ. 179) მიიჩნევს, ადამიანების ანგარიშვალდებულება ერთმანეთის წინაშე თავისი ხასიათით ინტერაქციულია:

ეს საშუალებას უქმნის ადამიანებს არსებული გარემოების შესაბამისად დაგეგმონ თავიანთი ქმედებები და მიანიჭონ სხვებს შესაძლებლობა ამოიცნონ ისინი.

მთავარი სიტყვა აქ არის *გარემოება (Circumstance)*. ერთ-ერთი გარემოება, რომელიც თან ახლავს ყველა ქმედებას, არის მოქმედი პირის სქესობრივი კატეგორია. გარფინკელი (1967, გვ. 118) შენიშნავს:

სქესობრივი მახასიათებლების გამოვლენის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი პირობები ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა აგნესს ყოველდღიური ქმედებები ექცია რუტინად. ეს მედგარი წინააღმდეგობა მიუთითებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სქესობრივი სტატუსის დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც, როგორც უცვლელი, მაგრამ შეუმჩნეველი საფუძველი, შეადგენს ყოველდღიური ცხოვრების ცვალებად სამოქმედო ადგილს. (იდეალისტების დამატება).

თუ სქესობრივი კატეგორია დიდმნიშვნელოვანია (ან მისი მსგავსი), მაშინ ადამიანი, რომელიც ახორციელებს რაიმე ქმედებას შეიძლება, სხვათა წინაშე იყოს ანგარიშვალდებულებული ეს ქმედება შეასრულოს როგორც კაცმა ან ქალმა და შემდეგ ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება მის სქესობრივ კატეგორიას შეიძლება გამოიყენებოდეს მის მიერ განხორციელებულ სხვა ქმედებათა ლეგიტიმაციის ან დისკრედიტაციისათვის (Berger, Cohen and Zelditch 1972; Berger, Conner and Fiesk 1974; Berger, Fiesk, Norman and Zelditch 1977; Humphreys and Berger 1981). შესაბამისად, ნებისმიერი საქციელი შეიძლება შეფასდეს მისი კაცური ან ქალური ბუნებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ გენდერის „შექმნა“ (Do Gender) ყოველთვის არ ნიშნავს მდებარეობის და მამარობითობის ნორმატიული კონცეფციების შესაბამისად ცხოვრებას; ამ ცნების ქვეშ იგულისხმება იმგვარი ქმედება, რომელიც სხვებს აძლევს საშუალებას განისაზღვროს გენდერი. მართლია, გენდერს ქმნიან ცალკეული ადამიანები, თუმცა შექმნის პროცესი თავისი ხასიათით ინტერაქციული და ინსტიტუციონალურია. ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით ის არის სოციალური ურთიერთობების დამახასიათებელი თვისება და გამოხატვის აღნიშნული მანერა, რომელიც განპირობებულია მოცემული ინსტიტუციონალური გარემოთი. შესაძლებელია თუ არა, რომ ოდესმე ჩვენ აღარ მივიღოთ მონაწილეობა გენდერის შექმნაში? იმდენად, რამდენადაც

საზოგადოება დაყოფილია ქალებსა და კაცებს შორის არსებული „ბუნებრივი“ განსხვავებებით და სქესობრივი კატეგორიის განსაზღვრა მნიშვნელოვანიც არის და იძულებითიც, გენდერის შექმნა გარდაუვალია.

გენდერის შექმნისათვის აუცილებელი რესურსები

გენდერის შექმნა გულისხმობს ბიჭებსა და გოგონებს, ქალებსა და კაცებს შორის ისეთი განსხვავებების შექმნას, რომლებიც არ არის ბუნებრივი, არსობრივი ან ბიოლოგიური. როგორც კი ეს განსხვავებები იქმნება, ხდება მათი გამოყენება გენდერის, როგორც „არსობრივი“ მახასიათებლის, გაძლიერების მიზნით. გოფმანის (1977) ბრწყინვალე მოხსენებაში „ნესრიგი სქესებს შორის“ (**Arrangement Between Sexes**) ავტორი მიუთითებს განსხვავებული ინსტიტუციონალიზებული ჩარჩოების შექმნაზე, რომლის ფარგლებშიც შეიძლება შემოვიდეს ჩვენი „ბუნებრივი, ნორმალური სქესობრიობა“ (**Natural, Normal Sexedness**). ფიზიკური მახასიათებლები არის ერთ-ერთი აშკარა წყარო, რომლის საფუძველზეც „არსობრივი“ განსხვავებები გამოვლინდება. მაგალითად, ჩრდილო ამერიკაში „ქალბატონებისა“ და „კაცების“ საზოგადოებრივი საპირფარეშოების სქესობრივი სეგრეგაცია ხდება ბიოლოგიური განსხვავებების საფუძველზე, იმისდა მიუხედავად, რომ „მათ მიერ გამოყოფილი ექსკრემენტები ბიოლოგიურად ერთმანეთის მსგავსია“ (**Goffman 1977, გვ. 315**). მსგავსი დაწესებულებები მონყობილია განსხვავებული აღჭურვილობით (**Goffman 1977, გვ. 315**), (როგორებიცაა პისუარები კაცებისათვის ან განსხვავებული მონყობილობები ქალებისათვის), მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ერთი და იგივე საშუალებები (და ასეც იქცვიან საკუთარ სახლებში). ფაქტია, რომ:

განსხვავებული სქესობრივი ორგანოები მონაწილეობენ დიფერენციაციაში, თუმცა ბიოლოგიური თვალსაზრისით სეგრეგაცია არ არის აუცილებელი; არსებული ნესრიგი კულტურული საკითხია... საპირფარეშოების დაყოფა წარმოდგენილია, როგორც სქესებს შორის არსებული განსხვავებების ბუნებრივი შედეგი, რაც სინამდვილეში არის ღირსების საკითხი, თუ არა განსხვავებების წარმოქმნის საშუალება (**Goffman 1977, გვ. 316**).

სტანდარტიზირებული სოციალური გარემოებები ასევე წარმოადგენენ ერთგვარ სცენას „მდედრობითი და მამრობითი ბუნების არსის“ გამოსავლენად. გოფმანი მიუთითებს ორგანიზებულ სპორტზე, როგორც ერთ-ერთ ინსტიტუციონალურ სფეროზე, რომელშიც ხდება მამრობითობის გამოხატავა. ის თვისებები, რომლებიც „აუცილებლად“ უნდა ახასიათებდეს მამრობითობას, როგორებიცაა, მაგალითად: ამტანობა, ძლიერება, ბრძოლის ჟინი, განდიდებულია ორივე მხარის მიერ, როგორც სპორტსმენების მხრიდან, რომელთაც შეუძლიათ მსგავსი მახასიათებლების დემონსტრირება, ასევე მაცურებლების მიერ, რომლებიც ტრიბუნებიდან მიესალმებიან ამ დემონსტრირებას (1977, გვ. 322).

შერჩევითი შეწყვილების პრაქტიკა ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის ჯერ კიდევ ნიშნავს ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებების შექმნას და შენარჩუნებას. მაგალითად, მაშინ, როცა ზომა, სიძლიერე და ასაკი უფრო და უფრო თანბრად არის განაწილებული ქალებსა და კაცებს შორის (ქალებსა და კაცებს შორის ამ მახასიათებლების მნიშვნელოვანი დამთხვევით), შერჩევითი დაწყვილება განაპირობებს ისეთი წყვილების შექმნას, რომლებშიც ბიჭები და კაცები ჩანან უფრო დიდები, ძლიერები და ასაკოვნები (“ჭკვიანებიც” კი), ვიდრე გოგონები და ქალები. ასე რომ, ისეთ სიტუაციაში, რომელშიც საჭიროა დიდი ზომების, სიძლიერის ან გამოცდილების გამომჟღავნება, კაცები და ბიჭები მზად არიან მოახდინონ მსგავსი თვისებების დემონსტრირებისთვის, ხოლო ქალები დააფასებენ მამაკაცთა მხრიდან მსგავს ქმედებებს (**Goffman 1977, გვ. 321; West and Iritani 1985**).

გენდერის ფორმირება შეიძლება მოხდეს ისეთ გარემოებებში, რომლებშიც აშკარად ხდება გენდერის გამოხატვა, მაგალითად, ისეთი შემთხვევებში, როდესაც „უმწიკ“ ქალი გამოსახულია მძიმე საგნებთან ან დაშვებულ საბურავთან. მაგრამ, როგორც გოფმანი აღნიშნავს, მძიმე, ბინძური და სახიფათო დამოკიდებულებები შეიძლება აგებული იყოს ნებისმიერ სოციალურ ვითარებაში, და მიუხედავად სხვა სტანდარტების არსებობისა, ამ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს ის, რაც არის მსუბუქი, სუფთა და უსაფრთხო. ამ რესურსების გათვალისწინებით ნათელია, რომ ნებისმიერი ინტერაქციული ვითარება ქმნის ერთგვარ სცენას „არსობრივი“ სქესობრივი ბუნების გამოხატვისთვის. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვითარება „ქმნის შესაძლებლობებს არა იმდენად ბუნებრივი განსხვავების გამოსახატავად, რამდენადაც თავისთავად ამ განსხვავებების შესაქმნელად“ (Goffman 1997, გვ. 324).

ბევრ ვითარებაში არც სქესობრივი კატეგორიზაციაა ნათლად წარმოჩენილი და არც აშკარა გენდერული მახასიათებლებია წარმოდგენილი. ჯერ კიდევ ნებისმიერმა სოციალურმა დაპირისპირებამ შეიძლება შეიტანოს წვლილი სქესის შექმნაში. ასე, ფიშმანის (1978) კვლევამ ადამიანებს შორის შემთხვევით გამართული დიალოგების შესახებ სამუშაო გარემოში აღმოაჩინა სერიოზული ასიმეტრია ახლოებელ წყვილებს შორის საუბრისას. ქალებს უწევთ მეტი კითხვის დასმა, სიჩუმის დარღვევა და მეტი ყურადღების გამოჩენა, რათა მათ მოუსმინონ. მისი დასკვნები შემდეგში მდგომარეობს:

მას შემდეგ, რაც ინტერაქციული მუშაობა (Interactional Work) დაუკავშირეს ქალად ყოფნას, ქალობას, ინტერაქციის, როგორც სამუშაოს, იდეა ეჭვქვეშ დადგა. სამუშაოდ აღიქმება არ ის, რასაც ქალები აკეთებენ, არამედ ის ნაწილი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ (Fishman 1978, გვ. 405).

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ინტერაქცია ეს არის ზუსტად ის სამუშაო, რომელიც მონაწილეობას იღებს ინტერაქციულ კონტექსტში ქალის არსობრივი ბუნების შექმნაში (West and Zimmerman 1983, გვ. 109-111; ასევე იხ. Kollock, Blumstein, and Schwartz 1985).

ცალკეულ პირებს აქვთ მრავალი სოციალური ინდეტობა, რომელიც არსებული ვითარებიდან გამომდინარე შესაძლოა შეიძინო ან მოიშორო, ჩაახშო ან ნაკლებ აქტიური გახადო. პირი შეიძლება იყოს მეგობარი, მეუღლე, კვალიფიცირებული მშრომელი, მოქალაქე და კიდევ სხვა როლის შემსრულებელი სხვადასხვა პირებთან ურთიერთობისას ან ერთი და იმავე პირთან ურთიერთობისას სხვადასხვა დროს. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვართ ქალები ან კაცები მანამ, ვიდრე გადავინაცვლებთ მეორე სქესობრივ კატეგორიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მაიდენტიფიცირებელი გამოხატვები უზრუნველყოფენ გენდერის შექმნისათვის ყველაზე ხელმისაწვდომ რესურსს განსხვავებული ვითარებების პირობებში.

ზოგი ვითარება ისეა ორგანიზებული, რომ გამუდმებით ხდება იმ ქცევების გამოხატვა და აღნიშვნა, რომლებიც კონვენციონალურად უკავშირდება ერთ ან მეორე სქესობრივ კატეგორიას. ასეთ ვითარებაში ყველამ იცის მისი ადგილი ინტერაქციულ სქემაში. თუ ცალკეული პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც ერთი სქესობრივი კატეგორიის წევრი, ერთვება ჩვეულებრივ მეორე კატეგორიისთვის დამახასიათებელ საქციელში, ქცევათა ჩვეულებრივი სცენარისთვის პრობლემა იქმნება. ჰიუჯი (1945; გვ. 356) გვთავაზობს შემდეგი დილემის ილუსტრაციას:

ახალგაზრდა ქალმა აითვისა კაცური პროფესია-ინჟინრობა. მოსალოდენლია, რომ თვითმფრინავის პირველ გაფრენას დაესწრება თვითმფრინავის დიზაინერი. ის მართავს სადილს იმ ინჟინრებისა და თანამშრომლებისათვის, რომლებიც მუშაობდნენ თვითმფრინავის აგებაზე. საღამო გაიმართება მხოლოდ კაცებისათვის. ახალგაზრდა ქალი მონაწილეობდა თვითმფრინავის აგებაში. თანამშრომლებმა ურჩიეს მას, რომ არ გაენია რისკი, რომელიც მხოლოდ კაცებისთვის არის განკუთვნილი და უკავშირდება პირველ ფრენას. მას ფაქტობრივად სთხოვდნენ, რომ ყოფილიყო ქალი და არა ინჟინერი. მან გადაწყვიტა ყოფილიყო ინჟინერი. ის მივიდა წვეულებაზე

და გადაიხადა კაცის მსგავსად. ჭამისა და სადღეგრძელოების პირველი ეტაპის შემდეგ მან დატოვა საღამო ისე, როგორც ეს ქალს შეეფერებოდა.

ამ შემთხვევაში მხარეებმა მიაღწიეს თანხმობას, რამაც საშუალება მისცა ქალს ჩართულიყო სავარაუდოდ კაცურ საქციელში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპრომისს მოჰყვა მის მიერ ქალურობის დემონსტრირება ქალებისათვის დამახასიათებელი საქციელის მეშვეობით.

ჰიუჯის (1945, გვ. 357) აზრით, ასეთ ურთიერთინააღმდეგობებს შეიძლება დაუპირისპირდე ვინრო დონეზე ინტერაქციის მართვით, მაგალითად, „სპეციფიკური და ფორმალური ურთიერთობების შენარჩუნებით“. მაგრამ საკითხის მთავარი არსი არის ისაა, რომ ფორმალური ურთიერთობების არსებობის შემთხვევაშიც გენდერი კვლავაც არის ის, რის გამოც ადამიანები არიან ანგარიშვალდებულნი ერთმანეთის წინაშე. ასე მაგალითად, ქალ ექიმს (მისი კვალიფიკაციის გამო) შეიძლება ეპყრობედნენ მონინებით და მიმართავდნენ შესაბამისი ტიტულით. მიუხედავად ამისა, ის არის სუბიექტი, რომლის შეფასებაც ხდება მისი სქესობრივი კატეგორიის შესაბამისი მიდგომებისა და ქმედებების ნორმატიული კონცეფციების მიხედვით და იმ მოსაზრების შესაბამისად, რომ ის არის „ბუნებრივად“ ქალური ქმნილება, მიუხედავად საპირისპირო თვისებების გამოვლენისა (West 1984, გვ. 97-101). მისი სქესობრივი კატეგორია გამოიყენება მნიშვნელოვან სამედიცინო საქმიანობებში მისი მონანილეობის დისკრედიტაციისათვის (lorber 1984, გვ. 52-94) მაშინ, როცა მისი მონანილეობა მედიცინაში გამოიყენება მისი, როგორც დედისა და ცოლის, მოვალეობებისადმი ერთგულების დისკრედიტაციისათვის (Bourne and Wikler 1978, გვ. 435-37). იმავედროულად, მას გარიცხავენ სამედიცინო კოლეჯის თანამშრომელთა ერთობიდან, ხოლო მისი, როგორც ქალის, ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია.

“როლთა კონფლიქტი“ შეიძლება განხილული იქნას, როგორც „სქესთა შორის წესრიგის“ დინამიკური ასპექტი (Goffman 1977) ეს წესრიგი ქმნის ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც კონკრეტულ სქესობრივ კატეგორიას მიკუთვნებულ ადამიანებს შეუძლიათ სრულიად ნათლად „იხილონ“, რომ ისინი უადგილო ადგილას იმყოფებიან და იქ რომ არ ყოფილიყვნენ, პრობლემა ბიც არ იქნებოდა. ის, რასაც საფრთხე ემუქრება, ინტერაქციის თვალსაზრისით არის ჩვენი „არსობრივი“ ბუნების მართვა და ცალკეული ადამიანის თვალსაზრისით—გენდერის განგრძობადი ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ სქესობრივ კატეგორიას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ნებისმიერი ვითარება, კონფლიქტური იქნება თუ არა, სქესის შექმნისათვის საჭირო რესურსებს შემოგვთავაზებს.

ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ სქესობრივი კატეგორია და გენდერი არის ქცევის მართვადი თვისება, რომელიც შემუშავებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სხვები განგვსჯიან და გვიპასუხებენ ჩვენი ქმედებების გამო კონკრეტული სახით. ჩვენ ვაცხადებდით, რომ ადამიანის გენდერი არ არის მხოლოდ პირის არსებობის ასპექტი, არამედ გენდერი არის ის, რასაც ის აკეთებს, აკეთებს პერიოდულად, სხვებთან ურთიერთობის პროცესში.

რა არის ამ თეორიული ფორმულირების შედეგები? მაგალითად, თუ ადამიანები ცდილობენ მიიღონ გენდერული კუთვნილება სხვებთან ურთიერთობისას, მაშინ როგორ ამკვიდრებს კულტურა გენდერული კუთვნილების მიღების საჭიროებას? როგორია ურთიერთობა ინტერაქციის დონეზე გენდერის შექმნასა და ისეთ ინსტიტუციონალურ წესრიგს შორის, როგორიცაა შრომის დანანილება საზოგადოებაში? ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა წვლილი შეაქვს გენდერის შექმნის პროცესს მამაკაცზე ქალის დაქვემდებარებაში.

შავკანიანი ქალები და ფემინისტური თეორიის ჩამოყალიბება

ბელ ჰუკსი*

ფემინიზმი შეერთებულ შტატებში არ წარმოშობილა როგორც სქესობრივად ყველაზე მეტად დაჩაგრულ ქალთა მოძრაობა. ქალები, რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან მენტალურ, ფიზიკურ და სულიერ ჩაგვრას, ჩუმ უმრავლესობას წარმოადგენდნენ და არ შეუძლიათ თავიანთი მდგომარეობის შეცვლა. ისინი შევინორებას ყოველგვარი კითხვების, ორგანიზებული და კოლექტიური პროტესტის გარეშე ეგუებიან. ბეთი ფრიდანის წიგნში „ქალური მისტიკა“, რომელიც თანამედროვე ფემინისტური მოძრაობის ნიშანსვეტადაა მიჩნეული, სრულიად იგნორირებულია ქალთა ეს კატეგორია. ფრიდანის ცნობილი ფრაზა „პრობლემა, რომელსაც სახელი არა აქვს“ განათლებული და დაოჯახებული თეთრკანიანი ქალების მდგომარეობას ასახავდა. ესენი იყვნენ საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენლები, რომლებიც ველარ ეგუებოდნენ მხოლოდ სახლში ჯდომას, ბავშვების მოვლას და პროდუქტების ყიდვას. ისინი ცხოვრებისაგან უფრო მეტს მოელოდნენ. ფრიდანი თავისი წიგნის პირველ თავს შემდეგი ფრაზით ამთავრებს: „ქალები აცხადებენ: „ჩვენ გვინდა ქმრებზე, ბავშვებზე და სახლზე მეტი“, ჩვენ ამ მოთხოვნას უყურადღებოდ ველარ დავტოვებთ.“ ამ სიტყვაში „მეტი“ ავტორი გულისხმობს კარიერას. ფრიდანი უყურადღებოდ ტოვებს იმ საკითხს, თუ ვინ მოუვლის ბავშვებს და ვინ გაუძღვება მათ საქმეებს, თუკი ქალები გათავისუფლდებიან საოჯახო შრომისაგან და მათ თეთრკანიან მამაკაცებთან ერთად პროფესიული ცხოვრების ასაწყობად თანაბარი შესაძლებლობა მიეცემათ. მისთვის არც მარტოხელა ქალების პრობლემებია მნიშვნელოვანი. ყველაფერთან ერთად, ფრიდანი გვერდს უვლის ფერადკანიანი და ლარიბი თეთრკანიანი ქალების გასაჭირსაც. წიგნში არ არის ნათქვამი, რა უფრო დიდი პრობლემაა ქალისთვის – უზრუნველყოფილი დიასახლისობა, თუ მოახლედ, ძიხად, ქარხნის მუშად, კლერკად მუშაობა ან სულაც მეძავობა.

ფრიდმანმა თავისნაირი ქალების პრობლემები მთლიანად ამერიკელი ქალების გაჭირვების სინონიმად აქცია, რითაც უგულვებელყო ამერიკელი ქალების კლასობრივი და რასობრივი უთანასწორობის პრობლემა. თავის წიგნში ფრიდანს სექსიზმის მთავარ მსხვერპლად სწორედ კოლექტურად მთავრებული თეთრკანიანი ქალები მიაჩნია, რომლებიც თავიანთი სქესის გამო იძულებულნი არიან სახლში ისხდნენ. იგი თავის შეხედულებებს შემდეგნაირად ხსნის:

ჩვენ სასწრაფოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დიასახლისის მდგომარეობა ქალში სიცარიელის და არასრულფასოვნების გრძნობას წარმოშობს. დიასახლისობა შესაფერისი ინტელექტის მქონე ზრდასრულ ქალს არ აძლევს საშუალებას შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა, იდენტობა და თვითმყოფადობა, რის გარეშეც ვერც ქალის და ვერც კაცის ცხოვრება სრულფასოვანი ვერ იქნება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამერიკაში დიასახლისობა შრომისუნარიანი ქალებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

თეთრკანიანი დიასახლისების ფენის ცალკეული პრობლემები, მართლაც, იმსახურებენ ყურადღებას და ცვლილებებს, მაგრამ ისინი მთლიანად ქალთა მასების პოლიტიკურ ინტერესებს სრულად არ გამოხატავენ. ქალთა მასების მთავარი საზრუნავი ეკონომიკური თვითგადარჩენა, ეთნიკურ-რასობრივი დისკრიმინაცია და სხვა მსგავსი სახის პრობლემებია. როდესაც ფრიდანი „ქალური მისტიკას“ წერდა, ქალების ერთი მესამედი სხვადასხვა სახის მძიმე სამუშაოს ეწეოდა. მათგან ბევრი ქალი ნატრობდა დიასახლისობას და მხოლოდ თავისუფალი დროის მქონე და

* ბელ ჰუკსი, ფემინისტური თეორია გარიყულობიდან ცენტრისაკენ, South End Press, 1985 (გვ. 1-15)

ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ქალები ახდენდნენ თავიანთ იდენტიფიკაციას “ქალური მისტიკის” მოდელის მიხედვით. ფრიდანის სიტყვებით, ეს ის ქალები იყვნენ, ვისაც ჩვენი დროის ყველაზე „გამოჩენილი მოაზროვნეები“ უმტკიცებდნენ, სახლში დაბრუნებულიყვნენ და „ნორების“ მსგავსად, რომლებსაც ვიქტორიანული ცრურწმენით აკრძალული ჰქონდათ თოჯინების სახლის დატოვება, თავიანთი ცხოვრებით ეცხოვრათ.

ფრიდმანის ადრინდელი ნაშრომებიდან ჩანს, რომ მას არ უცდია დაედგინა, თუ რამდენად ადეკვატური იყო კოლეჯდამთავრებული თეთრკანიანი დისახლისების პრობლემების მაგალითზე, მთლიანად ამერიკელი ქალების მდგომარეობაზე სექსიზმის ჩაგვრის შედეგების შეფასება. ის მხოლოდ საკუთარი გამოცდილებიდან მსჯელობდა და არ ჰქონდა ფართო წარმოდგენა მთლიანად ამერიკელი ქალების ცხოვრების შესახებ. ჩემი კრიტიკის მიზანი მისი წიგნის დისკრედიტაცია არ არის. ეს ნაშრომი გარკვეული ჯგუფის ქალების სქესისტური დისკრიმინაციის შეფასების მნიშვნელოვანი ნიმუშია. სხვა მხრივ, ის ნარცისიზმის, სენტიმენტალურობის და თვითშეზღუდვის ფენომენის კვლევად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც თავის პიკს „თანდათანობითი დეჰუმანიზაციის“ ქვეთავში აღწევს. ამ ნაწილში ფრიდანი თეთრკანიან დისახლისებზე იზოლაციით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ეფექტებსა და ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკში დამწყვედი პატიმრის პიროვნებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის პარალელებს ავლებს და მათ მსგავსებაზე საუბრობს.

ფრიდანმა თანამედროვე ფემინისტური აზროვნების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი გავლენა იქონია. აღსანიშნავია, რომ მის წიგნში წარმოდგენილი ქალთა რეალური ცხოვრების ცალმხრივი განხილვა დამახასიათებელია თანამედროვე ფემინისტური მოძრაობისთვისაც. ფრიდანის მსგავსად ის თეთრკანიანი ქალები, რომლებიც დღესდღეობით განსაზღვრავენ ფემინისტურ აზროვნებას, არ ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მათი წარმოდგენები ქალების როგორც კოლექტიური ჯგუფის რეალურ ცხოვრებას. ისინი არ ცდილობენ იმის დადგენას, თუ რამდენად ასახავს მათი მსჯელობა რასობრივ და კლასობრივ უთანასწორობის პრობლემას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეს უთანასწორობა ყველასთვის თვალსაჩინო გახდა. თეთრკანიანი ფემინისტების ნაშრომებისთვის დამახასიათებელია რასისტული განწყობა. ეს ნაშრომები ქადაგებენ თეთრკანიანთა უპირატესობას, რაც ქალთა შორის ეთნიკური და რასობრივი ბარიერების გადალახვას და მათ პოლიტიკურად გაერთიანებას შეუძლებელს ხდის. ადრე ფემინისტებს არ მიუქცევიათ ყურადღება და არც უცდიათ რასობრივი იერარქიის გაკრიტიკება, ამის გამო ყოველგვარი კავშირი განსხვავებულ რასებსა და კლასებს შორის განწყდა. ამერიკულ საზოგადოებაში კლასობრივი წყობა ჩამოყალიბდა თეთრკანიანთა ჰეგემონიით, ამიტომ კლასებს შორის ურთიერთობების სრულყოფილი სურათის წარმოდგენა მხოლოდ რასიზმის და კაპიტალისტურ საზოგადოებაში მისი როლის გაანალიზებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, ბრძოლა კლასობრივ უთანასწორობასთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან. თავის ადრეულ ნაშრომში „უკანასკნელი წვეთი“ რიტა მეი ბრაუნი ქალებს კლასობრივი ურთიერთობების სრულყოფილად გაანალიზებისკენ მოუწოდებს.

კლასი გაცილებით მეტს ნიშნავს ვიდრე, სანაშრომო ძალებს შორის ურთიერთობების მარქსისტული განსაზღვრება. იგი აყალიბებს შენს ქცევას, ძირითად შეხედულებებს ცხოვრების შესახებ. შენი გამოცდილება, რომელიც შენს კლასში ჩამოგიყალიბდა გკარნახობს, თუ რას უნდა ელოდო შენი თავისაგან და სხვებისგან, გიქმნის მომავლის კონცეფციას, აყალიბებს შენს მიდგომას პრობლემებისადმი და მათი მოგვარების საშუალებებისადმი. აგრეთვე, განსაზღვრავს შენს ფიქრებს, გრძნობებს და მოქმედებებს. ამგვარი ქცევის მოდელების მნიშვნელობას უგულვებელყოფენ საშუალო კლასის წარმომადგენელი ქალები. მათთვის მისაღებია კლასის მარქსისტული გაგება, რომელიც არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს კლასის ქცევით მოდელს, შესაბამისად, ისინი არ ცდილობენ მათ შეცვლას. ქცევის ამ მოდელების მნიშვნელობა აუცილებლად უნდა ვალიაროთ, შევისწავლოთ და შევცვალოთ.

თეთრკანიან ქალებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ფემინისტურ აზროვნებას, არა აქვთ გათვითცნობიერებული თეთრკანიანთა პრივილეგიურობის (როგორც

რასისტული პოლიტიკის), კლასის (როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორის) და თავიანთი პოლიტიკური სტატუსის ადგილი რასისტულ-სექსისტურ-კაპიტალისტურ სახელმწიფოში.

სწორედ ამ საკითხში გაუთვითცნობიერებულობამ დაანერინა ლეა ფრიცს „მეოცნებენი და დილერები“. 1979 წელს გამოქვეყნებულ ამ ნაშრომში მაშინდელი ქალთა მოძრაობაა განხილული:

სექსისტური ტირანია, რომელსაც ქალები განიცდიან მათ ერთმანეთთან აკავშირებს, რაც ტირანიის ცალკეულ გამოვლინებებთან ერთობლივ ბრძოლას შესაძლებელს ხდის. ქალთა ტანჯვის რაოდენობრივი გაზომვა და ურთიერთშედარება შეუძლებელია. რა უფრო დიდი ტანჯვაა – „მდიდარი“ ქალის იძულებითი უსაქმურობა და უაზრო ცხოვრება, რომელსაც იგი სიგიჟემდე ან თვითმკვლელობამდე მიჰყავს, თუ ღარიბი ქალის ტანჯვა, რომელიც ძლივს ირჩენს თავს „მაგრამ, მაინც ინარჩუნებს თავის სულიერებას? შეუძლებელია მათ შორის განსხვავების გაზომვა, მაგრამ თუშისინი ერთმანეთს პატრიარქალურ-კლასობრივი შეხედულების გარეშე შეხედავენ, მათ შეიძლება აღმოაჩნდეთ საერთო, ის რომ ორივე დაჩაგრული და საცოდავია.

უმრავლეს ფემინისტურ მსჯელობებს ქალთა სოციალური დაყოფის მისტიფიკაცია ახასიათებს. დღეს ბევრი ქალი იტანჯება სექსისტური ტირანიისაგან, თუმცა არაფერი მიანიშნებს იმას, რომ ეს გაჭირვება მათ საერთოს აპოვნინებს. რეალურად რასობრივი და კლასობრივი იდენტიფიკაცია ქმნის განსხვავებებს ცხოვრების დონის, სოციალური სტატუსის და ცხოვრების სტილის მხრივ. ეს განსხვავებები ყოველთვის ძლიერია იმ საერთო განცდაზე, რომელსაც ქალები იზიარებენ, ამიტომ ასეთი ბარიერები ხშირად ძნელად დასაძლევია. მატერიალურად უზრუნველყოფილ, განათლებულ, თეთრკანიან ქალს აქვს საშუალება აირჩიოს თავისი კარიერა და ცხოვრების სტილი, ამიტომ გაუგებარია, როდესაც ის აცხადებს, რომ „ტანჯვის შეფასება შეუძლებელია“. ფრიცი არ იყო ერთადერთი თეთრკანიანი ფემინისტი, ვისაც ეს აზრი ჰქონდა. სამაგიეროდ, არ მახსოვს შემთხვევა, რომ ნებისმიერი სხვა რასის ღარიბ ქალს გამოეთქვას იგივე მოსაზრება. ამ საკითხს ეხება ბენჯამინ ბარბერის ფემინიზმის კრიტიკა „განმათავისუფლებელი ფემინიზმი“, რომელშიც გამოთქმულ აზრსაც მე ვეთანხმები:

ტანჯვა არ არის რაიმე დადგენილი და ერთიანი განცდა. ამიტომ არ უნდა შეფასდეს ერთი საზომით. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ რიგ გარემოებებთან და მოთხოვნილებებთან. უნდა არსებობდეს რაღაც სოციალურ-პოლიტიკური პარამეტრები, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ამ ტერმინის გამოყენება. უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც ტანჯვის სხვადასხვა ფორმებს შესაბამისი ყურადღება მათი ხარისხის მიხედვით მიექცევა.

თანამედროვე ფემინისტური აზროვნების მთავარი პრინციპი ასეთია „ყველა ქალი იჩაგრება.“ ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ყველა ქალი ერთ ბედს იზიარებს. ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა კლასი, რასა, რელიგია გავლენა არა აქვთ ქალთა მდგომარეობაზე, რომელშიც სექსიზმი ჩაგვრად აღიქმება. სექსიზმი, როგორც ჩაგვრის სისტემა ინსტიტუციონალიზირებულია, მიუხედავად ამისა, ის მაინც ერთნაირად არ განსაზღვრავს საზოგადოებაში ყველა ქალის ბედს. ჩაგვრა ნიშნავს არჩევანის არ არსებობას. სწორედ ამ პრინციპს ეფუძვნება ჩაგრულისა და მჩაგვრელის ურთიერთობა. ჩვენს საზოგადოებაში ბევრ ქალს თავისი მდგომარეობის შესაფერისი არჩევანის გაკეთების უფლება აქვს. ამიტომ ცნებები „დისკრიმინაცია“ და „ექსპლუატაცია“ უფრო ზუსტად აღწერს შეერთებულ შტატებში ქალთა საერთო მდგომარეობას, ვიდრე „ჩაგვრა“. ბევრი ქალი სექსიზმის წინაღობაზე ორგანიზებულ მოძრაობას არ უერთდება სწორედ იმიტომ, რომ სექსიზმი არ გულისხმობს არჩევანის არ არსებობას. მათ შეიძლება გათვითცნობიერებული ჰქონდეთ, რომ განიცდიან სექსობრივ დისკრიმინაციას, მაგრამ ამას ჩაგვრასთან არ აიგივებენ. კაპიტალიზმში პატრიარქატი ისეა მოწყობილი, რომ სექსიზმი ქალებს გარკვეულ სფეროებში უზღუდავს თავისუფლებას, დანარჩენ სფეროებში კი სრულ თავისუფლებას ანიჭებს. უკიდურესი შეზღუდვების არარსებობა ბევრ ქალს საშუალებას აძლევს გვერდი აუაროს ისეთ სფეროებს, სადაც ხდება მათი ექსპლუატაცია და დისკრიმინაცია. ამის გათვალისწინებით, ზოგიერთ ქალს ჰგონია, რომ ქალები საერთოდ არ განიცდიან ჩაგვრას.

შეერთებულ შტატებში, მართლაც, ხდება ქალების ჩაგვრა. ამიტომ საჭირო და აუცილებელია მასთან ბრძოლა. ფრანგი ფემინისტი ქრისტინ დელფი თავის სტატიაში „მატერიალური ფემინიზ-

მისთვის“ სწორედ ამ საკითხს ეხება. მისი აზრით, „ჩაგვრის“ ცნების გამოყენება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი ფემინისტურ მოძრაობას რადიკალურ პოლიტიკურ ჩარჩოებში აქცევს.

ფემინიზმის ხელახალი აღორძინება „ჩაგვრის“ ცნების გამოყენების შემდეგ მოხდა. მანამდე მმართველ იდეოლოგიაში და ყოველდღიურ გამოსვლებში არაფერი იყო ნათქვამი ქალთა ჩაგვრაზე. ამ ტერმინის ნაცვლად უბრალოდ გამოიყენებოდა „ქალის მდგომარეობა.“ ამ ცნებაში ნაგულისხმებია შეზღუდვები, რომლებსაც თვითონ ბუნება აწესებს, ე.ი. რეალობა, რომლის შეცვლაც ადამიანის მიერ შეუძლებელია. ხოლო „ჩაგვრაში“ ნაგულისხმევია არჩევანის არარსებობა და ქალთა მდგომარეობის პოლიტიკურ ჩარჩოებში განხილვა. შესაბამისად „ჩაგვრა“ და „სოციალური ჩაგვრა“ სინონიმები ხდებიან, უფრო სწორად „სოციალური“ უკვე ზედმეტი ცნებაა. ტერმინში „ჩაგვრა“ შერწყმულია პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა.

შეერთებულ შტატებში ფემინისტები ხაზს უსვამდნენ „საერთო ჩაგვრას“, თუმცა მათი მიზანი ამ ფრაზის გამოყენებისას პრობლემის პოლიტიზირება არ ყოფილა. რადიკალური პოლიტიკური ცნებების გამოყენება კონსერვატიულად და ლიბერალურად მოაზროვნე ქალებს ფემინისტური მოძრაობის, მათი ინტერესების შესაბამისად განსავითარებლად სჭირდებოდათ.

საერთო ჩაგვრის ცნება ატარებდა გაერთიანების და ქალთა შორის სოლიდარობის ჩამოყალიბების იმპულსებს. თუმცა, ისეთ ლოზუნგში, როგორცაა „გაერთიანდით ჩაგვრის წინააღმდეგ“ იგნორირებულ იყო ქალთა მასებში არსებული სოციალურ სტატუსთა უთანასწორობა. ასეთ ლოზუნგებში აქცენტი კეთდებოდა საშუალო კლასის თეთრკანიანი ქალების ინტერესებზე. მათი მდგომარეობა საერთო ჩაგვრის ცნებასთან იყო გაიგივებული. საჭირო იყო ცნებების ხელახალი გააზრება და შეცვლა. საკითხავია ვის უნდა გაეკეთებინა ეს, რადგან ამისთვის ქალთა სხვადასხვა ფენებს უნდა ჰქონოდათ კავშირი მასმედიასთან, უნივერსიტეტებთან და გამომცემლობებთან. ჩაგვრის წინააღმდეგ საშუალო კლასის შავკანიანი ქალების მოძრაობას სერიოზულად არავინ შეხედავდა. მათ ყველა ფორუმსა და გამოსვლას სხვადასხვა მხრიდან შეტევები მოჰყვებოდა. თეთრკანიან საშუალო ფენის ქალებს, ვისაც სურდათ თავიანთი მდგომარეობის შეცვლა, ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა შეეძლოთ. შავკანიანები კი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. სხვა ფენის და რასის ქალთა ჯგუფებისგან მათი იზოლაცია საერთო ჩაგვრის ცნების განვითარებას შეუძლებელს ხდიდა.

თავდაპირველად, ქალთა მოძრაობის რადიკალი ნარმომადგენლები ამ იზოლაციის დარღვევის აუცილებლობას იზიარებდნენ. 1970-იან წლებში გამოქვეყნებული ნაშრომთა კრებულები „თავისუფლება დღეს“, „ქალთა თავისუფლება: მომავლის სანინდარი“, „კლასი და ფემინიზმი“, „რადიკალური ფემინიზმი“, „დობის სიძლიერე“ – თეთრკანიანი საშუალო ფენის განათლებულ, ზრდასრულ ქალებთან ერთად ყველა სხვა რასის და ფენის ნარმომადგენლებს (მათ შორის ტინეიჯერებსაც) აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ.

სუჯი სტამლერმა თავისი ნაშრომის „ქალთა თავისუფლება: მომავლის სანინდარი“ შესავალი სწორედ ამ რადიკალურ შეხედულებებს მიუძღვნა:

მედიას ცნობილი ადამიანების და ვარსკვლავების შექმნა სჭირდება და ამიტომ ის არ აშუქებს ქალთა მოძრაობას. ეს ჩვენ ფილოსოფიას ეწინააღმდეგება. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენს რიგებში პრესტიჟით და სახელით გამორჩეული ადამიანები იყვნენ. ჩვენ არ ვიბრძვით ერთი ქალის ინტერესებისთვის. ჩვენთვის მთავარი ყველა ქალის საერთო საზრუნავია.

ასეთ შეხედულებებს ბევრი ადრინდელი ფემინისტი იზიარებდა, თუმცა მათი განვითარება მაინც არ მოხერხდა, რადგან ფემინისტურ მოძრაობაში და ნაშრომებში პრესტიჟით, სახელით და ფულით გამორჩეული ადამიანები უფრო და უფრო მეტად იკვეთებოდნენ. მათი ინდივიდუალური მოთხოვნები ძირს უთხრიდა კოლექტიურ ბრძოლას. ფემინისტებში გაჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ პატრიარქატს, კაპიტალიზმს, რასიზმს და კლასობრივ დაყოფას. ფემინისტურ მოძრაობაში ქალთა მოთხოვნები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. პრივილეგირებულ ქალებს თავიანთი ფენის კაცებთან სოციალური თანასწორობა სურდათ. სხვებს თანაბარი ხელფასი უნდოდათ, დანარჩენებს კი ალტერნატიული ცხოვრების სტილი. ბევრი ამ მოთხოვნებიდან პატრიარქატულ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადვილად შესრულდა. ფრანგი ფემინისტი ანტონეტა ფოუ წერს:

ფემინისტური ჯგუფების მოქმედებები სანახაობრივი და პროვოკაციულია, მაგრამ მათი პროვოკაციული ხასიათი სოციალური დაპირისპირების მხოლოდ ნაწილს შეეხება. ფემინისტთა მსჯელობები ვერ ასახავენ საზოგადოებაში ყველაზე მწვავე სოციალურ წინააღმდეგობას. ფემინისტების განცხადებით, ისინი კაცებთან თანასწორობას არ მოითხოვენ, თუმცა მათი მოქმედებები საპირისპიროს ადასტურებენ. ფემინისტები ბურჟუაზიის ავანგარდია, რომლებიც სახე-შეცვლილი ფორმით გაბატონებულ ფასეულობებს ამკვიდრებენ. ეს კი საზოგადოების წყობის შეცვლას შეუძლებელს ხდის. ბურჟუაზიული და კაპიტალისტური საზოგადოებისთვის თანაბარი უფლებების მქონე ქალი იგივე მამაკაცია. ეს საზოგადოება მზად არის შეითავსოს იმდენი, რამდენიც საჭიროა. მისთვის ქალი და კაცი იმით კი არ განსხვავდება აქვს თუ არა მას პენისი, არამედ იმით, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ინდივიდი მამრობითი სქესის ჰეგემონიის ქვეშ მოქცეული ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს.

შეერთებულ შტატებში ფემინისტებს გათვითცნობიერებული აქვთ ამგვარი წინააღმდეგობა. თავის ნაშრომში „მარქსიზმის და ფემინიზმის უიღბლო ქორწინება და მისი შენარჩუნების შესაძლებლობა“ კეროლ ერლიხი ამტკიცებს, რომ რადიკალური ფემინიზმის ბურჟუაზიულ ფემინიზმთან დამარცხებით ეს მოძრაობა თანდათან იძენს ბრმა, ფრთხილ, არარევიოლუციურ ელფერს, რაც მას დაუშვებლად მიაჩნია.

ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ ფემინიზმი არ გულისხმობს იმას, რომ ქალი უნდა გახდეს კორპორაციის თანამშრომელი ან მიიღოს არჩევითი თანამდებობა. მოძრაობის მიზანი არ არის ის, რომ ქალს ქმრის მსგავსად კარიერა ჰქონდეს, შვებულების დროს შეეძლოს მთაში თხილამურებით სრიალი, ქმართან და ორ ბავშვთან ერთად დრო გაატაროს იმის ხარჯზე, რომ მის საოჯახო საქმეებს დაქირავებული ოჯახის მოსამსახურე შეასრულებს, რომელსაც თავისთვის ფული და დრო არ აქვს იგივეს გასაკეთებლად. ფემინიზმი არ გულისხმობს ქალთა ბანკის გახსნას ანდა ისეთ სემინარებზე სიარულს, სადაც ქალებს არგუმენტირებულ (და არა აგრესიულ) მსჯელობას ასწავლიან. იგი არ უნდა აყენებდეს მოთხოვნებს, რომ ქალი პოლიციის დეტექტივი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი ან კიდევ საზღვაო ფლოტის გენერალი გახდეს.

ის, რომ ფემინიზმი დღეს ასე დამახინჯებულად არის აღქმული, ჩვენი ბრალიცაა. ჩვენ საჭირო, აქტიურ ადამიანთა ჯგუფის მოსაზიდად სათანადოდ არ გვიმუშავია; არ მოგვიხდენია ადამიანთა ცხოვრების ნათელი, მიზანმიმართული, ალტერნატიული ანალიზი.

შეერთებულ შტატებში ფემინიზმი კვლავაც ბურჟუაზიული იდეოლოგიაა, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ქალთა მოძრაობა ასე ადვილად გადაიქცა კონსერვატიულ და ლიბერალ ფემინისტთა ინტერესებისთვის ბრძოლად. ზილა აიზენშტაინი ნაშრომის შესავალში „ლიბერალური ფემინიზმის რადიკალური მომავალი“ ჩრდილო ამერიკულ ფემინიზმში ლიბერალური საფუძველის არსებობას ასე ხსნის.

ამ კვლევის ერთ-ერთი მთავარი წვლილი ფემინისტური თეორიის ჩამოყალიბებაში ლიბერალური ინდივიდუალიზმის იდეოლოგიის როლის დადგენაა. დღეს ფემინისტები ყურადღებას არ აქცევენ ინდივიდუალურობის თეორიას, რაც ამ საკითხში გაურკვეველობას უწყობს ხელს. აუცილებელია მოხდეს დიფერენციაცია ინდივიდუალობის თეორიასა და ინდივიდუალიზმის იდეოლოგიას შორის. პირველი, საზოგადოებაში ინდივიდის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, მოერე კი ინდივიდის კონკურენტულ ხასიათზე აკეთებს აქცენტს. სწორედ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა განვითარდეს დასავლურ საზოგადოებაში ფემინიზმი როგორც თავისუფლების თეორია.

კონკურენტუნარიანი ლიბერალური ინდივიდუალიზმის იდეოლოგიამ იმდენად შეაღწია ფემინისტურ აზროვნებაში, რომ იგი უკვე ძირს უთხრის ამ მოძრაობის რადიკალურობას. დღევანდელი ფემინიზმი ბურჟუების მიერ უზურპირებული თეორიაა, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავს. ამის სანაწინააღმდეგოდ უნდა განვიხილოთ განსხვავებული ფემინისტური იდეები, უნდა შემუშავდეს ახალი თეორია, რომელიც თავისუფალი იქნება ლიბერალური ინდივიდუალიზმის იდეოლოგიისაგან.

ცალკეული გავლენიანი ფემინისტი ქალები ახალი, განსხვავებული თეორიების წარმოშობას ეწინააღმდეგებიან. დღევანდელ ფემინისტურ აზროვნებას აქვს თავისი ძირითადი მიმართულება

და ქალებს, რომლებიც განსხვავებული სტრატეგიის და ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობას გრძნობენ, თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალება არ ეძლევათ. ბევრ თეთრკანიან ქალს, რომელმაც ფემინისტური მოძრაობით თავისი პრობლემების მოგვარება შეძლო, არ სურს ფემინიზმის გაკრიტიკება და მასში ცვლილებების შეტანა. ქალთა მასებისთვის კი ეს კრიტიკა და ცვლილებები აუცილებელია, რადგან ფემინიზმს მათ ცხოვრებაზე რევოლუციური გავლენა არ მოუხდენია. ავტონომიურ ჯგუფებში გაერთიანებული ზოგიერთი არათეთრკანიანი ქალიც ეწინააღმდეგება არსებული ფემინისტური მიმართულებიდან გადახვევას. მათი აზრით, დღევანდელი ფემინისტური იდეები მოძრაობის ერთადერთი ლეგიტიმური საფუძველია. ამიტომ განსხვავებული აზრის, კრიტიკის და დისკუსიის ხელშეწყობის ნაცვლად, ისინი წინააღმდეგობის ჩახშობას ცდილობენ. ზოგიერთ აქტივისტს და მწერალს მიაჩნია, რომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის უნდა მისცენ აზრის გამოთქმის საშუალება და ვის არა. სუზან გრიფინი თავის სტატიაში „ყველა იდეოლოგიის გზა“ გვაფრთხილებს დოგმატიზმის ტენდენციების შესახებ:

თეორიის იდეოლოგიად გარდაქმნა თვით ამ თეორიის არსის განადგურებას იწვევს. ის ადამიანთა გრძნობების გამოხატულებას აღარ წარმოადგენს. თეორია, რომელიც გამოცდილების დაგროვების შედეგად იქმნებოდა, შემდგომში ამ გამოცდილებას აღარ აქცევს ყურადღებას. თეორიისთვის იდეოლოგიის ცნების მინიჭება მის შეუმცდარობის აღიარებას ნიშნავს. აღარავის შეუძლია მისი გაკრიტიკება. იგი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით აღარ ვითარდება. ყველაფერი, რაც არ ჯდება მის ჩარჩოებში მას აღიზიანებს. თეორია, რომელიც შეიქმნა სიმართლის ჩახშობის დასაძლევად, იდეოლოგიად გარდაქმნისას, თვითონ უარყოფს ყოველგვარ სიმართლეს, რომელიც მის სქემაში არ ჯდება. მისი მიზანი ადამიანებისთვის რეალობის შეგრძნების დაბრუნება იყო. სინამდვილეში კი ის ახდენს სიმართლის თავისებურ ინტერპრეტაციას. ყველა, ვინც ამ იდეოლოგიას არ იზიარებს მტრად მიიჩნევა. საბოლოოდ, როცა მას საფრთხე დაემუქრება ახალი თავისუფლების თეორიებისგან, იგი ადამიანთა აზროვნებაში მათი განვითარების შესაძლებლობას სპობს.

ჩვენ ფემინიზმში ფესვგადგმულ აზროვნებას ვეწინააღმდეგებით, რადგან მიგვაჩნია, რომ თეორია აუცილებლად უნდა ვითარდებოდეს კრიტიკით, კითხვებით და ახალი შესაძლებლობების წარმოჩინებით. ჩემს ფემინისტურ ცნობიერებაზე წამყვანმა ფემინისტურმა ანალიზმა როდი იქონია გავლენა, ჩემი მუდმივი კრიტიკული დამოკიდებულება განსაზღვრა იმან, რომ ვარ დაჩაგრული ჯგუფის წევრი და გამოცდილი მაქვს სექსისტური ექსპლუატაცია და დისკრიმინაცია. რასაც ვერ ვიტყვი თეთრკანიან ქალებზე. მათ უმრავლესობას მამაკაცთა დომინანტობის წინააღმდეგ ბრძოლა აზრადაც არ მოსდის, სანამ ფემინისტური მოძრაობა ამის შესაძლებლობებს არ დაანახებს. ჩემში ბრძოლის სურვილი სოციალურმა გარემომამ განაპირობა. სამხრეთში ცხოვრებისას, სადაც ვიზრდებოდი, ჩემთვის, როგორც შავკანიანი ქალისთვის (ისევე როგორც ჩემი დედისთვის, დებისთვის და ძმისთვის), პატრიარქალური ტირანიის სხვადასხვა სახის გამოვლინება უცხო არ იყო. ეს ჩვენს გაბრაზებას იწვევდა. სწორედ ამ ბრაზმა მაიძულა გამეკრიტიკებინა მამაკაცთა დომინანცია და მომცა საშუალება სექსისტურ სოციალიზაციას დავეპირისპირებოდი. თეთრკანიან ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ შავკანიანებს არ ჰქონდათ წარმოდგენა სექსისტურ შევიწროებაზე სანამ მათ არ წამოიწყეს ფემინისტური მოძრაობა. თეთრკანიანებს ჰგონიათ, რომ მათ უნდა აუხსნან შავკანიანებს როგორ უნდა მიაღწიონ თავისუფლებას. მათ არ იციან და არ შეუძლიათ იმის წარმოდგენა, რომ შავკანიანი ქალებს ქალთა სხვა ჯგუფების მსგავსად, (რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან შევიწროებას), შეუძლიათ თავიანთი ცხოვრების პრაქტიკიდან თვითონ გამოიტანონ დასკვნები პატრიარქალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის თაობაზე. თუმცა ეს წინააღმდეგობა შეიძლება ნაკლებად ძლიერ და ორგანიზებულ ხასიათს ატარებდეს.

მამაკაცთა ტირანიის და ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ თეთრკანიანი ფემინისტების ბრძოლას შავკანიანი ქალები არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, რადგან ეს მათ ცხოვრებაზე გავლენას არ ახდენდა. შავკანიანთა აზრით, საშუალო და მაღალი კლასის თეთრკანიანები ხაზს უსვამდნენ თავიანთ უპირატესობას იმით, რომ ისინი უხსნიდნენ მათ თავიანთივე ჩაგვრის მიზეზებს. თეთრკანიანებს მიაჩნდათ, რომ ადამიანებს, რომლებსაც მართლა ავიწროვებდნენ, არა

აქვთ გათვითცნობიერებული ეს, ვინაიდან არ გამოხატავენ ორგანიზებულ პროტესტს და არ შეუძლიათ თავიანთი გასაჭირის წერილობით გაცხადება. ის, რომ შავკანიანი ქალები ფემინისტური საკითხების გარშემო მასობრივად არ არიან ორგანიზებულები (ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცის ფემინიზმის მნიშვნელობა) და არ გააჩნიათ შესაძლებლობა ამერიკულ საზოგადოებას თავიანთი შეხედულებები და სქესის თეორიები გაუზიარონ, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ცხოვრებაში ფემინიზმი არ არსებობს. ეს, აგრეთვე, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იმ თეთრკანიან და არათეთრკანიან ქალებზე ვიყოთ დამოკიდებულები ვისაც შეუძლიათ ფართო აუდიტორიას მიმართონ.

13 წლის ასაკში პატრიარქატული პოლიტიკის გაცნობიერებამ ჩემში ფემინისტური მოძრაობისადმი გარკვეული მოლოდინი შექმნა, რაც ახალგაზრდა საშუალო ფენის თეთრკანიანი ქალების მოლოდინისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. როდესაც 1970 წლის დასაწყისში პირველად ვეცნობოდი ქალთა კვლევის კურსს, აღმოვაჩინე, რომ თეთრკანიანი ქალებისათვის ერთად ყოფნა უბრალოდ სიამოვნება იყო და მეტი არაფერი. მანამდე ვერ წარმომედგინა, რომ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც ქალები ერთმანეთს არ ეხმარებიან, არ იცავენ და არ უყვართ ერთმანეთი. არ მეგონა, რომ თეთრკანიან ქალებს არ აინტერესებდათ რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობის გავლენა თავიანთი სოციალური სტატუსსა და ცნობიერების ჩამოყალიბებაზე (უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთელმა თეთრკანიანებმა, სხვა ქალებთან შედარებით, უკეთ იციან რასიზმის და კლასობრივი უთანასწორობის შესახებ). მე ჩემი თეთრკანიანი თანატოლების მიმართ არავითარ სიმპათიას არ ვგრძნობდი. მათ ვერ გაეგოთ, თუ რატომ უნდა სცოდნოდანთ შავკანიანი ქალების მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ რასობრივად სეგრეგირებულ საზოგადოებაში ვცხოვრობდი და არ მყავდა არც ერთი თეთრკანიანი მეზობელი და სკოლელი, მე მაინც მქონდა გარკვეული წარმოდგენა თეთრკანიან ქალთა ცხოვრების შესახებ.

ფემინისტურ ჯგუფში ყოფნისას, ჩემს და სხვა ფერადკანიანი მონაწილეების მიმართ ვგრძნობდი თეთრკანიანთა ისეთ დამოკიდებულებას, თითქოს ჩვენი მათ ჯგუფში ყოფნა მათი წყალობა იყო. ამ დამოკიდებულებით ყოველთვის გვახსენებდნენ, რომ ქალთა მოძრაობა „მათი“ იყო. ჩვენ მხოლოდ მათი ნებართვით შეგვეძლო მასში მონაწილეობა. ფემინისტებს ჩვენ უბრალოდ მოძრაობის ლეგიტიმაციისათვის ვჭირდებოდით. ჩვენ არ გვიყურებდნენ და არ გვექცოდნენ როგორც თანასწორებს. შავკანიანი ქალები მათ აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთი მდგომარეობის შესახებ, თუმცა თეთრკანიანები თვითონ წყვეტდნენ, მნიშვნელოვანი იყო თუ არა ეს მათი მოძრაობისთვის. მათთვის შავკანიანები გაუნათლებლები, ქუჩური მენტალიტეტის მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებიც გამუდმებით საკუთარ გაჭირვებაზე ლაპარაკობდნენ. იმ შემთხვევაში, თუ მოძრაობის გაკრიტიკებას გავხედავდით ან განსხვავებული შეხედულების ჩამოყალიბებას შევეცდებოდით, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენს გაჩუმებას. ჩვენ მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვექონდა ხმის ამოღების უფლება - თუ გავიმეორებდით და არ შევეწინააღმდეგებოდით მათ მსჯელობას.

თეთრკანიანი ფემინისტების მხრიდან შავკანიანების გაჩუმების მცდელობებზე არავინ წერდა. ასეთი შემთხვევები კი ხშირი იყო კონფერენციებზე, საკლასო ოთახებში ან კიდევ კერძო შეკრებებზე, სადაც ერთ შავკანიან ქალს რასისტული თეთრკანიანი ქალების ჯგუფის პირისპირ ჯდომა უხდებოდა. ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობის დანების შემდეგ შავკანიანები თანდათან გამნოყვნენ ამ მოძრაობას. ანიტა კორნუოლი ნაშრომში „სამი ერთის ფასად“ სწორად აღნიშნავს: „სამწუხაროა, რომ შავკანიანი ქალები სწორედ რასიზმის შიშის გამო აცხადებენ უარს ფემინისტურ მოძრაობაში გაერთიანებაზე“.

ბოლო დროს აქტუალური გახდა რასიზმზე და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე მსჯელობა, თუმცა ამას თეთრკანიანი ქალების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად არ შეუცვლია. თეთრკანიანი ქალების ნაშრომებში, რომლებიც რასიზმის თემას ეხება, შავკანიანი ქალების მიმართ ერთგვარი მონყალება იგრძნობა. ეს ნაშრომები მიმართულია თეთრკანიანი აუდიტორიისადმი და მიზნად ისახავს მხოლოდ დამოკიდებულების შეცვლას, რასიზმის ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში განხილვის გარეშე. მათ აზროვნებაში ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ რასიზმის „ობიექტები“ ვართ, ობიექტის სტატუსი კი არასრულფასოვნებასა და დამოკიდებლ მდგო-

მარეობას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ავტორს მართლაც გულწრფელად ანუხებს რასიზმის პრობლემა, მათი მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ ისინი მაინც განიცდიან თეთრკანიანთა პრივილეგიუბულობის იდეოლოგიის გავლენას. ზოგიერთი მათგანის აზრით, სწორედ მათ უნდა შეასრულონ მედიატორის როლი რასისტ თეთრკანიანებსა და იმ შავკანიანებს შორის, ვისაც რაციონალური მსჯელობა არ შეუძლია. რასიზმი, კლასობრივი უთანასწორობა და განათლებულების ელიტიზმი არ აღმოიფხვრება მანამ, სანამ მათი ასეთი უფროს-უმცროსობის დამოკიდებულება არ შეიცვლება.

1981 წელს მე ფემინისტური თეორიის უმაღლეს კურსს გავდიოდი. ამ კურსისთვის წასაკითხად მოგვცეს ლიტერატურა, რომელიც თეთრკანიან მამაკაცებსა და ქალებს, ასევე ერთ შავკანიან მამაკაცს ეკუთვნოდა. არც ერთი მათგანი არ იყო შავკანიანი, ინდიელი, აზიელი და ესპანურენოვანი ქალების მიერ ან შესახებ დაწერილი ნაშრომი. მე შევეცადე ეს ფაქტი გამეპროტესტებინა. ამას თეთრკანიანების მხრიდან ისეთი ძლიერი მტრული რეაქცია მოჰყვა, რომ ჩემთვის შეუძლებელი გახდა მეცადინეობებში მონაწილეობა. მე პროტესტს ვაცხადებდი, რომ ასეთ მტრულ ატმოსფეროში თავისუფალი აზრის გამოთქმა შეუძლებელი იყო. საპასუხოდ ჩემი მონიშნულმდეგები მე მადანაშაულებდნენ. ამ კურსის დამთავრების შემდეგ, რამოდენიმე კვირაში, ერთ-ერთი თეთრკანიანი ფემინისტი სტუდენტისგან ღია წერილი მივიღე, სადაც იგი სინაზულს გამოთქვავდა თავისი მტრული დამოკიდებულების გამო.

მე არ გიცნობდი, შენ შავკანიანი იყავი. ცოტა ხნის მერე მივხვდი, რომ რატომღაც მინდოდა ყველა შენს ნათქვამს შევნიშნა აღმდეგებოდი. მე მსურდა ერთ რამეში მაინც დამემტკიცებინა შენი შეცდომა, რათა ყველასთვის მეჩვენებინა, რომ ყველა შენი აზრი მცდარი იყო.

ერთ-ერთ სემინარზე მე განვაცხადე, რომ ხალხი მეტ-ნაკლებად განიცდის პლატონის შეხედულებების გავლენას სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. თხუთმეტწლიანი განათლებიდან მე ვასკვნი, რომ ჩვენ, მმართველი ფენა, უფრო არაადეკვატურად ვაფასებთ რეალობას, ვიდრე ისინი, ვინც თავისი ცხოვრება უფრო დაბლიდან დაიწყო. ჩემი ერთ-ერთი ახლო მეგობარი და კოლეგა მას შემდეგ აღარ მელაპარაკება. ვფიქრობ, იგი იმის წარმოდგენამ შეაშინა, რომ ჩვენზე უკეთ სხვებს შეუძლიათ ყველა ქალის ინტერესების გამოხატვა.

არის შემთხვევები, როდესაც თეთრკანიანი ფემინისტები მტრულ დამოკიდებულებას ავლენენ, რადგან მიაჩნიათ, რომ თვითონ შეიძლება გახდნენ შავკანიანთა აგრესიის მსხვერპლნი. სხვადასხვა რასის წარმომადგენლების ჯგუფში ერთ-ერთი ცხარე დისკუსიისას თეთრკანიანმა სტუდენტმა განმიცხადა, რომ თურმე მე თეთრკანიანების მიმართ აგრესიას ვავლენ. მე შევეცადე ამეხსნა, რომ მტრულად განწყობილ ადამიანთა დიდ ჯგუფთან კამათის შემდეგ სწორედ მე ვტოვებდი კლასს თვალცრემლიანი და არა ისინი, ვისაც თითქოსდა მე ვემტერებოდი.

შავკანიანი ქალის როგორც ძლიერი და ყოვლისამტანი ადამიანის სტერეოტიპი მტკიცედ არის გამჯდარი თეთრკანიანთა აზროვნებაში. ამიტომ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ისინი შეიძლება ჩაგვრის ობიექტები იყვნენ და თეთრკანიანი ქალების მოქმედებები კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მათ მდგომარეობას. ლილიან ჰერმანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერს: „დაბადებიდან მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში მიწევდა შავკანიანი ქალების ბრძანებების შესრულება.“ ჰელმანის მიერ ნახსენები შავკანიანი ქალები მის სახლში მოსამსახურეებად მუშაობდნენ და მათი სტატუსი არ იყო მისი სტატუსის თანასწორი. ბავშვობის დროსაც კი ჰელმანს უფრო მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე მის აღმზრდელ შავკანიან ქალებს. მათ ბავშვისთვის დავალების და შენიშვნის მიცემის უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ჰელმანის მშობლებს სურდათ ასე. ასე რომ, ჰელმანი მისი და შავკანიანი ქალების ურთიერთობების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს, როდესაც ხაზს უსვამს მათ უფლებებსა და შესაძლებლობებს. თეთრკანიან ქალებს შავკანიანები მითიურ ძლიერ ადამიანებად ჰყავთ გამოყვანილი, თავიანთი თავი კი უსუსურ, დაჩაგრულ არსებებად. ამგვარი მიდგომით ისინი ცდილობენ დამალონ თავიანთი აგრესიულობა, ძალაუფლების ქონის და სხვისი კონტროლის სურვილი. თეთრკანიანი ქალების მხრიდან მათი სოციალური სტატუსის ამგვარი ასპექტების გაუთვალისწინებლობა ხელს უშლით მათ რასიზმის დამარცხებაში, რაც შეერთებულ შტატებში ზოგადად ქალთა მდგომარეობის შეფასებას შეუძლებელს ხდის.

პრივილეგირებულ ფემინისტებს არ შეუძლიათ და არ სურთ განსხვავებული აზრის მქონე ქალთა ჯგუფებთან საუბარი, რადგან მათ არ ესმით სქესის, რასის და კლასობრივი უთანასწორობის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა ან სულაც არ სურთ ამ მნიშვნელობის აღიარება. ფემინისტური მსჯელობა აქცენტს მხოლოდ სქესზე აკეთებს, რაც საკმარისი არ არის ფემინისტური თეორიის განვითარებისთვის. ასეთი შეხედულებები დასავლური პატრიარქალური აზროვნების გამოძახილია, რომელიც მიხედვითაც მხოლოდ სქესი განსაზღვრავს ქალთა ბედს. რა თქმა უნდა, ისეთი ქალისთვის, რომელიც რასობრივ და კლასობრივ ჩაგვრას არ განიცდის, ადვილია მხოლოდ სქესზე ლაპარაკი. სოციალისტი ფემინისტები სქესის გარდა კლასსაც ანიჭებენ მნიშვნელობას, თუმცა რასა მაინც მათი ყურადღების მიღმა რჩება. ზოგიერთი მკვლევარი მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს რასის მნიშვნელობას, თავის ნაშრომებში მას მაინც არასათანადო ადგილს უთმობს.

შავკანიან ქალთა ჯგუფი სოციალურ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება. მათი სოციალური სტატუსი ყველა სხვა ჯგუფზე უფრო დაბალია. ასეთ მდგომარეობაში ისინი ერთდროულად განიცდიან სქესობრივ, რასობრივ და კლასობრივ შევიწროვებას. ინსტიტუციონალურად არ არსებობს ადამიანთა „სხვა“ კატეგორია, რომელზეც შავკანიან ქალებს ზენოლის განხორციელება შეუძლიათ. (ბავშვები არ წარმოადგენენ ასეთ ინსტიტუციონალურ კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისაგან ზენოლას განიცდიან). თეთრკანიან ქალებს და შავკანიან მამაკაცებს შეუძლიათ ერთდროულად იყვნენ ჩაგვრის ობიექტებიც და სუბიექტებიც. შავკანიანი კაცები დევნას რასიზმის საფუძველზე განიცდიან. სამაგიეროდ სექსიზმის პირობებში მათ მჩაგვრელის როლის შესრულება შეუძლიათ. თეთრკანიანი ქალები კი სექსიზმით იჩაგრებიან, რასიზმი კი საშუალებას აძლევს მათ შავკანიანთა ექსპლუატატორებად და მჩაგვრელებად მოგვევლინონ. ამ ორივე ჯგუფმა შექმნა განმათავისუფლებელი მოძრაობები თავისი ინტერესების გასახორციელებლად და დომინანტობის შესანარჩუნებლად. შავკანიან კაცებში სექსიზმი შავკანიან ქალებთან მათ გაერთიანებას და რასიზმთან ბრძოლას უთხრიდა ძირს, ისევე როგორც თეთრკანიანი ქალების რასიზმი შეუძლებელს ხდის ერთობლივი ფემინისტური ბრძოლის წარმოებას. იმდენად, რამდენადაც ეს ორი ჯგუფი განმათავისუფლებელ ბრძოლას თავიანთი უფლებების მმართველი ფენის, თეთრკანიანი მამაკაცის, უფლებებთან გათანაბრებასთან აიგივებს, მათ ინტერესებში ყოველთვის იქნება სხვათა მიმართ ექსპლუატაციისა და ჩაგვრის შენარჩუნება.

შავკანიანი ქალებისთვის კი არ არსებობს „სხვა“ ინსტიტუციონალური კატეგორია, რომლის ექსპლუატაციასა და დისკრიმინაციასაც მოახდენდნენ. ჩვენი ცხოვრების გამოცდილება არსებული სექსისტური, რასისტული და კლასობრივი უთანასწორობის იდეოლოგიებისაგან განსხვავებულ შეხედულებებს გვიქმნის. ეს გამოცდილება იმ ადამიანებისაგან განსხვავებულ მსოფლმხედველობას გვიყალიბებს, ვისაც მეტ-ნაკლები ხარისხის პრივილეგიები აქვს.

ფემინისტური მოძრაობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ ჩვენ გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ, როგორც გარიყულებს გაგვაჩნია იმისთვის, რომ გავაკრიტიკოთ დომინანტური რასისტული, სექსისტური და კლასობრივი უთანასწორობის ჰეგემონია. ამ ჰეგემონიის საპირისპიროდ სხვა სახის ჰეგემონია უნდა შევქმნათ. მე გთავაზობთ, რომ ფემინიზმის თეორიის ჩამოყალიბებაში ძირითადი როლი შევასრულოთ, შევიტანოთ ჩვენი წვლილი მისი უნიკალურობისა და ფასეულობის დამტკიცებაში.

განმათავისუფლებელი ფემინიზმის თეორიის და პრაქტიკის შექმნა პასუხისმგებლობაა, რომელსაც ყველა უნდა იზიარებდეს. ჩემი კრიტიკა ფემინიზმში არსებული გარკვეული ასპექტების მიმართ ზოგჯერ საკმაოდ მკაცრია. ჩემი მიზანი ფემინისტური ბრძოლის მნიშვნელობის დაჩრდილვა არაა. ამ კრიტიკით ვცდილობ, შევავსო ეს მოძრაობა და შევიტანო წვლილი თავისუფლების იდეოლოგიისა და მოძრაობის განვითარებაში.

წარმოშობა და საწყისი

რუთ ფრანკენბერგი*

შესავალი

აღნიშნულ წიგნში მე ძირითადად ვამტკიცებ, რომ რასა აყალიბებს თეთრკანიანი ქალის ცხოვრებას. თეთრკანიანები და ფერადკანიანები რასობრივად სტრუქტურული ცხოვრებით ცხოვრობენ სწორედ ისე, როგორც ქალისა და მამაკაცის ცხოვრებას განსაზღვრავს მათი სქესი, ხოლო ჰეტეროსექსუალი და ლესბოსელი ქალების გამოცდილება გამოირჩევა მათი „სექსუალურობით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიფერენციაციის ნებისმიერი სისტემა აყალიბებს არა მარტო მათ, ვისაც პრივილეგიებს ანიჭებს, არამედ იმათაც, ვისაც ზღუდავს. თეთრკანიანები ისევე არიან რასობრივად განსაზღვრულები, როგორც მამაკაცები გენდერის მიერ. საზოგადოებრივ კონტექსტში, რომელშიც თეთრკანიანები ხშირად საკუთარ თავს არარასობრივებად და რასობრივად ნეიტრალურებად აღიქვამენ, არსებითად მნიშვნელოვანია თეთრკანიანთა გამოცდილების „რასობრივობაზე“ ყურადღების გამახვილება. წიგნი ბიოგრაფიული ინტერვიუების მეშვეობით განიხილავს მეოცე საუკუნის მინურულს შეერთებული შტატების რასობრივ სტრუქტურაში თეთრკანიანი ქალების ადგილს. წიგნი წარმოადგენს მათ, როგორც რასიზმის რეპროდუქციის საშუალებას, და როგორც გამონგვევს რასიზმის წინააღმდეგ.

თუ ჩავთვლით, რომ რასა თეთრკანიანი ქალის ცხოვრებას განსაზღვრავს, ერთიანი სახელი, რომელიც ამ ფორმას ვუწოდებ, „თეთრკანიანობაა“. თეთრკანიანობას, როგორც ამას მომდევნო გვერდებზე დავასაბუთებ, განზომილებათა მთელი რიგი უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, „თეთრკანიანობა“ თავის თავში მოიაზრებს სტრუქტურულ უპირატესობასა და რასობრივ პრივილეგიას. მეორე, ეს თეთრკანიანების პოზიციაა, რომლის საფუძველზე შეაფასებენ ყველა ჩვენგანს, სხვებსა და საერთოდ საზოგადოებას. მესამეც, „თეთრკანიანობა“ ეხება კულტურის გამოცდილების მთელ რიგს, რომელიც ჩვეულებრივ აღუნიშნავი და უსახელოა. ეს წიგნი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, რუკაზე დაიტანოს და შეისწავლოს თეთრკანიანობის ლანდშაფტი.

წიგნში ორი ანალიტიკური განზომილებაა. დასაწყისში თეთრკანიანი ქალის ცხოვრებაში რასის მნიშვნელობის გამოსაკვლევად ვაპირებდი შემესწავლა და დამესაბუთებინა, თუ როგორ ხდება რასობრივი სტრუქტურების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩამოყალიბება, ასევე რა გზით ხდება რასობრივი პრივილეგიის გადაკვეთა უთანასწორობისა და განსხვავების შემცველ ისეთ განზომილებებთან, როგორიცაა კლასი, კულტურა, ეთნიკური კუთვნილება, სქესი და სექსუალურობა. ამაზე დაყრდნობით ვიმედოვნებდი ჩაწვდომოდი, თუ როგორ აყალიბებდა ეს ყოველდღიური გამოცდილება თეთრკანიანი ქალის მიერ მთლიან

სოციალურ სტრუქტურაში რასის მნიშვნელობის აღქმას. როგორც შემდგომ სამუშაო პროცესში გამოჩნდა, ანალიზის მეორე განზომილება თანაბრად მნიშვნელოვანი გახდა. გამოიკვეთა, რომ როგორც ქალი იმყოფება და საუბრობს რასის მიერ განსაზღვრულ ფიზიკურ გარემოში, ჩვენც მისი წევრები ვართ და გარემოს სხვადასხვა რასობრივი, კულტურული და საზოგადოებრივი დისკურსების საშუალებით შევიგრძნობთ; საზოგადოებისა, რომლის ისტორია მოიცავს როგორც ამ, ასევე სხვა საუკუნეებს, როდესაც დასავლური ექსპანსია და კოლონიალიზმს ფართო ვრცელდებოდა.

„თეთრკანიანობის“ მატერიალური და დისკურსული განზომილებები პრაქტიკაში მუდამ ურთიერთდაკავშირებულია. დისკურსულ მიდგომას შეუძლია გააძლიეროს, შეენიწაღმდეგოს, დაფაროს, განმარტოს ან „გაამართლოს“ მოცემული სიტუაციის მატერიალურობა ან ისტორია. მათი ურთიერთკავშირი უფრო მეტად, ვიდრე მხოლოდ მატერიალური არსებობა, ნამდვილად

* რუთ ფრანკენბერგი, „თეთრკანიანობის“ სოციალური აგებულება. თეთრკანიანი ქალები, რასის მნიშვნელობა, University of Minnesota Press, 1995 (გვ. 1-15)

არის ის, რაც გამოიმუშავებს „გამოცდილებას“: და, აქედან გამომდინარე, შეერთებულ შტატებში თეთრკანიან ქალად ყოფნის „გამოცდილება“ კვლავ ტრანსფორმაციის პროცესშია. აზრობრივად წიგნის ქვეთავებში ხანდახან წინა პლანზეა გამოტანილი თეთრკანიანი ქალის რასობრივი „გამოცდილების“ კონკრეტული, ამკარა და მატერიალური ფაქტორები, როგორებიცაა: ბავშვობა, რასათა-შორის ურთიერთობები და პოლიტიკური აქტივობა. სხვა შემთხვევებში ყურადღებას დისკურსულ საკითხებზე ვამახვილებ, როგორიცაა: „თეთრკანიანობა“ როგორც კულტურული იდენტურობის მნიშვნელობა და ამკარა სიცარიელე; „რასობრივი აზროვნების“ პოლიტიკური კონტექსტი, ძალა და შეზღუდვები; რასათა შორის ურთიერთობების სანინაალმდეგო დისკურსის სიმყარე.

წარმოშობა

ეს წიგნი 1980-იან წლებში შეიქმნა, ათწლეულში, როცა ჩემ მსგავს თეთრკანიან ფემინისტ ქალებს აღარ შეეძლოთ ყურადღება არ მიექციათ რასიზმის გამო ფერადკანიანი რადიკალი ფემინისტების კრიტიკისთვის (კრიტიკა, რომელმაც ფემინიზმის „მეორე ტალღაზე“ ნამდვილად დატოვა კვალი). ჩემ მიერ ამ ათწლეულის გამოვლა და ასევე ჩემივე სასონარკვეთილება იმ გაურკვევლობის გამო, რომ თეთრკანიანმა ფემინისტებმა რასიზმში მათ დადანაშაულებას კოლექტიური პასუხი მხოლოდ 1983-84 წლებში გასცეს, ამ კვლევითი პროექტის საწყის წერტილად იქცა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ (და ამ გადასახედიდან ჩემთვის ნათელი ხდება, რომ ამ დროის უმეტეს ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ „ყველაზე ცუდი“) თითქოს ჩვენ, თეთრკანიან ფემინისტებს, როდესაც რასიზმში გვადანაშაულებდნენ, შესაფერისი პასუხის გაცემის შეზღუდული შესაძლებლობა გვქონდა. ჩვენ ბრალს გვდებდნენ რასიზმსა და ამ დადანაშაულებით გამოწვეულ დაბნეულობაში, მრავალჯერადი კრიტიკის გამო უკმაყოფილებაში, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებასა და უმოქმედობაში. როგორც ჩანს, ფერადკანიანი რადიკალი ფემინისტი ქალები ასევე გაივლიდნენ ისეთ ფაზებს, როგორიცაა რასიზმის გამო აგრესია, რასიზმის საკითხებთან დაკავშირებით თეთრკანიან ქალებთან ურთიერთობის მცდელობა, ფრუსტრაცია და ბოლოს, მრავალრასობრივი სამუშაოსთვის თავის დანებების ცდუნება (რასაც ან დროებითი ან მუდმივი სახე ექნებოდა).

პროდუქტიული მრავალრასობრივი აქტივობისა და დიალოგის შეხების წერტილები არსებობდა, მაგრამ ისინი ცოტა და ერთმანეთისაგან უალრესად დაშორებული იყვნენ. მე ისეთი სიტუაციების მომსწრე ვარ, როდესაც ნამყვან თეთრკანიან ფემინისტთა სამსახურები, საკლასო ოთახები ან ორგანიზაციები ცდილობდნენ უფრო მრავალრასობრივ ფორმატსა და დღის წესრიგზე გადასულიყვნენ. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ერთად მუშაობის სურვილი დაუყოვნებლივ გადადიოდა მტკივნეულ და დამახინჯებულ პროცესებში, რომელთა დროსაც რასობრივი დაძაბულობა და კონფლიქტი გაუმჯობესების ნაცვლად სულ უფრო უარესდებოდა. როგორც გამოჩნდა, არსებობდა მრავალი გზა, რომლითაც უფრო ფართო კულტურული რასიზმი უბრალოდ ფემინისტურ სიბრტყეზე გადაინაცვლებდა.

ყოველივე ეს უფრო და უფრო მიჩენდა წინააღმდეგობის გრძობას და უფრო მეტის შეცნობის საჭიროებას. როგორც თეთრკანიანმა ფემინისტმა, მე ვიცოდი, რომ მანამდე არ ვიყავი ცნობილი როგორც რასისტი და არც არასდროს ვამყლავნებდი ამას. აგრეთვე ვიცოდი, რომ ამ სურვილებმა და განზრახვებმა შედეგებზე უმნიშვნელო ზეგავლენა იქონიეს. მე, როგორც ფემინისტური დღის წესრიგისა და დისკურსის თანაავტორი (ყველაზე მოკრძალებული გაგებით), უკეთეს შემთხვევაში ვერ ვახერხებდი რასიზმთან სათანოდ დაპირისპირებას, უარეს შემთხვევაში კი ხელს ვუწყობდი მას და თანამონაწილედ ვიყავი. როგორ იქცა ფემინიზმი, რომელიც, ჩემი წარმოდგენით, ყველა ქალის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად იყო ჩაფიქრებული, მოძრაობად, რომელიც ამას არ აკეთებდა?

80-იან წლების დასაწყისში აღმოვაჩინე, რომ ვმერყეობდი „რასობრივი ხაზის“ ორ მხარეს შორის. ერთი მხრივ, მე ვატარებდი დროს უნივერსიტეტულ მეგობარ (დაახლოებით ჩემ თანატოლ

და თანაჯგუფელ) თეთრკანიან ფემინისტებთან, ხან სადისკუსიო ჯგუფებში, ხანაც არაფორმალურ გარემოში, როცა ვცდილობდით ჩვენდომოდით „რასიზმის საკითხების“ აზრს. პრობლემა სულაც არ იყო ჩვენთვის ტრივიალური. საკვირველი ის იყო, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით გათავისუფლების იდეის ახლადმოპოვებულ სადავეებზე კონტროლის დაკარგვის საფრთხის წინაშე. (მე და ჩემი მეგობრები ძირითადად სოციალისტი ფემინისტები ვიყავით. მე, ჩემი მხრით, მომწონდა იდეა, რომ ჩვენ, როგორც ქალებს, საზოგადოების აშკარად რადიკალური ხედვა გვექონდა. ეს ხედვა ნაწილობრივ ეფუძნებოდა ჩვენს სტატუსს, როგორც მამაკაცებთან, (რომლებსაც ასევე განუსაზღვრელი რასობრივი პოზიციები ჰქონდათ) მიმართებაში სტრუქტურულად შეზღუდულებს. თუმცა ჩვენ საკმაოდ ობიექტურები ვიყავით, რათა გაგვეცნობიერებინა, რომ იმგვარი ანალიზი, როგორსაც გვთავაზობდა კომბაჰე რივერ კოლექტივი და რომელიც მიუთითებდა ფერადკანიანი ქალების სტრუქტურულ დაქვემდებარებაზე, ასევე ამ პოზიციიდან ამომავალი პოტენციურად რადიკალური შეხედულება, ამ ყველაფერს ცვლიდა!) იმის გამო, რომ ჩვენ ძირითადად კეთილგანწყობილი პიროვნებები ვიყავით, რასიზმის პრობლემის თანაზიარობის იდეა (ამას მე ექსტრემისტებსა და ინსტიტუტებს ვუკავშირებდი და არა საკუთარ თავს) ჩვენთვის იმთავითვე შემადრწუნებელი იყო. პრობლემა აგრეთვე შემაშფოთებელი იყო იმ კუთხით, რომ ჩვენ გამუდმებით ვგრძნობდით რასიზმთან მიმართებაში ნებისმიერ წამს ჩვენი შეცდომის შესაძლებლობას; რომ არ ვიცოდით ნესები და, მით უფრო, არ ვიცოდით, თუ როგორ უნდა აღგვეკვეთა იგი. სავარაუდოდ არსებობდა გზა, რომლითაც რასიზმი ჩვენს დისკუსიებში ცოცხლობდა: ხან როგორც თვალსაზრისი, ხან – ეტიკეტი, ზოგჯერ კი ის საკითხი, რომელიც გამუდმებით იმედგაცრუებას იწვევდა, რაც პრობლემებისათვის „თავის ვერ გართმევით“ ან მათთვის “ თავის არასწორად გართმევით“ იყო განპირობებული.

ამავდროულად საკმაოდ დიდ დროს ვხარჯავდი მუშათა კლასის ფერადკანიან და თეთრკანიან ქალებს შორის მეგობრობის მხარდამჭერ ქსელთან თანამშრომლობაზე. ამ ქალთაგან ზოგიერთს ჯერ კიდევ უნივერსიტეტში შევხვდი. ისინი ჩემგან განსხვავებით ძირითადად მშობლები იყვნენ, აგრეთვე უფრო ხნიერები, უფრო ღარიბები და აშშ-ში რასისტული ურთიერთობებისადმი ჩემგან უაღრესად განსხვავებულად განწყობილნი. მათთან საუბრისას მათი ყოველდღიური ცხოვრების გაცნობით, განსაკუთრებით კი ერთ-ერთ ქალთან მოულოდნელი მჭიდრო კავშირის წყალობით, ჩემს შეგნებაში თანდათან დაგროვდა რასიზმისა და რასისტული ქცევის მნიშვნელობები. ნაწილობრივ ამისათვის საჭირო გახდა ჩემი შესაძლებლობით გავმკლავებოდი დაგროვილ გამოცდილებას ისე, რომ არავისთვის მიმეყენებინა შეურაცხყოფა, ნაწილობრივ კი ჩემმა მეგობარმა საკუთარ თავზე აიღო ჩემი გათავისცნობიერება. მე დაახლოებით ვისწავლე, თუ რას ნიშნავს უაღრესად მტრულად განწყობილ გარემოში მანევრირება; რას ნიშნავს ურთიერთობა ინსტიტუტებთან, რომლებიც არც ვინმეს ლოგიკით მოქმედებენ და არც ვინმეს ინტერესებით, და როგორია იმის საჭიროება, რომ ამ ინსტიტუტებმა იფუნქციონირონ ვინმეს საკეთილდღეოდ, თუკი ეს ვინმე გადარჩენას საჭიროებს და ამისთვის ბრძოლა მართოს უწევს. მე პირველად გავაცნობიერე უფსკრული იმ ადამიანების გამოცდილებასა და გაგებას შორის რომლებიც სხვადასხვაგვარად იყვნენ განწყობილნი დომინირების სისტემასა და კულტურული განსხვავებების სიღრმის მიმართ. (პირველად იმიტომ, რომ კულტურის ბრიტანეთიდან ამერიკაში გადასვლით გამონვეულმა შოკმა XXI საუკუნის მიჯნაზე თვალები ამიხილა.)

ამ ქსელის წევრობისა და სტუდენტობის განსხვავებულ გამოცდილებათა გაერთიანება იყო და რჩება ჩემს შესაძლებლობებს მიღმა. ნებისმიერ შემთხვევაში ამის გაკეთება, განსაკუთრებით კი ფერადკანიანი ქალების გამოცდილების ზოგადად ან კონკრეტულად გადმოცემა ჩემს მიზანს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ის უფრო აღსანიშნავია, რომ ორივე ამ ერთობლიობასა და მათ განშტოებებს რასიზმის ჩემეულ აღქმასა და ამ პროექტის ჩასახვაზე კომპლექსური გავლენა ჰქონდათ. როდესაც მე და ჩემი თეთრკანიანი დები ვიღწვოდით, რათა ჩვენდომოდით ვითარებას, რომელიც არ გვესმოდა და რომლის შექმნაც არ გვექონია განზრახული, ჩემთვის კრიტიკული შეკითხვები იყო: როგორ მოხდა ეს? როგორ აღმოვჩნდით ამ გაუგებრობაში? რას

გულისხმობდნენ „ისინი“, როდესაც გვეუბნებოდნენ, რომ თეთრკანიანთა ფემინიზმი რასიზმია? მეცნიერულად იგივე კითხვები შემდგენაირად გამოიყურებოდა:

(როგორ) განსაზღვრავს რასიზმი თეთრკანიანი ქალთა ცხოვრებას?

რა სოციალური პროცესების მეშვეობით ყალიბდება თეთრკანიანი ქალი, როგორც სოციალური აქტორი, რომელიც ფემინისტური მოძრაობის საზღვრებში კვლავ აწარმოებს რასიზმს?

(როგორ) არის შესაძლებელი თეთრკანიანი ქალის ცხოვრება იქცეს რასიზმის კვლავწარმოებისადმი ამბოხის წყაროდ?

ანალიტიკური თვალსაზრისით სოციალისტმა ფემინისტებმა აგრეთვე სამ აქსიომას მაზიარეს: ერთი, რომ „დომინანტურად სტრუქტურირებულ საზოგადოებებში“ ჩვენ, ფემინისტებს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქმედებები ამოდიოდა საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან და ჩვენი დაქვემდებარებული მდგომარეობიდან, რომლის შესაცვლელადაც ვიღწვოდით; მეორე, რომ გამოცდილება აყალიბებს პიროვნებას; და მესამეც, რომ არსებობს პირდაპირი ურთიერთკავშირი „გამოცდილებასა“ და „მსოფლმხედველობას“ ან „თვალთახედვას“ შორის ისე, რომ დომინირების ნებისმიერი სისტემა ყველაზე ნათლად აღიქმება სწორედ მის მიერ შევიწროვებულთა და დაქვემდებარებულთა პოზიციებიდან. პროექტზე მუშაობის პროცესში ამ აქსიომათა პრივილეგირებული ან დომინანტური ანდა იმავდროულად პრივილეგირებული და შევიწროვებული პოზიციებისთვის მიყენება ჩემგან მოითხოვდა მეორე და მესამე აქსიომების გართულებას. პირველი აქსიომა რჩებოდა არა თუ ხელუხლებელი, არამედ უფრო გამომწვევი, ვიდრე თავდაპირველად მოჩანდა.

ძირითადად ფერადკანიანი ქალებისგან შემდგარი კავშირიდან, რომლის ნევრიც გარკვეულწილად მეც გახლდით, კვლევაში სამი დებულება შევიტანე: პირველი, რომ თეთრკანიან და ფერადკანიან ხალხს შორის რასიზმის გამოცდილების მხრივ ხშირად უფსკრული იყო; მეორე, რომ თეთრკანიან ქალს რასიზმის შესახებ უფრო ვრცელი ცოდნა უნდა ჰქონოდა, რომლის დიდი ნაწილიც დაფუძნებული იქნებოდა ფერადკანიან საზოგადოებებთან ხანგრძლივ კავშირსა (ამ კატეგორიას მაშინ მე ჩემს თავს არ მივაკუთვნებდი, რაც სავარაუდოდ უნდა გამეკეთებინა) და სხვა ფაქტორებზე; მესამე, რომ თეთრკანიანთათვის არსებობდა კულტურულ-რასობრივი თავისებურება, რომელიც ზოგჯერ უფრო ამკარა არათეთრკანიანთათვის იყო, ვიდრე თეთრკანიანი ადამიანებისათვის.

რა დევს სახელწოდებაში?

როდესაც ამ წიგნზე მუშაობა დავიწყე, მე მას განვიხილავდი, როგორც თეთრკანიან ქალებსა და რასიზმს შორის ურთიერთობის ამსახველ ნაშრომს. იმ დროიდან დღემდე წლების განმავლობაში მას სხვა კონცეპტუალიზაცია შეემატე, რომელიც ჩანაცვლების გარეშე, შესაძლოა, ემთხვევა ჩემს ადრინდელ აღწერას. დღეს მე ამ წიგნს განვიხილავ აგრეთვე, როგორც „თეთრკანიანობის“ სოციალური კონსტრუქციის კვლევას.

პროექტის სახელწოდებამ — „თეთრკანიანი ქალისა და რასიზმის შესწავლა“ ხაზი გაუსვა მთელ რიგ პრობლემებს, რომლებმაც მუშაობის დაწყებისაკენ მიბიძგა. სახელდობრ, ყურადღება უნდა გამემახვილებინა, რომ რასიზმი იყო და არის უფრო თეთრკანიანი ქალების ცხოვრების განმსაზღვრელი, ვიდრე ის, რასთანაც არსებობა და შეგუება ფერადკანიან ხალხს უწევდა და იმ გზით, რომელსაც არავითარი კავშირი და მსგავსება არ ჰქონდა თეთრკანიანთა ცხოვრებასთან. თეთრკანიანთა მიერ რასიზმის აღქმისაგან განსხვავებით (და მე განსაკუთრებით დავინტერესდი თეთრკანიანი ფემინისტებით მას შემდეგ, რაც პროექტმა ფემინისტური მოძრაობიდან პოვა სანყისი), ჩვენ მას განვიხილავდით უფრო, როგორც ფერადკანიანი ხალხის პრობლემას,

რომელთანაც მათ უნევდათ ბრძოლა და არა როგორც პრობლემას, რომელიც ზოგადად გვეხება. რასიზმის ამგვარი ხედვა სერიოზულ გავლენას ახდენს თეთრკანიანი ქალების მიერ მის აღქმასა და ასევე ანტირასისტული ნაშრომის აგების კონცეფციაზე. ამ თვალსაზრისით, თეთრკანიან ქალებს შეუძლიათ ანტირასისტული ნაშრომი აღიქვან, როგორც თანაგრძნობა „დანარჩენების“ მიმართ, არასავალდებულო და დამატებითი პროექტი, მაგრამ არა როგორც ჩვენს საკუთარ ცხოვრებასთან ღრმად და ორგანულად დაკავშირებული. შესაძლოა, რასიზმი გავიგოთ, როგორც ჩვენთვის უფრო მეტად გარეგანი პრობლემა, ვიდრე როგორც ჩვენი ყოველდღიური გამოცდილებისა და ცხოვრების აზრის განმსაზღვრელი სისტემა.

ნაშრომში „თეთრკანიანი ქალები და რასიზმი“ აქ „და“ გულისხმობს, მაგრამ რეალურად არ განმარტავს კავშირს ორ ტერმინს შორის. „თეთრკანიანობაზე“ საუბრის საჭიროება დამატებით აზუსტებს, თუ რა დგება საფრთხის ქვეშ რასიზმის თეთრკანიან ხალხთან მიმართებაზე საუბრისას. „თეთრკანიანობის სოციალურ კონსტრუქციაზე“ საუბარი ამტკიცებს, რომ არსებობს ადგილები, დისკურსები და მატერიალური ურთიერთობები, რომლებსაც ტერმინი „თეთრკანიანობა“ მიესადაგება. ამ წიგნში მე ვასაბუთებ, რომ „თეთრკანიანობა“ ეხება ისტორიულად, სოციალურად, პოლიტიკურად და კულტურულად წარმოქმნილ მთელ რიგ ადგილებს და, უფრო მეტიც, ისინი არსებითად უკავშირდებიან დომინანტური ურთიერთობების გაშლას. თავად „თეთრკანიანობის“ სახელდება უარყოფს მის განუსაზღვრელ, უსახელო სტატუსს, რაც თავისთავად მისი დომინანტობის შედეგია. ხალხზე თეთრკანიანთა რასობრივი პრივილეგიზებულიობის და „თეთრკანიანობის“ დომინანტურობის ეფექტებს შორისაა მათი თითქოსდა ნორმატიულობა და სტრუქტურული უხილავობა. მიუხედავად ამისა ამ ნორმატიულობის ეფექტურობა არაერთგვაროვანია. მე უნდა გამოვიკვლიო და ვეცადო ავხსნა რასიზმის, რასობრივი განსხვავებულიობის და „თეთრკანიანობის“ ეს უხილავი და ხილული ფორმები. მაშასადამე, „თეთრკანიანობის“ სოციალური კონსტრუქციის ყურება, დომინანტობის ზედა პოზიციებიდან დახედვას გულისხმობს. (და, შესაძლოა, თეთრკანიანთათვის უფრო რთული აღმოჩნდეს თქვან: „თეთრკანიანობასთან მე რა მესაქმება - მე თეთრკანიანი არ ვარ“, ვიდრე თქვან: „რასასთან რა მესაქმება - მე რასისტი არ ვარ“.). თეთრკანიანობაზე საუბარი, ვფიქრობ, რომ რასიზმთან მიმართებაში ყველასთვის ადგილის მიჩენის საშუალებაა. ხაზგასასმელია, რომ რასიზმთან ურთიერთობა თეთრკანიანი ადამიანისთვის უბრალოდ არჩევანი კი არა, არამედ ის აყალიბებს თეთრკანიანთა ცხოვრებასა და იდენტურობას, როგორც ყოველდღიურობის სხვა ასპექტებისგან განუყოფელ ნაწილს.

„თეთრკანიანობის“ სახელად დარქმევა ჩემი ნაშრომის ფოკუსს აფართოვებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის აკავშირებს თეთრკანიანობის თემატიკას კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და შემდეგ შეერთებული შტატებში ასიმილაციის იმ ისტორიებთან, რომელიც არ მოიცავს რასიზმს, მაგრამ მაინც დაკავშირებულია მასთან. და მეორეც, ის შესაძლებლობას მაძლევს განვიხილო გარკვეული არაერთი გამოცდილება და სუბიექტური პოზიცია, როგორც რასისტულად მიჩნეული (რომელიც, სხვა მასტრუქტურირებელ პრინციპებთან ერთად ხშირად რასათაშორისი ურთიერთობებისაგან ყალიბდება) და არა როგორც აუცილებლად რასისტული. თუმცა აღსანიშნავია, რომ „თეთრკანიანობა“ რასიზმის კონტექსტში მნიშვნელოვანწილად რასისტულად არის მიჩნეული.

მესამე, „თეთრკანიანობის“ სფეროს მიმოხილვითა და დასახელებით, ვფიქრობ, შესაძლებელია „თეთრკანიანობის“ ანტირასისტული ფორმების ჩამოყალიბება-შემუშავება ან, სულ ცოტა, ანტირასისტული სტრატეგიების ჩამოყალიბება.

ჩემს მიდგომაში რამდენიმე განსხვავებული, მაგრამ, ჩემი რწმენით, კონკურენტუნარიანი თეორიული და მეთოდოლოგიური ორიენტაციაა მისადაგებული. ჯერ ერთი, მე ვიზიარებ ფემინისტთა შეხედულებას, ქალთა ყოველდღიური ცხოვრება საზოგადოების გაანალიზების ნყაროდ გამოეყენებინათ. მეორეც, მე აგრეთვე ვიზიარებ იმას, რაც არსობრივად ამ შეხედულების საპირისპიროა (მიდგომა, რომელიც აგრეთვე ფემინისტებისთვის მისაღებია): რწმენა, რომ ქალთა ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების ადექვატურად გაგება შესაძლებელია მხოლოდ უფრო ფართო სოციალურ პროცესებში მისი ასახვის მეშვეობით. და

მესამე, იმისათვის, რომ უკეთ გამეაზრებინა „თეთრკანიანობის“ ჩამოყალიბებაში ჩართული სოციალური პროცესები, მე მივმართე რასის, რასიზმისა და შეერთებულ შტატებსა და მის საზღვრებს გარეთ კოლონიალიზმის როგორც თეორიულ, აგრეთვე სუბსტანციურ ანალიზს.

ფემინიზმი: პიროვნული, პოლიტიკური და თეორიული

1984 წელს მიღებულმა ჩემმა გადაწყვეტილებამ, დამენყო „თეთრკანიანობის“ შესწავლა თეთრკანიანი ქალების ცხოვრებისეული ისტორიების მეშვეობით, გამოიწვია ფემინისტური აზრის მძლავრი ნაკადი, რომელიც ქალთა გამოცდილებას თეორიისა და სტრატეგიის კრიტიკის საფუძვლად იყენებდა. გვიანდელი, 60-იანი წლების პოლიტიკური ცნობიერების ამალღებისთვის მებრძოლმა ფემინისტურმა ჯგუფებმა პერსონალური გამოცდილება პოლიტიზირებულ და თეორიულ სფეროდ გარდაქმნეს. ამ პროცესის მეშვეობით ქალის მოქმედებებში კერძო, ყოველდღიური და უდავოდ ბანალური ფაქტები, უფრო მეტად აღიქმობდა როგორც საერთო, სოციალურად და პოლიტიკურად აგებული და არა როგორც ინდივიდუალური გამოცდილება. მოკლედ რომ ვთქვათ, პიროვნული იქცა პოლიტიკურად.

გენდერსა და ზოგადად საზოგადოებაზე არსებული წამყვანი თეორიების გარდა ნორმების კრიტიკისათვის საყრდენი წერტილის ფუნქციას ასრულებდა ქალთა პიროვნული გამოცდილება ისევე, როგორც სოციალური თეორიები და პოლიტიკურ მოძრაობათა ცვილებებისაკენ მიმართული პროგრამები. ფემინიზმის „მეორე ტალღის“ განმავლობაში, გვიანდელი 60-იანი წლებიდან დღემდე, კრიტიკის ეს ფორმა სულ ცოტა ორ ნორმას უპირისპირდება, რომლებიც ჩვენთვის განსაკუთრებით რელევანტურები არიან. პირველი - თეთრკანიანი ფემინისტები და ფერადკანიანი რადიკალ-ფემინისტი ქალები აკრიტიკებენ გენდერული დაქვემდებარებისადმი ყურადღების ნაკლებობას და მამაკაცზე ორიენტირებულ მემარცხენე და ანტირასისტული მოძრაობებს; მეორე - ფერადკანიანი რადიკალ-ფემინისტი ქალები უპირისპირდებიან ფემინიზმს, რომელშიც გაბატონებული იყო თეთრკანიან ქალთა გამოცდილებაზე ორიენტირებული შეფასება. ვინაიდან სხვადასხვა რასობრივი იდენტურობის აქტივისტი ქალები აკრიტიკებდნენ მამაკაცთა შეხედულებებზე დაფუძნებულ თეორიას, ნათელი გახდა, რომ ამგვარი შეხედულებები ქალთა დაქვემდებარებულობას ბურჟსში ხვევდა ან მის იგნორირებას ახდენდა. ასევე, ვინაიდან ფერადკანიანი ქალები უპირისპირდებიან საზოგადოებაში „ქალთა ადგილის“ თეთრკანიან ფემინისტთა ხედვას, აშკარა გახდა ამ ხედვათა მიკერძოებულობა.

გამოცდილებიდან გამომდინარე მსჯელობა ეყრდნობოდა რამდენიმე საკვანძო ეპისტემოლოგიურ მტკიცებას, რომლებმაც დროთა განმავლობაში ფემინისტთა „საერთო აზრში“ წამყვანი ადგილი დაიკავა. ამათგან პირველი იყო კრიტიკა „ობიექტიურობისა“ ან „გულგრილობის“, როგორც საუკეთესო პოზიციებისა, რომელთაგანაც აღმოცენდებოდა ცოდნა. ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ არსებობს კავშირი საზოგადოებაში პიროვნების ადგილსა და მის აღქმას შორის. ამ ეპისტემოლოგიურმა პოზიციებმა დამატებით შექმნეს სხვა, უფრო ძლიერი მტკიცება: რომ შევიწროვებულებს უნარი შესწევთ მკაფიოდ დაინახონ არა მარტო თავიანთი პოზიცია, არამედ პრივილეგირებული შემვიწროვებლისაც და საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის, ფორმა.

გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობა იმაზე მიგვიბრუნებს, რომ პირდაპირ არ უნდა გაიმიჯნონ ქალი - როგორც საზოგადოების წევრი, და ქალი — მოაზროვნე, თეორეტიკოსი და აქტივისტი შორის. მით უმეტეს, როგორც რასიზმის თეთრკანიან ფემინისტთა მიერ კრიტიკის კონტექსტში გახდა ნათელი, მცდელობა თეთრკანიან ქალთა ცხოვრება გენდერული დომინირების ანალიზის წყაროდ გამოეყენებინათ უამრავი პრობლემა წარმოშვა. 80-იანი წლების განმავლობაში და დღესაც უპირატესად ფერადკანიან ქალთა მიერ განეულმა სამუშაომ ფემინისტური ანალიზი გარდაქმნა, გადაიტანა რა ყურადღება თეთრკანიანთაგან და, უფრო ზოგადად, მრავალი ფემინისტური დისკურსის მცდარად უნივერსალიზირებული მტკიცებებიდან. აღინიშნა, რომ თეთრკანიან ქალთა ცხოვრების რასობრივ სპეციფიურობაზე დაფუძნებული

ეთნოცენტრიზმი ზღუდავს ფემინისტურ ანალიზსა და სტრატეგიას ისეთ საკითხებში, როგორცაა ოჯახი და რეპროდუქციული უფლებები. თეორიის სფეროში ფერადკანიანმა ქალებმა პირველებმა გააფართოვეს ქალთა ცხოვრებაში გენდერის, სქესის, რასისა და კლასის ურთიერთგადაკვეთის გაგების არეალი ისევე, როგორც მრავალრასობრივი კოალიციური შრომის ხედვა და წარმოდგენა.

აქ დასმული საკითხი არ იყო მხოლოდ ჩვენი ფერადკანიანი დების გამოცდილებისგან თეთრკანიანი ქალების გამოცდილების განსხვავება. ამოცანა ეს რომ ყოფილიყო, პრობლემას მრავალი რასის ქალების გამოცდილებათა უბრალო შეკრებაც კი გადაჭრიდა. ნაცვლად ამისა, ნათელი გახდა, რომ თეთრკანიან ფემინისტ ქალებს ჩვენი გამოცდილების შეფასებისას მხედველობის არიდან ეპარებოდათ მისი „რასობრივობა“ და ის ფაქტიც, რომ ვერ ვხედავდით, თუ რა ხდებოდა ჩვენს გარშემო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვაკლდა ცოდნა იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა საზოგადოებაში ფერადკანიანი მამაკაცებისა და ქალების მიმართ ჩვენი პოზიცია.

ჩემი ერთ-ერთი მიზანი (ვინაიდან თეთრკანიან ქალთა ცხოვრებას სპეციფიკური რასობრივი ლინზებით ვუყურებდი), როგორც ბოლოს გამოჩნდა, იყო მცდელობა აღმომეფხვრა ჩემს აღქმაში სიცარიელე. მე მჭირდებოდა გამეგო არა მარტო ის, თუ როგორ ცოცხლობდა რასა, არამედ აგრეთვე, თუ როგორ მოჩანდა ან უფრო ხშირად არ მოჩანდა ეს ჩემს უშუალო პოლიტიკურ და სოციალურ ქსელში. 1983 წელს (ამ წიგნისათვის ინტერვიუების დაწყებამდე) მე ვამტკიცებდი, რომ იმ დონით, რომლითაც თეთრკანიან ქალებს „აკლდათ“ ან „ვერ სწვდებოდნენ“, რასის მნიშვნელოვნება ჩვენსა თუ სხვების გამოცდილებაში ერთადერთი მოსაზრებით იყო გამონწვეული: ჩვენ ვიყავით პრივილეგირებული რასა, ვამტკიცებდი, რომ ჩვენ არ ვიყავით ისეთ სტრუქტურულ პოზიციაზე, რომ დაგვენახა ჩვენს საკუთარ ცხოვრებაზე რასიზმის ეფექტი და რასის მნიშვნელობა შეერთებული შტატების საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

მაგრამ, თავისთავად, ყოველდღიური მატერიალური რასობრივი ურთიერთობები ადექვატურად ვერ აღწერენ, თუ როდის ან რა ტერმინებით აღიქვამენ თეთრკანიანი ქალები რასას, როგორც მათი და ვინმე სხვის გამოცდილების ჩამომყალიბებელს. რასობრივი დაყოფის „ყოველდღიურობას“ და თეთრკანიანობის, როგორც შედარებითი პრივილეგირებულობის, „გარდაუვალობას“ არ შეეძლო აეხსნა თეთრკანიანი ქალის მიერ სხვათა ან საკუთარი თავის აღქმის არსი, მაგალითად, საშუალებები, რომლითაც მამაკაცურობა და ქალურობა რასობრივ და კულტურულ ტერმინებში არიან გამიჯნულნი. მსგავსად ამისა, მათ არ შეუძლიათ ახსნან, თუ რატომ სწავლობენ და ებრძვიან თეთრკანიანი ქალები აშკარად რასისტულ დამოკიდებულებებს ბავშვობიდან მოყოლებული მაშინ, როდესაც სხვებისათვის რასობრივი უთანასწორობა არის, ჩემს მიერ გამოკითხული ერთ-ერთი ქალის სიტყვებით რომ ვთქვა, „რეალობა, რომლითაც ტკბები, მაგრამ არ აცნობიერებ, პრივილეგია, რომელიც არსებობს, მაგრამ უცნობია“.

80-იანი წლების მეორე ნახევრის განმავლობაში ფემინისტური საქმიანობის რამდენიმე მიმდინარე სფერო კრიტიკული იყო იმისადმი, თუ როგორ ვატარებდი თეთრკანიანი ქალების გამოკითხვას და ვაანალიზებდი მათ ნათქვამს. პირველი ფემინისტი მეცნიერები, ძირითადად ფერადკანიანი ქალები, რომლებიც გულმოდგინედ იყვნენ ჩართულნი გენდერის რასობრივი და კულტურული ლინზების მეშვეობით გარდატეხვის საქმიანობაში, დაკავებულნი იყვნენ იმის შესწავლით, თუ როგორ არის „ქალურობის“ აგებულება ყოველთვის რასობრივად და კულტურულად დალდასმული და რასისტულ საზოგადოებაში რასობრივად ექსკლუზიური. ეს სპეციფიკური საქმიანობა ამჟღავნებს ფემინიზმის მეორე ტალღის უნივერსალურობას, რომელიც უმეტესად მცდარია და, ჩემი აზრით, მოითხოვს თეთრკანიანთა ქალურობის საპასუხო სპეციფიკის გამოყოფას. მეორე, ყველა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა ფემინისტმა (მაგრამ, როგორც ადრე უკვე აღინიშნა, ფერადკანიან ქალთა ინიციატივით) გაამდიდრა და გაართულა სუბიექტურობისა და ზოგადად საზოგადოების ჩვენეული თეორია. ასე, მაგალითად, თეორეტიკოსები აღწერდნენ რასის, კლასისა და გენდერის გავლენის „ერთდროულობას“ ფერადკანიანი ქალების ცხოვრების განსაზღვრაში (და მსურს დავამატო, რომ თეთრკანიანი ქალებისთვისაც) და ხაზს უსვამდნენ, რომ სუბიექტურობა წარმოშობილია უფრო „ჩანაცვლებულ

დისკურსთა მრავალფეროვნებისგან“, ვიდრე გენდერული დომინირების ერთადერთი ღერძისაგან ან კაპიტალიზმისა და პატრიარქალიზმის ორი პოლუსისაგან. მესამე, სუბიექტის უფრო რთულმა აღქმამ შესაბამისად წარმოქმნა რთული ეპისტემოლოგიები, რომლებიც აღიქმებოდნენ, როგორც აღმოცენებულნი მრავალმხრივი პოლიტიკური სივრცეებიდან.

სანამ ფერადკანიანი ფემინისტი ქალები იღვწოდნენ, რათა გენდერულ და რასობრივ ტერმინებში დაეზუსტებინათ თავიანთი ისტორია და თავიანთი ცხოვრების თანამედროვე ფორმა, თეთრკანიანი ფემინისტი ქალები ხშირ შემთხვევაში არ იღებდნენ შესაბამისი თანამონაწილეობას. თეთრკანიანი ფემინისტები ფერადკანიან ქალებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალთა გამოცდილების „განსხვავებულობისა“ და „მრავალმხრივობის“ ახალი თეორიული არტიკულაციების განვითარებაში. სწორედ ამიტომ არსებობს საფრთხე, რომ ვიდრე ფერადკანიანი თეორეტიკოსები კონკრეტულ კონცეპტუალიზმზე დაყრდნობით სულ უფრო ხშირად საუბრობენ მრავალმხრივობის თავისებულ გაგებაზე, შესაძლოა თეთრკანიანი ქალებისათვის „განსხვავებულობისა“ და „მრავალმხრივობის“ ხედვა აბსტრაქტული დარჩეს.

არსებობს კრიტიკული გამოწვევებიც: თეთრკანიანი ქალებისა და რასიზმის საკითხისადმი ნაყოფიერი მიდგომისას ზოგიერთმა თეთრკანიანმა ფემინისტმა 70-იან წლების დასასრულსა და 80-იან წლებში კერძო ავტობიოგრაფიების საშუალებით დაიწყო რასობრივი პრივილეგიებითა და რასიზმით მათ ცხოვრების განმსაზღვრელი გზების შესწავლა. ასე რომ, როცა ეს ქალები და მათ მსგავსად სხვებიც განაგრძობენ ფემინისტური პრაქტიკის მკვეთრ ჩამოყალიბებას, ისინი ხელძღვანელობენ მათი ცხოვრების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი სოციალური ძალების მრავალმხრივი გაგებით.

ჩემი ნაშრომიცა და თეთრკანიან ქალთა იმ ცხოვრებისეული ისტორიების გამოკვლევა, რომელსაც ეს ნიგნი ეყრდნობა, იზიარებენ ქალთა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ თეთრკანიანი ქალების ცხოვრებაში რასიზმის შელწევისა და ზეზმოქმედების გზები ფრთხილსა და დეტალურ კვლევას საჭიროებს. გაზიარებულია აგრეთვე აზრი, რომ საჭიროა უფრო ნათელი გახდეს ის, თუ როგორაა ჩვენი ცხოვრება ჩაკირული ისტორიის, პოლიტიკურ ბრძოლათა და სოციალურ ძალთა დიაპაზონში. მას შემდეგ, რაც 1970-იან წლებში პირველად მოვედი პოლიტიკაში, ჩემი მოსაზრებაა, რომ სიტუაციის ცოდნა მისი განმუხტვის გადამწყვეტი იარაღია.

რასის თეორიის ჩამოყალიბება

თეთრკანიანი ქალის ცხოვრებისეული ამბების ანალიზისას შეძლებისდაგვარად ვცდილობდი დამეკავშირებინა ისინი, ერთი მხრივ, შეერთებულ შტატებში სპეციფიკურ დროსა და ადგილებში რასიზმის მატერიალურ ურთიერთობებთან და, მეორე მხრივ, სხვადასხვა რასობრივი დისკურსის ცირკულაციასა და ცვალებად პაუზებთან. ამ მონათხრობებიდან, რომლებიც ნიგნის ძირითად რესურსს წარმოადგენდნენ, ნათელია, რომ რასობრივი პრივილეგიები მართლაც პირდაპირ იყო გადატანილი ყოველდღიური ცხოვრების განმსაზღვრელ სოციალური ორგანიზაციების ფორმებად (მაგალითისათვის, დე-იურე და, მოგვიანებით, დე-ფაქტო საცხოვრებელი, სოციალური და საგანმანათლებლო სეგრეგაცია, რომელიც ამ ქალთა უმეტესობის ბავშვობას ახასიათებდა) ეს კი საპასუხოდ განაპირობებდა ქალთა მიერ რასის აღქმას.

იმისთვის, რომ ვიფიქროთ თეთრკანიან ქალებსა და რასაზე, აუცილებელია შეერთებულ შტატებში „რასის“ კატეგორიისა და „რასიზმის“ იდეის არსის და ისტორიულ კონტექსტში გააზრება. განსაკუთრებით გამომადგა ის ანალიზი, რომელიც რასას განიხილავს, როგორც უფრო სოციალურად ჩამოყალიბებულს და არა წარმოშობიდან თანდაყოლილი მნიშვნელობის კატეგორიას. იგი დაკავშირებულია ძალაუფლებასა და ბრძოლის პროცესების ურთიერთმიმართებასთან და რომლის მნიშვნელობაც დროდადრო იცვლება. რასა, გენდერის მსგავსად, „რეალურია“ იმ გაგებით, რომ ცვლილებების მეშვეობით სამყაროზე რეალურ ეფექტს ახდენს, ამავე დროს რეალურად, საგნობრივად და კომპლექსურად ზემოქმედებს ინდივიდთა მიერ საკუთარ „მე“-ს აღქმაზე, მათ გამოცდილებასა და ცხოვრების შესაძლებლობებზე. იმის

მტკიცებით, რომ რასა და რასობრივი განსხვავებულობა სოციალურადაა აგებული, მე არ ვამცირებ მათ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობას, არამედ ვამტკიცებ, რომ მათი რეალობა არის სწორედ სოციალური და პოლიტიკური და არა განუყოფელი და სტატიკური.

ისტორიული მიმოხილვა რასობრივ კატეგორიებად დაყოფის არასტაბილურობას უსვამს ხაზს. მაგალითისათვის, *მაიკლ ომი და ჰოვარდ ვინანტი* აღნიშნავენ, რომ:

[შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერაში] იაპონელმა ამერიკელებმა იმგვარი კატეგორიებიდან, როგორებიცაა „არათეთრკანიანი“, „აღმოსავლური წარმოშობის“ ან უბრალოდ „სხვა“, გადაინაცვლეს იმგვარ სპეციფიკურ ეთნიკურ ჯგუფთა უფრო ფართო თანამედროვე გაერთიანებებში, როგორებიცაა „აზიელი და წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრი“. ეს ცვლილება ასახავს კიდევ და საპასუხოდაც აყალიბებს რასობრივ გაგებასა და დინამიკას.

აგრეთვე ამერიკელი ებრაელები, იტალიელები და ლათინოსები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე განიხილებოდნენ ხან როგორც „თეთრკანიანები“, ხან კი როგორც - „არათეთრკანიანები“. და როგორც „რასათაშორისი“ ქორწინებების და სქესობრივი ურთიერთობების ისტორია ცხადყოფს, „თეთრკანიანობა“ არის გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური კატეგორია, რომელიც დროთა განმავლობაში შენარჩუნებული იყო მთელი რიგი როგორც საკანონმდებლო, ისე სამომხმარებლო ექსკლუზიური გამოცდილების მიერ.

ქალები, რომლებიც მე გამოვკითხე, რასობრივი დისკურსის სხვა განზომილებას აღნიშნავენ

გამოკითხვისას ერთი ქალი რასობრივი დისკურსის სხვა განზომილებას აღმინერდა, რომელსაც სანყის ეტაპზე საერთოდ არ ჰქონდა ფასი. რასისტული დისკურსი, ჩემი აზრით, ჩვეულებრივი აფრო-ამერიკელების მიმართ გაზვიადებულ ყურადღებასა და აზიური წარმოშობის ამერიკელებისა და აბორიგენი ამერიკელების მიმართ შედარებით შენელებულ რეაქციას ამართლებს. დისკურსის ჩარჩოებში ლათინო-ამერიკელებიც აფრო-ამერიკელებზე ნაკლებ შესამჩნევნი არიან. უნდა აღინიშნოს, რომ შედეგების მხრივ რასიზმის არცერთი ფორმა არაა მეორეზე მეტად მისაღები ან საძულველი. ორი თეთრკანიანი ქალი არაორაზროვნად განასხვავებდა აფრო-ამერიკელებს, როგორც „რასობრივად სხვებს“ განსხვავებით ლათინო-ამერიკელებისა და აზიელებისაგან, რომლებსაც თეთრკანიანი ადამიანებისგან „კულტურულად“, მაგრამ არა „რასობრივად“ განსხვავებულად აღიქვამდნენ. სხვა შემთხვევაში ქალები აზიური წარმოშობის ამერიკელებსა და ლათინო-ამერიკელებს რასობრივ ტერმინებში აღწერდნენ, როგორც თეთრკანიანებისგან ნაკლებ განსხვავებულებს. ისინი აგრეთვე დროდადრო უფრო მეტს საუბრობდნენ თეთრკანიანებისა და შავკანიანების ურთიერთობაზე და უფრო მეტად გაიაზრებდნენ აფრო-ამერიკელების სოციალურ სტრუქტურას, ვიდრე სხვა ფერადკანიანი ერთობებისა. ეს მაგალითი ნაწილობრივ იმ რეგიონების შედეგი იყო, სადაც იზრდებოდა ცალკეული ქალი: მაგალითად შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე აღზრდილი ქალები რასისა და იდენტურობის საკითხებს „ჩიკანოებთან“ (**Chicanas and Chicanos**) მიმართებაში ისევე ხშირად იკვლევდნენ, როგორც აფრო-ამერიკელ ქალებსა და მამაკაცებთან კავშირში.

წინმდებარე წიგნში რასობრივ განსხვავებას განვსაზღვრავ, როგორც აშკარად ისტორიულად სპეციფიკურს, პოლიტიზირებულსა და პირობითს. ამასთან მე განვიხილავ იმ ჯგუფებს, რომლებიც ამჟამად არიან რასიზმის სამიზნეები. ესენი არიან: აბორიგენი ამერიკელები, ლათინო-ამერიკელები, აფრო-ამერიკელები, წარმოშობით აზიელი და წყნარი ოკეანიდან ამერიკელები ისევე, როგორც სხვა არათეთრკანიანი იმიგრანტები, რომლებიც თეთრკანიანებისა და ერთმანეთისგან რასობრივად განსხვავებულები არიან. (კვლევა იმ მოსაზრებაზეა აგებული, რომ თეთრკანიანებშიც გამჯდარი რასობრივი ცნობიერება ისევეა, რამდენადაც ფერადკანიანებში). ჩემი იდეის ნაწილი, რა თქმა უნდა, არის იმის აღმოჩენა, თუ როგორ განსაზღვრავდნენ თეთრკანიანი ქალები რასას, რასობრივ და კულტურულ განსხვავებულობას და როგორ

აისახებოდა მათი განსაზღვრებები რასის ისტორიის განსხვავებულ პერიოდებში.

რასობრივი სახელდება ნაწილობრივ აგრეთვე საზოგადოებების კოლექტიური ბრძოლის ეფექტია, რომელიც საკუთარი იდენტურობის მოპოვებასა და ხელახლა გამოხატვისკენაა მიმართული. მაგალითად, მოსახლეობის აღწერაში ამერიკელი იაპონელების კლასიფიკაციის ცვლილება მეტწილად თავად წარმოშობით აზიელი და წყნარი ოკეანიდან ამერიკელების მოთხოვნის შედეგად მოხდა. მართლაც წინმდებარე წიგნი უფრო მეტად თანამედროვე, საზოგადოებისაგან ინიცირებული „სახელდების“ ნიშნებს ატარებს, რადგანაც 1984-1986 წლებში, როდესაც ამ წიგნისათვის ინტერვიუები ჩატარდა, სახელი „აფრო-ამერიკელი“ არ გამოიყენებოდა. ის ქალები, რომლებსაც ინტერვიუები ჩამოვართვი, მას არ იყენებდნენ აფრიკული წარმომავლობის ქალებისა და მამაკაცების შეერთებულ შტატებში ცხოვრების აღსაწერად.

შეერთებული შტატების ისტორია რასობრივი განსხვავებულობის დისკურსების არათანაბარი განვითარებით გამოირჩევა. რასის შესახებ არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ანალიზებს შორის ცენტრალურ როლს თამაშობდა ხალხთა განსხვავებულობის შესახებ მთელ რიგ მოსაზრებებზე აგებულ მტკიცებები და დაპირისპირებები, რომლებიც მოიცავდნენ ფიზიოლოგიური ან გენეტიკური ასპექტების, კულტურისა და ძალაუფლების მისაწვდომობის განსხვავებებს. მავანმა შეიძლება მართლაც განსაზღვროს ამერიკის შეერთებულ შტატებში რასის შესახებ იდეათა ისტორიის ქრონოლოგიური ცვლილებები მხოლოდ იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ დააკონკრეტოს და გაართულოს ეს ქრონოლოგია. წინმდებარე წიგნისთვის გადამწყვეტ სინთეზში ომი და ვინანტი ამ ქრონოლოგიას სამ ეტაპად ყოფენ. შეერთებული შტატების ისტორიის უდიდეს ნაწილში, როგორც ისინი აღნიშნავენ, ფერადკანიანი ხალხის ბიოლოგიურ არასრულფასოვნებაზე არსებული არგუმენტები რასის შესახებ აზროვნებაში დომინანტურ დისკურსს (ან, მათივე ტერმინით პარადიგმას) წარმოადგენს. ამ დისკურსში რასა ბიოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენდა და თეთრკანიანთა ბიოლოგიური უპირატესობის მტკიცება კოლონიალიზმიდან (**settler colonialism**) მონობამდე პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის გასამართლებლად გამოიყენებოდა.

1920-იანი წლებიდან მოყოლებული თავი იჩინა ცნებათა ახალმა დაჯგუფებებმა. რასობრივი განსხვავებულობა უკვე კულტურული და სოციალური ცნებებით გამოიხატებოდა ნაცვლად ან თანადროულად ბიოლოგიურ ტერმინებისა. აქ ომი და ვინანტი ამტკიცებენ, რომ „ეთნიკურობის“ გაგება ჩაანაცვლა რასის გაგებამ, როგორც განსხვავებულობის მაჩვენებელმა. ამ ახალ პარადიგმაში ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობა უფრო ბიჰევიორისტულად აღიქვს, ვიდრე ბიოლოგიურად (თუმცა რამდენადაც ერთიანი კულტურის მატარებელი ჯგუფი კვლავ განისაზღვრებოდა უფრო ტრადიციების (შთამომავლობა) და არა თანამედროვეობის (ქცევა) აღმნიშვნელი ტერმინებით, მავანს შეეძლო დაემატებინა, რომ ბიოლოგია განაგრძობს იდენტურობის კონცეფციის დადასტურებას). ეთნიკურობის პარადიგმის პარალელურად გაჩნდა „ასიმილაციური“ ანალიზი იმის შესახებ, თუ რა მოუვიდოდა ფერადკანიან ხალხს შეერთებულ შტატებში: ამტკიცებდნენ, რომ თეთრკანიანი იმიგრანტების მსგავსად, ფერადკანიანებიც თანდათან ასიმილირდებოდნენ შეერთებული შტატების ძირითად საზოგადოებაში. ცხადია, ეთნიკურობის თეორეტიკოსებს სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მერიტოკრატიის მიღწევა. ამ პერქსპექტივაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა რწმენას იმისა, რომ რასობრივი უთანასწორობა ამერიკულ საზოგადოებასთან შეუსაბამო იყო, რომელიც, ამ ხედვის მიხედვით დემოკრატიის ბურჯად აღიქმებოდა.

შეერთებულ შტატების დემოკრატიის იდეალის ტერმინებით სოციალური თანასწორობის მოთხოვნების წამოყენებამ სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი ადრეული მოძრაობები თეორიული და მორალური ძალით უზრუნველყო. თუმცა 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისის რადიკალურმა ანტირასისტულმა და კულტურულმა ნაციონალისტურმა მოძრაობებმა („შავი ძალა“, „ლა რაზა“, „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობა“) ააღორძინა, გადააფასა და შეცვალა ფერადკანიანების თეთრკანიანთა დომინანტური კულტურისგან განსხვავებულობის გაგება. ამ პროცესს რასობრივი უთანასწორობის ანალიზი და კრიტიკაც უწყობდა ხელს,

როგორც ამერიკული საზოგადოების ძირეული განმსაზღვრელი ფაქტორი. ომი და ვინანტი ამ მესამე ფაზას ახასიათებენ, როგორც რასის და რასიზმის გაგების კლასსა და ერზე დაყრდნობით არსებული პარადიგმებიდან ერთ-ერთს. აქ, მართლაც, ფემინიზმის მეორე ტალღის შეკრულ წრესთან მივდივართ, რადგან, როგორც ომი და ვინანტი (სხვებთან ერთად) აღნიშნავენ, კლასსა და ერზე დაფუძნებული ეს მოძრაობები თავისთავად იყვნენ ბიძგის მიმცემები და გარკვეული გზით უზრუნველყოფდნენ ფემინიზმის მეორე ტალღისა თუ „ქალთა გათავისუფლების“ წარმოშობას. ქალთა მოძრაობების მოდელის შეთავაზების მიღმა მათ განაპირობეს, რომ მრავალი ქალი აქტივისტი ანტირასისტული მოძრაობიდან ფემინისტურ მოძრაობაში გადავიდა ან ერთდროულად ორივეში მონაწილეობდა. ცხადია, ისმის კითხვა: ასეთი წინაპირობების გათვალისწინებით, 70-იანი წლების შუა ხანებისათვის ფემინისტური დისკურსებიდან რატომ იყო ყველაზე შესამჩნევი მაინცდამაინც ის, რომელმაც რასიზმთან გამკლავება ვერ შეძლო? პასუხი ამ კითხვაზე მრავლის მომცველია და ამ წიგნის ფარგლებს სცდება, თუმცა მასთან დაკავშირებულიცაა.

ამ სამი მომენტის, პარადიგმის ან დისკურსის აღწერის ერთ-ერთი გზა „განსხვავებულობიდან“ „ერთგვაროვნებაზე“ გადასვლასა და შემდეგ კი „უკან“ განსხვავებულობის ხელახლა, რადიკალურად განსაზღვრაშია. პირველი გადასვლა, შესაბამისად, იმ პირველი მომენტიდან იღებს სათავეს, რომელსაც მე „არსობრივ რასიზმს“ ვუნოვებ რასობრივი განსხვავებულობის ხაზგასმით. იგი არსებითი, ბიოლოგიური უთანასწორობის იერარქიულ ტერმინებადაა აღქმული, და არსებითი „ერთგვაროვნობის“ დისკურსით მთავრდება. მას ხშირად „კანის ფერის მიმართ სიბეცეს“ (color-blindness) მიაწერენ. ეს უკანასკნელი ტერმინი ორმაგი გაგებისთვის ავარიცე - „ფერის არამუდმივობა“ და „ძალაუფლების არამუდმივობა“. უკანასკნელი მიუთითებს, რომ კანს ქვემოთ ყველანი ერთი და იგივე ვართ; რომ კულტურის მხრივ მსგავსნი ვართ; რომ შეერთებული შტატების საზოგადოებაში ერთი და იგივე მატერიალური შანსები გვაქვს და რომ, შესაბამისად, მიღწევებში ნებისმიერი წინააღმდეგობა თავად ფერადკანიანი ადამიანების ბრალია. მესამე პარადიგმა კვლავ განსხვავებულობაზე აპელირებს, მაგრამ გაცილებით სხვა ფორმით, ვიდრე პირველი, რომელშიც „არსობრივი რასიზმის“ ტერმინები თეთრკანიანთა დომინანტური კულტურის მიერაა იყო განსაზღვრული. მესამე პარადიგმაში ისინი ფერადკანიანი ადამიანების მიერ ფორმულირებული. განსხვავებულობა, „არსობრივი რასიზმის“ მიხედვით, ფერადკანიანთა არასრულფასოვნებაზე მიუთითებდა. მესამე პარადიგმაში განსხვავებულობა კულტურის, ღირებულებების, ესთეტიკური სტანდარტების და ა.შ. ავტონომიურობაზე მიანიშნებს. და, რა თქმა უნდა, უთანასწორობა ამ მესამე მომენტში ეხება არა მინერალ მახასიათებლებს, არამედ სოციალურ სტრუქტურას. მე ამ დისკურსულ რეპერტუარს მივმართავ, როგორც „რასის არსის შემეცნებისათვის“ ერთ-ერთ საჭირო ასპექტს.

ვინაიდან ეს დისკურსია რასის შესახებ აზროვნების სამი განსხვავებული მოდელის შექმნის ქრონოლოგიური აღწერით დავიწყე, უნდა აღვნიშნო, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პარადიგმათა დრამატული გადანაცვლება. იმიტომ, რომ სამივეს ელემენტები შეიძლება მოინახოს შეერთებულ შტატებში რასისა და რასიზმის შესახებ არსებულ დღევანდელ ლიტერატურასა და იმ აქტივისტთა რიტორიკაში, რომლებიც მხარს უჭერენ ან ებრძვიან რასიზმს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ (სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს) შეერთებული შტატების ისტორიის გარკვეულ მომენტში რასიზმი, როგორც რასის დომინანტური დისკურსი, განრიდების საჯარო დისკურსმა შეცვალა, რომელიც დღესაც დომინანტური რჩება, ის თავის მხრივ რასის გაცნობიერების დისკურსით არ შეცვლილა. მართალია, კანის ფერისა და ძალაუფლებისაგან განრიდების პარადიგმას გამუდმებით ემუქრებოდა აზროვნების მესამე მოდელი რასის გავლით, მან მაინც შეიერთა რასის გაცნობიერების ელემენტები, თუმცა მისი ჩანაცვლება მაინც არ მომხდარა.

მტკიცება, რომ კანის ფერისა და ძალაუფლებისაგან განრიდების პარადიგმა დომინანტურია, თითქოს ერთი შეხედვით ინტუიციას ეწინააღმდეგება. კულტურის კონსერვატორი კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები „მრავალკულტურულობის“ ახალი

ორთოდოქსულობითაა გაჯერებული, რომელიც ვითომდა რასის გაცნობიერების პროდუქტია. მაგრამ სიტუაცია გაცილებით უფრო გართულებულია, ვიდრე კონსერვატორი კრიტიკოსები ამტკიცებენ. პირველი, პოპულარული დისკურსის მულტიკულტურისკენ გადასანაცვლებელად განეული ძალისხმევა საკმაოდ შეზღუდულია. მართალია მას გარკვეული გავლენა აქვს განათლებასა და მასმედიაზე, მაგრამ ჯერ არ არის უმრავლესობის ყოველდღიური აზროვნებისა და პრაქტიკის ნაწილი. მეორე, კონსერვატორთა მტკიცებების გარდა პრაქტიკულადაც დადასტურებულია, რომ უაღრესად რთულია მულტიკულტურული ან პლურალისტური მიდგომების დაფუძნება სასწავლო პროგრამებსა და მედიაში თეთრკანიანთა ლიდერობის უწყვეტ სტრუქტურულ და ინსტიტუციურ კონტექსტში. პლურალისტური და მულტიკულტურული პროგრამების განვითარების წინადადებები ინსტიტუციური ბიუროკრატიის გზაზე ხშირად „გაუფერულებულია“. მულტიკულტურის ვერსიები, რომლებიც იქმნება, როგორც საგანმანათლებლო ან რეპრეზენტაციული პრაქტიკა, უმეტეს წილად წარმოადგენს შერჩევითი ჩაბმულობის ხელახალი მოწყობის ვერსიებს, რომელსაც განასახიერებს კანის ფერის განრიდების დისკურსი. იგი ოდნავ მაინც ძალაუფლების განრიდების ქვეტექსტის მატარებელია, იმ პოლიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც კლასიკური კანის ფერისა და ძალაუფლების განრიდების სიბეციდან აღმოცენდებიან. მაგანმა შეიძლება მართლაც ამტკიცოს, რომ ბრძოლა კანის ფერისა და ძალაუფლების განრიდების პარადიგმასა და რასის გაცნობიერებას შორის მულტიკულტურული ურთიერთობის ფარგლებში მიდის.

Chicanas and Chicanos – მექსიკური წარმოშობის ამერიკელები. შეერთებულ შტატებში მცხოვრები მექსიკელები

ნაყოფი: ბიჭი, გოგო

ბარბარა კატც როთმანი*

შესავალი: პატარა ზაქარის სოციალური აგებულება (ნამდვილი ამბავი)

ზაქარი ჯერ არ დაბადებულა, თუმცა ის უკვე დიდი ხანია არსებობს. ზაქარი არის, იყო ან იქნება, ზუსტად არ ვარ დარწმუნებული რომელია სწორი ფორმულირება, ჯონის და ლინდას მეორე შვილი. მეორე ბავშვი მათი მეორე ქორწინებიდან.

მათი პირველი შვილის მეთიუს მსგავსად ზაქარიც, დაგეგმილი ორსულობის შედეგია. ჯონმა და ლინდამ მეთიუს გაჩენა გადაწყვიტეს, მაშინ როცა ჩათვალეს, რომ ამისთვის მათი ურთიერთობა მომნიშვნელო იყო, ხოლო ზაქარის გაჩენა კი მაშინ, როცა ჩათვალეს, რომ ამისათვის მეთიუ იყო მზად. ცოლ-ქმარი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, თბილი და მოსიყვარულე წყვილია, რომელიც ოჯახს სიფრთხილითა და მზრუნველობით ქმნის.

მეანობის თანამედროვე მიღწევების პირობებში მეთიუს დაბადება წინასწარპროგნოზირებადი იყო, მაგრამ მშობიარობის პროცესი მაინც განსხვავებული იყო იმისაგან, რასაც ჯონი და ლინდა ელოდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლინდა მრავალი კვირის განმავლობაში იტარებდა ლამაზეს* ვარჯიშებს, მეთიუ მაინც საკეისრო კვეთით მოვევლინა ქვეყანას. რაც შეეხება ზაქარს, მისი დაბადება თავიდანვე საკეისრო კვეთით არის დაგეგმილი. მისი დაბადების დღე, სახელთან, ტანსაცმელთან და სათამაშო დათუნიასთან ერთად უკვე ელოდება მას.

მეორე ფეხმძიმობის დროს ლინდას ასაკი გადასცდა 35 წელს ანუ იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც ორსულთა ამნიონური გამოკვლევა აუცილებელი პროცედურა** მეთიუზე ფეხმძიმობისას ლინდამ ჩაიტარა ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა და იგივეს გაკეთება ამჯერად ორჯერ მოუწია, ასე, რომ აღნიშნული პროცედურა მისთვის უცხო არ იყო. მას არ ჰქონდა ნემსის შიში და საბოლოო ჯამში ამნიონური გამოკვლევა მისთვის დიდი სირთულე არ იყო. გამოკვლევის შედეგების მიღებამდე ცოლ-ქმარს მხოლოდ მცირე მოუსვენრობა ეტყობოდა, თუმცა ჯონიც და ლინდაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ დაგეგმილი, ჯანმრთელი და სასურველი ფეხმძიმობის დროს სერიოზულ გართულებები არ იქნებოდა.

იმედგაცრუების ერთგვარი შეტევა გამოიწვია წერილმა, რომელშიც დადასტურებული იყო ნაყოფის ჯანმრთელობა, თუმცა მითითებული იყო, რომ მომავალი ბავშვი იქნებოდა ბიჭი, კიდევ ერთი ბიჭი. ცოლ-ქმარს მხოლოდ ორი შვილის ყოლა ჰქონდა დაგეგმილი და მათი ოცნებები, დაწყებული, ბავშვობაში ლინდას მიერ თოჯინით თამაშით და გასულ კვირას გოგნების სახელების თემაზე გამართული დისკუსიით დამთავრებული, მეყსეულად დაიმსხვრა. არავითარი გოგო. თუმცა, მეთიუს ეყოლებოდა ძმა და ეს მშვენიერია. ცოლ-ქმარს შეეძლო ხელახლა გამოეყენებინათ ლურჯი პანდა-დათვის საბანი და „Li'l Slugger“-ის ფირმის შესახვევი თეთრეული.

მეთიუმ, მისი ასაკის სხვა ბავშვების მსგავსად, იცოდა რომ დედამისის მუცელში იზრდებოდა სხვა ბავშვიც. ახლა მან შეიტყო, რომ ეს ბავშვი მალე გახდებოდა მისი ძმა, ზაქარი. როდესაც მეთიუს აღარ მოერგება თავისი საბავშვო კომბინეზონი, მან იცის, რომ მისი მშობლები ამ ტანისამოსს შეუნახავენ ზაქარს. და, სალამოობით, როდესაც ის ჩურჩულით ტკბილ ძილს უსურვებს დედას, ის, ტკბილ ძილს, ასევე უსურვებს ზაქარს.

* ბარბარა კატც როთმანი, სათუო ორსულობა: როგორ ცვლის ომნიოცენტეზი დედობის გამოცდილებას, Norton & Co Inc., 1993 (გვ. 116-131)

** ფიზიკური ვარჯიში, რომელიც ენიშნებათ ორსულებს ფეხმძიმობის სწორად წარმართვის მიზნით.

* გამოკვლევა, რომელიც უტარდებათ ორსულ ქალებს ფეხმძიმობის 15-დან 17 კვირამდე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის შესწავლის მიზნით.

ჯონი და ლინდა არიან არააქტიურად მორწმუნე ებრაელები, თუმცა წინადაცვეთის პროცედურა მათ მათიუხს მაინც ჩაუტარეს და გეგმავენ იგივეს ზაქარისათვის. წინადაცვეთა ეს არის წაკვეთის ცერემონიალური პროცედურა, რომელიც ტარდება ბიჭის დაბადებიდან მერვე დღეს. გოგონებისათვის მსგავსი რიტუალი არ არსებობს. დაბადებიდან პირველი რვა დღის განმავლობაში ახალშობილი გარკვეულწილად ჰგავს ნაყოფს, იგი, ჯერ კიდევ, არ აღიქმება პიროვნებად და სრულად არ არის მიღებული საზოგადოებაში. ზაქარის წინადაცვეთა სამი თვით ადრე არის დაგეგმილი. მშობლებმა იციან, რომ ის ბიჭია, მისი დაბადების დღე წინასწარაა დადგენილი და ამიტომ ტრადიციული მღელვარება, რომელიც წინადაცვეთის პროცედურისათვის მზადების ბოლო წუთებს უკავშირდება არ იქნება. ოჯახის ერთ-ერთი მეგობარი, რომელიც ჯერ არ დაბადებული ბავშვის წინადაცვეთის ცერემონიაზე სამი თვით ადრე დაპატიჟეს ოდნავი გაკვირვებით და მხიარულებით აღნიშნავდა: „რა გავაკეთო [ასე ადრინადა]?! წინადაცვეთისთვის მოსაწვევები დავამზადო და დარბაზი დავიქირავო?“ მისი აზრით, რვადღიანი მოსაცდელი პერიოდის სამი თვით ადრე დაგეგმვა აზრს მოკლებულია. ტრადიციის მიხედვით, ეს არის დღესასწაული, რომელიც ეძღვნება ბიჭის დაბადებას.

ჯონი მშობიარობის პროცესს არ დაესწრება. ერთი კვირის განმავლობაში, როცა ლინდა და ზაქარი სამშობიარო სახლში იქნებიან ქრილობის მოსაშუშებლად, ჯონი გეგმავს მიხედოს ქალაქგარეთ მდებარე საკუთარ ბიზნესს. იგი თვლის, რომ ამ მშობიარობისთვის ის აღარ არის საჭირო, რადგან მსგავს პროცედურაში მან უკვე მიიღო მონაწილეობა. ზაქარს კი პირველად ნახავს ერთი კვირის შემდეგ წინადაცვეთის ცერემონიაზე. ლინდას აზრით, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა ამჯერად რომ გოგო ყოფილიყო, თუმცა ჯონი მას არ ეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლინდას მხოლოდ მეორე მშობიარობაა, როგორც ჩანს აქ მშობლებისთვის სიახლე არაფერია.

ზაქარის დაბადება მშობლებისაგან გარკვეულწილად აღიქმება, როგორც შიგნიდან გარეთ გამოსვლის პროცედურა და ამაში არაფერია მნიშვნელოვანი. ახლა, როცა ლინდამ ჩაიტარა ამნიონური გამოკვლევა, ცოლ-ქმარს სჯერა, რომ არაფერი ცუდი არ მოხდება. მათ არ ეყოლებათ ავადმყოფი, არანორმალური და ნაკლები ბავშვი. ყოველივე ეს ძალიან კარგადაა დაგეგმილი და ორგანიზებული. ისინი მსგავს საკითხებს ძალიან ფრთხილად უდგებიან.

თუმცა, რეალურად ვითარება განსხვავებულია. საკეისრო კვეთა უფრო საშიშია ლინდასა და შესაძლოა ზაქარისათვისაც, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობა. მართალია ზაქარს გამოკვლევის შედეგად არ აღმოაჩნდა დაუნის სინდრომი ან რომელიმე სხვა დაავადება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაავადების, დეფორმაციის და სამშობიარო ტრავმების რისკი იგივეა, რაც სხვა ბავშვებისათვის. მაგრამ, ჯონისა და ლინდასათვის ეს მშობიარობა იქნება უფრო გარკვეული, კონტროლირებადი და ამდენად უსაფრთხო. მათ ზუსტად იციან რას უნდა ელოდონ. მშობიარობის პროცესი არ იქნება საშიში და მტანჯველი. ისინი ელოდებიან, რომ ბავშვი დაიბადება საკეისრო კვეთით, ისე როგორც დაგეგმილია. მათ უკვე აქვთ ზაქარის სონოგრაფიის ფოტოსურათები, რომელიც ჩააკრეს ბავშვის ალბომში.

ჯონი და ლინდა არ ელოდებიან რაიმე სიურპრიზს. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ზაქარის დაბადება იქნება ჩვეულებრივი, რუტინული პროცედურა. ცოლ-ქმრისათვის დღესასწაული დადგა იმ ღამეს, როცა მიიღეს ამნიონური გამოკვლევის შედეგი და შესვეს მათი ახალი ვაჟიშვილის სადღეგრძელო. ზაქარის შექმნის პროცესში დაბადების ფაქტი დიდ ცვლილებებს არ შეიტანს. იგი არსებობას იწყებს დაბადებამდე ოთხი თვით ადრე.

„გოგო“, „ბიჭია“

ეს იყო ის პირველი სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამდნენ ბავშვის დაბადებისას. მაგრამ, ახლა იგივე სიტყვები დაბადებას თვეებით უსწრებს, რამაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ეს სიტყვები აღარ გულისხმობენ ბავშვის დაბადებას, არამედ აღნიშნავენ სქესის იდენტიფიცირების ფაქტს.

ერთხელ, როდესაც მეორე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ, ნავედი ჩემი შვილის სკოლაში, სადაც სკოლამდელი ასაკის გოგონამ მკითხა ბიჭი მეყოლებოდა თუ გოგო. სასიამოვნო, მზრუნველი, პატარა ბავშვისთვის შესატყვისი ხმით ავუხსენი, რომ ამის შესახებ არ შეიძლება მცოდნოდა, რადგან ბავშვი შიგნით იყო და ამიტომ მის კითხვაზე ვერ ვუპასუხებდი. „თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ მიპასუხოთ“ მითხრა მან. „ჩემმა დეიდამ გაიარა ტესტირება ექიმთან და გაიგო“. ნაყოფის სქესი უკვე აღარ არის საიდუმლო, როგორც ერთ დროს იყო. ყველა ხალხური წარმოდგენა ნაყოფის სქესის გაგების შესახებ მუცლის მალლა თუ დაბლა მდებარეობის მეშვეობით ან სიმზე დაკიდებული ბეჭედის საათის ისრის მიმართულებით, თუ მის საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალების გზით წარსულს ჩაბარდა. დღესდღეობით, იგივე შეიძლება შეიტყო მეცნიერულად. საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვმაც კი იცის ამის შესახებ.

ცვლის კი რამეს ის ფაქტი, რომ ბავშვის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე ცნობილია მისი სქესი? ცოდნა ცვლის მდგომარეობას, რადგან სქესთან ერთად ყალიბდება გენდერი. სქესი არის ქალობის ან კაცობის ბიოლოგიური საფუძველი, ქრომოსომული და ანატომიური იდენტიობა. გენდერი არის სოციალური იდენტიობა, ჩვენი განსხვავებული მოლოდინები ბიჭებისა და გოგონებისადმი, ქალიშვილებისა და ვაჟიშვილებისადმი. გენდერი სცდება X და Y ქრომოსომებს, გენიტალებს და ჩვენს აზრებს იმის შესახებ, თუ რა ტიპის პიროვნებად ჩამოყალიბდება ნაყოფი.

სქესის ცოდნით გამოწვეული ზოგიერთი ცვლილება და, შესაბამისად, მინერული გენდერი, აშკარაა ყველასათვის, ვინც ჩართულია საბავშვო ბიზნესში. ჩვილ ბავშვთა ტანსაცმლის განყოფილების გამყიდველები ორსულ ქალს საუბრის დასაწყისში ყოველთვის ეკითხებიან მომავალი შვილის სქესის შესახებ. ნაყოფის სქესის განსაზღვრის შემდეგ, მომავალი ბავშვის ოთახი მოწყობილი იქნება ბიჭისათვის და განსხვავებულად გოგონასათვის. რამდენადაც ტანსაცმელი, ავეჯი, შპალერი ბიჭების ოთახისათვის უნდა ხასიათდებოდეს უფრო მკვეთრი ფერებით და სწორი ხაზებით, ვიდრე გოგონებისათვის, შესაბამისად, სქესის წინასწარი გაგებით, იმ შემთხვევაში თუ სქესი მამრობითია, შესაძლებელი გახდება ბავშვის ოთახის გაფორმება შესაბამისად.

არსებობს სხვა უფრო ნაკლებად შესამჩნევი ცვლილებაც. მაგალითად, როგორ ცვლის ნაყოფის სქესის ცოდნა ფეხმძიმე ქალის გრძნობებს მომავალი შვილის მიმართ და, თუნდაც, საკუთარ თავთან მიმართებაში? სანამ ამ კვლევას ჩავატარებდი, მაინტერესებდა აღიქვამდა თუ არა დედა სხვადასხვანაირად სხვადასხვა სქესის ნაყოფს? მამრობითი ნაყოფის შემთხვევაში იგრძნობოდა თუ არა ნაყოფის მეტი აქტიურობა, ხოლო მდედრობითის შემთხვევაში უფრო ნაზი, რბილი მოძრაობები? სქესის დადგენის შემდეგ წარმოდგენების გარდა იცვლებოდა ორსული ქალის ქმედებებიც. საქმე ისაა, რომ ფეხმძიმე ქალს შეუძლია გამოიწვიოს ბავშვის მოძრაობების სტიმულირება ხმამაღალი ხმით, განსაზღვრული პოზიციებით და ისეთი ქმედებებით, როგორიცაა სარეცხ მანქანაზე დაყრდნობა. შედეგად მე დამაინტერესა ახდენდნენ თუ არა ფეხმძიმე ქალები, რომელთა ნაყოფი იყო მამრობითი სქესის, ნაყოფის სტიმულირებას, ხოლო მდედრობითი ნაყოფის შემთხვევაში მის დანყნარებას. ასევე მაინტერესებდა, ჭამენ თუ არა ფეხმძიმე ქალები მამრობითი სქესის ნაყოფით უფრო მეტ „მამაკაცურ“ საკვებს–მეტ ხორცს, მეტ ცილებს, თუ ჩვეულებრივ საკვებს, ხოლო ქალები, რომლებიც ატარებენ მდედრობითი სქესის ნაყოფს, უფრო მსუბუქ საკვებს წონის მომატების შიშით? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მე დამაინტერესა ხომ არ გახდებოდა გენდერი თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველება, რაც ვაჟებს ჯერ კიდევ დაბადებამდე აყალიბებს დიდ, ძლიერ და უფრო აქტიურ არსებებად.

იმ ქალთა ნაწილს, რომელთაც გაიარეს ამნიონური გამოკვლევა არ სურთ თავიანთი ნაყოფის სქესის გაგება. ისინი, რომლებიც გეგმავენ ნაყოფის სქესის იდენტიფიცირებას, როგორც წესი, ამის დიდი სურვილიც აქვთ, თუმცა მათ შორის შეიძლება იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ნაკლებად უნდათ მოექცნენ აღნიშნული ინფორმაციის გავლენის ქვეშ ანუ ისეთები, რომელნიც ფიქრობენ, რომ სქესს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

აქ მოცემულია ის კითხვები, რომლის დასმითაც მე დავიწყე ჩემი კვლევა, რომელიც შეეხებოდა ახალი ტექნოლოგიებით ნაყოფის სქესის დადგენის შედეგებს. მაინტერესებდა გამეგო თუ როგორ იღებდნენ ქალები გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ცოდნოდან თუ არა მათი ნაყოფის სქესი და

როგორ ცვლიდა ეს ინფორმაცია მათ გრძობებს და ქცევას ფეხმძიმობის პერიოდში?

მე ასევე მაინტერესებდა იმის გარკვევა, თუ რა გავლენა ექნებოდა ამ ტექნოლოგიებს არა მხოლოდ ფეხმძიმე ქალებზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე? ბევრის მიერ გამოითქვა ერთგვარი შეშფოთება, რომ ნაყოფის სქესის შესახებ ინფორმაცია გამოყენებული იქნება სელექციური აბორტებისათვის, რაც მშობლებს მიანიჭებდა სასურველი სქესის შვილის არჩევის შესაძლებლობას. მარტოხელა დედას, რომელიც გეგმავს ბავშვის მარტო აღზრდას შეიძლება მხოლოდ ქალიშვილის გაჩენა უნდოდეს; მაშინ, როცა ტრადიციულ ოჯახებში პირველ შვილად სასურველია ბიჭი; ხოლო, წყვილს, რომელსაც სურს ორი ბავშვის გაჩენა შეიძლება უნდოდეს ორივე სქესის შვილი. სოციალურ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა ნაწილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მშობელთა არჩევანმა ჩვილის სქესთან დაკავშირებით შეიძლება იქონიოს საშიში სოციალური შედეგები, შექმნას უცნაური დისბალანსი და განაპირობოს სოციალური სტრუქტურის ძირეული ცვლილებების შესაძლებლობა.

სქესის სელექციის საკითხის კვლევისას, მე აღმოვაჩინე რამოდენიმე მოულოდნელობა. გაირკვა, რომ ნაყოფის სქესის გაგება ფეხმძიმობის დროს შეიძლება არ იწვევდეს იგივე რეაქციას, რასაც იწვევს სქესის გაგება ბავშვის დაბადებისას. მე აღმოვაჩინე, რომ ქალებმა, რომლებმაც შეიტყვეს თავიანთი ბავშვის სქესი ფეხმძიმობის დროს აქვთ ისეთი შეგრძნებები და რეაქციები, რომლებიც შეიძლება ერთგვარი სურპრიზი იყოს მათთვისაც.

ამრიგად, დასასრულისათვის ამ თავის ბოლოში დაფუზრუნდები კონკრეტულად ფეხმძიმე ქალის შეგრძნებებს. მართალია, კარგია საზოგადოებაზე აღნიშნული ტექნოლოგიის შედეგების შესახებ საუბარი, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ „საზოგადოება“ აბსტრაქტული ცნებაა, ხოლო ფეხმძიმე ქალი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ტექნოლოგიასთან, რეალური არსება.

ბავშვის დაბადებამდე მისი სქესის დადგენით განპირობებული შედეგები

არჩევანი სქესის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე

იმ ქალთა დაახლოებით 80-90%, რომელთაც ჩაიტარეს ამნიონური გამოკვლევა, ინტერესდებიან მომავალი ბავშვის სქესით. ქალთა ამ ნაწილს სურს შეიგრძნოს ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული ალფრთოვანება რაც შეიძლება მალე. ხოლო მომავალი დედების მეორე ნაწილი კი ითხოვს, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოდ დარჩეს, რადგან ერთ-ერთის თქმით: „ცხოვრება უნდა შეიცავდეს სიურპრიზებს“, ხოლო მეორე განმარტავს: „გაცილებით უფრო სასიხარულოა ბავშვის სქესის გაგება მისი დაბადების მომენტში“. ალისონი, რომელსაც აქვს არასასურველი ფეხმძიმობა და დაგეგმილია ასევე არასასურველი საკეისრო კვეთა, არ დაინტერესებულა ბავშვის სქესით, რადგან, მისი თქმით, ის არაფერს ელის.

ბავშვის სქესის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ალელვება და მხიარულება ერთგვარი საჩუქარია, რომელიც დედებმა შეიძლება ნაყოფის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე უბოძონ საკუთარ თავს ამნიონურ გამოკვლევასთან დაკავშირებული ემოციური ტრამვის შედეგად. კეტრინმა, რომელმაც რამდენჯერმე წარუმატებლად სცადა ამნიონური გამოკვლევის ჩატარება, განაცხადა: „თავიდან მინდოდა შემენარჩუნებინა გარკვეული „ბუნებრიობა“. მაგრამ, მას შემდეგ, რაც შემექმნა პრობლემები ამნიონურ გამოკვლევებთან დაკავშირებით, გადავწყვიტე, რომ ამ არაპროგნოზირებადი ვითარების პირობებში ნებისმიერ გარკვეულობას მივიღებ“.

ადამიანები შეიძლება განიცდიდნენ იმდენ უბედურებას, ნუხილს და ეჭვს, რამდენის გადატანაც შეუძლიათ, ხოლო მათი გადაჭრის ნებისმიერ საშუალებას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჯეკი თვლიდა, რომ „ტყუპების ყოლა უკვე სურპრიზია“, მაშინ, როცა ტერეზა, რომელსაც ერთი წლის წინ ანენცეფალიით გარდაეცვალა ბავშვი, მიიჩნევს: „მე ვერ ვგრძნობ სურპრიზის საჭიროებას, მე მხოლოდ მინდა ბავშვი, რომელსაც ხელში დავიჭერ და შევიყვარებ“.

ნაყოფის სქესის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა გარკვეულწილად ბანალურს ხდის მოთხოვნას ამგვარი ინფორმაციის დაფარვის შესახებ: ამ შემთხვევაში მსგავსი ქმედება აღიქმება, როგორც „მოლოდინი სიურპრიზისა“ ან ერთგვარი „თამაში“. ერთ-ერთმა ქალმა განაცხადა, რომ მას არ სურდა გაეგო თავისი მომავალი ბავშვის სქესი, რადგან, მისი აზრით, ინფორმაცია ბავშვის სქესის შესახებ არის „დაბადების სასწაულის და მისტერიის ნაწილი, რომელიც უნდა გამჟღავნდეს ბუნებრივი დაბადების შედეგად“, თუმცა ბევრისთვის ეს „სასწაული“ და „მისტერია“ გარკვეულწილად ბუნდოვანია. „ერთია, როცა არ იცი ის, რისი გაგებაც რეალურად შეუძლებელია“—ამბობს ქალბატონი და „მეორე, როცა ზიხარ ექიმის წინ, რომელმაც შენი ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაცია უკვე ჩაწერა შენს ანკეტაში“. ზოგჯერ ხდება ისე, რომ დედები, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა „შემთხვევით“ ან შეცდომის შედეგად იგებენ თავიანთი მომავალი ბავშვის სქესს. ლაბორატორიათა უმეტესობაში ინფორმაცია სქესის შესახებ იწერება ექიმის მოხსენებაში, მაშინაც კი, როდესაც დედები ამის წინააღმდეგნი არიან. ვირჯინიას არ უნდოდა გაეგო სქესი და ამის გაკეთება, მისი თქმით, ადვილია, რადგან ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაციის გაცემა თვით მეანებსაც კი აუკრძალა. მაგრამ, იმ პირობებში, როცა ცოდნა ნაყოფის სქესის შესახებ აუცილებლად გამჟღავნდება ნაყოფის ქრომოსომული ტესტირების დროს (შეუძლებელია დამატებითი ქრომოსომების არსებობის შემოწმება იმის გარკვევის გარეშე, თუ რომელი ქრომოსომებია ნაყოფში, X და Y-ის ჩათვლით), ნაყოფის სქესის გაგების ყველაზე ხშირი მიზეზი მაინც შემდეგია: როგორ შეიძლება არ იკითხო მომავალი შვილის სქესი?

აქ მხოლოდ ის კი არაა, რომ ინფორმაცია ხალმისანვდომი გახდა, არამედ ის, რომ ის იციან. მომავალი ბავშვის სქესი ცნობილია სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალისთვის, და როგორც კი ეს ინფორმაცია ხდება სამედიცინო ანკეტის ნაწილი მას ისევე იყენებენ, როგორც ანკეტაში ჩაწერილ ნებისმიერ სხვა ინფორმაციას. ნენსიმ თქვა, რომ მან იკითხა ბავშვის სქესის შესახებ შემდეგი მიზეზის გამო: „მე მინდა, რომ ყველა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ექიმისათვის ჩემთვისაც იყოს ხელმისაწვდომი“.

შესაძლო ინფორმაცია ბავშვის სქესის შესახებ, სამედიცინო ჩანაწერში საბოლოოდ ხდება „პაციენტის მდგომარეობის“ ნაწილი. მარტამ იკითხა თავისი ნაყოფის სქესის შესახებ, რადგან: „მე მჯერა, რომ პაციენტს აქვს უფლება და მორალური პასუხისმგებლობა მისი მდგომარეობის შესახებ იცოდეს იმდენი, რამდენიც შესაძლებელია“. შედეგად სქესს მიენიჭება სამედიცინო ელფერი. ფეხმძიმე ქალი ფეხმძიმობის გამო ითვლება პაციენტად და მისი ნაყოფის სქესი, სამედიცინო ჩანაწერში მისი არსებობის გამო არის დედის მდგომარეობის ნაწილი. სქესი არის პროგნოზირებადი ქრომოსომული მდგომარეობა.

მაგრამ ყველა ქალს არ სურს ფეხმძიმობისა და ნაყოფის სქესისათვის სამედიცინო ელფერის მინიჭება. საფრანგეთში ჩატარებული გამოკითხვისას, რომელშიც მონაწილეობდა 65 ქალი, რომელთაც ჩაიტარეს ამნიონური გამოკვლევა, და 25 ქმარი, რესპოდენტთა უმრავლესობამ „სცადდა ყურადღება არ მიექცია ნაყოფის სქესისთვის, თითქოს ეს სრულიად ჩვეულებრივი ფაქტი ყოფილიყო“. მაგრამ, მკვლევრებმა აღნიშნეს, რომ ჩანაწერის გაკეთების პროცესში მდიენის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ ბევრი ხუმრობა არსებობდა. ეს ხუმრობები, მკვლევრების აზრით, მიუთითებდა „ღრმად გამჯღარ დაურწმუნებლობაზე, რომელიც ნიღაბს ხსნის იმას, რაც ჩვეულებრივ საიდუმლოა“

აქ, რა თქმა უნდა, ისმის კითხვა როგორი დამოკიდებულება მიიჩნევა „ნორმალურად“? მე შემხვდა რამდენიმე ქალი, რომლებიც ფეხმძიმობისათვის სამედიცინო ელფერის მინიჭების წინააღმდეგნი იყვნენ, მათ ჰქონდათ ერთგვარი ფსიქოლოგიური შიში ამნიონური გამოკვლევისა და მისი შედეგებთან დაკავშირებით ისე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „ეს არასოდეს მოხდება“. როდესაც ნაყოფის სქესი არ არის ცნობილი ფეხმძიმობა მიმდინარეობს „ნორმალურად“. ამნიონური გამოკვლევა, რომელიც ტარდება ფეხმძიმობის პირველ ეტაპზე, გავლენას ახდენს მეორე ეტაპზეც. ორიტამ განაცხადა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, არ შეგვეტყო სქესის შესახებ, რათა შეგვენარჩუნებინა საკუთარი გრძნობების სპონტანურობა და კონტროლი“. სამედიცინო ჩარევის შემდეგ ეს სპონტანურობა და კონტროლი იკარგება. როდესაც ქალი

აკეთებს არჩევანს იცოდეს სქესის შესახებ, ის აკონტროლებს ან ჰგონია რომ აკონტროლებს საკუთარ ფეხმძიმობას, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს „ნორმალურად“ ან „სპონტანურად“.

რეალურია: ჩემი ნაყოფი ჩემი ბიჭია

ინფორმაცია ნაყოფის სქესის შესახებ ცვლის ფეხმძიმობის დროს დედის შეგრძნებებს. იგივე ინფორმაცია განაპირობებს ნაყოფის ბავშვად აღქმას და ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს უფრო რეალურს ხდის. „მას შემდეგ რაც გავიგე, რომ ჩემი ბავშვი გოგოა, ის უფრო რეალური გახდა ჩემთვის“, – აღნიშნა კაროლინმა, ხოლო ბონი მის სიტყვებს შემდეგნაირად გამოეხმაურა: „მართალია, ერთი შეხედვით, ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ნაყოფის სქესის გაგების შემდეგ ბავშვი უფრო რეალურია“.

ფეხმძიმობის პერიოდში, რომელსაც უკავშირდება გარკვეული მღელვარება, სქესის შესახებ ინფორმაციის მიღებას და ბავშვის უფრო „რეალურად“ ქცევას შეიძლება ჰქონდეს ძლიერი ემოციური გავლენა. ერთმა დედამ აღნიშნა:

„როდესაც ვიყავი ხუთიდან ექვს თვემდე ფეხმძიმე, დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ყველაფერი კარგად იყო და მე მეყოლებოდა გოგონა. უცაბედად გავაანალიზე მთელი ის დაძაბულობა, რომალსაც განვიცდიდი მთელი ამ კვირების განმავლობაში. გამიჩნდა სურვილი გავქცეულიყავი და მეყიდა ბავშვის ტანსაცმელი და აქსესუარები. ჩემს პირველ შვილს, რომელიც ბიჭი იყო, ვმოსავდი ტანისამოსით, რომელიც ორივე სქესისათვის იყო განკუთვნილი. იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, თუ რას მოვიმოქმედებდი იმ შემთხვევაში შედეგები ნაკლებ სასიხარულო რომ ყოფილიყო. იმ წუთებში ვიყავი ისეთი ბედნიერი, როგორც ბავშვის დაბადებისას არიან ხოლმე დედები–მაგრამ დაღლილობის, დისკოფორტიისა და პასუხისმგებლობის რაიმე განსაკუთრებული გრძნობის გარეშე“.

რამდენიმე კონსულტანტმა, რომლებიც მომავალ დედებს უწევენ კონსულტაციებს ბავშვის დაბადების საკითხის ირგვლივ, გამიზიარეს იმ ქალებთან ურთიერთობის გამოცდილება, რომელთაც ჩაიტარეს ამნიონური გამოკვლევა და შეიტყვეს ნაყოფის სქესის შესახებ. ერთ-ერთმა კონსულტანტმა აღნიშნა:

„ის ქალები და წყვილები, რომელთაც შეიტყვეს თავიანთი მომავალი შვილის სქესი, ნაყოფს აღიქვამენ როგორც ვაჟიშვილს ან ქალიშვილს. ნაყოფმა უფრო სფეციფიკური იდენტობა შეიძინა. ეს არის ძალიან უშუალო და არა აბსტრაქტული კავშირი ბავშვთან. და ეს კარგად ვიცი.“

სქესის დადგენა დედებს მხოლოდ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არ სურთ. ჯოანამ მოითხოვა სქესის დადგენა: „რათა დაეხმარებოდი საკუთარ თავს და ჩემი ოჯახის დანარჩენ წევრებს მომავალი ბავშვის უკეთ აღქმაში“. სქესის შესახებ ინფორმაცია განაპირობებს სხვებისაგან ნაყოფის ისევე „რეალურად“ აღქმას, როგორც ფეხმძიმე ქალისაგან. სქესის მიხედვით იდენტიფიცირებული ნაყოფი უფრო „რეალურია“ და იგი აღქმული იქნება უფრო ყურადღებით – ქმრის, ბავშვების ან მეგობრების მიერ, ვიდრე აბსტრაქტული, უცნობი სქესის ნაყოფი. ინფორმაცია სქესის შესახებ, ზოგიერთის აზრით, ცვლის და განაპირობებს ნაყოფსა და დედას შორის უფრო ახლო ურთიერთობებს. ჯეკმა, რომელიც ტყუპებს ელოდებოდა, განაცხადა, რომ მას უნდოდა სქესის გაგება, რადგან: „ჩვენ გვინდოდა მათთან გვესაუბრა, მოვეფერებოდით, მათთვის გვემღერა და მიგვემართა სახელებით“.

ნაყოფის სქესის დადგენის შემდეგ მასთან უფრო „ახლო“ ურთიერთობებზე საუბრობენ სხვებიც: ნენსიმ აღნიშნა: „მე მინდოდა გამეგო ნაყოფის სქესი, რათა მასთან ურთიერთობა გამხდარიყო უფრო ინტიმური და დაფუძნებოდა ცოდნას. ჩვენ მას დავარქვით მოკლე სახელი და ვგრძნობდით, რომ ის იზრდებოდა ჩვენ, საერთო ცნობიერებაში, როგორც პიროვნება“.

რიგ შემთხვევებში, ნაყოფის სქესის დადგენა სურდათ ქმრებს და ცოლებიც მხოლოდ ამის

გამო დათანხმდნენ სქესის იდენტიფიცირებას.

არსებობს სხვა გზებიც, რომლის მეშვეობითაც ნაყოფი იქცევა ბავშვად, მას შემდეგ, რაც ნაყოფის სქესი ცნობილი ხდება და სქესის დადგენა ასრულებს ზოგიერთ იმავე ფუნქციას, რასაც წარსულში ასრულებდა მშობიარობა:

„თავდაპირველად მე არ ვაპირებდი ბავშვის სქესის გაგებას, მაგრამ მამაჩემი იყო ძალიან ავად და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მას ნაყოფის სქესს ვეცოდით. (მან კატრა მოინახულა ორჯერ, ხოლო მადლიერების დღეს მესამედაც)“. (ბეა)

„ჩემი მამამთილი კიბოთი იყო დაავადებული და ის მალე გარდაიცვლებოდა. მე ჩავთვალე, რომ უკეთესი იქნებოდა თუ მას ჩემი მომავალი შვილის სქესის შესახებ შევატყობინებდი“. (ფილისი)

ამ ორმა ქალბატონმა ნაყოფის სქესის შესახებ ცოდნა გამოიყენა მომავალი ბავშვის ბაბუასათვის მომავალი შვილიშვილის წარსადგენად.

ქალები ხშირად ფიქრობენ თავიანთი მომავალი შვილის სქესის შესახებ. ანა ოკლიმ სამოცი ბრიტანელი ფეხმძიმე ქალის და დედის მსგავსად განაცხადა:

„ფეხმძიმობისას ქალები ყოველთვის წარმოიდგენენ, თუ როგორი იქნება მათი მომავალი ბავშვი. მათ შეიძლება ააგონ წარმოდგენები მომავალი შვილის გარეგნობის, მისი პიროვნების, მისი თვისებების, საქციელის შესახებ ბავშვობაში, მოზრდილობისა და ზრდასრულობის ასაკში. ასეთი წარმოდგენების კონსტრუირება შეუძლებელია ნაყოფის სქესის არცოდნის შემთხვევაში.

ტრადიციული (ამნიონური გამოკვლევის გარეშე) ფეხმძიმობის დროს სხვადასხვა ქალი სხვადასხვანაირად უდგება ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაციის არარსებობას. ზოგიერთი დარწმუნებულია, თუ რომელი სქესის ბავშვი ეყოლება და, ცხადია, ბევრი ცდება ხოლმე. სხვები, სქესზე ინფორმაციის არქონას იმით აბათილებენ, რომ აქვთ ორი განსხვავებული წარმოდგენა თავიანთ მომავალ ბავშვზე, ერთდროულად წარმოიდგენენ თითქოს ისინი არიან როგორც ბიჭის, ასევე გოგოს მშობლები. ასეთი მშობლები ბავშვის დაბადების მომენტში რალაცას აუცილებლად იღებენ და, მეორეს მხრივ, რალაცას კარგავენ, რადგან დაბადებისას ირკვევა სქესი და შესაბამისად მომავალ შვილზე მისი ორი წარმოდგენიდან ერთი მართლდება. ასეთ შემთხვევაში, ბავშვის დაბადებამ შეიძლება განპირობოს ცოტაოდენი უკმაყოფილება, რომელიც წარმოსახული ბავშვის დაკარგვით არის გამოწვეული. მსგავსი უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის სქესის დადგენამაც.

რა განსხვავებაა ბავშვის შესახებ წარმოდგენების შექმნასა და ბავშვის დაგეგმვას შორის? ან უფრო კონკრეტულად, რა განსხვავებაა ქალიშვილზე ოცნებასა და ქალიშვილის დაგეგმვას შორის? განსვავება შემდეგია: ოცნება პატარა გოგოს ოთახზე განსხვავდება ვარდისფერი ხალიჩის შექმნისაგან, რაც ქალიშვილის დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია. მრავალი ქალისათვის ინფორმაციის ფლობა სქესის შესახებ, რომლიც მომავალი ბავშვს უფრო „რეალურს“ ხდის, განაპირობებს ოცნებებიდან რეალურ დაგეგმვაზე გადასვლას: „მე ვყიდულობ ბიჭისათვის საჭირო ნივთებს, რომელსაც არ შევიძენდი სხვა შემთხვევაში“ აღნიშნავს ერთ-ერთი.

სხვა საკითხია, რა განსხვავებაა გოგოს დაგეგმვასა და გოგოს ყოლას შორის. რას ნიშნავს „ყოლა“? „ყოლაში“ იგულისხმება ბავშვის არსებობა დაბადების შემდეგ. დაბადებამდე შეიძლება საუბარი იყოს ბავშვის დაგეგმვასა ან ოცნებაზე. ბავშვის ოთახის შეღებვა მის დაბადებამდე არის ბავშვის დაგეგმვის შემადგენელი ნაწილი. ხოლო ბავშვის ოთახის შეღებვა მისი დაბადების შემდეგ, ბავშვის აღზრდის პროცესის ნაწილია. მას შემდეგ, რაც დედა გაიგებს მომავალი შვილის სქესს, ბავშვის „მოლოდინსა“ და „ყოლას“ შორის არსებული განსხვავება მცირდება და შეიძლება საერთოდ გაქრეს. ვალერიამ, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ იგი ატარებს მდედრობით ნაყოფს განაცხადა:

„რა კარგია იცოდე! მაშინვე დავარქვი სახელი, ვიყიდეთ ვარდისფერი ხალიჩა მისი ოთახისათვის, ჩვენ უკვე გვყავდა ქალიშვილი. მას ვუყიდე ბევრი ტანსაცმელი, მოვუქსოვე

ვარდისფერი გადასაფარებელი. მის ჟურნალში გამოვიყენე მისი სახელი, ეს იყო ჩვენი ბავშვის წინასწარ გაცნობის ფორმა. ახლა ჩვენ კი არ ველოდებოდით, არამედ უკვე გვყავდა გოგონა“.

სქესის მახასიათებლები საშვილოსნოში

თავდაპირველად, როცა დავიწყე გენეტიკური კონსულტაციების კვლევა მივედი ლაბორატორიაში, სადაც სვამდნენ პრენატალურ დიაგნოზს. იქ ჰქონდათ ერთი დიდი ნიგნი, რომელშიც სვეტებად ეწერა 46XX, 46XY, 46XX, და ა.შ. ყველა ნორმალური XX და XY ქრომოსომა, 46 ნორმალური ქრომოსომა. მონაცემები ყველა ჯანმრთელ, ნორმალურ მამრობით და მდედრობითი ნაყოფის შესახებ. სქესის/გენდერის მასშტაბურობა ნიგნის კითხვის დაწყებისთანავე ვიგრძენი. ნაყოფის შესახებ შეიძლება ვიცოდეთ მხოლოდ მისი სქესი. ჩვენ არ გვექნება ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორი იქნება კონკრეტული ბავშვი, მოკეცილი ყურებით თუ პატარა თითებით, თქვენი დედის ნიკაპით თუ თქვენი მეუღლის ყურებით. ჩვენ მხოლოდ სქესის იდენტიფიცირება შეგვიძლია და, შესაბამისად, გვრჩება მხოლოდ ნაყოფის მამრობითობაზე ან მდედრობითობაზე აბსტრაქტული წარმოდგენები. ნაყოფში წარმოდგენილია მხოლოდ გენდერი, ყოველგვარი ინდივიდუალურობის და კონკრეტულობის გარეშე. სქესი არაფრის მთქმელია და, იმავდროულად, ყველაფრის მთქმელიცაა.

ქალების მიერ ნაყოფის მკვდრადშობადობას, ფეხმძიმობის დროს გართულებებს და დაგვიანებული აბორტების აღწერისას იკვეთება ერთი ტენდენცია. თავდაპირველად, ეს ქალები საუბრობენ ფეხმძიმობის პერიოდზე და შემდეგ აღწერენ ბავშვის დაბადების ფაქტს. ბავშვის სქესის შესახებ ისინი საუბრობენ წარსულში: „ეს იყო გოგონა“. ამ მომენტში ამბის სიმძიმე კლებულობს, რადგან, როგორც მთხრობელი, ასევე მსმენელიც პატივს მიაგებენ ნაყოფის ადამიანურობას და რეალურობას. ეს არის მომენტი, როდესაც თვალებზე ჩნდება ცრემლი.

სქესის დადგენას ორი განსხვავებული ფუნქცია აქვს. პირველი, ის ახდენს ნაყოფის კონკრეტიზაციას. თუ არსებობს ნაყოფის სხვა დამახასიათებელი თვისება, ის ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული ნაყოფის დაკონკრეტების მიზნით: „მას ჰქონდა ხვეული თმები“ ასრულებს კონკრეტიზაციის იგივე სიმბოლურ ფუნქციას. თუმცა, სქესის დადგენას აქვს მეორე ფუნქციაც: სქესის იდენტიფიცირების შემდეგ ნაყოფის მიმართ ჩნდება შესაბამისი წარმოდგენები საზოგადოებაში. მომავალი ბავშვის სქესის შესახებ ინფორმაცია არ გულისხმობს ინფორმაციას მხოლოდ მისი ქრომოსომული ან ანატომიური განსხვავების შესახებ. სქესის იდენტიფიცირების შემდეგ ხდება მომავალი ბავშვის საოციალური როლის განსაზღვრა, რაც გულისხმობს ჩვენს მოლოდინს ბავშვის მომავალზე.

ის, რომ სქესი გულისხმობს განსხვავებას ქრომოსომულ დონეზე არის ბედისწერა და მე მჯერა, რომ ეს არის ცუდი ბედისწერა. არსებობენ სხვა ძალიან აშკარა განმასხვავებელი ანატომიური ნიშნები, რომლებიც არიან უხილავი ქრომოსომების დონეზე: კანის ფერი და სიმაღლე ამის კარგი მაგალითია. განსხვავებები ორ, 5 ფუტისა და 6 ინჩის სიმაღლის მქონე 140 ფუნტიან თეთკანიან მამაკაცსა და ქალს შორის ქრომოსომულად რადიკალურია, ვინაიდან ერთი ქალია და მეორე კაცი. ხოლო, განსხვავება სხეულის მიხედვით ხუთ ფუტიან, 100 ფუნტიან შავი კანის ფერის მქონე ქალსა და ექვს ფუტიან, 200 ფუნტიან თეთრი კანის ფერის ქალს შორის ფიზიკურად დიდია, ხოლო ქრომოსომულად შეუმჩნეველი.

ქრომოსომული ტესტირებით შესაძლებელია რომ იყოს მომავალი ბავშვის სიმაღლის ან თმის ხვეულობის ხარისხის განსაზღვრა, ეს გავლენას იქონიებდა დედის წარმოდგენებზე ფეხმძიმობის დროს. თუ ქალი შეიტყობდა, რომ ბავშვს ექნებოდა ხვეული თმები, დარწმუნებული ვარ, რომ დედას გაუჩნდებოდა წარმოდგენები მისი მომავალ ხვეულთმებიან ბავშვზე, დააკვირდებოდა ასეთ ბავშვებს სკოლის ეზოში, მოკლედ, თავის ბავშვზე იფიქრებდა ცოტა განსხვავებულად, მაგრამ წინასწარ შეიძლება შევიტყოთ არა მომავალი ბავშვის თმის ხარისხი, არამედ მხოლოდ სქესი.

სქესის წინასწარ გაგება არა მარტო უფრო „რეალურს“ ხდის ნაყოფს მშობლისთვის, არამედ, შედეგად დედის წარმოდგენაში დაბადებამდე იწყებს არსებობას, ან ქალიშვილი ან ვაჟიშვილი. ორი ქალი, რომელმაც უარი განაცხადა ამნიონურ გამოკვლევაზე და სისხლის ტესტირების შედეგად ნაყოფის სქესის გაგებაზე, გულახდილად ისაუბრა თემაზე, თუ როგორ ცვლის ცოდნა სქესის შესახებ მომვალი ბავშვის მიმართ დამოკიდებულებას:

„ჩემთვის ჯერ არდაბადებული ბავშვის სქესის არცოდნა ფეხმძიმობის განსაკუთრებულობის ნაწილია. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ჩვენ გვაქვს ურთიერთობა მის სულთან წმინდა და ობიექტური სახით—ეს არის ურთიერთობა სქესის გარეშე“.

„მე მეტად განსხვავებული მოლოდინები მაქვს სქესთან დაკავშირებით, ეს ცოტათი მიკარგავს წონასწორობას, მაგრამ უფრო ღია ვარ მივილო ბავშვი, როგორც ასეთი“.

ეს ორი ქალბატონი მართალია. ინფორმაცია ნაყოფის სქესის შესახებ გავლენას ახდენს ჩვენს წამოდგენებზე მომავალ ბავშვთან დაკავშირებით.

მე, ისევე როგორც სოციალური სფეროში მოღვაწე ბევრი მკვლევარი, ვთვლი, რომ სქესის სოციალიზაცია იწყება დაბადებისთანავე. ინფორმაცია ბავშვის სქესის შესახებ განაპირობებს სხვების მიერ ბავშვის განსხვავებულად აღქმას. ახალდაბადებულნი შეიძლება გამოიყურებოდნენ ერთნაირად, მაგრამ აღიქმებიან განსხვავებულად. თქვენ, ალბათ, ხშირად გაგიგონიათ საუბარი, სადაც შვიდნახევრ ფუნტიანი გოგონას ხელები დახასიათებულია, როგორც „ნაზი, პატარა თხელი თითები“: ხოლო იგივე წონის ბიჭის ხელებზე უთქვამთ: „შესანიშნავი პატარა მუჭები“. ჩვილ ბიჭზე ხალხი ფიქრობს განსხვავებულად, ვიდრე ჩვილი გოგონაზე და შესაბამისად განსხვავებულია დამოკიდებულება მათ მიმართ.

ახლა თავად ნაყოფის შესახებ. ინტერვიუს დროს მე ვთხოვე ყველა რესპოდენტს, მიუხედავად იმისა, იცოდნენ თუ არა თავისი მომავალი ბავშვის სქესი, აღწერათ ნაყოფის მოძრაობები ფეხმძიმობის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში. სიტყვები „აქტიური“ და „ძალიან აქტიური“ ხშირად იქნა გამოყენებული თითქმის ყველა რესპოდენტის მიერ. გაგაცნობთ მხოლოდ იმას პასუხებს, რომელთაც იცოდნენ საკუთარი ნაყოფის სქესი:

დედებმა, რომელთა ნაყოფიც მდედრობითი იყო განაცადეს, რომ მოძრაობები იყო შემდეგნაირი:

- ძალიან რბილი, ნელი, მბრუნავი;
- ზომიერი, ნაკლებად ძლიერი;
- ძლიერი, დარტყმებით;

სუსტი მოძრაობები, რომლებიც განპირობებულია დედის დახრილი მდგომარეობით; არაშემანუხებელი აქტიურობა—მოძრაობდა ძირითად გვიანი ღამის პერიოდში; მრავალი სწრაფი დარტყმები, პატარა მოძრაობები; ძალიან არაკომფორტული მოძრაობა; აქტიური; ჩოცხალი; ენერგიული; გარკვეულწილად აქტიური; ოდნავ არასასიამოვნო; მშვიდი დილას და შუადღეს; დიდი მბრუნავი მოძრაობები; სასიამოვნო, მაგრამ არა ზედმეტად ენერგიული მოძრაობები.

დედებმა მამრობითი ნაყოფით თქვეს, რომ მოძრაობები იყო შემდეგნაირი:

- ხშირი ხტუნვა და ძალიან ენერგიული მოძრაობები;
- ფეხების მიჭერა ნეკნების მიმართულებით;

მინისძვრის მსგავსი მოძრაობები;
კანის დაჭიმვა, თითქოს ბავშვი ტრიალებდა და ბრუნავდა;
მშვიდი, მაგრამ ძლიერი;
ირგვლივ ბრუნვები მცირე დარტყმებით და ბიძგებით ზევით და ქვევით;
მნიშვნელოვანი რხევები გულ-კერდის ღრუს მიმართულებით;
ენერგიული;
დარტყმები გულ-მკერდის მიმართულებით ბრუნვებით;
ენერგიული მოქმედებები დაჯდომის და დანოლის დროს;
ძალიან ძლიერი;
არასასიამოვნო;
ძალიან ძლიერი;

რას გვიჩვენებს მოცემული ცხრილები ნაყოფის სქესის აღქმის შესახებ? სიტყვა „ცოცხალი“ არსად არ იქნა ნახსენები ნაყოფის მოძრაობების მამრობითი აღწერისას. არც ძალადობრივი, არც ზედმეტად ენერგიული და არც სშინლად აქტიური არ იქნა გამოყენებული მდედრობითი ნაყოფის მოძრაობების აღწერისას. სიტყვა „ძლიერი“ უფრო მეტად გამოიყენეს მამრობითი ნაყოფის შემთხვევაში. ენერგიული იქნა ნახსენები რამდენჯერმე მამრობითის შემთხვევაში და ერთხელ მდედრობითი ნაყოფის დახასიათებისას, იმ ქალმა რომელმაც თქვა, რომ მას არ უნდოდა ნაყოფის სქესის გაგება, თუმცა მისი ქმრის მოთხოვნით იძულებული გახდა თქვა: „მე მჯერა, რომ სქესი არ არის მთავარი ატრიბუტი, რომელსაც ადამიანი ფლობს“. არც ერთ სხვა ქალს არ გამოუყენებია ტერმინი „ენერგიული“, როდესაც ახასიათებდა თავის ნაყოფს და იცოდა, რომ ის იყო მდედრობითი სქესის. აღსანიშნავია ის, რომ თუმცა რამდენჯერმე აღინიშნა მამაკაცური თვისებები მდედრობითი ნაყოფის დახასიათებლად, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ იქნა ნახსენები ქალური თვისებები მამრობითი ნაყოფის მოძრაობების აღწერისას. დაკვირვების მთავარი შედეგი შემდეგში მდგომარეობს: მამაკაცური ხასიათი უფრო მისაღებია ქალებისა და გოგონებისათვის, ვიდრე ქალური თვისებები კაცებისა და ბიჭებისთვის.

იმ ქალებმა, რომელთაც უარი თქვეს ამნიონურ გამოკვლევაზე (და ასევე იმ ქალებმა, რომელთაც ვერ შეიტყვეს ნაყოფის სქესი ამნიონური გამოკვლევის შედეგად) გამოიყენეს შემდეგი სიტყვები: ცოცხალი, ძლიერი, ენერგიული, ოღონდ, სქესობრივი მოლოდინების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთან ინტერვიუს დროს რამდენიმე მათგანს უკვე ეყოლა ბავშვი და, ე.ი. იცოდა მისი სქესი. თუმცა ამ გამოცდილებას არ ჰქონია ზეგავლენა ფეხმძიმობის დროს ნაყოფის მოძრაობების დახასიათებაზე. ნაყოფის „ენერგიული“ ქმედება არ იყო ხელახლა განსაზღვრული, როგორც „ცოცხალი“, მას შემდეგ რაც ნაყოფი აღმოჩნდა გოგო, და არც „ცოცხალი“ ქმედება არ იქნა თავიდან განსაზღვრული, როცა ნაყოფი ბიჭი აღმოჩნდა. ნაყოფის მოძრაობები, როცა მისი სქესი არ არის ცნობილი, დედის ფეხმძიმობის გამოცდილების ნაწილია და არ არის აუცილებელი შესაბამისობაში იყოს ნაყოფის სქესთან. ქალი, რომელმაც არ იცის ნაყოფის სქესი, შეუძლია თავისი ფეხმძიმობა აღწეროს ბავშვის აღწერის გარეშე.

მდენად, სქესის იდენტიფიცირება ქმნის ახალ ფენომენს: ნაყოფის სქესს. პიროვნების ახალი კატეგორია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს: ნაყოფი ბიჭები და ნაყოფი გოგნები.

„გონება, რომელიც თითოეულ სხეულში იწვის“ ქალები, გაუპატიურება და რასობრივი ძალადობა

ჟაკლინ დოუდ ჰოლი*

მას შემდეგ, რაც 1975 წელს სიუზან ბრაუნმილერმა გაუპატიურების შესახებ თავისი რევოლუციური ნაშრომი გამოაქვეყნა, რადიკალმა ფემინისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაუპატიურებას მამაკაცური უპირატესობის შესანარჩუნებლად. „სხეულის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა“ შორის მათ მიმოიხილეს ქმრის მიერ ცოლის ცემა და მამასა და ქალიშვილს შორის ინცესტის ფაქტებიც. თუმცა, ამავე დროს, იყვნენ სხვა ფემინისტები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ბრაუნმილერს, მის მოდელს იმ მიზეზით იწუნებდნენ, რომ იგი არ იყო აგებული პრობლემის ისტორიულ ჭრილში განხილვის საფუძველზე. ბრაუნმილერის აზრით, გაუპატიურება წარმოადგენს, მამაკაცის მიერ ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის პარადიგმას, რომელსაც ვერც დრო და ვერც ვერანაირი სოციალური გარემოება ვერ ცვლის. შავკანიანი ფემინისტები განსაკუთრებული ეჭვის თვალთ უყურებდნენ იმას, რომ ბრაუნმილერი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა რასობრივი ჩაგვრის საკითხს, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე ა.შ.შ.-ში არსებული გაუპატიურების პრობლემის განხილვისას.

ჟაკლინ ჰოლი იზიარებს რადიკალი ფემინისტების მოსაზრებას, რომ გაუპატიურება მამაკაცური ტერორის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, თუმცა მისთვის იგივე გაუპატიურება კონტროლის სხვა ფორმების შენარჩუნებას უწყობს ხელს. იგი ამტკიცებს, რომ პოსტ-რეკონსტრუქციულ სამხრეთში გაუპატიურება - ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობა განუყოფელად უკავშირდებოდა ლინჩის წესით გასამართლებას ანუ მამაკაცთა წინააღმდეგ ტერორს. ორივე სახის ტერორი საჭირო იყო იმ საზოგადოებისთვის, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა არა მხოლოდ მამაკაცთა კონტროლი ქალებზე, არამედ თეთრკანიან მამაკაცთა კონტროლი თეთრკანიან ქალებსა და შავკანიან მამაკაცებზე. გაუპატიურება არ წარმოადგენდა მხოლოდ ძალადობრივ აქტს. ეს იყო ამბავი, რომელსაც მამაკაცები ერთმანეთს უყვებოდნენ და ამით ამკვიდრებდნენ ძალადობის სხვა ფორმების ლეგიტიმაციას, ხოლო თავად ძალადობა აღმგზნები და სიამოვნების მომნიჭებელი საშუალება ხდებოდა. ჰოლის თვალსაზრისით, თუკი მთელს ამ ისტორიაში მოხერხდება ისეთი ელემენტების გაბათილება, როგორიცაა

თეთრკანიან მამაკაცთა უდანაშაულობა, შავკანიან ქალთა ამორალურობა და შავკანიან მამაკაცთა ავხორცობა, მაშინ ფემინისტები შეძლებენ სათანადოდ დაუპირისპირდნენ გაუპატიურებას.

ადამიანის სხეულისკენ მიმართული მტრობა

ფლორიდა, შავკანიანის ცოცხლად დანვა:

სექსუალური დამნაშავე, რომელიც ძალით გამოიყვანეს ციხიდან, სასტიკად აწამეს-

მას კანონგარეშედ დასჯიან და ცეცხლს მისცემენ ჩადენილი ქმედებების გამო

-დოტანი (ალაბამა)

Eagle, 26 ოქტომბერი, 1934

* ჟაკლინ დოუდ ჰოლი, „გონება, რომელიც თითოეულ სხეულში იწვის“: ქალები, გაუპატიურება და რასობრივი ძალადობა, 1984 (გვ. 328-343)

შავკაციანი ტყეში წაიყვანეს.
პენისი მოაჭრეს და აიძულეს, რომ ეჭამა.
მერე სათესლეები მოაჭრეს,
ძალით აჭამეს და ათქმევინეს, რომ მოენონა.

-ლინჩის ჯგუფის წევრი, 1934

ლინჩის წესით გასამართლება ისევე, როგორც გაუპატიურება, ისტორიულ ჭრილში არასდროს განუხილავთ. როგორც ჩანს, ისინი ძალიან იოლად მოაქციეს „თეთრკანიანთა მარტივი“ სტერეოტიპების ჩრდილქვეშ. ალბათ, საკმაოდ რთული იყო ლინჩით გამოწვეული აბსოლუტური ვიქტიმიზაციის იმიჯის შეთანხმება იმასთან, რაც ჩვენ შავკანიანთა შეუდრეკელობისა და ბრძოლისუნარიანობის შესახებ ვიცით. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ლინჩის წესით გასამართლებას, არა მარტო როგორც რეალურ ქმედებას, არამედ როგორც გარკვეულ სიმბოლოს, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. 1882 წლიდან მოყოლებული 1946 წლამდე დაახლოებით 5000 ადამიანი გასამართლდა ლინჩის წესით. 1955 წელს ემეტ ტილი გაასამართლეს იმის გამო, რომ თეთრკანიან ქალს დაუსტვინა, 1960-იან წლებში მისისიპიში სამოქალაქო უფლებების სამი მუშაკი მოკლეს, ხოლო 1981 წელს ალაბამაში ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცი ჩამოახრჩვეს. თითოეული ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ძლიერი იყო რიტუალური ძალადობის ეს ტრადიცია, რომელიც ემსახურებოდა რასობრივ კონტროლს და რომელიც, საბოლოოდ, სექსუალობის პოლიტიკასთან მიბმული აღმოჩნდა. ვიგილანტიზმი⁸, ანუ ჯგუფური გასამართლება მე-18 საუკუნეში გაჩნდა და კანონის დაცვის სფეროში არსებული სიცარიელე შეავსო. მან საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი და ლინჩის წესით გასამართლება სამხრეთის მონური საზოგადოების გამორჩეული სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა. მე-19 საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის გზაზე მგომმა ჩრდილოეთმა არჩია თანამედროვე სამართლებრივი სისტემა, რომელიც პოლიციის, სასამართლოებისა და ციხეების საშუალებით უზრუნველყოფდა კანონის მიუკერძოებულ, ბიუროკრატიულ უზენაესობას. ეს, თავის მხრივ, კერძო საკუთრების უფლებების დაცვასა და არაკანონმორჩილი მუშების გაკონტროლებას უწყობდა ხელს. სამხრეთმა კი, პირიქით, წესრიგი მონინებისა და ყოფითი ავტორიტეტის საშუალებით შეინარჩუნა, რომლის შიგნითაც ყველა თეთრკანიანი ყველა შავკანიანზე არაფორმალურ პოლიციურ ძალაუფლებას ფლობდა, ხოლო მონათა მეპატრონეები თავიანთ პლანტაციებში სამართალს ოფიციალურად მიღებული ყოველგვარი კანონის გარეშე იცავდნენ. სახელმწიფო, თავის მხრივ, ვიგილანტიზმს უწყობდა ხელს ის არ იყო დაინტერესებული ჰქონოდა ოფოციალურად არსებული მართვის მკაცრი სისტემა, რომელიც ძირს გამოუთხრიდა პლანტაციების მეპატრონეთა პრეროგატივას. პირველი სისტემის მიზანი კლასთა კონტროლი, ხოლო მეორე სისტემის ამოცანა კი მონათა კონტროლი იყო. ორივე ტრადიცია სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა. ჩრდილოეთში ქარხნების ტიპის ციხეებში ინდუსტრიული პროლეტარიატის ყოფილი წევრები ისხდნენ. სამხრეთმა, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ინდივიდუალური ძალადობის ძალიან მაღალი დონე შეინარჩუნა. ლინჩის წესით გასამართლება არაოფიციალური კანონალსრულებიდან ამკარა პოლიტიკურ ტერორიზმად გადაიქცა.

თეთრკანიანთა უპირატესობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ძალაზე არ იყო დაფუძნებული. არსებული ინსტიტუციური მექანიზმი ყველანაირად უშლიდა ხელს freedmen-ებს⁹ გამხდარიყვნენ მინის მფოლობელები, ან ჰქონოდათ ხმის მიცემის უფლება, მიელოთ განათლება ან ჰქონოდათ კანონის აღსრულებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ლინჩის წესით გასამართლებამ თავის უმაღლეს მწვერვალს ე.წ. სამხრეთის რეორგანიზაციის და პოპულისტთა

⁸ Vigilante- ჯგუფის წევრი, რომელიც თავისივე ძალებით ცდილობს აღკვეთოს დანაშაული ან დასაჯოს დამნაშავე, რადგანაც ფიქრობს, რომ პოლიცია საკუთარ მოვალეობას კარგად არ ასრულებს (თ.პ)

⁹ Freedmen- ასე უწოდებდნენ ადამიანებს, რომლებიც 1862 წელს ა.შ.შ-ს კონგრესის მიერ მიღებული კონფისკაციის აქტის მიღების შედეგად მონობისაგან გათავისუფლდნენ (თ.პ)

აჯანყების დროს მიაღწია. მას შემდეგ, რაც ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის ახალი სისტემა შემუშავდა და სეგრეგაციამაც მყარად მოიკიდა ფეხი, მასების ძალადობამ, ანუ თვითგასამართლების შემთხვევებმა თანდათანობით იკლო. თუმცა პირველ მსოფლიო ომამდე ლინჩის წესით გასამართლება კვირაში სულ ცოტა ორჯერ ან სამჯერ მაინც ხდებოდა. ოციან და ოცდაათიან წლებში მასების ძალადობამ თეთრკანიანთა პრივილეგიებზე მდგომარეობა კიდევ უფრო გააძლიერა, რადგანაც პლანტაციის მფლობელებს საშუალება მიეცათ ვითომდა ოფიციალური გზებით მოეყვანათ აღსრულებაში შრომითი შეთანხმებები და მოსავალზე ყადაღის დადების აქტი. ადგილობრივი მმართველები კი სარგებლობდნენ ამ სიტუაციით და პლანტატორების მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. შესაძლოა ვილაცის ლინჩის წესით გასამართლება ინდივიდუალური ახირების შედეგად მომხდარიყო, მაგრამ რაც შეეხება ოფიციალურ თანხმობას, უკვე აღარ იყო პირდაპირი და ღიად გაცხადებული.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლინჩით გასამართლება გადაიქცაშავკანიანებისკენ, როგორც ჯგუფისკენ მიმართულ ფსიქოლოგიური დაშინების იარაღად. ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ლინჩის ჯგუფის ახირებულობასა და თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. დიდი ძალისხმევით და მონდომების შედეგად, ადამიანს შეეძლო კანონს ხელიდან დასხლტომოდა, ხოლო ლინჩის ჯგუფისაგან დამალვა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ის შეიძლებოდა ყოველ წამს და ყოველი მხრიდან გამოჩენილიყო. გაჩნდებოდა თუ არა ახალი ქორი, მაშინათვე გამოცხადდებოდა ადამიანზე ნადირობა და ადგილობრივ გაზეთებში ქვეყნდებოდა განცხადებები ლინჩის წესით გასამართლების შესახებ. როგორც წესი, ცოტას თუ შეეძლო ამ სიტუაციაში მოწყალების მიღება. თუკი უკვე იდენტიფიცირებული მსხვერპლის მოძებნა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ შეეძლოთ მის ნაცვლად უდანაშაულო თვითმხილველი დაესაჯათ.

ლინჩის წესი დამთრგუნველი იყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი სიკვდილის შიშს იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ მასების ძალადობამ იკლო, მას უფრო და უფრო ხშირად ახლდა წამება და სექსუალური დასახიჩრება. ჰიტლერის მიერ ჩატარებული სასიკვდილო წმენდის პირველი ეტაპის დახასიათება შემადრწუნებლად ზუსტად მიესადაგება ლინჩის წესით გასამართლებას: „კლავდნენ გზა და გზა, დაუგეგმავად, რაც შეიძლება ორიგინალური ფორმით, ფანტაზიის უხვად გამოყენებით, რომ რაც შეიძლება გამომხატველი ყოფილიყო ეს ყოველივე. . . ეს იყო შემზარავი მკვლელობა, თავის ანონიმურ ინტიმურობაში გამოსატყუი; მტრობა, რომელიც უშუალოდ მიემართებოდა ადამიანურ სხეულს, თან ისე, რომ სიკვდილის აბსტრაქტული გაგება აღარ იყო საკმარისი.“

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კომუნიკაციისა და ფოტოგრაფიის განვითარებამ რეპორტირებას, ანუ ამბის გადმოცემას ის ცხოველმყოფელობა შესძინა, რომელიც მას ადრე არ ჰქონდა. ადამიანთა მიერ განვლილი ტანჯვა-წამების გახსენებით თეთრკანიანი მკითხველი აგრესიის თითოეული აქტის თანამონაწილედ ხდებოდა, ხოლო შავკანიანები თავიანთ უძლურებაში კიდევ ერთხელ რწმუნდებოდნენ. მონების გაშოლტვის მსგავსად, ლინჩით წესით გასამართლებაც ის ძალადობრივი ინსტრუმენტი იყო, რომელიც ზეგავლენას არა მარტო უშუალოდ მსხვერპლზე ახდენდა, არამედ იმათზეც, ვინც ნახა ან მოისმინა ამ ძალადობრივი აქტის შესახებ. მედიის საშუალებებმა კი სახიზრებელა და შეკეთებული კოცონი იმ ადგილის ფარგლებს გარეთ გაიტანეს, სადაც უშუალოდ ასამართლებდნენ ლინჩის წესით. რიჩარდ ვრაითი 1920-იან წლებში სამხრეთში გატარებულ ბავშვობას აღწერს და ცდილობს გადმოსცეს შიშის ის საშინელი გრძნობა, რომელიც ამ პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი:

„ჩემს, ანუ შავკანიანი ადამიანის საქციელზე ზეგავლენას ახდენდა არა მხოლოდ ის, რაც უშუალოდ მე გადამხდა თავს; საკმარისი იყო, რომ გამეგო რაიმე და მე უკვე ვგრძნობდი ამ ამბის სრულ ზეგავლენას ჩემი ცნობიერების სიღმისეულ შრეებზეც კი. თეთრკანიანთა სისასტიკე, რომელსაც მე უშუალოდ არ მოვსწრებოვარ, უფრო ეფექტურად აკონტროლებდა ჩემს საქციელს, ვიდრე ის, რაც უშუალოდ მე საკუთარი თვალთ მინახავს. ამ ყველაფრის უშუალოდ განცდა საშუალებას მომცემდა უფრო ნათლად დამენახა ის, რაც რეალურად მოხდა; მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეს ყოველივე ჩემგან განყენებულ საშინელებად დარჩა, რომლის სასტიკი და სისხლიანი ხელები ნებისმიერ მომენტში შეიძლება შემხებოდა, იძულებული გავხდი

მთელი ჩემი წარმოსახვითი უნარი ამემოქმედებინა და დამეხარჯა მასზე.“

მოკვეთილი და მსხვერპლის პირში ჩატენილი პენისი. ათასობით ადამიანი უყურებს იმას, თუ როგორ ღრიალებს შავკანიანი მამაკაცი ტკივილისაგან. არ არის აუცილებელი, რომ ასეთი შემთხვევები ხშირად მოხდეს ან უშუალოდ იქნას განცდილი, რათა სამუდამოდ დაილექოს გონებაში.

II

ეს ყოველთვის მისი (ქალის) თანხმობით ხდება

„თეთრკანიანი მამაკაცები გამუდმებით იმეორებენ ამას- და ჩვენც დავიჯერეთ ის, რაც ასე ხშირად გვესმოდა, რომ უმნიშვნელო შავკანიანი ქალები ბუნებაში არ არსებობენ, რომ შეუძლებელია მათ მიმართ ძალადობის განხორციელება, ვინაიდან არასდროს არაფერი ხდება მათი სურვილის საწინააღმდეგოდ.“

-ჯეისი დანიელ ამესი (1936)

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ფემინისტები სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო არიან დახელოვნებულნი, ვიდრე სქესობრივის, მათთვის მაინც ნაცნობი თემაა ლინჩის წესით გასამართლების პოლიტიკური დატვირთვა. გაუპატიურებასა და ლინჩით წესით გასამართლებას შორის ანალოგიები გაუპატიურების საწინააღმდეგო მოძრაობის ლიტერატურაში ხშირად წამყვანი თემა იყო. მსგავსი ანალოგიებით ზედმეტად გატაცება ქმნის იმის საშიშროებას, რომ ჩვენ იმ რადიკალი ფემინისტების შეცდომას გავიმეორებთ, რომელთაც რასიზმის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს, როდესაც სქესობრივი სუბორდინაციის სააშკარაოზე გამოტანას ცდილობდნენ. წინამდებარე ნაშრომში დაფიქსირებულია თვალსაზრისი, რომ ძალადობის ამ ორ ფორმას შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოძახილი არსებობს. ჩვენ მხოლოდ ახლა ვინყებთ იმ ურთიერთკავშირების ქსელის შესწავლას, რომელიც რასიზმს, ქალთა მიმართ დამოკიდებულებასა და სქესობრივ იდეოლოგიას შორის არსებობს. რეპრესიული ძალადობის დინამიკის უფრო ახლოდან შესწავლის მიზანია ჩახლართული ქსელის გარკვეული ნაწილების წარმოჩენა და არა სექსუალური ძალადობისა და ჯგუფური მკვლელობის სტატიკურ ექვივალენტებად გადაქცევა.

ლინჩის წესით გასამართლებასა და გაუპატიურებას შორის ყველაზე ნათელი ასოციაცია ჩნდება მაშინ, როდესაც მათ შორის პარალელს რასობრივი სუბორდინაციის ფარგლებში ავლებენ. როგორც დაიანე ლუისმა აღნიშნა, პატრიარქატულ საზოგადოებებში შავკანიანი მამაკაცები, როგორც მამაკაცები, საშიშროებას უქმნიდნენ უკვე არსებულ და გაბატონებულ წყობას. კანონების ფორმულირებაც ისე ხდებოდა, რომ შავკანიანი მამაკაცები სრულად გამოერიცხათ საზოგადოებრივ სფეროში მამაკაცთათვის დადგენილი უპირატესობებიდან. ლინჩის წესით გასამართლება კი გამორიცხვის ამ სამართლებრივ მექანიზმთან შესისხლხორცებული აღმოჩნდა. შავკანიანი ქალები უფრო გაურკვეველ საფრთხეს წარმოადგენდნენ. პოლიტიკური და სამართლებრივი სფერო მათთვისაც ჩაკეტილი იყო, მაგრამ ამ შეზღუდვას ისინი როგორც ზოგადად ქალები, ისე განიცდიდნენ. შესაბამისად, ეს ყოველივე ნაკლებ ვნებათა ლელვას იწვევდა და ნაკლებ ძალისხმევასთანაც იყო დაკავშირებული. ლინჩის წესით გასამართლება ძირითადად იქითკენ იყო მიმართული, რომ ხაზი გაესვათ მამაკაცთა შორის არსებული იერარქიისთვის. ხოლო შავკანიან ქალთა მიმართ ძალადობა კი რასობრივი და სქესობრივი საფრთხის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა. **Freedmen**-ების ბიუროს ჩანაწერები და **Federal Writers Project**-ის მიერ შეგროვებული ზეპირი ისტორიები მოწმობენ იმ სისასტიკეს, რომლის ატანაც შავკანიან ქალებს უხდებოდათ. თეთრკანიანები ყოველანაირად ცდილობდნენ, ახლად გათავისუფლებულ მონებზე გავლენა კვლავ შეენარჩუნებინათ. იყო

შემთხვევები, როდესაც შავკანიან ქალებს ლინჩის წესით გასამართლებას უწყობდნენ, თუმცა ძირითადად ისინი სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

ვიგილანტიზმის მსგავსად, შავკანიან ქალთა სექსუალური ექსპლოატაციის ინსტიტუციონალიზაცია მონობის ფარგლებში მოხდა. სამხრეთის პატრიარქატული ძალაუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო ის, რომ შავკანიანი ქალები თეთრკანიანი მამაკაცებისათვის სქესობრივი კავშირის დასამყარებლად იოლად ხელმისაწვდომი იყვნენ - ზოგჯერ ძალის გამოყენებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი მონასა და ბატონს შორის არსებული ურთიერთობის წყალობით. სქესობრივი კავშირის საშუალებით სჯიდნენ, ან მას შეწყნარების საფასურად ითხოვდნენ. ქვეშემდრომობის მსგავსად, სექსუალური ძალადობა ხელს უწყობდა პლანტატორთა ჰეგემონიას. გარდა ამისა, ამ ყოველივეს ფინანსური დაინტერესებაც ახლდა და მიზნად ისახავდა მონური შრომითი რესურსის განახლებას.

სამოქალაქო ომის შემდეგ არაფორმალური სქესობრივი კავშირები გაუპატიურების, როგორც ერთგვარი პოლიტიკური იარაღის, ჩრდილქვეშ მოექცა. შავკანიან ქალთა განსაკუთრებულმა დაუცველობამ ხელი შეუწყო ყოფილი მონების ბრძოლას თავისუფლებისათვის აუცილებელი წინაპირობების მოპოვებისათვის. ძლიერი ოჯახური კავშირები მონობის სისასტიკეს გადაურჩა; გათავისუფლების შემდეგ შავკანიანთა ოჯახი რასისტული საზოგადოებისაგან დამცავი კედლის ფუნქციას ასრულებდა. ის, რომ საზიაროდ მოსავლის მოყვანის მექანიზმი სამხრეთში წარმოების ერთ-ერთ წამყვან სახეობად იქცა, იქიდან იღებდა სათავეს, შავკანიანებს აღარ სურდათ ჯგუფურ საქმიანობაში მონაწილეობა, ისინი ცდილობდნენ, რომ საკუთარი საქმე, ოჯახი და ფიზიკური უსაფრთხოება მათსავე ხელში ყოფილიყო. ამგვარ ოჯახებში ქალებს ეძლეოდათ საშუალება თავი დაეღწიათ რომ თეთრკანიანი მამაკაცების მეთვალყურეობისაგან, თავიანთი პროდუქციული და რეპროდუქციული ძალები საკუთარი ოჯახებისაკენ მიემართათ და სექსუალური ძალადობისაგან დაეცვათ თავი.

რასობრივ ძალადობაზე შექმნილ შრომებში ქალთა საკითხები, როგორც წესი, უმნიშვნელო ყურადღებას თუ იმსახურებდა. გაუპატიურებაც კი დანახული იყო უფრო როგორც თეთრკანიან და შავკანიან მამაკაცთა შორის შეთანხმება, ვიდრე სქესობრივი ზენოლის ერთ-ერთი ასპექტი. კლოდ ლევი სტროსის დაკვირვების მიხედვით, მამაკაცები ქალებს როგორც ზმნებს ისე იყენებენ, იმისათვის რომ ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია (გაუპატიურება დამარცხებული მხარისათვის დამარცხების შეტყობინების საშუალება იყო). ეს კი გვაძლევს საშუალებას ავხსნათ პოსტ-ემანსიპაციურ ეპოქაში არსებული სექსუალური ძალადობის განსაკუთრებული სისასტიკე. გაუპატიურება გარკვეულწილად იყო რეაქცია იმაზე, რომ ახლად გათავისუფლებულმა მონებმა საკუთარი ოჯახების შენახვისა და დაცვის მიზნით გადაწყვიტეს თავკაცის როლის შეთვისება. სიუზან გრიფინი და სიუზან ბრაუნმილერი ისევე, როგორც სხვები თავიანთ ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ გაუპატიურება ქალთა მიმართ ჩადენილი უმნიშვნელოვანესი დანაშაულია. გაუპატიურება იყო გარკვეული გზავნილი შავკანიანი მამაკაცებისათვის, მაგრამ, უფრო კონკრეტულად, იგი გამოხატავდა როგორც რასისტულ, ისე პატრიარქატულ კულტურებში არსებულ მამაკაცთა სქესობრივ დამოკიდებულებას.

ვიქტორიანული პერიოდის სექსუალობის შემსწავლელმა ისტორიკოსებმა აღწერეს, თუ როგორ ჩაენაცვლა ქალის სახიფათო სექსუალური ძალაუფლების შესახებ მოძველებულ შეხედულებას რწმენა ქალების, „როგორც ვნებებისაგან დაცლილი არსებების“ შესახებ. მე-19 საუკუნეშიც კი, როდესაც „ჭეშმარიტი ქალურობის კულტმა“ თავის მწვერვალს მიაღწია, შეხედულებები ქალთა სექსუალობის შესახებ კვლავ ორაზროვანი და გაურკვეველი იყო. როგორც დოროტი დინერსტინი დაუინებით აღნიშნავს, ქალსა და ბუნებას შორის ასოციაციები, შიში ქალის მზაკვრული ბუნების შესახებ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ჩნდება და იმკვიდრებს თავს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა სექსუალობის მიმართ შიში და, ამავე დროს მისით გატაცება ძირითადად შავკანიანი ქალების ირგვლივ იყო კონცენტრირებული; ვნებებისაგან დაცლილი არსება პრიმიტიულ სექსუალურ მონას შეერწყა. სახლში მომუშავე მონები ხშირად ოჯახის დედის ფუნქციებს ჩაენაცვლებოდნენ; შავკანიანი ქალების მიერ გაზრდილი თეთრკანიანი

მამაკაცები აბსოლუტურად დამოკიდებულნი ხდებოდნენ იმ არსებებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, სიხარულის, ხოლო, მეორე მხრივ, იმედგაცრუების მომნიჭებელი იყვნენ. მოზრდილ ასაკში შავკანიანი ქალები ამ მამაკაცებისთვის ერთდოულად სიძულვილისა და ნდომის ობიექტები ხდებოდნენ, რაც ასე დამახასიათებელია მამაკაცთა ჰეტეროსექსუალურობისათვის. დამონებული შავკანიანი ქალი იოლად ხელმისაწვდომი იყო და, ამავე დროს, არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ დახმარება ეთხოვა ან საყვედური გამოეთქვა; მათზე დომინირება მამაკაცებს ბავშვობის დროინდელი სიზმრის ახდინისა და დედასთან შეუზღუდავი კავშირის დამყარების საშუალებას აძლევდა. შავკანიანთა პატრიარქატით გამოწვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სირთულეებს ლინჩის წესით გასამართლებით პასუხობდნენ, ხოლო როდესაც შავკანიანი ქალები ცდილობდნენ, რომ თავიანთი დედობრივი და სქესობრივი რესურსები საკუთარი ოჯახების საკეთილდღეოდ მოეხმარათ, მათ სექსუალურ ძალადობას უპირისპირებდნენ. გაუპატიურებამ თეთრკანიანთა დომინანტობა და კონტროლი კვლავ დააფუძნა კერძო სფეროში, ხოლო ლინჩის წესით გასამართლებამ კი მამაკაცთა შორის იერარქიული წყობის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

III

ლინჩის წესით გასამართლების ორმაგი გზავნილი

„ყველამ, ვინც იქ იყო და იხილა (ლოლა კენიდი, გაუპატიურების მსხვერპლი 1934 წელს კლოდ ნილის ლინჩის წესით გასამართლებისას) აღნიშნა, რომ მისი პენისი იმდენად დიდი იყო, რომ სექსუალური აქტის განხორციელება ვერ შესძლო მანამდე, სანამ დანით არ ჩაჭრა მსხვერპლი და ცალი მკერდი არ მოაჭრა მას

ნერილი ვ.პ. კორნელისადმი
29 ოქტომბერი, 1934 წელი
სამხრეთელი ქალები ლინჩის წინააღმდეგ

„ჩვენი ცხოვრება გაუპატიურებაზე უფრო მეტად, გაუპატიურების შიშითაა გამსჭვალული... მისგან დაღწევის ერთადერთი საშუალებაა უარყოფით ჩვენი არსებობა, უარი განვაცხადოთ ჩვენს სხეულზე... ავარიდოთ ჩვენი მზერა, ნაკლებ შესამჩნევი გავხადოთ ჩვენი ყოფნა სამყაროში.“

სიუზან გრიფინი,
გაუპატიურება, ცნობიერების ძალა
(1979)

1920-იან და 1930-იან წლებში სამხრეთში მომხდარმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ სამართლის აღსრულების უფრო მონესრიგებული ფორმების დამკვიდრების აუცილებლობა მოიტანა. მმართველობაში მყოფი მამაკაცები, რომლებიც საქმოსნობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ცდილობდნენ, თანდათან უარს ამბობდნენ არა-სამართლებრივი ძალადობის მხარდაჭერაზე. მაგრამ ლინჩის წესით გასამართლება კვლავ ხდებოდა, განსაკუთრებით კი სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თეთრკანიანი მოაზროვნე ზოგადად აკრიტიკებდა ლინჩის წესით დასჯას, სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებით ის მაინც ამართლებდა ჯგუფური ძალადობის ცალკეულ ფაქტებს. თეთრკანიან ამერიკელთა უმრავლესობისათვის ლინჩსა და გაუპატიურებას შორის მსგავსება სრულიად სხვა ასოციაციას იწვევდა, ვიდრე

შავკანიანი მამაკაცებისა და ქალების მიმართ თეთრკანიანთა მიერ ჩადენილი ძალადობაა. მათ თვალწინ წარმოუდგებოდათ შავკანიანი მოძალადე, „საშინელი მხეცი, რომელიც ვნებისაგან გაშმაგებულია“ და თეთრკანიანი მსხვერპლი - ახალგაზრდა, ქერა და უმნიშვნელო ქალი და მისი ანგლოსაქსი შურისმაძიებლები. დღესაც, ყველაფრის მიუხედავად, ლინჩის ემოციური ლოგიკა კვლავ უცვლელი დარჩა: ქალთა დაცვა სექსუალური ძალადობისაგან შესაძლებელია მხოლოდ სწრაფი, პირდაპირი ძალადობით, რომელიც შეზღუდული არ უნდა იყოს კანონით.

რასისტული იდეოლოგია "თეთრკანიანთა ქალურობის დაცვის" იდეით იყო გამსჭვალული. მაგალითად, 1839 წელს ცნობილმა ისტორიკოსმა ის პოზიცია გაახმოვანა, რომელიც ზოგადად მიღებული იყო და რომლის საშუალებითაც ლინჩის წესით გასამართლების ახსნას ცდილობდნენ: შავკანიანი მამაკაცები "თეთრკანიანი ქალების გარეგნობაში პოულობენ რაღაც მიმზიდველს და მაცდუნებელს; მათ ალაგზნებთ ის ფაქტი, რომ ეს ყოველივე მათი სექსუალური გამოცდილებისათვის უცხოა და ამიტომ ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ყველანაირი წინააღმდეგობა გადალახონ და საკუთარი ვნება დაიკმაყოფილონ". 1937 წელს მისისიპიში, **Daily News**-ში, დაფიქსირდა ის დამოკიდებულება, რომელიც ზოგადად ადგილობრივი გაზეთებისათვის იყო დამახასიათებელი და რომელიც ლინჩის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის დაგვირგვინებას წარმოადგენდა: "რას მოიმოქმედებდით თქვენი ცოლი, შვილი ან თქვენი საყვარელი ადამიანი რომ გაუჟაბიურებინათ? სავარაუდოა, რომ თქვენ მაშინათვე შეუერთებოდით დამსჯელ ჯგუფს". ორი წლის შემდეგ ჩატარებულ ანთროპოლოგიურ კვლევაში თეთრკანიან გამოკითხულთა 65% მხარს უჭერდა ლინჩის წესით გასამართლებას სექსუალური ძალადობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანი მოძალადის შესახებ მითი საკმაოდ გავრცელებული იყო, მას ობიექტური საფუძველი ვერასდროს მოუძებნეს. ლინჩის წესით დასჯილ მსხვერპლთა მხოლოდ მეოთხედს ედებოდა ბრალად გაუჟაბიურება ან გაუჟაბიურების მცდელობა. დღესაც კი, თითქმის ყველა ნაშრომში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ გაუჟაბიურება რასებს შორის არსებული დანაშაულია და რომ მსხვერპლთა უმრავლესობა შავკანიანებია და არა თეთრკანიანები.

1880-იან წლებში იდა ბ. ველსის მიერ დაწყებული ლინჩის საწინააღმდეგო რეფორმები გააგრძელეს NAACP¹⁰-ის წარმომადგენელმა ვოლტერ ვაითმა და ლინჩის წინააღმდეგ მებრძოლ სამხრეთელ ქალთა ასოციაციის წევრმა ჯესი დანიელ ამესმა. ამ რეფორმების ძირითადი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ჯგუფური ძალადობის რაციონალიზაციის შესასუსტებლად რაც შეიძლება ბევრი ფაქტი გამოეყენებინათ. მაგრამ რასებს შორის გაუჟაბიურებასა და ლინჩის წესით გასამართლებასთან დაკავშირებით იმდენად დიდა ემოციური მუხტი, რომ ფაქტობრივ ინფორმაციას ძნელად თუ შეუძლია რამე შეცვალოს. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რეალური იყო თუ არა შავკანიანთა მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობა. თეთრკანიანები მათ მიერ ჩადენილ ნებისმიერ დანაშაულს აღიქვამდნენ როგორც სექსუალურ ძალადობას. თეთრკანიანი ქალები აკრძალულ ხილს, ხელშეუხებელ საკუთრებას, თეთრკანიან მამაკაცთა ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. რასობრივი წესების დარღვევა გულისხმობდა ყველაფრის თავდაყირა დაყენებას, თეთრკანიანზე გამარჯვებული შავკანიანის იმიჯის შეთხზვას.

ქალები კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენდნენ და, ამავე დროს, პროტექციის უკან მდგომ რიტორიკას უმაგრებდნენ ზურგს. მაგალითად, შავკანიანი ქალის გაუჟაბიურების ფაქტი ასახავდა მამაკაცთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლას. მაგრამ იმპულსები როგორც ქალებთან, ასევე შავკანიანებთან მიმართებაში რასობრივი ძალადობის დრამის ფარგლებში თამაშდებოდა. გაუჟაბიურების შიში იყო ის, რითაც ცდილობდნენ ლინჩის წესით დასჯის გამართლებას. მაგრამ სინამდვილეში ეს ორი ფენომენი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. „გაუჟაბიურების სამხრეთული კომპლექსი“ წარმოადგენდა როგორც რასობრივი, ისე სექსობრივი ჩაგვრის საშუალებას.

¹⁰ NAACP- National Association for Advancement of Colored People –ფერადკანიანი ხალხების მხარდამჭერი ეროვნული ასოციაცია

თეთრკანიანებისათვის ლინჩის წესით გასამართლების პირვანდელი ფორმა, ანუ გაუპატიურების გამო ლინჩის წესით გასამართლება კულტურასთან დაკავშირებული საკითხების დრამატიზებას წარმოადგენდა. ეს იყო ისტორია, რომელსაც თეთრკანიანები ერთმენეთს უყვებოდნენ იმ სოციალური ნყობილებისა და ფსიქოლოგიური მისწრაფებების შესახებ, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების მიღმა იდგა. ამბავი, რომელიც ამ რიტუალების საშუალებით ცხადდებოდა და ეხებოდა თეთრკანიანი ქალის ადგილს სამხრეთულ საზოგადოებაში, რთულად გასაგები, წინააღმდეგობრივი და დამამცირებელი იყო. დაუძღურებული მსხვერპლი მამაკაცი ნათესავების დახმარებით მიჰყავდათ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რათა მას დამნაშავე ამოეცნო და მისი დასჯის თვითმხილველიც გამხდარიყო. ეს საკმაოდ შეურაცხყოფელი მომენტი იყო. ქალს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გააუპატიურეს ან რასათა შორის მომხდარ გასაიდუმლოებულ ინტიმურ კავშირში ამხილეს, ან რომლის ნათესავებიც უსაფუძვლოდ ამტკიცებდნენ, რომ იგი გააუპატიურეს, იძულებულს ხდიდნენ საჯაროდ გამოსულიყო მთელი საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში იგი განასახიერებდა ქალს, როგორც მსხვერპლს - შეურაცხყოფილი, „სამუდამოდ გაუბედურებული“, ფანტაზიისა და ფარული ზიზღის ობიექტი. თუმცა შეურაცხყოფასთან ერთად ასეთი ქალი უფრო მნიშვნელოვნად გრძნობდა თავს, ვინაიდან იმ მომენტში იგი თამაშობდა ძალადობისა და შურისძიების მსხვერპლ უმნიშვნელო ქალიშვილის როლს. ამ პრივილეგიის საფასურად, თუკი ძალადობას მართლაც ჰქონდა ადგილი, მას მთელი ცხოვრება ტანჯვა მოუწევდა. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი იძულებული იქნებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე დამორჩილებოდა იმ მამაკაცებს, რომლებიც მის გამო შეიკრიბნენ.

ლინჩის წესით გასამართლების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი უკავშირდებოდა სექსუალურ ძალადობას; თუმცა იმ შემთხვევებს, რომელთაც ყველაზე დიდი ყურადღება დაიმსახურეს, იმდენად შორს მიჰყავდათ თეთრკანიანთა წარმოსახვის უნარი, რომ ეს უკანასკნელნი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სტატისტიკურ მონაცემებს. გაუპატიურება და გაუპატიურების შესახებ მითქმა-მოთქმა ხალხურ პორნოგრაფიად იქცა. ამ ისტორიების გავრცელებასთან ერთად მოძალადის პროტოტიპად იქცეოდა არა თუ შავკანიანი, არამედ გააფრთხილებული მხეცი. მსხვერპლი კი აუცილებლად ახალგაზრდა და მშვენიერი ქალწული უნდა ყოფილიყო. დეტალურად და გალამაზებულად აღწერდნენ იმას, რაც რომელიმე ქალს გადახდა თავს. ეს იყო საზოგადოებრივი ფანტაზიის ნაყოფის მაგალითი, რომელშიც გაუპატიურებისას ჯგუფის მონაწილეობა ისეთივე კათარზისული იყო, როგორც თვითონ ლინჩის წესით გასამართლება. „ლინჩის კანონში“ თეთრკანიანი მამაკაცები საკუთარ თავს ხედავდნენ იდეალურ ვარიანტში, როგორც თავკაცებს, შურისმაძიებლებს და სამართლიან დამცველებს. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი მამაკაცები იყვნენ და ზოგჯერ მოძალადეებიც კი, მათ ჯგუფური გასამართლების მსხვერპლის როლშიც უნდა წარმოედგინათ საკუთარი თავი.

ჯგუფი, რომელიც შავკანიან მოძალადეს ასამართლებდა, რაინდობის კოდექსში ნაგულისხმევ საფასურის გადახდას განსახიერებდა: სამხრეთელი ქალის უფლება, ყოფილიყო დაცული მას, ამავე დროს, მორჩილებას ავალდებულებდა.

ომამდელ სამხრეთში ქალბატონად ყოფნა სიმდიდრესა და ოჯახურ წარმომავლობასთან იყო დაკავშირებული, რაც მე-20 საუკუნეში შეიცვალა. თუმცა „ქალბატონობა“ კვლავ დარჩა ღირებულების მქონე ფენომენად. ერთ-ერთი სოციალური ფსიქოლოგი აღნიშნავდა, რომ „ქალბატონად გახდომის პროცესი პერმანენტული მდგომარეობაა: შეიძლება ვინმე იქცეოდეს როგორც ქალბატონი, ან ვინმე შეეცადოს გახდეს ქალბატონი, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერავინ ვერ აღწევს ამ მიზანს“. ეს იდეალი თითოეული ადამიანის მიერ ინდივიდუალურად იყო შეთვისებული და მისი საშუალებით არეგულირებდნენ მათ ქცევას და ზღუდავდნენ გარე სამყაროსათან ურთიერთობას. თუკი ქალი მოახერხებდა ქალბატონობის გამოცდის ჩაბარებას, იგი მზრუნველობისა და ე.წ. სამხრეთელი რაინდობის მფარველობის ქვეშ ექცეოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ქალი გარკვეული შეზღუდვების გამო იძულებული ხდებოდა დაეთმო დაცული სოციალური პოზიცია, მაშინ იგი იმთავითვე კარგავდა პირადი უსაფრთხოების გარანტიას. ქალბატონობა და რაინდობის ეტიკეტი ერთდროულად აკონტროლებდა ქალთა

ქცევას და, ამავე დროს, იცავდა კასტურ წყობილებას.

თომას დ. დიუმ, მონობის მხარდამჭერმა თეორეტიკოსმა, შემდეგნაირად გააუღერა ეს დიალექტიკა: „მამაკაცობის არსი მტაცებლობაში მდგომარეობას,“ ხოლო ქალურობის არსი კი „მიმზიდველობა“. მხოლოდ სიმამაცე და პატრიარქატული ოჯახი აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც ქალებს მამაკაცთა აგრესიისაგან დაცვას სთავაზობდა. სქესთა შორის განსხვავება გაუთანაბრდა პოტენციურ მოძალადესა და პოტენციურ მსხვერპლს შორის განსხვავებას. ხოლო ოჯახი, რომელიც მონობის ინსტიტუტის გამართლებას ცდილობდა, ქალებსა და მონებს საკუთარ მზრუნველობას სთავაზობდა. თუმცა ქალური სექსუალობის დიუისეული გაგება სულაც არ უარყოფდა ქალურ ვენებიანობას. პირიქით, გამომდინარე იქიდან, რომ ქალმა თვითონ კი არ უნდა ეძებოს, არამედ „მას უნდა ეძებდნენ,... თვითონ კი არ უნდა ეარშიყოს, არამედ მას უნდა ეარშიყებოდნენ“, იგი იძულებული იყო თავისი „ყველაზე ველური გრძნობები... და ვნებით აღსავსე სურვილები“ მოეთოკა. გაუპატიურების წინააღმდეგ კანონი ქალთა მიმართ უნდობლობით გამსჭვალული იყო და ითხოვდა, რომ სახეზე ყოფილიყო როგორც მსხვერპლის მხრიდან „უკიდურესი წინააღმდეგობის“ განევის დამადასტურებელი ფაქტი, ასევე თვითმხილველთა მიერ მსხვერპლის სიტყვის დადასტურება. რაც მთავარია, მსხვერპლი აუცილებლად ქალწული უნდა ყოფილიყო. და ეს მაშინ, როდესაც სხვა ტიპის ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში სულ სხვა ხასიათის სამხილს ითხოვდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, შავკანიანი მამაკაცისა და თეთრკანიანი ქალის ინტიმური ურთიერთობა პირდაპირ აღიქმებოდა გაუპატიურების დამადასტურებელ ფაქტად. 1931 წელს სკოტბოროს საქმის განხილვისას, რომელშიც გაუპატიურებაში ბრალი ედებოდა ცხრა შავკანიან ახალგაზრდას, მომქმედი მოსამართლე იძულებული იყო განეცხადებინა, რომ:

„როდესაც ქალი გაუპატიურებულია, და ჩვენს შემთხვევაში გაუპატიურებული თეთრკანიანი ქალია, კანონი ითვალისწინებს დაფუძვალ, რომ იგი საკუთარი ნებით არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა შავკანიან მამაკაცთან ინტიმური კავშირს; და ეს მართლაც ასეა, იმისდა მიუხედავად, თუ რას წარმოადგეს ეს ქალი - უვიცი, ათვალწუნებული და ჯგუფისაგან გარიყულია იგი, თუ მდიდარი და განათლებული ოჯახის შვილია.“

ლინჩის წესით გასამართლება ისევე, როგორც სხვადასხვა რასას შორის ქორწინება, თეთრკანიან ქალთა მოუსვენარი სურვილებს ნიღბავდა. მისი მიზანი იყო აღედრა სექსუალური ძალადობის შიში და, აღეკვეთა ამავე დროს, ნებაყოფლობითი კავშირები. იგი აძლიერებდა იმ მცდარ წარმოდგენას, რომლის მიხედვით თეთრკანიანი ქალები შავკანიან მამაკაცებთან ურთიერთობის ფარგლებში ყოველთვის სექსუალური სურვილების ობიექტები და არა აგენტები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქალთა მოძრაობა ძირითადად მიმართული იყო არა ქალთა სექსუალური გათავისუფლების, არამედ მამაკაცებისათვის მორალური სტანდარტების ამაღლებისაკენ, მისი მონინააღმდეგეები მაინც აცხადებდნენ, რომ ეს ყოველივე საფრთხეს უქმნიდა ოჯახს და ფემინისტებს შინაბერებს, გარყვნილებს და სექსუალურ ავადმყოფებს უწოდებდნენ. არ არის შემთხვევითი, რომ შავკანიანი მამაკაცის საშიშ მხეცთან გათანაბრება სწორედ სამხრეთელი ქალების მოძრაობის პირველ ეტაპზე მოხდა; ეს იყო საზღვრების დამრღვევი ქალების სანინააღმდეგოდ მიმართული აგრესიის ფანტაზიის ნაყოფი და, ამავე დროს, იარაღი, რომელიც შავკანიანთა დაშინებას ისახავდა მიზნად. აჯანყებული ფემინისტური თაობა შეზღუდული იყო იმის განცდით, რომ ქალები „უსახელო შიშის“ გარემოცვაში იმყოფებოდნენ. საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ქალი წერდა, რომ სამხრეთი „ამოფრქვეულ ვულკანს, მოცახცახე ლამის სიბნელეს დაემსგავსა... რომელიც გამწარებული ქალის ყვირილმა გაკვეთა“.

როდესაც 1920-იან და 1930-იან წლებში ქალებმა თავიანთი სექსუალობის გამოხატვის უფლებები მოითხოვეს და თომას დიუმს მიერ გამოთქმული ორმაგი სტანდარტების წინააღმდეგ გაილაშქრეს, პლანტატორების შთამომავლებმა აგრესიით უპასუხეს მათ, რაც რაინდული იდეალის მოთხოვნებს უპასუხებდა. 1931 წელს გამოქვეყნებული უილიამ ფოლკნერის „თავმესაფარი“ ქალის დაცემის ფაქტისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გამოხმაურების ერთ-

ერთი მაგალითია. ტემპალ დრეიკის- 1920-იანი წლების „ახალი ქალის“ სიმინდის ტაროთი გაუპატიურების ფაქტი თეთრკანიანთა მიერ ქალწულობაზე უარის თქმის საწინააღმდეგოდ მიმართული საბოლოო შურისძიების აქტი იყო. ის, რაც მას გადახდა თავს, „კულტის დესაკრალიზაციას“ წარმოადგენდა და მიმართული იყო პატრიარქალური საზოგადოების მიერ გაიდიალეზებული ქალის საწინააღმდეგოდ.

მეამბოხე ქალები

„მეამბოხე ქალები სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში შეიკრიბნენ... მათ განაცხადეს, რომ გაუპატიურების არ ეშინოდათ; ხოლო რაც შეეხება მათ ღვთისმოსაობას, თვითონვე იზრუნებდნენ მასზე; უარი თქვეს, რომ მათ დასაცავად ლინჩის წესით გასამართლებისთვის მიემართათ; მათ არ სურდათ ამ ტიპის რაინდობის მფარველობის ქვეშ ყოფნა.“

ლილინა სმიტი, *ოცნების მკვლევლები* (1949)

1930 წლის 1 ნოემბერს სამხრეთის ექვსი შტატის 26 თეთრკანიანი ქალი ატლანტაში შეიკრიბა და ლინჩის აღმკვეთელ სამხრეთელ ქალთა ასოციაცია ჩამოაყალიბა. ამ ასოციაციის ორგანიზატორი იყო ტენასელი სუფრაჟისტი ჯესი დანიელ ამესი. მისი ცენტრალური, იდეოლოგიური მიზანი იყო რაინდობის ტრადიციასა და ჯგუფურ მკვლევლობას შორის არსებული კავშირის დარღვევა. ასოციაცია ნაწილობრივ რასათა შორისი მოძრაობის ერთ-ერთი ნაწილს წარმოადგენდა. ლინჩის წესით გასამართლების შემცირებაში მისი დამსახურება შავკანიანთა ლიდერობით წარმართული ლინჩის საწინააღმდეგო კამპანიის პერსპექტივაში უნდა განვიხილოთ. მაგრამ არ იქნება სამართლიანი თუკი ვიტყვით, რომ ასოციაციის ფუნქცია მხოლოდ შავკანიანთა ლიდერობით წამოწყებულ ბრძოლაში თეთრკანიან ქალთა დახმარება იყო მხოლოდ. ამ ასოციაციის შექმნა წარმოადგენდა მცდელობას პასუხი ეგოთ იმ რასისტულ იდეოლოგიაზე, რომელიც თეთრკანიან ქალებს არ ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ რომელსაც ემსახურებოდნენ. ხოლო იდეოლოგია აფრთხილებდა შავკანიან ქალებს, რომ „როდესაც სამხრეთელი თეთრკანიანი ქალები მზად იქნებიან შეწყვიტონ ლინჩის წესით გასამართლება, ის მხოლოდ მაშინ შეწყდება და არავითარ შემთხვევაში ამაზე ადრე.“

ჯესი ამესი, ასოციაციის ლიდერი, ორ სამყაროს შორის იდგა. იგი დაიბადა 1883 წელს ერთ-ერთ პატარა ქალაქში, ტენასის აღმოსავლეთით, რომელიც ჯგუფური ძალადობის ერთ-ერთი მშობლიური ადგილი იყო. ხოლო ლინჩის საწინააღმდეგო კამპანიას იგი ატლანტიდან ეწეოდა. იგი მე-19 საუკუნის ქალთა რეფორმების ტრადიციას დაესესხა და წამოიწყო ფემინისტური ანტირასისტული მოძრაობა, რომელიც აბოლიციონისტების მოძრაობასთანაც და ჩვენი დროის ფემინისტებთანაც გარკვეულ კავშირში იყო.

ამესმა სიმწიფის ასაკს მიაღწია მაშინ, როდესაც ქალთა მოძრაობა გარადამავალ პერიოდს გადიოდა, ანუ როდესაც რეფორმისტი ქალები ეყრდნობოდნენ ჯგუფურ ცნობიერებას და საკუთარ თავზე ვიქტორიანულ წარმოდგენას იქმნიდნენ, რომ ისინი განსაკუთრებულად მორალური არსებები იყვნენ. ამით ისინი ცდილობდნენ ქალთა მიერ ინიცირებული ინსტიტუციური წამოწყების გამართლებას. როდესაც ჯესი ამესი ხმის მიცემის უფლებიდან რასობრივ ურთიერთობებზე გადაერთო, მას ამ შთამომავლობის გამოყენების იმედი ჰქონდა როგორც თავის ამომრჩევლებთან, ისე ტაქტიკის შემუშავებისას. ასოციაცია თავის რიგებში აერთიანებდა ქალებს პატარა ქალაქებში არსებული ეკლესიებიდან, რომლებიც ახალგაზრდა

ქალთა ქრისტიანული ასოციაციის¹¹ ფარგლებში მოღვაწეობდნენ, აგრეთვე ქალთა კლუბებიდან და მისიონერული საზოგადოებებიდან. ისინი ძალზე თავშეკავებულნი იყვნენ, ერკვეოდნენ ხმის მიცემის უფლებასა და იმ პოლიტიკაში, რომელიც ყურადღებას საშინაო წყობასა და ქალთა უფლებებზე ამახვილებდა. ამესის სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ ქალი გათავისუფლებულიყო და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ლინჩის წესით გასამართლების პოტენციური მონაწილენი. მათზე ზემოქმედება უნდა მომხდარიყო მათსავე სახლებში; საზოგადო მოღვაწეები პოლიტიკური გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყვნენ. რაც შეეხება რედაქტორებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც ქმნიდნენ ჯგუფური ძალადობისთვის ნოყიერ სიტუაციას, ისინი კულტურულ ზეგავლენას საჭიროებდნენ. ფრანსის ვილარდისა და თავშეკავებულობის კამპანიის მსგავსად, ამესი ცდილობდა, რომ მნიშვნელოვანი მამაკაცური საქმეების გადწყვეტისას ქალთა მორალური ზედამხედველობა რაც შეიძლება გაზრდილიყო.

ამესის შეუპოვრობა და მისი კამპანიის ემოციური მუხტი განსაზღვრული იყო მისი თვალსაზრისით, ლინჩი ქალთა პრობლემაა: ეს არის ის, რაც ხელს უშლის რეგიონულ განვითარებას და ხელს უწყობს შავკანიანთა მიმართ უსამართლობას. მაგრამ, ამავე დროს, შეურაცხყოფს თეთრკანიან ქალებს. იმ შავკანიანი ქალი ლიდერების მსგავსად, რომლებიც მანამდე მოღვაწეობდნენ და რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთი და იგივე სქესობრივი სტერეოტიპები განაპირობებდნენ შავკანიან ქალების ექსპლუატაციასა და შავკანიანი მამაკაცების შიშს, ამესმაც რასისტული და პატრიარქატური იდეები ეჭვქვეშ დააყენა. აურყოფდნენ რა იმ შეხედულებას, რომ შავკანიანების მიერ ჩადენილი გაუპატიურება ჯგუფურ ძალადობას პროვოცირებდა, ასოციაციის წევრებმა ბოლომდე მისდიეს ლინჩის წესით გასამართლებას და მისი საფუძველი თეთრკანიანთა პრივილეგიურულ მდგომარეობაში აღმოაჩინეს.

მათი კამპანიის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ გაუქმებულიყო სექსუალურ დაუცველობასა და მასთან დაკავშირებულ ძალადობასთან ქალის დაკავშირება. ლინჩის წესით გასამართლება თეთრკანიანი ქალებისათვის დაფარული, ხოლო შავკანიანებისათვის კი ღია გზავნილის შემცველი იყო, ხოლო ლინჩის საწინააღმდეგო ასოციაცია მთლიანად ქალების ირგვლივ იყო კონცენტრირებული. ამ ასოციაციის განცხადებით, ლინჩის წესით გასამართლება ნამდვილად არ წარმოადგენდა თავშესაფარს სექსუალური ძალადობისაგან. იგი როგორც რასობრივი, ისე სქესობრივი ტერორის იარაღი იყო, რომელიც ქალთა გონებაში შიშს სთესავდა და მათ ემოციურად დამოკიდებულს ხდიდა. მისი საშუალებით ქალები გადაიქცეოდნენ პირად ნივთებად და სქესობრივი ურთიერთობისათვის საჭირო საგნებად, რომელთაც მუდმივად ემუქრებოდათ შავკანიანი მამაკაცების ავხორცობა და რომლებიც თეთრკანიანი მამაკაცებისაგან დაცვის მუდმივ საჭიროებას განიცდიდნენ. ასოციაციის წევრები თავიანთი კუთვნილი ადგილისათვის იბრძოდნენ და მოითხოვდნენ, რომ ელიარებინათ, როგორც დამოუკიდებელი მოქალაქეები, რომელთაც დაიცავდა კანონი და არა რაინდთა პატერნალიზმი.

როგორც სიუზან ბრაუნმილერი აცხადებს, ლინჩის საწინააღმდეგოდ მიმართული მასშტაბური მოძრაობის ფარგლებში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა შავკანიან ქალთა გაუპატიურებას, რომელიც ლინჩის წესით გასამართლების ტოლფასია. მაგრამ ქალთა ასოციაცია ვერ მისცემდა თავს უფლებას უყურადღებოდ დაეტოვებინა ეს საკითხი. ამის პირველი მიზეზი ის იყო, რომ რასათა შორის მოძრაობაში ჩართული შავკანიანი ქალები მუდმივად აყენებდნენ ამ საკითხს ასოციაციის წინაშე და ფაქტიურად აიძულებდნენ მას, რომ საკუთარ თავზე აელო ლინჩის წესით გასამართლებისა და სქესობრივი ექსპლუატაციის შეწყვეტა. გარდა ამისა, მონობის დანყებიდან მოყოლებული, რასათა შორის სქესობრივი კავშირი ყოველთვის თეთრკანიან ქალთა უკმაყოფილების წყარო იყო. მაგალითად, 1920 წელს ერთ-ერთმა თეთრკანიანმა აქტივისტმა და ქალთა უფლებების ლიდერმა, რომელმაც რასობრივ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა შავკანიან ქალებთან შეხვედრების საშუალებით ჩამოაყალიბა, შემდეგნაირი გაფრთხილება გააჟღერა თეთრკანიან მამაკაცთა აუდიტორიის წინაშე:

¹¹ YWCA- Young Women Christian Association

„რასობრივი პრობლემა შეუძლებელია გადაწყდეს მანამ, ვიდრე თეთრკანიანი მამაკაცები დაუსჯელები დადიან, ხოლო შავკანიანებს კი ცოცხლად წვავენ (რასებს შორის სქესობრივი კავშირის დამყარების გამო). მე არაფერს ვიტყვი ამის მეტს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მეტი ახსნა აღარ გჭირდებათ. როდესაც სამხრეთში ერთი სტანდარტი იარსებებს როგორც მამაკაცისთვის, ისე ქალისთვის, მაშინ გექნებათ საშუალება გადაწყვიტოთ ეს უდიდესი პრობლემა“.

1931 წლის ზამთარში ჯესი დანიელ ამესმა შეკრიბა თეთრკანიანი და შავკანიანი ქალები, რომ მათ ემსჯელათ ორად გახლეჩილი ქალის იმიჯსა და ორმაგი სქესობრივი სტანდარტის შესახებ. მისი თვალსაზრისით, ქალთა შეხვედრები მამაკაცების გარეშე უნდა მონყოილიყო, „რადგან ჩვენ გვაქვს სურვილი პირისპირ დავრჩეთ სამხრეთში არსებულ იმ პრობლემატურ საკითხებთან, რომლებიც ლინჩის არსებობას უწყობენ ხელს“. შავკანიანი ლიდერი ნანი ბაროუ ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას:

„თეთრკანიან და შავკანიან ქალთა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ყველა შეხვედრა დახურულ კარს მიღმა უნდა იმართებოდეს და მათ მამაკაცები არ უნდა ესწრებოდნენ“. შეკრებილმა ქალებმა განიხილეს მთიი შავკანიანი ქალის გარყვნილობისა და თეთრკანიანი ქალის სინმინდის შესახებ და განაცხადეს, რომ შუაზე გახლეჩილი ქალის იმიჯმა დიდად შეუწყო ხელი იმ საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც უმნიშვნელო მორალურ შეცდომად მიიჩნევს თეთრკანიანი მამაკაცის მიერ ჩადენილ ძალადობას. უმჯობესია, იგი დაივიწყონ და მიუტევეონ მაშინ, როდესაც შავკანიანი მამაკაცის მიერ თეთრკანიან ქალზე განხორციელებული ძალადობა აღიქმება, როგორც სასტიკი დანაშაული, რომელიც კანონის ან ლინჩის ძალით სიკვდილით უნდა დაისაჯოს“. რასათა შორისი ურთიერთობების მომხრე ქალების საქმიანობა საკმაოდ შორს იყო თანასწორობისათვის ბრძოლისგან. ხშირად მათ არც იმ წინააღმდეგობების გადალახვა შეეძლოთ, რომელთაც, როგორც ამესი უწოდებდა, „თავისუფალი და გულახდილი“ დისკუსიის დროს აწყდებოდნენ. თუმცა ასეთი ტიპის შეხვედრებზე კანის ფერის მიუხედავად საერთო გენდერული გამოცდილება იძლეოდა ცნობიერების ასამაღლებლად კომინიკაციის საშუალებას.

მამაკაცთა საქციელის შესახებ ზოგადი დისკუსიები დახურულ კარს მიღმა უნდა წარმართულიყო, მაგრამ შავკანიან მამაკაცთა და თეთრკანიან ქალთა შორის სქესობრივი კავშირი კიდევ უფრო მეტად სახიფათო საკითხს წარმოადგენდა. 1892 წელს მემფისელი რეფორმატორი იდა ბ. ველსი, რომელიც ლინჩის წინააღმდეგ იბრძოდა და რომელიც, ამავე დროს, შავკანიან ქალთა კლუბის ლიდერი იყო, იძულებული გახდა ქალაქიდან გაქცეულიყო, რადგან მას სიკვდილით დაემუქრნენ. ყველაფრის მიზეზი კი მის მიერ გაკეთებული განცხადება იყო, რომლის თანახმად ლინჩის წესით გასამართლების მიზეზს ხშირად სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის ნებაყოფლობით დამყარებული სქესობრივი კავშირი წარმოადგენდა. 60 წლის შემდეგ, სკოტბოროს განმაურებული საქმის შემდეგ, ჯესი დანიელ ამესმა ლინჩით გასამართლების იმ შემთხვევების შესწავლა დაიწყო, რომლებშიც თეთრკანიანი ქალებიც იყვნენ ჩართულნი. ბარნეტის მსგავსად, მანაც აღმოაჩინა, რომ ხშირად შავკანიან მამაკაცებს ასამართლებდნენ არა გაუპატიურების, არამედ რასათა შორისი სქესობრივი კავშირის მიზეზით. მან ეს ინფორმაცია გამოიყენა, რათა ასოციაციის წევრებისათვის დაემტკიცებინა სამხრეთელ თეთრკანიანებს შორის გავრცელებული ერთ-ერთი შეხედულების მცდარობა, რომლის მიხედვითაც სამხრეთელი ქალი მორალურად არასდროს დაეცემა ისე, რომ მან „ნებაყოფლობით მისცეს შავკანიან მამაკაცს მისი სიკეთით ტკობის საშუალება“.

მაგრამ რა ხდებოდა მაშინ, როდესაც ლინჩით გასამართლებას გაუპატიურების გამო მიმართავდნენ? ამ შემთხვევაში ასოციაციის წევრებს მხოლოდ ერთი რამ რჩებოდათ — ისინი ყველას კანონიერებისა და წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. მათ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე იცოდნენ, რომ ის, რაც მათ ამომრჩევლებს შორის შიშს იწვევდა და რასაც ზოგიერთი „ენით აღუწერელ დანაშაულს“ უწოდებდა, აბსოლუტურად რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით, ამესი შემდეგ კომენტარს აკეთებდა:

„სულერთია, ქალები თვითონვე გრძნობდნენ საფრთხეს თუ მამაკაცთა მიერ იყვნენ დაშინებულნი“, ისინი საკუთარ თავს ყოველთვის შავკანიანთა ძალადობის პოტენციურ

მსხვერპლად აღიქვამდნენ. თაობები დასჭირდა იმის აღიარებას, რომ თეთრკანიანი ქალებისათვის ძირითად საფრთხეს თეთრკანიანი მამაკაცები წარმოადგენდნენ და რომ გაუპატიურება ზოგადად ფემინისტური პრობლემაა. ერთადერთი, რაც ასოციაციის წევრებს შეეძლოთ, ის იყო, რომ თვითონვე დაეძლიათ მამაკაცთა აგრესიის შიში იმით, რომ ჯგუფური ძალადობა სახელმწიფოს ხელში გადაეცათ და შავკანიანი მოძალადის შესახებ მითი უარეყოთ.

1960-იან წლებში სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ფარგლებში თეთრკანიანი ქალები რასიზმისათვის დამახასიათებელ სქესობრივ ასპექტებსა და თავად რასობრივ ძალადობას წინააღმდეგობას იმით უწევდნენ, რომ ითხოვდნენ იმ უფლების დაცვას, რომლის თანახმად მათ შეეძლოთ შავკანიან მამაკაცებთან სქესობრივი კავშირის დამყარება. 1930-იანი წლებში მოღვაწე ლინჩის წინააღმდეგ მებრძოლმა რეფორმატორებმა აბსოლუტურად სხვაგვარი მიდგომა აირჩიეს. მათ სძულდათ მამაკაცთა ძალადობა და ლინჩით გამონვეული სიკვდილის ეროტიულობა. ამ ყოველივეს წინააღმდეგ ისინი პიროვნების ქალური სტანდარტისა და საზოგადოებრივი მორალის სახელით დაირაზმნენ. მათ საკუთარი თავი მორალურ არსებებად და დამოუკიდებელ მოქალაქეებად დაახასიათეს, რომლებიც არ წარმოადგენენ სექსისგან დაუცველ ობიექტებს. მათი მოწოდების მთავარი იდეა მდგომარეობდა არა იმაში, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი, არამედ იმაში, თუ რისი თქმა შეეძლოთ მათ: სამხრეთელ ქალებს მხოლოდ საკუთარი ზნეობრიობა სჭირდებათ, რომ თავი რასათა შორის სქესობრივი კავშირისაგან დაიცვან, ხოლო სექსუალური ძალადობისაგან მათ კანონი დაიცავთ. როდესაც ჯესი ამესი საუბრობდა „რანდობის გვირგვინზე, რომელიც ეკლიანი კვირგვინის მსგავსად ძალით დაგვადგეს თავზე“, მან პროტესტის ნიშნად ხმამაღლა დაიყვირა, რაც როგორც რასობრივი, ისე სექსუალური ემანციპაციისათვის განუვალ ბრძოლის აღმნიშვნელი იყო.

V

რანდობის შესუსტება

როდესაც მამაკაცთა უპირატესობა უსაფუძვლო ხდება და ველარ ამართლებს საკუთარ თავს, როგორც დამცავ მექანიზმს, მამაკაცები უფრო პირდაპირი მეთოდებით - ფანტაზიებისა და უხეში ძალადობრივი ქმედებების საშუალებით - იწყებენ საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრებას

ქრისტოფერ ლაში
მარქსისტული ხედვა (1978)

1970-იან წლებში, მეორედ ქვეყნის ისტორიაში, გაუპატიურების საკითხმა ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. რასათა შორის გაუპატიურების თემით გატაცება, რომელმაც მე-19 საუკუნეში მწვერვალს მიაღწია, ხოლო სამოქალაქო ომის დასრულებიდან მოყოლებული 1930-იანი წლების ჩათვლით ფაქტიურად დაკარგა აქტუალურობა, კვლავ რასობრივი და სქესობრივი ჩაგვრის ყურადღების ცენტრში მოექცა. დღეისათვის გაუპატიურების თემამ მნიშვნელოვანი ფემინისტური საკითხების ფორმირებას შეუწყო ხელი.

გაუპატიურება ფემინისტურ პრობლემად იქცა მას შემდეგ, რაც ქალების მიერ შემუშავებული პოლიტიკის წყალობით სექსუალობა და პირადი ცხოვრება ბრძოლის მთავარ ველად გადაიქცა. ცნობიერების ამაღლების ჯგუფებში, რომლებშიც ავტობიოგრაფია პოლიტიზირებულ ტექნოლოგიად გადაიქცა, აგრეთვე საჯარო გამოსვლების დროს ქალებმა მოახერხეს ქალური გამოცდილების გარშემო არსებული სიჩუმის დარღვევა. აქედან მოყოლებული დაიწყო გაუპატიურების, როგორც იმ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ქმედების

ანალიზი, რომლის საშუალებით მამაკაცები ქალებზე ძალაუფლების დამყარებას ცდილობდნენ. აგრეთვე საფუძველი ჩაეყარა იმ სტრატეგიების შემუშავებას, რომელიც შეცვლიდა არსებულ სიტუაციას. ამ სტრატეგიებს შორის იყო გაუპატიურების ცენტრებში არსებული ფემინისტების მიერ შემუშავებული თვითდახმარების მეთოდები და ასევე სისხლის სამართლისა და სამედიცინო მომსახურების სისტემების ინსტიტუციონალური რეფორმები. 1976 წლიდან მოძრაობამ უფრო მასშტაბური სახე მიიღო და მას დაემატა ისეთი საკითხები, როგორცაა ცოლის ცემა, სქესობრივი ზეწოლა და ბოლოს, მედიის მიერ შექმნილი ქალთა იმიჯი, რაც მოჰყვა რობინ მორგანის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ „პორნოგრაფია თეორიაა, ხოლო გაუპატიურება კი - პრაქტიკა“.

მას შემდეგ რაც 1975 წელს სიუზან ბრაუნმილერის წიგნმა „ჩვენი ნების სანინაალმდეგოდ: მამაკაცები, ქალები და გაუპატიურება“ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ავტორს შეეძლო სიტყვით მიემართა ფემინისტი ამომრჩევლისათვის და აგრეთვე საკუთარი სახელითაც ესაუბრა, ვინაიდან მის უკან უკვე მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება იდგა. მისი წიგნის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უშვებს უნივერსალური პატრიარქატისა და დროის გარეშე მდგომი სექსუალური ვიქტიმიზაციის არსებობას; იგი არანაირ საშუალებას არ იძლევა, რომ გავიგოთ ის, რაც ქალებს ერთმანეთთან აერთიანებთ, რაც მათი ძლიერების საფუძველია (როგორც თვითგამომუშავებული, ისე გარედან მოპოვებული ძლიერების), რაც დისკრიმინაციისა და სექსუალური საფრთხის კლასობრივი და რასობრივი განსხვავების მიზეზია. მაგრამ ეს წიგნი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან ბიძგი მისცა ადრე გაუბრალოებული და იგნორირებული პრობლემის გამოკვლევას. ბევრი აქტივისტი არ დაეთანხმა ბრაუნმილერის განცხადებას, რომ ყველა მამაკაცი პოტენციური მოძალადეა, თუმცა მათ გაიზიარეს მისი თვალსაზრისი სექსიზმისა და სექსუალურ ძალადობას შორის არსებული კავშირის შესახებ. ფემინისტური პროექტის მთავარი მოთხოვნაა ქალს ჰქონდეს როგორც საკუთარი სხეულის კონტროლის საშუალება, აგრეთვე იმის გაკონტროლების უფლება, თუ როდის და ვისგან გააჩენს შვილს და თუ რა ფორმით გამოხატავს თავის სექსუალობას. როგორც როზალინდა პეტრესკი აღნიშნავს, ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადამიანს გაუჩნდეს „შეგრძნება, რომ იგი პიროვნებაა პიროვნული და ფიზიკური ხელშეუხებლობით“, რომელსაც შეუძლია საქმიანობაში ჩაერთოს ნებაყოფლობით და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალურ ცხოვრებაში. ფიზიკური ხელშეუხებლობისა და თვითგამორკვევის უფლებას ძირს უთხრის გაუპატიურება ან გაუპატიურების შიში. გაუპატიურების გამანადგურებელი ეფექტი სათავეს იღებს არა იმდენად დანაშაულის სექსუალური ხასიათიდან (გაუპატიურების წინააღმდეგ მებრძოლმა აქტივისტებმა თავიდან განიხილეს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, გაუპატიურება „სიკვდილზე უარესია“ და გაუპატიურების მსხვერპლთა ცხოვრება ან „სამუდამოდ დანგრეულია“, ან ისინი იმდენად ტრავმირებულნი არიან, რომ გამოჯანსაღებისათვის თერაპიულ დახმარებას უნდა მიმართონ, რადგან ამისათვის საკუთარი რესურსები არ ეყოფათ), რამდენადაც იქიდან, რომ ადამიანი უმწეოდ გრძნობს თავს, კარგავს კონტროლს და სიმშაგის ობიექტად იქცევა. ქალი, რომელიც არასდროს ყოფილა გაუპატიურებული, ასევე მუდმივად დაძაბულია, გრძნობს უმწეობას, გაუხცობებასა და კონტროლის ნაკლებობას. გაუპატიურების წინააღმდეგ ბრძოლა ისევე, როგორც ლინჩის სანინაალმდეგო მოძრაობა, მიემართება არა მხოლოდ გარეგან საშიშროებებს, არამედ შინაგან სირთულეებსაც: საკუთარი სხეულის „ჩაგვრას“, თვითცენზურას, რაც ადამიანს ხელს უშლის, რომ მან „თავისუფლად იაროს ამ დედამინაზე“.

გამოდის, რომ გაუპატიურებაზე ყურადღების გამახვილება ფემინისტური აზროვნებისა და პრაქტიკის შიდა პროცესების საფუძველზე მოხდა. მაგრამ, ამავე დროს, ეს იყო დანაშაულთა რიცხვის გაზრდასთან დაკავშირებული პროცესი. 1969-1974 წლებში გაუპატიურების შემთხვევები 49 პროცენტით გაიზარდა, რაც სხვა დანაშაულებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. ეჭვს არ ბადებს ის, რომ გაუპატიურების შესახებ სტატისტიკა ასახავს ზოგად დემოგრაფიულ და კრიმინოგენულ სიტუაციას და აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ მსხვერპლს სურს ისაუბროს სექსუალური ძალადობის შესახებ (თუმცა ითვლება, რომ გაუპატიურება ჯერ კიდევ ყველაზე ნაკლებად აღიარებადი დანაშაულია). აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ

გაუპატიურება სერიოზული საფრთხეა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალთა სუბორდინაციულ მდგომარეობას. აღან გრისვოლდ ჯონსონმა ბოლო პერიოდის გამოკვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიანგარიშა, რომ 12 წლის გოგონათა სულ ცოტა 20-30 პროცენტი ოდესმე აუცილებლად გახდება ძალადობის მსხვერპლი. იმის შესაძლებლობა, რომ ქალი გააუპატიურონ, ისეთივე მაღალია, როგორც იმის შესაძლებლობა, რომ იგი ქმარს გასცილდეს ან სიმსივნე აღმოაჩინდეს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოცემულ ანთოლოგიაში, რომელიც ქალებისა და პორნოგრაფიის საკითხს ეძღვნებოდა, ტრეისი გარდნერმა ლინჩის წესით გასამართლების ის ტალღა, რომელიც რეკონსტრუქციის პერიოდს მოჰყვა, დაუკავშირა გაუპატიურების გახშირების იმ ფაქტს, რომელსაც ანტი ფემინისტური მოძრაობის დროს ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ქალები მუშაობაში ჩაერთნენ, გვიან თხოვდებოდნენ, მარტო ცხოვრობდნენ ან მარტო უძღვებოდნენ ოჯახს, მათზე ძალადობა უფრო იოლი გახდა. მაგრამ გარდნერის დაკვირვება უფრო სიღრმისეულია - სქესობრივი ძალადობის ინტენსიობის გაზრდას იგი პირდაპირ ფემინისტურ მოძრაობასთან აკავშირებდა. თუმცა ასეთი ტიპის მსჯელობა ძალიან ახლოს იდგა იმ ლოგიკასთან, რომლის მიხედვით, დანაშაული თვითონ მსხვერპლის ბრალია. თუმცა, ამ ყველაფერში, ამავე დროს, ჭეშმარიტების მარცვალეც შეიძლება ერიოს. გაუპატიურების ფენომენის სოციოლოგიური გამოკვლევა ცოტა ხნის წინ დაიწყო. შესაბამისად ჩვენ ხელთ არ გვაქვს ის კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პირობებში ამ დანაშაულის ფუნქციისა და სიხშირის ახსნის საშუალებას მოგვცემდა; ვიდრე ეს სამუშაო ბოლომდე არ დასრულდება, ჩვენ ვერ შევძლებთ არსებული სიტუაციის სათანადოდ შეფასებას როგორც ლინჩის წესით გასამართლება იყო მიბმული რასობრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმასთან, ასევე შეუძლებელია გაუპატიურება - როგორც ქმედება და როგორც იდეა-გამოვაცალკევით სექსუალურ სფეროში მომდინარე ცვლილებებისაგან.

1940 წელს ჯესი ამესმა პრესის საშუალებით გააკეთა განცხადება, რომ მისი მოღვაწეობის განმავლობაში პირველად სამხრეთს შეეძლო ეამაყა იმით, რომ მან წელი „ლინჩის გარეშე“ გაატარა. 1942 წელს კი, დარწმუნდა რა იმაში, რომ ლინჩის წესით გასამართლება აღარ ხდებოდა თეთრკანიან ქალთა სახელით, მან მიიღო გადაწყვეტილება დაეშალა ლინჩის აღმკვეთელ სამხრეთელ ქალთა ასოციაცია. ქალთა ძალისხმევა, შავკანიანთა მიერ წარმოებული ლინჩის საწინააღმდეგო კამპანია, სამხრეთის შემოგარენიდან შავკანიანთა მიგრაცია, ინდუსტრიის განვითარება- ყოველივე ამან ხელი შეუწყო ვიგილანტიზმის თანდათან შემცირებას. თუმცა შავკანიანთა ფარული ძალადობა მაინც გრძელდებოდა, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ისინი ხშირად „კანონიერი ლინჩის“ მსხვერპლნი ხდებოდნენ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლინჩის წესით გასამართლება სახალხოდ, გაზეთებში გამოცხადებით, საქვეყნოდ სისრულეში მოყვანითა და უსიტყვო შეგუებით ფაქტიურად აღარ არსებობდა. შესაბამისად, შავკანიანმა მოძალადემ, როგორც პოლიტიკური კამპანიის და საგაზეთო პროზის შემადგენელმა ნაწილმა, არსებობა შეწყვიტა.

რასობრივი ძალადობის რიტორიკასა და სახეობებში მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა ქალთა და შავკანიანთა მიმართ დამოკიდებულებაშიც პოვა. 1940-იან წლებში ცოტა ადამიანს თუ ჰქონდა სურვილი, რომ, როგორც ჯესი ამესი იტყოდა, „სახალხოდ გაემასხარავებინა თავი“ და ლინჩის წესით გასამართლების დამცველად გამოსულიყო იმ მამაცობის სახელით, რომელიც, თავის მხრივ, აღარანაირად აღარ იყო ფასეული. ეკონომიკურმა განვითარებამ და ეროვნულმა ერთიანობამ ხელი შეუწყო იმას, რომ სამხრეთმა მმართველობის და კონტროლის ჩრდილოეთში გავრცელებული ნორმები შეითვისა. ამით კი სამხრეთისათვის დამახასიათებელი რაინდობის იდეალები გაბათილდა. ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა, აგრეთვე ქალების მიერ მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ შეასუსტა პატერნალიზმი და მზრუნველობითი ქვეშევდრომობის ტრადიცია. რა თქმა უნდა, ამით ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ რასიზმსა და სექსიზმს შორის არანაირი კავშირი აღარ იყო; ურთიერთობა შავკანიან მამაკაცებსა და თეთრკანიან ქალებს შორის კვლავ მკაცრად იყო სანქცირებული და სექსუალური ძალადობის მიზეზით შავკანიან მამაკაცთა დასჯა უაღრესი დისპროპორციულობით გამოირჩეოდა. ციფრები საკუთარ თავზე მეტყველებენ: 1930 წლიდან

დანყებული იმ 455 მამაკაციდან, რომლებიც გაუპატიურებისათვის დაისაჯნენ, 405 შავკანიანი იყო, ხოლო თითქმის ყველა მომჩივანი -თეთრკანიანი. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად ომის შემდგომ ახალ სამხრეთში „თეთრკანიანთა ქალურობის“ დაცვა აღარ იყო აქტუალური, ხოლო რასათა შორისი კავშირი აღარ წარმოადგენდა , მთელი რეგიონის მასშტაბით განსახილველ თემას.

სოციალურ ფემინისტთა ძირითადმა ნაწილმა, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ჯესი ამესი და ლინჩის წინააღმდეგ მებრძოლი ასოციაცია, მოახერხა გალანტურობის იმ პოლიტიკის გაბათილება, რომელიც თეთრკანიან ქალებს სახლში ჯდომას აიძულებდა ვითომდა მათი გარე სამყაროსაგან დაცვის მიზნით. მართალია, ასეთი რეფორმატორები დამოუკიდებელ მოქალაქეებად აცხადებდნენ თავს, მაგრამ ისინი ხშირად მათზე დაკისრებული როლის მსხვერპლნი ხდებოდნენ. მათ გარკვეულწილად შეცვალეს პოზიცია და განაცხადეს, რომ ქალთა გავლენის გაზრდა მამაკაცთა პრეროგატივებისა და ძალაუფლების საბოლოოდ განადგურების გარეშეც იყო შესაძლებელი.

ეროტიკის გამოყენება: ეროტიკა როგორც ქალაუფლება

ოდრი ლორდი*

ქალთა შესახებ კვლევების საკითხავი მასალა

ქალაუფლება მრავალგვარი არსებობს: გამოყენებული თუ გამოუყენებელი, აღიარებული თუ სხვაგვარი. ეროტიკა არის რესურსი თითოეულ ჩვენგანში, რომელიც ქალურობასა და სულიერებაში ღრმადია გამჯდარი და მტკიცეა დაკავშირებული ჩვენი გაუმჟღავნებელი და გაუცნობიერებელი გრძნობის ძალასთან. საკუთარი არსებობის გასახანგრძლივებლად ნებისმიერი შემზღუდავი სისტემა იძულებულია გარყვნას და ნაბილნოს შევიწროვებულთა კულტურაში არსებული უამრავი ძალის წყარო, რომლებსაც ცვლილებათა ნაქეზება ხელენიფებათ. ყოველივე ეს ქალთათვის ეროტიკის, როგორც ჩვენს ცხოვრებაში ქალაუფლებისა და ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროს, შეზღუდვას გულისხმობდა.

ჩვენ გვასწავლიდნენ ეჭვის თვალთ გვეყურებინა ამ „რესურსისადმი“, რომელიც დასავლურ საზოგადოებაში დაგმობილი, შეურაცხყოფილი და გაუფასურებული იყო. ერთი მხრივ, ზედაპირულ ეროტიულობას მიესალმებოდნენ, როგორც ქალთა არასრულფასოვნების მანიშნებელს. მეორე მხრივ კი, ქალებს აიძულებდნენ დატანჯულიყვნენ მათდამი ზიზღისა და ეჭვის გრძნობით ეროტიულობის გამო.

ყოველივე აქედან ერთი ნაბიჯია არასწორ წარმოდგენამდე, რომ ჩვენს ცხოვრებასა და შეგნებაში მხოლოდ ეროტიულობის შეზღუდვით შეიძლება ქალი ჭეშმარიტად გაძლიერდეს. მაგრამ ეს ძლიერება ილუზიურია, ვინაიდან ქალაუფლების მამაკაცურ მოდელთა კონტექსტშია გამოძერწილი.

როგორც ქალები, ჩვენ აღარ ვენდობოდით ამ ძალას, რომელიც ჩვენი ღრმა და არარაციონალური ცოდნიდან აღმოცენდება. მთელი ცხოვრების მანძილზე მამაკაცთა სამყარო ჩვენ ეროტიულობის ძალის წინააღმდეგ განგვანყობდა. მამაკაცთა სამყარო ამ გრძნობათა სიღრმეს სათანადოდ აფასებს და ცდილობს ქალთა გარემოცვა შეინარჩუნოს, რათა ეს ძალა თავის სამსახურში ჩააყენოს. ამავე დროს, მამაკაცებს იგივე გრძნობის შესაძლებლობების საკუთარ თავზე გამოცდის ზედმეტად ეშინიათ. ამრიგად, ქალი რჩება გარიყულ და დაქვემდებარებულ პოზიციებზე, რათა მისგან ფსიქიკურ სარგებელს გამორჩინენ, სწორედ ისევე, როგორც ჭიანჭველები აშენებენ მცენარეებს, რათა თავიანთი „ბატონები“ სასიცოცხლო ნივთიერებებით უზრუნველყონ.

მაგრამ ეროტიკა წარმოადგენს შემავსებელ და გამომწვევ ძალას იმ ქალთათვის, რომლებსაც არც ამ ძალის აღმოჩენის ეშინიათ და არც იმ რწმენას ემორჩილებიან, რომ მხოლოდ გრძნობაც საკმარისია.

ეროტიკა კაცების მიერ ხშირად არასწორად აიხსნებოდა და ქალთა წინააღმდეგაც კი გამოიყენებოდა. იგი გარდაქმნილი იყო დამაბნეველ, ტრივიალურ, ფსიქოტურ და პლასტიფიცირებულ გრძნობად. ამის გამო ჩვენ

ეროტიკის შესწავლასა და მის ძალისა და ინფორმაციის წყაროდ მიჩნევას ხშირად უგულვებელყოფდით, გვეშლებოდა რა იგი მის საპირისპირო – პორნოგრაფიაში. სწორედ პორნოგრაფიაა ეროტიულობის ძალის პირდაპირი უარყოფა, ვინაიდან იგი ნამდვილი გრძნობას ზღუდავს. პორნოგრაფია გრძნობის გარეშე ვნების გამოხატულებაა.

ეროტიკა ჩვენი „მე-ს“ აღქმის საწყისებსა და ჩვენს უძლიერეს გრძნობათა ქაოსს შორის ზღვარია. ესაა კმაყოფილების შინაგანი განცდა, რომლისკენაც მივიღტვით თუკი ერთხელ

* ალეთია პრინსი, სიუზენ სილვია-ვაინი (რედ.), ფემინიზმები და „ქალიზმები“, Women's Press, 2004

გამოვცადეთ. გრძნობათა მთელ ამ სიღრმესა და მის ძალასთან ზიარების შემდეგ, ჩვენი თავისაგან ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობით ნაკლები არ უნდა მოვითხოვოთ.

არასოდეს არაა ადვილი საკუთარი თავისაგან, საკუთარი ცხოვრებისა და საკუთარი სამუშაოსაგან ყველაზე მეტი მოითხოვო. უპირატესობის ნაქეზება ჩვენი საზოგადოების მიერ ნახალისებულ უფერულობაზე მეტია. შესაძლებლობების ზღვრამდე მუშაობისა და გრძნობების შიში მათთვის ფუფუნებაა, ვისაც ეს წინასწარგანზრახული არ აქვს. ამგვარ ადამიანებს კი არც სურთ საკუთარი ბედ-იღბლის განკარგვა.

სრულყოფილებისაკენ მიმართული ეს შინაგანი მოთხოვნილებები, რომელთა შესახებაც ეროტიკიდან ვისწავლეთ, არ უნდა იქნას არასწორად გაგებულნი, როგორც ჩვენი თავისაგან ან სხვათაგან შეუძლებლის მოთხოვნა. მსგავსი მოთხოვნები მოქმედებისას ყველას ხელ-ფეხს უბორკავს. ვინაიდან ეროტიკა არაა მხოლოდ ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ თუ რამდენად ძლიერად და სრულად შევიგრძნობთ, რასაც ვაკეთებთ. როდესაც ჩვენ შევიცნობთ იმ მდგომარეობას, რომელიც კმაყოფილებას გვანიჭებს, ამის შემდეგ შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრებისეული მცდელობებიდან რომელს მივყავართ ყველაზე ახლოს სრულყოფილების ამ განცდასთან.

თითოეული ჩვენი ქმედების მიზანია, რაც შეიძლება გავამდიდროთ შესაძლებლობებით ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრება. ყოველ ჩვენს ძალისხმევაში ეროტიკის ზეიმის აღიარებით ჩემი შრომა მიდის შეგნებულ გადანყვეტილებამდე – მივიღწევი სარეცლისაკენ, რომელშიც სიამოვნებით ჩავნები და რომლიდანაც ძალებით აღსავსე ავდგები.

რა თქმა უნდა, ამგვარი „ძალებით აღსავსე“ ქალები საფრთხეს წარმოადგენენ. ამიტომაცაა, რომ ეროტიული მოთხოვნილებების ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, არასექსობრივი სფეროებისაგან განცალკევებას გვასწავლიდნენ. საქმიანობისას ეროტიულ საფუძველსა და კმაყოფილების განცდასთან კავშირის ნაკლებობა სწორედ საქმიანობისაგან უკმაყოფილებაში აისახება. მაგალითისათვის, რამდენად ხშირადაა, როცა ჩვენი, თუნდაც უმძიმესი სამუშაო ჭეშმარიტად გვიყვარს?

იმგვარი სისტემის ძირითად საფრთხეს, რომელიც „კარგის“ შესახებ ჰუმანურობაზე უფრო მეტად სარგებლიანობის მიხედვით მსჯელობს ან რომელიც ჰუმანურ მოთხოვნილებებს მისი ფიზიკური და ემოციური კომპონენტების გამორიცხვით განიხილავს, წარმოადგენს ის, რომ იგი ჩვენ საქმიანობას ეროტიულ ღირებულებას, ეროტიულ ძალასა და ცხოვრებისეულ მიმზიდველობასა თუ სისავსეს ართმევს. ამგვარი სისტემა საქმიანობას აუცილებლობათა პარადიულობამდე ამარტივებს, ანუ აქცევს მას მოვალეობად, რომლითაც ჩვენთვის და ჩვენი საყვარელი ადამიანებისათვის სარჩოს მოვიპოვებთ. ეს იგივეა, რომ მხატვარი ჯერ დააბრმავო და შემდეგ კი ნამუშევრის გაუმჯობესება და მუშაობისაგან სიამოვნების მიღება მოსთხოვო. ეს არათუ შეუძლებელზე მეტია, არამედ უდიდესი სისასტიკეცაა.

ჩვენ, როგორც ქალებს, გვესაჭიროება გამოვცადოთ გზები, რომელთა მეშვეობითაც სამყარო ჭეშმარიტად განსხვავებული წარმოგვიდგება. მე აქ ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ასპექტის ხარისხის გადაფასების აუცილებლობაზე ვსაუბრობ.

ეროტიკა ბერძნული სიტყვისაგან **eros** წარმოიშვა და წარმოადგენს სიყვარულის ყველა ასპექტის განპიროვნებას, რომელიც ქაოსისაგან გაჩნდა და შემოქმედ ძალასა და ჰარმონიას განასახიერებდა. როდესაც ეროტიკაზე ვსაუბრობ, მას ქალის სასიცოცხლო ძალის დასაბუთებად მივიჩნევ; იმ ძლევამოსილ შემოქმედებით ენერგიად, რომლის ცოდნისა და გამოყენების აღდგენასაც ვცდილობთ დღეს ჩვენს ენაში, ისტორიაში, ცეკვებში, სიყვარულში, სამსახურში და ცხოვრებაში.

ხშირად ცდილობენ, რომ პორნოგრაფია და ეროტიულობა, რომლებიც სექსუალურობის დიამეტრულად საპირისპირო გამოვლინებებს წარმოადგენენ, ერთმანეთთან იქნენ გაიგივებულნი. ამ მცდელობათა გამო „სულიერის“ (ფსიქიკური და ემოციური) პოლიტიკურისაგან განცალკევება და მათი აღქმა, როგორც შინაგანად შეუთავსებელი ან სრულიად საპირისპირო ცნებებისა, მოდურად იქცა. „რას გულისხმობ პოეტურ რევოლუციონერში, მოაზროვნე ბანდიტი?“ სწორედ

ამგვარად ჩვენ ვცდილობდით ერთმანეთისაგან განგვეცალკევებინა „სულიერი“ და ეროტიული, რისთვისაც „სულიერი“ დაგვეყავდა მარტივ ემოციაზე, ასკეტის სამყაროზე, რომელსაც გრძნობების განცდა არ სურს. ეს უკანასკნელი შთაგვაგონებს, რომ არაფერი ვიგრძნოთ. მაგრამ ეს „არაფერი“ ჭეშმარიტებისაგან შორსაა. ამგვარი ასკეტური პოზიციისათვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს მკაცრი უმოძრაობა წარმოადგენს. ასკეტების მკაცრი თავშეკავებულობა წარმართველი აკვიატებაა, რომელიც არა დისციპლინას, არამედ თვითუარყოფას გულისხმობს.

„სულიერისა“ და პოლიტიკურის დიქტომიაც აგრეთვე ყალბია, რაც ჩვენი ეროტიული ცოდნისადმი არასრული ყურადღებითაა გამოწვეული. ხიდი, რომელიც მათ აერთებს, ეროტიკისაგან იქმნება, რომელიც წარმოადგენს გრძნობისმიერ, ემოციურ, ფსიქიკურ და ფიზიკურ გამოვლინებას იმისა, რაც თითოეულ ჩვენგანში უღრმესი, უძლიერესი და უმდიდრესია და ყოველივე ამის სხვათათვის გაზიარებას. ესაა სასიყვარულო ვნებათაღელვა, მისი ყველაზე ღრმა მნიშვნელობით.

ზედაპირულობის მიღმა არსებობს მნიშვნელოვანი ფრაზა – „მე ვგრძნობ, რომ ეს მართალია“, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნაში ეროტიკის ძალის აღიარებას წარმოადგენს. რასაც ეს გულისხმობს არის პირველი და ყველაზე ძლიერი გზის მანათობელი ნებისმიერი გაგებისაკენ. გაგება კი მოსამსახურეა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ განმარტოს ან იყოს შედეგი სიღრმეში გაჩენილი ამ ცოდნისა. ეროტიკა ჩვენი ყოველგვარი შინაგანი ცოდნის აღმზრდელია.

ეროტიკა ჩემთვის მრავალნაირად ფუნქციონირებს. პირველ რიგში იგი უზრუნველმყოფს ძალით, რომელიც ნებისმიერი შინაგანი მისწრაფების სხვა ადამიანისათვის გაზიარებიდან წარმოიქმნება. როგორც ფიზიკური, ემოციური და ფსიქიკური, ასევე ინტელექტუალური სიამოვნების გაზიარება გამზიარებელთა შორის ხიდს ქმნის. ეს შეიძლება იქცეს ბაზისად იმის გააზრებისათვის, რაც მათ შორის გაზიარებული არაა და ამცირებს მათი დაშორების საფრთხეს.

ჩემი სიხარულის უნარის უშიშარი და ღია ხაზგასმა ეროტიკული კავშირის ფუნქციონირების მეორე მნიშვნელოვანი გზაა. როგორც ჩემი სხეული რეაგირებს მუსიკაზე და იხსნება საპასუხო რეაქციისათვის, ყურს უგდებს მის უღრმეს რიტმებს, ჩემი შეგრძნებების ყოველი დონეც აგრეთვე ეროტიულ კმაყოფილებას უკავშირდება: არის ეს ცეკვა, ნიგნების კარადაში შელაგება, ლექსის წერა თუ რომელიმე იდეის განხილვა.

გაზიარებული ურთიერთკავშირი არის საზომი იმ სიამოვნებისა, რომლის შეგრძნებაც, ვიცი, რომ შემიძლია. ესაა ჩემი განცდის უნარის შემახსენებელი. და ჩემი სიამოვნებითი შესაძლებლობების ამ უღრმეს და შეუცვლელ ცოდნას მივყავარ იქამდე (რასაც მთელი ჩემი ცხოვრება მოვითხოვდი, რომ გაცნობიერებული ყოფილიყო), რომ ამგვარი კმაყოფილება შესაძლებელია და არაა აუცილებელი მას ერქვას ქორწინება, ან ღმერთი და ან თუნდაც იმქვეყნიური ცხოვრება.

ესაა ერთი მიზეზი, თუ რატომაც ეშინიათ ეროტიკის და რატომაც უკავშირებენ მას ასე ხშირად მხოლოდ საძინებელ ოთახს. ესეც მაშინ თუკი საერთოდ აღიარებენ მას. როგორც კი ჩვენ ვინყებთ ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტის ღრმად შეგრძნებას, მაშინვე ჩვენი თავისა და ჩვენი ცხოვრებისეული მისწრაფებებისგან მოვითხოვთ, რომ ისინიც იმ სიამოვნებას შეესაბამებოდნენ, რომელთა შეგრძნებაც, ვიცით, რომ ხელგვენიფება. ჩვენი ეროტიული ცოდნა ძალას გვმატებს, იგი იქცევა ლინზებად, რომელთა მეშვეობითაც ყურადღებით ვსწავლობთ ჩვენი არსებობის ყველა ასპექტს. ეს ლინზებები გვაიძულებს აღნიშნული ასპექტები ობიექტურად და ჩვენს ცხოვრებაში მათი შესაბამისი მნიშვნელობების ჭრილში შევაფასოთ. მოხერხებულ, უსახურ და წინასწარ განსაზღვრულ ყოველდღიურობასა და დაუცველობასთან შეუგუებლობა უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობაა, რომელიც თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობს.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში პლასტიკურ პაკეტებში დაფასობულ, თეთრ, უფერულ მარგარინს ვყიდულობდით პატარა, მკვრივი, ტოპაზივით ყვითელი შეფერილობის მქონე ბურთულებით. მარგარინს გაღობამდე გარეთ ვტოვებდით, შემდეგ კი ამ პატარა ბურთულას ისე ვუჭერდით, რომ პაკეტშივე გამსკდარიყო და მკვეთრი სიყვითლე მარგარინის გამდნარ,

უფერო მასაში არეულიყო. ამის შემდეგ მას თითებით ნაზად ვზელდით მანამ, სანამ სიყვითლე მარგარინის მთელ პაკეტს არ მოედებოდა და ერთიან შეფერილობას არ მისცემდა.

ეროტიკა ჩემთვის სწორედ იმ მარცვალს წარმოადგენს, რომელიც მისი „მკვრივი ბურთულიდან“ გამოთავისუფლდება, ჩემს სხეულში იშლება და ცხოვრებას იმ ენერგიით მიფერადებს, რომელიც მთელ ჩემს გამოცდილებას უფრო ამაღლებულს, მგრძნობიარესა და ძლიერს ხდის.

ჩვენ ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებებისათვის „დიახ“-ის თქმის შიში გვექონდა ჩანერგილი. მაგრამ ამის გაცნობიერებისთანავე ის გრძნობები რომლებიც ჩვენი მომავლისათვის უსარგებლოა, კარგავენ ძალას და შეიძლება ჩანაცვლებულნი იყვნენ. ჩვენი სურვილების შიში მათ საეჭვო ელფერს ანიჭებს და განუხრელად ზრდის მათ ძალაუფლებას, ვინაიდან ჭეშმარიტების ნებისმიერი შევიწროება მას აუარებელ ძალას ანიჭებს. იმის შიში, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ დავძლიოთ ის სიმახინჯეები, რომლებიც შეიძლება ჩვენს თავში აღმოვაჩინოთ, გვაიძულებს მორჩილები, ლოიალურები, თვინიერები და გარედან მართულები დავრჩეთ, და გვიბიძგებს შევეგუოთ ჩვენს, როგორც ქალების, ჩაგვრას.

როდესაც ჩვენი ცხოვრება ხშირად ჩვენგან დამოუკიდებლად იმართება (რაშიც მე ვგულისხმობ იმას, რომ გარედან მოსულ დირექტივებზე უფრო ვართ დამოკიდებულნი ვიდრე ჩვენს შინაგან ცოდნასა და მოთხოვნილებებზე, ვცხოვრობთ რა შინაგანი ეროტიული მისწრაფებების გარეშე), მაშინ ჩვენი ცხოვრება გარეგანი და უცხო ფორმებითაა შეზღუდული და ჩვენ ვუთმობთ სტრუქტურულ მოთხოვნილებებს, რომლებიც ადამიანურ მოთხოვნილებებს არ ეფუძნებიან და ინდივიდებს იგნორირებას უკეთებენ. მაგრამ, როდესაც ჩვენ შინაგან ორიენტირებზე დაყრდნობით ვინყებთ ცხოვრებას (გვაქვს რა შეხება ჩვენს შიგნით არსებულ ეროტიულ ძალებთან და ვანიჭებთ რა მათ შესაძლებლობას გარესამყაროში ჩვენს ქმედებებზე აისახონ), სწორედ მაშინ, ყველაზე ღრმა გაგებით, ვხდებით ჩვენს თავზე პასუხისმგებელნი. ვინაიდან ვინყებთ ჩვენი უღრმესი გრძნობების შეცნობას, ჩვენ ვეგუებით ტანჯვითა და თვითუარყოფით დაკმაყოფილების აუცილებლობას და ვნებდებით იმ გულქვაობას, რომელიც საზოგადოებაში ხშირად ყოველივე ამის ერთადერთ ალტერნატივად აღიქმება. შევიწროების წინააღმდეგ მიმართული ჩვენი ქმედებები უფრო გათავისებული, მოტივირებული და შინაგანად მთავრებული ხდება.

ეროტიკასთან შეხებით მე ნაკლებად მიჩნდება სურვილი შევეგუო უძღურებასა და ყოფიერების იმ სხვა მდგომარეობებს, რომლებიც ჩემთვის დამახასიათებელი არაა, როგორებიცაა: მორჩილება, სასონარკვეთა, ჩრდილში ყოფნა, დეპრესია და თვითუარყოფა.

სწორედაც რომ არსებობს იერარქია, ეზოს უკან ღობის ღებვასა და ლექსის წერას შორის განსხვავება, მაგრამ მხოლოდ რაოდენობრივი. ჩემთვის არაა განსხვავება კარგი ლექსის წერასა და საყვარელი ქალის სხეულთან სიახლოვეს შორის.

ყოველივე ამას ეროტიკის უკანასკნელ აღქმამდე მიყვავარ. გრძნობების ძალის ურთიერთგაზიარება სხვათა გრძნობების ცხვირსახოცივით გამოყენებისაგან განსხვავდება. როდესაც ეროტიულსა თუ სხვა სახის გამოცდილებას სხვა კუთხიდან ვუყურებთ, გაზიარებაზე მეტად ჩვენ უფრო იმ ადამიანთა გრძნობებს ვიყენებთ, რომლებიც ამ გამოცდილებაში ჩვენთან ერთად მონაწილეობენ. თანხმობის გარეშე გამოყენება შეურაცხყოფაა.

იმისათვის, რომ გამოვიყენოთ, ჩვენი ეროტიული გრძნობები უნდა გავაცნობიეროთ. სიღრმისეული გრძნობების გაზიარება ადამიანური მოთხოვნილებაა. მაგრამ, ევროპულ – ამერიკული ტრადიციის მიხედვით, ეს მოთხოვნილება გარკვეული ეროტიული ურთიერთობის აკრძალვით კმაყოფილდება. ამგვარ შემთხვევებს თითქმის ყოველთვის ახასიათებს სხვადასხვა მიმართულებით ხედვა. ყოველთვის ჩნდება პრეტენზია, რომ მას რაღაც სხვა სახელი დაერქვას: ხან რელიგია, ხან განწყობა, ბრბოს ძალადობა ან თუნდაც ექიმობანას თამაში. ქმედებებისა და მოთხოვნილებებისთვის არასწორი სახელების დარქმევა იმგვარ დამახინჯებებს ინვესს, რომლებიც პორნოგრაფიითა და უღირსობით (გრძნობების ბოროტად გამოყენებით) მთავრდება.

როდესაც ჩვენი ძალის შენარჩუნებასა და განვითარებაში ეროტიკის მნიშვნელობას უგულებელვყოფთ ან როდესაც სხვებთან კავშირის დროს ჩვენი ეროტიული მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებისას საკუთარ თავს თვალს ვარიდებთ, ჩვენ კმაყოფილებისაგან მოგვრილი სიამოვნების ერთმანეთისთვის განაწილების ნაცვლად ერთმანეთს ვიყენებთ, როგორც დაკმაყოფილების ობიექტებს. ჩვენ არ ვახდენთ ჩვენი მსგავსებებისა და განსხვავებულობის შერწყმას. რაოდენ კომფორტულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ნებისმიერ დროს ჩვენი განცდების გაცნობიერების უარყოფა, ჩვენივე გამოცდილების დიდი ნაწილის უარყოფაა. ეს გულისხმობს პორნოგრაფიამდე დაცემას, შეურაცხყოფასა და აბსურდს.

ეროტიკა შეუძლებელია მეორეხარისხოვნად იგრძნო. მე, როგორც შავკანიან ლესბოსელ ფემინისტს, გამაჩნია ჩემეული გრძნობა, ცოდნა და გაგება იმ დობილებისა, რომლებთანაც მიცეკვია, მითამაშია და მიჩხუბია კიდეც. ამგვარი ღრმა მონაწილეობა ხშირად მანამდე შეუძლებელი, ერთობლივი, შერწყმული ქმედებების წინაპირობა ყოფილა.

მაგრამ ეს ეროტიკული ტვირთი ქალებისათვის, რომლებიც ექსკლუზიურად ევროპული და ამერიკული მამაკაცური ტრადიციით ცხოვრებას განაგრძობენ, ადვილი გასაზიარებელი არაა. როდესაც ცხოვრებისა და შეგრძნებების ამ მოდელისადმი ჩემი ცნობიერების მორგებას ვცდილობდი, ვიცოდი, რომ ამას ვერ მოვახერხებდი.

მხოლოდ ახლა მე სულ უფრო და უფრო მეტად ვხვდები ქალებზე ორიენტირებულ, გამბედავ ქალებს, რომლებიც რისკავენ ეროტიკული ელექტრონული მუხტის ურთიერთგაზიარებას ამ ყოველივეს უგულვებლყოფისა და ურთიერთგაცვლის არანორმალურად ძლევამოსილი და შემოქმედებითი ბუნების ნაბილწვის გარეშე. ცხოვრებაში ეროტიკის ძალის აღიარებას ჩვენს სამყაროში ჭეშმარიტი ცვლილებების მოსახდენად ენერჯის მონიჭება შეუძლია, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იგივე მოსაწყენ დრამაში უბრალოდ ხასიათების გადანაცვლება.

ჩვენ მხოლოდ ჩვენს ყველაზე ძალმოსილ შემოქმედებით წყაროს კი არ ვეხებით, არამედ ვეხებით რასისტული, პატრიარქალური და ანტიეროტიკული საზოგადოების წინაშე მყოფი ქალების პრობლემებს.

ნაციონალიზმი და მამაკაცურობა

სინთია ენლოი*

ქალებს არასდროს ჰქონიათ მსუბუქი დამოკიდებულება ნაციონალიზმთან. მაშინაც კი, როდესაც იძულებულნი იყვნენ მოეთმინათ კოლონიალისტა და რასისტა შეურაცხყოფა, მათ მოსასპოვად დაფუძნებული ნაციონალისტური მოძრაობები ქალებს უფრო ხშირად აღიქვამდნენ როგორც სიმბოლოებს და არა როგორც მონაწილეებს.

კოლონიალიზმი ხელს უწყობდა საფოსტო მარკების ბიზნესს. კოლონიის მმართველები, ჯარისკაცები, მოსახლეები და ტურისტები მათ მიერ მართული საზოგადოებების სურათების სახლში გასაგზავნად სხვადასხვა გზას ეძებდნენ. ეს სურათები ერთდროულად ასახავდნენ მუდარას და თან ნათელს ფენდნენ იმ ფაქტს, რომ ამ უცხო საზოგადოებებს ცივილიზებული ხელისუფლება ესაჭიროებოდათ. ამის მინიჭება კი მხოლოდ თეთრკანიანებს შეეძლოთ. კოლონიური საფოსტო მარკები ჩვეულებრივ ეროტიზირებული და საოცრად სტანდარტიზებული იყო — სამხრეთ აფრიკელი ზულუსების ტომის ქალს და ახალ ზელანდიელი მაორების ტომის ქალს სთხოვდნენ ბრიტანელი იმპერიალისტების ფოტოგრაფისტების ერთნაირი პოზები მიეღოთ.

ფრანგი კოლონიზატორებიც აგრეთვე აგზავნიდნენ სახლში არაბი ქალების გამოსახულებებით დასურათებულ საფოსტო მარკებს თავიანთი ჩრდილო-აფრიკული კოლონიებიდან. ამ ქალებიდან ზოგიერთი ჩადრით იყო შებურვილი, ზოგი კი - არა. ზოგი ფოტოგრაფის სტუდიაში ღიად პოზირებდა, სხვები კი ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს კამერით წაუსწრეს. ამ საფოსტო მარკებიდან ბევრი სექსუალური გზავნილის გამომხატველი იყო. „აიშა და ზორა“ იმ ორი აღჭირელი ახალგაზრდა ქალის ფოტოს სახელია, რომლებიც ჩადრის გარეშე დგანან და ფოტოგრაფსა და, შესაბამისად, საფოსტო მარკის მყიდველსა და შესაძლო ადრესატს დაჟინებით უცქერენ. ორი ქალი ორნამენტებიანი რკინის გისოსების მიღმა ფანჯრის რაფაზე ზის. მეორე, „მავრ ქალად“ სახელდებულ მარკაზე, რომელიც თითქოსდა ყველა არაბი ქალის განმასახიერებელია, ასახულია ქალი, რომელიც არათუ ჩადრს, ხალათსაც კი არ ატარებს მკერდის დასაფარად. ისიც ფანჯრის გისოსების ფონზეა დახრილი და გარეთ იცქირება, თითქოს ცის დასალიერს უყურებს.

მალექ ალოულა ამ ფრანგული კოლონიური საფოსტო მარკების კოლექციონერია. იგი აღჭირელი ნაციონალისტია. კოლონიური კულტურის ის ეფემერა, რომელსაც ეს საფოსტო მარკები მისთვის მამაკაცური თავგადასავლებისა და „ეგზოტიკის“ კონცეფციებს ასახავდნენ, ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი იყო საფრანგეთის კოლონიური ბატონობისთვის, როგორც „უცხოური ლეგიონი“. ევროპული „ორიენტალიზმი“ ამ კულტურების მეშვეობით მიმზიდველ ხატს ქმნიდა და თან „ცივილიზაციის“ სახელით ევროპული მმართველობის გამართლებას ემსახურებოდა. ჩადრით მაცდურად შებურვილი მუსულმანი ქალის სურათი ამ ორიენტალისტური იდეოლოგიის და ასევე იმ იმპერიული სტრუქტურის საფუძველი იყო, რომელსაც ეს იდეოლოგია ამყარებდა.

მალექ ალოულა ამ სურათებს იმისთვის იყენებს, რომ საკუთარი, როგორც მამაკაცი ნაციონალისტის, იდენტობა გამოიკვლიოს: მამაკაცისთვის დამორჩილება

არის ის მდგომარეობა, როდესაც მისი ქალი იმპერიალისტური საფოსტო მარკების მასალად არის ქცეული. ნაციონალისტად ჩამოყალიბება მამაკაცისაგან მოითხოვს უცხოელის მიერ მისი ქალის გამოყენებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ მზადყოფნას.

მაგრამ რა ხდება უშუალოდ ქალებთან მიმართებაში? აიშასა და ზორას საკუთარი მოსაზრებებიც უნდა ჰქონოდათ, როდესაც გისოსებს მიღმა ჩადრის გარეშე პოზირებდნენ. შესაძლოა, მოგვიანებით სადმე სასტუმროს ახლოს ნახეს კიდეც გასაყიდად გამოტანილი ეს საფოსტო მარკები. შესაძლოა, ამით ნასიამოვნებიც იყვნენ ან შეურაცხყოფილნიც. როგორ არწმუნებდნენ

* სინთია ენლოი, საერთაშორისო პოლიტიკის ფემინისტური აზრი, University of California Press, 1990

მათ, რომ ფოტოგრაფის წინაშე სხვადასხვა პოზა მიეღოთ? უხდიდნენ თუ არა ფულს? ვინ იღებდა ამ ფულს? მალევე ალოულა და სხვა მამაკაცი ნაციონალისტები, როგორც ჩანს, ნაკლები ინტერესით უყურებენ ჩაგრული ქალის პირად მოსაზრებებს — აზრებს, რომლებიც მათ, შესაძლოა, უცხოელი დამპყრობლების შესახებ გასჩენოდათ.

კოლონიზირებული ქალები უცხოელი მამაკაცებისთვის სექსუალური ლტოლვის ობიექტებს წარმოადგენდნენ. ზოგიერთი მათგანი უცხოელ მამაკაცზე ქორწინდებოდა და ამგვარად უწყობდა ხელს უცხოურ მთავრობებსა და კომპანიებს და დაპყრობილ ხალხს შორის კავშირების დამყარებას. სხვები ამ უცხოელი მამაკაცების მეუღლეებისთვის მზარეულებად და ძიძვებად მუშაობდნენ. იღებდნენ რა თეთრკანიანი ქალის რელიგიური და სოციალური ხასიათის მითითებებს, ისინი მათი მორალური უპირატესობის განცდას განამტკიცებდნენ. თავიანთ საზოგადოებებში სწორედ ისინი არჩენდნენ მამაკაცებს, რომელთა მამაკაცური თავმოყვარეობაც კოლონიზატორთა შეურაცხმყოფელი ქმედებითა და ქედმაღლობით იყო შელახული. ქალებს საკუთარი ოჯახების უზრუნველსაყოფად მინის მცირე ნაკვეთებზე სიმინდი, ბატატი (ტკბილი კარტოფილი) და ბრინჯი მოჰყავდათ და ამით მათ ქმრებს რამდენიმე მილის მოშორებით სხვათა საბადოებსა და პლანტაციებში მუშაობის საშუალებას უქმნიდნენ. ქალები, როგორც სიმბოლოები, მშრომელები და აღმზრდელები სრული კოლონიზაციის გადამწყვეტი ფაქტორები იყვნენ.

ამასთან, ნაციონალისტური მოძრაობები იშვიათად თუ მიმართავდნენ ქალთა გამოცდილებას, როგორც სანყის წერტილს იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება ხალხის კოლონიზირება ან როგორ თავისუფლდება იგივე ხალხი ამ მატერიალური და ფსიქოლოგიური დომინანტობის მარწმუნებისგან. ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, ტიპურად წარმოიშვა მასკულინიზებული მოგონებების, მასკულინიზებული ჩაგვრისა და მასკულინიზებულივე იმედისგან. „გასაცოდავებულად“ ყოფნის ან „ჭურჭლის მრეცხავთა ერად“ გადაქცევის გამო გამოწვეული აღშფოთება ნაციონალისტური მოძრაობის აალებსათვის ბუნებრივ სანვავად მიიჩნეოდა.

ჩვენ ქალების მხარდასაჭერად მხოლოდ საუბარს კი არ გვიშლიდნენ, არამედ ფიქრსაც და განსხვავებულ ბედზე ოცნებასაც კი. წართმეული გვექონდა ოცნებები, რადგან გვარწმუნებდნენ, რომ ცხოვრების ის წესი, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობდით, ერთადერთი გზა იყო იმისათვის, რომ კარგი ალჟირელი ყოფილიყავი...

ამ სიტყვების ავტორი, ალჟირელი ფემინისტი მარი-აიმე ჰელი-ლუკასი იმ რეჟიმს აღწერს, რომლის პირობებშიც მის ნაციონალისტურ მთავრობას ქალების სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის შემზღვეველი ახალი კანონმდებლობის რაციონალიზირება შეეძლო მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ქვეყნის ანტიკოლონიურ ომში დიდი წვლილი შეჰქონდათ. თუმცა იგი აქვე თავის ფემინისტ მსმენელებსაც აფრთხილებს, რომლებიც საერთაშორისო შეხვედრაზე იყვნენ შეკრებილნი:

შესაძლოა, ამ სიმპოზიუმზე დამსწრე ქალებიდან უმრავლესობას ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია, რომ მიუკუთვნებიათ იმ ქვეყანას, ერს, რომელსაც საკუთარი არსებობის დასაბუთება არ სჭირდება; ეს შესაძლებელს ხდის ერის ცნების გადალახვასა და მის გაკრიტიკებას. ეს ჩვენთვის დაშვებული არაა... არც ჯერ ისევ კოლონიზირებულ ან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომში ჩაბმულ ქვეყნებში მცხოვრები უამრავი ხალხისთვის... [ამ პირობებში] ბევრად უფრო ძნელია ერის და იმ სახელმწიფოს კრიტიკამდე მისვლა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს, რომ ერს წარმოადგენს.

„ერი“ იმ ადამიანების ერთობლიობაა, რომლებმაც ირწმუნეს, რომ საერთო წარსულით ჩამოყალიბდნენ და საერთო მომავლის გაზიარება უნერიათ. ეს რწმენა ჩვეულებრივ საერთო ენითა და გარშემო მყოფი ჯგუფებისგან „განსხვავებულობით“ არის გაჯერებული. ნაციონალიზმი ამ რწმენის გაღვივებისა და იმ პოლიტიკის ხელშეწყობის საყრდენია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ერს თავად მართოს საკუთარი ბედი. კოლონიალიზმი ნაციონალისტური იდეებისათვის განსაკუთრებით მსუყე ნიადაგია, რადგან იგი განსხვავებულად დანაწილებულ ხალხს უცხოური დომინანტობის მნიშვნელოვან გამოცდილებას აძლევს. მაგრამ ყველა ნაციონალისტი როდი სცემს პატივს სხვა საზოგადოებების მოთხოვნილებას, რომ საკუთარი ღირსებისა და თვითკონტროლის განცდა ჰქონდეთ. ზოგიერთი ნაციონალისტი რასიზმისა და კოლონიალიზმის მსხვერპლი ხდება; სხვები კი - მათი თანამზრახველიც კი.

დღეს, კლასიკური კოლონიალიზმის დაღმასვლის მიუხედავად, ნაციონალიზმი ისევ ყვავის,

რადგან უცხოური გავლენა ახალი გზებით ცდილობს ჩაუნერგოს ადამიანებს საკუთარი ბედის უმართაობის განცდა. იქ, სადაც ნაციონალისტების კერა იყო ოდესღაც ბრიტანეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის ან ამერიკის კოლონიური ადმინისტრაციები, დღეს ნაციონალისტური ენერჯის მობილიზებას განაპირობებს უცხოური კორპორაციების, ბანკებისა და არმიების ინტერვენცია. ნაციონალიზმი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალადაც რჩება, რადგან იმ უამრავი ქვეყნიდან, რომლებმაც მოიპოვეს კოლონიური მმართველობისგან დამოუკიდებლობა, სინამდვილეში თითოეული საკუთარ საზღვრებში ერთზე მეტ ეროვნულ ერთობას მოიცავს. ამგვარად, სანამ ნაციონალიზმი ცოცხლობს და ყვავის იმ კანადელებს შორის, რომლებსაც მაინც ჰგონიათ, რომ მათი ქვეყნის იდენტობა სამხრეთელი ბეჭემოტის წყალობითა განადგურების ზღვარზეა, ეს აგრეთვე კანადელებს შორის ურთიერთობების მამოძრავებელია; 1960-იანი წლებიდან ფრანგი კანადელები ნაციონალისტური სტრატეგიების განვითარებას ცდილობდნენ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ დომინანტური ანგლო-კანადის მხრიდან ჩაყლაპვა. ამდენად, ნაციონალისტური იდეები როგორც ინდუსტრიულ, ისე აგრარულ საზოგადოებებში, აცხოველებდნენ ხალხის ურთიერთობებს მეზობლებთან და ვრცელ სამყაროსთან. ის ქალებისა და მამაკაცების პოლიტიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა სხვადასხვა ქვეყანაში — ეთიოპიაში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ კორეაში, ბრიტანეთში, ირლანდიაში და საბჭოთა კავშირში.

ნაციონალისტურმა მოძრაობებმა შეცვალეს საერთაშორისო პოლიტიკის ლანდშაფტი. თუ სახელმწიფო ძალაუფლების ვერტიკალური განსახიერებაა, ერი იდენტობის ჰორიზონტალურ მოდელს წარმოადგენს. დღეს ითვლება, რომ ყველაზე მდგრადი პოლიტიკური სისტემა ისაა, რომელშიც სახელმწიფო ძალაუფლება ეროვნული იდენტობის სარეცელზე ასვენია: „ერი-სახელმწიფო“. დღეისთვის მთავრობათა უმეტესობა ირწმუნება, რომ მმართველობას ახორციელებენ ერ-სახელმწიფოებში. სინამდვილე კი არც ისე მარტივია. სახელმწიფო თანამდებობის პირები იმათ გამო, ვისაც მყოფე პოლიტიკურ ნიადაგზე დგომა არ ძალუძს, ხშირად პრეტენზიას აცხადებენ, რომ ლეგიტიმურობა ეროვნულობაზეა დაფუძნებული. ეროვნული საფუძველის გარეშე ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის თანამდებობის პირთა მოთხოვნებს „საერთაშორისო გარიგებების მაგიდაზე“ კოლეგების თვალში ნდობა აკლიათ.

ადამიანი ნაციონალისტი ხდება მაშინ, როდესაც საერთო საზოგადოებრივი წარსულისა და მომავლის გაცნობიერებას იწყებს. მაგრამ ქალთა უმრავლესობის წარსული გამოცდილება და სამომავლო სტრატეგია იმ ნაციონალიზმის საფუძველს არ ქმნიან, რომლის მხარდაჭერასაც მათ აიძულებენ. ამასთან, როგორც ალჟირელი ფემინისტები იუნყებიან, ქალებისთვის მეტისმეტად სარისკო წამოწყებაა იმ მოძრაობის კრიტიკა, რომელიც მათ საკუთარ ერს ან იმ რეჟიმს წარმოადგენს, რომელიც ძალაუფლებას ამ ერის სახელით ახორციელებს. ნაციონალისტი ფემინისტის ცხოვრებით ცხოვრება დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული პოლიტიკური პროექტია. განვითარებადი ნაციონალისტურ-ფემინისტური პოლიტიკა არ გამარტივებულა მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ კოლონიზირებულ ქვეყნებში (როგორც ქვემოთ ვნახავთ) უამრავმა ქალმა დაუჭირა მხარი იმ ღონისძიებებს, რომლებიც ნაციონალისტური მოძრაობების მიერ გარდაქმნისათვის იყო ორგანიზებული. მაშინ, როცა უცხოელთა დაპყრობაში მამაკაცების მსგავსად ქალებიც მონაწილეობდნენ, შესაძლოა, პატრიარქალური დისკრიმინაციის სერიოზულობა გაფერმკრთალებულიყო.

გენდერიზებული კოლონალიზმი

იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენელი მრავალი ქალი იმით ემსახურებოდა საკუთარ მთავრობას, რომ სახელმწიფო და მისიონერულ სკოლებში ასწავლიდა. ამერიკელი ქალი იხსენებს მღელვარებას, რომელსაც მაშინ განიცდიდა, როდესაც გემით მანილაში მიემგზავრებოდა. როგორც ერთ-ერთი პირველი მასწავლებელს, მას 1901 წელს ფილიპინებზე ამერიკული მმართველობის დამყარებისთვის უნდა შეეწყო ხელი. პეტი პექსტონი შეერთებული შტატების არმიაში გაიწვიეს. როდესაც მისი გემი სან ფრანცისკოს ყურიდან გავიდა, ამერიკელი ჯარისკაცები ჯერ

კიდევ იმ ფილიპინელი ანტიკოლონისტი მემამბოხეების დასაშოშმინებელ კამპანიაში იყვნენ ჩართულნი, რომლებიც ნაციონალიზმის სახელით თავიანთი ესპანელი ყოფილი მმართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. პეტი პექსტონი ნაკლებად შეეფერებოდა იმპერიალისტის ტრადიციულ სურათს. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა კოლეჯი, რაც იმ საუკუნის ბოლოს ახალგაზრდა ამერიკელი ქალისთვის იშვიათი მიღწევა იყო. თანაკურსელი არწმუნებდა პეტის, რომ არმია მასწავლებლებს არავითარ შემთხვევაში არ გაგზავნიდა „სახიფათო ნერტილებში“ და თან „ფილიპინების კუნძულების საინტერესო ფლორაზე, ორქიდეებზე, ისლით დახურულ სახლებზე და ყველაზე დამჯერ ბავშვებზე“ უამბობდა. პეტი პექსტონი მოგვიანებით იხსენებდა, რომ საკუთარ თავს აღიქვამდა, როგორც „ამ დიდ თავგადასავალში თავისი პატარა წვლილის შემტანს“, მსოფლიო კი „ბიძია სემზე დამოკიდებული“ ეგონა. მან საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც გაიგო, რომ მისი კოლეჯის მეგობარი, სტელაც, აპირებდა გამგზავრებას და შეეძლოთ ერთად ემოგზაურათ. გემბანზე ისინი სხვა გაუთხოვარ ქალ მასწავლებლებს შეხვდნენ ისევე, როგორც მამაკაცებს, რომლებსაც კალიფორნიის უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდათ. ქალები „საკითხავად და საჭორაოდ“ ერთ-ერთ კაიუტაში იკრიბებოდნენ და მამაკაცებსაც შეუერთდებოდნენ ხოლმე, რათა „სასიამოვნო საღამოები გემბანზე, სიმღერაში გაეტარებინათ, ძირითადად კოლეჯის სიმღერებს მღეროდნენ“.

გამგზავრებისას ამერიკელ ქალთაგან პროტესტს ცოტა თუ გამოთქვამდა. მიუხედავად იმისა, რომ სიუზან ბ. ენტონი საარჩევნო ხმის უფლებისთვის მებრძოლი ამერიკული მოძრაობის ლიდერი იყო, მან აღმოაჩინა, რომ არც ისე ბევრი მომხრე ჰყავდა. მან 1900 წელს პრეზიდენტ მაკკინლის მიმართ პროტესტი გამოხატა იმის თაობაზე, რომ ჰავაის ანექსიასა და კარიბის კუნძულებსა და წყნაროკეანეთში პოლიტიკურ ექსპანსიას სხვა არაფერი მოუტანია, თუ არა ქალის დამორჩილების ამერიკული სტილის უფრო მეტად გაავრცელება. მართლაც, შეერთებულ შტატებსა და ევროპაში საარჩევნო ხმისთვის მებრძოლთა ნაწილი ირწმუნებოდა, რომ მათი იმპერიისათვის სამსახური მათივე, როგორც ამომრჩეველთა, სანდოობის დადასტურებას წარმოადგენდა.

მანილასა და ილოილაში ყოფნისას პეტი და სტელა ტურისტებივით ცხოვრობდნენ და თანდათან უნებლიეთ ამერიკელ ჯარისკაცებშიც იმავე ცვლილებებს იწვევდნენ. რამდენიმე კვირის შემდეგ კი ისინი პროვინციულ ქალაქ ბაკოლოდში გადაგზავნეს, სადაც ამერიკის მეექვსე ქვეითი არმიის შტაბ-ბინა იყო. ბაკოლოდში ცნობილი ფილიპინური ოჯახები ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის ახალ უცხოელ ოკუპანტებს შეგუებოდნენ. საბინა, ის მინათმფლობელი ქალი, ვისთანაც პეტი და სტელა დააბინავეს, ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ორი ახალგაზრდა ქალი თავისი ნათესავებისა და მეგობრებისთვის გაეცნო. ამ დროს ბოლოსდაბოლოს, ორი ამერიკელი ქალი პირველად დანიშნეს მასწავლებლებად. ისინი კუნძულ ნეგროსის მთიანეთში იმ სოფელში გაგზავნეს, სადაც მემამბოხეები ჯერ კიდევ აქტიურობდნენ. პეტი და სტელა სულაც არ ჩანდნენ აღელვებულები; ეს ის თავგადასავალი იყო, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდნენ. ისინი დროს არ კარგავდნენ სოფელში უკვე არსებული იმ ორი სკოლის გარდაქმნაზე, რომელთაგან ერთი გოგონებისთვის იყო, მეორე კი — ვაჟებისათვის. თითოეულს ამ უკანასკნელთაგან იმ მიდგომის კვალი ეტყობოდა, რომელსაც სწავლებისადმი წინა, ესპანელი კოლონიზატორები იყენებდნენ: რელიგიური ტექსტები და ერთ ხმაში კითხვა. „ამერიკული სკოლები ამგვარ საფუძველზე უნდა აგვეშენებინა და მასში სიმყარეს სამი ფაქტორი ქმნიდა: დისციპლინირებული ჯგუფი, სწავლის წყურვილი და უპირატესობის სურვილი. ამასთან, ჩვენ ისეთ მასწავლებლებს ვპოულობდით, რომელთაც ჩვენი ენისა და სწავლების ჩვენიველი მეთოდების ათვისება სურდათ,“ - იხსენებს პეტი პექსტონი.

მან, როგორც მასწავლებელმა, ფილიპინებზე ოთხი წელი დაყო. იგი განბილებას ყველაზე მეტად მაშინ განიცდიდა, როდესაც ადგილობრივ ფილიპინელ თანამდებობის პირებს ვერ არწმუნებდა იმაში, რომ პატარა გოგონების სკოლაში სიარულისთვის დაეჭირათ მხარი. აგრეთვე ძალიან იყო შეწუხებული სათანადო ინვენტარის ნაკლებობით. მაგრამ მაინც ახერხებდა ლექსიკონისა და რიცხვების სწავლებას, ადგილობრივი სიმღერების შესწავლას და თავის მოსწავლეებს ხელობაშიც ეხმარებოდა. თუმცა ცხოვრება მხოლოდ მუშაობისგან არ შესდგებოდა.

ხშირად ეწყობოდა პიკნიკები და საზეიმო ღონისძიებები, რომლებსაც ამერიკელი ჯარისკაცებიც ესწრებოდნენ.

პეტი პექსტონი ღია რასისტი არ იყო. იგი ამერიკელი პოლკოვნიკის მიერ „თეთრკანიანი ადამიანის ტვირთის“ შესახებ სადილზე წარმოთქმულმა სიტყვამ და მისი ცოლის ქედმაღლობამ გააღიზიანა. მიუხედავად ამისა, პეტი პექსტონი და ფილიპინებზე მასწავლებლებად ჩამოსული სხვა ახალგაზრდა ქალები ამერიკული კოლონიური მმართველობის იმ „ცხელი“ დღეების დროს იმ ღირებულებებისა და ინსტიტუტების დამყარებას უწყობდნენ ხელს, რომლებიც ოთხმოცი წლის შემდეგ ფილიპინელი ნაციონალისტების მიერ წამოწყებული ღრმა პოლემიკის საგანი გახდა. *კორაზონ აკინო* ნაციონალიზმის ტალღაზე გახდა ფილიპინების პრეზიდენტი, მაგრამ თავად იგი ამერიკული კოლეჯის კურსდამთავრებულია. მრავალი სხვა ფილიპინელის მსგავსად, იგი კვლავ ნაციონალისტურ სიამაყესა და ამერიკული ღირებულებებით აღფრთოვანებას შორის მერყეობს. ეს ამერიკული ღირებულებები კი პეტის, სტელას და კიდევ იმ ქალების მემკვიდრეობაა, რომლებიც კოლონიალიზმის სამსახურში ყოფნას თავგადასავლად აღიქვამდნენ. ევროპელი და ამერიკელი ქალები თავიანთი ქვეყნების კოლონიებში მხოლოდ ასო-ბგერებსა და რიცხვებს კი არ ასწავლიდნენ, არამედ ღირსების გაგებასაც. ისინი კოლონიზირებულ საზოგადოებებში ისე მოგზაურობდნენ, როგორც მოსახლეები, მკვლევარები და მისიონერები. კოლონიის ხელმძღვანელობას უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ, როგორც ჯარისკაცთა, ფერმერთა, მისიონერებისა და მმართველების ცოლები. ევროპელი და ამერიკელი ქალები აგრეთვე მოხალისეებად მუშაობდნენ, როგორც ძიძვები, აღმზრდელები და მასწავლებლები. კოლონიის ხელმძღვანელობა კი ქალების მიერ ყველა ამ როლის შესრულების შედეგად „ლედის“ მაგვარი ქცევის სტანდარტების დანერგვას მოელოდა. ქალთა ღირსების ვიქტორიანულ კოდექსს კოლონიზირებული ქალისთვის პოზიტიური მაგალითი უნდა მიეცა. კოლონიის მმართველები აგრეთვე იმედოვნებდნენ, რომ ამგვარი კოდექსი მცირერიცხოვან თეთრკანიან ქალებსა და მრავალრიცხოვან ადგილობრივ მამაკაცებს შორის სათანადო დისტანციის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. კოლონიზატორ მამაკაცებსა და ადგილობრივ ქალებს შორის სქესობრივ კავშირებზე თვალს ხუჭავდნენ. კოლონიზატორ ქალებსა და ადგილობრივ მამაკაცებს შორის ურთიერთობა კი იმპერიული წესრიგისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

„ლედის“ ტიპის ქცევა იმპერიალისტური ცივილიზაციის ღერძი იყო. ჰიგიენისა და ქრისტიანობის მსგავსად, ქალური ღირსება იმისთვის იყო გათვალისწინებული, რათა ორივე, კოლონიზატორი და კოლონიზებული ხალხი, იმაში დაერწმუნებინათ, რომ უცხოელთა მხრიდან დაპყრობა სწორი და აუცილებელი იყო. „ლედის“ ტიპის ქცევას კოლონიზატორ მამაკაცებზეც ამამალებელ ეფექტს მოახდენდა: ის მათ იმისკენ უბიძგებდა, რომ მამაკაცურობის ვიქტორიანული სტანდარტების თანახმად ემოქმედათ, რაც კოლონიური წესრიგისათვის იყო აუცილებელი. იმპერიის მასაზრდოებელი ამ მამაკაცურობის ნაწილი ღირსეული ლედის დაცვაში მდგომარეობდა. იგი ხომ ცივილიზაციის გამავრცელებელ იმ მისიას უწყობდა ხელს, რომელიც, თავის მხრივ, „ბნელი“ ხალხების კოლონიზაციას ამართლებდა.

„განუვითარებელ ადამიანებს შორის ქალები ზოგადად დეგრადაციას განიცდიან, ხოლო ცივილიზებულ ხალხში — კეთილშობილნი არიან“ - წერდა ჯეიმს მილი, ბრიტანული კოლონიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მხარდამჭერი მეცხრამეტე საუკუნეში. ბრიტანული კოლონიების ოფიცრები მამაკაცურობის არსებულ იდეოლოგიებს იმაში სდებდნენ ბრალს, რომ ისინი კოლონიზებულ საზოგადოებებში ქალების დეგრადაციას ინვესტდნენ; თუ მამაკაცს მამაკაცურობის ისეთი განცდა ჰქონდა, რომელიც არ ითვალისწინებდა ქალის მიმართ მოკრძალებას, მაშინ მათ არ უნდა ჰგონებოდათ, რომ საკუთარი საზოგადოებების მართვას შეძლებდნენ. ასე მაგალითად, ინდოეთში ბრიტანელმა კომენტატორებმა „ქალაჩუნა“ ბენგალელი მამრის იდეა შექმნეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იმისთვის გაელანძღათ, რომ არასაკამრისად მამაკაცური იყო და ვერ აცნობიერებდა თავის ვალდებულებას დაეცვა ქალი და მისთვის პატივი ეცა. ბრიტანელმა მმართველებმა ქალის მემკვიდრეობის უფლების შესწორებებთან დაკავშირებით ინდოეთში კანონმდებლობა შეცვალეს (1874, 1929, 1937 წლებში), აკრძალეს ქვრივების დაწვა (1829) და მათ ხელახლა გათხოვების უფლება მიანიჭეს (1856) და ეს ყველაფერი პროგრე-

სული ცივილიზაციის სახელით კეთდებოდა. იმავდროულად ვიქტორიანული ღირებულებები იმავე ბრიტანელ მმართველებს ნებას რთავდა მიეღოთ კანონები, რომლებიც იმ ქალების დაპატიმრებას ითვალისწინებდა, რომლებიც თავიანთი ქმრების წინაშე სექსუალური ვალდებულებების შესრულებაზე უარს აცხადებდნენ, და თავს ახვევდა მათ პროსტიტუციის იმ სისტემას, რომელიც ინდოელ ქალს საშუალებას აძლევდა ინდოეთში დასახლებულ ბრიტანელ ჯარისკაცებს სექსუალურად მომსახურებოდა. კოლონიური პოლიტიკის ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების პრობლემა ცხადი ხდებოდა, თუკი მასკულინიზებულ ბრიტანულ კოლონიალიზმს შეხედავდნენ არა როგორც ქალებზე მამაკაცების დომინირების გასაუქმებელ საშუალებას, არამედ, როგორც აზიური და აფრიკული საზოგადოებების მამაკაცებზე ევროპელი მამაკაცების ბატონობის დასამყარებელ კამპანიას.

საუკუნის დასაბოლოებისთვის „მამაკაცურობა“ — ერისათვის მისი მნიშვნელობა და საფრთხე, რომელიც მის შენარჩუნებას ემუქრებოდა — ზოგიერთ ქვეყანაში გაცხოველებული და დაძაბული პოლიტიკური დებატების საგანი გახდა. ყირიმის ომის კვალდაკვალ წარმოებულმა ბურების ომმა შეარყია ბრიტანელების რწმენა, რომ მათი მამაკაცები იმპერიის შესანარჩუნებლად საკმარისად მამაკაცურები იყვნენ. 1908 წელს რობერტ ბადენ-პაუელმა „ბოი სკაუტები“ დააარსა, იმ მიზეზით, რომ ვენერიული დაავადები, რასათა შორის ქორწინება და შობადობის შემცირება თითქოსდა ბრიტანეთის საერთაშორისო ძალაუფლების შენარჩუნებას ემუქრებოდა. ბადენ-პაუელი და სხვა ბრიტანელი იმპერიალისტები ღირსეული ქალბატონისთვის ღირსებასთან შერწყმულ სპორტსმენობას ბრიტანეთის იმპერიული წარმატებების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში „ბოი სკაუტების“ ჯგუფები მთელ მსოფლიოში ყალიბდებოდა, ბადენ-პაუელის ორიგინალური ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობდა, რომ თეთრკანიან ვაჟებში თვითკონტროლის მამაკაცური გრძნობა გამოეღვიძებინა - იმპერიის მომავალი ხომ მათ ხელში იყო. იმაში დასარწმუნებლად, რომ მისი მიმდევრები ამ ჩანაფიქრს სწორედ გაიგებდნენ, ბადენ-პაუელმა „თეთრკანიანი მამაკაცისა“ და „კაცის“ ხატები განასხვავა. ეს უკანასკნელი ბადენ-პაუელის სახელმძღვანელოებში აღწერილი იყო, როგორც დაბალი და შავი ადამიანი, რომელიც ცილინდრსა და გაცვეთილ პიჯაკს ატარებდა. მას „ბოი სკაუტები“ არ უნდა დამსგავსებოდნენ. ავტორს სურდა უპირატესად გამოეკვეთა ამ ფიგურის გვერდით მდგომი „თეთრკანიანი მამაკაცი“: მაღალი, დაკუნთული, პირდაპირ მომზირალი და „სმენაზე“ შემართული.

„თეთრკანიანი მამაკაცი“ შავკანიანზე მაღლა მხოლოდ იმიტომ კი არ იდგა, რომ კარიესთან ბრძოლა ან გამართული სიარული და საკუთარი ზურგჩანთის სათანადოდ ტარება შეეძლო, არამედ იმიტომაც, რომ ქალის, განსაკუთრებით კი დედისა და „ნესიერი გოგონას“ პატივისცემის მნიშვნელობა იცოდა. „ნესიერი გოგონას“ საპოვნელად ახალგაზრდა მამაკაცისათვის ყველაზე სარწმუნო გზა „სკაუტ გოგონაზე“ დაქორწინება იყო. ყოველივე ეს კი „ბოი სკაუტისგან“ იმის მსგავს ოსტატურ მანევრს საჭიროებდა, რომლის გამოყენებაც სწრაფ მდინარეზე კანოეთი დაშვებისას ასწავლეს:

„იმედი მაქვს, გაითვალისწინებთ, რაც ამ ჭორომის, „ქალის“ შესახებ მოგახსენეთ, რომ იგი საფრთხეს წარმოადგენს როგორც ქალის, აგრეთვე მამაკაცისთვის. მაგრამ მას ბრწყინვალე მხარეც აქვს, თუკი თქვენს კანოეს სწორედ მიმართავთ.

ამისათვის საუკეთესო ნიჩაბი რაინდობაა...

მამაკაცი რაინდულობის გარეშე მამაკაცი არაა. ის მამაკაცი, რომელსაც ეს რაინდულობა და ქალისადმი მონივნება გააჩნია, არასოდეს დაეცემა იმ დონემდე, რომ მხეცივით მოიქცეს, არც ქალს მისცემს იმის ნებას, რომ საკუთარი თავი გაინადგუროს და თავისი ღირსება და სხვათა პატივისცემა დაკარგოს. ინიციატივა მას ეკუთვნის - ლიდერობა და არა დაბნეულობა.“

ჰოლივუდი და კოლონიური ნოსტალგია

ბოლო წლებში ევროპული იმპერიალიზმის კინომატოგრაფიული ნოსტალგიის მოზღვავება შეიმჩნევა. ვარსკვლავები თეთრკანიანი ქალები არიან. ევროპელ ქალთა ზღაპრული პორტრეტები აფრიკისა და აზიის კოლონიზაციის ხელახალი განცდისაკენ გვიბიძგებენ. ისაკ დინესენის (კარენ ბლიქსენი) და ბერილ მაკჰემის რომანტიზებული ცხოვრების მეშვეობით ჰოლივუდი კოლონიებს წარმოგვისახავს, როგორც ადგილს, სადაც თეთრკანიან ქალებს ვნებიანი ურთიერთობები ჰქონდათ, თვითმფრინავით დაფრინავდნენ და ველურ ბუნებას ათვინიერებდნენ. მოდის ინდუსტრია ნოსტალგიით საზრდოობდა. ბრიტანეთში, კონტინენტურ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში (ყველაზე განთქმული მაღაზიათა ქსელი „ბანანა რეფაბლიქი“) მაღაზიები „საფარის სამოსად“ ნოდებული ტანსაცმლით ვაჭრობენ, რითაც ქალებს უბიძგებენ ისაკ დინესენის და მერილ სტრიპის კოლონიური ხედვა გაიზიარონ. ამ თეთრკანიან ქალთა ცხოვრება, როგორც მათ ჰოლივუდი წარმოსახავდა, იყო თვალში თითის ტაკება არა მარტო კონსერვატიული ვიქტორიანული ინგლისისთვის, არამედ იმ თეთრკანიანი ახალმოსახლე ქალებისთვისაც კენიაში, რომლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ საკუთარი სახლისაგან მოშორებით შეენარჩუნებინათ ვიქტორიანული სპეციფიკა. კარენ ბლიქსენს და ბერილ მაკჰემს არ ანალვლებდათ, მიედინებოდა თუ არა ვერცხლი დანიშნულებისამებრ, მათ თავგადასავლები სურდათ.

„ითქვა, რომ საუკეთესონი კენიაში წავიდნენ. აფრიკელი სნობების იერარქიაში კენიას პირველი ადგილი ეჭირა და ჩვეულებრივი ხალხი უგანდაში, როდეზიაში ან სამხრეთ აფრიკაში მიდიოდა“. დორის ლესინგი, რომელიც თავის მხრივ თეთრკანიანი ახალმოსახლეების ოჯახიდან იყო, თავის ადრინდელ ნოველებში როდეზიაში მცხოვრები დაბალი საშუალო კლასის თეთრკანიანი ქალების საცოდავ ყოველდღიურობას ასახავდა. მისთვის თეთრკანიანი ქალის ხასიათი და სოციალური დამცირება უფრო დიდი საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე ლომები.

ფილმ „თეთრ უბედურებაში“, როდესაც კენიაში თეთრკანიანთა მმართველობის ბოლო ათწლეულებმა თავიანთი რომანტიკული ელფერი დაკარგა და მორალური გახრწნილობა გამოამჟღავნა, კინემატოგრაფიული გზავნილი ის იყო, რომ კოლონიები შესაძლებლობებს აძლევდნენ თეთრკანიან ქალებს პატრიარქალური ჩვეულებების სულის შემხუთავი მარნუხებისგან დაეღწიათ თავი და სახლში დაბრუნებულიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისათვის ამ მარნუხების ერთიანად დაშლა და იმპერიული ბრძანების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება მოუწევდათ: „კოლონიურ წარმოდგენაში, აფრიკა ძალადობის შთამაგონებელი სახიფათო ქვეყანა იყო. ყოველივე ამის უკიდურეს ბოლოში იყო ქვეცნობიერი შიში, რომ ვინმე შეიძლება ზღვარს გადასულიყო და ქვეყნისა და კლასისთვის „ადგილობრივ ყაიდაზე გადასვლით“ ეღალატა. რომანტიკული ფილმიდან „აფრიკის გარეთ“ ფილმამდე „თეთრი უბედურება“ აფრიკელი ქალები და მამაკაცები კინომატოგრაფიულად ერთნაირად მეორეხარისხოვანნი რჩებოდნენ ფილმის უკანა პლანზე ან საერთოდ შეუმჩნეველნი იყვნენ. ისინი სწორედ ვიქტორიანული ჩვეულებების შენარჩუნების საჭიროების ერთგვარი შემხსენებლების როლს ასრულებდნენ, რომლისგან თავდასაღწევადაც ჩამოდიოდნენ აფრიკაში თეთრკანიანი ქალი პერსონაჟები.

იმის გამო, რომ აფრიკული ნაციონალისტური მოძრაობები ისტორიას ჩაბარდა (უკვე 30 წელი გავიდა კენიაში მაუ მაუს ალზევეებიდან), იდეოლოგიური დატვირთვა ენიჭებათ ჰოლივუდის იმ ქმნილებებს, რომლებიც თეთრკანიან ქალებსა და მათ თეთრკანიან საყვარლებს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ათასობით მაყურებლის წინაშე აფრიკის „რეალურ“ მოსახლეობად წარმოაჩინეს. ამგვარი მითების უკვდავყოფა ნაციონალური მოძრაობების წევრ ქალებს ყოფილი იმპერიალისტური საზოგადოებების ქალებს შორის სანდო მოკავშირეების პოვნას არ უადვილებს. აგრეთვე, ნაციონალისტი ფემინისტების მიერ ამგვარი ალიანსების შექმნის მცდელობა მათ ფემინისტური იდეებისადმი უკვე ამბოხებული მამაკაცი ნაციონალისტების კრიტიკის ობიექტად აქცევს.

ნაციონალიზმი და ჩადრი

ნაციონალისტებს არც ერთი ტრადიციის გარშემო ისე აღტკინებით არ უკამათიათ, როგორც ჩადრთან დაკავშირებით: უნდა გამოამჟღავნოს თუ არა მუსლიმანმა ქალმა ეროვნული ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება ჩადრის ტარებით ან მისი ჩამოსხნით? მამაკაცები და ქალები ალჟირში, ეგვიპტეში, ირანში, თურქეთსა და მალაიზიაში ამ ორივე უკიდურესობით გამოირჩევიან. კოლონიათა მმართველებსა და კოლონიზატორი საზოგადოებების წარმომადგენელ მამაკაცებსა და ქალებს აგრეთვე გამოცდილი აქვთ მორალური და იძულებითი ზენოლა ამ ორ გზას შორის ერთ-ერთისაკენ, უფრო ხშირად კი ჩადრის უარყოფისაკენ გადახრისას. რაც უფრო მეტი კოლონიალისტი უწყობდა ჩადრის სანინალმდეგო მოძრაობას ხელს დასავლური ცივილიზაციის სახელით, კოლონიალურ (ან ნეო-კოლონიალურ) ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანი ქალისთვის საკუთარი პოზიციის დაცვა მით უფრო ძნელი იყო. თუკი კოლონიის მამაკაცი მმართველები და პროგრესულად მოაზროვნე ევროპელი ქალები ჩადრის წინააღმდეგ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ზომებს მიიღებდნენ და თუკი ისინი ამას ადგილობრივ ქალებთან გულწრფელი კავშირის გარეშე გააკეთებდნენ, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო, ისინი მიაღწევდნენ იმას, რომ ჩადრის უარყოფას კოლონიური მმართველობა მისაღებად აღიქვამდა. ალჟირში ფრანგი მმართველები ჩადრის ჩამოსხნას ფრანგული „ცივილიზაციის გამავრცელებელი მისიის“ ნაწილად აღიქვამდნენ. 1920-30-იან წლებში ეგვიპტელი ფემინისტები დებატებში მეტ წარმატებებს აღწევდნენ, მაგრამ, ამავე დროს, ზედმეტად რისკავდნენ. მათ ანტინაციონალისტურ განწყობებს მიაწერდნენ, როდესაც საზოგადოების წინაშე ჩადრის გარეშე გამოდიოდნენ. ჩადრის მოწინააღმდეგე ის ქალები, რომლებიც ადგილობრივ მაღალ ფენას ეკუთვნოდნენ (მრავალთა მსგავსად), თავიანთი კლასის გამო დაცინვისაგან მხოლოდ ნაწილობრივ იყვნენ დაცულნი.

ეგვიპტეში ევროპელი ქალები ჩადრის შესახებ ჩვეულებრივ მტკიცე მოსაზრებებს გამოხატავდნენ. ისინი აღიქვამდნენ მას, როგორც მუსლიმანი ქალის განმარტოების ადგილის სიმბოლოს და ჰარამხანასთან დაკავშირებულს. ბევრი ევროპელი ქალი, რომელიც ჩადრზე წერდა, ამას უპირატესად ეგვიპტელი ქალების ცხოვრებისა და აზრების მიმართ გულწრფელი ცნობისმოყვარეობით კი არ აკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ ეს შესაძლებლობას აძლევდა დარწმუნებულიყო საკუთარ, როგორც ევროპელი ქალის, მდგომარეობაში: „თავიანთ თავზე, როგორც ყოვლისშემძლესა და ეგვიპტელ ქალთან შედარებით თავისუფალზე ფიქრის დროს დასავლელ ქალს შეეძლო თავი აერიდებინა საკუთარ უძლურებასა და სამშობლოში გენდერულ ჩაგვრასთან კონფრონტაციისთვის“. ძალიან ხშირად, ევროპელი ქალები, რომლებიც ეგვიპტეში მიემგზავრებოდნენ და იქ მასწავლებლებად, შინამოსამსახურეებად, ხანდახან კი ეგვიპტელი მამაკაცების მეუღლეებად რჩებოდნენ, იძულებულნი იყვნენ აეხსნა თუ რატომ გრძნობდნენ თავს ასე თავისუფლად „აღმოსავლეთში“.

თავის მხრივ, ის ეგვიპტელი ქალები, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ, როგორც ფემინისტები, წერისას უფრო ხშირად ეყრდნობოდნენ ევროპელი ქალების სტერეოტიპულ პოზიციას, ვიდრე ეგვიპტელი მამაკაცების მიერ მამაკაცთა პრივილეგიზაციის პროტექციას. ისინი იძულებულნი იყვნენ დაეცვათ ისლამი რასისტული ორიენტალიზმის სახით. ისინი უარყოფდნენ წარმოდგენებს ისლამური საზოგადოების, როგორც დინამიზმისა და რეფორმისადმი შეუსაბამოს შესახებ. აგრეთვე წარმოდგენებს იმ ნაშრომების შესახებ, რომლებიც ყველა არაბ ქალს ჰარამხანის უტყინო ნევრად წარმოადგენდა, რომლებიც უფრო ადგილობრივი მცირე წინააღმდეგობებით იყვნენ შენუხებულნი, ვიდრე მათი თანამედროვე ხელოვნებითა და პოლიტიკური საქმეებით. ისინი ამ თავდაცვით მდგომარეობაში არა მარტო ევროპელ ქალთა ახლომხედველობის გამო იყვნენ მოქცეულნი, არამედ საკუთარი საჭიროების გამოც - დაეცვათ ეგვიპტელ ნაციონალისტ მამაკაცებთან საკუთარი კავშირები. ბრიტანული კოლონიალური მმართველობის ქვეშ, ზოგიერთმა ეგვიპტელმა მამაკაცმა მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პოზიციებს მიაღწია, რაც ეგვიპტელი ქალებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ბრიტანული პოლიტიკის ზოგიერთი განსაკუთრებით შემავინროვებელი შედეგისაგან ეგვიპტელი ქალების დასაცავად ეგვიპტელ ფემინისტებს ელიტაში მყოფი ეგვიპტელი მამაკაცების დახმარება ესაჭიროებოდათ.

„ვინაიდან მამაკაცები ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ადრეულ ეტაპებზე ერთგული მოკავშირეები იყვნენ, ცვლილებათა პატერნალისტური სტრატეგიები ლეგიტიმაციის გარკვეულ დონეს ფლობდნენ“. ევროპელი ქალების არასწორმა წარმოდგენამ და ამის გამო ისლამისაგან თავდაცვის მიზნით შევიწროვებულობაზე ყურადღების გამახვილებამ ადგილობრივ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული ეს ალიანსი არა მარტო შეინარჩუნა, არამედ მან აგრეთვე ხელფეხი გაუხსნა მამაკაცთა პრივილეგიებულობას, რათა იგი ეგვიპტურ ნაციონალისტურ მოძრაობაში ღრმად გამჯდარიყო.

იმ არგუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადრიანი ქალის მიერ საკუთარი ერის გაძლიერებას ან მის ღალატს ეხება, აღსანიშნავი ისაა, რომ ისინი მოცემული საზოგადოებების მამაკაცთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უაღრესად დამაფიქრებელია ნებისმიერ ეროვნულ საზოგადოებაში თანაბარი სიცხარით წარმართული დებატები მამაკაცთა ჩაცმულობის, კვების რაციონის ან საუბრის სტილის შესახებ, რომელთა განსაზღვრაშიც ქალებს ზედმინევენით დომინანტური როლი აკისრიათ. ჩაღმა, რომელსაც სიკჰი მამაკაცები ჩვეულებრივ ატარებენ, სიკჰთა ერთობის სოლიდარობისთვისაა მნიშვნელოვანი. სიკჰ მამაკაცებს ინდოეთსა და ბრიტანეთში ჩაღმის ტარების უფლებებისათვის უწევთ ბრძოლა (მაგალითად, როგორც ავტობუსის კონტროლიორებს ბრიტანეთში). დღემდე არავის უნახავს სიკჰი ქალი, როგორც მამაკაცთა ამ ეროვნული ტრადიციის მხარდამჭერი ან დამძალბელი. უფრო მეტიც, მამაკაცები მრავალ საზოგადოებაში ამ იდეოლოგიურ ტვირთს ქალის ჩაცმულობასა და ზედაპირულ სქესობრივ უმნიკვლობას მიაწერენ. ეს კი იმიტომ, რომ ისინი ქალებს აღიქვამენ, როგორც: 1) საზოგადოების ან ერის ყველაზე ღირებულ საკუთრებას; 2) პრინციპულ „ტრანსპორტს“ მთელი ერის ღირებულებების ერთი თაობიდან მეორესათვის გადასაცემად; 3) საზოგადოების მომავალი თაობების მატარებლებს – მტკიცე, ნაციონალისტი დედამთავრები; 4) უცხოელ მმართველთა მიერ შებიღნვისა და ექსპლუატაციის წინაშე საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებს; 5) ვერაგ მომხდურთაგან ასიმილაციისა და კოოპტაციისადმი ყველაზე მგრძობიარე ადამიანებს. ყველა ამ წინაპირობამ ქალთა ქცევას ნაციონალისტი მამაკაცების თვალში მნიშვნელობა შესძინა. მაგრამ ეს იდეები ყოველთვის არ უზრუნველყოფდა, რომ თავად ქალები სერიოზულ მიეჩნიათ, ერის ახლადშემუშავებული პოლიტიკის აქტიურ შემქმნელებად. ეს იდეები არც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მამაკაცთა პრივილეგიებს ეფექტური წინააღმდეგობა შეხვდებოდა ამ ერისაგან აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოში.

პატრიარქატი მოძრაობის შიგნით

ნაციონალისტურ ბრძოლებსა და მომავალ ერ-სახელმწიფოებში ქალთა პირდაპირი როლის შესახებ არგუმენტები მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ პრაქტიკულად ყველა ნაციონალისტურ მოძრაობაში იჩენდა თავს. ეს კი იმიტომ, რომ ეს ხუთი დაშვება ძალას მატებდა ხალხს, რომელიც პოლიტიკური საზღვრების შეცვლას ცდილობდა.

ბრიტანული კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ამერიკული რევოლუცია გაფრთხილება უნდა ყოფილიყო. ასევე უნდა ყოფილიყო საფრანგეთის რევოლუციაც, რომელიც ადგილობრივ მონარქიას ახალი თვითშეგნების მქონე ერის სახელით ებრძოდა. ორივე ამ ნაციონალისტური რევოლუციის განმავლობაში და მათ შემდეგ „მოქალაქეობის“ გაგება ნაციონალისტ ქალებსა და ნაციონალისტ მამაკაცებს შორის გენდერული დაპირისპირების ასპარეზს წარმოქმნიდა. ამერიკელმა და ფრანგმა ქალებმა ეს პოტსტრევოლუციური დავა წააგეს. ახალი ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე ნაციონალისტური ბრძოლის მწვავე გარდაუვალობით გამოწვეული ცვლილებები ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობებში არსებობას წყვეტდა.

ეროვნულ საზოგადოებებში შევიწროვებული ქალები ხშირად იყოფოდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა დაეკავშირებინათ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი თავიანთი ეროვნული იდენტობისა და მონაწილეობის მნიშვნელობა, ასევე ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მათ, როგორც ქალების, პოლიტიკურ იდენტობასთან. მაგალითისათვის, ქალებმა ჯაფნაში (შრი ლანკაში) გვიან

80-იან წლებში, შუა სამოქალაქო ომის დროს, შექმნეს კვლევითი ჯგუფი, რათა ერთად გამოეკვლიათ, თუ როგორ უკავშირდებოდა მათი, როგორც ქალების, ჩაგვრა მათი როგორც ტამილების, ჩაგვრას გაბატონებული შინგალესების ქვეყანაში. ზოგიერთ ქალს პოლიტიკური თვითშეგნება მას შემდეგ ჩამოუყალიბდა, რაც ტამილთა ეროვნულმა მოძრაობამ გააცნობიერებინა, რომ მათი, როგორც ტამილის, სტატუსი შრი ლანკაში მათ საგანმანათლებლო და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მოქმედებდა. სწორედ ნაციონალიზმის მეშვეობით ამ საწყისი პოლიტიზირებით მათ გააცნობიერეს, რომ ქალებსა და მამაკაცებს საკმაოდ განსხვავებული როლების თამაში უნევდათ ტამილ პარტიზანებს, მთავრობის სამხედრო ძალებსა და ოკუპანტი ინდოელებს შორის გამწვავებული ძალადობისას. ეთნიკური მობილიზაციისა და სპირალისებური ძალადობისაგან გამონვეულმა ცვლილებმა ტამილ ქალებს კვლევით ჯგუფში გაერთიანებისაკენ უბიძგა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ტამილებისა და შრი ლანკის საზოგადოებებში ქალთა მდგომარეობის მათეული კვლევა დღევანდელი ფორმითა და მიმართულებებით ჩამოყალიბებულ ნაციონალისტურ მოძრაობებს მათთვის უფრო კომფორტულს გახდის. ქალთა კვლევით ჯგუფში მონაწილეობას შეეძლო შეემცირებინა მათი სურვილი გამხდარიყვნენ ლტოლვილთა ბანაკების მიმდევრები ან მომხდურთა მსხვერპლის სიმბოლოები. მათ მსჯელობას შეეძლო ზოგიერთი ქალისათვის ებიძგებინა კიდევ, რომ მათ შინგალესების საზოგადოებაში ფემინისტები პოტენციურ მოკავშირეებად აღექვათ.

და მაინც ყოველთვის არ არის ნათელი, რომ კულტურული გადამცემის როლისადმი „დანებება“ ან მამაკაცთაგან დაცვის უარყოფა ქალთა ყოველდღიურ უსაფრთხოებას გაზრდის და მათ ტვირთს შეამსუბუქებს. მრავალ საზოგადოებაში, ქალებმა, რომლებიც თავიანთი ეროვნული იდენტობის განცდის დასაბუთებას ცდილობენ, აღმოაჩინეს, რომ აღმოცენებად ნაციონალისტურ მოძრაობაში საზოგადოების მეხსიერებისა და ბავშვების მატარებლების ფემინური სტატუსით შესვლას ძალაუფლების მინიჭება შეუძლია. ნაციონალისტურ მოძრაობაში უფრო მეტი შვილის გაჩენისა და კარგად აღზრდის გამო მამაკაცთაგან შექება ყოველთვის არ იწვევს პატრონობისა და მარგინალიზაციის გრძობას.

მაგრამ ქალი, რომელიც საღამოობით საკუთარი ბავშვების უკეთესი მომავლის დასაცავად ნაციონალისტურ შეკრებებზე სიარულს იწყებს, შეიძლება მისი ქმრისაგან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდეს. ქმარმა, შესაძლოა, იგი ოჯახური მოვალეობების უგულვებელყოფაში, ოჯახს გაერთ სასიყვარულო ურთიერთობებსა და ცოლის კონტროლის შეუძლებლობის გამო სხვა მამაკაცების თვალში სულელად წარმოჩენაში დაადანაშაულოს. მას არასოდეს წარმოედგინა, რომ ნაციონალისტური მოძრაობისათვის მხარის დაჭერა საკუთარ ოჯახზე კონტროლის დაკარგვას გამოიწვევდა. მან შესაძლოა ცემოს კიდევ ცოლი, რათა მან ამგვარ შეხვედრებზე დასწრება შეწყვიტოს.

ამგვარმა გამოცდილებამ ზოგიერთ ნაციონალისტურ მოძრაობაში ცოლთა ცემას პოლიტიკური საკითხის მნიშვნელობა მიანიჭა. როდესაც ისინი ნაციონალისტურ აქტივობებში ერთვებოდნენ, წარმოდგენილი არ ჰქონდათ, რომ უცხოელთა მმართველობის, უცხოური ბაზებისა და ინვესტიციების კრიტიკა ცოლებსა და ქმრებს შორის ურთიერთობების კრიტიკას გამოიწვევდა. სინამდვილეში მრავალი ქალი ჩაება ამ მოძრაობებში, როგორც კარგი ცოლი და კარგი დედა. მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ დაასკვნეს მათ, რომ, თუკი ამგვარ მოძრაობებში მონაწილეობის უნარი სრულად შესწევდათ, საკუთარ სახლებსა და სამეზობლოებში მამაკაცთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდებოდათ. ფილიპინურმა ნაციონალისტურმა მოძრაობამ, რომელიც მისი მთავრობის უცხოელ ბანკირებთან, კორპორაციებთან და სამხედროებთან ალიანსს ეწინააღმდეგებოდა, ნაციონალისტური ორგანიზების ახალი საფეხური წარმოაჩინა:

„ჩვენ გვქონდა ფორუმი, რომელსაც ქალთა სუარეს ვუწოდებდით. აქ ჩვენ ვინვევდით მოძრაობაში ჩართულ ქალებს და მოვუწოდებდით მათ თავიანთი ქმრებიც მოეყვანათ. . . . ერთ-ერთი ჩვენი თემა იყო „ფემინიზმი და ქორწინება – მათი ურთიერთკავშირი?“. ჩვენ განვიხილავდით ოჯახს და ზოგი კითხვის ქვეშაც კი აყენებდა ოჯახურ ღირებულებას ოჯახებში ქალების შევიწროვების

გამო.. შედეგად ზოგიერთმა მამაკაცმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მას შემდეგ, რაც ქალები ამ მოძრაობას შეუერთდნენ, ისინი ყურადღებას აღარ უთმობდნენ ბავშვებს. . . . ეს ძალიან ჯანსაღ აზრთა გაცვლა იყო. მას დიალოგის ძალიან განსხვავებული სახე ჰქონდა, ვინაიდან ეს იყო, ჯგუფური დიალოგი არა მარტო ცოლებსა და ქმრებს შორის.“

ფილიპინებში, ირლანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, კანადაში, შრი ლანკაში, მექსიკასა და ნიკარაგუაში ნაციონალისტურ მოძრაობებში აქტიურად მონაწილე ქალებმა დაიწყეს გაანალიზება თუ შინაგანად როგორ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს „სახლი“ და „საერთაშორისო სისტემა“. ყოველივე ამით ისინი წინ უსწრებენ ინდუსტრიული ქვეყნების იმ ქალებს, რომლებსაც ამგვარ პოლიტიკურ კავშირზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. პროცესი, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს, მხოლოდ გლობალური სამომხმარებლო რეკლამირება არაა, ესაა საშინაო-საოჯახო ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის. ისინი ამტკიცებენ, რომ, თუკი ქალებს საყვარელი, მამა ან ქმარი მამაკაცებისგან მარგინალური როლი უნარჩუნდებათ, უცხოელთა მერყევი ფინანსური ექსპანსიის, უსამართლო სამხედრო ბაზების ხელშეკრულების გაუქმების ან მრავალნაციონალური დამსაქმებლის პასუხისმგებლობის შანსები მცირდება. ამ გაგებით, უცხოელი ბაზების ხელმძღვანელები და მენარმეები ისე არიან დამოკიდებულნი საოჯახო ძალადობაზე, რამდენადაც ადგილობრივი ელიტის მამაკაცებთან ალიანსზე.

მეორეს მხრივ, „ალყაში“ მყოფ ნაციონალისტურ მოძრაობებში ქალებისათვის ამგვარ საკითხთა წამოწევა შეიძლება ძალიან ძნელი იყოს. რაც უფრო საშიში და ძალისმიერია საფრთხე გარე ძალებისაგან (უცხოური ძალები ან ადგილობრივი მთავრობის პოლიცია), მით უფრო წარმატებით აიძულებენ იმ საზოგადოების მამაკაცები ქალებს თავიანთი უკმაყოფილება და მოსაზრებები ჩუმად გადაყლაპონ. როდესაც ნაციონალისტური მოძრაობა მილიტარისტული ხდება, ან მისი ლიდერები საგარეო დაშინების ინიცირებას ეწევიან, ან რეაგირებენ მასზე, საზოგადოებაში მამაკაცთა პრივილეგირებულობა ჩვეულებრივ უფრო მყარი ხდება.

როდესაც უცხოური მთავრობები ერთვებიან ეთნიკური ჯგუფების სხვა მოკავშირეების მიერ ზურგგამაგრებული ძალებისაგან დასაცავად და ამგვარად თავიანთი ჩართულობის ლეგიტიმაციას ახდენენ, მამაკაცთა პრივილეგირებულობას უცხოელი მოკავშირე უჩნდება. სწორედ ეს მოხდა ავღანეთში. შერთებული შტატების მთავრობა და მისი მოკავშირეები ავღანეთის ომს კლასიკური ცივი ომის პარამეტრებით აშუქებდნენ: საბჭოთა კავშირმა დაიპყრო მეზობელი ქვეყანა და მოსახლეობის მხარდაჭერას მოკლებული მარიონეტული რეჟიმი დაამყარა; რეჟიმის მოწინააღმდეგე ამბოხებულები ნამდვილ ერს წარმოადგენდნენ და მათი მამაცური წინააღმდეგობა თავისუფალი სამყაროს მორალურ და სამხედრო მხარდაჭერას იმსახურებდა. თუმცა ეს სურათი უფერულდება, როდესაც ვითარებას ავღანელი ქალისათვის მომგებიანობის კუთხით შევხედავთ. მიზეზი, რომლის გამოც ამბოხებული მოჯაჰიდები იბრძოდნენ, ცხოვრების ტრადიციული სოფლური გზა იყო, რომელიც ერთმნიშვნელოვნად პარტიარქალურია. ერთ-ერთი პოლიტიკა, რომელსაც ქაბულში საბჭოთა კავშირისაგან ზურგგამაგრებული მთავრობა ატარებდა, ირწმუნებოდა, რომ კლანის მამაკაცი ლიდერების ამგვარი უარყოფა ავღანელი ქალებისათვის, საგანმანათლებლო და ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას მოასწავებდა. ვინაიდან არსებობდა საბჭოთა კავშირისაგან ზურგგამაგრებული ქაბულის რეჟიმის ლეგიტიმურობის მცირე ნიშანი, უცხოელი დამკვირვებლები აცხადებდნენ, რომ მმართველობა სასარგებლო იყო იმ სოფლელი ქალებისათვის რომლებსაც ხელისუფლების პოლიტიკიდან სარგებლის მიღების უნარი შესწევდათ. ირანში კრემლის რეჟიმის მიმართ მტრული საგარეო პოლიტიკის გატარებისას შეერთებული შტატების მთავრობას დიდი სურვილი ჰქონდა ამ რეჟიმის სასტიკი რეპრესიები ქალთა მიმართ მისდამი წინააღმდეგობის გასამართლებლად გამოეყენებინა. მაგრამ, როდესაც შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა ავღანეთის სამოქალაქო ომის თაობაზე თავიანთი პასუხი ჩამოაყალიბეს, ქალებზე მზრუნველობის საკითხი მოხერხებულად გაუჩინარდა პოლიტიკიდან.

ავღანეთის მილიტარიზაცია კატასტროფული იყო იმ ქალებისათვის, რომლებიც კლანურ სოფლურ საზოგადოებებში ომს ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი დაბომბვისა და განდევნის მსხვერ-

პლნი იყვნენ. პაკისტანის საზღვართან არსებულ ლტოლვილთა ბანაკებს ქალებისა და მამაკაცებისათვის რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ლტოლვილთა ბანაკები საზრვარს მიღმა პარტიზანული მოქმედებების საყრდენს წარმოადგენდა. ისინი ბანაკებში მიდიოდნენ, რათა ძალები აღედგინათ და თავიანთი ცოლები და შვილები ენახათ. „ქალებისათვის ბანაკური ცხოვრება ისეთი მოსაწყენია. . . ისინი დიდიდან დაღამებამდე ტირიან“ - წერდა სადია ანსარი, იმ მცირერიცხოვან ავღანელ ქალთაგან ერთ-ერთი, რომლსაც საკმაოდ გაუმართლა, რათა გაეროს ეგიდით არსებულ სკოლაში მასწავლებლად ემუშავა. ბანაკებში ქალებს მათი ქმრები და მამები გაცილებით უფრო მკაცრად ამყოფებდნენ იძულებით იზოლაციაში, ვიდრე თავად ავღანეთში. მათ სჯეროდათ, რომ აქ გაცილებით დიდი იყო იმის რისკი, რომ ოჯახის დაცული საზღვრების გარეთ მათი ქალები სხვა მამაკაცებს დაენახათ. მაშინ როცა სოფლებში ქალებს საველე, კულინარიული და საშინაო სამუშაოების წარმოება უწევდათ, ბანაკებში მათ თავიანთი ბინძური კარვის დატოვების არავითარი უფლება არ გააჩნდათ. გოგონებს მზრუნველი მამები გაეროს სკოლებს არიდებდნენ. 1988 წლის მარტში გაეროს სკოლებში მთლიანად 104,600 ბიჭი და 7,800 გოგონა იყო დარეგისტრირებული. „ქალები ჩიტების მსგავსად გალიაში არიან,“ - აღნიშნა პარტიზანთა ერთ-ერთმა სარდალმა. ეს სამოქალაქო ომი იმგვარად წარიმართა, რომ ჩადრის მილიტარიზაცია კი გამოიწვია. იგი საფრთხეს უქმნიდა მამაკაცთა კონტროლს ქალებზე და ამგვარად აძლიერებდა მამაკაცების მისწრაფებას ქალთა ქცევა საკუთარი შეხედულებისამებრ წარემართათ.

სამხედრო მობილიზაციისას ნამდვილად შესაძლებელია, რომ ქალებისათვის ახალი უნარებისა და პასუხისმგებლობის შექმნის მამაკაცთა მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელი გახადოს. ეს ქაბულის მთავრობისათვის ერთ-ერთი მოტივაცია იყო, როცა ქალ მოქალაქეებს ანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობების გააუმჯობესა. ჟურნალისტები, რომლებიც სამხრეთ საჰარასა და ერთიერეში აჯანყებულთა ბანაკებს სტუმრობდნენ, აგრეთვე წერდნენ, რომ ნაციონალისტური მოძრაობების ომიანობისას ქალებისთვის მინიჭებულ პრივილეგიებს თავისი წვლილი შეჰქონდა ქალთა საზოგადოებრივი და პირადი მონაწილეობის სფეროს მნიშვნელოვნად გაფართოებაში. მაგრამ, ამავდროულად, ერის გადარჩენის სახელით მილიტარიზაცია კომუნალურ ერთობას ნახალისებს, რომლის პრიორიტეტულობასაც შეუძლია გააჩუმოს პატრიარქალური პრაქტიკისა და დამოკიდებულებისადმი კრიტიკულად განწყობილი ქალები. ამით ნაციონალისტურ მილიტარიზაციას შეუძლია მამაკაცის პრივილეგიზებულიობის ხელშეწყობა.

თუკი ორივე წნეხი ერთი და იმავე დროს იჩენს თავს, საზოგადოებაში გენდერული დაძაბულობა განვითარდება. ამან შეიძლება „ერის“ რადიკალურად ახალი განმარტება წარმოქმნას. ჯერ ჯერობით ეს დამტკიცებული არაა. პალესტინურ საზოგადოებებში, ლიბანსა და ისრაელის დაპყრობილ ტერიტორიაზე ამგვარი ორმხრივი ზენოლის არსებობა, რომელიც მილიტარიზაციის ესკალაციისაგან გამომდინარეობს, ნათელია. ერთი მხრივ, მილიტარიზაცია ახალგაზრდა პალესტინელ მამაკაცებს თავიანთი მამაკაცურობის დამტკიცების ახალი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს. ეს ხდება არა მარტო ებრაელი მამაკაცების ავტორიტეტისადმი დაუმორჩილებლობისათვის, არამედ, როგორც ამას ბერვი აღიქვამს, მათი მამების „გაცვეთილი“ ავტორიტეტის სანინალმდეგოდაც. მეორე მხრივ, „ქალები ინტიფადის“ ტვირთის მთელი სიმძიმის მატარებლები არიან“, - მოუთხრობდა რეპორტიორს ერთი პალესტინელი 1988 წელს. ისრაელის მთავრობისგან მკაცრი კომენდანტის საათის დასაძალებლად და 6000 პალესტინელი მამაკაცის დასაპატიმრებლად ჯარისკაცების გამოყენებამ ქალთა დიასახლისური რუტინა ეროვნული იმპერატივის სიმალლემდე აიყვანა. „მათ უხდებოდათ თვალყური ედევნებინათ ფინანსებისთვის, გაეკეთებინათ ყველა საოჯახო საქმე, გამოეცხობთ პური, მოეყვანათ ბოსტნეული და მოევლოთ ქათმებისა და თხებისათვის. ეს ტრადიციული როლები დღეს უფრო მნიშვნელოვანია,“ - აცხადებდა ნაჯვა ჯარდალი, პალესტინელი ქალი, რომელიც დაპყრობილ ტერიტორიებზე ქალებზე ზრუნვასა და ჯანმრთელობის დაცვის აქტიურ მოძრაობაში დიდხანს იყო ჩართული. იგი აფრთხილებდა დასავლელ ქალებს არ ეფიქრათ, რომ ყოველდღიურ საქმეებზე ზრუნვა უბრალოდ ქალური საკითხი იყო. მილიტარიზაციის პირობებში ეს ეროვნული მნიშვნელობის საკითხად იქცა: „დასავლელ ფემინისტთა უმეტესობა საბავშვო ბაღს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა. . . მაგრამ ჩვენთვის

ის ძალიან მნიშვნელოვანია. მილიტარისტური მთავრობა სკოლებში საბავშვო ბალების გახსნის ნებას არ გვრთავს და ყოველდღიური ზრუნვა კი ქალებს არ აძლევს საშუალებას სხვა საქმიანობებშიც ჩაებან. საბავშვო ბალების ეროვნულ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ ებრაელი სამხედროები ქალ მასწავლებლებს ავინროვებდნენ და ცდილობდნენ დაეკეტათ ამგვარი დაწესებულებები.

დღემდე პალესტინელი ერის პოპულარული სახე პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდა ქუჩის მებრძოლი იყო. ფერადი ყელსახვევით, ქვით ხელში, დაუმორჩილებელი და ბრძოლისათვის გამზადებული, იგი მთელი ერის სახელით იდგა. პალესტინელი ქალი კი ჩრდილში რჩებოდა. ისინი ან დაცულნი იყვნენ, ან დაუცველნი. მაგრამ 1988 წელს დაპყრობილ ტერიტორიებზე პალესტინელმა ქალებმა ისრაელის მთავრობის „რკინის მუშტის“ პოლიტიკის გასაპროტესტებლად აქციების გამართვაც დაიწყეს. ისინი ინვედნენ მძიმედ შეიარაღებულ ჯარისკაცებს შეძახილებით: „ჩვენ ვართ ხალხი, ჩვენ ვართ ქალები. არასოდეს არ ვართ დამცირებულნი. არასოდეს არ ვგრძნობთ საკუთარი თავის სიბრაღულს.“ ინტიფადის გაერთიანებული ეროვნული მმართველობა საზოგადოების ლიდერული კომიტეტი თავის ბიულეტენში შეეხო როგორც ქალების, ასევე მამაკაცების საკითხებს. ისრაელი სამხედრო პოლიტიკის ხასიათმა აიძულა პალესტინელები ორგანიზების ახალი საშუალება განვითარებინათ, რომელიც საგარეო დახმარებაზე ნაკლებად დამოკიდებული იქნებოდა, ხოლო მცირე სამეზობლო კომიტეტებზე - უფრო მეტად და ნაკლებად შესამჩნევი პოლიციისა და სამხედრო დარბევებისათვის. ორგანიზაციის ამ ტიპში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მეტად შესამჩნევი „ქვების მსროლელი“ კონფრონტაციების შემდეგ ამდენი მამაკაცი და ბიჭი დააპატიმრეს, ქალებმა დაიწყეს პოლიტიკურად გააქტიურება. ქალები სამეზობლო კომიტეტებში სახლიდან სახლში დადიოდნენ და ახალ წევრებს იმხრობდნენ, „ დაკავებულთათვის ფულსა და საჭმელს აგროვებდნენ, მკურნალობის მცოდნე ხალხს ავადმყოფთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას სთხოვდნენ, დემონსტრაციებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ“. გამოიწვევს ამგვარი მილიტარიზებული დაწესებულებები პალესტინურ საზოგადოებაში ფემინიზმისა და მასკულიზმის ხელახალ მტკიცე განსაზღვრას?

სხვა ნოსტალგია

მაშინ, როცა ჰოლივუდი კოლონიელი თერთრკანიანი ქალების საქმიანობას გაცილებით გაზვიადებულად წარმოაჩენდა, ვიდრე ეს რეალურ ცხოვრებაში იყო, ზოგიერთი ნაციონალისტი ისტორიკოსი უარყოფდა მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობის ცენტრალურ მნიშვნელობას, რომელიც მათ მიერ შექმნილ ნაციონალისტურ მოძრაობასა და სახელმწიფოს აყალიბებდა. ქალების მამაკაცებთან ურთიერთობის შესახებ გაცხარებული ნაციონალისტური დებატების ზოგადი გამოცდილება ერების ისტორიული საფარველის ქვეშ მომავალ ნაციონალისტ მამაკაც ლიდერებს არანორმალური ძალაუფლებით აჯილდოებდა: მათ შეუძლიათ დაიჩემონ, რომ კომუნალური სოლიდარობის ერთმნიშვნელოვანი მემკვიდრეობის მფლობელები არიან. სინამდვილეში, ისინი საზოგადოებაში წინა თაობისას მომხდარი პარტიარქალური გამარჯვების მემკვიდრეები შეიძლება იყონ. ნაციონალისტური მოძრაობის ისტორია თითქმის ყოველთვის გენდერული დებატებითაა სავსე. თუკი ათწლეულის ან საუკუნის შემდეგ ეს იმგვარად გამოიყურება, თითქოს მამაკაცებთან ურთიერთობის შესახებ არც ყოფილა არავითარი დაბნეულობა, არავითარი არგუმენტი ქალების, მმართველ და მათ საკუთარ ეთნიკურ საზოგადოებაში, ეს ალბათ მხოლოდ იმას ცხადყოფს, რომ ნაციონალიზმის ნოსტალგიური პატრიარქალური ინტერპრეტაციამ დროზე გაიმარჯვა.

გამარჯვების ან დამარცხების ზეგავლენა შეიძლება ძნელი გამოსათვლელი იყოს ისეთ დროს, როცა ერი მოწყვლადია, გარე საფრთხეები კი - შიშისმომგვრელი. მაგალითისათვის, ჰუე ტამ ჰოე ტაი, თანამედროვე ვიეტნამელი ფემინისტი ისტორიკოსი, აღწერს იმ ერთი შეხედვით მცირე მოქმედებათა ერთ-ერთ სფეროს, რომელშიც ნაციონალისტური დებატების პატრიარქალურმა

მხარემ გამარჯვებისკენ გადადგა მცირე ნაბიჯი. 1920-იან წლებში საფრანგეთისგან მართულ ვიეტნამში მნიშვნელოვანი ქალთა მოძრაობა იყო. იგი აყენებდა განათლების, საქორწინო პირობებისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის საკითხებს, რომლებიც ვიეტნამის კონფუციანისტურ კულტურაში ზოგიერთ ყველაზე მყარად დამკვიდრებულ იდეას უპირისპირდებოდა. ნაციონალისტური მოძრაობის ადრეულ ეტაპზე მამაკაცი ინტელექტუალებიც აგრეთვე საუბრობდნენ პატრიარქალური ღირებულებებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც ისინი ამბობდნენ, ძარცვავდნენ ვიეტნამელ ერს ფრანგული კოლონიალიზმის გადაგდებისათვის საჭირო ტალანტისა და ენერჯისაგან. მამაკაცი და ქალი ნაციონალისტები ვიეტნამელ ქალს წერა კითხვის სწავლისაკენ მოუწოდებდნენ. დები თრუნგები, რომლებიც წარსულში ვიეტნამელებს ჩინელთა კოლონიალიზმის წინააღმდეგ გაუძღვენ, თანამედროვე ვიეტნამელთა მოდელეზად იყვნენ გამოცხადებულნი. ქალებმა ინდოჩინურ კომუნისტურ პარტიასა და სხვა ნაციონალისტურ ჯგუფებში განეწიანება დაიწყეს. ამ პროცესის შედეგად ქალთა ადრინდელი ჯგუფები შერეულმა ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა დაჩრდილა. ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა სულ უფრო და უფრო აღიქმებოდა, როგორც ვიეტნამელთა ეროვნულობის შეგნების ჩამოყალიბების ნაწილი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ფრანგული კოლონიური მმართველობის წინააღმდეგობისთვის, იმ მმართველობისა, რომელიც ნაციონალისტური მოძრაობების გავრცელებასთან ერთად სულ უფრო სასტიკი ხდებოდა. 1930-იანი წლების განმავლობაში, ქალთა უფლებების დაცვასა და ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში ჩაბმას შორის მცირე დაძაბულობა შეიმჩნეოდა? ორივე სხვებს უწყობდა ხელს; ორივე კითხვის ქვეშ აყენებდა ვიეტნამური ტრადიციული კონფუციანური კულტურისაგან, ერის უცხოური ბატონობისაგან დაცვის შესაძლებლობას.

იმ დროს ზოგიერთმა ქალმა ნაციონალისტურ მოძრაობაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესწავლა დაიწყო. კომუნისტური პარტიის კონფერენციებზე ქალი დელეგატები ნაციონალისტმა ლიდერებმა დაარჩვეს, რომ მათ საჯარო გამოსვლებში ქმრებსა და ცოლებს შორის არსებული პრობლემები არ ეხსენებინათ. ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ამგვარი საკითხების სხდომაზე წამოყენება ნაციონალისტური მოძრაობის შიგნით მხოლოდ მტრულ გრძობებს წარმოშობდა, მაშინ, როცა ის ფრანგული პოლიციის დაპატიმრებებისაგან ისედაც დაშინებული იყო. ქალები ამ ნაწილს თავიანთი მოხსენებებიდან იღებდნენ. პრობლემა ლეგიტიმური იყო, თუკი იგი ნაციონალისტური ერთობისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა; ის არალეგიტიმური იყო, თუკი ამ ერში მამაკაცების მღელვარებას იწვევდა.

იმისათვის, რათა „საფრანგეთის იმპერიის უარყოფიდან“ აზრი გამოვიტანოთ, ჩვენ უნდა გავიგოთ თუ როგორ აღიქვამდნენ ქალები იმ არჩევანს, რომლის წინაშეც ისინი დააყენა ეფექტური ვიეტნამური ნაციონალისტური მოძრაობის შექმნის გაუაზრებელმა მცდელობებმა. შემდგომი ომის ოთხი ათწლეულის განმავლობაში, მრავალი ვიეტნამელი ქალი კოლონიალისტურ ბრძოლებში მონაწილეობით ჰპოვებდა ძალასა და მნიშვნელობას.

მოგვიანებით ქალებს შეიძლება მსგავსი არჩევანი არ ჰქონოდათ. მაგრამ ისინი ყოველთვის იძულებულნი იყვნენ გაჩუმებულიყვნენ ნაციონალისტურ ორგანიზაციებში კაცებთან ურთიერთობის დროს არსებული პრობლემების შესახებ. ამგვარად ნაციონალიზმი ბევრად უფრო მასკულინიზებული ხდება. დღეს ვიეტნამელი ქალები პარტიის წამყვან თანამდებობებსა და მთავრობაში სრულიად შეუმჩნეველნი არიან: 1979 წელს, ამერიკული ჯარების გაყვანიდან ხუთი წლის შემდეგ, ვიეტნამური კომუნისტური პარტიის არაუმეტეს 17 პროცენტს ქალები შეადგენდნენ; პარტიის პოლიტიკურ ორგანიზაციების გამარჯვებიდან ათი წლის შემდეგ ყველაზე ძლიერი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო მთლიანად მამაკაცებისაგან შემდგარი ანკლავი იყო; ქალებმა ზოგიერთი ისეთი გავლენაც კი დაკარგეს, რომლებიც ომის განმავლობაში შეიძინეს სასოფლო და კოლექტიურ საბჭოებში. ქალები თანამედროვე ვიეტნამში იწყებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მასკულინიზების გამოწვევას. მაგრამ მათ ეს გაუძნელებათ, თუკი ვერ შეძლებენ ნაციონალისტური მოძრაობის იმ ძველ ნაბიჯებთან დაბრუნებას, როდესაც ქალების მამაკაცებთან ურთიერთობა ნაციონალისტური დღის წესრიგიდან იყო ამოღებული.

ნაციონალიზმი ყველაფერ ადგილობრივს მაღალ ღირებულებას ანიჭებს. ამიტომ შრი

ლანკელი ფემინისტი მეცნიერი კუმარი ჯაიავადენა განმარტავს, რომ „ისინი, ვინც ცდილობს ქალები ჩვენს ქვეყანაში დაქვემდებარებულ პოზიციებზე შეინარჩუნოს, ხედავენ, რომ ფემინიზმის უცხოურ იდეოლოგიად გამოცხადება მოსახერხებელია. . . . ხანდახან ამგვარი „გამოცხადება“ ჰომოფობიურ შეტევასთანაა შერწყმული. ფემინისტები, რომლებიც თავიანთ ნაციონალისტურ მოძრაობებს აძალებენ გაიაზრონ ქალის როლი პოლიტიკაში, ხელახლა შეაფასონ საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცზე სამხედრო ძალადობის ეფექტი, კრიტიკოსთა მიერ ლესბოსელებად არიან მონათლულნი. ეს „იარლიყი“ შექმნილი იყო, რათა ფემინისტები უცხოურ იდეაზე აღზრდილებად გამოეცხადებინათ, თითქოს ჰეტეროსექსუალობა ადგილობრივი საზოგადოების პრაქტიკის ფსკერს ახასიათებდა. ეს იყო ფემინისტური იდეების მარგინალიზაცია, თითქოს იგი გადაგვარებული ქალებიდან წარმოიშვა.“

1920-იანი წლების ვიეტნამელი ფემინისტების მაგალითი ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ ბრიტანელი და ამერიკელი ქალების წინაპრები ფემინისტური იდეების შემქმნელებად წარმოვიდგინოთ. ამავე დროს ის უარყოფს აღელვებული ადგილობრივი მამაკაცების მცდელობას 1980-იანი წლების მესამე სამყაროს ფემინისტები წარმოაჩინონ, როგორც უცხოური იმპერიალიზმის გაუცნობიერებელი მსხვერპლები.

გარდა ამისა, ფემინისტი ნაციონალისტების კრიტიკოსები კოლონიამდელი და კოლონიური კულტურების ურთიერთობის ახალ საკითხებს აყენებენ. თუკი მათი ერთი უცხოური კოლონიური მმართველობისათვის მნიშვნელოვანი პატრიარქატისაგან თავისუფალი იყო, მაშინ ამოცანაც შედარებით მარტივია: მამაკაცების მხარდამხარ უცხოური ბატონობისგან თავის დაღწევა და კოლონიამდელი ღირებულებების აღდგენა, მათი აზრით, შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობას. თუმცა, თუკი ქალები აღმოაჩენენ, რომ პატრიარქალური ღირებულებები და პრაქტიკა წინ უსწრებდა კოლონიურ მმართველობას, რომ მოგვიანებით მოხდა მათი ათვისება და კოლონიალიზმის დროს გამწვავება, მაშინ ამგვარ საზოგადოებაზე კონტროლის დაბრუნებით ქალები ვერ გათავისუფლდებიან. კვებეკში ფილიპინელი და აფრო-ამერიკელი ნაციონალისტი ქალები უფრო ხოლოდნენ ნაციონალისტ მოღვაწეებს, რომლებიც კოლონიამდელ წარსულს ადიდებდნენ. ისინი განიცდიდნენ დისკომფორტს, როდესაც ქალი მეზობლები და დედოფლები ითვლებოდნენ წარსულში ტერიტორიებსა და სქესზე ქალების ჭეშმარიტი ზეგავლენის მტკიცებულებად. დღემდე ისინი ამ ისტორიულ განმარტებებს სიფრთხილით ეკიდებიან, იციან რა, რომ უცხოელები მათ ნაციონალიზმის დისკრედიტაციისათვის გამოიყენებენ, რომლის აღდგენაც მათ სურთ.

დასკვნა

ნაციონალიზმმა მილიონობით ქალი უზრუნველყო შესაძლებლობით, გამხდარიყო საერთაშორისო აქტორი. იმის შესწავლა, რომ ვიღაცის კულტურა სიმდიდრეებით სავსეა, რომ უცხოელები, საკუთარი გავლენის გასამართლებლად არათანდაყოლილი უპირატესობის რწმენაზე არიან დამოკიდებულნი, იმის აღიარება, რომ საზოგადოებრივი კავშირები კლასობრივ და პარტიულ ბარიერებმდე არსებობდა, – ძალის მიმნიჭებელი იყო. ეროვნული თვითშეგნება მრავალ ქალს აიძულებდა ყოფილიყო საკმაოდ თვითდაჯერებული, რათა საზოგადოებრივ მოწყობასა და მათ ცხოვრებაში პირველ დებატებში მიეღოთ მონაწილეობა. უფრო მეტიც, ნაციონალიზმს, ყველა სხვა იდეოლოგიაზე მეტად, გააჩნდა ხედვა (რომელიც ქალებსაც მოიცავდა), რომლის მიხედვითაც კულტურის გადაცემის, ბავშვების დაბადებისა და აღზრდის გარეშე ვერც ერთი ერთი ვერ შეძლებდა გადარჩენას.

ნაციონალიზმი, განმარტების მიხედვით, არის იდეათა ერთობლიობა, რომელიც ამძაფრებს განსხვავებას „ჩვენსა“ და „მათ“ შორის. უფრო მეტიც, ეს არის საშუალება იმის განმარტებისა, თუ როგორ გაჩნდა უთანასწორობა „ჩვენსა“ და „მათ“ შორის. ქალი, რომლებიც ნაციონალიზმის მეშვეობით პოლიტიზირებული ხდება, უფრო მეტად დაინახავს თავისი საზოგადოების მამაკაცს, როგორც საყოველთაო ბედისწერის მონაწილეს, ვიდრე ქალს სხვა საზოგადოებიდან. განსა-

კუთრებით კი მაშინ, თუკი ეს ქალები, მიუხედავად მათი პოლიტიკისა, არიან ისეთი საზოგადოებრიდან, რომელიც მათ აგდებულად ეპყრობოდა.

მაგრამ მრავალი ნაციონალური მოძრაობა, რომლებმაც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის რეორგანიზაცია მოახდინეს, პატრიარქალური იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ყველა ძალა, რომელიც ქალთა შევიწროებას ან მათ მარგინალიზაციას ახდენდა, კოლონიალისტური ან ნეოკოლონიალისტური დინამიკის ნაყოფი იყო. აქედან გამომდინარე, კოლონიალური საზოგადოება იყო ერთადერთი, რომელშიც ქალი დაცული და ავტონომიური იყო. ამრიგად, ერების დამოუკიდებლობის უბრალო აღდგენა ქალთა გათავისუფლებას უზრუნველყოფდა. მრავალი ნაციონალისტი აგრეთვე ვარაუდობდა, რომ მათი საზოგადოების ქალების უცხოელებისაგან გაუპატიურება ან ვულგარულად ფოტოგრაფირება ნიშნავდა მამაკაცთა ღირსების შელახვას. ისინი ნაციონალისტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისკენ ხშირად მოუწოდებდნენ ქალებს, მაგრამ მათ მზრუნველი შეყვარებულების, ერთგული ცოლების ან აღმზრდელი დედების როლებით შემოსაზღვრავდნენ. მამაკაც ნაციონალისტ ორგანიზატორებს გამუდმებით აწყავდათ საზოგადოებრივი ერთობის მნიშვნელობა იმგვარ პოლიტიკურ სიმაღლემდე, რომ მოძრაობის შიგნით ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობებზე ნებისმიერი კითხვის წამოჭრა განხეთქილების ჩამოგდებად და მოლაღატეობადაც კი მოინათლებოდა. ქალებს, რომლებიც მოძრაობაში სქესთა შორის უფრო ბუნებრივ თანასწორობას ემხრობოდნენ, სახლში ეუბნებოდნენ, რომ ახლა ამის დრო არ არაა, რომ ერი ზედმეტად მონყვალადია და მტერიც ძალიან ახლოსაა. ქალები ძალიან მომთმენნი უნდა იყვნენ, მათ უნდა დაიცადონ, ვიდრე ნაციონალისტური მიზანი მიიღწევა. ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობას ამის შემდეგ შეიძლება დაუზღუდეთ. „ახლა არა, მოგვიანებით“- არის რჩევა, რომელიც მრავალ ნაციონალისტ ქალს ჩაესმის.

„ახლა არა, მოგვიანებით“ მთელი რიგი მნიშვნელობებითაა დამძიმებული. ესაა რჩევა დაფუძნებული რწმენაზე, რომ საშინელ პრობლემათა უმრავლესობა, რომელთა წინაშეც დგას ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოება, არის ის პრობლემები, რომლებიც ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან შეხების გარეშე შეიძლება განიმარტოს ან გადაიჭრას. ესაა მიზეზიცა და შედეგიც იმისა, რომ უცხოური ინვესტიციებისა და ვალებისაგან გათავისუფლებას ქალთა გამოცდილების სერიოზულად გაზიარების გარეშე ცდილობენ. უცხოური სამხედრო ბაზებითა და აგრობიზნესით გამოწვეული მიწის ნაკლებობას შეიძლება ისე დაუპირისპირდნენ, რომ არ გაითვალისწინონ, როგორაა ეს ყოველივე თითოეული ქალის შრომასა და სიჩუმეზე დამოკიდებული; კულტურული იმპერიალიზმის ნაზი მომხიბლველობა შეიძლება მასკულიზურ სიამაყესა და სურვილთან კავშირის გარეშე იქნეს დანაწევრებული. ორივე ეს დაშვება პოლიტიკურად უმნიშვნელოა.

გარდა ამისა, რჩევა - „ახლა არა, მოგვიანებით“ - გულისხმობს, რომ, რაც ნაციონალისტური კამპანიისას ხდება, სამომავლოდ არ გამოინვევს იმ ტრადიციის უფრო დამძიმებას, რომელიც ქალის მარგინალიზაციასა და მამაკაცის პრივილეგირებულობას განაპირობებს. ის აგრეთვე ეყრდნობა დაშვებას, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ნაციონალისტური გამარჯვების საფუძველზე აღმოცენდებიან, ქალთა ანალიზისა და მოთხოვნებისადმი სულ მცირე იმდენად მაინც იქნება გახსნილი, რამდენადაც ნაციონალისტური მოძრაობის ინსტიტუტები. ორივე ეს ვარაუდი საეჭვოა.

უშუალოდ ნაციონალისტური კამპანიების გამოცდილება, იქნება ეს კვებეკის საარჩევნო უბნებში, სომხეთის ქუჩებსა თუ ალჟირის მთებში, ხშირად ამძაფრებენ მასკულიზურ პოლიტიკურ პრივილეგირებულობას. თუკი მამაკაცებს აქვთ უფლება მოძრაობაში აითვისონ ძირითადი, პოლიტიკის განმსაზღვრელი როლები, უფრო მეტი შანსია, რომ ისინი დააპატიმრონ. ისინი საპყრობილეში გმირის სტატუსს იღებენ და ითვისებენ საზოგადოებრივ უნარ-ჩვევებს, რომლების მათ მისცემს შესაძლებლობას კამპანიის გამარჯვების შემდეგ მოიპოვონ. მმართველი პოზიციები თუკი ქალი შემოსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ ნაციონალისტი ცოლი, შეყვარებული ან დედაა (თუმცა ამას ნაციონალისტური კამპანიის წარმატებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის), სავარაუდოდ, მოგვიანებით საზოგადოებრივი მასშტაბის ავტორიტეტის მოსაპოვე-

ბლად ის ვერ შეიძენს ვერც უნარ-ჩვევებსა და ვერც კომუნალურ პრესტიჟს. მნიშვნელობა „ერისა“, როდესაც ის ყველაზე შეკრული და ალტრუისტული იყო, შემოისაზღვრება საზოგადოებით, რომელშიც, მამაკაცებისგან მართული ქალები კოლექტივ სწირავენ თავიანთ სურვილებს. საეჭვოა, რომ ნაციონალისტური მოძრაობა მის მამაკაცებსა და ქალებს შორის უთანასწორობას ჭეშმარიტად დაუპირისპირდება. უფრო სავარაუდოა, რომ ის გამონვევს ხანგრძლივ ცლილებას ვიდრე დაელოდება მითიურ „მოგვიანებით“.

გაჩაღებული სახალხო მობილიზაციისას მასკულინურ პრივილეგიებთან დაპირისპირებულ ნაციონალისტ ქალებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ნაციონალისტთა ქრონიკების ქალთა ამ ძალისხმევათაგან განმეინდა თანამედროვე ქალებს კიდევ უფრო ურთულეს იმის დასაბუთებას, რომ კრიტიკული დამოკიდებულება ადგილობრივი და ლეგიტიმურია. ამგვარად, ნაციონალისტი ფემინისტები ისეთ ქვეყნებში როგორცაა ვიეტნამი, შრი ლანკა და იამაიკა, ენერგიას ქალთა ადგილობრივი ნაციონალიზმის ისტორიის აღდგენაზე ხარჯავენ. როგორც ჰონორ ფორდ სმიტი იამაიკის ფემინისტთა თეატრალურ ჯგუფ სისტრენიდან იუწყება:

*ჩვენც რაც ვიცოდით, ის იყო, რომ გაზეთებისა და ტელევიზიის რეპორტაჟი ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში „ქალთა გამათავისუფლებელ“ ფემინისტებს ისტერიულ გარყვნილებად წარმოადგენდა...
ჩვენ 1898 წლიდან 1944 წლამდე არაფერი ვიცოდით განათლებისა და პოლიტიკური უფლებებისათვის ქალთა ბრძოლის შესახებ. ჩვენ არ ვიცოდით შავკანიანი ფემინისტების სახელები.*

არსებობდა ურთულესი მიზეზები, რომელთა გამოც ქალებს მოძრაობის შიგნით აკლდათ თავიანთ გამოცდილებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ერთმანეთთან დარწმუნებით საუბრის შესძლებლობა. ქალები შეზღუდულ კოლონიზებულ ეროვნულ საზოგადოებაში, ჩვეულებრივ ერთი სოციალური კლასიდან არ არიან. ამგვარად მათ უცხოურ ძალასთან ან, იგივენაირად, გადაბირებულ მმართველ ელიტასთან ურთიერთობის გამოცდილება არ გააჩნიათ. ეროვნულ საზოგადოებაში ქალებს მამაკაცებთან (ან სხვა ქალებთან) არც სქესობრივი ურთიერთობების იდენტური გამოცდილება აქვთ. ქალებს, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი განსხვავებულობა და წუხილი ერთად განსაჯონ, ნაკლებად შესწევთ უნარი მამაკაცებისაგან აიტანონ ლესბოსელობასა ან უცხოობაში დადანაშაულება.

გაჩაღებული ნაციონალისტური მოძრაობისას ქალთა მხრიდან ცნებების ხელახლა განსაზღვრას განსაკუთრებით აძნელებდა ის, რომ საზოგადოების გარეთ მყოფ პოტენციურად მხარდამჭერ ქალებს არ ესმოდათ, რომ საზოგადოების შიგნით მყოფი ქალებისთვის ეროვნულ და ფემინისტურ მისწრაფებებს შორის არჩევანის გაკეთება მძიმე იყო. ფემინისტი ნაციონალისტის ცხოვრება მძიმედ ასატანია, რაგან მას ეროვნულ იდენტობაზე უარის თქმა უნევს, რაც გულისხმობს მდიდარი საზოგადოების საშუალო კლასის წარმომადგენელი ქალებისაგან მართულ საერთაშორისო ქალთა მოძრაობაში შთანთქმას. ამ საშიშროების შესახებ დელია აგუილარი, ფილიპინელი ნაციონალისტი ფემინისტი, გვაფრთხილებს:

დღეს მთელ მსოფლიოში მოდებული ფემინისტური სოლიდარობის ქსელებს ეროვნული, რასობრივი და კლასობრივი იდენტობის გრძნობა აკლიათ, რის გამოც ჩვენ თეთრკანიანი საშუალო კლასის ქალების მიერ მათთვისვე შექმნილ ფემინისტურ მოდელებს ვემორჩილებით და მათ, როგორც ჩვენს საკუთარს, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ვიღებთ.

თუ ეროვნული მოძრაობების სიმრავლეს გავითვალისწინებთ, რომლებმაც იმპერიების დამხობა და ახალი სახელმწიფოების შექმნა შეძლეს, გასაკვირია, რომ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა რადიკალურად არ შეცვლილა. მასკულინური სიამაყით გამსჭვალული ეროვნული მოძრაობები, რომლებსაც ახალი ერი სახელმწიფოს პატრიარქალური ხედვა აქვთ, საერთაშო-

რისო არენაზე მხოლოდ და მხოლო ახალი აქტორის შექმნას იწვევდა. რამდენიმე ათეული პატრიარქატული ერი სახელმწიფოს გამოჩენამ საერთაშორისო გარიგებების „მაგიდა“ ოდნავ უფრო გადაჭედული გახადა, მაგრამ ეს ამ „მაგიდასთან“ საერთაშორისო თამაშის წესებს არ ცვლის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიცვლება საერთაშორისო პოლიტიკა, თუ ქალების ჩაგვრის პრობლემას უფრო მეტი ეროვნული მოძრაობა გააცნობიერებს. იმ შემთხვევაში, თუ ფემინისტურ ეროვნულ იდეებსა და გამოცდილებაზე მეტი ერი-სახელმწიფო აღმოცენდება, მაშინ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის შიგნით არსებული საზოგადოებრივი იდენტობები განონასწორდება ეროვნებათაშორისი იდენტობებით. მოხდებოდა. სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებიც უფრო დიდი ხნით მოგვარდება, თუკი ქალების განსაკუთრებულ როლს ვაღიარებთ და ამას სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების თემისთვის ერთობ უმნიშვნელოდ არ მივიჩნევთ.

გენდერის მაგისტრალური დისკუსიის კონცეპტუალური ჩარჩო, მეთოდოლოგია და სათანადო პრაქტიკა

შეჯამება*

ნაწილი I: რას წარმოადგენს გენდერის მაგისტრალური დისკუსია?

მოხსენების პირველი ნაწილი გენდერის მაგისტრალური დისკუსიის საწყისებსა და გენდერული თანასწორობის სპეციფიკურ პოლიტიკასთან მის დამოკიდებულებას აღწერს. აგრეთვე განიხილავს იმ პრობლემებს, რომლებსაც შესაძლოა გენდერის მაგისტრალური დისკუსიის განხორციელებისას წაგვანყდეთ და ხსნის, თუ რატომაა ამგვარი სტრატეგია მნიშვნელოვანი.

1. რა არის გენდერული თანასწორობა?

გენდერული თანასწორობა ორივე სქესის თანაბარ ხედვას, უფლებრივ გათანასწორებას და საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარ მონაწილეობას ნიშნავს. გენდერული თანასწორობა საპირისპიროა გენდერული უთანასწორობისა და გენდერული განსხვავებულობისა და საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების სრული მონაწილეობის ხელშეწყობას არ ისახავს მიზნად.

გენდერული თანასწორობისთვის განუწყვეტლივ უნდა იბრძოლო, დაიცვა და ხელი შეუწყო მას. თანამედროვე ეტაპზე, გენდერული თანასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნები შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- ქალის, როგორც ადამიანის, უფლებების აღიარება და სრული რეალიზაცია;
- წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა დანარჩენ სფეროებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის წახალისების მეშვეობით;
- ინდივიდის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მისწრაფება ორივე სქესის, ქალებისა და მამაკაცების საოჯახო და სამუშაო ცხოვრების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ;
- განათლების სისტემის მეშვეობით გოგონებისა და ვაჟების უფლებრივი გათანასწორება;
- ქალები და მამაკაცები თანაბრად აღიარებენ, რომ საჭიროა, საზოგადოებაში დისბალანსის აღმოფხვრა და ამ საქმეში ისინი ერთობლივ აგებენ პასუხს.

2. ისევ არსებობს თუ არა ევროპაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები?

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ევროპაში ქალებმა მამაკაცების თანასწორი უფლებები და თანაბარი სტატუსი *de jure* მოიპოვეს, ისინი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კვლავ დისკრიმინაციას განიცდიან. უფრო მეტიც, გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პროგრესი, როგორც ჩანს, წინააღმდეგობათა რიგს აწყდება. მთავარ პრობლემებს შეადგენს:

* დასკვნითი მოხსენება მაგისტრალური დისკუსიის სპეციალისტთა ჯგუფის საქმიანობის შესახებ, ევროსაბჭო, 1999

- თანასწორობის გავრცელებული განსაზღვრება უფრო ვიწროა, ვიდრე *de jure* თანასწორობა და დისკრიმინაციისაგან დაცვა ყოველთვის არაა უზრუნველყოფილი;
- ქალებს ამ საკითხებზე მუშაობა ძირითადად საზოგადოების „მაგისტრალური დისკურსის“ გარეთ უწევთ;
- მრავალ ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღებაში ქალების პოზიცია კვლავ ძლიერ სუსტია;
- გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად გამოყენებული მეთოდები მეტწილად ქალების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს ეხება და არ იყენებს „გენდერის პერსპექტივას“.

3. რას წარმოადგენს გენდერის მაგისტრალური დისკურსი?

გენდერის მაგისტრალური დისკურსი პოლიტიკური პროცესების (რე)ორგანიზება, გაუმჯობესება, განვითარება და შეფასებაა. ასე რომ, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმული აქტორების ძალისხმევით გენდერული თანასწორობის პერსპექტივა ყველა პოლიტიკის ყველა დონესა და ეტაპზეა ჩართული.

გენდერის მაგისტრალური დისკურსი იმას ნიშნავს, რომ გენდერული თანასწორობა საზოგადოებრივი პოლიტიკის (პოლიტიკების) მთლიანი ნაწილი ხდება. ის გენდერული თანასწორობის ფართო და უფრო სრულყოფილ განსაზღვრებას გულისხმობს, რომელიც განსხვავებულსა და განსხვავებულობას აძლევს შეფასებას. იმავდროულად ის ხაზს უსვამს პოლიტიკის პროცესების (რე)ორგანიზების, გაუმჯობესების, განვითარებისა და შეფასების საჭიროებას და ამგვარად შესაძლებელს ხდის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მამაკაცური არაობიექტურობისა და გენდერული უთანასწორობის სტრუქტურული ხასიათის ეჭვსეჭვმ დაყენებას.

4. რა შეხება აქვს გენდერის მაგისტრალურ დისკურსს გენდერული თანასწორობის სპეციფიკურ პოლიტიკასთან?

გენდერის მაგისტრალური დისკურსი ვერ ანაცვლებს „ტრადიციულ“ პოლიტიკას, რომელიც გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პრობლემებთან გასამკლავებლად იყო შემუშავებული. სანყის წერტილად ის უკვე არსებულ ან განვითარების სტადიაზე მყოფ პოლიტიკებს იღებს, შემდეგ კი განიხილავს გზებს, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს გენდერული თანასწორობის პერსპექტივა პოლიტიკურ პროცესში. ასე რომ, მხედველობაში მიღებულია ორივე სქესის სპეციფიკურობა, ინტერესები და ღირებულებები. გენდერის მაგისტრალური დისკურსი და თანასწორობის სპეციფიკური პოლიტიკა დუალისტური და დამატებითი სტრატეგიებია, რომლებსაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ: გენდერული თანასწორობა.

5. რა სირთულეები შეიძლება ახლავდეს თან გენდერის მაგისტრალურ დისკურსს?

ძირითადი სირთულეები შემდგომში მდგომარეობს:

- არსებობს საფრთხე, რომ გენდერის მაგისტრალური დისკურსის კონცეფცია და ის გზა, რომლითაც ის გენდერული თანასწორობის სპეციფიკურ პოლიტიკასთანაა კავშირში, არასწორად იქნება გაგებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთმა მთავრობამ ის, შესაძლოა, თანასწორობის ტრადიციული პოლიტიკის შეწყვეტის საბაზად გამოიყენოს;
- კონცეფცია ქალთა და მამაკაცთა ორ კატეგორიამდეა შევიწროებული და არ გამოიყენება მათ (ქალებსა და მამაკაცებს) შორის არსებული კავშირების

მხედველობაში მისაღებად;

- აღინიშნება ადექვატური საშუალებებისა და მეთოდების ნაკლებობა გენდერის მაგისტრალური დისკურსის განსახორციელებლად;
- აღინიშნება ჩართულ აქტორთა ტრენინგების ნაკლებობა და არ ხორციელდება აუცილებელი საპროცედურო ცვლილებები, მაგალითად, ადმინისტრაციებში.

6. რატომ არის გენდერის მაგისტრალური დისკურსი ასე მნიშვნელოვანი?

ამის ხუთი მთავარი მიზეზი არსებობს.

იმიტომ, რომ ხალხს პოლიტიკის შემუშავების საფუძვლად აქცევს

პოლიტიკის შემუშავებლები იძულებულნი იქნებიან ყურადღება დაუთმონ მოქალაქეების ცხოვრებაზე სხვადასხვა პოლიტიკის ფართო ეფექტებს. ეს კი, შედეგად, შესაძლოა, თანამედროვე საზოგადოებების მართვის მიმართ უფრო ჰუმანურ და ნაკლებ ეკონომიკურ მიდგომას ნიშნავდეს.

იმიტომ, რომ მას უკეთეს მთავრობამდე მივყავართ.

თუკი გენდერის მაგისტრალიზაციას გამოვიყენებთ, მივიღებთ უკეთ ინფორმირებულ პოლიტიკის შემუშავების პროცესს და პოლიტიკა აღარ იქნება გენდერულად ნეიტრალური.

იმიტომ, რომ ის ორივეს, ქალებსაც და მამაკაცებსაც მოიცავს და სრულად იყენებს ადამიანურ რესურსებს.

რადგანაც მაგისტრალური დისკურსის განხორციელებაში ჩართული ადამიანები ჩვეულებრივი მშრომელები არიან, გამოვა? რომ ამ პროცესში ჩართულია აქტორთა ფართო სპექტრი და არა მხოლოდ ქალთა მცირე რაოდენობა. შესაბამისად, ნათელია, რომ აქცენტი მცირე რაოდენობით ადამიანებისგან გადავა ყველა ადამიანური რესურსის გამოყენებაზე და გენდერული თანასწორობის საკითხში მამაკაცების ჩართვაზე.

იმიტომ, რომ იგი გენდერულ თანასწორობას თვალსაჩინოს ხდის საზოგადოების უმრავლესობისათვის.

მაგისტრალური დისკურსი აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი სოციალური საკითხია, რომელიც საზოგადოების ზოგად განვითარებას გულისხმობს და არა მხოლოდ „ფუფუნებას“. ეს თანასწორობის საკითხებზე ახალი დებატების წყაროა.

იმიტომ, რომ იგი ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებულობას ითვალისწინებს.

თანასწორობის პოლიტიკა ჩვეულებრივ ქალებისთვისაა გამიზნული — გენდერის მაგისტრალურ დისკურსს კი უნდა შეეძლოს სამიზნედ გახადოს განსხვავებულ სიტუაციაში მყოფი ქალებისა და მამაკაცების ჯგუფები (მიგრანტი ქალი, ახალგაზრდა ქალი, ასაკოვანი მამაკაცი და ა.შ.)

ნაწილი II: გენდერის მაგისტრალური დისკურსის მეთოდოლოგია

მეორე ნაწილი გენდერის მაგისტრალური დისკურსის ხელშემწყობ პირობებსა და აუცილებელ წინაპირობებს წარმოაჩენს. ამას გარდა ის გენდერის მაგისტრალური დისკურსის შესაძლო კომპონენტებისა და აქტორების მიმოხილვასაც გვთავაზობს.

1. რას წარმოადგენენ გენდერის მაგისტრალური დისკურსის აუცილებელი წინაპირობები თუ ხელშემწყობი პირობები?

ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა პოლიტიკური ნებაა. მთავრობას ან უმაღლეს მმართველობას (ორგანიზაციის შემთხვევაში და ა.შ.) მოუწევთ საკუთარი დანიშნულების გააზრება და იმის ნათელყოფა, რომ მათ მისწრაფებას გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ამგვარი თანასწორობის მიღწევის მიზანთან მაგისტრალური დისკურსთან მიმხრობა წარმოადგენს.

მეორე წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გენდერული თანასწორობის გარკვეული პოლიტიკა არსებობს. გენდერული მაგისტრალური დისკურსის განხორციელება ამგვარი პოლიტიკის არსებობის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ქვეყნებმა ან ორგანიზაციებმა, რომლებსაც ამ მაგისტრალური დისკურსის განხორციელების დანყება სურთ, მაგრამ ამგვარი პოლიტიკა არ გააჩნიათ, ამ უკანასკნელის შენებაც თანადროულად უნდა დაიწყონ.

სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობებია:

- მამაკაცებისა და ქალების მიმდინარე მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის არსებობა (სქესობრივი სეგრეგაციის სტატისტიკა). ეს პოლიტიკოსთა დასარწმუნებლად მნიშვნელოვანია.
- გენდერული კვლევების არსებობა, რომლებიც ქმნიან ცოდნას გენდერული ურთიერთობების შესახებ: ფინანსური საშუალებები (ხშირად სახსრების გადანაწილება) და ადამიანური რესურსები (პოლიტიკის შემქმნელთა ტრენინგებისათვის). დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია: ქალთა სრული მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში. დაბალანსებული გენდერული ურთიერთობების მომხრეთა უმეტესობა ქალია. ამიტომ მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩაერთონ გადამწყვეტილების მიღების პროცესში რათა დაიცვან საკუთარი ღირებულებები, ინტერესები და ცხოვრებისეული გამოცდილება, რომ სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელი ქალები გადამწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულნი იქნენ.

2. როდის, რისი და სად უნდა მოხდეს მაგისტრალიზაცია

როდის უნდა ჩაერიოს გენდერული მაგისტრალიზაცია პოლიტიკის განხორციელებაში? სინამდვილეში, პოლიტიკური პროცესის ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია მაგისტრალური დისკურსის განხორციელებისათვის – დაგეგმვის ეტაპიდან გადამწყვეტილების მიღების მომენტამდე იმიტომ, რომ ეს მაშინ ხდება, როდესაც ფინანსური და სხვა საშუალებები ლოკალიზებულია. განხორციელების ეტაპი შეიცავს კონკრეტული ქმედების შემუშავებას, ამიტომ შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყოს. საბოლოოდ მნიშვნელოვანია მიმდინარე გენდერულ ურთიერთობებზე პოლიტიკის ეფექტის შეფასებაც, ვინაიდან ამას ახალი პოლიტიკის განვითარებისათვის საწყისი წერტილის როლის შესრულება შეუძლია.

კითხვაზე, თუ რას უნდა მოიცავდეს/მოიაზრებდეს მაგისტრალური დისკურსი ან თუ რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა, არსებობს პასუხი, რომ პოლიტიკათა სფეროების უმეტესობა რელევანტურია, ვინაიდან მათ ყველას აქვთ პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა ქალებისა და მამაკაცების ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, მაგისტრალური დისკურსის ყველა მიმართულებით განხორციელების ერთდროულად დანყება ძნელია. ყველაზე ადვილი უნდა იყოს ისეთი პოლიტიკით დანყება, რომელიც აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობის მისაღწევად (შრომის ბაზარი, განათლება, სოციალური და საოჯახო პოლიტიკა). აგრეთვე შესაძლებელია ისეთი

სფეროებით დაწყება, რომლებიც ჩვეულებისამებრ გენდერული ბუნებით არიან დალდასმულნი (ურბანული პოლიტიკა, სატრანსპორტო პოლიტიკა, კვლევითი პოლიტიკა).

ასე თუ ისე, მაგისტრალური დისკურსის განხორციელებას ექნება უდიდესი გავლენა, როდესაც რეფორმების უმეტესობა გატარდება და ახალი კანონმდებლობა იქნება მიღებული. სწორედ ესაა გენდერის მაგისტრალიზაციის განხორციელების მომენტი.

გენდერის მაგისტრალური დისკურსი მხოლოდ ნაციონალურ დონეზე განხორციელდება თუ რეგიონალური და ლოკალური დონეებიც მოცული იქნება? პოლიტიკის ყველა დონე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მოცემული ქვეყნის სტრუქტურაზეა დამოკიდებული (ცენტრალიზებულია თუ ფედერალური). ადგილობრივი დონე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ის ადგილია, სადაც გადაწყვეტილებები ხალხზე ყველაზე უშუალოდ ახდენს გავლენას.

3. რა ტექნოლოგიები და ინსტრუმენტებია ხელმისაწვდომი

ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები სამ ძირითად წყებად უნდა დანაწილდნენ: 1) ანალიტიკური, 2) საგანმანათლებლო, 3) საკონსულტაციო და მონაწილეობრივი.

ანალიტიკური ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები

ესენია: სქესთან დაკავშირებული სტატისტიკა; გენდერულ ურთიერთობებთან დაკავშირებული გამოკითხვები და პროგნოზები, რომლებიც მაგისტრალური დისკურსის განსახორციელებლად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბაზისს წარმოადგენენ.

პოლიტიკის შემქმნელთათვის განკუთვნილი სხვა ინსტრუმენტებია: სამოქმედო გეგმა (მიზნების დასახვა და გასატარებელი ქმედებების აღწერა); სამოქმედო პრინციპები და სამუშაოს აღწერა, რომლებიც ზუსტი არაა მაგრამ მაგისტრალური დისკურსის განსახორციელებლად უფრო მეტ თავისუფლებას გვანიჭებენ. გენდერის გავლენის შეფასება კიდევ ერთი ინსტრუმენტია, რომელიც გარემოს დაცვის სექტორიდან იღებს სათავეს, მაგრამ მაგისტრალიზაციითვის იქნა ადაპტირებული. ესაა ქალებსა და მამაკაცებზე განსხვავებული ეფექტების შესაფასებლად პოლიტიკის გაშუქება, თუ რამდენად თანაბრადაა მათი ინტერესები გათვალისწინებული. და ბოლოს, მონიტორინგი, რომელიც რეგულარული ანგარიშებისა და შეხვედრების შედეგად ახალი პოლიტიკის მომზადების ინსტრუმენტია.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები

ეს უკანასკნელი ორ ძირითად ასპექტს შეიცავს: ცოდნის ზრდა და გადაცემა; ცოდნის ზრდა მიზნად ისახავს ხალხის გარდაქმნას გენდერული საკითხებისადმი მგრძობიარედ. ტრენინგები დაეხმარება პოლიტიკურ პროცესში ჩართულ მოქმედ პირებს გენდერული საკითხების აღმოჩენაში და იმგვარი პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს გენდერს. ეს შეიძლება გაკეთდეს: ცოდნის ზრდისა და ტრენინგების კურსების მეშვეობით – მენეჯმენტის უმაღლესი დონიდან დაწყებული; ერთეულთან გარკვეული დროით დაკავშირებული სპეციალური ექსპერტებით (მოგზაური ექსპერტები); სახელმძღვანელოებით (რომლებიც გამოიყენება ტრენინგების დროს და მათ შემდეგ); ბუკლეტებითა და ბროშურებით, საგანმანათლებლო მასალებით სკოლებში გამოსაყენებლად.

საკონსულტაციო და მონაწილეობრივი ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები

უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან გენდერული თანასწორობის ექსპერტებსა და სხვა ექსპერტებს ერთად მუშაობას აიძულებენ. ამის მაგალითებია: სტრატეგიული არასამთავრობო ორგანიზაციები, მომუშავე ან მმართველი ჯგუფები (შიდა საფირმო და შიდა უწყებრივი თანამშრომლობა); სპეციალური ზომები გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში ქალთა

მონაწილეობის უზრუნველსაყოფად; საზოგადოებისა და პოლიტიკასთან დაკავშირებული პირების ინფორმირებისათვის კონფერენციები და სემინარები (ხალხისათვის პოლიტიკის შექმნის პროცესში მონაწილეობაში დასახმარებლად).

4. ვინ არიან პოტენციური მოქმედი პირები და რა როლის შესრულება შეუძლიათ მათ?

გენდერული მაგისტრალური დისკურსის მოიცავს ყველა აქტორს, რომელიც, როგორც წესი, ჩართულია პოლიტიკის დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში. გენდერული მაგისტრალური დისკურსის განხორციელება გულისხმობს იმას, რომ გენდერული თანასწორობა ხალხის დიდი რაოდენობის საზრუნავი გახდება. გენდერული მაგისტრალური დისკურსის გარკვეული ასპექტები სპეციფიური აქტორების ჩართვას საჭიროებს. ასე მაგალითად: სამეცნიერო კვლევა საჭიროებს აკადემიური სპეციალისტების მონაწილეობას, გადამწყვეტილებების მიღება კი -პოლიტიკოსებისა. თავისი როლი აქვთ გარე ექსპერტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გავლენიან და ინტერესთა ჯგუფებს ისევე, როგორც მედიას. სუპრანაციონალური ინსტიტუტების როლიც აგრეთვე მნიშვნელოვანია, როგორც ხელის შეწყობი, მასტიმულირებელი და ინიციატორი აქტორებისა.

პარლამენტი, ბიუჯეტი და გენდერი

იოაკიმ ვერნერი, ვინი ბიანიამა*

წინასიტყვაობა

სახელმწიფო ბიუჯეტის განერისას ყველა ქვეყნის მთავრობა გამოკვეთს თავის პოლიტიკურ მიზნებსა და მათ განსახორციელებელ რესურსებს. დემოკრატისა და სახელმწიფოს მართებულ მართვაზე მზარდი მოთხოვნილება სხვა პირობებთან ერთად სათანადო საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის უფრო აქტიურად ჩართვას მოითხოვს. როგორც ეროვნული დონის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი და მისი წევრები ვალდებული არიან არა მარტო დააკმაყოფილონ თავიანთი ელექტორატის საჭიროებები, არამედ უზრუნველყონ საჯარო თანხების მოპოვება, მართებული ხარჯვა და ამ ყოველივეზე სათანადო პასუხისმგებლობა.

დემოკრატია ქალთა და მამაკათა შორის ქვეყნის პარტნიორობასა და გენდერული უთანასწორობის ამოძირკვაზეა დაფუძნებული. გენდერული კუთხით ბიუჯეტის განხილვა უზრუნველგვყოფს სასარგებლო მექანიზმით, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სამთავრობო პოლიტიკის ეფექტი როგორც მამაკაცებსა და ქალებზე, ვაჟებსა და გოგონებზე, ისე ყველა ადამიანის მიერ ეკონომიკაში შეტანილ რეალურ წვლილზე. ამგვარად, მთავრობას შეუძლია განავითაროს და გაატაროს თანასწორობის უზრუნველმყოფი პოლიტიკა. წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც სხვა პარტნიორობთან ერთად პარლამენტთაშორისი კავშირის (Inter-Parliamentary Union IPU) მიერ გამოცემული სერიებიდან მეექვსეა, საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის როლის გაზრდის მიზნით დაიწერა. ეს წიგნი IPU-ს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), მსოფლიო ბანკისა (WB) და გაერთიანებული ერების ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია. ამგვარი მყარი სამუშაო ურთიერთობები საპარლამენტო და საბიუჯეტო პროცესის (მათ შორის გენდერული კუთხით) რეგიონული და ეროვნული სემინარების სერიების ერთობლივი ორგანიზებისას განვითარდა. დემოკრატიული პრინციპებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში განეული საფუძვლიანი ღვაწლით ამ ორგანიზაციებმა დიდი დრო, ძალისხმევა და რესურსები დაუთმეს ყველა არსებულ პროექტს.

ამ სახელმძღვანელოში, რომელიც თავიდან ცნობარის სახით იყო ჩაფიქრებული, საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის აქტიური ჩართვის მაგალითებია წარმოდგენილი. იგი მიზნად ისახავს ბიუჯეტზე დადებითი ზეგავლენის პარლამენტის ინსტიტუციური უნარი განავითაროს და აღჭურვოს პარლამენტი, მისი წევრები და საპარლამენტო კადრები ყველა საჭირო იარაღით, რათა ბიუჯეტი გენდერული კუთხითაც იქნეს განხილული. დაბოლოს, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი საბიუჯეტო პროცესის გასული და მომავალი სემინარების მონაწილეებისათვის დამატებითი სახელმძღვანელო გახდება.

პარლამენტთაშორისი კავშირი IPU, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ბანკი (WB), გაერთიანებული ერების ქალთა განვითარების ფონდი (UNIFEM)

* იოაკიმ ვერნერი, ვინი ბიანიამა, პარლამენტი, ბიუჯეტი და გენდერი (გზამკვლევი).

თავი 4 ბიუჯეტი გენდერის კუთხით

ბიუჯეტზე პარლამენტის კონტროლისა და საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის ჩართულობის გაზრდის მოთხოვნასთან ერთად გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის კონცეფციაც დანინაურდა. წარმოდგინეს მრავალი ინსტრუმენტი, რომელთა საშუალებითაც ამ კონცეფციის პრაქტიკაში გადატანა მოხერხდებოდა. ამ თავში განხილულია გენდერულ პერსპექტივაში ბიუჯეტის მომზადებისა და განხორციელების განსაზღვრებები, ლოგიკური საფუძვლები და მეთოდები, ასევე წარმოდგენილია მაგალითი რამდენიმე ქვეყნისა, რომლებშიც ამგვარი ბიუჯეტი იქნა მიღებული.

განსაზღვრებების განმარტება

ხშირად გაუგებრობას იწვევს ორი ცნების — სქესისა და გენდერის გამოყენება. სქესი მამაკაცსა და ქალს შორის ძირეული ფიზიოლოგიური განსხვავებების აღმნიშვნელად გამოიყენება მაშინ, როდესაც გენდერს გაცილებით კომპლექსური მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნება, ის აღნიშნავს იმ სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს, რომლებიც იცვლებიან და ვითარდებიან რელიგიის, განათლების, სოციალურ-კულტურული ფასეულობების ან ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე და განსაზღვრავენ ქალისა და მამაკაცის ადგილს საზოგადოებაში. ყველა ქვეყანაში, განვითარებულსა თუ განვითარებადში, გენდერული როლები და ურთიერთობები დროთა განმავლობაში ნელ-ნელა იცვლება. მათ საზოგადოება განსაზღვრავს და გადასცემს კულტურული ტრადიციების, წარმოდგენებისა და ნორმების მეშვეობით. ის საზოგადოება, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, მიაწერს მათ გენდერულ იდენტობებსა და ურთიერთობებს. უფრო მეტიც, საკუთარ საზოგადოებებში მამაკაცთა და ქალთა ცვალებადი როლები განსხვავებულ საჭიროებებსა და საზრუნავებს წარმოქმნიან.

რატომ გენდერულ ქრილში?

ხშირად მიიჩნევენ, რომ ეროვნული ბიუჯეტი გენდერის მიმართ ნეიტრალურია, და რომ თავისი ფუნქციებით მას მამაკაცებსა და ქალებისთვის, ბიჭებსა და გოგონებისთვის თანაბრად მოაქვს სარგებელი. სინამდვილეში კი ბიუჯეტში მამაკაცთა და ქალთა განსხვავებული როლების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებლობამ, შესაძლოა, არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო გააღრმავოს.

როგორც ჯგუფი, ქალებიც მამაკაცებივით განსხვავებულნი არიან კლასით, რასით, ეთნიკური კუთვნილებით, ასაკით, განათლებით და ა.შ. შესაბამისად სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან არსებობს მრავალი ურთიერთსაინანაღმდეგო მოთხოვნა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის შედგენებისა და ზეგავლენის ანალიზი. თავისი მნიშვნელობის მიხედვით მსგავსი მოთხოვნები სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში განსხვავებულია. ბიუჯეტის გენდერულ ქრილში განხილვის მიზანია უზრუნველყოს ბიუჯეტისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიერ განსხვავებული ფენის ქალთა და მამაკაცთა, ბიჭებისა და გოგონების მოთხოვნილებების თანაბარი დაკმაყოფილება და შეეცადოს აღმოფხვრას მათ შორის არსებული ნებისმიერი სოციალური თუ ეკონომიკური უთანაბრობა.

ბიუჯეტის გენდერულ ქრილში განხილვის მიზანია უზრუნველყოს ბიუჯეტისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიერ განსხვავებული ფენის ქალთა და მამაკაცთა, ბიჭებისა და გოგონების მოთხოვნილებების თანაბარი დაკმაყოფილება

მთელ მსოფლიოში ქალები და მამაკაცები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებაში. თუმცა ეკონომიკაში მათი პოზიციები და გამომუშავებული ანაზღაურება განსხვავებულია. ტრადიციულად ქალების მიერ შესრულებული სამუშაოს მეტი წილი ეკონომიკურ აქტივობად არ აღიქმება. თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დროში განერილი კვლევების დახმარებით მთლიანად ეკონომიკაში ქალთა და მამაკაცთა განსაზღვრული მაგრამ განსხვავებული სახის წვლილის გამოკვეთა მოხერხდა. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში ასახულია ეკონომიკის სტრუქტურა, რომელშიც შინამეურნეობაში (ოჯახში) შესრულებული სამუშაო შედის.

„ბიუჯეტი მხოლოდ ინსტრუმენტი და მეტი არაფერი. ეს ინსტრუმენტი გარკვეული პოლიტიკისა თუ სტრატეგიის გასატარებელი საშუალებაა. თუ ეს პოლიტიკა ან სტრატეგია მცდარია, ინსტრუმენტიც არასწორად მოქმედებს და გენდერული თანასწორობის ინტერესს ეწინააღმდეგება.“

Mbaye Diouf (U.N Economic Commission for Africa)


საპარლამენტო და საბიუჯეტო პროცესის (მათ შორის გენდერულ ჭრილში) სემინარის რესურს-ექსპერტი, ნაირობი, კენია 2000.

„ხალხი ქალებს ისე აღგვიქვამს, თითქოს ჩვენ ბიუჯეტის ფორმულირების არაფერი გაგვეგება. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ქალები ყოველთვიურად ვადგენთ ოჯახის ბიუჯეტს, რომელიც ეროვნული ბიუჯეტისგან მხოლოდ მასშტაბებით თუ გამოირჩევა“.

I.Chisala, MP (ზამბია)

საპარლამენტო და საბიუჯეტო პროცესის (მათ შორის გენდერულ ჭრილში) სემინარის მონაწილე, ნაირობი, კენია 2000.

Figure 1:
ეკონომიკის სექტორები



წყარო: kabeer (2003)

პირამიდის მწვერვალი ხილვად, ანუ ფორმალურ ეკონომიკას წარმოადგენს. ის შედგება კერძო და სახელმწიფო სექტორში ანაზღაურებადი საქმიანობებისგან და სამთავრობო გამოთვლებში ეკონომიკის მოცულობაში აისახება. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ფორმალურ სექტორში გაცილებით მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი, რომელთა მეტი წილი ამგვარი დასაქმების შემთხვევაში დაბალანაზღაურებად სამსახურებში კონცენტრირდებიან. არაფორმალური სექტორი კი მრავალი მიკრო და მცირეზომიანი საწარმოებისაგან შედგება,

რომელიც ძირითადად ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით ქალთა, არაანაზღაურებად შრომაზეა დაფუძნებული. ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის პირობებში არაფორმალური სექტორი ფორმალურზე გაცილებით დიდი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში მისი ზომა შედარებით მცირეა.

ამგვარ ოჯახურ\შინამეურნეობრივ ყოფით ეკონომიკაში საქონელი და მომსახურება ოჯახშივე ინარმოება და მოიხმარება. მრავალ ღარიბ, სოფლის ტიპის საზოგადოებებში ნატურალური სოფლის მეურნეობა, რომელიც სწორედ რომ არაფორმალური ეკონომიკის ფარგლებშია, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. 1993 წლიდან შინამეურნეობებში შესრულებული ამგვარი არაფორმალური სამუშაო შესულია სტანდარტულ ეროვნულ ანგარიშგებაში, თუმცა თავად სექტორი მთლიანად ინტეგრირებული არ არის. პირამიდის ძირში ე.წ. მზრუნველობის (მოვლის) ეკონომიკაა, რომელიც მოიცავს ყველა სახის საქმიანობას, რაც კი ადამიანების მოვლას, მათი არსებობისა და საქმიანობისათვის უსაფრთხო, წყნარსა და ერთიან გარემოს აგებას გულისხმობს.

ბავშვის მოვლა, საჭმლის კეთება, წმენდა-დალაგება, სარეცხის რეცხვა, წყლისა და სანვაგი შუშის ზიდვა, ავადმყოფებზე, მოხუცებულებსა და უნარშეზღუდულებზე ზრუნვა, სამეზობლო გაერთიანებებში მოხალისეობრივი საქმიანობა – ეს ყოველივე ინტენსიური შრომისა და არაანაზღაურებადი სექტორის ნაწილია, რომელზედაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ყველა სხვა სექტორია დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორში მამაკაცები და ბიჭებიც მონაწილეობენ, ზრუნვისა და მოვლის საქმიანობა თითქმის მხოლოდ ქალთა არაანაზღაურებად შრომას ეფუძნება.

Box 33: ქალთა „უხილავ“ შრომას ერთიან გლობალურ შედეგში თავისი წვლილი შექვს.

1995 წლის UNDP-ის ადამიანთა განვითარების ანგარიშში გამოთვლილია, ქალები როგორც ანაზღაურებადი ისე არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებისას თავიანთი დროის 51 %-ს უთმობენ გლობალურ ეკონომიკას მაშინ, როდესაც მამაკაცებისთვის ეს მაჩვენებელი 49%-ია. ამის მიუხედავად ხელოვნური დაყოფა საზოგადოებრივ სფეროსა (იგულისხმება ბაზარი და სახელმწიფო) და კერძო სფეროს (იგულისხმება შინამეურნეობა, ოჯახი და თემი) შორის ფარავს ზრუნვის ეკონომიკას, რომელშიც მეტწილად ქალები არიან დასაქმებული. თუმცა შინამეურნეობებსა და სათემო დონეზე ქალების მიერ შესრულებული სამუშაო ბაზრისა და სახელმწიფოსთვის სამუშაო ძალასა და უსაფრთხო გარემოს წარმოშობს. რაც უფრო დიდხანს არის ქალი ჩართული მზრუნველობით საქმიანობაში, მით უფრო ნაკლებად შესაძლებელია მისთვის ანაზღაურებად ეკონომიკაში დასაქმება. ეს ყოველივე არამართ ქალთა მიმართ უსამართლობის, არამედ მთლიანად ეკონომიკის ეფექტურობის პრობლემას წამოჭრის.

წყარო: UNDP ადამიანთა განვითარების ანგარიში (1995)

მზრუნველობით საქმიანობასა და ანაზღაურებად ეკონომიკას შორის კავშირის გაუთვალისწინებლობამ შედეგად, შესაძლოა, ნაკლებად ეფექტური პოლიტიკა და ბიუჯეტის არაეფექტური გადანაწილება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, წყალზე, საოჯახო სანვაგზე, ბავშვების მოვლაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, უმუშევრობის დახმარებასა და პენსიებზე განუღმმა ხარჯებმა, შესაძლოა, ქალის საოჯახო საქმიანობის ტვირთი შეამსუბუქოს და ანაზღაურებად საქმიანობაში ჩასართავად თავისუფალი დრო გამოუყოს. ეს კი სინერგიულ ეფექტს იქონიებს ისეთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, როგორცაა ოჯახების შემოსავლის ზრდა, ეკონომიკური ზრდის აღმავლობა, ქალთა შესაძლებლობების გაფართოება და ბავშვთა ჯანმრთელობაში, კვებასა და განათლებაში დედების მიერ ინვესტირების ზრდა. ეკონომიკური ეფექტურობის მისაღწევად ბიუჯეტებსა და მათ მიერ დაფინანსებულ პოლიტიკურ კურსებში გათვალისწინებული უნდა იყოს ანაზღაურებადი ეკონომიკის დამოკიდებულება არაანაზღაურებადი ზრუნვის სექტორზე და შესაბამისად ორივე მათგანისთვის გეგმებიც სათანადოდ უნდა გაიწეროს. მართალია, ეკონომიკური ეფექტურობა მყარი არგუმენტი ბიუჯეტის გენდერზე ორიენტირებისთვის, თანაბარი მნიშვნელობისაა იმის აღნიშვნაც, რომ

ამგვარი ბიუჯეტი ქალებისათვის განცალკევებულ ბიუჯეტს სულაც არ წარმოადგენს.

Box 34: ბიუჯეტი, როგორც ქალებისადმი ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულების შესრულების საშუალება

ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში ჩვეულებრივ დადგენილია, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია და აკრძალულია ქალების დისკრიმინაცია. ადამიანის უფლებების ისეთ საერთაშორისო შეთანხმებებზე ხელის მოწერით, როგორცაა ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია (UNDHR), გაერთიანებული ერების შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალურსა და კულტურულ უფლებებზე (CESCR), გაერთიანებული ერების კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და პეკინის სამოქმედო პლატფორმა (the Beijing Platform for Action BPFA), მრავალი ქვეყნის მთავრობამ თავისი წვლილი შეიტანა ქალთა და მამაკაცთა, ვაჟებისა და გოგონების თანასწორობისა და ობიექტურობისათვის პროგრესულ მოღვაწეობაში. გაერთიანებული ერების ათასწლეულის სამიტზე 2000 წელს მრავალი ქვეყნის მთავრობამ მხარი დაუჭირა ათასწლეულის განვითარების მიზნებს (MDG), რომელთა მიღწევა 2015 წლისათვის იგეგმება. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებამოსილების ზრდა ათასწლეულის მესამე მიზნად არის მიჩნეული. ასევე აღიარებულია, რომ ათასწლეულის სხვა მიზნების შესრულება გართულებდა, თუ არ იქნა მიღწეული გენდერული თანასწორობა. შესაბამისად, მთავრობებს ამ მიზნის რეალიზაციის მორალური და სამართლებრივი ვალდებულება აკისრიათ.

წყარო: Grown and Gupta (2004).

ეკონომიკური ეფექტურობის მისაღწევად ბიუჯეტშიც და იმ პოლიტიკაშიც, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, გაცნობიერებული უნდა იყოს ანაზღაურებადი ეკონომიკის არაანაზღაურებად სექტორზე დამოკიდებულება და შესაბამისად დაგეგმვის პროცესში ორივე მათგანის გათვალისწინება უნდა მოხდეს. მართალია, ეკონომიკური ეფექტურობა გენდერული თვალსაზრისით უალრესად საგულისხმოა ბიუჯეტის დაგეგმვისას, მაგრამ თანასწორობა არანაკლებ მნიშვნელოვანია.

პარლამენტს შეუძლია თვალყური ადევნოს, თუ როგორ იყენებს მთავრობა ბიუჯეტს შესაძლებლობებში, პერსპექტივებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამას გარდა გენდერულ საკითხებსა და განვითარებასთან დაკავშირებით დახარჯული თანხების მონიტორინგი ხელს უწყობს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტურობას.

რას გულისხმობს გენდერული პერსპექტივა

მთელ მსოფლიოში კულტურული ნორმები ქალსა და მამაკაცს სხვადასხვა სოციალურ ნორმებს უნერგავს. მრავალ ტრადიციულ საზოგადოებაში მამაკაცს ჩვეულებრივ მოეთხოვება სახლის აშენება-შეკეთება და შინაური ცხოველების მოვლა, ქალს კი საჭმლის მომზადება, ბავშვების აღზრდა, სახლის დალაგება, მოხუცებულთა და ავადმყოფთა მოვლა. საჭარის უდაბნოს მიმდებარე არეალში მრავალ აფრიკულ სახელმწიფოში მხოლოდ ბიჭებს აქვთ მიწის მემკვიდრეობით მიღების უფლება. მსოფლიოს მრავალ ადგილას მამაკაცი ითვლება ოჯახის თავად და ძირითადად იგი იღებს ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ქალს კი ქმრის მორჩილება მოეთხოვება. მართალია, ინდუსტრიულ ქვეყნებში ანაზღაურებად სამუშაოებზე ქალების საკმაოდ დიდი რაოდენობაა დასაქმებული, სამინაო საქმეებს მამაკაცებზე მეტ დროს მაინც ქალები უთმობენ, როგორც ამას ავსტრალიური კვლევის შედეგები მოწმობს.

ცხრილი 4: ავსტრალიელი ქალებისა და მამაკაცების მიერ საშინაო საქმიანობაზე დახარჯული წუთების საერთო რაოდენობა (1992 წ.)

საქმიანობა	ქალი	კაცი	საშუალო
სამუშაო ძალა	425	516	482
საშინაო საქმეები, ბავშვის მოვლა და საყიდლები	301	175	242
პირადი	628	621	624
განათლება	325	384	354
საზოგადოებრივი (სათემო) საქმიანობა	99	125	110
სოციალური ურთიერთობები და გართობა-დასვენება	345	351	348

წყარო: Budlender et al (1998)

ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული როლები საზოგადოებაში სხვადასხვა საჭიროებებსა და საზრუნავს წარმოქმნის

წარსულში მამაკაცები და ქალები თანასწორობით და განათლების, მიწის მფლობელობის, კრედიტის შესაძლებლობისა და გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უფლებით არ სარგებლობდნენ. ამის გამო ქალები და გოგონები მრავალ სფეროში მკვეთრად ჩამორჩებიან მამაკაცებსა და ვაჟებს. მაგალითად, მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინარი ქალების რიცხვი გაცილებით აღემატება მამაკაცებისას. მსოფლიოში ქალთა 5 %-ზე ნაკლები ფლობს მიწას. ვაჟებთან შედარებით გაცილებით მეტი თინეიჯერი გოგონაა დაავადებული შიდსის ვირუსით. უფლებათა უთანაბრობა და რესურსების შეზღუდვა ამცირებს ქალის საშუალებას მიიღოს გადაწყვეტილება როგორც საკუთარ ოჯახში, ასევე საზოგადოებასა და სახელმწიფო დონეზე. მსოფლიოში ქალებთან შედარებით გაცილებით მეტი მამაკაცია მთავრობაში. უფრო მეტიც, მთელ მსოფლიოში მოქმედ საკანონმდებლო ორგანოებში პარლამენტართა სკამების მხოლოდ 15 %-ს ფლობენ ქალები (იხ. <http://www.ipu.org/wmn-e/world.htm>). მართალია, გენდერიზებული სოციალური ურთიერთობების სისტემა მამაკაცებისა და ვაჟების დისკრიმინაციას ახდენს და აზიანებს, გენდერული უთანასწორობით ძირითადად ქალები იტანჯებიან.

გენდერი სოციალური კატეგორიაა, როგორც კლასი, რასა, ეთნიკური კუთვნილება ან ნებისმიერი სხვა ჯგუფის წევრობა, რითაც განისაზღვრება ადამიანის უფლებები და შესაძლებლობები. გენდერული ანალიზი ის მიდგომაა, რომელიც გამოიყენება დაგეგმარებისას ყველა ადამიანის, ქალისა თუ კაცის, ვაჟისა თუ გოგონას ინტერესების გათვალისწინებაში. ექსპერტებმა შეიმუშავეს მრავალი საშუალება გენდერული ურთიერთობების კვლევისა და თანასწორობისაკენ პროგრესის მონიტორინგისათვის. ერთ-ერთი ამგვარი კონცეპტუალური ჩარჩო გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) განათლებისა და გენდერული თანასწორობის სპეციალური კომისიის მიერაა შემუშავებული და განმარტავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის შემდეგ სამ დონეს. (იხ. Box 35)

გენდერი სოციალური კატეგორიაა, როგორც კლასი, რასა, ეთნიკური კუთვნილება ან ნებისმიერი სხვა ჯგუფის წევრობა, რითაც განისაზღვრება ადამიანის უფლებები და შესაძლებლობები

Box 35: გენდერული თანასწორობის საზომი კონცეპტუალური ჩარჩო

- გენდერული თანასწორობა ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, კვება და სხვა ძირეული ადამიანური მოთხოვნილებები.

- გენდერული თანასწორობა რესურსების ხელმისაწვდომობისას და თანაბარი შესაძლებლობები ეკონომიკური აქტივების (მაგ. მინა და სხვა ქონება) და რესურსების (შემოსავალი, კრედიტი და დასაქმება) ფლობისას. იგივე შეეხება გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.
- გენდერული თანასწორობა უსაფრთხოების სფეროში, რაშიც მოიაზრება კონფლიქტებისა და ძალადობის შესაძლებლობების შემცირება.

სამივე სფერო ურთიერთდამოკიდებულია და აძლიერებს ქალთა უნარს. ეს თავის მხრივ საშუალებას აძლევს ქალს მიიღოს გადანყვეტილება, რომელიც ზეგავლენას იქონიებს ის ცხოვრებაზე ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოსა და მსოფლიო დონეზე.

წყარო: **Grown and Gupta (2004).**

ეროვნულმა მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეაგროვეს მონაცემები, რომლებიც სამივე სფეროში გენდერულ როლებსა და ურთიერთობებს განასახიერებს. მაგალითად საპარლამენტთაშორისი კავშირი აგროვეს მონაცემებს მსოფლიოში არსებულ საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის შესახებ, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამა ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს ქალთა და მამაკაცთა ადამიანურ შესაძლებლობებზე. შემუშავებულია ახალი მაჩვენებლები, რომლებსაც ექსპერტები გენდერული უთანასწორობის მიზეზებისა და შედეგების საზომად იყენებენ. ანალიტიკური კონცეპტუალური ჩარჩოსა და გენდერულ ჭრილში აგრეგირებული მონაცემების გამოყენება შესაძლებელს ხდის დაგეგმვის პროცესში ორივე სქესის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინებას.

Box 36: გენდერისა და განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო (GAD)

გენდერისა და განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო ორიენტირებულია ნებისმიერი პროგრამისა თუ პოლიტიკაში მამაკაცთა და ქალთა განსხვავებულ გენდერული როლებისა და საჭიროებების გათვალისწინებაზე. ეს გარკვეულწილად განსხვავდება მიდგომისაგან - „ქალები განვითარების პროცესში“ (*WID-Women in Development*), რომელიც ძირითადად სპეციალური განვითარების სხვადასხვა პროგრამით ცდილობს ქალთა უფლებებისა და საჭიროებების უზრუნველყოფას. *WID* მიდგომა ძირითადად ზრუნავს ქალთა ეკონომიკური და სხვა შესაძლებლობების გაფართოებაზე ისეთი საქმიანობებით, როგორცაა შემოსავლის მომტანი საქმიანობა, ბავშვთა მოვლის სწავლება და ჰიგიენის პროექტები. გენდერისა და განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს მიდგომა (**GAD**) კი აღიარებს, რომ ქალისა და მამაკაცის კულტურულად ჩამოყალიბებული როლები აძლიერებს მათ შორის უთანასწორო ურთიერთობებს, რასაც შედეგად ორივე სქესის წარმომადგენელთა მარგინალიზაცია მოსდევს, თუმცა ქალთა მარგინალიზაცია გაცილებით ჩვეული მოვლენაა. ასე რომ, ეს მიდგომა პოლიტიკაში, პროგრამებსა თუ ბიუჯეტში გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევით განვითარების პროცესში ქალთა არა მარტო ინტეგრირებას, არამედ ამავე დროს უთანასწორო გენდერული ურთიერთობების ტრანსფორმაციას ახდენს. გენდერისა და განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო გამოიყენება როგორც იარაღი იმის გასაანალიზებლად თუ რამდენად პასუხობს ესა თუ ის პროგრამა ან პროექტი ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებს.

წყარო: მსოფლიო ბანკი

Box 37: ხელისუფლების გაძლიერება გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირების გზით

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სპონსორობითა და სკანდინავიის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს, იტალიის მთავრობის, *UNIFEM*-ის, თანამეგობრობის სამდივნოსა და კანადის საერთაშორისო განვითარების კვლევის ცენტრის

(IDRC) მხარდაჭერით ბელგიის მთავრობამ 2001 წლის 16-17 ოქტომბერს ბრიუსელში უმაჰპინძლა მაღალ დონეზე გამართულ კონფერენციას, რომელზეც განიხილეს გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირებით ეკონომიკური და ფინანსური მმართველობის გაძლიერების საკითხები. შეხვედრის მიზანი იყო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების უნარის გასაძლიერებლად. ეს კი, თავის მხრივ, გამიზნული იყო 2015 წლისათვის ყველა ქვეყანაში გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო ინიციატივების გლობალური ხედვის მხარდასაჭერად. კონფერენციის მონაწილეებმა მთავრობებს, საერთაშორისო, სამთავრობოთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მრავალფუნქციურ ინსტიტუტებს მოუწოდეს:

1. საბიუჯეტო პროცესებისა და მიზნების გამოკვლევა ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების თანაბარი გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.
2. ქალთა (მათ შორის არჩეული წარმომადგენლები, ქალთა ორგანიზაციის წევრები), კვლევითი ორგანიზაციების, განვითარების ბანკებისა და სამოქალაქო საზოგადოების წახალისება საბიუჯეტო გამოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად.
3. სამთავრობო ბიუჯეტის მომზადების, განხორციელების, აუდიტისა და შეფასების ყველა დონეზე გენდერული ანალიზის ჩართვა; გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დემონსტრირება მთავრობის საბიუჯეტო ანგარიშში გენდერული ანალიზის გამოყენებით, მათ შორის გენდერული თანასწორობის მიზნებზე გასული ბიუჯეტებისა და სამომავლოდ მოსალოდნელი შედეგების გავლენის გამოკვეთა და ანგარიშგება.
4. გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო ინიციატივის აღიარება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების არჩევნისა და საჭიროებების სამთავრობო ბიუჯეტში გასამტკიცებელი საშუალება, რაც აუმჯობესებს გამჭვირვალობასა და თანასწორობას, ამცირებს სიღარიბეს და ხელს უწყობს კარგ ეკონომიკურსა და ფინანსურ მმართველობას.
5. მსოფლიოში გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება. სკანდინავიური მინისტრთა საბჭოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, UNIFEM-ის, თანამეგობრობის სამდივნოს, კანადის საერთაშორისო განვითარების კვლევის ცენტრისა (IDRC) და სხვა მსგავსი ინსტიტუტების მხრიდან ხსენებული ინიციატივის კვლევითი, ტექნიკური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის წახალისება.
6. გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ინიციატივის თანადგომა, რაც საერთაშორისო და განვითარებადი თანამშრომლობის მხარდაჭერი და დამაჩქარებელი როლის ხელშეწყობითაა შესაძლებელი.

წყარო: „გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტისაკენ“ კონფერენციის კომუნიკე, 17 ოქტომბერი, 2001

რა გზით უნდა მოხდეს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

დანახარჯისა და შესავლის გენდერული ანალიზისათვის მრავალი საშუალებაა შემუშავებული. ყველაზე ხშირად გამოიყენება გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის განაცხადი, რომლის მისადაგება შესაძლებელია როგორც მთლიანად ბიუჯეტისთვის, ასევე მისი ცალკეული ნაწილებისთვისაც. სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ხდება დანახარჯისა და შემოსავლის ანალიზი იმ თვალსაზრისით, თუ რა სავარაუდო გავლენას მოახდენს ბიუჯეტი ქალებისა და მამაკაცების, ვაჟებისა და გოგონების სხვადასხვა ჯგუფებზე.

დანახარჯების გენდერული ანალიზი

ნაბიჯი 1: სფეროს სიტუაციურ-გენდერულ ანალიზი

ანალიზი იწყება ქვეყანაში გენდერულ საკითხებზე ძირითადი საბუთებისა და მონაცემების შესწავლით და მათი როგორც ხანმოკლე, ასევე გრძელვადიანი მიზეზებისა და გავლენის დადგენით.

ხშირად ქვეყნის პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს თავიანთ ელექტორატში ქალთა და მამაკაცთა, ვაჟებისა და გოგონების სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის შესახებ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვთ.

მონაცემების მოძიება შესაძლებელია სათანადო სახელმწიფო უწყებებში, სტატისტიკის დეპარტამენტსა და საერთაშორისო ანგარიშებში.

ნაბიჯი 2: სფეროს პოლიტიკის გენდერული ანალიზი

მეორე საფეხური გულისხმობს სფეროს პოლიტიკისა და საპროგრამო დოკუმენტების შესწავლას და იმის დადგენას, თუ რამდენად პასუხობენ ისინი წინასწარ განსაზღვრულ გენდერულ საკითხებს; ამცირებენ, უცვლელად ტოვებენ თუ ზრდან გენდერულ უთანასწორობას.

ნაბიჯი 3: საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების გენდერული ანალიზი

ანალიზის მესამე საფეხური ადგენს, თუ რა დონით შეესაბამება ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ამა თუ იმ პოლიტიკურ დანაპირებს, რომელიც გენდერულ საკითხზეა ორიენტირებული. ასრულებს თუ არა მთავრობა თავის დანაპირებს ან აპირებს, რომ შეასრულოს? ასევე უნდა შეფასდეს, რამდენად პასუხობს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები იმ გენდერულ საკითხებს, რომლებიც პირველ საფეხურზე განისაზღვრა.

Box 38: დანახარჯების გენდერული ანალიზის ზოგადი კონცეპტუალური ჩარჩო

რონდა შარფის მიერ შემუშავებული კონცეპტუალური ჩარჩო ხშირად გამოიყენება დანახარჯების სამ კატეგორიად დაყოფისათვის:

1. **სპეციფიური გენდერული ასიგნირება** ისეთ სამიზნე ჯგუფებზე განეული ხარჯებია, როგორებიცაა ქალები და გოგონები ან მამაკაცები და ბიჭები. მაგალითად, სასკოლო სტიპენდია გოგონებისათვის ან საოჯახო ძალადობის საკონსულტაციო ცენტრები მამაკაცებისთვის. მრავალი მთავრობა სახსრებს სპეციალურად ქალთა პროგრამებისთვის გამოყოფს. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ამ პროგრამების გავლენა ქალებზე და იმგვარი ღირებულების მოპოვების უზრუნველყოფა რომელიც მასზე დახარჯული ფულის საფასურის ტოლი იქნება. თუმცა, როგორც გამოცდილება უჩვენებს, სპეციფიკური გენდერული ასიგნირება დანარჩენ ბიუჯეტთან შედარებით გაცილებით მცირეა და ჩვეულებრივ 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

2. **გენდერის მაგისტრალიზაციის ასიგნირების** გამოკვლევა გენდერზე მათი გავლენის დასადგენადაა საჭირო. დანახარჯების მეტი წილი სწორედ ამ კატეგორიაში მოიაზრება. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის უმთავრეს ამოცანას იმის გარკვევაში მდგომარეობს, თანაბრად პასუხობს თუ არა ეს ასიგნირება სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური წარმომავლობის მამაკაცთა და ქალთა, ვაჟებისა და გოგონების საჭიროებებს.

3. **დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ასიგნირება** გულისხმობს საჯარო სექტორში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას; მაგალითად, დღის განმავლობაში დასაქმებულთა ბავშვების მოვლის ცენტრები, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, საშუალო დონის მენეჯერ ქალთა სპეციალური ტრენინგი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გადანყვეტილების მიღების დონეებს, ვინაიდან საჯარო უწყებების გადანყვეტილებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ღარიბი მამაკაცებისა და ქალების ცხოვრებაზე. თუ არ იქნება დაცული გენდერული ბალანსი ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გადანყვეტილებები გენდერულად მგრძობიარედ ხასიათდებოდეს.

წყარო: *Budlender et al (1998)*

Box 37: შრი ლანკის ეროვნული ბიუჯეტის საფროხე

შრი ლანკამ მნიშვნელოვანი ინვესტირება მოახდინა ადამიანური შესაძლებლობისა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში. შედეგად ქალებს გაუწიეს უფასო სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების სახელმწიფო დახმარება. უმეტესობა სოფლის მეურნეობის სფეროდან წარმოებაში (განსაკუთრებით კი სამკერვალო სფეროში) და მომსახურებაში გადავიდა სამუშაოდ, ზოგმა ამ მიზნით საზღვარგარეთსაც მიაშურა. 1997 წელს იმპორტის 15 პროცენტი პირადი ფულადი გადარიცხვებით იფარებოდა, რომლის 75 პროცენტს სწორედ ქალები ახორციელებდნენ. ამას გარდა, პლანტაციებიდან და თავისუფალი სავაჭრო ზონებიდან ექსპორტის 53 პროცენტი ქალებზე მოდიოდა.

როცა ქალების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში ყველასათვის ნათელი იყო, ინფორმაცია არ მოიპოვებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სარგებლობდნენ ქალები ბიუჯეტიდან. ეროვნულმა გეგმიურმა განყოფილებამ გამოიკვლია 1996 წლის ბიუჯეტის გენდერზე სავარაუდო გავლენა. კვლევამ რამდენიმე სამინისტრო მოიცვა: განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სამსახურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის. გამოიკვლიეს ასევე საჯარო სექტორში დასაქმების გენდერული გადანაწილება. ასიგნირება განიხილებოდა ორი ასპექტის გათვალისწინებით: ა. მომსახურების მიმწოდებლები და მათი პირადი ანაზღაურება, ასევე სხვა მონოდებულები მომსახურების ხარჯები და ბ. პროგრამის ბენეფიციარიებზე გავლენა.

განათლება: გოგონები სიმნიფის ატესტატის „A“ დონის უნივერსიტეტამდე სავსებით გავლენის სტუდენტების 53 პროცენტს შეადგენენ, საუნივერსიტეტო განათლებისთვის მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობიდან - 54 %, თუმცა მხოლოდ 42 % ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი. ყველა დონის მოსწავლე-სტუდენტების სახელმწიფო ფინანსირებიდან 48 პროცენტი გოგონებზე მოდის. დაწყებითი და საშუალო განათლების მასწავლებელთა უმრავლესობა ქალები იყვნენ (დაახლოებით 84 ან 63 %), უმაღლესი განათლების დონეზე კი ეს მხოლოდ 45 პროცენტს შეადგენს. სკოლებისა და კოლეჯების დირექტორების 20 პროცენტს ქალები წარმოადგენდნენ. ჯამში კი განათლების სექტორში ქალები ასიგნირების 68 %-ს მოიხმარენ.

ჯანდაცვა: მამაკაცებზე მეტად სწორედ ქალები სარგებლობდნენ ჯანდაცვის სახელმწიფო მომსახურებით (56%). შემთხვევათა ერთი მესამედი მოდიოდა სამედიცინო-გინეკოლოგიურ მომსახურებაზე. მამაკაცებს ძირითადად ქირურგიულ, ფსიქიატრიულ და სტომატოლოგიურ მომსახურებაზე შეჰქონდათ განაცხადი. მოცემულ სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა ქალები იყვნენ, თუმცა გადანაწილების მიღების მაღალ დონეებზე მამაკაცები დომინირებდნენ.

სოფლის მეურნეობა: სამინისტროს 36 %-ს წარმოადგენდნენ ქალები, რომლებიც ძირითადად დაბალ სამსახურეობრივ დონეებზე იყვნენ კონცენტრირებულნი, უფროს მენეჯერთა 9.5 % იყვნენ ქალები, ხოლო უმაღლესი დონის მენეჯერებში ქალები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. ფერმერ ქალთა მონაწილეობა ტრენინგების პროგრამაში საკმაოდ დაბალი იყო, ხოლო თავად ტრენინგთა 23 პროცენტს სამინისტროს გაფართოებულ პროგრამებში ქალები შეადგენდნენ. ფერმერთა ორგანიზაციაში წევრქალთა პროცენტული შემადგენლობაც არ გამოირჩეოდა მაღალი დონით, ხოლო გადანაწილების მიმღებ რგოლებში მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირე იყო. ვინაიდან ფერმერთა ორგანიზაციები წარმოებისა და კრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ამ არსებითი მომსახურებიდან ფერმერი ქალები ყველაზე მცირე სარგებელს პოულობდნენ.

წარმოება: ბიუჯეტის 70 % წარმოების პარკის ხელშეწყობისთვის გამოიყო. მართალია, წარმოების მეტ ნილს მამაკაცები ფლობდნენ, დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან 80% ქალებზე მოდიოდა. სამხრეთში 50 სამკერვალო ქარხნისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები სწორედ რეგიონში ქალთა უმუშევრობის მაღალი დონის დასარეგულირებლად იყო გამიზნული. ბიუჯეტიდან 10% გამოიყო სანარმოო საქმიანობისა და ტექნოლოგიის დანერგვის შემსწავლელი პროგრამებისა და ტრენინგებისათვის, თუმცა აქაც ქალთა მონაწილეობა საკმაოდ დაბალი იყო.

სოციალური სამსახური: სოციალური დახმარების სახელმწიფო სამსახური გამიზნული იყო

მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენებისთვის, წყალდიდობით და გვალვით დაზარალებულებისათვის, უნარშეზღუდულებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. პროფესიულ კადრებსა და ხელმძღვანელობაში გენდერული ბალანსი დაცული იყო. საშუალოდ საერთო ბიუჯეტიდან 58 პროცენტი ქალ ბენეფიციარებისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა მამაკაცებთან შედარებით გაცილებით ნაკლები ქალი მონაწილეობდა პროფესიული სწავლების პროგრამაში

საჯარო სამსახური: საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი ქალები არიან. პროვინციებსა და ცენტრალურ ხელისუფლებაში დასაქმებული პროფესიული კადრის უმეტესობა (66 %) ქალია (ძირითადად მასწავლებლები და ჯანდაცვის მუშაკები). თუმცა გადანყვეტილების მიღების დონეზე ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

რეკომენდაციები: როგორც კვლევამ აჩვენა, სოციალურ სექტორში რესურსების და გამოყენების შესაძლებლობებში გენდერული ხელმისაწვდომობასა თანასწორობა დაცულია (განათლების სფეროში ბიუჯეტის 48 % იხარჯება ქალებზე, ჯანდაცვაში ეს მაჩვენებელი 56%, ხოლო სოციალურ სამსახურში 57%). თუმცა წარმოების სფეროში, როგორცაა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ბიუჯეტის თვალსაზრისით ქალები მამაკაცებზე ნაკლებ სარგებელს პოულობენ. რეკომენდაცია ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: მეტი რესურსი უნდა გამოიყოს ტექნოლოგიის დასაწვდომად, ტრენინგების, გაფართოებული მომსახურებისა და კომუნიკაციის სისტემისათვის, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა. უნდა შემუშავდეს ახალი პროგრამების დიზაინი, ასევე მიწოდების სისტემა, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს მიაწვდის ქალსა და მამაკაცს და შესაბამისად გაზრდის ქალთა წარმომადგენლობას გადანყვეტილების მიღების დონეზე.

წყარო: *Alailima (2003)*

მთავრობას უნდა მოეთხოვოს გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის განაცხადი მიუსადაგოს ბიუჯეტის ცალკეულ სექტორს და მიუთითოს, თუ რა მოსალოდნელი გავლენა ექნება ბიუჯეტის ამ სექტორს ქალებსა და მამაკაცებზე, ვაჟებსა და გოგონებზე. ასევე უნდა დაიდოს ერთი განაცხადი, როგორც ბიუჯეტთან დაკავშირებული საბუთების ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა შემოსავლისა და დანახარჯის მოსალოდნელ გავლენას გენდერზე.

ალტერნატიულად პარლამენტარებსაც შეუძლიათ თავად ჩაატარონ კვლევა და ბიუჯეტის თაობაზე საპარლამენტო დებატებისას გამოიყენონ ძირითადი მიგნებები. მრავალი მიდგომა არსებობს, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების მეშვეობით ქალთა და მამაკაცთა საჭიროებების თანაბრად დაკმაყოფილებას. მაგალითად, ფილიპინებზე ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც გადანაწილებულია მანდატები, განსაზღვრულია პროცენტები და რესურსები გადანაწილებულია საერთო განვითარებაში გენდერის ინტეგრირებისთვის.

Box 40: გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის პოლიტიკა ფილიპინებში

ქალები განვითარებაში და მშენებლობის ეროვნული აქტი (*Republic Act No. 7192*), რომელიც ძალაში 1992 წელს შევიდა, ყველა მთავრობისგან მოითხოვს მოახდინოს განვითარების ხელშემწყობი ფონდებიდან სახელმწიფო სახსრების ასიგნირება მინიმუმ 5% და მაქსიმუმ 30% პროგრამებსა და პროექტებში, სადაც გენდერულ საკითხს წამყვანი ან მეორადი მნიშვნელობა ენიჭება. დაინერა რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლებშიც ადგილობრივი და ეროვნული სახელისუფლებო დაწესებულებებისათვის იყო ახსნილი მოცემულ აქტთან შესაბამისობაში მოსვლის მეთოდები. 1995 წლიდან სახელისუფლებო დაწესებულების რიცხვი, რომლებიც წარადგენენ გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის ანგარიშს და ასევე სრულ გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის ასიგნირებას სტაბილურად იზრდება. თუმცა 1999 წლისთვის ამგვარ დაწესებულებათა მხოლოდ 40 პროცენტმა წარმოადგინა ანგარიში, ხოლო საერთო გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის ასიგნირებამ შეადგინა 0.6%, გაცილებით დაბალი ნიშნული, ვიდრე 5%. პოლიტიკის მეთვალყურეებმა გამოთქვეს აზრი, რომ გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტი საკმაოდ წარმატებული ადვოკატირების საშუალებაა გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას. გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის პროგრამებისა და პროექტებისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფა

მოხერხდა. დაგროვდა გამოცდილება სხვადასხვა სახის სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის თავად აქტი, მემორანდუმი, პრეზიდენტის ბრძანებულებები და ცირკულარები გენდერის ძირითად მიმართულებაში.

თუმცა ამ მიდგომას სუსტი მხარეებიც გააჩნია. გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის 5 პროცენტთან ასიგნირებაზე ფოკუსირებამ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, კანონმდებლებსა და სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატებს ბიუჯეტის უფრო დიდი წილის მოპოვების სურვილს უკლავს. ამოცანას წარმოადგენს 5 პროცენტის გამოყენება დანარჩენ 95 პროცენტში გენდერის ინტეგრირებისთვის. ყველა ბიუჯეტის მიღმა კი სამთავრობო პოლიტიკა და გეგმებია, რომლებიც ხელისუფლებამ უნდა შეითვისოს და განახორციელოს. გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის მიდგომა მეტი ეფექტურობისთვის გენდერულად გაცნობიერებული ბიუჯეტის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს. აქტმა მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პოლიტიკური ნების წარმოქმნის საჭიროება. საგულისხმოა ასევე შესაძლებლობა, რომელიც და სხვადასხვა მონაწილეების უნარების, დამოკიდებულებებისა და ცოდნის გასაღრმავებლად ინვესტირების გზით საბიუჯეტო პროცესის ტრანსფორმაციისთვისაა საჭირო.

წყარო: Budlender et al (2001)

მრავალი სხვა გზა არსებობს იმისათვის, რომ ბიუჯეტის განხორციელების მონიტორინგის ყველა ეტაპზე დაინერგოს გენდერული თვალთახედვა. მაგალითად, სქესის მიხედვით დისაგრეგირებული საზოგადო დანახარჯის წილობრივი ანალიზი გამოიყენება მომსახურების უზრუნველყოფის საცალო ხარჯისა და მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა ჯგუფის მოხმარების დონის შესაფასებლად. ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელებულმა ზოგიერთმა კვლევამ უჩვენა, რომ ღარიბი ქალებისთვის განკუთვნილ სოციალურ დახმარებას შეძლებული ქალებისთვის უფრო მოჭქონდა სარგებელი. სქესის მიხედვით დისაგრეგირებული სარგებლიანობის შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სახელმწიფო დახმარება ხელმოკლე მამაკაცთა და ქალთა საჭიროებებს. ამ ინსტრუმენტის საშუალებით იზომება, თუ რამდენად აფასებენ ხელმოკლე ადამიანები ამა თუ იმ სახელმწიფო დახმარებას. პარლამენტარებს შეუძლიათ გაიღრმავონ მეთვალყურის ფუნქციები და ამ ანალიტიკური საშუალებებით უკეთ მოახდინონ საკუთარი ამომრჩევლების ინტერესების დაცვა.

Box 41: გენდერული ანალიზი გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო პროცესში

	საკვლევი საკითხები	მოთხოვნები
1. გენდერის ხილვადობა.	ვინ არის ადრესატი?	სქესის მიხედვით აგრეგირებული მონაცემები
2. შემოსავლის აუდიტი და ხარჯები	როგორ არის გადანაწილებული შემოსავალი და ხარჯი ქალებსა და მამაკაცებს შორის?	შემოსავლებისა და დანახარჯების სქესის მიხედვით გადანაწილების სტატისტიკურად აგრეგირებული მონაცემები
3. გენდერული გავლენის შეფასება.	რას გვეუბნება ეს მონაცემები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში შემდეგი რესურსების გენდერული გადანაწილების შესახებ: <ul style="list-style-type: none"> • რესურსებს (ფულადი სახსრები და დრო), • ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი სამუშაო. 	მონაცემები არაანაზღაურებადი, მზრუნველობითი (მოვლის) ეკონომიკის შესახებ, მაგ.: სატელიტური ანგარიში. რომელიც მოიცავს პერიოდულ მონაცემებს. შემოსავლის გადანაწილების მიკროანალიტიკური მოდელი.

	ადეკვატურად ითვალისწინებს თუ არა ესა თუ ის დადგენილება ქალებისა და მამაკაცების საჭიროებებს?	იგულისხმება ეკონომიკური (მაგ. შრომით ძალაში მონაწილეობა) და სხვა გენდერული განსხვავებებისადმი მგრძობიარობა.
	რა გავლენა აქვს ამა თუ იმ პოლიტიკას გენდერულ ნორმებსა და როლებზე	მგრძობიარობა გენდერულ სერეგაციაზე, კულტურულ გამოცდილებასა და გენდერულ ნორმებზე. პოლიტიკის გავლენა მათ მხარდაჭერასა და აღდგენაზე.
4. გენდერის ძირითადი მიმართულება.	სამთავრობო პოლიტიკის დიზაინის ფორმულირებისა და განხორციელებისას გენდერის გათვალისწინება.	სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობა აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში.
	რა პრიორიტეტებს გამოყოფენ გენდერული უთანასწორობის შემცირების ცნობადობაში?	გენდერული საკითხები და გენდერული უთანასწორობის დაფარული ასპექტების გამოვლენის უნარი. პოლიტიკის პრიორიტეტებისა და მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები.
5. შედარება:	მოხერხდა თუ არა გენდერული თანასწორობის სირთულის ცნობადობის მიზნების მიღწევა?	ცნობადობა გენდერული უთანასწორობის შესახებ მიზნების დასახვისას. გარკვეულ სოციალურ ფენომენზე პოლიტიკისა და გავლენის სხვა საშუალებებით ზემოქმედების უნარი.
<i>წყარო: Rake (2002: 10)</i>		

შემოსავლის გენდერული ანალიზი

შემოსავლის გენდერული ანალიზი არ არის იმგვარად განვითარებული, როგორც დანახარჯის გენდერული ანალიზი, თუმცა მოიძებნება რამდენიმე მაგალითი სამხრეთ აფრიკიდან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვა რიგი ქვეყნებიდან. შემოსავლის გენდერული ანალიზი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ დანახარჯების განსაზღვრა ბიუჯეტის მოცულობისა და შემოსავლის წყაროების საკითხების გადაჭრის შემდეგ ხდება. განვითარებად ქვეყნებში გარედან მოძიებული ფულადი სახსრები საერთო შემოსავლის დიდ ნაწილს ქმნის, ხოლო პირდაპირი გადასახადები ძირითადად საშუალო და მდიდარი კლასის წარმომადგენლებზე მოქმედებენ. განვითარებულ ქვეყნებში გადასახადებსა და სახელმწიფო დახმარებებში ცვლილება მკვეთრად

იგრძნობა შემოსავლის დიდი მოცულობისა და სოციალური დახმარების სისტემის არსებობის გამო.

შემოსავლის დაყოფა შემდეგ სამ კატეგორიად არის შესაძლებელი:

- გადასახადები, პირდაპირი ან არაპირდაპირი
- დონორთა სახსრები, სესხებისა და გრანტების სახით
- სხვა სახის შემოსავალი, როგორცაა მომხმარებელთა გადასახადები და აქტივების გაყიდვა.

სქესის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემებისას შესაძლებელია ისიც კი გამოვიკვლიოთ, საშემოსავლო გადასახადების რა წილი მოდის ცალკე ქალებზე და ცალკე მამაკაცებზე. ჩვეულებრივ მამაკაცების წილი გაცილებით დიდია, რადგან ანაზღაურებად ეკონომიკაში მალაზღაურებელი თანამდებობებზე ქალებზე მეტად მამაკაცები არიან დასაქმებულნი. ლარიბ ქვეყნებში ამგვარი გადასახადი საერთო შემოსავლის მცირე ნაწილს წარმოადგენს, რადგან მოსახლეობის უმეტესობას არ მოეთხოვება მისი გადახდა. გადასახადზე გენდერული გავლენის კვლევას ართულებს ის ფაქტი, რომ ხშირად საშემოსავლო გადასახადს არა კერძო ადამიანი, არამედ შინამეურნეობა (ოჯახი) იხდის. ანალიზის სხვა ტიპები იკვლევენ, თუ რა გავლენას ახდენს გადასახადი ქალებსა და მამაკაცებზე მათი დასაქმების სფეროს, საქმიანობის სახისა და შემოსავლის დონის მიხედვით.

დონორის სახსრები შესაძლოა თანდართული იყოს რაიმე პროგრამის ან პოლიტიკურ ხაზისა, რომელსაც გენდერზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. მაგალითად, სწავლის გადასახადს, ჯანდაცვის, წყლისა და ელექტროენერჯის გადასახადებს ხელმოკლე ოჯახების შემოსავალი, შესაძლოა, ვერ განვდეს. შედეგად თუ მშობლებს სწავლის ფულის შეგროვების საშუალება არ აქვთ, ისინი გოგონას სკოლიდან გამოიყვანენ. ასევე თუ ოჯახს გადაუხდელობის გამო წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდება, სიმძიმე კვლავ ქალს დაანეება, რომელიც იძულებული იქნება წყლისა და შეშის საზიდად შორ მანძილზე იაროს.

შემოსავლების გენდერული ანალიზისას უნდა გვახსოვდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

არანაზღაურებადი ზრუნვის ეკონომიკა: იქ, სადაც ქალები თავიანთ საოჯახო მეურნეობებში ძირითად და ანაზღაურების გარეშე დარჩენილ ძალას წარმოადგენდნენ, გადასახადები და სარგებლის მიღება იზრდებოდა. მაგალითისთვის, თუ მთავრობა გადანყვეტდა ფული საავადმყოფოში არსებული ადგილების შემცირებით დაეზოგა, სწორედ არანაზღაურებად შინამეურნეობებში დაკავებულ ქალებს უნდა აეღოთ ავადმყოფ ნათესავებზე ზრუნვის დამატებითი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ეს პასუხისმგებლობა ზღუდავს ქალის მიერ ნებისმიერი პოტენციური შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

გენდერული განსხვავებები შინამეურნეობებში გადანყვეტილების მიღებისას: კვლევა აჩვენებს, რომ ქალი მამაკაცზე უფრო მეტად არის მიდრეკილი იმისკენ, რომ შემოსავლის უფრო მეტი ნაწილი დახარჯოს პირველადი მოხმარების ისეთ საქონელზე, როგორცაა საკვები, განათლება, ჯანდაცვა და ბავშვების ზოგადი კეთილდღეობა. არაპირდაპირი დაბეგვრის გამო ამ ყოველივეზე ფასები აწეულია, ეს კი ქალებზე ორგვარად ახდენს გავლენას: ერთი, რომ თუ გაზრდილი ფასის კომპენსირებისათვის ქალები დამატებითი ვალდებულებების განევაზე ხდებიან პასუხისმგებლები, დროითი წვლილი მათ საქმიანობაში შეიძლება შეიცვალოს. მაგალითისთვის, ქალებს, შესაძლოა, უფრო ხშირად მოუწიოთ სახლში ბავშვებთან დარჩენა, ვიდრე მათი საბავშვო ბაღში მიყვანა; და მეორეც, მოხმარების მოდელი შეიძლება შეიცვალოს. შესაძლოა, ქალები იძულებულნი გახდნენ შეიძინონ საკვები პროდუქტების უფრო იაფი, ნაკლებად მკვებავი შემცვლელი ან გადაანყვეტინონ საკვების მოსამზადებლად მეტი დრო დახარჯონ სახლში, ვიდრე სხვას გადაუხადონ ამისათვის.

გენდერული განსხვავებები საკუთრების უფლებებში: მთელ რიგ ქვეყნებში სავსებით მიღებულია ქალების მიერ საკუთრების ფლობისა ან მემკვიდრეობით მიღების შესაძლებლობის აკრძალვა და მათ მიერ რისკის წარმატებულად მართვის უნარის შეზღუდვა. მართალია ქალები

შეიძლება არც იყვნენ დაბეგრნილი, როგორც საკუთრების მფლობელები, თუმცა მზარდი განვითარება და საკუთრების უფლებებში გენდერული თანასწორობა საბოლოო ჯამში ქალს წარმოაჩენს, როგორც საგადასახადო ქსელის მნიშვნელოვან ნაწილს.

Box: 42 გენდერის გავლენა გაერთიანებულ სამეფოში გადასახადებსა და სოციალურ დახმარებებზე

გაერთიანებულ სამეფოში ფემინისტთა, ეკონომისტთა და სოციალური პოლიტიკის ექსპერტთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა, რომელსაც ქალთა საბიუჯეტო ჯგუფი (WBG) ეწოდება, კონცენტრირება მოახდინა გენდერული პერსპექტივიდან გადასახადებისა და სოციალური დახმარების ყოველწლიურ ანალიზზე. ამგვარი ფოკუსირების მიზეზი ისაა, რომ, ფინანსთა მინისტრის სიტყვებზე დაყრდნობით, გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტი გადასახადებისა და სოციალური დახმარების და მათთან დაკავშირებული წესების ყოველწლიური ანგარიშია. ცალკეული დეპარტამენტები დამოუკიდებლად აქვეყნებენ დანახარჯებისა და რეფორმების დეტალებს. WBG-მა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, გაზარდა საბიუჯეტო ზომების გენდერული გავლენის ცნობადობა, ფინანსთა სამინისტროს ურჩია და მოუწოდა ბიუჯეტთან დაკავშირებით გენდერული თავალთახედვის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებისკენ. ჯგუფი ფოკუსირებას ახდენდა საგადასახადო კრედიტებზე, ბავშვთა მოვლაზე, ქალთა სიღარიბისა და საპენსიო პოლიტიკაზე, ახალბედა დედების უზრუნველყოფასა და დეკრეტულ შვებულებაზე, სამსახურისა და ბავშვებზე ზრუნვის შეთავსებაზე, თანაბარ ანაზღაურებაზე, აგრეთვე პროდუქტიულობასა და შვებულების შემდეგ ქალის ხელახალ დასაქმებაზე. WBG-ის წევრები ძირითადად ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთობდნენ, კერძოდ კი მთავრობის იმ დანესებულებასთან, რომელიც მაკროეკონომიკურ დაგეგმვაზეა პასუხისმგებელი. ისინი მოხალისეობრივ საწყისებზე უზიარებდნენ სამინისტროს საკუთარ უნარებს და ავითარებდნენ გენდერული ანალიზის ინტეგრირების შედეგად ეკონომიკური ეფექტურობის არგუმენტს. მართალია, WBG-მა წარმატებით მოახდინა გავლენა ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგობრივ ცვლილებაზე, მისი მთავარი მიზანი, რომ მთავრობას საბიუჯეტო პროცესებში შემოსავალსა და დანახარჯებზე გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია მოეხდინა, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. ბიუროკრატიასთან კონტაქტების გარდა, არსებობს პარლამენტარებზე ორიენტირების საჭიროებაც, რათა ცვლილებისათვის პოლიტიკურად შესაფერისი მომენტის შექმნა მოხერხდეს.

2002 წლის ბიუჯეტზე გამომხატურებაში WBG:

- მიესალმებოდა პრინციპს, რომლის მიხედვითაც საბავშვო შეღავათები მიენიჭება მთავარ მზრუნველს, რომელსაც მეტწილად დედა წარმოადგენს, და არა შემოსავლის მთავარ შემომტანს. ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა WBG-ის მონაცემები, რომ მამაკაცის „საფულიდან“ შემოსავლის ქალის „ქისაში“ გადადინებას უდიდესი გავლენა ექნებოდა ბავშვის კეთილდღეობასა და სიღარიბის შემცირებაზე.
- აღიარებდა, რომ აუცლებელი იყო ოჯახში შემოსავლის მეორეხარისხოვანი შემომტანების დასაქმების ნახალისება და მოუწოდებდა მთავრობას გაეგრძელებინა ქალთა დასაქმებისათვის ბარიერების შემცირება.
- გამოთქვამდა მწუხარებას იმის თაობაზე, რომ ბავშვზე ზრუნვა და ამ მიმართულებით დაფინანსების გაუმჯობესება 2002 წლის ბიუჯეტში დიდ პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. აღნიშნული ანგარიში აჩვენებდა, რომ სამ წლამდე ბავშვთა მხოლოდ 16 პროცენტს შეეძლო რეგისტრირებული ძიძით ან მომვლელით ესარგებლა და გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ბავშვებზე არასაკმარისად ზრუნვის პრობლემა თავად სამსახურის ანაზღაურებასა და კარიერულ წინსვლასთან იყო დაკავშირებული. ამგვარი სამსახური კი უფრო მცირე რაოდენობის მუშახელს იზიდავდა, ვიდრე ძიძის, მასწავლებლის ან სოციალური მუშაკის პროფესიები. ჯგუფი მთავრობას მოუწოდებდა

ანგარიში გაენია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითისთვის, რომლებსაც „ადრეული ასაკის“ (**Early years**) პროფესიების ერთიანი განსაზღვრება გააჩნდათ.

- მთავრობას სთხოვდა, ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებებს შორის უთანასწორობისათვის მიექცია ყურადღება, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სექტორში დასაქმებული ქალები მათი მამაკაცი კოლეგების ანაზღაურების 86 პროცენტს იღებდნენ. ჯგუფი ამტკიცებდა, რომ კერძო სექტორში დასაქმებულებზე მზარდი კონკურენციის პირობებში, საჯარო სამსახური ველარ დაეყრდნობოდა მხოლოდ ქალთა იმ რაოდენობას, რომელსაც სურდა შედარებით დაბალ ანაზღაურებაზე ემუშავა. ფინანსთა სამინისტროს მიერ ქალთა ანაზღაურების გასაუმჯობესებლად და ანაზღაურებებს შორის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად გამოყოფილი სახსრები მთავრობისათვის მოდერნიზაციული პროგრამის წარმატებისათვის ძირითადი ინვესტიცია იყო.
- იძლეოდა რეკომენდაციას, რომ ბიუჯეტში სატრენინგო ხარჯები გაეზარდათ მათთვის, ვინც ბავშვზე მზრუნველობის პერიოდის შემდეგ კვლავ სამუშაო ძალაში ერთვებოდა.
- იძლეოდა რეკომენდაციას, რომ დაფინანსების პრიორიტეტების გადანაწილება მომხდარიყო ქუჩის დანაშაულსა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლას შორის. ის მოუწოდებდა სახსრების სამართლიანი განაწილებისაკენ კრიმინალსა და ძალადობას შორის, რომელსაც საზოგადოებასა და პირად ურთიერთობებში ჰქონდა ადგილი.

გენდერული საბიუჯეტო ინიციატივები

გენდერული დაფინანსების ინიციატივა 50-ზე მეტ ქვეყანაშია განვითარებული. ზოგი მათგანი ერთჯერადი ღონისძიების სახეს ატარებდა, სხვებმა მომენტი ხელიდან გაუშვეს, ზოგი კი განვითარების პროცესშია. UNIFEM-ის 2003 წლის გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის პროგრამის შუალედურმა მიმოხილვამ გამოავლინა ოცი ქვეყანა, სადაც გენდერული დაფინანსების საქმიანობა მიმდინარეობდა, კერძოდ კი: ინდოეთი, ნეპალი, ბრაზილია, ჩილე, კენია, პერუ, ეკვადორი, ბოლივია, ფილიპინები, ნიგერია, ტანზანია, უგანდა, შრი-ლანკა, გვატემალა, მაროკო, ეგვიპტე, მექსიკა, ბელიზი, სენეგალი და მოზამბიკი.

გენდერული დაფინანსების ინიციატივები 50-ზე მეტ ქვეყანაში განვითარდა.

სხვადასხვა ელექტორატში გენდერული დაფინანსებისთვის მოძიებული ინსტრუმენტები გასწავებული მიზნებისთვის იყო გამოსადეგი. გენდერული თანასწორობის დამცველები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ; მოუწოდებდნენ რესურსების თანაბრად განაწილებისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერისკენ. ამ მიზნით ისინი მთავრობას თხოვნილ მიმართავენ, მოხდეს რესურსების გადანაწილება იმ საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებსაც ადამიანის უფლებების შემდეგი ინსტრუმენტები შეიცავენ: კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღკვეთის შესახებ და ბავშვთა უფლებების კონვენცია. მათ შეუძლიათ საჯარო ხარჯებში გაზარდონ ეფექტურობა, ეფექტიანობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. სხვადასხვა მთავრობის, კანონმდებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განვითარების სააგენტოების გენდერზე ორიენტირებულ ბიუჯეტირებისადმი ინტერესი სწორედ ამ მრავალფეროვანი მიზეზების გამო გაიზარდა. საერთაშორისო სააგენტოები, განსაკუთრებით IPU, UNIFEM, UNDP და თანამეგობრობის სამდივნო, მხარს უჭერენ გენდერული დაფინანსების ინიციატორ მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და

პარლამენტარებთან თანამშრომლობას. მაგალითად, თანამეგობრობის სამდივნო ჩაბმული იყო საერთაშორისო მხარდაჭერ კამპანიაში, რათა მის წევრ ქვეყნებში გენდერის საპასუხო დაფინანსებისთვის შეეწყო ხელი. ეს ორგანიზაცია აგრეთვე მონაწილეობდა საშუალებების, მეთოდოლოგიისა და შესაძლებლობების დანერგვისთვის საჭირო მასალის ჩამოყალიბებაში.

UNIFEM-იც გამოვიდა მხარდაჭერისა და ტექნიკური-ფინანსური უზრუნველყოფელის ანალოგიურ როლში და ასევე მოახდინა ახლებური ინიციატივებისათვის სახსრების კატალიზირება და ბერკეტად გამოყენება.

პროგრესი მრავალი მიმართულებით გრძელდება. მაგალითისთვის, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის რეგიონი ინოვაციების მხრივ ინსტრუმენტთა განვითარების სფეროში წამყვანია მაშინ, როცა ანდების მოსახლეობის (**Andean**) ინიციატივები ძლიერია ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო ანალიზსა და მონაწილეობით პრაქტიკაში. აღმოსავლეთ აფრიკაში დაფუძნდა საინფორმაციო ქსელი (**knowledge network**), რომელიც ძლიერია კონკრეტული პოლიტიკის პროპაგანდირებაში, ტრენინგებსა და პოლიტიკის შემუშავებელთა, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მკვლევრებს შორის კომპეტენტურობის ზრდაში. სამხრეთ აზიასა და ცენტრალურ ამერიკას ძლიერი კვლევითი შესაძლებლობები და დანერგვის ინსტრუმენტები გააჩნია მაშინ, როცა სხვა რეგიონები, როგორებიცაა მაგალითად არაბული სახელმწიფოები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და დასავლეთ აფრიკა, დონორ სააგენტოებთან იმისთვის მუშაობენ, რომ გენდერული პერსპექტივის **PRSP-ის**, **MTEF-ის** და შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის შემუშავების ტექნიკაში ინტეგრირება მოახდინონ.

გენდერული ბიუჯეტირების სირთულეები და შემზღვეველი ფაქტორები

გენდერული ბიუჯეტირების განხორციელებასა და ამ პროცესებით გამოწვეული ანალიზის მიღებაში ისევ რჩება სხვადასხვა პრობლემატური საკითხები, როგორებიცაა:

სქესის მიხედვით აგრეგირებული მონაცემების შეგროვება: უმეტესობა ქვეყნებში არსებობს გარკვეული სქესის მიხედვით აგრეგირებული მონაცემები მთავრობასა და მის გარეთ, რომლებიც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს. თუმცა არსებობს უფრო მეტი ინფორმაციის წარმოქმნის საჭიროება იმისათვის, რომ მეტი ნათელი მოჰფინოს ქალებსა და მამაკაცებს, გოგონებსა და ვაჟებს შორის განსხვავებებს, კერძოდ რესურსების, შესაძლებლობებისა და უსაფრთხოების ხელმისაწვდომობაში. ზუსტი და რელევანტური მონაცემების გარეშე შეუძლებელია გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება საბიუჯეტო პროცესში. ბიუჯეტის გენდერული ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია კანონმდებლებისთვის იქნება დროებითი და საკმაოდ მოკლე იმისათვის, რომ საბიუჯეტო დებატების პერიოდის მანძილზე გამოიყენონ.

პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა: შეიძლება არსებობდეს საბიუჯეტო იძულება და კომპრომისი, რომლებიც ართულებენ გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირების განსაკარნახევი შედეგების პრიორიტეტებად დასახვას. რაც შეეხება რომელიმე კერძო მომსახურებას, გენდერული დეტალიზების სარგებლიანობის ანალიზმა შეიძლება ქალისა და მამაკაცის განსხვავებული საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება მოახდინოს. მაგრამ როგორ გადადის ეს ინფორმაცია პოლიტიკისა და ხარჯვის მოდელების პრიორიტეტების ცვლილებაზე? მაგალითად, როგორ ადარებს ანალიტიკოსი მამაკაცისა და ქალის ჯანდაცვაზე განუღებელ განსხვავებულ დანახარჯებს მაშინ, როცა მათ ჯანდაცვასთან დაკავშირებით განსხვავებული საჭიროებები და საკითხები აქვთ? არსებობს შესაბამისი სტრუქტურის შექმნის საჭიროება, მთლიანი ბიუჯეტის კონტექსტის სექტორებსა და მათ გარეთ გენდერულ საკითხთა პრიორიტეტების განსაზღვრის ხელშეწყობისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანია იქ, სადაც ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის შესამცირებელი სტრატეგიები ხორციელდება.

ანალიზიდან პოლიტიკასა და ბიუჯეტში ცვლილებებამდე: ამჟამად მსოფლიო მასშტაბის გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივათა უმეტესობა ანალიზის ეტაპზეა და ანალიზის პოლიტიკურ და საბიუჯეტო ცვლილებებთან მიბმულობა ნაკლებად შესამჩნევია. ეს არცაა გასაკვირი, მთავრობის მიერ გადანიშნულებათა მიღების პროცესის სიმყარისა და საჯარო მოხელეების ისეთი ექსპერიმენტების არიდების ტენდენციის გათვალისწინებით, როგორცაა გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირება. რამდენიმე ინიციატივა, მაგალითად ტანზანიის გენდერული ქსელის პროგრამა, გასცდა ანალიზს, რათა ბიუჯეტში დანერგოს გენდერი (**Rusimbi et al 2000**). გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის რაიმე წინასწარ განსაზღვრული ფორმულა ან რეცეპტი არ არსებობს. ბიუჯეტირებაში გენდერული პერსპექტივის შეტანა პოლიტიკური პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ფართო პოლიტიკური კონტექსტი ისევე, როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სიტუაცია. თუმცა კანონმდებლების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების, მკვლევრებისა და მთავრობის საბიუჯეტო მგეგმავების პარტნიორობამ შეიძლება გაიზარდოს და შეინარჩუნოს პოლიტიკური ცვლილებების და გენდერული თანასწორობის მიზნების მხარდასაჭერი დანახარჯების მოდელებში ცვლილებების გატარებაზე ზეწოლა. ფართო კოალიციებს აგრეთვე შეუძლიათ ხელი შეუწყონ საბიუჯეტო მენილევებსა და სამთავრობო მგეგმავებში მთელი რიგი ისეთი შესაძლებლობების გავრცელებას, როგორცაა ლობირება, კვლევითი საშუალებები, საბიუჯეტო განათლება და ანალიზი. გენდერული საბიუჯეტო საქმიანობა საკმაოდ ახალია და ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ის კონცეპტუალური და თეორიული ბაზიდან პრაქტიკისაკენ მიიწევს. იდენტიფიცირება, დოკუმენტირება და იმ ინიციატივათა შესახებ ინფორმაციის გაზიარება, რომლებმაც ანალიტიკური სტადიიდან გენდერის ბიუჯეტის შემუშავებაში ინტეგრირების სტადიამდე განიცადეს პროგრესი, ძალზე მნიშვნელოვანია.

საკანონმდებლო ჩარევის შეზღუდვები: საკანონმდებლო ორგანოები, გენდერის ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებთან პარტნიორობით, ზოგჯერ მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ როლს ასრულებდნენ, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, უგანდასა და შოტლანდიაში. თუმცა საპარლამენტო ჩარევას თავისი შეზღუდვები გააჩნია. საბიუჯეტო პროცესში საკანონმდებლო ორგანოების როლი ხშირად ბიუჯეტის დამტკიცებითა და ზედამხედველობით შემოიფარგლება მაშინ, როცა ბიუჯეტის ფორმულირება და შესრულება, როგორც წესი, უფრო აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციაა. გენდერული პერსპექტივის ბიუჯეტში ინტეგრირება ბიუჯეტს მიღმა არსებული პოლიტიკისა და პროგრამების გენდერის ძირითადი მიმართულების დანერგვას საჭიროებს. აქტიურ და გენდერში გათვითცნობიერებულ საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს კანონის ძალაში შესვლის ეტაპი, რათა განსაზღვროს ბიუჯეტის პრიორიტეტები და თანასწორობის მხარდასაჭერად შეზღუდვებს მიმართოს.

გენდერის ბიუჯეტირების ინსტრუმენტთა ინსტიტუციონალიზაცია: გენდერული ბიუჯეტირება საჭიროებს პოლიტიკურ ნებას, ადექვატურ რესურსებსა და შესაძლებლობებს და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორობასა და ქალთა პოლიტიკის შემუშავების მექანიზმს (ქალი ბიუროკრატები და პარლამენტარები) შორის საბიუჯეტო განათლების მაღალ დონეს. გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირება გენდერული თანასწორობის საკითხებზე ანგარიშვალდებულებისაკენ მოწოდებისათვის პოლიტიკური ინსტრუმენტია. ეს ცვლილებების მძლავრი ფაქტორია და მისი წარმატება დამოკიდებულია მთავრობაში პოლიტიკური ნების გენერირებაზე, რათა ხელი შეუწყოს ბიუჯეტის შემუშავების ტრადიციული და საბიუჯეტო პოლიტიკის პროცესების ტრანსფორმირებას დამკვიდრებული, მყარად გამჯდარი მიდრეკილებების აღმოფხვრით, რომლებიც ქალებსა და გოგონებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და ფინანსთა სამინისტროებში მომუშავე გავლენიანი ბიუროკრატებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული და დომინანტური ეკონომიკური აზროვნების შეცვლა მოითხოვს ტექნიკურ გამოცდილებასა და იდეოლოგიურ დარწმუნების უნარს. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და რეფორმატორი პარლამენტარები ისევე მიმართავენ სოციალური ცვლილების ხედვას, როგორც ქალთა პოლიტიკის შემუშავების

მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური ცოდნის გასაღრმავებლად, რათა მოხდეს ეკონომიკურ პოლიტიკაზე დებატებში გულითადად ჩართვა. უფრო მეტიც, ჩნდება ბიუჯეტის გენდერული ანალიზისთვის სპეციალიზირებული შესაძლებლობებისა და ინსტრუმენტების შექმნის საჭიროება. სამოქალაქო საზოგადოების კოალიციებმა და ქსელმა, გენდერის მკვლევარებმა, პარლამენტარებმა და სამთავრობო მოხელეებმა ხელი შეუწყეს ბიუჯეტირების პროცესში მონაწილე სხვადასხვა აქტორთა შორის ამ უნარ ჩვევების გავრცელებას.

გენდერული ბიუჯეტირების ინსტრუმენტების უტილიზაცია საჭიროებს რესურსებს, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომლებიც მოსალოდნელ მონიტორინგსა და ბიუჯეტის შეფასებაზე ფოკუსირდებიან. ამ მხრივ მხარდაჭერა შეინიშნებოდა გენდერული ბიუჯეტირების წრეების შიგნითაც და გარეთაც გაუმჯობესებული, ინოვაციური და ნაკლები ღირებულების მქონე ინსტრუმენტების შესაქმნელად, რათა შეგროვებულიყო რელევანტური და დროული ინფორმაცია. საჭიროა ამ მხარდაჭერის გაგრძელება, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც მწირი რესურსები და საშუალებებია. თუმცა ამჟამად დონორთა შორის გენდერული ხედვით ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით დიდი ენთუზიაზმი შეინიშნება. არსებობს იმის ალბათობა, რომ ამგვარმა ინტერესმა შესაძლოა, იკლოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული ბიუჯეტირების მიზნებზე, განვითარებასა და შეზღუდვებზე რეალისტური ხედვა გვექონდეს, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალი ჩავარდნები.

გენდერული ბიუჯეტირება საჭიროებს პოლიტიკურ ნებას, ადეკვატურ რესურსებსა და საშუალებებს და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორებს შორის საბიუჯეტო „განათლების“ მაღალ დონეს.

თავი 5

საკანონმდებლო მონაწილეობის გაძლიერება

ხშირად საკანონმდებლო ორგანოების შესაძლებლობები შეზღუდულია და მათ არ შესწევთ უნარი, ბიუჯეტირების პროცესში ეფექტური მონაწილეობა მიიღონ. მთელმა რიგმა დაბრკოლებებმა შეიძლება საკანონმდებლო ორგანოებს არ მისცეს საშუალება აქტიური როლი ითამაშონ ბიუჯეტირების პროცესში.

მაგალითისთვის, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოს დისციპლინირებულ უმრავლესობას მართავენ, შეიძლება ნაკლები შესაძლებლობა არსებობდეს საკანონმდებლო ინიციატივებისა, ვიდრე იმ შემთხვევებში, როდესაც მთავრობა პარტიათა არამუდმივი კოალიციის მხარდაჭერას ეყრდნობა.

სამართლებრივი ჩარჩო, შესაძლოა, არ იყოს ხელსაყრელი საკანონმდებლო მონაწილეობისათვის.

საკომიტეტო სისტემა, შესაძლოა, ძალიან სუსტი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საბიუჯეტო დებატებში.

კანონმდებლობას შეიძლება არასაკმარისი დრო ჰქონდეს ან კვლევითი საშუალებები აკლდეს იმისათვის, რომ ჯეროვნად შეაფასოს ბიუჯეტი.

მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ორგანოებში ჩნდება ტენდენცია, რომ გაძლიერებულ იქნეს მათი როლი ბიუჯეტირებაში. მთელ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები ღიაა მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობისათვის. თუ მეტი ქალი ან სხვა მანამდე უგულვებლყოფილი ჯგუფის წარმომადგენელი ლეგულობს ადგილს საკანონმდებლო ორგანოში, მაშინ ისინი არა მხოლოდ პოლიტიკასა და ბიუჯეტზე გავლენისათვის იღწვიან, არამედ აგრეთვე პროცესებისა და საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღების კულტურის ტრანსფორმირებისაკენ. ეს

აუცილებელია შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად და ახალი საკითხებისა და მიდგომების გამოყენების უნარის გამოწვევას წარმოადგენს. ბიუჯეტის გენდერული პერსპექტივიდან დანახვა ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა. ეს თავი ხაზს უსვამს ზოგიერთ მიდგომას და ინიციატივას, რომლებსაც სხვადასხვა კანონმდებლობა მისდევს.

კანონმდებლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი საზედამხედველო ფუნქციის სერიოზულად აღქმა. მე მჯერა, რომ თუკი ჩვენ შეგვიძლია წინ გადავადგათ ნაბიჯი და დავაკვირდეთ პროექტებს, რომლებიც ხორციელდება და, თუკი სამინისტროები და სხვა მაკოორდინირებელი გააცნობიერებენ, რომ ანგარიშვალდებულნი არიან, განსაკუთრებით კი ხალხის წინაშე, ეს ხელს შეუწყობს სისტემის გამჭვირვალობის მიღწევას.

L.C. Ikpeazu, MP (Nigeria) — პარლამენტსა და საბიუჯეტო პროცესზე სემინარის მონაწილე. მათ შორის გენდერული ჭრილის ჩათვლით, ნაირობი, კენია, 2000

საკანონმდებლო კალაუფლაზის მიმოხილვა

სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი შესაძლებლობები მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ჩართულობისთვის. საკანონმდებლო ორგანოების საბიუჯეტო ძალაუფლება უძრაობაში არ უნდა იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი კონსტიტუციაშია ფესვგადგმული, ცვლილება შეიძლება შესაძლებელი იყოს. მაგალითისათვის, კანონის რევიზიის უფლება შეიძლება საკონსტიტუციო განხილვის პროცესის ნაწილად გადაიქცეს, მაგრამ კანონის რევიზიის უფლება ყოველთვის არაა ჩადებული კონსტიტუციაში. ზოგჯერ ამ უფლებას მოიცავს საკანონმდებლო წესები ან უბრალოდ ტრადიციასა და კონვენციებს ეფუძნება. ამგვარად, არსებობს კონსტიტუციაში ჩარევის განსხვავებული დონეები. ეს მნიშვნელოვანია რეფორმის მცდელობის ალბათობის გათვალისწინებისათვის, რომელიც გამიზნულია კანონმდებლობისათვის ბიუჯეტში ჩართვის უნარის ასამაღლებლად.

Box: 43 საბიუჯეტო რევიზიის უფლების გადასინჯვა საფრანგეთში

2001 წელს საფრანგეთის პარლამენტის ინიციატივაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 1959 წლის საფინანსო დადგენილებებში (კოდექსი). ამის ერთ-ერთი შედეგი იყო დანახარჯებში შესწორებების შესატანად პარლამენტარების სამართლებრივ უფლებამოსილებათა ზრდა. საფრანგეთის კონსტიტუციის (1958) მე-40 მუხლი ზღუდავს რევიზიის უფლებებს ფინანსური კანონის სასარგებლოდ: „კანონები და შესწორებები, რომლებიც პარლამენტის წევრებმა დანერგეს, არ იქნება დასაშვები, თუ მათი მიღება საზოგადოებრივი რესურსების შემცირება, ან საჯარო დანახარჯების ან გაზრდას გამოიწვევს“. წარსულში ამის ინტერპრეტირება მოკრძალებულად ხდებოდა, როგორც მხოლოდ არსებული კანონებიდან გარკვეული ნაწილების ამოღების უფლებისა. 2001 წლის რეფორმის საკანონმდებლო ბაზის საკვანძო ელემენტი არის იმ ბიუჯეტის ხელახალი კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს „პროგრამების“ შექმნას თავად „მისიებს“ შიგნით. დანახარჯების ცვლილებებზე არსებული კონტიტუციური შეზღუდვები ხელახლა განისაზღვრა რათა „მისიების“ დონემდე ასულიყო, რამაც შედეგად პარლამენტარებს გზა გაუხსნა იმისაკენ, რომ შეეცვალათ სახსრების გადანაწილება მისიის შიგნით არსებულ პროგრამებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ დანახარჯებთან დაკავშირებით პრიორიტეტების პარლამენტარების მიერ განსაზღვრა ახლა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია.

წყაროები: Amselek (1998), Chabert (2001).

საკანონმდებლო ორგანოებისათვის წვლილის შეტანის

შესაძლებლობის მინიჭება საშუალო ვადიანი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმულირების დროს

კანონის რევიზიის უფლებებზე განსაკუთრებული ფოკუსირება, ალბათ, არაა საკმარისი და სავარაუდოდ არც სასურველია. როგორც პირველ თავში განვიხილეთ, ბიუჯეტები უფრო და უფრო მეტად ეფუძნებიან საშუალო ვადიან პერსპექტივას. ამას დამატებული წლიდან წლამდე მზარდი ცვლილებების საბიუჯეტო პოლიტიკაზე პოტენციური გავლენა შეზღუდულია იმის გამო, რომ ბიუჯეტის მრავალი ასპექტი ზედმეტად მოუქნელია მოკლევადიანი გადანაცვლებებისთვის. მაგალითად, კერძო დანახარჯების შემცირების სტრატეგიები უნდა განხორციელდეს საშუალო ვადებში, რათა საფრთხე არ შეუქმნან მომსახურებას. ბიუჯეტის პროექტის ყოველწლიური მიმოხილვა, რასაც საკანონმდებლო ორგანო აკეთებს, შესაბამისად, მკაცრად უნდა მიემაგროს საბიუჯეტო პოლიტიკის საშუალოვადიან მიმართულებას. ამ მიზნით, სასურველია, რომ საკანონმდებლო ორგანოები ისევე მსჯელობდნენ და ყურადღებით იკვლევდნენ საშუალოვადიან საბიუჯეტო პოლიტიკას, როგორც წლიურ ბიუჯეტს. ამის მისაღწევად საკანონმდებლო ორგანოს მიერ საშუალოვადიან საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმულირება განსახილველად მანამ უნდა იქნეს გატანილი, სანამ წლიური ბიუჯეტის პრეზენტაცია მოხდება. თუ საკანონმდებლო ორგანო ეფექტურად ახერხებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას საშუალოვადიან საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრის დროს, მაშინ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ნაკლებად საჭირო ხდება. საბიუჯეტო სტრატეგიის დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლის შესაძლებლობამ აგრეთვე შეიძლება შესაძლებელი გახადოს ისეთი უფრო შორსმომავალი ცვლილებების შეტანა, როგორცაა გენდერული ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება.

ბიუჯეტის პროექტის ყოველწლიური მიმოხილვა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო აკეთებს, მკაცრად უნდა იყოს ფიქსირებული საბიუჯეტო პოლიტიკის საშუალოვადიან მიმართულებაში.

Box 44: უგანდის 2001 წლის საბიუჯეტო აქტი და გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტირება

ბიუჯეტში გენდერული საკითხების შეტანის ინიციატივები არა მხოლოდ ბიუჯეტის შემადგენლობაზე ფოკუსირდებიან, არამედ აგრეთვე თავად ბიუჯეტირების პროცესის რეფორმირებასა და საკანონმდებლო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდაზე. უგანდაში ქალმა პარლამენტარებმა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმთან – „ქალი დემოკრატიაში“ (FOWODE) ერთად ორგანიზება გაუკეთა სამუშაო შეხვედრას საბიუჯეტო პროცესის შესახებ ყველა დაინტერესებული პარლამენტარისათვის და მათ მრავალი მოდელი წარუდგინა. ამას შედეგად მოჰყვა პარლამენტის რიგითი წევრის მიერ წარმოდგენილი კერძო კანონპროექტი (*private member*), რომელსაც საბიუჯეტო აქტის სტატუსი ჰქონდა (2001). ამას გარდა, აქტი პარლამენტს შესწორებების შეტანის უფლებას არ აძლევდა. იგი თავის როლს ფორმულირების ეტაპზევე აძლიერებდა, აყენებდა რა მოთხოვნას, რომ ფინანსთა მინისტრს წლიური ბიუჯეტის წაკითხვამდე რამდენიმე თვით ადრე წარედგინა განსახილველად საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური გეგმა და ბიუჯეტის ინდიკატორები (მე-4 ნაწილი). აქტი აგრეთვე ზრდის პარლამენტის როლს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც შეიცავს განხორციელებული სესხებისა და სასესხო პირობების დეტალებსა და რეალურ დანახარჯებს, პერიოდულად წარედგინება პარლამენტს. პარლამენტის საბიუჯეტო სამსახური, რომელსაც ეს აქტი აფუძნებს, მუშაობს FOWODE-სთან ერთად იმისათვის, რომ ბიუჯეტის მის დამოუკიდებელ ანალიზში გენდერული პერსპექტივაც წარმოადგინოს.

წყარო: *Byanyima (2002)*

დამოუკიდებელი საბიუჯეტო კვლევითი საშუალებების ჩამოყალიბება

პარლამენტარებს უფრო მეტი ძალა უნდა ჰქონდეთ ბიუჯეტის დამოუკიდებელი ანალიზისას, თუკი მათ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლობას გააჩნია სამართლებრივი უფლებები და პოლიტიკური სივრცე ბიუჯეტის ჩამოსაყალიბებლად, ანალიტიკური შესაძლებლობები მაინც აუცილებელია საბიუჯეტო განწყვეტილებათა გასახმოვანებლად. ბიუჯეტის გაგების უნარი და ძირეული ცვლილებების განხორციელება დამოკიდებულია დეტალურ, საფუძვლიან მიდგომაზე, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ღრმა ანალიზის მეშვეობით. მაშასადამე, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ორგანოებს გააჩნდეთ დამოუკიდებელი ინფორმაციისა და ბიუჯეტის ანალიზის წყარო საკუთარი კვლევითი სამსახურის სახით. ეს შესაძლოა შევსებული იყოს დამოუკიდებელი სატრატეგიული არასამთავრობო ორგანიზაციების ანალიზით, კერძო სექტორის ეკონომისტებით და აკადემიკოსებით.

ბიუჯეტში ძირეული ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა დამოკიდებულია დეტალურ შესწავლაზე, რომელიც მხოლოდ ღრმა ანალიზითაა შესაძლებელი.

ცხრილი 5: ბიუჯეტის კვლევითი საშუალების ჩამოყალიბების ზოგიერთი ასპექტები.

სტრუქტურა	მაგალითი
აშშ-ის სრულად ჩამოყალიბებული საბიუჯეტო განყოფილება.	აშშ
სპეცილიზირებული საბიუჯეტო განყოფილება შედარებით მცირე მასშტაბიან უგანდაში.	უგანდა
პოლონეთის საბიუჯეტო დანაყოფი, როგორც ზოგადი საკანონმდებლო კვლევის სერვისის ნაწილი.	პოლონეთი
ზოგადი კვლევის სერვისი ბიუჯეტირების შეზღუდული გამოცდილების მქონე გაერთიანებულ სამეფოში.	გაერთიანებული სამეფო

მრავალი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, რომლებსაც მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ფუნქცია აქვთ, თავად გააჩნიათ კვლევის ჩატარების შესაძლებლობები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საბიუჯეტო ოფისში 250-მდე მაღალკვალიფიციური თანამშრომელი მუშაობს. დაახლოებით 50 თანამშრომელი ჰყავს ფილიპინების კონგრესის საბიუჯეტო დაგეგმარების ოფისს. ახლახან უგანდის პარლამენტმაც ჩამოაყალიბა საბიუჯეტო სამსახური, რომელშიც 13 ეკონომისტი იმუშავებს. ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს, მაგალითად პოლონეთისას, შედარებით მცირე კვლევითი განყოფილებები გააჩნიათ. ზოგ ქვეყნებში კი საბიუჯეტო ანალიზს საჭიროების შემთხვევაში ზოგადი კვლევის განყოფილებები ახდენენ. ამის მაგალითს გაერთიანებულ სამეფოში თემთა პალატის ბიბლიოთეკის კვლევის სამსახური წარმოადგენს. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანოებს არ გააჩნიათ კვლევის ჩატარების შესაძლებლობა. პარლამენტის საბიუჯეტო ძალაუფლების გაზრდისთვის აუცილებელია მისთვის კვლევის ჩატარების შესაძლებლობის მინიჭება.

Box 45: პარლამენტის თანამშრომელთა როლის მნიშვნელობა

საბიუჯეტო ანალიზის ჩასატარებლად პარლამენტმა უნდა მოიზიდოს შესაფერისი თანამშრომლები, რომელთა ანაზღაურებაც მთავრობის სხვა სტრუქტურებში მომუშავე თანამშრომლების ხელფასებზე ნაკლები არ იქნება. პარლამენტის თანამშრომელთა ცოდნისა და გამოცდილების გაზრდა უნდა მოხდეს ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორებიცაა ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კავშირის

დამყარება. ამით მათ შესაძლებლობა მიეცემათ, შეიმუშაონ საჭირო და სრულფასოვანი რჩევები.
წყარო: პარლამენტთაშორისი კავშირი *Inter-Parliamentary Union* (2003).

პარლამენტარებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. ამისთვის საჭიროა შესაფერისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომელთაც საბიუჯეტო დებატებისთვის ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება შეეძლება. საბიუჯეტო სამსახურებს ან იმ თანამშრომლებს, რომელთაც ევალება შესაბამისი კომიტეტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, შეუძლიათ ითანამშრომლონ ისეთ დაწესებულებებთან, რომლებსაც ბიუჯეტის გენდერული კვლევის ჩატარების შესაძლებლობა აქვთ. ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენენ უნივერსიტეტები და საზოგადოებრივი კვლევითი გაერთიანებები. თანამშრომლობა საჭიროა სტატისტიკის დეპარტამენტებთანაც, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ. ბევრი ორგანიზაცია და საზოგადოებრივი გაერთიანება ქალთა უფლებების დაცვას მათთვის მტკივნეულ საკითხებზე ჩატარებული სიღრმისეული კვლევის შედეგების პარლამენტარებისთვის მიწოდებით ცდილობს. ზოგჯერ ასეთი ორგანიზაციის აქტივისტები გენდერული თვითშეგნების გაზრდისა და საკანონმდებლო და საბიუჯეტო პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირების მიზნით პარლამენტარებისთვის სატრენინგო პროგრამებს ატარებენ.

პარლამენტარების შესაძლებლობების ზრდა

იმისთვის, რომ სწორად გამოიყენონ საბიუჯეტო ინფორმაცია, პარლამენტარები თავად უნდა ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას ეკონომიკურ პოლიტიკაზე, საბიუჯეტო და გენდერულ საკითხებზე. ამ სფეროებში ბევრი საზოგადოებრივი გაერთიანება აწყობს ტრენინგებს. მაგალითად, საკანონმდებლო განვითარების ცენტრი მანილაში და **PARAGON/UNDP** აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ახორციელებს სხვადასხვა სახის სატრენინგო პროგრამებს პარლამენტარებისთვის და პარლამენტის თანამშრომლებისთვის. ნამიბიაში დაფუძნებული სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოების (**SADC**) საპარლამენტო ფორუმი ახორციელებს სატრენინგო, გაცვლით პროგრამებს **SADC**-ის 13 ქვეყანაში. კანადის საპარლამენტო ცენტრსაც აქვთ მრავალ ქვეყანაში შესაძლებლობის გაზრდის პროგრამები პარლამენტარებისა და პარლამენტის თანამშრომლებისთვის. ამ ცენტრის მსგავსად ვაშინგტონის საერთაშორისო საბიუჯეტო პროექტიც ახორციელებს მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია საბიუჯეტო უნარჩვევების განვითარებისკენ. პარლამენტის წევრებისთვის და თანამშრომლებისთვის საპარლამენტთაშორისო გაერთიანებაც აწყობს მთელ რიგ სემინარებს საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის როლზე, მათ შორის გენდერის თვალსაზრისით. პარლამენტარებში ეკონომიკური და საბიუჯეტო საკითხებზე სიღრმისეული ცოდნის არარსებობის და მინიმალური გენდერული თვითშეგნების პირობებში საბიუჯეტო კვლევა და ანალიზი სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

Box 46 პარლამენტთაშორისი გაერთიანების ძალისხმევა საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის როლის გაზრდისთვის

საპარლამენტთაშორისო გაერთიანება დიდი ხანია დაინტერესებულია კარგი მმართველობის დამყარებით და პარლამენტში ქალთა როლის გაძლიერებით. ამ ორი მიზნით გაერთიანებამ მსოფლიო ბანკის და **UNDP**-სთან ერთად ჩაატარა სემინარები გენდერის კუთხით თემაზე: პარლამენტის როლი საბიუჯეტო პროცესზე. ამ სემინარებმა უამრავი პარლამენტარი მიიზიდა. მათ სურდათ უფრო მეტი ესწავლათ საბიუჯეტო პროცესზე და იმ მექანიზმებსა და საშუალებებზე, რომლებსაც მათი ამომრჩევლის ინტერესების დასაცავად გამოიყენებდნენ.

ყველა სემინარზე ინვესტდნენ პარლამენტარებსა და ექსპერტებს, რომლებიც სხვებს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას საბიუჯეტო პროცესსა და იმ საშუალებებზე,

რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გენდერული საკითხების ინტეგრირება ამ პროცესში. პროცესის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ პარლამენტარები განიხილავდნენ მთავრობისა და პარლამენტის როლს საბიუჯეტო პროცესში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს, ბიუჯეტის გენდერული კვლევის ჩატარების მექანიზმებს. პარლამენტარები ეცნობოდნენ ბიუჯეტის გენდერული კუთხით განხილვის მნიშვნელობას. პარლამენტარებთან ერთად სემინარებში მონაწილეობისთვის პარალელურ სესიებზე ინვესტირდნენ პარლამენტის თანამშრომლებსაც, რათა ისინი საჭირო ინფორმაციას გასცნობოდნენ, რის შემდეგაც მათ ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელი პარლამენტარებისთვის საჭირო რჩევის მიცემა შეეძლებოდათ.

პარლამენტთაშორისმა გაერთიანებამ გამოაქვეყნა თითოეული ამ სემინარის ჩანაწერები, რომელთა შეკვეთა შეიძლება მის ვებ გვერდზე: <http://www.ipu.org/english/pblctns.htm>.

„თქმაც არ არის საჭირო, რომ პარლამენტარებმა უნდა შეიძინონ საჭირო ცოდნა რათა მათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეძლონ.“

ბ.პ. სონჯიკა (სამხრეთ აფრიკის პარლამენტის წევრი)
სემინარის მონაწილე თემაზე: პარლამენტი და საბიუჯეტო პროცესი
გენდერის თვალსაზრისით, ნაირობი, კენია, 2000

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

საკანონმდებლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოწოდებულ დეტალურ, ზუსტ და დროულ ინფორმაციას. ბიუჯეტის ციფრებზე დართულ დოკუმენტაციაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული. ბევრ ქვეყანაში ბიუჯეტის დოკუმენტი ძალზე მცირე ინფორმაციას შეიცავს საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკის შესახებ. ხშირად აღწერილი ინფორმაციის ერთადერთ წყაროს საბიუჯეტო მოხსენებები წარმოადგენენ. ამის გამო პარლამენტარებს და მათ თანამშრომლებს უჭირთ საბიუჯეტო პოლიტიკის პრინციპების გაგება და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ბიუჯეტი მთავრობის მიერ გაცხადებულ პოლიტიკას.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში უნდა მოხდეს დონორული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პარლამენტარები უნდა ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას ნებისმიერი დაფინანსების შეთანხმების პირობების შესახებ.

საბიუჯეტო გადაწყვეტილებები ფაქტიური ხარჯვის გათვალისწინებით უნდა მიიღებოდეს.

საჭიროა ფაქტიური ხარჯვის შესახებ წლიური ინფორმაციის არსებობა. ეს პარლამენტს შესაძლებლობას მისცემს აკონტროლოს სხვაობა დამტკიცებულ და ფაქტიურ ხარჯებს შორის. საბიუჯეტო გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ფაქტიური ხარჯების გათვალისწინებით და არა საბიუჯეტო ციფრების მიხედვით, რომლებიც ხშირად რეალობისგან ძალიან შორსაა. კარგი წლიური მოხსენების გარდა, ეს აგრეთვე საჭიროებს საკანონმდებლო და აუდიტორულ ორგანოებს შორის ეფექტურ ურთიერთქმედებას, მაგალითად, საკავშირო მექანიზმების მეშვეობით. რეფორმის კიდევ ერთი მიმდინარე გამონვლევა ისაა, რომ შეამციროს უფსკრული ფისკალური წელიწადის დასასრულსა და აუდიტის შეფასების დასრულებას შორის და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის გამოსადეგარობის მაქსიმიზაცია.

მრავალ ბიუჯეტში დანახარჯები არასაკმარის კავშირშია ბიუჯეტის მიზნებთან და ეს მსგავსი გენდერული გავლენის შესწავლის შესაძლებლობას ზღუდავს. ასეთ შემთხვევაში სათანადო პროდუქტისა და საინფორმაციო შედეგის ინტეგრირებისათვის საჭიროა მთავრობის წახალისება ბიუჯეტის ფორმის შესაცვლელად.

Box 47: რა სახის საბიუჯეტო დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი

OECD შეიმუშავა საბიუჯეტო გამჭვირვალობის საუკეთესო გამოცდილება სადაც

განხილულია ბიუჯეტზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯაროობის სპეციფიკური მოთხოვნები, ერთიანობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. **OECD** საბიუჯეტო დოკუმენტაციის შემდეგ სახეებს გვთავაზობს:

ამომწურავი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს სამუშაო მახასიათებლების მონაცემებსა და საშუალო ხანგრძლივობის პროექტირებას.

ბიუჯეტის წინა ანგარიში ნათლად განსაზღვრავს მთავრობის ხანგრძლივ ეკონომიკურსა და ფისკალურ პოლიტიკის მიზნებს, ასევე საშუალოვადიან ეკონომიკურ ვალდებულებებსა და ფისკალური პოლიტიკის სამომავლო გეგმებს.

ყოველთვიური ანგარიში უჩვენებს ბიუჯეტის განხორციელების პროგრესს და განმარტავს პროგნოზირებულსა და რეალურად არსებულ თანხებს შორის განსხვავებებს.

წლის შუალედური ანგარიში წარმოადგენს ბიუჯეტის განხორციელების მიხედვით ერთიანად კორექტირებულ ვერსიას, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის შედეგის უახლესს პროგნოზს შუა წლისთვის.

წლის დასასრულს ანგარიშის აუდიტი ხდება უზენაესი აუდიტორული დაწესებულების მიერ და მიღებული შედეგები ქვეყნდება ფისკალური წლის დასასრულიდან ექვსი თვის განმავლობაში.

არჩევნების წინა ანგარიში ნათლად აჩვენებს სახელისუფლებო ფინანსების ზოგად მდგომარეობას უშუალოდ არჩევნების წინა პერიოდში.

გრძელვადიანი ანგარიში აფასებს, თუ რამდენად მდგრადია (სიცოცხლისუნარიანია) ამჟამინდელი მთავრობის ფინანსური პოლიტიკა.

წყარო: <http://www.oecd.org/dataoecd/33/13/1905258.pdf>

კომიტეტების როლის გაზარტობა

საკანონმდებლო ორგანოს ეფექტურობისთვის ძლიერი კომიტეტები ესაჭიროება. საკანონმდებლო კომიტეტები კანონმდებლობის სამანქანო განყოფილებაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ძირითადი თავშეყრის დარბაზში მიმდინარე მოვლენებისგან განსხვავებით, სწორედ აქ, პოლიტიკური ტრიბუნისგან შორს, მიმდინარეობს სიღრმისეული და უფრო ტექნიკური დებატები. ვინაიდან საკომიტეტო საფეხური ნაკლებად განვითარებულია და ძირითადი მსჯელობა მაინც მთავარი თავშეყრის ადგილას (სხდომათა დარბაზი) მიმდინარეობს, კანონმდებლობის საბიუჯეტო როლი სუსტია. ასე რომ, რეფორმების შემდეგი ჩამონათვალი ურიგო არ იქნებოდა:

- ფინანსური კომიტეტების სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება
- ბიუჯეტის შესახებ საჯარო მოსმენის პრაქტიკის დანერგვა
- დამხმარე კადრების რაოდენობის ზრდა
- კომიტეტების მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვისთვის დროის გახანგრძლივება საკითხის უფრო სიღრმისეული გამოკვლევისთვის.

საკანონმდებლო კომიტეტები კანონმდებლობის ძრავაა.

ვინაიდან საკომიტეტო საფეხური ნაკლებად განვითარებულია და ძირითადი მსჯელობა მაინც მთავარი თავშეყრის ადგილას (სხდომათა დარბაზი) მიმდინარეობს, კანონმდებლობის საბიუჯეტო როლი სუსტია.

გენდერული ხედვის დანერგვა პარლამენტისგან მოითხოვს ბიუჯეტის სიღრმისეული განხილვისთვის საკმარისი დროის გამოყოფას და საკომიტეტო სისტემის მეშვეობით

ალტერნატიული შეთავაზებების შემუშავებას. პროცედურული წესები უნდა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა სფეროს მიხედვით ბიუჯეტის სათანადო საკომიტეტო განხილვასა და საზოგადო ჩართულობას. საჯარო მოსმენაზე სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების ჯგუფების წვლილის გარეშე მხოლოდ პარლამენტის მხრიდან საბიუჯეტო პროცესში გენდერული ანალიზის დანერგვის ინიცირება და ამ თვალსაზრისით ზენოლის განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელი იქნება.

Box 48: პარლამენტის ახალი საბიუჯეტო პროცესი შვედეთში

წარსულში შვედეთის პარლამენტში, რიკსდაგში, ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი დახასიათებული იყო, როგორც „არადისციპლინებული“. დებატების ფოკუსში მოქცეული იყო იდივიდუალური ასიგნირება და ნაკლები ყურადღება ეთმობოდა საპარლამენტო საქმიანობის ერთიან ეფექტურობას. დანახარჯების საერთო ჯამი მხოლოდ პროცესის ბოლოს ხდებოდა ნათელი. 1990-იანი წლების დასაწყისში, ფისკალური კრიზისის პერიოდში, პარლამენტმა აღიარა რეფორმების საჭიროება და დააფუძნა კომიტეტი, რომელსაც რეფორმების ფორმულირება დაევა. რეფორმირებული საპარლამენტო პროცესს სამი მნიშვნელოვანი საფეხური ახასიათებს. პარლამენტი ადგენს დანახარჯებისა და შემოსავლის აგრეგირებულ დონეს საგაზაფხულო ფისკალური პოლიტიკის კანონპროექტში, რომელიც განსახილველად წარმოდგენილია აპრილში და დამტკიცებულია ორი თვის ვადაში. სექტემბერში გამზადებული ბიუჯეტის წარმოდგენის შემდეგ ფინანსური კომიტეტი ცალკეულ 27 „ხარჯვის სფეროში“, როგორებიცაა სასამართლო, კავშირგაბმულობა და ა.შ., განიხილავს და იძლევა რეკომენდაციებს ასიგნირებასთან დაკავშირებით. პარლამენტის მიერ აგრეგირებული ხარჯების დამტკიცების შემდეგ შესაბამისი კომიტეტები განსაზღვრავენ საკუთარ ხარჯვის სფეროებში ინდივიდუალური ასიგნირების მოცულობას. ცალკეულ დარგობრივ კომიტეტს უფლება აქვს შეცვალოს ასიგნირების შიდა კომპონენტები საკუთარ სფეროში, თუმცა მხოლოდ მის ხარჯვის სფეროსთვის განკუთვნილი ინდივიდუალური ასიგნირების ფარგლებში. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება დეკემბერში ახალ ფისკალურ წლამდე, რომელიც იანვარში იწყება.

წყარო: *Blondal (2001: 37 - 42).*

საბიუჯეტო პროცესის დროში განხრის გადაფასება

არსებითი გადაწყვეტილების მისაღებად კანონმდებლებს ესაჭიროებათ დროითი რესურსი და საბიუჯეტო პროცესის დროში კარგად განერა. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ სულ მცირე სამიდან ოთხ თვემდეა საჭირო მნიშვნელოვანი ანალიზისა და დაკვირვების გზით ბიუჯეტის დამტკიცებისათვის. თუმცა მარტო დროითი რესურსის სიუხვეც არაა საკმარისი. ბიუჯეტი სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი იმ ფისკალური წლის დაწყებამდე, რომელსაც იგი განეკუთვნება, რათა კანონმდებლებმა შეძლონ მნიშვნელოვან დროს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. საბიუჯეტო პროცესის რეფორმები აძლიერებს კანონმდებლებს ზემოხსენებული ორივე საკითხის მოგვარებისას.

სულ მცირე სამიდან ოთხ თვემდეა საჭირო მნიშვნელოვანი ანალიზისა და დაკვირვების გზით ბიუჯეტის დამტკიცებისათვის.

ბიუჯეტის გენდერული პერსპექტივის ინსტიტუციონალიზაცია

ყოველ ახალ იდეას მხარდამჭერი სჭირდება. სავსებით შესაძლებელია, რომ პარლამენტში გენდერულ საკითხებზე მომუშავე კომიტეტმა და საბიუჯეტო კომიტეტმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღონ ბიუჯეტის გენდერული პერსპექტივით დაგეგმვასა და ინსტიტუციონალიზაციაზე. ასევე შესაძლებელია, რომ ნაკლებ ფორმალურმა სტრუქტურებმა,

როგორცაა, მაგალითად ქალთა ფრაქცია, იკისროს ვალდებულება და საბიუჯეტო ზედამხედველობის კომიტეტებთან ერთად იმუშაოს. სამხრეთ აფრიკაში საკმაოდ გავლენიანი ფინანსური კომიტეტის ქვეკომიტეტმა საკომიტეტო საქმიანობაში გენდერის ინტეგრაციის პროცესი წამოიწყო. უგანდაში ეს პროცესი საპარლამენტო ზედამხედველობის შესაბამისი კომიტეტების მეშვეობით ეგრეთ წოდებულმა სპეციალურმა ინტერესთა ჯგუფების ფრაქციის წევრებმა დაიწყეს. ბიუჯეტში გენდერული საკითხებისა და გენდერის ძირითადი მიმართულების ინტეგრირების ფასილიტაციაში მთავარი როლი ორმა ახალმა ფორმალურმა სტრუქტურამ შეასრულა: საბიუჯეტო განყოფილებამ და თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტმა. ბიუჯეტის გენდერული ხედვის დანერგვისთვის სათანადო ინსტიტუტების განსაზღვრა ადგილზე პოლიტიკური და საკანონმდებლო სისტემებზე დაყრდნობით ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მექანიზმის გარეშე ტრანსფორმაციის პროცესისთვის საჭირო მამოძრავებელი ძალის შენარჩუნება გართულდება.

Box 49: ბიუჯეტში გენდერული პერსპექტივის ინსტიტუციონალიზაცია უგანდის პარლამენტის მიერ

- 1996: ფორუმმა „ქალები დემოკრატიაში“ (არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც ადვოკატირებას ახდენს), სპეციალური ინტერესთა ჯგუფების ფრაქციის ჩამოყალიბების ფასილიტაცია მოახდინა, რომელშიც გაერთიანდნენ მშრომელთა კლასის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, უნარშეზღუდულები, და ქალი პარლამენტარები.
- 1997: სამხრეთ აფრიკაში ქალთა საბიუჯეტო ინიციატივის გავლენით FOWODE-ის აღამსრულებლებმა შეიმუშავეს ორწლიანი ტრენინგის პროგრამა SIG-ის ფრაქციისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და საბიუჯეტო კომიტეტების პარლამენტარებისათვის ისეთ საკითხებზე, როგორცაა გენდერი, ეკონომიკური პოლიტიკა, ბიუჯეტის მუხლები, ადვოკატირება და ა.შ. ტრენინგები მოწვეულები იყვნენ აკადემიიდან, ფინანსთა და გენდერულ საკითხთა სამინისტროდან და ცენტრალური ბაკიდან.
- 1997: საბიუჯეტო პროცესის რეფორმირებისათვის და პარლამენტის როლის გაზრდისთვის პროგრამის მონაწილეებმა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტეს გაეტანათ კერძო კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის რიგითი წევრის მიერ იქნებოდა წარმოდგენილი (Private Member's Bill). WBI-ის თავმჯდომარის სიტყვით გამოსვლის შემდეგ SIG-ის ფრაქციის ყოველწლიური შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მსგავსი ინიციატივა წამოეწყოთ.
- 1998: გენდერული ბიუჯეტის პროექტი დაიწყო SIG-თან, პარლამენტარებთან, სახელისუფლებო წარმომადგენლებთან, დამოუკიდებელ მკვლევარებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებთან პარტნიორობის სახით. საბიუჯეტო ციკლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ტრენინგი, კვლევა და ადვოკატირება.
- 1999: FOWODE იქნა მონვეული საკმაოდ გავლენიან ფინანსთა სამინისტროს სიღარიბის აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფში რეგულარული მონაწილეობისათვის და მოხდა მისი ჩართვა PRSP პროცესში.
- 2001: საბიუჯეტო აქტი გავიდა და ახალმა საპარლამენტო საბიუჯეტო განყოფილებამ შესაძლებლობების დანერგვის გეგმაში გენდერული ანალიზი ჩართო და საქმის წინსვლისთვის FOWODE-თან თანამშრომლობას დათანხმდა. პარლამენტში გენდერული ბიუჯეტის მომხრეებმა დანერგეს ახალი პროცედურული წესები, როგორცაა გენდერის ძირითად მიმართულებაზე თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის პასუხისმგებლობა და ახალი საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ ქალ პარლამენტართა კანდიდატურის წარდგენა.
- 2002: დაფუძნდა აღმოსავლეთ აფრიკის გენდერული ბიუჯეტის ქსელი. ქსელს

კოორდინაციას უწევს FOWODE. ის თავს უყრის ეკონომიკის სამთავრობო მგეგმავებს, პარლამენტარებს, მკვლევარებსა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდამჭერებს გენდერული ანალიზის, ასევე ბიუჯეტისა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების პროპაგანდის სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების გასაზიარებლად.

წყარო: Byanyima (2002)

Box 50: კანონმდებლობის საბიუჯეტო როლის გასაძლიერებელი შესაძლო მიდგომები

- კანონმდებლების მიერ ბიუჯეტში შესწორების შეტანის ძალაუფლების გადახედვა და გაფართოება.
- შუალედური საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმულირებაში კანონმდებელთა წვლილის შეტანის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
- საკანონმდებლო ინსტიტუტში ბიუჯეტის კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობის დანერგვა და გაფართოება.
- ტრენინგებისა და შესაძლებლობების გაფართოების სხვა საშუალებების ინიცირების გზით ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ბიუჯეტსა და გენდერულ საკითხებზე კანონმდებლების ცნობადობის ამაღლება.
- ბიუჯეტზე თანადროული და მაღალი ხარისხის ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა.
- ბიუჯეტის დამტკიცების საკანონმდებლო პროცესში კომიტეტების როლის გაფართოება.
- ბიუჯეტის დროული წარმოდგენა ახალი ფისკალური წლის დაწყებამდე.
- სულ მცირე სამ-ოთხთვიანი ვადის გამოყოფა ბიუჯეტის ყოველწლიური გეგმის საკანონმდებლო კუთხით კვლევისათვის.
- ბიუჯეტის ახლებური და უფრო სრულყოფილი ხედვის აღმოჩენა და ინსტიტუციონალიზაცია, განსაკუთრებით კი გენდერული კუთხით.

გენდერული საკითხი სფეროთა შორის საკითხია. ის თითქმის ყველა სფეროს გადაკვეთს... თუ გვსურს გენდერული საკითხის ამგვარი სექტორალური კუთხით განხილვა, მიზნად გენდერული მიდგომების დანერგვა უნდა დავისახოთ. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა პირველ რიგში ყველა დარგობრივ თუ სამინისტრო სტრუქტურებს ვთხოვოთ გაითვალისწინონ თავიანთ მისიაში გენდერული განზომილებები. ბევრი ჩვენგანი ნაკლებად არის გათვითცნობიერებული გენდერულ საკითხებში, ბევრი კი გენდერულ საკითხებს მხოლოდ ქალთა პრობლემებთან აიგივებს. მრავალი ტრენინგი იქნება საჭირო, რათა განვუმარტოთ ჩვენს კოლეგებს, რომ გენდერზე საუბრისას ვგულისხმობთ ქალსა და კაცს, ვაჟებსა და გოგონებს და ვცდილობთ წინ წამოვნიოთ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი გენდერი. რა თქმა უნდა, აფრიკულ ქვეყნებში მეტწილად ქალები არიან ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში.

კ. რ. მასიკო (უგანდის პარლამენტის წევრი)
გენდერული კუთხით პარლამენტსა და საბიუჯეტო პროცესის სემინარის მონაწილე, ნაირობი, კენია 2000

ქალები, მამაკაცები და სამუშაო XXI საუკუნეში

ირენ პადავიჩი, ბარბარა რესკინი¹²

მოცემულ თავში ვსვამთ კითხვას თუ რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ ქალთა და მამაკაცთა სამსახურეობრივ ცხოვრებაში XXI საუკუნის დასაწყისში? ზოგადად რა ტენდენციები შეეხება სამუშაოს და როგორ შეეხება ეს ტენდენციები წიგნში წამოჭრილ თემებს? დასკვნაში მოცემული იქნება სავარაუდო პასუხი ზემოაღნიშნულ კითხვებზე.

სამუშაოსთან დაკავშირებული ტენდენციები XX საუკუნის ბოლოს

ამჟამად სამუშაო გარემო ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხ მთავარ ცვლილებას განიცდის: ეკონომიკის რესტრუქტურირებას, რაც გამოიხატება სამუშაოს შემცირებით წარმოებაში და გაზრდით მომსახურების სფეროში; სამუშაოების პოლარიზებას, ერთი მხრივ, მარტივ, არაკვალიფიციურ და, მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციურ, უფრო კომპლექსურ სამუშაოებად; არასრული სამუშაოს მქონე ან დროებით დასაქმებულ მშრომელთა რაოდენობის ზრდას; და სამუშაო ძალის მზარდ მრავალფეროვნებას. პირველი სამი ტენდენცია—ეკონომიკის რესტრუქტურირება, სამუშაოს ამოცანების გართულება და გამარტივება, და არასრული და დროებითი სამუშაოს ზრდა—განპირობებულია დამქირავებელთა მცდელობებით წარმატებით გაუწიონ კონკურენცია მზარდ გლობალურ ეკონომიკას. ხოლო სამუშაო ძალის მზარდი მრავალფეროვნება არის ქვეყნის დემოგრაფიულ განაწილებაში მომხდარი ცვლილებების შედეგი.

ეკონომიკის რესტრუქტურირება

ეკონომიკის რესტრუქტურირება ეს არის ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის მიმდინარე პროცესი, რომლის დროსაც მრეწველობის ზოგიერთი სფერო და ზოგიერთი სახის სამუშაოს რაოდენობა იზრდება, ხოლო ზოგიერთი მცირდება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამერიკაში წარმოებაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მცირდება, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რიცხვი იზრდება. 2005 წლისათვის წარმოებაში დასაქმებული იქნება მშრომელთა საერთო რაოდენობის 13%, რაც 1940 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რომელიც უტოლდებოდა 24%-ს, მნიშვნელოვნად დაბალია (Kutscher 1991:7). ამერიკულ ფირმათა დიდ ნაწილს თავისი სამუშაო ადგილები გააქვს იმ ქვეყნებში, რომლებშიც შედარებით იაფი მუშახელია, მაგალითად, აზიის სახელმწიფოებსა და მექსიკაში¹³. ხოლო, სამუშაო ადგილების ქვეყნიდან გადინებამ შეამცირა ამერიკელი კაცების შემოსავლების დონე, რაც განხილული იყო მეექვსე თავში.

ამერიკული სამრეწველო ბაზის შემცირების ფონზე მომსახურების მზარდ სექტორში იქმნება მილიონობით ახალი სამუშაო ადგილი. ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 1988-2000 წლებში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების თითქმის 90% მოვა მომსახურების სექტორზე (National Commission on Working Women 1990), და 2005 წლისათვის სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობის 85% იქნება მომსახურების სფეროში (Carey and Franklin 1991).

¹² ირენ პადავიჩი, ბარბარა რესკინი “ქალები და მამაკაცები სამსახურში”, პირველი გამოცემა. Pine Forge Press, A Sage Publications Company; 1994 (გვ. 165-181).

¹³ განვითარებად ქვეყნებში ამ სამუშაოთა დიდ ნაწილზე დასაქმებულნი არიან ქალები, შესაბამისად, ისინი შედიან სამუშაო ძალაში, აქვთ ხელფასი და ხდებიან დამოუკიდებელნი, რასაც სხვაგვარად ვერ მოახერხებდნენ. თუმცა მსგავსი სამუშაოები მშრომელებს ამ ქვეყნებში სთავაზობს მძიმე სამუშაო პირობებს, ანაზღაურების უკიდურესად დაბალ დონეს და სახიფათო სამუშაოს.

მრეწველობის სექტორის შემცირების და მომსახურების სექტორის სწრაფი ზრდის მიზეზია ის, რომ აღნიშნული სფეროები მშრომელებს სთავაზობენ რადიკალურად განსხვავებული სახის სამუშაოებს. სახელფასო განაკვეთი მომსახურების სფეროში მნიშვნელოვნად დაბალი იქნება: ყოველ დოლარზე, რომელსაც დამქირავებელი 1991 წელს წარმოების სფეროში ხელფასის სახით იხდიდა, მოდიოდა საცალო ვაჭრობის ან პირადი მომსახურების სფეროში დასაქმებულთათვის გადახდილი 63 ცენტი (U.S. Bureau of Census 1992). გარდა ამისა, მომსახურების სექტორში არსებულ სამუშაო ადგილებზე კადრების დენადობის მაჩვენებელი წარმოების სექტორთან შედარებით ორჯერ მაღალია და უმეტეს შემთხვევაში მომსახურების სექტორში არის არასრული სამუშაო განაკვეთის სამუშაო ადგილები, რომლებზეც ნაკლებია სამსახურებრივი შეღავათები.

მომსახურების სექტორის სწრაფად მზარდ სამუშაო ადგილთა ნაწილი განეკუთვნება ისეთ მაღალანაზღაურებად სფეროებს, როგორებიცაა იურიდიული საქმიანობა, მედიცინა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. თუმცა საქმიანობის სახეები, რომლებიც საჭირო იქნება ახალი სამუშაო ადგილების უდიდესი ნაწილისათვის (ლიცენზირებული ექთნისა და მთავარი მენეჯერის პროფესიის გარდა) იქნება დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი საქმიანობები, როგორებიცაა, მაგალითად, ოფიციალტი, დამლაგებელი ან სურსათის მაღაზიის მომსახურე პირი (იხ. ცხრილი 9.1). დაბალკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე რვაჯერ უფრო მეტი მშრომელი დასაქმდება, ვიდრე მომსახურების სექტორის მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე (Silvestri and Lukasiewicz 1987).

სამუშაო ამოცანების გართულება და გამარტივება

მეორე ტენდენციაა კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაციის დონის ცვლილება. ეკონომიკის რესტრუქტურირება იწვევს ზოგიერთი სამუშაოს ამოცანების გართულებასა და ზოგიერთის გამარტივებას—მშრომელთა კომპლექსურობის, კვალიფიკაციის და ცოდნის შემცირებას. წარმოების სფეროში არსებული სამუშაო ადგილების შემცირებით ეკონომიკამ დაკარგა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებზეც დასაქმებულნი იყვნენ კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური ლურჯსაყელოიანები*. მართალია, ამავდროულად მომსახურების სექტორის ზრდას მოჰყვა როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა, თუმცა როგორც ცხრილი 9.1 გვიჩვენებს დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილები მომსახურების სფეროში უმრავლესობა იქნება.

ცხრილი 9.1
საქმიანობათა სახეები სამუშაოს დაგეგმილი ზრდისას 1990-დან 2005 წლამდე

საქმიანობა	ახალი სამუშაოების დაგეგმილი რაოდენობა	ქალ მშრომელთა პროცენტული რაოდენობა (1992)	ორივე სქესის მშრომელთა კვირის საშუალო ხელფასი (1992)
საცალი ვაჭრობის გამყიდველი	887,000	54.5	\$270
ლიცენზირებული ექთანი	767,000	93.5	662
მოლარეები	685,000	75.7	219
ოფისის უფროსი კლერკი	670,000	84.1	356
სატვირთო ავტომანქანის მძღოლი	617,000	3.3	418

* მშრომელთა ის კატეგორია, რომელიც ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს.

მენეჯერი და ადმინისტრატორი	598,000	43.6	650
შევიცარი და დამლაგებელი	555,000	22.0	291
ექთნის დამხმარე და სანიტარი	552,000	87.9	266
სასურსათო მაღაზიის თანამშრომელი	550,000	60.9	204
ოფიციანტი	449,000	72.9	222
საშუალო სკოლის მასწავლებელი	437,000	53.9	610
ცნობათა ბიუროს კლერკი და მიმღები	422,000	88.6	319

წყარო: მონაცემები სილვესტრისა და ლუკაზივიციის ნაშრომიდან 1991: ცხრილი 4, ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სტატისტიკის ბიურო 1992a: ცხრილი 5.

დამქირავებელთა მიერ სამუშაო ამოცანების გამარტივების ერთ-ერთი გზა არის ახალი ტექნოლოგიები (Levin and Rumberger 1987). ამოცანების გამარტივების ეს სახე გხვდება ისეთ საქმიანობებში, როგორებიცაა სამდივნო საქმიანობა, ბუხჰალტერია, ბეჭდვა, სადაზღვევო აგენტი. რენდი ჰოდსონისა და რობერტ პარკერის (1988:25) მიხედვით, “წარმოებასა და ავტომატიზებულ ოფისებში კონტროლისა და განცალკევების ფუნქცია მშრომელებისგან პირდაპირ გადაეცემა ავტომატიზებულ მოწყობილობებს”. მაგალითად, ყასბის საქმიანობის შემთხვევაში სამუშაო ამოცანების გამარტივება განაპირობა შეფუთული ხორცის გამოჩენამ (რომლის წარმოებაც ხდება ცენტრალური ავტომატიზებული დანადგარებით); შედეგად სამუშაო შესრულებისათვის ყასაბს მოეთხოვება ნაკლები პროფესიული ცოდნა (Walsh 1989). სამუშაო ამოცანების გამარტივება ასევე დამახასიათებელია სწრაფი კვების რესტორნებისთვის. Burger King-ში მუშაკს სალარო აპარატის მოხმარების წესების ათვისებისათვის უტარდება ცხრანუთიანი სწავლება და დაწესებულება ცდილობს ეს მაჩვენებელი შეამციროს 2 წუთამდე (Hodgkinson 1988). ოცი წლის წინ McDonald's-ის სამუშაო აპარატთან მუშაობისათვის გამყიდველებს მოეთხოვებოდათ გარკვეული ცოდნა, რათა დაებრუნებინათ ხურდა მომხმარებლებისთვის; დღესდღეობით საკმარისია მხოლოდ ჰამბურგერის სახეობის იდენტიფიცირება სალარო აპარატის მეშვეობით. უფრო მეტიც, სალარო აპარატები დაპროგრამებულია შეითავსოს გამყიდველის გარკვეული ფუნქციები: როდესაც გამყიდველი McDonald's-ის რესტორანში აწვება ლილაკს, რათა შეუკვეთოს ჰამბურგერი და რძის კოკტეილი, ირთვება ვაშლის ღვეზლის, ორცხობილისა და ნაყინის ლილაკები, რათა შეახსენოს გამყიდველს შესთავაზოს აღნიშნული პროდუქცია მომხმარებელს (Leidner 1991). 20 წლის წინ კლერკის სამუშაოზე დასაქმებული მდივანი ითავსებდა ფუნქციათა დიდ რაოდენობას; დღესდღეობით იგი ჩაანაცვლა ტექსტის დამამუშავებელმა ოპერატორმა, რომლის ერთადერთი მოვალეობაც არის კლავიატურის მეშვეობით ტექსტის აკრეფა და ამ პროცესსაც კომპიუტერი აკონტროლებს (Sweeny and Nussbaum 1989).

ამავდროულად ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კომპიუტერიზაცია, ართულებს სამუშაო ამოცანებს (Zuboff 1988). ზოგიერთმა მოწინავე კომპანიამ გარდაქმნა სამუშაო ადგილები ისე, რომ უზრუნველყო მშრომელთა ავტონომიურობის უფრო მაღალი ხარისხი, რადგანაც ავტონომიურობა აუცილებელია სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოზე მყისიერი რეაგირებისათვის. სამუშაოები, რომლებიც მოითხოვენ კვალიფიკაციის ამალღებულ დონეს, ხასიათდება მაღალი სახელფასო განაკვეთით და დანინაურების დიდი შესაძლებლობებით. მშრომელებს მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე შეუძლიათ აამაღლონ მათი კვალიფიკაცია და დასპეციალდნენ სხვადასხვა სფეროში.

მკვლევრებს შორის იმართება დებატები იმის თაობაზე, თუ რომელია უფრო ხშირი მოვლენა: სამუშაო ამოცანების გართულება თუ გამარტივება. თუმცა ისინი თანხმდებიან, რომ მონინავე ტექნოლოგიები თავისთავად არ განსაზღვრავენ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის დონეს. სამაგიეროდ, სამუშაოზე ახალი ტექნოლოგიების გავლენას განსაზღვრავენ დამქირავებლები: თუ მშრომელებს არ აქვთ ძალაუფლება და, თუ დამქირავებლები არ ცდილობენ მიიღონ უპირატესობა უფრო კვალიფიციური სამუშაო ძალისაგან, მაშინ ახალი ტექნოლოგიები განაპირობებს კვალიფიკაციის დონის დადაბლებას (Hodson and Parker 1988).

არასტაბილური სამუშაო ძალის ზრდა

მესამე ტენდენციაა არასტაბილური სამუშაო ძალის ზრდა. **არასტაბილური სამუშაო** ეს არის სამუშაო, როდესაც დაქირავებულები დამქირავებლებთან არ არიან დაკავშირებულნი აშკარა ან ნაგულისხმევი კონტრაქტით, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან სამუშაოს ან სადაც მინიმალური სამუშაო საათები არასტაბილურია (Polivka and Nardone 1989:11). ერთი სიტყვით, არასტაბილურ მშრომელებს არ აქვთ სტაბილური სამუშაოს და შემოსავლის გარანტია. მათი მუშაობა დამოკიდებულია დამქირავებელთა მშრომელთა მხრიდან საჭიროებაზე. არასტაბილურ მშრომელებს განეკუთვნებიან დროებით სამუშაოზე დასაქმებული მშრომელები, არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა დიდი ნაწილი და ზოგიერთი დამოუკიდებელი კონტრაქტორი.

დამქირავებლები ხშირად იყენებენ არასტაბილურ სამუშაო ძალას და საჭიროების შესაბამისად შეუძლიათ ამ სახის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა. არასტაბილური სამუშაო ძალის გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის დანახარჯების შემცირება. დამქირავებლები, რომლებიც იყენებენ არასტაბილურ სამუშაო ძალას, არ იხდიან ჯანმრთელობის დაზღვევის, ბიულეტინის, დაუსაქმებლობის დაზღვევის, მშრომელთა კომპენსაციების, სოციალური დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფის და საშვებულებო ხარჯებს, რაც 20-40%-ით ამცირებს დამქირავებლის მიერ მუდმივ თანამშრომელზე განეულ დანახარჯებს (Sweeny and Nussbaum 1989; Callaghan and Hartman 1991). არასტაბილური სამუშაო ძალისათვის დამახასიათებელი სამუშაო გარანტიებისა და შეღავათების ნაკლებობა დამქირავებელთათვის მიმზიდველს ხდის ამ სახის შრომას მაშინ, როცა იგივე მიზეზების გამო იგი ნაკლებად მიმზიდველია მშრომელებისათვის. არ არის გასაკვირი, რომ არასტაბილურად დასაქმებული მშრომელები ძირითადად თავმოყრილინი არიან იმ წარმოებაში, რომელშიც მშრომელებს არ აქვთ შესაძლებლობა პროფკავშირების მეშვეობით ებრძოლონ ამ პრაქტიკას (Cornfield 1987).

არასტაბილურად დასაქმებული მშრომელები სამ ჯგუფად იყოფიან:

- **დროებით სამუშაოზე დასაქმებული მშრომელები.** 1982-92 წლებში დროებითი დასაქმების დონე დასაქმების საერთო დონესთან შედარებით 3-დან 10-ჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა (Ansberry 1993; Hartmann 1993). 1992 წელს კერძო სექტორში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების ორი მესამედი დროებითი იყო (Ansberry 1993). უმუშევრობის პრობლემა აიძულებს არასტაბილურად დასაქმებულ მშრომელებს იმუშაონ ერთდროულად რამდენიმე მსგავს სამუშაოებზე. ისინი ხშირად სამუშაოს პოულობენ დროებით სამუშაოზე დასაქმების სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდნენ უკანასკნელ წლებში. დროებითი სამუშაოს ყველაზე გავრცელებული მაგალითია დაბალკვალიფიციური საკანცელარო სამუშაოები, თუმცა დამქირავებლები უფრო და უფრო ქირაობენ მაღალკვალიფიციურ და ტექნიკურ მშრომელებს დროებითი კონტრაქტის საფუძველზე (Christensen 1989). მაგალითად, დღესდღეობით პროგრამისტა, ბუხჰალტერთა და მენეჯერთა ნაწილი დასაქმებულია დროებით სამუშაოზე.
- **არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელები.** არასრული დასაქმების დონე სწრაფად იზრდება საცალო ვაჭრობისა და მომსახურების სექტორში (Tilly 1991). 1992 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 18.9%, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა

გარდა, მუშაობდა დროებით სამუშაოზე, ხოლო მომსახურების სფეროში დროებით დასაქმებულთა ხვედრითი წილი 23.6%-ს შეადგენდა (U.S. Bureau of Labor Statistics 1993a). დროებითი სამუშაოების უმეტესობა მშრომელებს სთავაზობს სამსახურებრივი შეღავათების მცირე რაოდენობას, ხოლო დაწინაურების შესაძლებლობები ამ სამუშაოებზე არ არსებობს. ამ სახის სამუშაოთა დიდი ნაკლია სახელფასო განაკვეთის დაბალი დონე. 1989 წელს დროებით დასაქმებული მშრომელი საათობრივად საშუალოდ გამოიმუშავებდა სრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელის საათობრივი ანაზღაურების დაახლოებით 58%-ს (Tilly 1991:12); საათობრივი ანაზღაურება კიდევ უფრო ნაკლები იყო არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე იმ მშრომელთათვის, რომლებიც მხოლოდ წელიწადის გარკვეული დროის განამავლობაში მუშაობდნენ (Institute for Women's Policy Research 1993a). როგორც ხვდებით, მშრომელთა დენადობის დონე მსგავს სამუშაოებზე მაღალია. ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სტატისტიკის დეპარტამენტი განასხვავებს დროებითი სამუშაოს ორ სახეს: ნებაყოფლობითს და არანებაყოფლობითს დროებით სამუშაოს. 1970-1990 წლებში არასრული სამუშაოს ზრდის დაახლოებით 90% განპირობებული იყო არანებაყოფლობითი დროებითი სამუშაოს ზრდით (Callaghan and Hartmann 1991). ჩანს, რომ არასრული დასაქმების ზრდა დიდ წილად განპირობებულია დამქირავებელთა და არა მშრომელთა არჩევანით.

- **დამოუკიდებელი კონტრაქტორები.** როგორც მეხუთე თავში განვიხილეთ, დამოუკიდებელი კონტრაქტორები არიან მშრომელები, რომლებსაც დამქირავებლები ქირაობენ წერილობითი ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც მუდმივი თანამშრომლები ასრულებენ სახლში (Christensen 1989). საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, 1985-1988 წლებში დამოუკიდებელ კონტრაქტორთა რიცხვი გაიზარდა 50%-ით და გაუტოლდა 9.5 მილიონს (U.S. General Accounting Office). დამქირავებლები მშრომელთა დიდ ნაწილს მიანერგენ დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსს, რათა თავიდან აიცილონ სამსახურებრივ შეღავათებთან დაკავშირებული დანახარჯები, შეამცირონ მუდმივი დანახარჯები და გადაიხადონ ნაკლები გადასახადი. რედაქტორები, უძრავი ქონების აგენტები და დამლაგებლები, დღესდღეობით წარმოადგენენ დამოუკიდებელ კონტრაქტორებს მაშინ, როცა წარსულში მათი სამუშაო მუდმივი იყო. ზოგჯერ მაღალკვალიფიციური მშრომელებიც კი ხდებიან დამოუკიდებელი კონტრაქტორები (Zachary and Ortega 1993). კომპანიამ Aetna Life & Casualty 1992 შეამცირა 2600 სამუშაო ადგილი და შემდეგ დროებით დათხოვნილი თანამშრომლები იმავე სამუშაოს შესასრულებლად ხელახლა დაიქირავა, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორები, მაგრამ დაბალი ხელფასით და სამსახურებრივი შეღავათების გარეშე (Zachary and Ortega 1993).

დამოუკიდებელ კონტრაქტორთა, დროებით დასაქმებულთა და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა რიცხვი, ანუ არასტაბილური სამუშაო ძალა იზრდება და ეჭვგარეშეა, რომ ეს ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. არასტაბილური დასაქმების მოცულობის განსაზღვრა ძნელია, რადგან არასტაბილურ სამუშაოზე დასაქმებულ მშრომელთა ნაწილი ერთდროულად რამდენიმე მსგავს სამუშაოზე მუშაობს, საშუალოდ 1988 წელს სამუშაო ძალის დაახლოებით 25-30%-ს შეადგენდა არასტაბილური სამუშაო ძალა (Belous 1989).

სამუშაო ძალის მრავალფეროვნება.

აშშ-ს შრომის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ქალები, უმცირესობები და იმიგრანტები სამუშაო ძალის მზარდ სეგმენტს წარმოადგენენ და სამუშაო ძალაში მათი ხვედრითი წილი კვლავაც გააგრძელებს ზრდას სულ ცოტა 2005 წლამდე (Kutscher 1991). მოსალოდნელია, რომ თეთრკანიანები კვლავაც მშრომელთა უმეტესობას შეადგენენ, თუმცა მათი ხვედრითი წილი

სამუშაო ძალაში შემცირდება 78.6%-დან (1990წ.) 73%-მდე (2005წ.). სამუშაო ძალაში გაიზრდება აფრო-ამერიკელთა ხვედრითი წილი 10.7%-დან (1990წ.) 11.6%-მდე (2005წ.). ლათინო-ამერიკელთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება 7.7%-დან 11.1%-მდე და ზრდის ტემპები გადააჭარბებს აფრო-ამერიკელების ზრდას. აზიელების და სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობა სამუშაო ძალაში გაიზრდება 3.1%-დან 4.3%-მდე.

უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის ზრდა განპირობებულია ქვეყანაში იმიგრანტების შესვლით. 1960-იან წლებში იმიგრანტებზე მოდიოდა აშშ-ს მოსახლეობის ზრდის 11%, 1970-იან წლებში—33%, ხოლო 1980-იან წლებში—39% (John and Parker 1987). ლეგალური და არალეგალური იმიგრანტები, როგორც ჩანს, იქნებიან სამუშაო ბაზრის ყველაზე მზარდი ჯგუფი. უკანასკნელ ხანებში ქვეყანაში ჩასული იმიგრანტები, რომელთა უმეტესობაც აზიიდან და ლათინური ამერიკიდანაა, განეკუთვნებიან როგორც მაღალკვალიფიციურ, კარგად განათლებულ, ასევე დაბალკვალიფიციურ, ნაკლებად განათლებულ სამუშაო ძალას ("Immigrants" 1992). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იმიგრანტების რაოდენობა იზრდება და ამასთანავე ისინი ტრადიციულად აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო ძალაში, მიუთითებს, რომ ისინი შეადგენენ სამუშაო ძალის მზარდ ნაწილს.

შედეგები კაცი და ქალი მშრომელისათვის

ზემოხსნებულ ეკონომიკურ ცვლილებებს ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა სამუშაო ძალაში ქალისა და კაცის გათანაბრების პროგრესულ პროცესზე. ამ ცვლილებების შედეგები თავს იჩენს შემდეგ ხუთ სფეროში: სამუშაო ძალაში მონაწილეობა, სეგრეგაცია სქესობრივი ნიშნის მიხედვით, განსხვავებული ანაზღაურება, სამუშაოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭება და ურთიერთობა ოჯახსა და სამსახურს შორის.

სამუშაო ძალაში მონაწილეობა

საზოგადოებამ ქალები მიაკუთვნა სამუშაო ძალას. 1990-2005 წლებში სამუშაო ძალის ზრდის 62% მოვა ქალ მშრომელებზე, ხოლო კაცების მონაწილეობა სამუშაო ძალაში ოდნავ შემცირდება. შედეგად 2005 წელს სამოქალაქო სამუშაო ძალის 47.7%-ს შეადგენენ ქალები (U.S. Women's Bureau 1992). ფერადკანიან ქალთა ხვედრითი წილი სამუშაო ძალაში გადააჭარბებს თეთრკანიან ქალთა რაოდენობას: 1990-2005 წლებში ლათინო-ამერიკელ და აზიელ ქალთა მონაწილეობის დონე გაიზრდება 80%-ით, აფრო-ამერიკელი ქალების 34%-ით და თეთრკანიანი ქალების მონაწილეობა 23%-ით (U.S. Women's Bureau 1992).

XXI საუკუნის დასაწყისში პრომისუნარიან ქალთა 61% შევა სამუშაო ძალაში (Fullerton 1987) და გაიზრდება 1992 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 57.8%-ს. სულ რაღაც 30 წლის წინ მკვლევრები იკვლევდნენ რამდენად განაპირობებდა დედის დასაქმებულობა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულს. ახლა კოლეჯდამთავრებულ ახალგაზრდა ქალთა უმეტესობა მუშაობს სრული სამუშაო განაკვეთით. შედეგად მკვლევრები და ფედერალური სააგენტოები სვამენ კითხვას, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებამ ქალთა მონაწილეობას სამუშაო ძალაში, ხოლო დამქირავებლები ეძიებენ გზებს, რათა დააკმაყოფილონ ქალ მშრომელებზე მზარდი დამოკიდებულება.

სეგრეგაცია სქესობრივი ნიშნის მიხედვით

ნიგნის წინასიტყვაობაში აღწერილი იყო მომავალი დამქირავებლების არათანაბარი დამოკიდებულება გამწვანების ფირმაში მენეჯერის ვაკანტურ თანამდებობაზე მუშაობის მსურველი ქალი და კაცი აპლიკანტების მიმართ. 2005 წლისთვის მომავალი დამქირავებლების მიერ უნდა ველოდოთ თუ არა ქალისა და კაცის მიმართ უფრო თანაბარ დამოკიდებულებას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 1993 წლის ზაფხულში ცინცინატელი დამქირავებლის მხრიდან? ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ახდენს გავლენას ეკონომიკური რესტრუქტურირება და სამუშაო გარემოს ცვალებადი ბუნება სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციის ხარისხზე XXI საუკუნეში.

სეგრეგაციის საერთო დონე მომავალში ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მიმდინარე ტენდენციებზე საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებშიც სეგრეგაცია ძალიან ძლიერია. ისეთი სამუშაოების ზრდა, რომელშიც ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგალითად, საკანცელარიო საქმიანობა, ექთნის თანამშენებელი, სასურსათო მაღაზიის თანამშრომლები, გაზრდის სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციას სამუშაო ადგილზე¹⁴. მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური კაცი მშრომლებით დასაქმებული სამუშაო ადგილების შემცირება ხელს შეუწყობს ქალური სამუშაო ადგილების ზრდით განპირობებული სეგრეგაციული შედეგების გამრავალფეროვნებას. ამკარაა, რომ სეგრეგაცია, რომელიც განპირობებულია სასურველი სამუშაოს დაკარგვით, არავის ინტერესებში არ შედის. ინტეგრაციის ის სახე, რომელიც სასარგებლო იქნება ქალებისა და საზოგადოებისათვის, გააფართოებს ქალთა შეღწევის შესაძლებლობებს, როგორც კარგ, ასევე ნაკლებად კარგ სამუშაოებზე.

სამუშაო ადგილზე სქესობრივი სეგრეგაციის გაგრძელებას ორი ფაქტორი განაპირობებს. მართალია, სამუშაო ამოცანების გართულების ტენდენცია სასარგებლოა კარგად განათლებული, კომპიუტერული უნარ-ჩვევების მქონე ქალი მშრომლებისათვის, უმცირესობებისა და იმიგრანტებისათვის, მაგრამ საპირისპიროდ, სამუშაო ამოცანების გაადვილების ტენდენცია მშრომელთა დანარჩენ კატეგორიას აქვეითებს დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე. უფრო მეტიც, რადგანაც ეკონომიკის რესტრუქტურირების პროცესი ამცირებს ისეთ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს, რომლებზეც დასაქმებულია უმეტესობას კაცები წარმოადგენდნენ. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ, წინააღმდეგობას გაუწევს ქალთა შეღწევას იმ სამუშაოებზე, რომლებიც ტრადიციულად კაცის სამუშაოდ ითვლებოდა.

თუ განვიხილავთ დადებითი მხრიდან, დიპლომი და სამუშაო გამოცდილება, რომლებიც ქალებს მიაქვთ სამუშაოზე, უფრო და უფრო ჰგავს კაცებისას, ამდენად, დამქირავებლებს, სავარაუდოდ, ორივე სქესის მშრომლებთან ექნებათ თანაბარი დამოკიდებულება. გარდა ამისა, რადგანაც დამქირავებლები არატრადიციულ სამუშაოზე დასაქმებული კომპეტენტური ქალი თანამშრომლებისაგან იღებენ უფრო მეტ გამოცდილებას, კონკურენტული გარემოს ზენოლამ, რაც აიძულებს დამქირავებლებს დაიქირაონ საუკეთესო ხელმისაწვდომი თანამშრომლები, შეიძლება მისცეს მათ სტიმული დაიქირაონ უფრო მეტი ქალები.

2000 წლისათვის მოსალოდნელია სამუშაო ძალაში ქალთა, არათეთრკანიანთა და იმიგრანტთა მზარდი მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი მზარდად შეეცილებიან “თეთრი კანისა... და ფრთის ბოლოს მქონე ადამიანებს” კარგ სამუშაო ადგილებში (White 1992:35). მაგალითად, თუ გამწვანების სამსახური ეძებს 10 ახალ თანამშრომელს და 10 საუკეთესო კანდიდატიდან 6 ქალია, ამ შემთხვევაში არსებობს კარგი შანსი იმისა, რომ კომპანიამ სამუშაოზე

¹⁴ სქესობრივი ნიშნის მიხედვით სეგრეგაციის ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იქნება ისეთი არასტაბილური სამუშაო ადგილების ზრდით, რომლებზეც ქალებს დომინანტური მდგომარეობა უკავიათ (Callaghan and Hartman 1991). დამქირავებლები, რომლებიც ეძებენ მშრომლებს არასტაბილურ სამუშაოზე დასაქმებლად, ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ჯგუფებზე, რომლებიც მდებარეობენ შრომის იერარქიის დაბალ საფეხურებზე. ასეთებია: ქალები, უმცირესობები, ახალგაზრდობა და ასაკოვანი მშრომლები (Sweeney and Nussbaum 1989). განვიხილოთ დროებით დასაქმებული და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მუშაკები: 1980-იანი წლების ბოლოს ქალები შეადგენდნენ მშრომელთა საერთო რაოდენობის 45%-ს, ხოლო დროებით დასაქმებული და არასრული სამუშაო განაკვეთის მქონე მშრომელთა ორ მესამედს (Tilly 1991). აფრო-ამერიკელები ასევე მნიშვნელოვნად არიან წარმოდგენილი დროებით დასაქმებულთა შორის: 1980-იანი წლების შუა ხანებში ისინი მთელი სამუშაო ძალის 10.4%-ს, ხოლო დროებით დასაქმებულთა 12%-ს შეადგენდნენ (Howe 1986).

აიყვანოს ქალი თანამშრომლები. თუმცა იმისათვის, რომ ქალებმა, უმცირესობებმა და იმიგრანტებმა, რომლებიც ძირითადად თავმოყრილი არიან სამუშაო ბაზრის დაბალ საფეხურებზე, აიმაღლონ სტატუსი და გადაინაცვლონ შედარებით მაღალ საფეხურებზე, აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სამუშაო ძალაში ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის ზრდა არ ნიშნავს, რომ მათი დასაქმების შესაძლებლობებიც იზრდება. ამ კატეგორიის მშრომელები დასაქმებულნი არიან ისეთ სამუშაოებზე, რომელთა რაოდენობაც მცირდება და ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილი სწრაფად მზარდ კვალიფიციურ სამუშაოებზე (Kutscher 1991:9 Silvestry and Lukasiewicz 1991:92). გარდა ამისა, უმცირესობათა განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დაბალი დონე, დისკრიმინაციასთან ერთად შეზღუდავს მაღალანაზღაურებად სამუშაოებზე მათი შეღწევის შესაძლებლობებს. მაგალითად, 1990 წელს მათემატიკური და კომპიუტერული სფეროს სწრაფად მზარდ სამუშაოებზე დასაქმებულთა მხოლოდ 7%-ს წარმოადგენდნენ აფრო-ამერიკელი, ხოლო 3%-ს ლათინო-ამერიკელ მშრომელები (Silvestry and Lukasiewicz 1991). მშრომელები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობათა ზემოაღნიშნულ ორ ჯგუფს, ჯერ კიდევ შეადგენენ ისეთ კლებად საქმიანობებზე დასაქმებულთა 14%-ს, როგორებიცაა სამანქანო ოპერაციები, ამწყობები და ზედამხედველები.

დანინაურების შესაძლებლობებს შორის არსებული განსხვავება. გაზრდის თუ არა ეკონომიკური რესტრუქტურირება ქალთა დანინაურების შანსებს? სავარაუდოდ, არა. დამქირავებლები მზარდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, რომლის თანმხლები მოვლენაა სამუშაო ადგილების შემცირება, აუქმებენ საშუალო-მენეჯმენტის ტიპის სამუშაოებს. ამგვარი ეკონომია, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის ქალებისა და უმცირესობების დანინაურებას სამი მიზეზის გამო. პირველი: უხილავმა ზღვარმა ქალებისა და უმცირესობების უმეტესობა მოაქცია ზუსტად საშუალო მენეჯმენტის ტიპის სამუშაოებზე, რომელთაც ემუქრებათ გაუქმება, და ამგვარად მშრომელთა ეს კატეგორია იმყოფება უმუშევრად დარჩენის რისკის ქვეშ. მსგავსად ამისა, ქალებისა და უმცირესობების თავმოყრა ისეთ საშტატო თანამდებობებზე, რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის, მაგალითად, პირადი შემადგენლობა, საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოზიტიური საქმიანობა*, მშრომელთა აღნიშნულ კატეგორიას ასევე აყენებს უმუშევრად დარჩენის რისკის ქვეშ. მეორე: საშუალო მენეჯმენტის ტიპის სამუშაოების გაუქმება მოშლის არსებულ კარიერულ საფეხურებს, რომლებიც დაბალი დონის სამუშაოებზე დასაქმებულებს უქმნიან შესაძლებლობას გამოაღწიონ ქვედა ეშელონიდან. მესამე: რადგანაც მაღალი რანგის სამუშაოები მოითხოვენ სწავლებისა და კვალიფიკაციის თანამედროვე დონეს, დამქირავებლები სავარაუდოდ ძველ თანამშრომლებთან შედარებით უპირატესობას მიანიჭებენ გარედან მოსულ ახალ კურსადმთავრებულებს (Acker 1992).

სამსახურეობრივ უფლებამოსილებებს შორის არსებული განსხვავება. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები, სავარაუდოდ, არ გააუმჯობესებს ქალთა და უმცირესობათა შესაძლებლობებს გაზარდონ თავიანთი სამსახურეობრივი უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, ქალთა ნაწილი შეიძლება დაინიშნოს ახალ, ავტონომიურ თანამდებობებზე, რომლებზეც მათ ექნებად სამსახურეობრივი ძალაუფლება. თუმცა დღესდღეობით მომსახურების სექტორში არსებული სამუშაოები, რომლებზეც ძირითადად დასაქმებულნი არიან ქალები, განეკუთვნება იმ სამუშაოებს, რომელთა კვალიფიკაციის დონეს დამქირავებლები ყველაზე ხშირად ამცირებენ ან გადაინაცვლებენ არასტაბილურ სამუშაოთა რიგში (Eitzen and Baca-zinn 1992). სავარაუდოდ, ქალთა უმეტესობა ვერ შეძლებს გვერდი აუაროს უფლებამოსილებებს შორის არსებულ განსხვავებას მანამ, ვიდრე მთავრობა არ შეიმუშავებს

* ამერიკული ტერმინია და აღნიშნავს პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

კანონს, რომელიც დაიცავს ქალებისა და უმცირესობათა უფლებას დაინიშნონ თანამდებებებზე. უხილავი ზღვარის შესახებ აშშ-ს შრომის დეპარტამენტის უახლესი ინიციატივა 1991 წელს მიღებული კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით მცირე ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

სამუშაოების პოლარიზებას, ერთი მხრივ, ისეთ სამუშაოებად, რომლებიც გვთავაზობენ გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, სამუშაოებად, რომელთაც მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტრადიციულად ქალურ სამუშაოებში (Acker 1992). სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან რუტინული, დაბალანაზღაურებადი, ხელმძღვანელობის მხრიდან მკაცრად კონტროლირებადი და, შესაბამისად, არარუტინული, მაღალ-ანაზღაურებადი, დამოუკიდებელი სამუშაოები. მაგალითად, ექთნისა და ექთნის დამხმარის სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება (Glazer 1991). ახალმა ტექნოლოგიებმა აამაღლეს ლიცენზირებული ექთნის სამუშაოსთან დაკავშირებული კვალიფიკაციური მოთხოვნები მაშინ, როცა ექთნის დამხმარის სამუშაო დაბალკვალიფიციურია და სახელფასო განაკვეთი ამ სამუშაოზე მინიმალურს უტოლდება. ფერადკანიანი ქალი მშრომლები არაპროპორციულად არიან თავმოყრილნი ნაკლებად სასურველ ტრადიციულ ქალურ სამუშაოებზე და, ამდენად, პოლარიზაცია ამ სამუშაოებს შორის, სავარაუდოდ, წარმოშობს იმ ახალ ბარიერებს, რომლებიც ამცირებენ უფლებამოსილ თანამდებებებზე ქალთა დანიშვნის შესაძლებლობებს.

მეორე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გააღრმავოს უფლებამოსილებებს შორის არსებული განსხვავება, არის კომპიუტერიზაცია. კომპიუტერიზაცია საშუალებას აძლევს ხელმძღვანელებს განახორციელონ უფრო ახლო ზედამხედველობა დაბალი რანგის მშრომლებზე, რომელთა უმეტესობასაც ქალები და ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. 1987 წელს ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ დამქირავებლები იყენებენ კომპიუტერებს, რათა გააკონტროლონ 4-დან 6 მილიონამდე მშრომელი (Sweeney and Nussbaum 1989:155). მაგალითად, ერთ-ერთი სატელეფონო კომპანია ოპერატორებს თითოეულ კლიენტთან მომსახურებისათვის მხოლოდ ოც წამს უწესებდა. ოპერატორები ჩიოდნენ, რომ ეს დრო არ იყო საკმარისი კლიენტთა მომსახურებისათვის, რის გამოც ისინი ხშირად ამ უკანასკნელთ არასწორ სატელეფონო ნომრებს აძლევდნენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი გაეთიშათ ქსელიდან და მიეღოთ ახალი ზარები (Sweeney and Nussbaum 1989:155).

ჩატარებული კვლევები მიანიშნებენ, რომ მშრომელთა კვალიფიკაციისა და მოვალეობების ზრდის ტენდენცია უფრო სასარგებლოა კაცებისათვის, ვიდრე ქალებისათვის. როდესაც შვედეთის ბანკებმა ქალ მოლარეებს მენეჯერთა ზოგიერთი მოვალეობის შესრულება დაავალეს, მაგალითად, სესხის დამტკიცება, ინვესტიციებსა და გადასახადებთან დაკავშირებით კლიენტებისათვის რჩევის მიცემა, მათ ეს ცვლილებები არ მიიჩნიეს ქალ მოლარეთა კვალიფიკაციური დონის ამაღლებად (Acker 1992). ის, თუ რამდენად ზრდის კვალიფიკაციის დონის ამაღლება უფლებამოსილების დონეს ნაწილობრივ დამოკიდებულია დამქირავებლეთა სურვილზე აღიარონ ქალის მიერ შესრულებული სამუშაო კვალიფიციურებულ სამუშაოდ.

განსხვავებული ანაზღაურება. ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა ტენდენციებმა შეიძლება შეამციროს ხელფასის განაკვეთებს შორის არსებული განსხვავებები, თუმცა ამის მიზეზი, სავარაუდოდ, იქნება კაცთა ანაზღაურების დონის შემცირება და არა ქალთა ხელფასის რაოდენობის ზრდა. 2000 წლისათვის ათი ყველაზე გავრცელებული სამუშაოდან ხუთში ანაზღაურების დონე სიღარიბის დონის მაჩვენებელზე დაბალი იქნება (Silvestri and Lukasiewicz 1987). ამგვარად, დამკვირვებელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რესტრუქტურირების საერთო შედეგი რიგითი მშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით უარყოფითია და, სავარაუდოდ, ასე გაგრძელდება (Harrison and Bluestone 1988; Phillips 1990). ეკონომიკური ცვლილებების შედეგად უმუშევრად დარჩენის რისკი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგანაც სამუშაო ადგილები აშშ-დან გატანილი იქნა იმ ქვეყნებში, რომლებშიც შრომის ანაზღაურების დონე ნაკლებია.

ნარმოებაში სამუშაო ადგილების შემცირება განსაკუთრებით ზარალის მომტანი აღმოჩნდა ფერადკანიანი მშრომელებისათვის, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა შეძლო საშუალო კლასში გადასვლა მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ისინი დასაქმებულნი იყვნენ მძიმე მრეწველობაში, სადაც მშრომელთა დიდი ნაწილი პროფკავშირებშია გაერთიანებული (Wilson 1991; Higginbotham 1992). აღნიშნული სამუშაო ადგილები ჩაანაცვლა დაბალანაზღაურებადმა სამუშაოებმა ან საერთოდ გაუქმდა (Higginbotham 1992:187). ქალებმა, რომელთაც იპყეს სამუშაოები მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიც ტრადიციულად გამოიყენებოდა ლურჯსაყელიანი კაცთა შრომა, დაკარგეს სამსახურები. თუმცა ზოგადად, მრეწველობის შემცირების შედეგად თეთრკანიანმა მამაკაცმა მშრომელებმა შემოსავლის უფრო დიდი ნაწილი დაკარგეს, ვიდრე ქალებმა, რადგანაც მათ უფრო მეტი ჰქონდათ დასაკარგი. მათი გამოუმუშავების დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების და უფრო მეტად იყვნენ დასაქმებულნი მძიმე მრეწველობაში, სექტორში, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო ეკონომიკის გარდაქმნის შედეგად (Acker 1992).

ამავდროულად გაიზარდა მომსახურების სექტორი. თუ დავუბრუნდებით 9.1 ცხრილს, ვნახავთ, რომ ზრდის ტემპები კვლავაც მაღალი იქნება მომსახურების სექტორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაღალკვალიფიციური, მმართველობითი და ტექნიკური სფეროები, რომლებშიც ანაზღაურების დონე მაღალია (Acker 1992). მაგრამ ზრდის უდიდესი ნაწილი შეეხება მომსახურების სექტორის დაბალანაზღაურებად სამუშაოებს, რომლებშიც ძირითადად დასაქმებულნი არიან ქალები, უმცირესობები და იმიგრანტები.

მთლიანობაში ხელფასის დონეებს შორის არსებული განსხვავება უნდა შემცირდეს, რადგან ქალები სრულყოფენ თავიანთ სამუშაო გამოცდილებას. ასევე სახელფასო განაკვეთებს შორის განსხვავება შემცირდება, თუ გაიზრდება ქალი მშრომელების რაოდენობა მამაკაცურ თანამდებობებზე. კაცთა საშუალო ხელფასის კლება, რაც განპირობებულია მრეწველობაში სამუშაო ადგილების შემცირებითა და მომსახურების სფეროს წინ წამოწევით, ხელს შეუწყობს ხელფასის დონეებს შორის არსებული განსხვავებების შემცირებას, თუმცა არ გააუმჯობესებს ქალის ან კაცის ეკონომიკურ მდგომარეობას.

სამუშაოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭება

დამქირავებლებს, ისევე, როგორც მამაკაც და ქალ მშრომელებს, შეაქვთ წვლილი სამუშაოსათვის გენდერული მახასიათებლების მინიჭებაში. გენდერული მახასიათებლებით განსაზღვრული სამუშაოს ერთ-ერთი კონკრეტული უარყოფითი შედეგი არის სექსუალური ზენოლა. თუმცა მომავალი ამ მიმართულებით ოპტიმისტურია. დიდ კომპანიათა უმეტესობამ განახორციელა სხვადასხვა პროგრამა და ჩაატარა სწავლება, რომლებიც მიმართული იყო სექსუალური ზენოლის წინააღმდეგ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო გადანყვეტილებები, რომლებიც დამქირავებლებს აკისრებს პასუხისმგებლობას სამსახურში სექსუალური ზენოლის გამო. აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს მიერ 1993 წელს მიღებული ერთსულოვანი გადანყვეტილება (Teresa Harris v. Folklift Systems) ერთგვარ საფუძველს უქმნის მშრომელს გაასაჩივრონ სექსუალური ზენოლის ფაქტები და ამისათვის მათ არ მოეთხოვებათ იმის მტკიცება, რომ მათ განიცადეს მორალური ზარალი. დამქირავებელთა იძულება განსაზღვრონ თუ როგორ უწყობს ხელს სამუშაო გარემო სექსუალურ ზენოლას და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

აღშფოთებით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული მახასიათებლები სამუშაოში ღრმად არის გამჯდარი. New York Times-ის ჟურნალისტიმა, არტურ ოქს სულზბერგერ უმცროსმა, რომელიც მხარს უჭერს ქალთათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას, განაცხადა, რომ მისი სურვილია საკუთარ ვაჟიშვილს დაუტოვოს იმაზე უფრო ეგალიტარული გაზეთი, ვიდრე მან წინამორბედებისაგან მიიღო. მათთვის, ვინც მომავალში განსაზღვრავს საზოგადოებრივ აზრს, ეს

განცხადება შეიძლება წამახალისებელი იყოს, თუმცა მანამ, ვიდრე შიტყობს, რომ სულზბერგერს ვაჟიშვილის გარდა ქალიშვილიც ჰყავდა. (N. Robertson 1992:252). ყველაზე კეთილგანწყობილი კაციც კი, შეიძლება, ვერ ხედავდეს საკუთარ გენდერულ გადახრებს—მაგალითად, დამკვიდრებული მოსახრება, რომ ვაჟიშვილი და არა ქალიშვილი იღებს მემკვიდრეობით ოჯახურ ბიზნესს.

მშრომელები კვლავაც ანიჭებენ სამუშაოს გენდერულ მახასიათებლებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გენდერი დიდი კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია და, მეორეც, იმიტომ, რომ მშრომელებს სურთ დაიცვან თავანთი მატერიალური ინტერესები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ თავში განხილული ოთხი მთავარი ტენდენცია, განსაკუთრებით სამუშაო ამოცანების გამარტივება და სამუშაო ადგილების შემცირება წარმოების სექტორში, ზიანს აყენებს მამაკაცებს, როგორც ჯგუფს, კაცი მშრომელები კვლავაც გამოიყენებენ გენდერულ მახასიათებლებს, რათა გაიმყარონ პოზიციები ტრადიციულად მამაკაცურ სამუშაოებზე და შეინარჩუნონ მონოპოლია ძალაუფლებაზე.

ურთიერთობა სამსახურსა და ოჯახს შორის

მერვე თავში აღინიშნა, რომ დამქირავებლები ახდენენ სამუშაოს ორგანიზებას იმ წარმოდგენის საფუძველზე, რომ კარგი მშრომელი არის კაცი, რომელსაც სამსახურის გარდა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რამდენიმე სხვა მოვალეობა ან საერთოდ არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, დამქირავებლები დიდი ხანია მიიჩნევენ, რომ ოჯახსა და სამსახურს შორის არსებული კონფლიქტის დროს უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. მომავალში დარჩება თუ არა სამუშაო მშრომელთა ცხოვრების პრიორიტეტულ მიმართულებად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

წლების განმავლობაში დამქირავებლები თანდათანობით და ხშირად საკუთარი სურვილის გარეშე ერგებოდნენ მშრომელთა ცხოვრებისეულ რეალობას და მომავალში უფრო მეტ ცვლილებას ექნება ადგილი ამ მიმართულებით. დამქირავებელთა ნაწილმა შეიმუშავა საოჯახო პოლიტიკა ჯერ კიდევ 1965 წელს და ამ პოლიტიკის დიდი ნაწილი შეუთავსდა სამუშაო ბიუროკრაციას. მართალია, აშშ-ში მთავრობის საოჯახო პოლიტიკა არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა მშრომელთა 60%-ზე მეტი სარგებლობს საკადრო პოლიტიკით, რაც საშუალებას აძლევს ოჯახთა ნაწილს ერთმანეთს შეუთავსოს ოჯახი და სამუშაო. მაგრამ მხოლოდ დამქირავებელთა მცირე ნაწილი სთავაზობს თანამშრომლებს დახმარების ყველაზე სასარგებლო ფორმებს. ოჯახსა და სამსახურს შორის არსებული კონფლიქტის შემსუბუქების მიზნით კონგრესმა 1993 წელს მიიღო კანონი შვებულებისა და ბიულეტენის შესახებ. კანონი დამქირავებლებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ სამუშაო ადგილის შენარჩუნება როგორც ქალი, ასევე კაცი თანამშრომლებისათვის, როდესაც ისინი ოჯახში არსებული კრიზისის ან სხვა მიზეზის გამო ითხოვენ გარკვეულ დროს სამსახურისაგან. ბიულეტენისა და შვებულების შესახებ კანონი ფორმალურად აღიარებს, რომ მშრომელებს აქვთ უფლება დაიკმაყოფილონ ოჯახური მოთხოვნები ისე, რომ ამას არ შესწირონ სამსახური.

დამქირავებელთა მზარდი ნდობა სახლიდან მომუშავეებისადმი და პატარა, ოჯახური საქმიანობების ზრდა, როგორც ჩანს, განამტკიცებს სექსუალური ნიშნის მიხედვით ცოლებსა და ქმრებს შორის სამუშაოს არათანაბარ დაყოფას. მოლოდინები, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ თითქმის საოჯახო სამუშაოს შესრულებისა და ბავშვის მოვლის ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 1975 წელს დასაქმებულთა შორის კაცები საოჯახო საქმიანობაზე ხარჯავდნენ ქალების მიერ იგივე საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროის 46%-ს. 1987 წელს იგივე მაჩვენებელი 57%-ს გაუტოლდა. თუმცა ამგვარი გაუმჯობესების მიზეზი იყო წყვილთა მიერ სხვადასხვა საოჯახო სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა ან სხვათა დაქირავება და არა კაცის მიერ მეტი საოჯახო საქმიანობის შესრულება (Shelton 1992:74-5). ტემპი, რომლითაც საოჯახო შრომის გადანაწილება, მეტად გათანაბრდება ქალსა და კაცს შორის, დამოკიდებულია ქალთა შესაძლებლობებსა და სურვილზე დაჟინებით მოსთხოვონ პარტნიორებს საოჯახო სამუშაოს შესრულება. და მათი შესაძლებლობა მოითხოვონ საოჯახო სამუშაოების თანაბარი გა-

ნანილება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად უთანაბრდებიან ქალები მამაკაცებს გადასახადების გადახდისა და სამუშაო სტატუსის მიხედვით.

დასკვნა

ქალებმა განიცადეს უდიდესი პროგრესი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. დამქირავე-ბელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სქესის მშრომელებს ეპყრობა უფრო სამართლიანად, ვიდრე წარსულში. განვიხილოთ ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევა: ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტმა საკუთარ ინსტიტუტში ჩაატარა კვლევა, რათა გარკვეულიყო, იყო თუ არა თანაბარი დამოკიდებულება კაცი და ქალი თანამშრომლების მიმართ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მსგავს თანამდებობებზე კაცთა ხელფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებისა, ხოლო მსგავსი დიპლომის მქონე მამაკაც და ქალ თანამშრომლებს შორის დანიშნულების შესაძლებლობა უფრო მაღალი იყო მამაკაცებს შორის. ორგანიზაციის დირექტორმა და მის დაქვემდებარებაში მყოფმა ქალმა თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები: ორგანიზაციამ შემოიღო პოლიტიკა კარიერულ საფეხურებზე სქესობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხრელად, განახორციელა საშვებულებო პოლიტიკა, აიღო ვალდებულება ერთმანეთისათვის გაეთანაბრებინა კაცი და ქალი თანამშრომლების ხელფასები და შექმნა კომისია, რომელიც დისკრიმინირ სასჯელს დაადებდა დისკრიმინაციაში ან სექსუალურ ზეწოლაში მონაწილე თანამშრომელს (Watson 1993:889). როგორც თვით კვლევა, ასევე ორგანიზაციის რეაქცია კვლევის შედეგებზე წარმოუდგენელი იყო 30 წლის წინ. დღესდღეობით ორგანიზაციები თანასწორობის საკითხს სერიოზულად უდგებიან. სექსუალური დისკრიმინაციის მიმართ ორგანიზაციათა მზარდ ყურადღებას მხოლოდ დროის სვლით ვერ ავსხნით. აღსანიშნავია, რომ, როცა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციამ ჩაატარა თვით კვლევა და გაატარა კვლევის შედეგების საპასუხო ღონისძიებები, ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ქალი.

იმ ორგანიზაციათა მცირე ნაწილი, რომელთაც სათავეში უდგანან ქალები, ახორციელებენ მსგავს ცვლილებებს. ამიტომ ისა თუ რამდენად სწრაფად აღწევს ქალი მშრომელი თანასწორობას, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქალი თანამშრომლების მიერ დამქირაველების, კანონმდებლებისა და აღმასრულებლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე. 1960-იანი წლების შემდეგ სამუშაო ძალაში უმაღლესი განათლების მქონე ქალი მშრომელების დიდი რაოდენობით შედინებას, რომელთაც უწევდათ როგორც ოჯახის, ასევე სამსახურის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მოჰყვა მათი სქესობრივი დისკრიმინაცია სამსახურში. მათ დამქირაველები დაადანაშაულეს დისკრიმინაციაში და აიძულეს ფედერალური მთავრობა აღესრულებინა სქესობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონი. მათ მითხოვეს და რიგ შემთხვევებში მიიღეს კიდევ ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი, ასევე მისაღები და ხელმისაწვდომი ბავშვის მოვლის მომსახურება. ქალმა თანამშრომლებმა ასევე მოითხოვეს თანასწორობა ანაზღაურებაში ეს კონცეფცია ისევე, როგორც სექსუალური ზეწოლის კონცეფცია, 20 წლის წინ გამოცემულ ლექსიკონებში საერთოდ ნახსენები არ იყო.

სექსუალური თანასწორობის მონინააღმდეგეებმა ამ წარმატების საპირისპიროდ 1980-იან წლებში ეფექტური კონტრშეტევა განახორციელეს. კონსერვატორული პოლიტიკის მიმდევრები შეეცადნენ შეემცირებინათ ფედერალური პოზიტიური ქმედების შედეგად დაწესებული მარეგულირებელი ნორმები, შეეცადნენ შემოეღოთ დისკრიმინაციული კანონმდებლობა და სასამართლოში დისკრიმინაციული ქმედების დამტკიცება უფრო გაართულეს. სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ უფლებათა თანასწორობას, ჩანაცვლეს თანასწორობის მონინააღმდეგეებით. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაათავისუფლა დამქირაველები სამუშაოს დესეგრეგაციის ვალდებულებებისაგან, ასევე 1991 მიიღეს სამოქალაქო უფლებათა აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებას.

აღნიშნულმა საპასუხო ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო თანაბარი უფლებების წინააღმდეგ, გვასწავლეს, რომ დისკრიმინაციის შემცირებისათვის აუცილებელია მუდმივი ზენოლა. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი კანონები: სხვა განვითარებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ჩვენი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან ფინანსურ ჯარიმებს (Bergmann 1986). მთავარი ამოცანა არის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ამ კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა. ისეთი კანონები, როგორებიცაა, მაგალითად, 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტის VII თავი, იმდენადაა ეფექტური, რამდენად ძლიერიცაა დაზარალებული. უფრო მეტიც, დიდი დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება სასამართლო პროცესს, აიძულებს დისკრიმინაციის მსხვერპლს არ მიმართოს სასამართლოს. სასამართლო პროცესის მოგების შემდეგაც კი გარანტირებული არ არის რაიმე ცვლილება დაზარალებულის სასარგებლოდ. სასამართლოთა გადაწყვეტილებები, რომლებიც მიყენებული ზარალისათვის დამქირავებლებისაგან მოითხოვენ ფინანსური კომპენსაციის გაცემას, ხშირად არ ეხება დისკრიმინაციულ პოლიტიკასა და პრაქტიკას (Bergmann 1986).

ზენოლა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან შედეგად შეიძლება გაიზარდოს დამქირავებელთა დანახარჯები დისკრიმინაციული ქმედებისათვის. ადვოკატმა განიხილა მსგავსება დისკრიმინაციულ დანახარჯებსა და ბიზნეს დანახარჯებს შორის:

ავტომობილის დამცავი ქამრის, ან საჰაერო ბალიშის ან ქარხნებში სხადასხვა მოწყობილობებთან მომუშავეთათვის დამცავი საშუალებების არსებობის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ამ პროდუქციის მწარმოებლებს უფრო ძვირი დაუჯდათ დაშავებული ადამიანების მიერ მოგებული სასამართლო პროცესების შედეგად მათთვის დაკისრებული კომპენსაციის გადახდა (White 1992:201).

სამსახურში თანასწორობის არსებობა დამოკიდებულია დამქირავებლებისა და მთავრობისადმი ამერიკელთა მოთხოვნაზე. წამახალისებელია შემდეგი მაგალითის მოყვანა: ქალი და კაცი მშრომელები გაერთიანდნენ საკუთარი სამოქალაქო და მშრომელთა უფლებების დასაცავად, როდესაც მიჩიგანში მდებარე იპსილანტის რაიონმა უჩივლა General Motors-ს იმის გამო, რომ მან ჯერ მიიღო საზოგადოებრივი ინიციატივა წარმოება დარჩენილიყო ქალქში და შემდეგ კი გადაანაცვლა იმ მხარეში, სადაც ანაზღაურების დაბალი დონე იყო. მექსიკაში საზღვართან მდებარე ამერიკულ საწარმოებში მომუშავე ქალმა მშრომელებმა ჩამოაყალიბეს *Comite Fronterizo de Obreras* (ქალ მშრომელთა სასაზღვრო კომიტეტი), რომელიც წარმატებით იბრძოდა მაღალი ხელფასებისათვის, სამრეწველო ქიმიკატებისაგან მშრომელთა დასაცავად და იმისათვის, რომ დამქირავებლები იძულებით დამორჩილებოდნენ მექსიკურ კანონმდებლობას. მშრომელებმა გაზარდეს თავიანთი უფლებამოსილება იმით, რომ კავშირები დაამყარეს აშშ-ს ეკლესიასთან და კეთილგანწყობილ პროფკავშირებთან. ამჟამად ისინი ეძებენ გზებს, რათა უზრუნველყონ მსგავსი ცვლილებები ამ საწარმოებში. ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ მშრომელები, რომლებიც იბრძვიან, იმარჯვებენ კიდევ.

მედია და დამქირავებლები ხშირად აცხადებენ, რომ სქესობრივი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია წარსულს ჩაბარდა. ისინი ამტკიცებენ, რომ ბარიერები აღარ არსებობს: ქალებს კაცების მსგავსად შეუძლიათ წარმატების მიღწევა დამოუკიდებლად. ზენოლის შემთხვევაში მათ შეიძლება აღიარონ, რომ ქალთა და კაცთა კარგ სამუშაოზე დანიშვნის, წარმატებისა და თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობები არათანაბარია. მაგრამ ისინი გვახსენებენ ამერიკულ ოცნებას, რომელიც ამბობს: თუ შენ ხარ მეორე ნომერი, ავის კარ რენტალის მსგავსად, შენ უბრალოდ უფრო მონდომებით უნდა სცადო. თუ შენ ხარ ავისი, ამ სტრატეგიამ შეიძლება იმუშაოს, რადგან ჰერთზი არ ადგენს წესებს. ქალებს კვალვაც უნევთ იმ გარემოსთან კონკურენცია, რომელშიც წესებს კაცები ადგენენ. მძიმე სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამის ანაზღაურებას ქალთა მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს, ისინი, ვისაც აქვს შესაბამისი კლასობრივი მდგომარეობა, განათლება, კანის ფერი, წონა და კარგი იღბალი. ქალთა უმეტესობისათვის, მძიმე

სამუშაო არასაკმარისია, რადგან სქესობრივი უთანასწორობის სისტემას ჰყავს მოსარგებლენი ისევე, როგორც მსხვერპლნი, და ეს მოსარგებლენი ხელს უწყობენ პრობლემის არდანახვას და ეწინააღმდეგებიან რეალურ ცვლილებებს.

წარმატების მისაღწევად აუცილებელია მედიის აქტიური გამოყენება. იმ საზოგადოება, რომელიც მიესაღმება სამართლიანობის ერთგულებას, აღიარებს, რომ საზოგადოებრივი ზეწოლის პირველი ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს უსამართლობისაკენ. ახალი მარეგულირებელი ნორმები და არსებული ნორმების უკეთესი აღსრულება არსებითია სამუშაო პროცესსა და მის შედეგებში არათანაბრობის შესამცირებლად. თანასწორობა მნიშვნელოვანია, თუმცა არსებობს პოლიტიკის გარკვეული სახე, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაოს საერთო ხარისხს. ტენდენციები, რომლებიც განვიხილეთ ამ თავში, მიანიშნებს მომავლის გაუარესების შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს არასტაბილურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდას. ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენი საზოგადოება კრიტიკული ერთობაა, რომლის ფარგლებშიც უნდა გაგნვიყოთ ურთიერთობა წარსულში განხორციელებულ პოლიტიკასთან. ამ ანალიტიკოსთა გაკვეთილი ნაწილი მოუწოდებს მთავრობას განახორციელოს ისეთი პოლიტიკა მრეწველობაში, რომელიც გულისხმობს საგადასახადო ინიციატივებს, რათა დამქირავებელმა შექმნას კარგი სამუშაო, ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც ახორციელებს მშრომელთა უკეთეს კონტროლს და ატარებს დასაქმების ისეთ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სქესისა და კანის ფერის მიუხედავად მშრომელთა თანაბარ შესაძლებლობებს და სარგებელს (იხ. Harrison and Bluestone 1988; Reich 1991; Thurow 1992). უკეთესი სოციალური და ეკონომიკური მომავლისათვის, რომელშიც თანასწორობას ახლავს უკეთესი სამსახურები ყველა მშრომელისათვის, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ახალი მიმართულება.